UDC(უაკ) 050(479.22)
ა-376

ISSN-2223-3312

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

# ა თ ი ნ ა თ ი

# V

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი 2012



# უფლის საგალობელი

*მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა*
*და მოჰქონდა სანაცრელი ვაზის ჯვარი...*
*ანა კალანდაძე*

*ლურჯ ზეციდან შენ*
*გვფარველობ წმინდა ნინო,*
*იქნებ შენებრ იანუსზეც*
*ქება გვეთქვა.*
*მისი არ გვწამს,*
*ორპირია არ გვიწყინო,*
*შენი ხატით „ათინათის"*
*გული ფეთქავს.*
*გულნაზ ხარაიშვილი*


საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი,
უწმინდესი და უნეტარესი ილია II

**მიტროპოლიტი თადეოზი**
(მირიან იორამაშვილი)

## უწმინდესს

გიხაროდენ! გიხაროდენ! გიხაროდენ!
წყემსო დიდო!...
ცხოვნებისა მოსურნეთა საიმედო
გზავ და ხიდო!
მცველო ჭეშმარიტებისა და ქომაგო
ჭეშმარიტო...
წუთისოფლის ღელვათაგან არ იმღვრევი
ღვთისგან მშვიდო...

*სიმონ ზაქარაია*

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს

ილია II-ს გიწოდებთ,
ერში ბრძანდებით პირველი,
ქართველი ერის იმედო
თქვენთან ვართ მლოცველ-მწირველნი.

*გულნაზი ხარაიშვილი*

## მინდა, კალმით შენ... გიგალობო, უნეტარესო (აკოსტრიხი)

მ - უხმოდრეკილი გევედრები წმინდა ილია,
ი - მედი მომეც, ველარ ვუძლებ სეტყვას მოცვენილს.
ნ - ავით გავცურე... მაგრამ უკვე ზღვაც დაღლილია,
დ - არდმა დამახრჩო, დავემგვანე ცელით მოცელილს.
ა - კვნესებულა ქარიშხალით კავკასიონი,
კ - ივილმა ჭოტთა, სამშობლოში ძილი დამიფრთხო.
ა - ისი დარდობს, იცრემლება, ტირის სიონი,
ლ - ომი ღრიალებს... ჩემი მიწა აღარ დამითმო.
მ - იმტკიცე რწმენა, ერის მამავ, გიხმობ იმედად,
ი - არები მკლავს... სიყვარულით ამაგალობე.
თ - იბავენ ჩემს გულს... მაპატიე სიტყვას გიბედავ,
შ - ენ შემოგჩივლებ, შენი ლოცვით დამაწყალობე.
ე - კლებში არის საქართველო, მიტომ ვბორგავ და...
ნ - ატყვიარი ვარ, მტკივა ძლიერ გულის არეში,
გ - ალიაშია აფხაზეთი ცრემლით მოვთქვამ და...
ი - მედი ჩემი მოყოლილა ყინვის ფარეხში.
გ - ააცისკროვნებს შენი მადლი დაღიან გულებს,
ა - ნგელოზებსაც შეგვავედრებ დილის მირაჟზე.
ლ - ოცვა-ვედრება დაამარცხებს ავის მოსურნეს,
ო -, უწმინდესო. სულს გვიმშვიდებ ყოველ წირვაზე.
ბ - უმი აქვს „ქარბუქს", აიხანჯლა გული თორელის,
ო - მობანამ კი, კოლხთა მოდგმა ააწრიალა.
უ - ნეტარესო, ტირის გორი, ტირის ქარელი,
ნ - აწვიმარ გულში ქარმა ბუმი დაატრიალა.
ე - რს აწყალობებს, შენი სიტყვა, დიდო იმედო,
ტ - ოტს ჩამოხლეჩილს შეახორცებს, ღვთის რწმენის ძალა.
ა - მიტომაა მთელი მრევლი შენ რომ მოგენდო,
რ - ეკენ ზარები მოგროვდება დაშლილი ფარა.
ე - რთადერთი ხარ, მხოლოდ შენი სიტყვა ვიწამეთ,
ს - ასწაულს ახდენ... შენ ხარ ჩვენი სულის სალბუნი,
ო -, ერის მამავ... გასაჭირში ისევ გვიწამლე,
ხალხის იმედო, შენი სიტყვა არის ფსალმუნი.



## მიტროპოლიტ თადეოზს
(აკროსტიხი)

მ-ოგიახლოვდი... და შევიგრძენ უცებ ნუგეში,
**ი** - მედი მომეც, მიწყალობე, ჩვენო მეუფევ...
ტ-ირილი დავგმე, რადგან მოვხვდი ღმერთის უბეში,
რ-ამეთუ შენით, ჩემს დაჭრილ გულს ტკივილს მოურჩენ,
**ო** - მის ჭრილობებს, ლექსით აფრქვევ საკმეველს თითქოს,
პ-ოეტო ღვთისავ, შენი კალმით დარდებს გამყარე...
ო-ქრო არ მიყვარს... სიმდიდრისთვის არაფერს ვითხოვ,
ლ-ოცვამ მიშველა, რადგან ცრემლი ბევრი დავღვარე.
ი-ალბუზიდან ხმები მესმის, რაღაც ახალის...
ტ-ოროლას სტვენა და ლამაზი შაშვის გალობა.
თ-ბილი სიტყვებით აგიგია ლექსის ტაძარი,
ა-მოდის მზე და მოდის ღვთისგან დიდი წყალობა.
დ-ამაიმედე... უკვდავება შენით ვიწამე,
ე-სმის ჩურჩული ჩალეწილ გულს, ნაზი ენძელის.
ო,-დაჭლილი ვარ... სულიწმინდით უკვე ვიწამლე,
ზ-არის ხმა ისმის და ვიხილე ბაღი ედემის.
ს-იკვდილი მოვკალ... მეუფეო, შენი იმედით...
მერე ნერგები გავახარე... სულის არეში.
საკურთხეველთან ჩემი ფეხით რწმენით მივედი,
აღარ დავრჩები არასოდეს სიმწუხარეში.

*გულნაზ ხარაიშვილი*

## მამა გაბრიელის საფლავიდან გამოყოლილი მადლის სასწაული

ლამაზი დილა გათენდა, შვილიშვილებთან ერთად მცხეთაში ვაპირებდი წასვლას. გული შინაგანად მკარნახობდა, რაც შეიძლება სწრაფად ჩავსულიყავი სალოცავთა ქალაქში... პატარებმა, ტაძართან მიახლოებისას პირჯვარი გადაიწერეს და შემომხედეს ბავშვური ელვარე თვალებით. ისინი ამ წმინდა ადგილის მიმართ მორჩილებასა და მოწიწებას გამოხატავდნენ...

ტაძარი უამრავი სანთლებით გაჩირაღდნებული იყო. ნანა და ლევანი ანთებული სანთლებით ხელში შეჰყურებდნენ ხატებს, ვგრძნობდი, რომ მათი ქართული გენი ღვთისადმი სიყვარულით ივსებოდა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, თვალწინ დამიდგა ჩემი თამუნას, თეონას და ვახტანგის სახეები. ვგრძნობდი, რომ ხუთივე ერთად იდგა და ჩემი მათდამი სიყვარული არ იყოფოდა. ისინი ერთნაირად გამოხატავდნენ ღვთის სიყვარულს. წარსულის მორევში ჩავიძირე, არ ვიცი რამდენ ხანს გასტანა გარდასულ დღეებზე ფიქრმა... ცრემლები მომერია, სანთლები კი ნელ-ნელა იწვოდნენ. მე კი უფალს ვევედრებოდი-ღმერთო, ჯანმრთელად ამყოფე ყველა ადამიანი, მზეობდეს ბედნიერება, მშვიდობა ჰყავ ჩემს ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში...

დედათა მონასტრიდან, გზა მამა გაბრიელის საფლავისაკენ გავაგრძელეთ. ბავშვები დინჯად აკვირდებოდნენ ყველაფერს და ცნობოისმოყვარე თვალებით მიყურებდნენ.



საფლავთან უამრავი ხალხი იდგა, ზოგი დაჩოქილი და ზოგიც თავდახრილი მიწას დასჩერებოდა. ღმერთო, იმედი არ მოგვიშალო, ჩავილაპარაკე ჩემთვის და საფლავთან დავიჩოქე... პატარების მოფერებამ გამომარკვია. წამოვდექი, მონაზონმა მამა გაბრიელის საფლავიდან გადმოდინებული, მადლცხებული ზეთი მომაწოდა...

უკან დაბრუნებისას, ისეთი წინათგრძნობა მქონდა, თითქოს რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა დაწყებულიყო ჩემს ცხოვრებაში, რაც დიდ სიხარულს მომგვრიდა.

რუსთავის ქუჩებში ხალხის სიმრავლე იგრძნობოდა. ნიავი კი ჩუმად ყვავილებსა და ფოთლებს ეფერებოდა. ქალაქში რაღაც ხდებოდა, მაგრამ რა? ვეკითხებოდი საკუთარ თავს. ხალხი, მერიის წინამდებარე მოედნისაკენ მიიჩქაროდა. რა ხდება? იქნებ მიპასუხო ახალგაზრდავ? - მსოფლიო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა ჩამოვიდა. გამეხარდა... გმადლობ უფალო, ვეჩურჩულებოდი მაცხოვარს და მეც მოედნისაკენ წავედი.

მთელი საქართველო ესალმებოდა მის ღირსეულ შვილს, მშვიდობის მსოფლიო დესპანს, გმირს, რომელმაც უფლის წყალობით სასწაული მოახდინა, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ადამიანის შესაძლებლობები განუსაზღვრელია.

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ჯუმბერ ლეჟავამ მოგზაურობა სიკვდილზე გამარჯვებას, თავის უმცროს მეგობარს, აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ რატი კიკაჩეიშვილს, გარდაცვილ მეუღლეს – ლიანა ალიბეგაშვილს და დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ეროვნულ გმირს, მოგზაურობის სულისჩამდგმელს ჟიული შარტავას მიუძღვნა. აი, თურმე, რამ მოახდენინა სასწაული მოგზაურს, - სიყვარულმა.

მე ბედნიერი ვარ, რომ პირადად ვიცნობ არაჩვეულებრივ პიროვნებას, უფლის ნებით რამდენჯერ გაცოცხლებულ კაც-ლეგენდას, პატრიოტს, უსაზღვრო სიყვარულის მატარებელ ადამიანს-ჯუმბერ ლეჟავას.

მას შემდეგ 9 წელი გავიდა, ზუსტად იმ-

დენი, რამდენიც მას დასჭირდა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისათვის. ამ ხნის განმავლობაში სამუშაოსთან პარარელურად ვაწარმოებდი ჯუმბერ ლეჟავას ფონდში სამთავრობოების და არასამთავრობოების ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს. მეორე წელია რაც დავაარსე მისი სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია. ვარ შვიდი პოეტური და პროზაული წიგნების ავტორი. ყველაფერი ეს მამა გაბრიელის საფლავიდან გამოყოლილი მადლით მოხდა. გმადლობთ უფალო!



**გულნაზ ხარაიშვილი**

ჟურნალ „ათინათის" მთავარი რედაქტორი
ჟუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

## ათინათი წმინდა ნინოს მადლითაა შემოსილი

ა - მოდის მზე... თოვლს სხივები აატირებს,
„თ - იბათვის" თვე, აბრწყინდება ათასფერად.
ი - მედია შემისრულებს დანაპირებს,
ნ - აზამთრ გულში, იმედებით მომეფერა.
ა - ლიონზე აშრიალდნენ ხის ფოთლები,
თ - ბილი სიო დაათბუნებს არემარეს.
ი - წვის ალით, სალოცავში ღთის სანთლები,
წ - ამოვდექი... ბედო, ტკივილს ხომ მაკმარებ.
მ - იბალახობს ეს ზამთარი იძულებით,
ი - ცოხნება... ააშენა ღრუბლის გორა,
ნ - ინო წმინდავ, შენ მშველელად მეგულები,
დ- არდებს უკვე, ქვა და ღორღით ამოვყორავ.
ა - მოვავსე საწნახელი ყურძნის მტევნით,
ნ - ამიანი მარცვლებიც მწამს არ დაჭკნება.
ი -ქნებ ჩქარა ყანწით შევსვა ტკბილი წვენი,
ნ - აწვიმ ბადაგს არ ვაცალო დამაჭრება.
ო, - ვილოცებ ჩემს ხატებთან ყოველ დილით,
ს - აუკუნეს ტკივილებით გავეტოლე.

მ - უმლი მჯაბნის, მწუხარებით ველარ ვივლი,
ა - თჯერ მომკლან, სხვის რჯულს მაინც არ ვიტომებ.
დ -არდი თუკი ისევ - ისე მომერევა,
ლ - ოცვას ვიტყვი „იმედს" ფარად ავიფარებ...
ი - ფქლის ღეროს, თუკი ღვარძლი შეერევა,
„თ - აველს" ჩუმად ჩემს უბეში შევიფარებ.
ა - ფრებს გავშლი ისევ ხვალის მომავლისთვის,
ა - რწივის გუნდს ისე როგორ დავეწევი.
შ - ური მძაგს და... დამითმია ბევრჯერ სხვისთვის,
ე - რთი ათად გაჭირვებულს შევეწევი.
მ - ე თუ მტერი, ძველებურად კვლავ ამხანჯლავს,
ო - მს მოვიგებ... მოთმინებით ალბათ ისევ ...
ს - ინაზით და სიფაქიზით სიტყვებს ვხარჯავ,
ი - აც ნაზად ბუჩქებიდან ჩუმად მიცქერს.
ლ - ურჯ ზეციდან შენ გვფარველობ წმინდა ნინო,
ი - ქნებ შენებრ იანუსზეც ქება გვეთქვა...
მისი არ გვწამს... ორპირია არ გვიწყინო,
შენი ხატით „ათინათის" გული ფეთქვას.

# მხატვრული განყოფილება

*გარი ჩაფიძე*

## სიყვარულის მსხვერპლი

*(გაგრძელება)*

**თავი მესამე**

ოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ხათუნას მშობლების დაღუპვა ჯერ კიდევ ბნელით იყო მოსილი, მე და ხათუნამ ინსტიტუტი დავამთავრეთ და იმავე სკოლაში გაგვანაწილეს მასწავლებლად, სადაც საშუალო განათლება მივიღეთ, პირველ ხანებში ძალიან მერიდებოდა ჩემი ყოფილი მასწავლებლების, აბა, როგორ ვყოფილიყავი მათთან მეგობრულად, როცა ამ რამდენიმეწლის წინად ყველანი ჩემი აღმზრდელები იყვნენ? ჩემზე უფრო ხათრიანი ხათუნა გამოდგა, თავის ყოფილ მასწავლებელს დაინახავდა თუ არა, მისალმებას ვერავინ დაასწრებდა და თითქოს რაღაც დანაშაულზე წაესწროთ, თავდახრილი გაწითლდებოდა. ასე ვიყავით რამოდენიმე თვეს, მაგრამ ყველაფერს მივეჩვიეთ, ჩვენი მასწავლებლები ამხანაგობაში ძალზე კეთილშობილნი გამოდგნენ, შეგვატყვეს თუ არა მოკრძალება,

ისევ ჩვეული, პედაგოგიური ტაქტით დაგვიახლოვეს, ჩაგვინერგეს, რომ ჩვენს შორის აღარ იყო ისეთი დიდი ზღვარი, როგორც უწინ და ჩვენც გათამამდით, მაგრამ პატივისცემა, როგორც აღმზრდელისა, რა თქმა უნდა, ძველებურად შემოგვრჩა. სამშაბათი დღე იყო, მეორე გაკვეთილს ვატარებდი მეცხრე კლასში, მოულოდნელად, გაკვეთილზე, ატირებული ხათუნა შემოვარდა, ატირებული ბევრჯერ მინახავს ხათუნა, მაგრამ ასე გაფითრებული კი არა, ვერ გავიგე, რა მოხდა, ათიოდე წუთის წინ ისეთი მხიარული იყო, რომ მეც გადმომედო იმის მხიარულება და ასე უცებ, ნეტავი, რა მოუვიდა, რომ სულს ვერ ითქვამს და სიტყვის თქმას ვერ ახერხებს. – რა მოხდა? – მგონი მეათეჯერ შევეკითხე და ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო: – დედა ყოფილა უკანასკნელ დღეში, საავადმყოფოდან დამირეკეს! მე კიდევ უფრო გამიკვირდა, ხომ ვიცოდი, რომ ხათუნას დედა არ ჰყავდა, მერი დეიდასთვის კი დედა არასოდეს არ დაუძახია, მაგრამ არ შევიმჩნიე და ვუთხარი: – წავიდეთ! ახლავე წავიდეთ! ... მერი დეიდა გარდაცვლილი დაგვხვდა, ხათუნა ცხედარს დაემხო და მე პირველად ვიხილე, ხათუნა კი არა, ადამიანი, რომელიც ასე ცხარედ, ალალი, სპეტაკი ცრემლებით

ამკობდა გამზრდელის ცხედარს. ველარ გავუძელი მისი გულის დამთუთქველ სიტყვებს, ვთხოვე, გარეთ გამომყოლოდა, უხმოდ დამეთანხმა. სახლში წამოვედით, უკან გამოგვყვა სასწრაფო დახმარების ავტომანქანა მერი დეიდას ცხედრით, ხათუნამ ვერ შეძლო ათრთოლებული ხელით კარების საკეტის გაღება და გასაღები მე გამომიწოდა, კარები გავაღე, ოთახში შევედით თუ არა, სიცარიელე ვიგრძენით, ყველაფერი საგანგებოდ დასუფთავებული მომეჩვენა, თითქოს ყველაფერი მერი დეიდას ელოდებოდა, მაგიდაზე წერილი იდო, წერილზე კი გასაღებების აცმა... – წერილი ალბათ მე მეკუთვნის, შემინახე! – მითხრა ხათუნამ და წერილი გასაღებთან ერთად ჯიბეში ჩამიდო. სასწრაფო დახმარების ავტომანქანაც მოვიდა, მერი დეიდას ცხედარი ოთახში შემოასვენეს, ხათუნამ ტირილი ატეხა, დაემხო გვამს და აკანკალდა, ტირილი–ისტერიკად იქცა, კანკალი – კრუნჩხვებად და მდგომარეობიდან ნემსის გაკეთებამდე ვერ გამოვიდა. ექვსდღიანი გლოვის შემდეგ მერი დეიდა ვალერი არაბულის გვერდით დავასაფლავეთ, ვინაიდან მზია არაბულის

გვერდით თავისუფალი ადგილი არ იყო და სხვაგან დასაფლავება კი ხათუნამ არ ჰქნა, – „სამივე ჩემი მშობელია და ერთად უნდა იყოსო“. კვირას დავკრძალეთ მერი მასწავლებელი... და რაღა აღსაწერია ადამიანის დაკრძალვის ცერემონიამლი,

რომელ მწუხარებასაც თითქმის მთელი ქალაქის მოსახლეობა იზიარებდა.

**თავი მეოთხე**

ხათუნამ მერი დეიდას დაკრძალვიდან ორმოცი დღის შემდეგ მომთხოვა წერილი, მეც დაუყოვნებლივ გავუწოდე ამდენი ხნის სათუთად შენახული ბარათი, გასაღები კი მაგიდაზე დავდე. ადრესატმა ბარათი წაიკითხა, შეჩერდა, დაფიქრდა, ისევ თავიდან დაიწყო კითხვა, როცა მთლიანად წაიკითხა, დაფიქრებული სახით მომაჩერდა და მითხრა: – შენ წაიკითხე ეს წერილი? – მე რა უფლებით უნდა წამეკითხა? – ცოტა წყენითაც კი ვუპასუხე, მაგრამ მან, ჩემს წყენას ყურადღება არ მიაქცია და წერილი გამომიწოდა – აჰა, წაიკითხე! უნდობლად ჩამოვართვი ბარათი, ერთი თვალის გადავლებითმ მინდოდა იმის წაკითხვა, მაგრამ იმდენად საინტერესო

აღმოჩნდა, რომ კითხვა განმეორებით დავიწყე, მეტი მონდომებითა და ყურადღებით. ხათუნამ შეამჩნია წერილის, კითხვა თავიდან რომ დავიწყე და მთხოვა, ხმამაღლა წამეკითხა, მეც შევუსრულე თხოვნა: წერილი შეუცდომლად წავიკითხე და ასევე შეუცდომლად, ფრჩხილებისა და სასვენი ნიშნების უცვლელად შემომაქვს ამ ნაწარმოებში: „შვილო, ხათუნა! (მე ყოველთვის გამჩნევდი, „შვილოს“ დაძახება ჩემგან არ გსიამოვნებდა, მაგრამ შენ ცრემლიანი თვალით მაინც მოთმინებით მისმენდი ყოველთვის და ახლაც, ამ უკანასკნელადაც, ყურადღებითა და მოთმინებით მომისმინე, შვილო!) ვამბობ "შვილოს" და არ ვცოდებ, ეს სრული სიმართლე არის, ადამიანი სიკვდილის წინ, აღსარების დროს, არ იტყუება, სანამ სხვა საბუთებსაც წაიკითხავდე ჩვენი დედა–შვილობის დასამტკიცებლად, იმედი მაქვს, მანამდეც დამიჯერებ, შვილო, ყოველთვის მეხვეწებოდი, ჩემი სეიფი გაგეღო, გაინტერესებდა, თუ რას ვინახავდი შიგ, მაპატიე, თუ ამდენხანს ვერ შეგისრულე თხოვნა, სამაგიეროდ, ახლა სეიფის გასაღებს ამ წერილთან ერთად ვტოვებ. ვიცი, გააღებ, შენი თვალით ნახავ და წაიკითხავ მეტად სავალალო ისტორიას, რომელიც არა მარტო შენს ღვიძლ მშობლებს, არამედ შენც გეკუთვნის, შენ პატარა აღარა ხარ, წაიკითხავ და თვითონ განსჯი მტყუანსა და მართალს, თუმცა, ჩემთვის ამას რაღა მნიშვნელობა ექნება, გამამართლებენ თუ გამამტყუნებენ, მე ხომ ცოცხალი აღარ ვიქნები, როცა შენ ყველაფერს გაიგებ? ვამბობ „მნიშვნელობა არა აქვს მეთქი“. მაგრამ ვცოდავ, შენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, იცოდე სიმართლე და პატივი სცე განსვენებული მშობლების ხსოვნას, მინდოდა, შვილო, შენს დაოჯახებას მოვესწრებოდი, მაგრამ აღარ შემიძლია ლოდინი, მე ისედაც

დიდხანს ვიყავი შენს გვერდით, რომელიც არ მეკუთვნოდა, ახლა, თითქმის, გზაზე დაყენებულს გტოვებ, შენ გეყოფა ჩემი გულის დედობრივი სითბო და თანდათან გაიგებ, თუ რა ძალა აქვს მას, მკვდრად ნუ მიგულებ, მე ყოველთვის მხსნელად

გადაგეფარები, შვილო! შენთვის ღამე არასოდეს არ იქნება და თუ ღამეში შენიშნო ფერმკრთალი სინათლე, ეს მე ვიქნები, შენთვის სანთლად ანთებული. დავიწვები, ლამპრად ვიქცევი, რომ უკუნეთი გაგინათო და შენ უვნებელი იყო. რა ვქნა, რომ

ცოტაოდენ გული გატკინე მშობლების დაკარგვით, აბა, ნახე ჩემი გული... ამ გულს სეიფში ნახავ! გაიგებ მტყუანს და მართალს, შენ თვითონ აწონი სიმართლის სასწორზე ჩვენს სულებს, და ყოველგვარი ურთიერთმიდგომის გარეშე, განსჯი,

ვინ არის ბოროტმოქმედი. მე კი იმ იმედით დამშვიდებული, რომ შენ გზაზე დაყენებულს გტოვებ, იმ ქვეყანაში მივდივარ, სადაც შენი მამა წავიდა (მე განგებ არ დავატოვებინე ადგილი მესაფლავეს „დედაშენის:“ გვერდით, რომ მის გვერდით არავის დავემარხე), დამმარხე, შვილო მამაშენის გვერდით, რომ ახლა მაინც ვიყო მასთან და სანუკვარი ძილის სასუფეველში მყუდროება ვიგრძნო... მე სწრაფად მომქმედი საწამლავი დავლიე, ვიცი ნახევარ საათში მოვკვდები, მაგრამ ისე კი არ წავალ, რომ ლოცვა—კურთხევა არ დაგიტოვო: – იყავ დალოცვილი, ყველა ის ფიქრები შეგსრულებოდეს, რომელიც დედის გულმა დაგიმოწმოს, შვილო! შენთვის აღზრდა არ დამიკლია და შენც ისე მოიქეცი ცხოვრებაში, როგორც ხარ აღზრდილი, მე მწამს ყველა იამაყებსშენი აღზრდით, მჯერა, დღეს კარგი მოქალაქე ხარ და ხვალ სამშობლოს გამოსადეგი ადამიანი იქნები, ქართველ ადამიანს არასდროს დავიწყებია სამშობლო. მშობლები და ღმერთი! ეს სამება იხსნიდა ყოველთვის მათ გასაჭირისგან, ნურც შენ დაჰკარგავ ძველ გზას, მიჰყევი წინაპართა სიბრძნეს. ცხოვრება შეადგინე, მარტოობას ნუ მისცემ თავს, მართალია ოჯახის შექმნა ზოგისათვის თვალის დავსებაა და ზოგისათვის თვალის ახელა, მაგრამ ამან კი არ უნდა შეგაშინოს, ცხოვრება ყოველთვის მათდა სასიკეთოდ ბრუნავს, ვისაც მფარველობს! შეუღლება თუ მყნობაა კვირტისა, ფესვი უნდა შეარჩიო, რომელზედაც ამყნობ, შემდეგ უნდა შეფუთო და მოუარო, თორემ ყველა როდი იხარებს ნამყენი... ადამიანები უნაკლონი არ არიან, მაგრამ მაინც სიამოვნებთ სხვების ნაკლოვანებათა ჩხრეკვა, ამიტომ ეცადე, დაფარო საკუთარი ნაკლი ვინემ ჩხრიკო სხვისი და ჭორიკანას სახელი შეგერქვას. სიკვდილის წინ თავის ტვინი ისე მუშაობს, როგორც არასდროს, კიდევ მინდა შენთან ვისაუბრო, მაგრამ უკვე ძალა

წამერთვა, შვილო! და კიდევ ერთჯერ გთხოვ პატიებას და თუ რამ მიწყენინებია შენთვის. შენი ღვიძლი დედა მერი!“ წერილზე ბოლოში არეული ხელით იყო მიწერილი. შ. — შვილო ხათუნა, მე თვითონ დავრეკე სასწრაფო დახმარებისათვის.

ძნელი ყოფილა სიკვდილი!..

**თავი მეხუთე**

წერილს ვკითხულობდი და ხათუნას ლაპა–ლუპით ჩამოდიოდა ცრემლები, რომელიც ჩემთვისაც გადამდები გახდა და წერილს ვარიდებდი თვალს, რომ ცრემლით არ დამესვარა, კითხვა რომ დავამთავრე, ხათუნამ ცხვირსახოცით დამალა სახე, არ ვიცი, რატომ შერცხვა ცრემლების, მეც სათქმელი ვერაფერი ვიპოვე და ასე ვიყავით რამოდენიმე წუთს გაჩუმებული, ბოლოს, ისევ ხათუნამ გამოაჩინა ცრემლებშეუმშრალებელი, ოდნავ დამშვიდებული სახე, გასაღები აიღო და სეიფთან

მივიდა, გაჩერდა, დაფიქრდა, შემდეგ მე შემომხედა, ჩემი დანახვით თითქოს იმედი მიეცა და გასაღები ისე ფრთხილად მოარგო საკეტს, თითქოს, ახლაც დაუკითხავად აღებდა მთელი ახალგაზრდობის დროს საოცნებოდ გადაქცეულ სეიფს, საკეტმა

სამჯერ გაიტკაცუნა და ძლივს გაიღო სეიფის მძიმე კარი. პირველი თაროდან დაიწყო ხათუნამ: – პირველად ჩვილი ბავშვის უხმარი ტანსაცმელი და საცვლები გადმოიღო, შემდეგ პატარა ლეიბი და საბანი, რომელიც აკვნის არტახებით იყო

შეკრული, ამ ნივთებს ისეთი სასიამოვნო სუნი ასდიოდა, რომ აშკარად ეტყობოდა, რაღაც სურნელოვანი ხსნარი უნდა ჰქონოდა ნაპკურები, თუმცა ყველაფერი ძველებური და ღარიბული იყო, მაგრამ ძალიან მონდომებით შეკერილი და შენახული ჩანდა, უხმოდ დავათვალიერეთ ყოველივე და ნივთები ხათუნამ

იმავე თაროზე ისევ ისე მოათავსა, როგორც ეწყო, მეორე თაროს არ შევეხებივართ, თვალნათლივ ჩანდა, რომ მასზე მხოლოდ სამი ცალი ბოთლი იდგა, რომლებშიც რაღაც გამჭვირვალე სითხე ესხა. ხათუნამ გასაღები მოიმარჯვა და სეიფის საიდუმლო უჯრა გააღო. უჯრიდან პირველად, სქელი, ხელით აკინძული

რვეული გადმოიღო, რომელსაც ყდა მთლად შემოცვეთოდა, მაგრამ წარწერა მაინც გარკვევით აჩნდა.

**ჩემი დღიური**
**„მერი“**

ხათუნა ფეხის წვერებზე დადგა, უჯრაში შეიხედა და შემდეგ ღრმად შეჰყო ხელი, გამოუსვა და ოქროს ყელსაბამი გამოიღო, მასზე ოქროსივე მრგვალი კულონი ეკიდა, როელ- შიც ვალერი არაბულის ახალგაზრდობის სურათი იყო ჩასმული, ხათუნა სურათს დააკვირდა და ძლივს გასაგონად თქვა: – „ჩემი მამა“. ყელსაბამზე, კულონთან ერთად ჩამოკიდებული ინგლისური საიდუმლო საკეტის უბრალო გასაღები დაჟანგული იყო, რაც იმას მოწმობდა, რომ ხმარებაში არ უნდა ყოფილიყო. ხათუნამ ყელსაბამი, კულონთან და გასაღებთან ერთად, სეიფში შეინახა და კარები გასაღების გარეშე მიხურა, შემდეგ რვეული აიღო და სავარძელში ჩაჯდა, მეც იმის პირდაპირ მოვიკალათე სავარძელში, ისე რომ ნებართვაც არ მითხოვია. რვეული არ გადაუშლია, მე გამომიწოდა და მითხრა: – მე არ შემიძლია, შენ წაიკითხე, მხოლოდ ცოტა ხმამაღლა და ყურადღება არ მომაქციო, როცა მე ვტირივარ, შენც ცრემლებიც ნუ გევსება თვალები! რვეული უხმოდ ჩამოვართვი და ყდა გადავშალე, აქ მხოლოდ ბრჭყალებში ჩასმული „მერი“ ეწერა. კიდევ ერთი ფურცელიც გადავშალე და დღიურიც დაიწყო. თავი მეექვსე – მე გუშინ დავამთავრე საშუალო სკოლა, საღამოს საზეიმო სუფრაც გამიშალეს მშობლებმა, აი. ისეთი, როგორიც შეეფერება ომის ქარცეცხლიან დღეს, ღარიბული, დარდიანი და უმხიარულო, ჩემი მამა მაგიდასთან არ გამოჩენილა, მითხრა – „შენი ამხანაგების მერიდება, ყველას მშობლები ფრონტზეა, შეიძლება იფიქრონ, თავს არიდებსო სამშობლოს დაცვას, ეს სწორი არ იქნება, შვილო! მე აქ მეტად ვჭირდები სამშობლოს, მაგრამ ამას ყველა ვერ გაიგებს და მე რომ ეჭვის თვალით არავინ შემომხედოს, მალე წავალ წინა ხაზზე, სამშობლოს დასაცავად!“ ასე იყო, თუ ისე, დამთავრდა ჩემი საზეიმო ცერემონიალი და დღეიდან, გადაწყვიტე ვწერო დღიური, მე ხომ ახალ ცხოვრებას

ვიწყებ? მხოლოდ ამ ფურცლებს მინდა გავანდო

ყოველივე, ჩემი საიდუმლოებანი, (თუ რამ საიდუმლო მოხდება ჩემს ცხოვრებაში), რვეული უენოა და ვერ აალაპარაკებს ვერც სიყვარული და ვერც ღვინო, თუ ბოროტი ადამიანის თვალი არ მოხვდა და შემდეგ ბოროტი ენით არ ამეტყველდა, ბოროტი ადამიანისაგან კი თვითონ მე ვეცდები დავიცვა ჩემი საიდუმლოებანი, ჩემი ნაწერი, ჩემი ყოველდღიური ბორგვა სულისა. – ვთქვი: – „ვეცდები, ჩემი დღიური დავიცვა ბოროტი ადამიანისაგან“ – მაგრამ შეიძლება თქვენ კეთილი ადამიანი ბრძანდებით, რომელსაც ჩემი დღიურის წაკითხვა გადაგიწყვეტიათ, ეს მაინც ბოროტება მგონია, რომ შეუკითხავად ხელს აფათურებთ ჩემს სულში და იპარავთ „ყველაზე დიდ საგანძურს „საიდუმლოებას“, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, „კეთილო“ ადამიანო, დახუროთ და თავის ადგილზე დადოთ რვეული! „მერი“ ბოლო სტრიქონის წაკითხვისას ხელები ამიკანკალდა და ჩემდა უნებლიედ დავხურე რვეული, ხათუნას არ გაჰკვირებია ასეთი მოქცევა, გამიღიმა და მითხრა: – განაგრძე, კითხვა, მე ხომ უფლებამოსილი ვარ, რომ წავიკითხო დღიური? ჩემ უფლებებს შენ გითმობ, მხოლოდ იცოდე, აქ წაკითხული ყოველივე საიდუმლოდ შეინახე, „საიდუმლოს სანამ გატეხავდე, შენი პატიმარია, გატეხავ და შენ ხარ მისი პატიმარი“, გახსოვდეს ეს! სიტყვის თქმა ვერ მოვახერხე და უხერხულობისაგან თავის დასაღწევად, რვეული გადავმალე, დავფიქრდი, როგორ მოვქცეულიყავი, და გადაწყვეტილებაც მალე მივიღე, კითხვა გამეგრძელებია.

1942 წელი, 22 ივნისი, (ორშაბათი)

– დილით გვიან ავდექი, მამა ჩაფიქრებული იჯდა მისაღებ ოთახში და იმდენი თამბაქოს კვამლი დაეგროვებია, რომ შევისუნთქე თუ არა ოთახის ჰაერი, იმ წუთში საშინელი ხველა ამიტყდა. რაღაც მოუსვენრობა შევატყე მშობლებს, მათი უძილო

თვალები რაღაც უსიამოვნებას მიქადდა, მამაჩემს კალთაში ჩავუჯექი და თვალებში ჩავხედე, რომ ამომეკითხა ოჯახის საიდუმლოებანი, დამენახა უსიამოვნების მიზეზი, მაგრამ მამა განზრახვას მიმიხვდა, ნაძალადევი ღიმილით დაფარა სახე, თვალები გააბრწყინა და შუბლზე მაკოცა.

– ცუდი ხომ არაფერი მომხდარა, მამიკო?

– კიო, — თავი დამიქნია.

– რა მოხდა? – გავუმეორე კითხვა.

– ომი დაიწყო!

– ომი ერთი წელიწადია დაიწყო და შენ ახლა გაიგე?

– გავეხუმრე.

– ეგეც საქმეა, ერთი წელიწადია, დაიწყო და მე აქავე

ვარ, სამშობლო გასაჭირშია, დაცვა ესაჭიროება, სამშობლომ ხომ უნდა იარსებოს და შენ იცოცხლო! ადამიანებს უბედურება ბუნების წყალობით კი არ ატყდებათ თავს, არამედ საკუთარი შეცდომის შედეგად, ჭკვიანი ადამიანი უბედურებას თავს არ დაიტეხს, მე დავაგვიანე, სამშობლოს აქამდის უნდა მივშველებოდი, ყველა რომ ჩემსავით მოქცეულიყო, ახლა ომი დამთავრებული იქნებოდა და სამშობლო დაღუპული, სინდისის ქენჯნას სიკვდილი სჯობია, მე სინდისის ქეჯნას განვიცდი, შვილო!

– რატომ ამბობ ასე, მამიკო, შენ რამდენჯერ მიაკითხე და არ წაგიყვანეს. შენ აქ ესაჭიროებოდი ხალხს.

– მართალია, ხალხს აქ ვესაჭიროებოდი სამშობლოს კი იქ!

– რას ამბობ, მამიკო? განა ხალხი სამშობლო არ არის?

როგორ სამშობლო მარტო მიწაა?

– ვინც ზურგშია, ის სამშობლოს ხალხი არ არის და

ჩემი აზრით, მათი დახმარება შეცდომაა, მედიცინის მუშაკები ფრონტზეა საჭირო, ხომ შეიძლება გმირები დაიღუპონ უპატრონოდ, უექიმოდ? აქამდის შენი მარტოდ დატოვება გვიჭირდა, ახლა დიდი ხარ, საშუალო განათლება გაქვს და იმედია, საკუთარ თავს მოუვლი ჩვენს დაბრუნებამდის!

– როგორ, „ჩვენს დაბრუნებამდის“ დედაც მოდის?

– დედა ჩემზე უკეთესი ქირურგია, სწორედ იმისი ხელი უფრო საჭიროა სამხედრო ჰოსპიტალში.

– მაშინ მეც წამოვალ, მე თუ ექიმი არა ვარ, იქ მედიცინის დაც ხომ იქნება საჭირო?

– არა, შვილო, შენ ჯერ პატარა ხარ, შენ ჯერ არ უნდა ნახო ადამიანის დაღვრილი სისხლი, ესეც რომ არ იყოს, შენ ოჯახის სიცოცხლის გამგრძელებელი ხარ და შენი დაღუპვა არ შეიძლება! შენ ხომ ბავშვობიდანვე გიყვარს ცირკი, დირექტორი ჩემი კარგი მეგობარია, გუშინ მოველაპარაკე, თანხმობა განმიცხადა. უნდა მასთან დაგტოვო, ყურადღების ქვეშ ეყოლები, კიდევ უფრო შეეჩვევი საქანელაზე ტრიალს და ვინ იცის, იქნებ ცირკის დამსახურებული ოსტატიც კი გახდე.

– რაო ცირკის დირექტორმა რა გითხრა?

– დამთანხმდა, გაეხარდა კიდეც, მას ნახული ჰქონია კულტურის სასახლეში, შენს მიერ შესრულებული ნომრები, და დიდად მოწონებია... აგვისტოში უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარე შვილო მისაღები გამოცდები! ცოტა გაიჭირვე, ისწავლე, ვინ იცის როგორი დრო დაგვიდგება, უსწავლელი ადამიანი ფუქსავატია და თავქარიანობა აიძულებს, დაუყოვნებლივ დაეთანხმოს სხვების ყოველგვარ აზრს, თუგინდ მცდარიც იყოს იგი, ვინაიდან უსწავლელობის სიბრმავით არ შეუძლია დაინახოს ცუდი და კარგი... აქამდის ასე მეგონა, მამიკო ხუმრობდა, მაგრამ მის სერიოზულ ლაპარაკში, როცა ხუმრობა ვერ აღმოვაჩინე, კისერზე მოვეხვიე და ავქვითინდი, რამდენ ხანს ვიტირე, მეც არ ვიცი, ჩემს დაწყნარებას საშველი არ დაადგა, საღამოს ტემპერატურამ ამიწია, ჩემი მშობლები ხან მკვდრები, ხან კიდევ დაჭრილები მელანდებოდნენ, მე, თურმე, სინამდვილეში, ვიგლეჯდი თმას და სახეს ვიხოკავდი, ჩემი მშობლები ექიმები არიან, მიშველეს, გამიკეთეს დასაწყნარებელი საშუალებები და დილით, წუხანდელთან შედარებით, კარგად ვგრძნობდითავს.

1942 წელი, 24 ივნისი, (ოთხშაბათი)

გუშინ ცირკში მიმიყვანეს მშობლებმა, დირექტორმა მითხრა, სხვადასხვა ნომრები შემესრულებინა, კერძოდ, ბაგირზე ცოცვა და ცეკვა, მიუხედავად იმისა, რომ ცუდად ვარ, მაინც დავიმსახურე მოწონება და სამუშაოზედაც უყოყმანოდ მიმიღეს. წუხელ მთელ ოჯახს არ გვეძინა, მშობლებმა ფრონტზე წასვლის უწყება მიიღეს და წასასვლელად ემზადებიან, მე ადგილს ვერ ვპოულობ, ცუდს მიგრძნობს გული, ერთი გადაწყვეტა გადავწყვიტე, არ დავშორდე მშობლებს, მაგრამ წყენინებას ვერიდები და უყოყმანოდ ვემორჩილები მათ ბრძანებას, მშობლები ცუდ რჩევას არ მომცემენ და მათი თხოვნის თუ ბრძანების შესრულება, ჩემს ყველა ღირსეულ ჩვევებზე უფრო სათაყვანებელ ჩვევად მიმაჩნია, მე არასოდეს არ მიღალატნია მშობლების რჩევისათვის და ხშირად ქებაც დამიმსახურებია, კეთილი საქმის გამო. დღეს თერთმეტ საათზე გავაცილე მშობლები, რკინიგზის სადგურიდან, მინდოდა ცრემლი არ გამეტანებია და რაც შემეძლო, თავს ვიკავებდი, მაგრამ როდესაც გა-

მოვემშვიდობე, მხოლოდ ერთი საათის შემდეგ დამიბრუნდა გრძნობა, რკინიგზის ჯანპუნქტში ტახტზე წამოწოლილს. ასე დავრჩი დღეიდან მარტოდმარტო და ვინ იცის, რამდენ ხანს? მეგობარი მაინც მყავდეს ვინმე, რომ გავუზიარო ჩემი გულის სევდა, მაგრამ ვის ნახავ ახლა ისეთს, რომ არაფერი აწუხებდეს? თითქმის ყველა ჩემს დღეშია, ყველა გულდათუთქული, სევდიანი და სანუგეშო. ეს არის ერთადერთი ჩემი მეგობარი და ნუგეში, ჩემი რვეული, მას ვანდობ ყველაფერს, რადგან ადამიანის ბუნება ყოფილა ასეთი, გულში ვერ დაიტევს ვერც ნაღველს, ვერც სიხარულს, ვიღაცას თუ არ გაუზიარა. შეზღუდული, მაგრამ ლამაზად დაწერილი და საღად მოაზროვნე დღიური უფრო მიმზიდველია, ვიდრე ფართო, მაგრამ დახლართული, გულჩათხრობილი და გულღვარძლიანი მეგობარი. გამოცნობით კი, ვის გამოიცნობ, ხანდახან საკუთარ თავსაც ვერ ცნობს ადამიანი.

1942 წელი, 3 ივლისი, (პარასკევი)

კი, მართალია, ხდება ჩემს ცხოვრებაში ისეთი რამ, ყოველდღე ვწერო დღიური, მაგრამ მეშინია ერთფეროვნებისა და განმეორებითი დღეების. როგორც ჩემთვის, ასევე სხვისთვისაც მოსაწყენი იქნება, ამიტომ გადავწყვიტე, ერთფეროვნებას თავი დავაღწიო და დღიურში მხოლოდ ღირსშესანიშნავი თარიღები დავწერო.

დღეს საბუთები შევიტანე პედაგოგიურ ინსტიტუტში და მისაღები გამოცდებისათვის მზადება დავიწყე. მეტი არაფერი არ მინდა, თუ მშობლების თხოვნა შევასრულე და სტუდენტ გავხდი, ოჰ! რას გაიხარებენ, მეტყვიან – „ყოჩაღ, გიმარჯვნიაო“! – და ეს ორი სიტყვა, რამხელა ალერსიანი, თბილი და სასიხარულო იქნება, – ალბათ დღიურითაც ვერ აღვწერ. სიხარული ადამიანის სულის დამამშვიდებელი უებარი წამალია, სიმშვიდეში კი, სული ხარბად ისრუტავს იდუმალ სიტკბოს, ამიტომ სიხარულით სულდამშვიდებულები, დროებით ვივიწყებთ ყველაზე დიდ ზრახვასა და უბედურებებსაც კი, მეც მინდა დავივიწყო მშობლების ყოველგვარი უბედურება ჩემს მიერ მინიჭებული სიხარულით. ... ცირკში ყოველდღიურ წარმატებებს ვაღწევ, ჩემს არენაზე გამოჩენას ტაშის გრიალით ხვდება მაყურებელი, ვარჯიშმა თავისი გაიტანა და მივაღწიე მას, რითაც განცვიფრებაში მომყავს მაყურებელი. ბავშვობიდანვე მიყვარს ცირკი და ახლა კიდევ უფრო გაგიჟებით, სიყვარული ერთი მაქვს, ცირკის სიყვარული, ოცნება კი ორი: მშობლების დაბრუნება და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარება.

1942 წელი, 28 ივლისი, (სამშაბათი)

თვეზე მეტია მშობლების წერილის მოლოდინში ნერვები დამაწყდა, დღეს ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მივიღე წერილები,საჩქაროდ გავხსენი სამკუთხედი ბარათები და შევიტყე ყოველივე მათი ჯანმრთელობისა და საქმიანობის შესახებ, ორივენი ერთად მუშაობენ სამხედრო ჰოსპიტალში. ვკითხულობ დედის წერილს და მთელს ტანში სითბო ჩამეღვარა, ის, ჩვეული ალერსით, ბრძნულად მესაუბრება: – „

შვილო, მერი! ჩემო იმედო, ჩემო ერთადერთო, ჩემო სიყვარულო და ნუგეშო, ვიბრძვი, შენი აჩრდილი მიმიძღვის წინ და ტყვია არ მეკარება, შენი იმედით ცოცხალი დავბრუნდები, გამარჯვებული... ოჯახში შენა ხარ ქალიცა და კაციც, შენა ხარ საკუთარი თავის მრჩეველიც, ვიცი, უმაღლეს სასწავლებელში შეიტანდი საბუთებს, იცოდე, შვილო, სწავლა ტვინის სალესელია, მაგრამ კი არ იცვითება, პირიქით, უსწავლელობისა და უხმარობისაგან იჟანგება. შენ არ იფიქრო, რომ მარტო ხარ, აქედანაც გეყოფა ჩემი სითბო, დედის გულმა მანძილი არ იცის, შვილო! ყოველთვის ვგრძნობ შენს სიახლოვეს, თვალწინ მიდგეხარ, გათბობ და გეალერსები...“ მერამდენედ წავიკითხე დედის წერილი, სათვალავი ამერია, მართლაც, მათბობს და მეალერსება, ხან ვტირი, ხან ვიცინი და საკუთარ თავს იმდენად ვგავარ ამ წუთებში, რამდენადაც სხვებს. მამის წერილი მკაცრი და დამრიგებლური მეჩვენა: – „შვილო, მერი, გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ, ხალხს არ ათქმევინო, „მშობლების გარეშე იზრდებაო“, თავი არ მოგვჭრა, ჩვენ ვიბრძვით და კიდეც გავიმარჯვებთ, ჩვენი თავდაცვა სამართლიანია და ვიბრძვი ისე, როგორც შეჰფერის კომუნისტს, ადამიანს, შენ ფრონტზე არა ხარ, მაგრამ შენი ცხოვრებაც ბრძოლაა და ვალდებული ხარ, გაიმარჯვო, თუ გაიმარჯვებ, ისწავლი და იქნები პატიოსანი მოქალაქე, ხალხი ღირსებისთვის გცემს პატივს, მაწანწალები კი შეწყალებისთვის, მე მგონია, ხალხის პატივისცემა სჯობია და მათი ღირსების დაცვა, ვინემ მაწანწალას ლუკმა—პური გადაუგდო, ჰო, თუ გაგიჭირდეს, ყველაფერი გაყიდე, მხოლოდ ცოცხალი დაგვხვდი, შვილო!..“ გული ვიჯერე მშობლების წერილის კითხვით, მათთან საუბრით, დავტკბი მათი სიახლოვით და დაუყოვნებლივ დავწერე პასუხი, ყოველგვარ წარმატებასთან ერთად მივწერე, რომ პედაგოგიურ ინსტიტუტში შევიტანე საბუთები, თუმცა მეტირა უნდა დამეწერა, თითქმის სახლიდან არ გამოვდივარ, დაზეპირებული მაქვს გზა სახლიდან ცირკამდის და ცირკიდან სახლამდის, თავისუფალ დროს კი მეცადინეობას ვანდომებ, ესაა და ეს, ჩემი ახალგაზრდული ცხოვრება, სეირნობა და კეკლუცობა ჩვენს ქალაქში დიდი ხანია, შეწყდა. თალხებჩაცმული ბავშვებისა და მოხუცების რიცხვი გაიზარდა, აღარ

ეკეკლუცება ხალხს.

***გიორგი მაკაველი***

## ზი

[თ.უ. -ს]

ცა რომ მოქუფრული ყოფილიყო, გონებაში აუცილებლად გამიელვებდა მამა გორიოს სიკვდილი, მაგრამ ის დილა მზიანი და ერთი უცნაური მოვლენით დამშვენებული აღმოჩნდა.

როგორც ყოველთვის, ჩემი ულამაზესი და ასაკთან შეუფერებელი ქალურობის მატარებელი მეუღლის კოცნა დილა მშვიდობისას მისურვებდა ხოლმე, ხოლო მისი ნარნარა, საუცხოო მანერების მქონე თეთრი სხეული სამზარეულოში, გაზქურასთან მელოდა და ჩემთვის მოხარშულ ყავას არაბული ცეკვის ერთ-ერთი მოძრაობით უკვე მაგიდასთან საცვლების ამარა მჯდომი მეუღლისკენ შემოატრიალებდა და ფრთხილად დგამდა ხოლმე, რადგან იცოდა, რომ მძულდა ყავის ან სხვა ნებისმიერი სასმელის ფინჯანიდან ლამბაქზე გადმოსხმული წვეთები.

ცა რომ მოქუფრული ყოფილიყო, გონებაში აუცილებლად გამიელვებდა მამა გორიოს სიკვდილი. ჩემი

ულამაზესი და ასაკთან შეუფერებელი ქალურობის მატარებელი მეუღლის კოცნას, რომელიც დილა მშვიდობისას მისურვებდა, თვალის დახუჭვით და სხეულის შეგნებული მოდუნებით აღარ შევიფერებდი, თვალს გავახელდი, მჭიდროდ მივიკრავდი მის თეთრ, შიშველ სხეულს ტანზე და ვეტყოდი: იცი, ცისფერთვალებავ, მამა გორიო შვილებმა მოკლეს!

იმ დღეს კი, ყველაფერი პირიქით მოხდა.

მე აღარც მეუღლე მელოდა სამზარეულოში და აღარც ფითქინა ლამბაქები მაქეზებდნენ სამყაროს სრულყოფილებისკენ, მიზერული სიხარულის აღტკინებული შეგრძნებისკენ... ჩემი თეთრკანიანი ცოლი თვალის დახამხამებაში გაჰყვა ალისფერი სამოსით შემოსილ სიკვდილს. ჩემი გადაღლილი ცხვირსახოცი კი აგრესიულად მწმენდდა ცივ, აქამდე შეუგრძნობელ, შიშნარევ ცრემლებს!

იმ დღეს მზე ზენიტში იმყოფებოდა.

იმ დღის სიცხემ პირველად გამახსენა ჩვენი შეხვედრა უკიდეგანო უდაბნოში...

მკვდარი კი არ მეცოდებოდა, მის გვამთან დამხობილი საკუთარი თავის სიყვარული მტანჯავდა, თავის სიყვარული, რომელიც მხოლოდ მისმა საუცხოო და ვნებიანმა გამოხედვამ მასწავლა. ახლა კი მის ცივ, ჩემი შეცდომებით დაფლეთილ ლეშთან უგონოდ გდია ჩემი პატივმოყვარეობა, სიამაყე... გდია და ელის როდის გაასვენებენ მასთან ერთად, როდის ჩაფლავენ ხავერდივით რბილ მიწაში, რომლის ზედაპირიც სავსე იქნება ათასგვარი უჯიშო ბარდებით, რომელთა შორისაც სხვისთვის შეუმჩნევლად ამოყოფს თავს იასამნის ახალგაზრდა ყლორტი... საკუთარი თავის სიყვარული და შიში იმ ქვეყნისადმი.

- ამ შუაღამით ეზოში რას აკეთებ, შვილო?

- არაფერს დედა... კატას ვესაუბრები... სიყვარულზე.

- ეს კატა საიდან?

- არ ვიცი. თავისით მოვიდა წელან... მუხლებზე მომიქიცინა და...

გაგუდული, სამარისფერი კატა ეზოს იქით მოვისროლე, სიგარეტს ბოლო ნაფაზი დავარტყი და სახლში შევტრიალდი.

დედაჩემს მერვე წელია შავები აცვია... მერვე წელია დედაჩემი საკუთარ თავზე მეტად მიყვარს! რვა წელია ჩემი მუნჯი შვილი ერთმიმიკადაჭერილი ეთამაშება შავოსანის დამჭკნარ ხელებში ციბრუტივით მოტრიალე საქსოვ ჩხირებს და დროდადრო უცნაური, უხმო კვნესით ამქვეყნად აბრუნებს ოქროსფერ უდაბნოში გადაკარგულ ჩემს შეშლილ გონებას.

მერვე წელია, რაც მოქუფრული ცა არ მინახავს და არც მამა გორიოს სიკვდილის გამო მიტირია დე ბალზაკივით! რვა წელი გავიდა... კარადიდან ყოველ ღამე მესმის ცისფერთვალებას საყვარელი შავი ჩალმის ჩურჩული, ის ისევ სუნთქავს!

ოაზისის ვარსკვლავივით კიაფობენ ცაზე ჩემი იმედები. მათკენ მიმავალ, ისედაც დაუსრულებელ გზას, კიდევ უფრო მიუწვდომელს ხდის ჩემს წინააღმდეგ განწყობილი, ყავისფერი ნაწილაკებით შეკოწიწებული ქვიშის ზვირთები. დროდადრო ჩამოვხტები ხოლმე ჩემი ზანტი მეგზურიდან ძირს, თვალებზე ხელაფარებული გავცქერი ხოლმე უკან ჩამორჩენილ, ჩემი მეგობარი აქლემის ნაკვალევს და ვფიქრობ, ღირდა კი ამ უდედმამო უდაბნოში იმედების ძებნა. უდაბნოში, რომელსაც არც დაბადების და არც გარდაცვალების თარიღი არ გააჩნია. მერე ისევ შემოვახტები ხოლმე ნაირფერი ფარჩით შეკაზმულ აქლემს, ზენიტში მყოფ მზეს აზიური ქოლგის ქვეშ ვემალები და კვლავ კუზიანს ვემუსაიფები.

არადა, დანამდვილებით ვიცი, გუმანიც გამალებით მკარნახობს, რომ სადღაც შორს, მეწამულისფრად შეღებილ ცისქვეშეთში განმარტოებით დგას კვლავ მელის ჩემი იმედი, არაბული ნაქსოვით შემოსილი, შავი ჩალმითა და სახვევით სახედამალული მეუდაბნოვე ქალი, რომელიც კვლავ მიწილადებს იდუმალებას!

***ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი***

## უფლისწული კურეში

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქვეყანა, მას საქართველო ერქვა... ამ ამბავს იმიტომ ვიწყებ ზღაპრის სტილში, რომ ზუსტად არ ვიცი ის დრო, როცა ეს ამბავი მოხდა.

ამ ქვეყნის მეფეს შეეძინა ქალიშვილი, რომელსაც მზისდარა დაარქვეს. იზრდებოდა ქალიშვილი და ყოველდღიურად უფრო და უფრო მშვენდებოდა. მისი სილამაზის ამბავმა მეზობელ ქვეყნებამდეც მიაღწია. ერთ-ერთი სახელმწიფოს მეფე ესტუმრა საქართველოს მეფეს და სთხოვა: ჩემი ერთადერთი ვაჟისათვის მინდა შენი ქალიშვილი, ყველამ იცის, როგორი მდიდარი და ძლიერია ჩვენი ქვეყანა. ჩვენი დანათესავებით კი ძლიერი მოყვარე გეყოლებათო.

ძალიან გაუხარდა საქართველოს მეფეს, რადგან ხშირად მისი ქვეყნის აოხრება სწორედ ამ ძლიერი ქვეყნებიდან ხდებოდა.

შეთანხმდნენ, დანიშნეს ქორწილის დღე და უზარმაზარმა ამალამ დიდი ზარ-ზეიმის შემდეგ პატარძალი ირანში წაიყვანა.

ირანის შაჰის ტახტზე ქართველი დედოფლის გამოჩენა ბევრი იქაური მოხელისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან ყველას სურდა, ტახტს თვითონ დაპატრონებოდა.

დედოფალი მალე დაორსულდა, მერე იმშობიარა და ძალიან ლამაზი, ჯანმრთელი ბიჭი გააჩინა. ბიჭს კურეში დაარქვეს. შაჰი ძალიან გახარებული იყო.

ამ დროს ირანს თავს დაესხა მეზობელი ქვეყანა. ამ ბრძოლებში მართალია ირანმა გაიმარჯვა, მაგრამ ახალგაზრდა შაჰი ბრძოლის ველზე დაიღუპა. დიდმა შაჰმა ვერ გადაიტანა ეს ამბავი და მალე ისიც გარდაიცვალა.

დამწუხრებულ და დასუსტებულ დედოფალს უფრო ბევრი მტერი გამოუჩნდა. მას ძალიან ეშინოდა მათ ბავშვისათვის რაიმე ზიანი არ მიეყენებინათ, ამიტომ საქართველოდან გამოყოლილ თავის ძიძას სთხოვა, ბავშვი გადაემალა.

დედოფალს მძიმე დღეები დაუდგა. მან ვერ აიტანა ამდენი მწუხარება და მალე გამოესალმა წუთისოფელს. ასე დარჩა მისი პირმშო — პატარა კურეში მთაში, ერთი მეცხვარის ოჯახში.

უფლისწული ლაღად იზრდებოდა მთის ბუნებაში. ერთ დღეს ბიძამისი, რომელიც ახალგაზრდა იყო და უკვე შაჰის ტახტი ეკავა, სწორედ ამ ადგილებში გაემგზავრა სანადიროდ და ერთ სოფელში, ბავშვებ-

თან მოთამაშე პატარა კურეში რომ დაინახა, ძალიან მოეწონა. რაკი შვილი არ ჰყავდა, გადაწყვიტა, რომ ეს ულამაზესი ბავშვი მემკვიდრედ გაეზარდა. გაუხარდა კურეშის გამზრდელს, რომ ყმაწვილი თავის ოჯახს დაუბრუნდა, მაგრამ სიმართლეს ვერავის უმხელდა. სამეფო კარზე ბავშვს ისე ზრდიდნენ, როგორც შაჰის შვილს ეკადრებოდა. შაჰს არ მოეწონა სახელი კურეში და იფიქრა სხვა სახელს დავარქმევო, მაგრამ ბავშვმა სთხოვა ამ სახელს ნუ შემიცვლი, მე ძალიან მომწონს და თქვენის ნებართვით ვეცდები არ შეგარცხვინოო. ის კი არავინ იცოდა, რომ მისმა ქართველმა დედამ ეს სახელი თავისი სამშობლოს სიყვარულით შეარქვა. კურა ხომ მისი ქვეყნის ყველაზე დიდი მდინარე იყო და ბავშვის სახელიც აქედან იყო წამომდგარი — კურა-კურეში. "კურად" მდინარე მტკვარს პირველად ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. 64-63 — ახ. წ. ალ. 23-24) მოიხსენიებს. მდინარეს ის "კუროს" უწოდებს და თან შენიშნავს, რომ წინათ მდინარეს "კოროსს" ეძახდნენო.

ერთი სიტყვით, ირანის ყველაზე ძლიერი შაჰის შაჰ-კურეშის დროს უფრო აყვავდა და გაძლიერდა ეს ქვეყანა. მან ბევრი ქვეყანა დაიპყრო და ყველა იმას უკიჟინებდა, რომ საქართველოც დაეპყრო. მაგრამ მას სისხლის შინაგანი ყივილი არ აძლევდა ამის უფლებას და საქართველოსთან კეთილ მეზობლობას ამჯობინებდა. შაჰ-კურეშის სიკვდილის შემდეგ ბევრმა ფერეიდნელმა ქართველმა თავიან შვილებს ეს სახელი დაარქვეს.

გასრულდა ესე ზღაპარი. ქატო იქა, ფქვილი აქა...

სინამდვილეში კი ეს ამბავი ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობრების, ფერეიდნელი ქართველის რეზეა (რეზო) მიქელაძისა და მისი მეუღლის მარზის შვილის — კურეშის გამო დავწერე. მათ საქართველოში ფერეიდნიდან ოთხი შვილი ჩამოიყვანეს — ორი ქალი და ორი ვაჟი. მეხუთე შვილი გურამი კი საქართველოში შეეძინათ, მეორე სამშობიაროში, ყოფილ კამოს ქუჩაზე. ისიც მოვნათლეთ ქრისტიანულად, სვეტიცხოველში, მისი ნათლიები არიან ჩვენი საყვარელი პოეტი ირაკლი აბაშიძე და ჩემი ქალიშვილი თამარ მაჭავარიანი-ქადაგიძე.

***რაფიელ გელანტია***

## როცა ბულბული მწუხრის საგალობელს შეუდგება

მოსაღამოვდა. ნანამ ოთახები დაიარა, ყველა ჭაღი აანთო. ახლად შეკეთებული და ახალი ავეჯით გადავსებული ბინა ჯადოსნურად ბრწყინავდა. მისაღები დარბაზის სავარძელში ჩაჯდა, დაიხარა, სახე და ნიკაპი გადაჯვარედინებულ ხელის მტევნებზე შემოდო და კედელს მიაშტერდა, სადაც მისი და გიორგის ქორწილის ფოტოები ეკიდა.

–თფუი, რა საზიზღრობაა ყოველივე, კვლავ აეშალა საღერღელი ნანას. –მაინც არ მეშვება ეგ იდიოტი, გაიფიქრა თავისთვის, თუმცა კარგად იცოდა, რომ გიორგის ნანა უკვე არ აინტერესებდა; სამი თვე და ცამეტი დღე გავიდა, მაგრამ ერთ დროს მასზე გადარეული ქმარი ერთხელაც არ შეეხმიანა ცოლს.

წელიწადზე მეტია ნანა მიხვდა, რომ, გიორგი მოკვდა, უფრო ზუსტად, ამის შესახებ იმ დღეს გაცხადდა, როცა, გიორგის თქმით, იგი მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ქვეყნის ერთ-ერთ უნივერსიტეტში მიავლინეს სასწავლებლად.

ნანა წყალწაღებულივით ბოლო ხავსს ეჭიდებოდა, კარგად იცოდა, რომ ქმარს უკვე არაფერი ესაქმებოდა მასთან; იგი სამი წელიწადი არავისთან დარჩენილა,– მხოლოდ ნანა იყო გამონაკლისი. ნანას დაქალების აზრით, გიორგი, – ჯერაც ქალაქში ულამაზესი და უმდიდრესი ახალგაზრდა კაცია, მასზე უამრავი ქალი ნადირობდა და ახლაც ნადირობს, მაგრამ იგი პირველი ნახვიდანვე მოიხიბლა ნანას სილამაზით და, როგორც ეს წესად ჰქონდა, მისი დასაკუთრება გადაწყვიტა; ბევრი ეწვალა გიორგი, სანამ ნანა საწოლში შეიტყუებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და მასზე დაქორწინება გადაწყვიტა. გაძლა გიორგი ქალით და დაიღალა კიდეც; ერთი წელიწადი დროზე ბრუნდებოდა სახლში, მეორე წელიწადი – შუაღამეზე, მერე სახლის გარეთ დარჩენასაც უხშირა. ასე გაილია სამი წელიწადი და აი, საზღვარგარეთ ამოჰყო თავი.

–რა საზიზღრობაა, მგონი ვგიჟდები– წელიწადია ვიშორებ თავიდან და მაინც ვერ ვიცილებ, –თქვა ნანამ და სავარძლიდან წამოხტა. კედელს მივარდა, ფოტოები ჩამოყარა, მოოქროვილ ჩარჩოებსა და შუშებზე ფეხით შედგა.

ლიას ტელეფონი აკრიფა და თავისთან იხმო, როცა დაქალი დაითანხმა, სთხოვა გვანცასთან გაევლო და ისიც წამოეყვანა.

ერთ საათში გოგონებმა ნანას პირადი ნივთები ყუთებში ჩააწყვეს და დაბლა ჩაიტანეს. ნანამ ზიზღით შეხედა სარეცელს, რომელსაც გიორგის სურნელი ჯერ კიდევ ასდიოდა და მიაფურთხა.

შუქები გამორთო, კარები დაკეტა და გასაღების შეკვრა ბაღში მოისროლა.

მალე მანქანამ მარჯვნივ გაუხვია და ბებიას ერთოთახიანი ბინის ქუჩის აღმართს აუყვა.

ქუჩის დასაწყისში ბინის გასაღები დაქალებს მიაწოდა და მანქანიდან ჩავიდა. ამ ქუჩაზე ყველაფერი მშობლიური იყო, საოცარი სიმშვიდე სუფევდა. იგი თავის ბავშვობაში დაბრუნდა.

სახლის წინ, ქალაქის ძველისძველ უბანში ძველებურად იდუმალება ბატონობდა. ბაღის კუთხეში მდგარ ციხის ნანგრევზე ჩირაღდანი კაშკაშებდა, რომელიც ბაღის მწვანე ზღვას აჩახჩახებდა. ჭუჭყიანი სახლის წინ, რომლის ფასადი უამრავი ანტიკური ქანდაკებებით იყო მორთული, გაირინდა და ირგვლივ მიმოიხედა. გვიანი იყო და ქუჩა ცარიელი. ბებიას ოთხსართულიანი სახლის მეორე სართულის კიდეებზე მოთავსებული მამაკაცის დიდთავიანი ქანდაკებები, რომელთაგან ერთ-ერთი ნანამ თავის დროზე არისტოტელედ მონათლა, მეორე პლატონად, უჩვეულოდ ნაღვლიანები ჩანდნენ. დიდხანს უცქირა ნანამ მსოფლიოში სახელგანთქმულ ფილოსოფოსებს და სახელმწიფოებრიობის თეორიის მამებს და თავადაც დაწყნარდა,–ყველაფერი ძველებურად იყო, ქუჩა და უბანი შუა ღამის ბურანში თვლემდა. გაუკვირდა კიდეც, რომ სახლის მიმდებარე ტერიტორიებს დღემდე კერძო პატრონი არ გამოსჩენოდა, ეკალ-ბარდი და ბალახი მოსდებოდა. ეტყობოდა, რომ ამ ოც წელიწადში არც ბებიას სახლისათვის შეევლო ვინმეს ხელი,–ფასადზე ალაგ-ალაგ ბათქაში და ქონგურები ჩამოცვენილი იყო, წყალსარინებ კი წელში გადაწყვეტილი. სადარბაზოს კიბესთან მივიდა და ზემოთ აიხედა, ახლაღა შეამჩნია, რომ არისტოტელეს ხელები იდაყვში ჰქონდა გადამტვრეული და მკლავები იმგვარად ეკიდა, თითქოს მუშტებს იშენდა თავზე და თმებს იპუტავდა. შეეცოდა არისტოტელე.

ძლივსღა ახსოვდა ნანას,–საბავშვო ბაღში დადიოდა, როცა უცნობმა ძიებმა ქანდაკებები მოწიწებით გადმოიღეს და სადღაც წაიღეს, მერე ზეწარში გახვეული მოასვენეს და თავის ადგილზე დააბრუნეს.

სადარბაზოში შევიდა. კარის თავზე ერთადერთი ნათურა ბჟუტავდა. ესიამოვნა ნესტიანი კედლებისა და სარდაფის ნაცნობი სურნელი. კიბეებს ასკინკილით აუყვა, ბებიას გადაუსწრო და ბინაში შევარდა.

გოგონები ოთახს და პაწაწინა სამზარეულოს ალაგებდნენ. ნანამ არ დაანება– გამოვიძინებ და ხვალ თავად მივხედავო ყველაფერს. ბებიას ძველებურ ლოგინზე მიეგდო და უმალ ჩაეძინა.

* * *

ბულბულის გალობამ გააღვიძა. იგი ბაღის ყველაზე მაღალი ხის კენწეროზე იჯდა და ძველებურად გალობდა. ეს ალიონის არია იყო, ისეთივე იდუმალი და საყვარელი, როგორც პატარაობიდან ახსოვდა. თვალები დახუჭა და გაირინდა. ბებია არ იყო ლოგინში. ეზოში მემაწვნე ქალი ყვიროდა და მუშტრებს ეძახდა.

–ადექი, რამე გააკეთე, გეყო კოტრიალი,– უყვირა ბებომ.

ბებიას ხმა იყო, მაგრამ ბებია ოთახში არ იყო.

–რა იყო ბებო, ცოტაც მადროვე, დავიღალე, ყველაფრისგან დავიღალე, შეეპასუხა ნანა.

–ეს მე დავიღალე თქვენგან, უსაქმური და წიგნის ჭია გავზარდე მამაშენი, დედაშენიც ქარაფშუტა და უსაქმურია, ახლა კი შენ გამიხდი სარჩენი, ბრაზობდა ბებია.

ნეტავი რა მოუვიდა ბებიას, გაუკვირდა ნანას. როცა აქ ომი იყო, არ იყო შუქი და პური, დედაჩემი და მამაჩემი თვითონ გააგზავნა ისრაელში უცნაურად გამოჩენილ თავის ნათესავებთან. რა ჩემი ბრალია თუ იქ ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს და მამა ამერიკაში გადაიკარგა, დედა კი დუბაიში,–ატირდა ნანა,– მაშინ ახალგაზრდები და ლამაზები იყვნენ, არც ახლა იქნებიან დავრდომილები, ეს არის, რომ მე გამიმეტეს, ბებიას შემატოვეს, –აღრიალდა ნანა.

–ისინი გამოვიგლოვე უკვე, შენი იმედი მქონდა, შენც მაგათ კვალზე შედექი, ქმარს ვერ მოუარე, მუცელი მოიშალე, ოჯახი ვერ შეინახე, ახლა ქონება დაკარგე, ქმრის დანატოვარსაც უარობ, უმადური, თავხედი და უაზროდ პატივმოყვარე ხარ,–არ ცხრებოდა ბებია.

–არა ბებო, მე რა შუაში ვარ, მე ადამიანი ვარ, არ მივიღებ სხვათა ბატონობას და –დამცირებას შეეპასუხა ნანა.

–ჰო, ჰო, გადაიხარხარა ბებიამ, იყოს ისე, როგორც შენ გინდა, იყავი თავისუფალი და იცხოვრე ისე, როგორც გაგიხარდება; ბრმაო და უმადურო, ვერ ხვდები, რომ ამიერიდან უპატრონო, მიუსაფარი და ზედმეტი არსება ხარ. შენ არ დააფასე ქმარი, ადამიანი, რომელმაც ერთი უპატრონო ქალი სახელოვან ქალბატონად გაქცია. ამ შეძლებულ კაცს ყველაფერი აქვს ამქვეყნად, ცოლის სახელი მოგცა, ხალხში გაგიყვანა, მსოფლიო შემოგატარა, გაგაბედნიერა. შენ კი ვერ შეიფერე უფლის საჩუქარი, უიღბლო და უუნარო ადამიანებს და ტრაკსქელა დაქალებს აჰყევი და თავი დაიღუპე. შენი ადგილი ეკლესიაშია, თუ იქ არ წახვალ, ცირკის მოედანზე მოგიწევს დგომა და ბუჩქები ქვეშ ფეხების გაშლა...

–საკმარისი, გეყოფა ბებო, ეს რა დღეში ხარ.

–ვატყობ, არ არის საკმარისი,... საღამოსკენ მოგშივდება, ხვალაც, ზეგაც, თვის ბოლოს გაზის, წყლის, დენის და ნაგვის ქვითრები მოგივა, ორ-სამ თვეში შენი ათასი ლარიც დამთავრდება და ოცნებებში გადავარდები ერთ დროს შენგან ნაქები და ქვეყნის მხსნელად მოვლენილი სოციალურად დაუცველის სტატუსის მოსაპოვებლად.

–კმარა ბებო, მეყოფა, თავი დამანებე, ყველამ დამანებეთ თავი,– მეც ისეთი უნდა ვიყო, როგორც სხვები. შენსავით მუსიკოსი არ გამოვიდა ჩემგან, მაგრამ ეს მაინც კარგად ვისწავლე შენგან...

* * *

ერთი კვირა ეზოში არ ჩასულა. დაწყნარდა, ოთახი დაალაგა, სამზარეულო და აბაზანა დააწკრიალა. ცდილობდა არაფერზე ეფიქრა. ადრე იღლებოდა, მიეგდებოდა და გათენებამდე ეძინა. დილას და საღამოს ბულბულის გალობა ართობდა, ერთადერთი, რაც არასდროს მოსწყინდებოდა. ლია და გვანცა სადღაც გაუჩინარდნენ, ათასში ერთხელ თუ შემოიხედავდნენ, ყავის ფინჯანში ხვალინდელ დღეს ნახავდნენ და უმალ სადღაც გაიქცეოდნენ. თვის ბოლოს კომუნალური გადასახადები დაფარა და ტელეფონი ჩართო. გიორგისთან სცადა დარეკვა, ნომერი არ პასუხობდა, შეტყობინება დატოვა.

მორიგი თვეც მიიწურა. სოციალური დაცვის სამსახურში დარეკა, მეგობრები მოიკითხა. უხალისო მოიკითხა ნუკრიამ მისი ძველი მეგობარი, უდროობა ახსენა და ყურმილი დადო. ამ ბიჭთან ერთად მთელი წელიწადი იმუშავა ნანამ, განუყრელად დადიოდნენ უმწეოთა ოჯახებში და ერთად ადგენდნენ სიღარიბის ქულებს. როცა ნანა გათხოვდა და უფროსი გახდა, ნუკრია მოადგილედ მოაყოლეს.

გიორგი ძველებურად არ პასუხობდა ტელეფონზე, არც შეტყობინებას ეხმიანებოდა. მალე დარწმუნდა, რომ ამ დიდ ქალაქში მას მეგობრები არ ჰყავდა.

დღეში რამდენიმე განაცხადსა და ჩV-ს აგზავნიდა კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად, მოწონებისა და აღფრთოვანების პასუხებსაც ღებულობდა. ეს იყო, რომ ყოველი მათგანი მორცხვი ბოდიშით სრულდებოდა უნარ–ჩვევებში შემჩნეული მცირე ხარვეზის გამო.

ამასობაში შემოდგომაც დადგა, აცივდა, მწვანე ფოთლებს ყვითელი შეეპარათ, მერე რუხი–ყავისფერი ხალიჩებით მოიფინა ხის ძირები.

ინტერნეტი მალევე ღლიდა, ცდილობდა დღისით არ დაეძინა, მთელი ღამე საწოლში ტრიალებდა.

მარტოობა ტანჯავდა, ბებიაც სადღაც გადაიკარგა, ეტყობა მეტისმეტად გააბრაზა იმ დილით.

უსაშველოდ მოენატრა ბებია და სასაფლაოზე ავიდა. ბებია და ბაბუა დნიერად იღიმებოდნენ საფლავის ძვირფასი ქვებიდან.

როგორც კი თვალს მილულავდა, ძველისძველი მაცივარი იქუხებდა და ძილს გაუგდებდა. მაუწყებლის ნახვა გადაწყვიტა, მაგრამ ბებიას შავ-თეთრი ტელევიზორი იმგვარად ახრიალდა, რომ შეეშინდა და მალევე გამორთო.

მთელი დღე ლოგინზე ეგდო და დამსკდარი ჭერის ჭუჭყს შესცქეროდა. შუაღამეზე ძილის გორგალს ძლივძლივობით ჩაავლებდა ხელს, რომელსაც მალევე დაუფრთხობდა სახლში შეგვიანებული გოგონების კისკისი.

სამი დღე და ღამე კოკისპირულად წვიმდა ქალაქში.

შუაღამით ახალგაზრდა ქერა ქალი გამოეცხადა, რომელსაც ხუთი შვილი ჰყავდა, უფროსი ექვსი წლის, სხვები მიყოლებით. კარგად ახსოვდა თუ როგორ ცდილობდა ქალი თავისი ჭუჭყიანი ფრჩხილების დამალვას, მერე კი, ბავშვებთან ერთად მადიანად შეექცეოდა პურის ნაჭერს, რომელიც მისმა ქმარმა ბედნიერი სახით შემოიტანა, თუმცა კაცს მოულოდნელი სტუმრების შერცხვა და სადღაც დაიმალა. ეს

ქალი მუხლმოდრეკით ევედრებოდა ნუკრიას,–ყელი არ გამომაჭრა, ნაჩუქარი მაცივარი არ ჩაწერო და ბავშვები შიმშილით არ დამიხოცოო. შეკრთა, საწოლიდან წამოხტა. ნანამ სიტყვა მისცა ამ ქალს, რომ მის მაცივარს არ შეიტანდნენ დავთარში, მაგრამ გააწბილა,–ნუკრია გაუძალიანდა და შელაპარაკდნენ, მან კი უფროსთან დაასმინა და ოჯახმა სარეიტინგო ქულა ვერ მიიღო და შემწეობა დაკარგა.

რამდენიმე საათი თუ ახერხებდა დაძინებას, ღამის კოშმარები არ ასვენებდა, მაჯლაჯუნად ქცეული ადამიანები ფანჯრიდან ძვრებოდნენ და საწოლზე ჩამოსხდებოდნენ ხანაც რიგით, ხანაც ურიგოდ.

–ეს ლადოა, ბატონი ვლადიმირი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. რძალმა გადაწყვიტა და მისი სამოთახიანი ბინა ბანკში ჩადეს, საქმე არ გამოუვიდათ და ბინა გასხვისდა, რვა სული ქუჩაში დარჩა. ნანას წინაშე მუხლებზე იდგა ბატონი ლადო და ხანდაზმულთა თავშესაფარში გაგზავნას ითხოვდა. ახლა იგი აგერაა, წვიმაში გაწუწული. ახლა იგი აქაა, ეტყობა იქაც ვერ მოინახა მისი ადგილი, შეწუხდა ნანა.

–აი, ალექსანდრე, ამაყი ჭაბუკი, ზის ნანას საწოლზე და მბზინავი თვალებით შესცქერის ახალგაზრდა ქალს. ასეთი ლამაზი კაცი არც ქალებს ავიწყდებათ, ახსოვს იგი ნანას; თავის დროზე ბიზნესის ცდუნებას გაუტაცია ალეკო და მამა–პაპისეული სახლ-კარი დაუკარგავს გურიაში. მერე ცოლი ოთხი თვის ვადით საბერძნეთში გაუგზავნია ცოლისდის შემცვლელად, რომელიც იმხანად მოსალოგინებლად ყოფილა ჩამოსული. მაშინ იგი დარცხვენილი იდგა ნანას წინაშე და ამაოდ ითხოვდა ფაქტის მიჩქმალვას, რათა ოჯახს ფულადი შემოსავალი არ დაეკარგა.

–აი, ივერი და მისი მეუღლე. გულიანი კაცია ივერი, საოპერაციო გაუხდა შვილი და უფულობის გამო ბინა დააგირავა და, როგორც ხდება ჩვენში, სამუშაოც დაკარგა და ბინაც. სოციალურ სახლში ითხოვდა თავშესაფარს, ვერ დაეხმარნენ, მაშინ ცოტას აშენებდნენ შვედები. ქალაქის მერიას სთხოვა ნანამ და არჩევნების წინ სამი თვით ბინა დაუქირავეს ივერის, მერე არ უნახავს ეს ხალხი, ახლა შავები აცვიათ, ეტყობა შვილიც დაკარგეს.

–აგერ მანანა, რა დაავიწყებს მის მუდარით სავსე თვალებს, მაშინ მის შვილს რაღაც უცნაური დაავადება ჰქონდა, რომელსაც მხოლოდ გერმანიაში მკურნალობენ და დაფინანსებას ითხოვდა. ვერ დაეხმარა ნანა, თუმცა მაშინ უფროსი იყო და ცდაც არ დაუკლია. დავალება იყო ზემოდან, – რასაც მთავრობა გვაძლევს, იმას მიხედეთ, გახარებული ცხოვრება არსად არის, როცა ბევრი მდიდარი გვეყოლება ქვეყანაში, მაშინ ნაკლები იქნება ღატაკი და გაჭირვებულიო.

–აი, ნიკა, ლამაზი, მაგრამ ბრმა თვალებით. ფულს ითხოვდა ნიკას დედ-მამა, ფულზე მეტად სამუშაოს, ნებისმიერ საქმეს, რათა სესხი აეღო და შვილისთვის თვალები აეხილათ.

–აგერ ზურაბი, ცოლი გაექცა და სამი შიშველტიტველი შვილი დარჩა მოსავლელი. სანამ სამუშაო ჰქონდა არჩენდა კიდეც, დაკარგა იგი და თავიც დაკარგა. ბევრი იარა სააგენტოში, მაგრამ ამაოდ, მერე კარგად დათვრა და მტკვარში გადაეშვა.

–აი, ეკა, მუცელი უკვე ეტყობოდა, როცა ნანასთან ცალკე შეხვედრა ითხოვა. რა დაავიწყებს, შეებრალა თვალხატულა ეკა, შეაცდინეს გოგონა,– ფეხმძიმედ იყო, ქალაქში არც ბინა ჰქონდა და არც სამუშაო. გვიან გაიგო, სახლში გაუჩენია ბიჭი და ნაგვის ყუთში გადაუშვია. ჩვილი დაღუპულა და ათი წელიწადი მიუციათ. მაშინ გაბრაზდა ნანა, ეს როგორაო, თუმცა ახლა შეებრალა და გაუღიმა.

–აი ბავშვები, თეთრკანიანი, შავტუხა და ქერათმიანი ჩვენებური ბავშვები, ეს არის უფრო გაძვალტყავებულები ეჩვენე, ვიდრე მაშინ, ქალაქის გარეუბნის ერთ-ერთი მიტოვებულ სახლში. ვინ ვართ ნეტავი, რა ხდება ჩვენს თავს, რა ცოდვაში ვდგავარ– უფალო, იხსენი ჩემი ქვეყანა, პირჯვარი გარდაისახა ნანამ.

ცოტა ეძინა ნანას, მაგრამ შეეჩვია საწოლში ყოფნას, ეზარებოდა ადგომა, ხმელა პურსა და წყალზე გადავიდა, მოეშვა, არც არაფერზე წუხდა და არც რამეზე დარდობდა. მუცელი მოეშალა, გიორგი დაიკარგა, სხვა რაღა იყო დასაკარგი. ეს კი იყო, რომ ძალიან უნდოდა სიზმარში მაინც შეევლო თვალი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ოდესღაც შველას ითხოვდნენ მისგან და მათსავე თვალებში საკუთარი სახე ეხილა.

ახლა ადრე ღამდებოდა ქალაქში და ნანა გახარებული იყო,–მისი ბავშვობის მეგობარი შემოჯდებოდა ბაღის უზარმაზარი ხის კენწეროზე და მწუხრის გალობით აცილებდა მზეს დასალიერში.

მერე მოიხურავდა საბანს და უმალ ნაცნობი ადამიანების რიგები დგებოდა. ესენი უბინაო, უსახლკარო, ობოლი ბავშვების, უძლური, მოხუცი, ინვალიდი, ღარიბი, ღატაკი, დავრდომილი, მიუსაფარი ხალხია, რომლებიც ბოლო წლებში ასე მომრავლდნენ ნანას ქალაქში. ადრე ეს უჩვეულო ამბავი იყო, ახლა კი ჩვეულება გახდა და არც არავის ადარდებდა.

ერთხელ გიორგიც გამოეცხადა, ქმარი ეჩხუბა ცოლს და დააყვედრა,– შენს ცხოვრებაში მე რომ არ მოვსულიყავი რიგით მუშაკად და შინაბერად დარჩებოდი და ეს მათხოვრები უფრო ადრე გადაგრევდნენო. მართალი იყო გიორგი,–ნანა მას შემდეგ შეამჩნიეს სამსახურში და დააწინაურეს, როგორც კი გიორგი ნანას შემთხვევით გადაეყარა დერეფანში. დაქორწინდნენ და ნანა სამმართველოს უფროსი გახდა და კარდაკარ არ დადიოდა. მას მხოლოდ ერთი დავალება ჰქონდა– ყველა გაჭირვებულის ტანჯვა და ტკივილი ერთიან სარეიტინგო ქულაში ჩაეტენა როგორმე, თანაც ისე, რომ ევროკავშირის სტანდარტებში ჩამჯდარიყო და ქვეყანა სხვებზე უკეთესადაც წარმოეჩინა.

გაუხარდა გიორგი ხილვა,–კაცია მაინც, მეტისმეტი მოგვინდა ქალებს, სიყვარული და სიმდიდრე თურმე ნაკლებად დადიან ერთად, თავისუფლება კი შეძლებულთა ხვედრია მხოლოდ. ასე იყო, ასე არის, ასე დიდხანს იქნება ალბათ,– აღმოაჩინა გააკეთა ნანამ.

ადრე ადგა და წერილი შეადგინა,–“დავიღალე უსიყვარულოდ, უმეგობროდ, უფულოდ, ვალებით, ქვითრებით, მარტოობით; ადამიანების ტკივილებსა და წუხილზე დარდით, საყოველთაო ტყუილებითა და სიყალბით... “

ქალაქში გავიდა, სილამაზის სალონში თავისი ბოლო ფული დატოვა და მოწესრიგდა. მერე ყოფილ სამსახურში შეიარა და თავისი ძველებური ბრწყინვალებით ადრე მის მოშურნე გოგონებს გულები კიდევ ერთხელ დასწყვიტა. მერე მშვიდად და არხეინად, ლამაზი ტანის ძველებური რხევით გაიარა შუშის ახალი სახლის სარკეებიანი დარბაზი, ქალაქში უაზროდ იხეტიალა და ბინდბუნდში სახლში დაბრუნდა.

მალე მოსაღამოვდა და ნანას მეგობარი ბულბული მწუხრის საგალობელს შეუდგა. არასოდეს ყოფილა ეს მარადიული ჰანგი ასე თბილი და ნაზი...ნანას ფრთები გამოესხა და მეგობართან გაფრენა მოუნდა.

გაზქურის საკეტი გახსნა. ლოგინზე მოხერხებულად წამოწვა,– თავისი უსაშველოდ გრძელი ფეხები ერთმანეთზე გადააწყო, მერე კაბის ერთი ქვედაბოლო თეძოებამდე აიწია და ხელები გულმკერდზე გადაიჯვარედინა.

მეტისმეტად დაღლილი ჩანდა ნანას მალევე ჩაეძინა

*ნანა პაიაშვილი*

## მზე სიყვარულისა

მშვიდი დღე იყო... მზე დილიდანვე უხვად აგზავნიდა თავის მხურვალე სხივებს... ჩემს ოთახშიც სითბო და სიმშვიდე სუფევდა ეს სიმშვიდე მოულოდნელმა ზარის ხმამ დაარღვია ახლობელი გოგონას ხმა იყო...
გამარჯობა ნანა მასწავლებელო.. როგორ ბრძანდებით? — მომიკითხა.
,,დღის ცენტრს" პედაგოგი სჭირდება. თქვენ შესძლებთ რომ იმუშაოთ?
კითხვა ჩემთვის მოულოდნელი იყო. უცებ ვერ ვუპასუხე და დავდუმდი.
ცოტა რთულია ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან
მუშაობა, მაგრამ თქვენ პროფესიით ნამდვილი პედაგოგო ხართ და ვფიქრობ ეს არ გაგიჭირდებათ... კარგი ეს ჩემი სუბიექტური აზრია, მოიფიქრეთ და დამირეკეთ.

გზაში ასეთი ფიქრები ამეკვიატა: ,,ვაითუ ვერ შევძლო, ვაითუ ვერ შევეგუო? ვაითუ რთული ქცევის მქონე ბავშვებს ვერ ავუღო ალღო?" ეჭვები გულს მღრღნიდნენ. ბოლოს მოვერიე ფიქრებს და გადავწყვიტე ,,დღისცენტრში" წასვლა...

შთამბეჭდავად მახსოვს ის დღე, როდესაც კარი პირველად შევაღე... ბავშვების ორ ჯგუფს ერთად მოეყარა თავი თავისთის ჩურჩულებდნენ, ჩემს გამოჩენას ელოდნენ. მეც მივედი, თავი გავაცანი და მათ გაცნობასაც შევუდექი. ზოგი მათგანი საერთოდ ვერ მეტყველებდა, ზოგს კი ჩემი ნათქვამის გააზრების უნარი არ გააჩნდა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც წერდნენ, კითხულობდნენ და თავისი განცდების გადმოცემის უნარიც გააჩნდათ...

ამ ყველაფრის მიუხედავად, მათ აერთიანებდათ რაღაც იდუმალი საერთო სითბო და უდიდესი სიყვარული...

,,ნანა მასწავლებელო! სიხარულით შემომცინა ერთმა გოგონამ და ჩემდა გასაკვირად ლოცვა დამიწყო. დიდხანს იცოცხლე ღმერთმა შენი თავი გამოგვიგზავნა, მადლობა უფალს ამისთვის! ძალიან ლამაზი და კარგი მასწავლებელი ხარ! ჩვენთან დარჩი, არ მიგვატოვო!... გვასწავლე გთხოვ ყველაფერს დაგიჯერებთ..."

მათმა გულთბილმა დახვედრამ და გულწრფელმა სიტყვებმა სულით-ხორცამდე შემძრა... მათ ყველაზე ნაკლებად ხელეწიფებათ სიყალბე და თამაში!... ამიტომაც არ გამჭირვებია მათი შეყვარება და გათავისება.

პირველი ნაბიჯი ყოველთვის რთულია... მეც ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყე თითოეული ბავშვის შესწავლა და მათი მსოფლმხედველობის გაფართოება, მაგრამ მათ რომ ასწავლო, პირველ რიგში მათ სულსა და გულს უნდა ჩასწვდე...

ისე სწრაფად გავიდა დრო მათთან შრომაში, რომ გაზაფხულის შემოპარვა ვერც კი ვიგრძენი...

დღეს მე უკვე აღარ ვუცდი მზიან და თბილი დღის გათენებას ამაღლებული განწყობისათვის!!! მე მათ თვალებში ვხედავ საკუთარ მზეს! მათ უდაოდ სხვა სამყარო აქვთ და არაბუნებრივად უყვართ თავისი შექმნილი ,,მინი" სამყარო!...
მადლიერებით აღსავსე მზერამ და მათმა უსაზღვრო სიკეთის ნიჭმა მე მაჩუქა მარადიული მზე სიყვარულისა!...

*თამარ ჯაჭვაძე*

## მარადი სული

როგორი ძნელი ყოფილა ახალგაზრდა კაცის წარსულში მოხსენიება. უფრო ძნელია გულიდან იმ ტკივილების გადმოწერა, რომელსაც გადამქრალი სიცოცხლე გიტოვებს. არადა როგორ გაახალგაზრდავდა სიკვდილი. რამდენი ნორჩი თვალები შემოგცქერიან საფლავთა ქვებიდან! რამდენი სიცოცხლის ნახევარგზამდე ვერმიღწეული შენიანი გეცლება ხელიდან და ვერაფერს შველი, ცრემლისა და წუხილის გარდა. როგორ შემოეჩვია მთელ ქვეყანას ეს ცრემლი და დარდი, როგორ დააზამთრა მწუხარებამ სამყარო!

გაზაფხულამდე რა ცოტა იყო დარჩენილი, გელა! მკაცრი ზამთრის უკანასკნელ, გულატკივებულ ღამეებს დედის ლექსების კითხვაში ატარებდი. რა ბედნიერი იყო დედაშენი მაშინ! ბედნიერი იყო, შვილი ეპაექრებოდა ლექსის სიყვარულში.

დიდებული ადამიანები უპრეტენზიოდ ცხოვრობენ. შენც ხომ ისე ჩუმად, თუმცა მოულოდნელად წახვედი, როგორც უპრეტენზიოდ მიჰყვებიან შემოდგომას ყვითელი ფოთლები. მერე ქარი დაზუზუნებდა დაცარიელებულ გულებში, რამდენი გული დააცარიელა შენმა წასვლამ! გაოცებაჩამდგარი თვალებით მისჩერებოდა მთელი შენი სანაცნობო ერთმანეთს. ღმერთო! რა გვემართება, ასე მოულოდნელად და ნაადრევად რატომ მიდიან ჩვენთვის ძვირფასი ადამიანები ჩვენგან!

თავგზააბნეულა ჩვენი საუკუნე, რკინისგულა და ჩიპებით მოაზროვნე. სიყვარულით და კეთილშობილებით სავსე გულები ვეღარ უძლებენ და საპნის ბუშტებივით გვიქრებიან ხელიდან. სიყვარულის შემძლე გულებს ყველაზე მეტად უჭირთ უსულგულო სამყაროსთან შეგუება და ასე გვშორდებიან, გვიქრებიან სათუთი გულები! შენი სიცოცხლეც ასე მოულოდნელად გაეპარა დედას, ცოლს, შვილებს... და მთელს სანათესაოს.

გული ისეთი ფენომენია, აუცილებლად შეგიტოკდება სხვათა ტკივილის გამო, მაგრამ არიან გულები, რომლებსაც ყველაზე მეტად ეტკინებათ და ყველაზე მეტად კივიან ამ ტკივილებისაგან, ეს დედის გულია, ეს შვილის გულია, ეს საყვარელი მეუღლის გულია...

მწუხარებამ უცებ მოტეხა დედაშენი. გული ჩაუკლა და ცრემლიც გაუშრა თითქმის. მერე ოთარაანთ ქვრივივით გაკაჟდა. პოეტის ტვირთთან ერთად, სამი ობოლი შვილიშვილის მამობის ტვირთიც აიკიდა მხრებზე, ღმერთმა შეაძლებინოს!

გელა, შენ ორი ლამაზი ქალიშვილი დატოვე საფლავზე დამხობილი, სიმწრით ღაწვებდახოკილი. გული ჩაეფერფლა ყველას, ვინც შენი გოგონას ჩურჩულს მოჰკრა ყური, ღვთისმშობლის ხატს რომ ეფერებოდა და კი არ საყვედურობდა, ევედრებოდა : ''რატომ წამართვიო მამა.''

შენი პატარა ვაჟკაცი ჯერ ორი წლისაა და ვერც კი გააცნობიერა რა მოხდა. გაივლის წლები და როცა მამის ხელი და გული მოაკლდება, როცა კაცობის გზაზე ფეხს შედგამს და გვერდით ყველაზე დიდი ქომაგი, დამცველი და მეგობარი მამა არ ეყოლება, მაშინ მიხვდება ამ გაზაფხულმა რა დიდი და ძვირფასი განძი წაართვა.

გაოცებაჩამდგარი თვალებით დაგყურებდა ჯერ ძალიან პატარა, კაფანდარა მეუღლე, გულში ჩუმად გეკითხებოდა : რა ვქნა, როგორ ვიცოცხლო, როგორ გავაგრძელო დაცალებული ბილიკებიო...

სიკვდილი სიცოცხლის გაგრძელება ყოფილა. ვინც იბადება და იზრდება, ნელი ნაბიჯით უახლოვდება ბოლო გაჩერებას. რა სწრაფად დაქრიან ჩვენს მაჯააჩქარებულ საუკუნეში მატარებლები! რა გულგრილად ტოვებენ მგზავრებს სადღაც შუა გზაზე! მაგრამ, ტრაფარეტულია, თუმცა უნდა მოვიშველიო, სიცოცხლე გრძელდება! სიცოცხლე, ჩვენი შეშლილი საუკუნის მიერ ღირსეულად ვერშეფასებული. ადამიანის სიცოცხლე ყველაზე დიდი სიმდიდრეა და ნეტარება მას, ვინც ეს სიმდიდრე ღირსეულად გამოიყენა.

გელა, შენ სამი შვილი დაუტოვე ქვეყანას. ღვთიური ციფრია სამი, ღმერთმა დალოცოს შენი სამება, მამის დანაკლისი წლები შვილების სიცოცხლეს შემატებოდეს! მარადიულია მხოლოდ მარადისობა, სხვა ყოველივე წარმავალია ამ წუთისოფლიდან. საბრალოა სიცოცხლე, თავისი უაზრო ფუსფუსით და ყოველდღიური ცოდვებით დამძიმებული, თორემ იმ სამზეოში დაბინადრებული სულები მარადიულნი არიან და ნეტარნი! დედის ცრემლი ადიდებულ მდინარეს წალეკავს, ეს პატარა ლექსი დედის სველი თვალების სალბუნი ყოფილიყოს

ცხოვრება გაჩვევს ცრემლსა და დუმილს,
შუშდება ყველა ნაიარევი...
გული ღრიალებს, შენ რჩები ჩუმი
და ცოცხალ-მკვდარი დაიარები.

იცინი, რადგან ხარობენ სხვები.
თუმც შენი დარდი გიდევს უბეში,
რაღაცას იტყვი, რაღაცას ჰყვები,
თვით უნუგეშო, სხვათა ნუგეში.

ვერავინ გეტყვის საამოს რამეს,
ლხინის სუფრიდან გაიპარები...
და ფანჯარასთან მოარულ ღამეს
შეეფეთება სველი თვალები.

*ციალა ხაჟალია-ანდრიაძე*

## ბოთლებს ვიბარებ, ბოთლებს!

ქალბატონი ნინო აივანზე სარეცხს ფენდა.

ამ დროს ქვემოდან გაიგონა გაბმული ძახილი: ბოთლებს ვიბარებ, ბოთლებს!

ქალბატონ ნინოს ცარიელი ბოთლები ბლომად ჰქონდა დაგროვილი და ბიჭს ანიშნა, ამოდიო.

ორ-სამ წუთში კარზე ზარის ხმა გაისმა. ბოთლების შემსყიდველი იყო. ნონომ კარი გააღო, მაგრამ უადგილოდ დაყრილ ბავშვის სათამაშოებს შემთხვევით ფეხი წამოჰკრა, ჯერ წაიფორთხილა, შემდეგ წაიქცა. ბიჭმა, რა თქმა უნდა წამოაყენა წაქცეული ქალბატონი და ბოდიშიც მოიხადა. თითქოს დამნაშავე ყოფილიყო რამეში.

ახალგაზრდას, ბოთლები რომ მიეთვალა, სამზარეულოს გავლით აივანზე უნდა გასულიყო. ასეც მოხდა. მაგრამ სამზარეულოში გემრიელი სადილის სურნელებამ შესძრა იგი და უჩუმრად ნერწყვი გადაყლაპა. რაც ქალბატონ ნინოს შეუმჩნეველი არ დარჩენია. შემდეგ ასი ცალი ბოთლი ბიჭმა ტომრებში ჩაილაგა და ხელი ჯიბისკენ წაიღო ბოთლების საფასურის გადასახდელად. მაგრამ დიასახლისმა შეაჩერა და სტუმარი სუფრასთან მიიპატიჟა. აჩამა, არც ბოთლების ფული გამოართვა და პარკში სუფრაზე დარჩენილი ცხელი კარტოფილიანი ღვეზელი და ვაშლებიც ჩაულაგა.

ბიჭმა პარკი გამოართვა და ძალიან გამხდარ სახეზე ბრიალა ცისფერი თვალები მოუწყლიანდა. მან უზომო მადლობა გადაუხადა დიასახლისს, ბოთლებით სავსე ტომრებს თავი მოუკრა, ლიფტი გამოიძახა, ტომრები შიგ შეიტანა და ღვეზელებიანი პარკით, თავადაც შიგ შევიდა.

ნინოს თითქოს გულში რაღაც ჩასწყდა. აივანზე გავიდა და რატომღაც ბოთლებით წასულ ბიჭს გადახედა, რომელსაც ეტყობა ძირს ბებო ელოდებოდა.

ბოთლებით სავსე ტომრები ჩასულმა ხელის გოგორაზე დააწყო. მერე მოხუცს იქვე დაგდებული დიდი ქვა მოხერხებულად მიუწია, ზედ დასვა და ღვეზელები და ვაშლი საჭმელად მიაწოდა. მოხუცი სიამოვნებით შეუდგა ჭამას.

ამ დროს ნინოს მეზობლის მოაჯირზე სანებივროდ გამოყვანილი გაწვრთნილი თუთიყუში შემოჯდა. რომელმაც მხოლოდ ერთი სიტყვა "გოგო" იცოდა და დაიძახა კიდეც: "გოგო", "გოგო". ბებომ იმ წამს თვალი ქუჩას მიმოავლო. იქ არავინ ჩანდა და ჭამა განაგრძო. თუთიყუშის ძახილი კიდევ განმეორდა. მოხუცს ვინ იცის გულში რამდენი ტკივილი ჰქონდა დაგროვილი. მან ირგვლივ კიდევ მიმოიხედა, მერე აივნის მოაჯირზე დაყრდნობილი ქალბატონი ნინო დაინახა და გულჩაწყვეტილმა მიაძახა: შენ არ მოიყარე ჩემი ხნისაო.

ბიჭი შეწუხდა. ქალბატონ ნინოს უხერხულად გაუღიმა. ერთხელ კიდევ აგრძნობინა უზომოდ დიდი მადლიერება და ბებოს საუბარი დაუწყო...

შემდეგ?... ქალბატონ ნინოს ხშირად გახსენებია ეს ამბავი და უთქვამს: იმ მადლიერების და იმ "გულწრფელად შეურაცხყოფილი" მოხუცის წყევლას, ალბათ, ვერასოდეს დავივიწყებო...

ასეც ხდება ხოლმე, ზოგჯერ ადამიანის სულსა და გულს უბრალო რამეც კი, სამუდამოდ კვალს დაამჩნევს.

*გულნაზ ხარაიშვილი*

## დავით კაპანაძის სულში „ჩირაღდანი" ანთია



მზესაც აქვს ცრემლი, ზღვასაც, ცასაც; ვაჟკაცსაც აქვს ცრემლი, რადგან უფლის დანაბადია ისიც - განცდის, გრძნობის დასტურია. ოღონდ, თვალისმიერი კი არა, გულისმიერია ვაჟკაცის ცრემლი, იმად რომ სხვათათვის დამალულია იგი.

ჰოდა, მოვა გულისმიერიცრემლი, როცა უკვე ვაჟკაცადქცეულს ბავშვური სიანკარით მოენატრება დედის ალერსი; ან მაშინ მოვა გულის ცრემლი, მხეცადქცეულ ადამიანებს რომ შეხვდება; მაშინაც ჩაწვეთავს მკერდის გუბეზედ, ღალატის სიმწარით რომ დაინტერესდა...

ახლა იქ, იმერეთის ულამაზეს, მაღალმთიან სოფელ ხრეითში იანვრის გრძელი, მოსაწყენი ღამეებია, ხვავრიელა თოვლი და ქარბუქია. მთები, ვით თეთრ ქურქებში შეფუთნული ბაყ-ბაყ დევები, ისე ჩამოსცრიან მიდამოს, ვით უზარმაზარი თეთრი დავები, ისე გაფუმფულებულ-გაფუებულან. სისპეტაკეს დაუვანებია ხრეითში... სადღაც მხიარულად გუზგუზებს ბუხარში დაწყვილებული კუნძები; ვისთან „ვიჩინა" იბოლება, სადღაც ხორცითა და ბროწეულის მარცვლებით დატენილ კუპატებს ჰკიდებენ ჭერზე მიმაგრებულ ღურსმნებზე გადებულ ჯოხზე; ვინ თოვლს აცლის ჭურისთავს და აყალოიან ბადიმებს წმენდს, ან ძველისძველი ჭურიდან კეჭიროს წნილს იღებს; ვიღაც სკივრიდან ჩურჩხელას პარავს ბებოს ან იატაკზე დაყრილ ხილის გორაში ჩაშაქრებულ, დამტკბარ მსხალს ეძებს; სადღაც თოვლის ნამქერში, ღონემიხდილი კაცი მშველელს უხმობს...

ეს ყველაფერი ძალიან, სულ ძალიან ახლობელია სოფელ ხრეითს კარგა ხნიდან განრიდებულ და მაინც მისი ღვიძლი შვილის, დავით კაპანაძისათვის. სოფლის იდილიას მონატრებულისათვის მთიანეთის სურათები ისეთი სანუკვარი გამხდარა, რომ... წვეთავს ზოგჯერ გულის გუბეს წრფელი ცრემლი...

ბატონი დავითი კარგა ხანია ქ. რუსთავში მოღვაწეობს. „ჩირაღდანი" ის სკოლაა, რომელსაც დირექტორის ძალისხმევით, ნიჭით, რუდუნებით, შრომისმოყვარეობით, არა ერთი წარმატებისთვის მიუღწევია,. ჰო, წლებია თავკაცობს დავით კაპანაძე „ჩირაღდანს" და სკოლასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან" ერთად უხარია და ტკივა ყოველი დღე, თვე, წელი.

ეს თბილი სიტყვები, დავით კაპანაძეზე დაბეჭდილი საჩხერ-ჭიათურის გაზეთ „საშევარდნოში" მაია ტყემალაძეს ეკუთვნის. მაია ტყემალაძე ღვთისგან მოვლენილი ლამაზი სულის დიდი ქალბატონია, რომელმაც მოიძია თავისი ქალაქის ფუტკარივით მოფუსფუსე მკვიდრი და შეაქო შესაქებარი.

ბატონ დავით კაპანაძეს არ აკლია დამსახურებები, ჯილდოები, იგი არის მეცნიერი, მრავალი წიგნის ავტორი, მაგრამ მას ყველაზე მეტად აკეთილშობილებს უბრალოება და თავმდაბლობა. მისი არაჩვეულებრივი ნიჭი მეტყველებს იმაზე, რომ სკოლაში არის სრული წესრიგი და მშვიდი ატმოსფერო.

ფერი მოსვლია ეზოს, ყვავილსაც,
თითქოს ვარდები მართლა ბავშვია.
იქ ყველა ბავშვი მივა გაისად,
მივლენ ისინიც, ვინც აკვანშია.
გაუსტყორცნივარ ლექსების მუზას,
როგორც პოეტი და როგორც დედა.
დავით, გამგვანებ იმ ჯანსაღ მუხას,
რომლის ტოტებქვეშ ბავშვები სხედან.

ბატონი დავითი ის სანთელია, რომელიც XXI საუკუნეს გააჩირაღდნებს და სიყვარულითა და სიკეთით ივლის საქართველოში.

ამ დალოცვილ მიწაზე ყველამ იაროს, ყველამ თავისი საქმე აკეთოს, და თავისთავს ჰკითხოს: რისთვის ვართ ამ ქვეყანაზე, თუ სიკეთეს არ გავაკეთებთ. გწამდეს, გიყვარდეს, გაუფრთხილდი ადამიანებს, აი, მისი კრედო. იგი არის კაცი, რომელსაც მხოლოდ სიკეთის თესვა შეუძლია.

მრავალი სამეცნიერო წიგნების ავტორს და სამეცნიერო პუბლიცისტური წერილების ავტორს, თურმე პოეტური სულიც ქონია. მას საუბრის დროს წამოცდა, რომ სტუდენტობის დროს წერდა ლექსებს. მორიდებით ვთხოვე, რომ ჟურნალ „ათინათში" გამოექვეყნებინა. აი, ისინიც:

### დედა

დედა, ამ ღამეს კვლავ ხვდები მარტო,
შენი მზე-გული ეხვევა ალში,
მერე ქვეყანას მოივლი ფიქრით,
და ჩაგუბდება ცრემლები თვალში.
დედა, იტირებ ვიცი ამაღამ,
მინდა შენს თვალებს მთელ დღეს ვეფერო,
ნეტავ შემეძლოს, ახლა შემეძლოს,
გულს ჩაგიკრა და ჩამოგეშველო.

* * *

ო, ღმერთმა უწყის მოხვალ თუ არა,
მინდა იცოდე რამდენს გელოდი.
თოვლის ფიფქივით პატარა ვიყავ
თოვლის ფიფქივით კი არ ვდნებოდი.
იდგა სიჩუმე ვით მარტოობა,
მიტოვებული ობოლ კაცისა,
და მიფარავდა მწვანე კვირტები
ჩემსავით მდგარი მარტოდ ნაძვისა.

* * *

აქამდე მოვყევი სიცოცხლეს,
აქ კი დავიღალე ერთობ.
სული დანაწევრდა თითქოს,
იქნება მომხედო, ღმერთო!
მზისკენ მივდიოდი მახსოვს,
აქ რამ მომიყვანა ჩრდილში,
ღმერთო უცოდველი სული,
ერთად ამოვიდეს პირში.

* * *
ქუჩაში, ღამით მარტო მიმავალს
ამდევნებოდა ფოთოლი ხმელი.
იმ ფოთოლს შენი სიცელქე მოჰყვა
ცდილობდა ხელზე შეეხო ხელი.
ჰქონდა სათქმელი და არ დამენდო,
სუსტს და უმწეოს რა დარდი ეწვა,
მეჩვენებოდა სადღაც ჩვენს უკან
იღიმებოდა ბებერი ძეწნა.

* * *
გაუსაძლისი ყოფილა ღამე,
არ ფიქრობ, თუმცა ფიქრი გაწამებს,
მოგეპარება თვალებზე ძილი
დაბლა კეკლუცად დახრი წამწამებს,
თუკი სულ ოდნავ გაგიკრთა ძილი,
ო, როგორ ძლიერ გაგეხარდება,
შინ დაბრუნებულს გამთენიისას.
ძილი ქურდივით მოგეპარება.

* * *
ვეღარ გავექეცი ფიქრებს,
ვეღარ მივანებე თავი,
ზღვას უმისამართოდ გაჰყვა,
ჩემი ოცნების ნავი.
ო, როგორ ამიხდა მკაცრად,
იმ ღამის ზმანება ავი,
ზღვის კენჭებს ვკრეფდი სიზმრად,
ვკრეფდი, მართმევდა ალი,
ფერადი კენჭები ზღვისა,
ოცნებად ელავდნენ ცაში,
ალმა გამომტაცა ყველა,
ჩაყარა ბობოქარ ზღვაში.
მას შემდეგ მივყვები ფიქრებს,
რა უმისამართოდ გაქრა
ჩვენი სასწაული ნავი.

## ღამე

ღამე იუდას თვალებით მიმზერს
და ჩემგან ითხოვს რაღაცას ძვირფასს,
გზას მიმანიშნებს ავსა და მაცდურს
ო, ამ გზით ახლაც ვიღაცა მიჰყავს.
ვიღაცა მიჰყავს ამ გზაზე ალბათ,
დადგება ჯერი და მეც ჩავივლი,
შენი ბაღიდან გამაცილებენ,
გაზაფხული და თეთრი ყვავლი.
ახლა ღამეა სიმწუხარეში,
ჩემს ცრემლებსა და იმედებს ვმარხავ,
მე მადლობელი ვიქნები შენი,
თუკი ოდესმე მოხვალ და მნახავ.

## კიბეზე ბალახი ამოსულიყო

ის ახლა მეთექვსმეტე სართულის აივნიდან გაჰყურებს ქალაქის მჩქეფარე ცხოვრებას. სოფლის ძაღლების ყეფის ნაცვლად ქუჩაში მოსიარულე მანქანების გუგუნი ესმის.

ქალაქს გაჰყურებსო, - ვამბობ, თორემ იგი ახლა თავისი ფიქრებით საწალიგის მთიდან უცქერის იმერეთის ერთერთ ლამაზ სოფელ ხრეითს, მდინარე ბუჯის ხეობას. ფიქრებით მთელი მთა და ბარი შემოიარა. სათიბშიც წავიდა, ბალახი მოთიბა და მისმა სუნმა აქ, ამ ოთხ კედელს შორის გამომწყვრეულს, სიამე მოჰგვარა.

აგერ უკვე ორი წელია რაჟდენ ბაბუას თავისი სახლ-კარი არ უნახავს.

„მოხუცდიო, შენი მარტო დატოვება არ შეიძლებაო", - ჩაიბუტბუტებს ხოლმე უკმაყოფილოდ და ფიქრები ისევ თავისი მამულისაკენ გააქანებს.

„ღობეა შესაკეთებელი. ტყეში უნდა წავიდე, ბოძები მოვიტანო", - ფიქრობს და აი უკვე ტყეშია. ნაჯახს მარჯვედ ურტყამს ხის ძირს, ოფლით მთლად დასველდა, მაგრამ არ ისვენებს ხის წაქცევამდე. ხე წაიქცა. იგი წელში გაიმართა, ოფლიან შუბლზე ტყის მტვრით დაფარული მაჯა მოისვა და მოჭრილი ხის ძირას ჩამოჯდა. ყურძენიც მოკრიფა, საწნახელში თავისი დამჭკნარი ფეხებით დაჭყლიტა. საღამოს ვახშამი მოამზადა, „მარტო მაინც არ ვიყოო", - გაიფიქრა და ცრემლები წამოსცვივდა. შვილები და შვილიშვილები მრავლად ჰყავს, მაგრამ ყველანი ქალაქში არიან...

გაპარვაც კი გადაწყვიტა. „შვილებს ეწყინებაო" და ვერ გაბედა. უჭირდა, ძლიერ უჭირდა, მაგრამ მაინც იტანდა.

დღევანდელი დღის დაღამება რატომღაც ეჩქარებოდა, შვილები სოფელში წავიდნენ, ამბავს ჩამომიტანენო.

ვახშამზე, როგორც ყოველთვის, პირველი სადღეგრძელო რაჟდენ ბაბუასი იყო.

- ღობე თუ შეაკეთე, შვილო! - დაიწყო მოხუცმა.

- კი, მამი, ღობე ხომ წინა ჩამოსვლაზე, ერთი კვირით ადრე, შევაკეთე.

სიჩუმე გამეფდა. ბოლოს ისევ რაჟდენ ბაბუამ გააგრელა.

- ბიჭო, ჭიშკართან რომ ვაშლია, ახლა იქნება იგი კარგი, წამოგეღო, შენ რომ დაიბადე მაშინ დავრგე.

- ყველაფერი ჩამოვიტანე. სოფიკო, ბაბუას ვაშლი მოუტანე.

სოფიკო გავიდა და ვაშლი შემოიტანა. რაჟდენ ბაბუამ ჯაყვა ამოიღო, ვაშლი გათალა, ცოტა მოჭრა, დანის პირზე დადებული პირთან მიიტანა და გემო გაუსინჯა. გაფითრდა.

- ასეთი ვაშლი ჩემს ეზოში არ ხარობსო, მომატყუესო, - გმინავდა მისი ბებერი სხეული.

...და აი გამოჩნდა სოფელი ხრეითი.

რაჟდენ ბაბუა უახლოვდება თავის სახლს. შორიდან შეატყო ღობე დამპალიყო. „მომატყუეს გავაკეთეთო", - ხმამაღლა წარმოთქვა მოხუცმა და ჩამოვარდნაზე მყოფი ჭიშკარი ძლივს გააღო. სახლი შეათვალიერა. ბოლოს მზერა კიბეზე გადაიტანა.

*ლუარა სორდია*

## „საქართველოს ბერმუხაა ნუგზარ ნადარაია"

იგი დაიბადა 1945 წლის 26 თებერვალს ფოთში.

მეუღლე - მანანა ქორიძე, პროფესორი.

შვილი - ოთარი, მეცნიერ-ეკონომისტი. არჩეულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტად და ბანკის მუდმივი საბჭოს წევრად, ე. მ. დოქტორი.

მამა - ოთარ ალექსანდრეს ძე ნადარაია, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი.

დედა - რუსუდან ექვთიმეს ასული გველესიანი, სახალხო ექიმი. წარმატებით მონაწილეობდა კოლხეთში მალარიის დაავადების სალიკვიდაციო-პროფილაქტიკურ სახელმწიფო პროგრამაში.

განათლება - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1967); საქართველს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა (1970); აგრარულ უნივერსიტეტში სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

კარიერა - საქართველოს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების, ქიმიზაციის სამმართველოს უფროსი, საგეგმო-ეკონომიკური მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე; საქართველოს კპ ცკ ინსტრუქტორი, ინსპექტორი; კპ ხობის რაიკომის I მდივანი (1975-1986); კპ აჭარის საოლქო კომიტეტის II მდივანი (1986-1991); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს IX, X და XI მოწვევის დეპუტატი; საქართველოს პარლამენტის წევრი —1992-1995), მაჟორიტარი ხობიდან; საქართველოს პარლამენტში ფრაქცია „ნეიტრალების" და პოლიტიკური კავშირ „თანადგომის" შემქმნელი და თავმჯდომარე, პარლამენტის კოლეგიის წევრი; ფოთის მერი, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული (1995-1997); საქართველოს ეკონომიკის მინისტრიეს მოადგილე (1997-2000); ფაზისის საერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი 2001 წლიდან, თანაპრეზიდენტი 2009 წლიდან; ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხები"; სამეცნიერო ნაშრომებისა და ბიოგრაფიული წიგნის ავტორი; აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალერილ ცოტნე დადიანისა (1999) და გიორგი ჭყონდიდელის (2005) ქვეყნის, ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის მათ წმიდანებად კანონიზირები უზრუნველსაყოფად სახალხო მოძრაობის ინიციატორ-თაოსანი და უცვლელი თავმჯდომარე; ფოთში აღდგენილ სამეგრელოს ისტორიულ მოედანზე 1996 წელს საქართველოს ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმის ინიციატორ-თაოსანი; პარლამენტართა დარბაზის პრეზიდიუმის წევრი; ფაზისის ეპარქიის საეკლესიო საბჭოს წევრი; საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი სამეგრელოს მხარეში; სამეგრელოს გეოგრაფიული ატლასის სამეცნიერო საბჭოს, გაზეთების „ფაზისი", „დიოსკურია", „ნიკოლაძის გზით", „ქალდეა" სარედაქციო საბჭოს წევრი; საზოგადოებრივი მოძრაობა „ჭყონდიდელ-ცოტნეიდელის" (აღმსარებელნი მცნებისა უფლისა და დამდებელნი სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის) დამაარსებელი და უცვლელი თავმჯდომარე;ქართული თეატრის და ქართული სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი პირადი მნიშვნელოვანი წვლილისათვის (დასავლეთ საქართველოში თეატრონების, კულტურის სახლების, მუზეუმების, კულტურულ-სპორტული კომპლექსების, ოლიმპიური რეზერვების აუზის მშენებლობა) არჩეულია თეატრის მოღვაწეთა კავშირის ქართველ სპორცმენთა ლიგის საპატიო წევრად; საფრანგეთის ქალაქ აგდეს, ბულგარეთის ქალაქ ვარნასა და ფოთსა და ხობს შორის დამეგობრებისათვის მიღებული აქვს ამ ქალაქების ადგილობრივი მუნიციპალიტეტიების საპატიო დიპლომები; არცეულია უკრაინის ქალაქ გოროხოვოს, ლიტვის ქალაქ კრეტინგას, ხობის, იყალთოს, ჩარგლის, ფოთის, მარტვილის საპატიო მოქალაქედ. 2011 წელს არჩეულია ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად და აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

მისი სულიერი კრედო მიმტევებლობაა, უყვარს ყველა და ყველა პატივს ცემს მას. ბატონი ნუგზარ ნადარაია, ასრულებს საპატრიარქოს წარმომადგენელის საპატიო მოვალეობას სამეგრელოს მხარეში.

# პოეზია

***მიტროპოლიტი თადეოზი***
***(მირიან იორამაშვილი)***



## „წინაპრის ლოცვა ზეცას გახსნის უფლის განგებით...“

*განცდა დიდია ... სათქმელი - ბევრი ... მაქვს კი უფლება მასზე რაიმეს დაწერისა?!.*

*ზოგჯერ კალამი მდუმარებს, ზოგჯერ გულის ამოძახილს აყურადებს და ახმიანებს. მეც, ახლა, გულის ამოძახილით ვწერ...*

*ხელთ მიპყრია ლექსების პატარა კრებული წარწერით: „სახსოვრედ ჩემს სულიერ მეგობარს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, დაბადების დღის აღსანიშნავად ...“ მეგობარმა ჩემი საყვარელი მეუფის წიგნი მისაჩუქრა და ... როგორ გამახარა მაშინ ამ მოულოდნელმა სახსოვარმა.*

*წიგნის ყდას ფონად მწვანე ფერი უდევს, რომელსაც დიდებულად ერწყმის კრებულის ავტორის - მეუფე თადეოზის ფოტოსურათი. ჰო, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი თადეოზი (იორამაშვილი) ფოტოზე თავდახრილია, გონებით მაღლაა - ზეციერისაკენ. საოცრად ჩაფიქრებული სახე აქვს, თან - ბავშვური გულწრფელობა! რამდენი რამ იკითხება, გამოსჭვივის სათნოებით მოსილი, , ნაღვლიანი სახიდან, მეუფის იდუმალი მდუმარებიდან.*

*უცქერი კეთილსახოვანი ღვთისმსახურის ფოტოსურათს და მის მიმართ მოწიწებით, კდემით იმსჭვალები ... ხელთ ანთებული სანთელი უპყრია. ბუნჩულა თითები აქვს - ჩვენი უსაყვარლესი პატრიარქივით ... ვინ იცის რამდენჯერ აღპყრობილა ზეცისაკენ ლოცვით მისი გული და გონება, მისი თვალები, ხელები, თითები ...*

*უფლისა და მამულის,მოყვასისა და ყოველივე, ღვთისაგან შექმნილის უზადო სიყვარულითაა აღსავსე ლექსების პატარა კრებული. „შეხე შენს იარებს, რა გზებით იარე, მაინც არ გატყდი და სიმაღლეს ჩემობ, სიმღერით ირჩენდი ნახმლევ - ნატყვიარებს, იმედით ცოცხლობდი - მამულო ჩემო ...“ „წინაპრის ლოცვა ზეცას გახსნის უფლის განგებით ...“ ცვრიან ყვავილთა თრთიან წამწამები...“ „შენი ღიმილი სხივტკბილი მზეა, რომელიც ასე ათბობს სამყაროს ...“ „და ეს სასწაულთა შემქმნელი ღმერთი, მზით, ქათქათა თოვლს, ოქროდ სწურავდა...“ ეს მეუფის სულის ხმაა, ლექსებად ამოძახილი. კიდევ რამდენი მსგავსად ნასათუთები, მადლიან-სიყვარულიანი ნააზრევია, რამდენი ხატოვნად თქმული სტრიქონია პატარა კრებულში ...*

*მეუფე თადეოზს პირველად ცაკამკამა მხარეში, ხელმწიფური მთების გარემოცვაში, ფშავში - „ვაჟაობაზე“ შევხვდით. ზვიადი ბუნების ძალმოსილებას მისი მეუფება დიდ მადლს ჰფენდა. ერთი შეხედვით თავადაც ზვიადი და შეუვალი მეუფე უთბილეს, უსათნოეს ღვთისმსახურად მოგვევლინა.*

*ტკბილმოუბარმა მიტროპოლიტმა დიდი რწმენა და სიყვარული გვისაგზალა. მასთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადავიღეთ. მალე ჭიათურა-საჩხერის მწერალთა გაერთიანების ლიტერატურულ გაზეთ „საშევარდნოს“ ფურცელზე ერთი მნიშვნელოვანი ფოტო დაიბეჭდა, რომელზეც მეუფე თადეოზი ვაჟს სახლში გაზეთ „საშევარდნოს“ კითხულობს. ჩემთვის, როგორც ამ გაზეთის რედაქტორისათვის, ფოტოსურათს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს...*

*გულწრფელი ლოცვა განაბრწყინებს იბერიას . ბედკრული საქართველო ბევრჯერ დაუფარავს ჩვენი მოწამე წინაპრების მხურვალე ლაღადისს უფლისადმი. ამქვეყნიური სამყოფიდან, მამულის გადასარჩენად მუხლმოყრით მავედრებელთა ხმა წინაპრების ხმას შეერწყმება და როგორც მეუფე თადეოზი ერთ-ერთ ლექსში ბრძანებას: „ ლოცვა ზეცას გახსნის უფლის განგებით...“*

*განცდა დიდია, სათქმელი - კიდევ ბევრი... მქონდა კი რაიმეს დაწერის უფლება?! თუ რამ საჭიროებისამებრ ვერ აღმოვთქვი, შემინდეთ, მეუფეო, დაგვლოცეთ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, დალოცეთ თქვენთვის ესოდენ საყვარელი, ჩვენი მამული !!!*

***მაია ტყემალაძე***

## ციდან უფლის წყალობა მალე მოგვევლინება

თუ კეთილნი ვიქნებით, თუ განგებამ ინება,
უფლის მადლი, წყალობა მზეებრ მოგვევლინება, _
სხეულს ტანჯვა მოელის და სულს კი გაბრწყინება,
ქება, ქვეყნის გამჩენის, ნუდარ მოგვეწყინება
მივუტევოთ ერთმანეთს გულის ტკენა, წყინება,
გაზაფხულის ძალას ჰგავს სულის აღორძინება.
გაჰკვეთს რკინა-კლდეებსაც ჩვენი გულმოდგინება —
ავიტანოთ უფლისთვის ტანჯვა, დევნა, გინება,
სიმართლისთვის წამებულთ ელით შვება, ლხინება.
გზა-ბილიკებს ავიფრენთ, თუმც ჩანს მთაგრეხილებად,
სულის თვალი, მარადზე, როცა აგვეხილება,
კარგზე ქება მოგველის და ცოდვისთვის მხილება,
ყველაფერი გამოჩნდეს — ფიქრიც განიხილება,
ვიდრე ცის გზებს გაივლის, სული შიშით ილევა,
ღმერთმა კარი გვიჩვენა — წმინდანთ გამოცდილება.

* * *

*ტაო-კლარჯეთის სანახების მოხილვისას*
*ქართველი გლეხი კაცი ასე მღეროდა და*
*ლოცულობდა: “ღმერთო ბატონო, შენ შეგვიწყალე”...*

ღმერთო ბატონო, შენ შეგვიწყალე,
მოგვეც არსობის პური და წყალი,
შენ შეიწყალე ყველა საწყალი,
ვის კრძალვით შენსკენ ეჭიროს თვალი.
სიყვარულისა მოგვეცი ძალი,
შურის ეშმაკი დაეც მუხთალი,
დაღონებული და ცოდვით მკვდარი,
შენ აღადგინე ცის ნაპერწკალით.

## რწმენა მაცხოვრისა...

“მე ვარ ანი და მე ვარ ჰოე — ბრძანებს უფალი”
(წმინდა იოანეს გამოცხადებიდან)
შენი ტკბილი წყალობა
არ მოგვაკლო, უფალო...
მართალ რწმენის სიმაღლით
სულ გვამყოფე უბრალო...
მარადიულ გაზაფხულს
ცაში დაუვანია...
რწმენა მაცხოვარისა
სიცოცხლის ანბანია...
შევინანოთ ცოდვები,
გვირჩევს რაცხა ხანია...
ის არასდროს ძველდება —
მარად რაც ახალია...
ბოროტს რაც მიეზღვება,
გულის მოსაფხანია...
კეთილის ჯირს დასცვივა
ხან ვარდი და ხან ია...
ჯოჯოხეთურ ყოფისგან
დაგვიხსენი, მაღალო,
სიხარულო მოჰფინე,
დამძიმებულ სამყაროს.

* * *

ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო დიდო, ღმერთო მაღალო,
რომელმაც შექმენ ცა და მიწა, სრულად სამყარო,
შემიწყალებდე არა ღირსსა, შესაწყალებელს,
სული და ხორცი ჩემი ოდეს ერთურთს გაჰყარო...

* * * P

შენი შვილი ვარ, საწყალი,
ამ ცრუ სოფელში მყოფელი,
შენ დაგვიფარე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.
მე შენ მიყვარდე, ღირს ვიყო,
სხვა მარგალიტის მფლობელი,
შენ გაგვახარე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.
ვინ შეძლებს ღირსად გადიდოს,
თქვას ღირსი სამადლობელი?
შენ შეგვიწყალე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.
არ იკარგება სანთელი,
არც საკმელ-საგალობელი,
მადლი მოგვფინე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.

კეთილმორწმუნეს...
ღვთის მადლი და ღვთის კურთხევა,
იყოს შენზედ მარადა,
მშობელ ხალხის, მშობელ ერის,
ლოცვით გასახარადა.
ეს სოფელი წარმავალი
არ ჩასთვალო არადა,
ტკბილქართული სიტყვის მადლი,
გაქვნდეს მახვილ-ფარადა.
ცხოვრების გზის ქარტეხილზე,
მისცურავდე წყნარადა,-
წინ ნათელი მიგიძღოდეს
მზედ — სამოთხის კარადა...

* * *

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ-
ძალნი ცისანი — უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

## ყველა მოწყალეს...

ღმერთმა დაგლოცოს, კეთილო,
ღვთიური მადლის მთესავო,
ეგ მოწყალება დაგიხსნის
დიდი განკითხვის დღესაო.
ვაქებდეთ სამყაროს გამჩენს
მბრწყინავ სიმართლის მზესაო,
ვინაც დაბადა ქართველი
და ჩვენი სანათესაო.
თუმცა დღეს წამებულნი ვართ,
ნუ უხარია მტერსაო,
მოგვხედავს ქვეყის გამჩენი,
ვერ შეგვიცვლიან ფერსაო.
ვადიდოთ ჯვარი და ხატი,
ვიფიქროთ ერთურთზედაო,
ვინც აქ სიკეთეს დათესავს,
იქ გაუნათებს მზედაო.
სამშობლოს მომავლის აღზრდა,
გვერჩიოს ყველაფერსაო.

* * *

ღმერთო, გვიშველე, კვლავ აგვიშენე
სალოცავები შენი;
მამულის მტერი გადაგვიშენე —
შენ ხომ ყველაფერს შველი?!
არცა მოგვშლია, არც მოგვეშალოს,
ქვეყნად იმედი შენი.
1980წ. 20 მაისი.

* * *

უფლის კეთილმა თვალმა დაგვხედოს
და შეგვიწყალოს მუდამ,
უკვდავებაზე უფრო ლამაზი,
ნატვრა გულს რადად უნდა...
მშვენიერია ორივ სოფელი
თუ მწყალობელი გვწყალობს,
უმისოდ ყოფნა ჯოჯოხეთია,
ვიტანჯებით და ვწვალობთ.
უკეთუ ღმერთი მადლს მოგვანიჭებს,
წამების ჟამსაც ვხარობთ,

იგია ჩვენი გამხარებელი
და უკვდავების წყარო.
როგორ დამძიმდა წუთისოფელი,
ვეღარც ერთმანეთს ვბრალობთ,
ზრუნვამ დაღალა ადამის ძე და
უაზროდ დაუმცხრალობს.
ცაზე ვარსკვლავი აყვავებულა,
ბაღში ბულბული გალობს,
ცვარ-მარგალიტნი ყვავილს პირს ჰბანენ
და წყარო მოჩქრიალობს.
იქ კი სამოთხის შუქი იღვრება,
ნატვრა ზეცის კარს აღებს,
მადლი დაჰნათის ციურ სიმღერას,
და აყვავებულ ბაღებს.

* * *

ღმერთო, გვაშორე მტერობა
და ძმათა სიძულვილიო,
ნუ იზამს მაგას ქართველი,
მირონით აღბეჭდილიო.
გამოგვაფხიზლე, უფალო,
ღმერთო, გვაკმარე ძილიო,
ღმერთო, გახადე ქართველი,
ძველებრი მადლით ზრდილიო.
ღმერთო, გვაყვარე ნათელი,
ღმერთო, გვაშორე ჩრდილიო,
რომ შენს ნათელში წარმოვსდგეთ
სიკეთით განწმენდილიო.
ღმერთო, გვიმრავლე მოკეთე,
მტერი შორს გააცილეო.
ღმრთო, მოჰმადლე ქართველ ერს,
ორბებრივ სიყმაწვილეო.
გამოგვიშუქე მადლიდან
მარადი სინამდვილეო,
    გვიცოცხლე "მრავალჟამიერ"
ტკბილი "ნანა" და "ლილეო".

## მზეო სიხარულისავ!

მზეო, მოეფერე ყვავილს
და გააფერადე ნამი..
სიცოცხლე რომ კეთილი ჰყავი..
დე, სულ ასე იყოს. ამინ!

* * *

უფალს დიდება!
სული მშვიდდება,
გონი ბრწყინდება მეტად,
გული ხალისით ცად აფრინდება,
არ მოსწყინდება ქვრეტად.
გონების თვალი მიმოიხილავს
მშვენიერების წიაღს,
სად სურნელებად გაშლილ ვარდების
სამოთხის ქარნი ქრიან.
ამაოების დამტევებელო
ცად აღფრენილხარ, ხედავ?
სიცოცხლის ძალად გესალბუნება
შრიალ-შრიალი ხეთა.
იყავ მშვიდობით!
წა... სულდიდობით!
ხსნილიც გქონია გზები!
დასტოვე მიწა ლიქნის, ფლიდობის
მარადისობის ნებით.
შენი მამული ტკბილ-საამური
რჩება სამოთხის თვალად.
მასზე ფიქრები, როგორ იქნება-
ცაშიც მოგვყვება ვალად.
თუმცა აღსრულდა რაიც რამ გსურდა,
წარმავალია მაინც,
ჟამი გასრულდა ცად გარდასულთა
ჰანგი გიგალობს რაინდს.
ვერ ისასოო ქვეყნად სხვა უფრო,
შეგიწნარებდეს ცათა საუფლო,
დაღლილს, დამაშვრალს, გზა ხსნილს,
მიწის ტკივილით ცას ესაუბრო,
რადა ინატრო მეტად სხვა უფრო?
ცაზე ნურაფერს გაცვლი.
    1988 წ. 23 ივლისი

* * *

უფალი ყოველს მოგვკითხავს ტალანტს...
ვის რა შეგვეძლო და რა შევძელით...
იქ არ შეხვდები შურსა და დალატს,
სადაც სიცოცხლე არის დღეგრძელი.
ბედნიერი ხარ თუ გადაურჩი
ამაოების დამდუჰველ ჭიდილს,
თუ მოჩვენებითს, სამართლად ურჩი,
წარმავალობის აჩრდილად სთვლიდი.
შენ მარადიულს ელტვოდი მარად,
გკლავდა წყურვილი უცხოთ მიგნების,
ცად კითხულობდი ვარსკვლავთა ბარათს
და სადუმლოს ზეცის წიგნების.
აწ, უშფოთველად, იყავი წყნარად,
შენი საუნჯე შენთან იქნების..
შეგიწყალებენ სამოთხის კარად,
სად მზის ყვავილად გადაირგვები.

## მთები

მე ჩემი პაპის
პაპის პაპების,
პაპის პაპები
მგონია მთები..

* * *

საოცარია ლოცვის სურვილი
თუ სამშობლოზე გინდა ილოცო,
უმისოდ მოგკლავს ტრფობის წყურვილი,
უმისოდ ლექსი ვინ დაგილოცოს?
უმისოდ ტკბილი დედა ვინ იყოს?
მწვერვალზე როგორ შემოდგა ფეხი?
უმისოდ მიწამ ნუდარ მიგვიდოს,
უმისოდ თავზე დაგვემსხვრეს მეხი.
მსურდა ეს მეთქვა: მარად იყავთო!
ნუმც დაგმუქვრიათ წარღვნა აწ ნგრევით...
გედივით სერავს სივრცეს იყალთო,
სვეტიცხოველი, ჯვარი და გრემი.

## დალოცვილ იყოს დაუვალი მზის შარავანდი

დალოცვილ იყოს დაუვალი მზის შარავანდი,
აყვავებოდეს ლამაზ გზებზე ია და ვარდი,
ეზარდოს ლომნი, არწივული ექოს ნავარდი,
მშვიდობა ყველას — მამულის ბედს ვინც ღმერთს ავე-
დრებს!...
თავისუფლების ტკბილი ზარიც დარეკავს, ალბათ,
ვით წმინდა ჰაერს ვინატრით და ვისუნთქავთ ხარბად,
ცა აგვარიდებს ომს და სიკვდილს, ატომს და წყალბადს,
უფლის წყალობა მზედ მოდის და სიბნელეს კარგავს.
კურთხეულია, ვინც მადლის ხეს ნერგივით დარგავს,
ვის სულს სიკეთე სხივთა ჩქერის ნაკადით ქარგავს.

* * *

მოყვრისთვის ერთგულები ვართ,
მტრის - არ მიმცემი ზავისა,
მაღალი მთები დაგვყურებს,
დამქუხებელი ზვავისა.
"აქაც კი საქართველოა,
ყვავილი აქაც ყვავისა"...
ამოდენ ჭირთა მძლეველთა
რად გვეშინოდეს ავისა?
ჯიშიან ძუძუ ნაწოვთა,
იმედიც გვაქვის თავისა,
თუ მოდის მტერი თავხედი
ჭირად ამტეხი დავისა..
ცოცხალს ვინ მისცემს ამ მიწას
სამარედ ჰქონდეს თავისა...
კვლავად იცოდენ უგნურთა
არ ვართ უჯიშო გვარისა.

## იკორთა

შენს ჩუქურთმოვან სიმყუდროვეში
ლოცვა გაისმის დიდი წინაპრის,
კვლავაც იბრწყინებ ძველი დიდებით,
პირველქმნილობით ვითარ ბრწყინავდი.
ცად აღწევნილო უფლის ტაძარო,
ფერით მზიურო მწიფე ყანისა,
სული რომ სევდით არ დაიბზაროს,
მაღლი მოგვფინე ოქროს ხანისა.

* * *

სამშობლო, სამშობლო გახსოვდეთ,
სამშობლო გიყვარდეთ მარადის,
მის გულში მზის სხივებს აქსოვდეთ,
უმისოდ სიცოცხლე არა ღირს.
ვინც მისთვის დამეებს ათენებს,
მამულს ეგულება ფარად ის...
გვახსოვდეს სამშობლო ქართველებს,
სამშობლო გვახსოვდეს მარადის!...

## პირველი მზე – იერუსალიმი

სვეტიცხოველი — მეორე (იგივე) იერუსალიმისა
უფლის საკვირველი თაიგული,
კლდეთა კამარაში ჩადგმული..
სიცოცხლის სასწაულად დაიგულე,
სიცოცხლის გამჩენის დარგული.
სამოთხის სურნელად დამტკბარი,
სამოთხის სახე და სადარი...
სიცოცხლე თვით მკვდრეთით ადმდგარი.
მსგავსი ნეტარება სად არი?..
მიდიან ჟამნი და დროები...
დრუბელნი ცის კაბადონს ქარგავენ...
აქ გულით მოსულნი მლოცველნი
ცოდვებს და მწუხარებას კარგავენ...
იდიდოს სახელი უფლისა
მარადის!.. მარადის!.. მარადის!..
ნუდარ შეძრწუნდებით, ღვთის შვილნო,
თვით მწარე სიკვდილის კარამდის!..
ღედაა მფარველი მზეთა მზე
და მისგან სულ ნუგეშს მოველით...
აქედან ახარებს ზედაზენს
პირველი მზე — სვეტიცხოველი.
2008, 23 ნოემბერი, გიორგობა, იერუსალიმი

## მამულო

სხვა ზედაშე შენზე წმინდა
ქვეყნად მე არ მეგულება,
შენი ქვევრის ღვინო მინდა,
შენთვის სისხლით ერთგულება.
შენთვის მოვკვდე, სხვა რა მინდა,
ვერ გამოთქვამს ენა მწირი,
ვიყო შენი ზვარაკი და
ცრემლი წმინდად შესაწირი.
ვაზო, მარად მსხმოიარევ,
ვით სამოთხევ, ტკბილო არე,
რადად მინდა თავი ჩემი
თუ შენ ვედარ მოგიარე.
ცისკრის ფრთენი ფერად ფერებს,
აბრეშუმად მოგაფენენ,
მკვდრად სჯობს ყოფნა,
როგორც ღედას,
თუკი ვედარ მოგეფერე.
შენი ფესვი უძლეველო,
ზღვის სიმღერად ცისკენ მიდის,
მაღლი არსად დაგიკარგავს,
იბრძოდი თუ ყანას მკიდი.
უკვდავების გზასავალზე,
ღვთის იმედით იარ... მიდი...

* * *

გარდასულ დღეებს
გადაფრენილ ფრინველებს ვადრი,
მაისის ვარდებს
სურნელივით შემოჰყვა მაღლი,
მზეა და ცაზე მთვარე ბრწყინავს —
ყვითელი ვარდი —
ვიცი, მამულის ცის და მიწის
სიცოცხლის ყადრი.

## სამშობლოსადმი

დაე, შენ იყავ, იყავ მიზეზი,
ჩემი სიმღერის, ტკბილო მამულო,
გრძნობები წმინდა, უფაქიზესი,
ისევ და ისევ მსურს გაგიმხილო.
შენს მკერდზე დაქრის ჩემი ოცნება,
ხან რომ თამამად ზეცის კარს აღებს,
ხან იაიებს ეალერსება,
ხანაც ნაყოფით დატვირთულ ბაღებს.
ერთ და იმავ დროს, საოცარია,
ტყემალი თოვს და ივნის ატამი,
შენს მკერდს, ნოყიერს, ცისკრის ცვარიანს,
ცისარტყელები ნაზად ხატავენ.
ვარ შენი მიწის ერთი სანთელი,
ციცინათელად მკერდს გეკონები,
მსურს ჩუმად გითხრა ჩემი სათქმელი,
ნააარნახევი გულის, გონების.
დავკოცნი კორდზე ამოსულ იას,
დავკოცნი ვარდებს, შროშანს, ზამბახებს
და ვით ქალწულის ღიმილი მორცხვი
მათი შეხედვაც ამაცახცახებს.
ვილი, ამ გზაზე, მზისკენ რომ მიდის
და შევქმნი იმას, რასაც შევიძლებ...
და მეყვარება სიცოცხლე დიდი
და მეყვარება მუდამ შენი მზე.

*დავით შემოქმედელი*

## ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ

რას მეტყვი, მამავ?! ვერ დავასრულე
წუთისოფელთან ჩემი წაწწალი,
გეზი აუცდა ამ გზებს საუღლეს,
ჯიბრში მყავს ჯიქურ ბედი წაწალი.
რაც ვიცოდვილე, წრიალებს სულში
სულ ამიწეწა ფიქრის სამანი,
ვერ ჩავრგე ნერგი ზესიყვარულში,
ვერ ვამზეურე იასამანი.
მამავ, იქნება, ეს გზაც ნისლია,
და მირაჟ – მირაჟ დავალ ცეცხებით,
სანთლების შუქზე ლურჯი ბიბლია,
თითქოს ცის შემთბარ სამოსს ვეხები.
სხივი ცას მკრთალი სხივით ლამბავდა.
სწუხდნენ ქარები, ნელი თუ მალი,
და თავქვე მედო უფლის ლაბადა,
მიწა მზის თბილი თავსასთუმალი.
დავდივარ ასე სულის ხსნისათვის,
სიტყვების ზვავის დამატყდა თქეში,
და ერთი ციდა სტრიქონისათვის,
რამდენი ღამე ჩამადნა ხელში.
ხანდახან თითქოს სივრცე-მანძილი,
წამში ჩემ თვალწინ უხმოდ დამთავრდა,
რას მეტყვი, მამავ?! როცა დაღლილი,
სულს ძლივს ვიბრუნებ დედის საფლავთან...
გახიდული ვარ, ცხოვრების ჯვარზე,
ხორცით ვცოდებ და ლექსით ვმარხულობ,
ჩემი ხმა ჩიტსაც არ ესმის გზაზე,
მაშ, სტრიქონ-ხილვებს რისთვის ვნახულობ?...
ახლა ცრემლ-ყინულ ბილიკზე დავალ,
ვით სხივი ბინდში ნაფერკმთალები,
და გზას ცისკრისკენ მიკვალავს, მამავ,
იესოს თბილი ნატერფალები...

## ᲛᲐᲛᲔᲚᲣᲙᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘ

მიზგითის სტავრა, აბრეშუმის დიბა და ფარჩი,
ჩემ წინ ირანის უსასრულო დიდი მდელოა,
ვარ უცხო მიწის  მსახური და მამულთან ვალში,
ყველაზე ტკბილი მაინც ჩემი საქართველოა.
ვიშნუ და შივა, ზარათუსტრა, ქერუბიმები,
სიცოცხლე მართლაც გასატანი რწმენით ლელოა,
მე ჩემი ჯვარი ილორის და თეთრი გიორგი,
ყველაზე წმინდა მაინც ჩემი საქართველოა!...

## ᲞᲝᲔᲢᲘ

ბწკარები ცრემლის მძივებად თოვდა,
რითმების მღვრიე ღარში დამფლავი,
ლექსი ზოგისთვის ძეგლი იყო და
ზოგისთვის — საძმო მცირე საფლავი.

მე კი რა სნება ამიტყდა შარზე,
სიტყვებით ბლანდვას რომ ვერ ვეხსნები,
დიდბატონების ცრუ კარნავალზე
დავდივარ ჩემი დარდი-ლექსებით.

სტრიქონის შუბი მეპყრა საომრად,
ფარას რომ ფარად იფარებს მწყემსი,
წყევლა იყო თუ უფლის დალოცვა,
სულში რომ ჩადნა პირველი ლექსი.

ჩამოისამხრეს ნისლებმა ახლო,
როცა ცას პირველ სტრიქონს ვპარავდი
და ლეგაქულა ლექსსამოსახლო
მეტაფორების მედგა კარავი.

ბავშვმაც ვიცოდი სისხლს რა ნდომია,
პარნასის კართან ფრთით ასატანი,
რომ პოეზიაც თურმე ომია,
დიდგორის დარად გადასატანი!...

***

შენ არ იყავი მბზინვარე დარბაზს
აკლდა შენი ხმა, სათნო იერი,
და თუმცა ლექსი წვიმდა დარბაზში,
მაინც არ მერქვა მე ბედნიერი.

რაც თავი მახსოვს შენ სულ მიდიხარ,
და თითქოს სულზე ქუსლით მაბიჯებ,
და ისე მივალ ამ ცრუ სოფლიდან,
რომ შენში ქალი ვერ გავაღვიძე.

ყველა ცოდვილზე მე უფრო ცოდვილს
მრევდა რაც ვნების მწველი მეხია,
რომ შენი კაბა შენს თეთრ გულმკერდზე,
თეთრ ნაფლეთებად გადამეხია.

ზოგჯერ თუ ეშმა შენც გაცდუნებდა,
ტაძარში ერთი ლოცვაც გშველოდა,
შენ არ გაზრდილხარ ამ ცივ ქალაქში,
შენ მოსული ხარ სოფლის მდელოდან.

ბათუმი...პორტი... ლიმუზინები...
და ვნებით მზერა მთვრალი კაცების,
შამპანურების დაღვრილი ქაფი,
ბროლის ჭაღები და დარბაზები.

არის ეგ მართლა შენი ცხოვრება?!
თუ სული ღამით ჩუმად იტირებს,
ულვთოდ ნაცემი პატიოსნება,
ზის და ბეთლემის ლოდთან ქვითინებს.

მწუხრის ლოცვა და მდუმარე მუზა
დამიბრუნდიო გევედრებიან,
და სოფლის მინდვრის ლორთქო იები,
ლარნაკში უწყლოდ როგორ კვდებიან.

როგორ დაძრწიან ახლა ქალაქში,
უსახური და მღვრიე ჩრდილები,
და ჩვენი გზებიც შორდება როგორ
გაჩენის დღიდან გაყოფილები.

ამდენ ჯგლეთაში შენც დაიღლები,
თუ წყება ჟანგთა სულს მოესია,
და ერთხელ მართლა მოგენატრება
ბეთლემის ღამე  და პოეზია.

ეს ყოფა მღვრიე მორევი ცოდვის,
სევდაა მხოლოდ ამაოების,
შენა ხარ ქალი, მუზაც და ვნებაც
და ჯილდო ჩემი მკვდარი დღეების...

***ამირან შალიკაშვილი***

*(თბილისის პანტონიმას თეატრის დირექტორი, მსახიობი)*



არ გათავდა ზამთარი
გაზაფხული არ მოდის,
ზამთრის სევდა ბოგინობს
სულში ქარი შემოდის.
ჭრელა-ჭრულა პეპელა
ბუჩქიდან ვერ ამოდის,
ენძელას და გვირილას
თვალთ ცრემლები ჩამოსდის.
აგვიანებს სიცოცხლე
სულიერი სამოთხის,
თებერვალი გავიდა
გაზაფხული არ მოდის,
მარტმა შემოუბერა
ძროხა ბლავის რა მოსდის.
ბალახს უჭირს ძალიან
მიწიდან ვერ ამოდის.
მზის სხივები ჩამქრალა
ღრუბლიდან ვერ გამოდის.
დაუკარგავს იმედი
ხვალინდელი ცხოვრების,
ეს აპრილიც მოვიდა
დრო დროულად შემოდის,
მაგრამ ეს გაზაფხული
აგვიანებს არ მოდის.

* * *

მე შენ მიყვარხარ ისე,
როგორც ცისფერი ზღვა,
მე შენ მიყვარხარ ისე,
როგორც უძირო ცა,
მე შენ მიყვარხარ ისე,
როგორც რა ვიცი რა.
მე შენ მიყვარხარ ისე,
როგორც ბულბულის ხმა,
მე შენ მიყვარხარ ისე,
როგორც ეს გული ძგერს.
მე შენ მიყვარხარ ისე,
როგორც სიმღერა „ერთს“
მე შენ მიყვარხარ ისე,
როგორც იმ „ცისა ფერს“
მე შენ მიყვარხარ ისე,
როგორც უყვარხარ ღმერთს,
მე შენ მიყვარხარ ამით,
მტრობას ვერ უწევ მტერს.
ყველგან სიკეთეს ვთესავ,
გული სიკეთით ჟღერს,

ოცნება მიმაქანებს,
ოცნება ცაში ფრენს,
ღმერთო ნუ გამითენებ
უსიყვარულოდ დღეს!

* * *

ბათუმში წვიმს,
ბათუმში თოვს,
ბათუმი წარსულ,
ოცნებას მთხოვს.
ბათუმის მზე და
ბათუმის ზღვა
წასულა ჩემგან
ძალიან შორს.
ბათუმის ღამე,
ბათუმის ზეცა,
ბათუმი სულის
სიმღერად მექცა.
მინდოდა სიტყვა
ბათუმზე მეთქვა,
ვიღაც ბათუმზე
სიმღერას სწერდა,
ბათუმში დარჩა
ოცნება ჩემი,
ზღვისა და ცისა
ნამღერი ფერი,
საოცრებათა
გადამრჩენელი
ბათუმი არის
ედემი ვრცელი.
ბათუმში მოდის
ოცნების გემი,
გემს ალამაზებს
ცის ცისარტყელი.
ბათუმი ცოცხლობს
ზღვის ზღვისა ფერით
ბათუმში დადის
ოცნება ჩემი
ბათუმში წვიმს,
ბათუმში თოვს,
ბათუმი წარსულ,
ოცნებას მთხოვს.
ბათუმის მზე და
ბათუმის ზღვა
წასულა ჩემგან
ძალიან შორს.

მოვიშორე ის,
შევიყვარე ეს,
როგორ შევხვდე იქ
სიყვარულის ღმერთს.
მოგიშორე შენ,
მოვეფერე მას,
უნდა ვულალატო
ყველა ლამაზ ქალს.
ღმერთო, დაიფარე
ვისაც ერთი სწამს,
ერთგულება ერთის
წაუღია ქარს.
ეს ლამაზი ზეცა
მრავალ ფერში სჩანს,
ერთი ქალი როგორ
დაამშვენებს კაცს,
ღმერთო, შემახვედრე
ქვეყნად მრავალ ქალს,
მარად ამღერებულ
ყვავილების ზღვას.

მე ყოველ წამს ვხვდები
ფერიცვალებას.
მრავალ ფერში ვხედავ
მზეს ცით ამოსვლას,
მთა-ბარს ამწვანებს,
ფერთა ფერში ცვლას,
ერთი არაფერი
ქვეყნად არა მწამს.
მრავალ შვილთაშვილებს
დავულოცავ გზას,
ამდენ სილამაზეს
როგორ მოსწყვეტ თვალს.
ჩემს გულს მრავალ ქალის
უბედობა ჰკლავს.
რა ვქნა, სიყვარული
მრავალ ქალის მწამს,
ქალი დამილოცეთ,
კაცის გულს ვინც ჰკლავს...
მოგიშორე შენ,
მოვეფერე მას,
უნდა უღალატო
ყველა ლამაზ ქალს.

* * *

*ქალბატონ მარინა თბილელს*

სულო ატირდი, ატირდი,
ცრემლებო, ტკივილს ჩაბარდი,
ჩემო ლამაზო მზეთამზევ,
მუდამ ქალღმერთად გსახავდი.
დღეს ჩვენ სულიდან გაბრძანდი,
ალბათ ყვავილებს ჩაბარდი,
აქ ვარდებს ედარებოდი,
იქაც ვარდებად გამრავლდი.

* * *

მატარებელი მიდის, ხმაურობს,
აწყობილ რიტმში ცეკვა მინდება,
სიამოვნებით შენთან ვიცეკვებ
ასე ჩამძახეს ჩემმა ფიქრებმა,
მატარებელმა მთები დალაშქრა,
ჩამოიტოვა მწვანე მინდვრები.
ვიცი უფრთებოდ სადღაც მივფრინავ...
სივრცეს მიჰყვება ჩემი ფიქრები.
მატარებელი გვირაბს მიაპობს
უკან რჩებიან მთები ნისლები,
შენთან მოფრინავ მთელი არსებით,
წიფის გვირაბს არ შევუშინდები,
მატარებელი გამითამამდა,
უკან რჩებიან მთები, ნისლები,
ყველა ხეს და ბუჩქს ვემშვიდობები,
მემშვიდობება ხმათა რიტმები,
მატარებელი მიდის, ხმაურობს,
აწყობილ რიტმში ცეკვა მინდება,
სიამოვნებით შენთან ვიცეკვებ,
ასე ჩამძახეს ჩემმა ფიქრაბმა.

* * *

თოვლი, თოვლი, თოვლი,
თოვლი, თეთრი თოვლი,
თოვლი უთოვია,-
თეთრად თეთრი ბროლი.
თოვლმა ჩამოთოვა
მოუთოვარ თოვლში,
ჩემო თეთრო თოვლო,
თეთრად ციდან თოვდი.
ღმერთო დამილოცე
თეთრად თოვლის თოვა,
რა კარგია თოვლმა
წელს რომ შემომთოვა.

თეთრი თოვლის თოვამ
რომ არ მიმატოვა,
თოვლის თეთრი ფიფქი
ფანჯრებს მიათოვა.
იმ ცისფერმა ზეცამ
თეთრად ჩამოთოვა,
თოვლმა თეთრი კაბით
ჩამს წინ ჩაიქროლა.

* * *

გახსოვს, გახსოვს, ვთამაშობდით
ნეტავ ის დრო სად არის.
მე წითელი ვაშლი მქონდა
ვმალე, ფაფუ, სად არის!
ვერ იპოვე და ცრემლები
წამოგცვივდა ბავშვივით...
დაგანახე, კვლავ დავმალე,
ფაფუ, მითხარ – სად არის.
ბავშვებივით ვთამაშობდით,
ბავშურ გრძნობით გეტრფოდი.
გახსოვს, სახეს გიკოცნიდი
და ბუჩქს ვეფარებოდით.
გავა დრო და დავბერდებით,
ვიტყვით, დღენი სად გარბის,
ცხოვრებაც ხომ თამაშია
ფაფუ, მითხარ სად არის.

* * *

სიბნელეს აპობდა სანთლების შუქი,
ზამბახებს არხევდა ტანჯული ქარი.
იდგა და ტიროდა, იდგა და ტიროდა,
შავებში ჩაცმული მწუხარე ქალი.
საფლავს დასტიროდა, საფლავიც ტიროდა
გლოვობდა ცხოვრებას ბნელეთი მწყრალი.
ყველა ტანჯული იმ ქალს დასტიროდა,
სტიროდა შავებში ჩაცმული ქალი.
სიბნელეს აპობდა სანთლების შუქი.
თავაწყვეტილი დაჰქროდა ქარი,
იდგა და ტიროდა, ცხოვრება ტანჯული
და მასთან ცრემლს ღვრიდა მწუხარე ქალი...

* * *

ღმერთო, ეს გოგო მიცოცხლე,
როგორც ვარსკვლავი ცისაო,
ღმერთო ეს გოგო დალოცე,
როგორც ნათება მზისაო...
ღმერთო ეს გოგო აფრინე,

როგორც ხოხობი ტყისაო,
ღმერთო ეს გოგო მაჩუქე.
ვითარცა სხივი მზისაო.

* * *

ისევ მოვა გაზაფხული,
წავა ცივი ქარები,
ისევ იმას შევიყვარებ,
ვისაც მე ვეყვარები
ისევ მოვა სიყვარული,
წავა ტანჯვის წამები,
ხელს გავუწვდი ისევ იმას,
ვისაც მე ვებრალები,
ისევ ისე სილამაზე

გულში შემოიჭრება,
გუშინდელი მწუხარება
ვიცი, დამავიწყდება,
ახალ ჰანგებს ცისაფერი
უკრავს როგორც მოცარტი.
ისევ იმას ვადღეგრძელებ,
ვისაც ადრე ვლოცავდი.
ისევ მოვა გაზაფხული.
წავა ცივი ქარები,
ისევ იმას შევიყვარებ,
ვისაც მე ვეყვარები.

* * *

რა უდროოდ დაიკარგა ის,
ზარი რეკავს, ეჩხუბება სულს,
აღარ მაცლის სიყვარული ძილს,
ისევ ვიღაც შეაწუხებს გულს.
მოვალ შენთან და მოვიყრი მუხლს,
გავიხსენებ წასულ გაზაფხულს,
მზისგან ტბები ხურდება და დუღს.
წუხს ვიღაცა ამ სხეულში, წუხს,
მე მივყვები წეროების გუნდს,
გაფრენაში ვითვლი წამს და წუთს,
მოვალ შენთან და მოვიხრი მუხლს,
წუხს ვიღაცა ამ სხეულში, წუხს...

***

არა, არ მოვალ შენთან იცოდე,
თუ ღამის წყევლას
გზად დამახვედრებ,
ჩემი გულის თქმა არ შეიცოდე
არცერთი ლოცვის სანთელს
არ ვანთებ.
არ მოვალ შენთან, ღმერთო,
შეგცოდე,
გატანჯულ დღეებს
წვიმას მივართმევ.
ისე ვიცხოვრე, მზეს ვერ
ვაკოცე,
დავდივარ უხმო სხეულს
დავათრევ
13.06.12.

***

შემოვეხვევი ამ ბალახებს
წვიმის ცრემლებით,
ეს ყველაფერი გულს ახარებს
ხელის შეხებით,
ხელის შეხებით, განშორებით
გაივლის ღამე,
ღამე ცრემლებით...
გაივლის ღამე ერთი
შეხვედრის,
ეს გაზაფხული შავი
მერცხლებით,
გაივლის ღამე, ლოცვით
ვედრებით,
დარჩება მთვარე ღამის ცრემლებით.
12.06.12.

***

გაფრინდა მერცხალი,
გაფრინდა შორს,
მე გამწირავს ეს ნავი
ნავი უსწრებს დროს.
ღამის მთვარე დამთვრალი
წვიმის წვეთებს სწოვს,
ზღვა არ არის მართალი
ნავი მიჰყავს შორს.
ფრთების მესმის ფართხალი
ქსოვს ფრთები ცას ქსოვს,
ზღვა არ არის მართალი
ნავი მიჰყავს შორს.
28.06.12.

* * *

ჩემს ფანჯარაზე ზის თეთრი
მტრედი
მტრედს ვეკითხები, მტრედო
რა გინდა?
თეთრია თეთრი სითეთრის
ფერი
ვაღებ ფანჯარას, მტრედი
გაფრინდა.
ცამ შეიცვალა სილურჯის
ფერი,
ცაზე სითეთრე თეთრად
გამეფდა,
იმ მტრედს ვერაფრით ვერ
ვახლე ხელი
სითეთრის ფრთებით სადღაც
გაფრინდა.
29.06.12.

***

ცის სილურჯე გამეფდა
ფრინავს ლურჯი ფერები,
ხეზე ჩიტი ჩამოჯდა
მას ვერ სწვდება ხელები.
ოცნებაო რა გინდა,
გულში რას იხედები?
ლურჯი ფერი მოფრინდა
მიაქვს თვალის ცრემლები.
თეთრი ფიქრი მათოვდა,
სახლში თეთრი შევედი,
სიყვარული გათხოვდა
თვალის ცრემლს ვეფერები.
29.06.12.

***

რას დავეძებ არ ვიცი
დასაკარგი დავკარგე,
სიყვარული გავეცი
ყანწი ვსვი ვერ დავცალე.
სად მივედი არ ვიცი
მზეო ტანზე გამხადე,
ამ ქვეყნიდან გავედი
იქ სიცოცხლე მაცალე.
რბენით ქვაზე დავეცი
ცავ მზე გადამაფარე,
რას დავეძებ? არ ვიცი!
დასაკარგი დავკარგე.
29.06.12.

***

არად მაგდებ, არადა,
დავრჩი ჩალის ფასადა,
არ დამინდო ცის სიმღერამ
ცისად.
ეშხის თვალი მფარავდა

ზაფხულობით, ზამთრადა,
გაზაფხული დადიოდა
ცრემლით.
მზე მზის სხივებს
ქარგავდა,
თვალი ცრემლებს მალავდა,
გულში ცეცხლი დანთებული
ცეცხლი.
ღამის კოცნა დამთავრდა
ეშხმა შეითამაშა,
ვიცი, ვცოცხლობ შენთვის,
მხოლოდ შენთვის
ავადა ხარ ავადა,
დღეს გამიხდი დარდადა,
ლოცვით შევალ სამებაში
შენთვის.
ეს დღე დარჩეს შავადა,
მე ზღვას გავყვე დარდადა
ცრემლის წვიმა მაწვიმს
ციდან ჩემთვის,
ქარიშხალი ავარდა,
გული ცრემლში ჩავარდა,
გასკდა მკერდი მას
დაეცა მეხი.
შავი დარჩა შავადა,
გაზაფხულს მზე მალავდა,
მე ჩემს სათქმელს
ყვავილებთან გეტყვი,
არად მაგდებ არადა
დავრჩი ჩალის ფასადა,
არ დამინდო ცის სიმღერამ
ცისად.
ეშხის თვალი მფარავდა
ზაფხულობით, ზამთრადა
დადიოდა გაზაფხული
ცრემლით.
26.06.12.

***

არ შემადაროთ იმას,
არ შემადაროთ ამას,
არ შემადაროდ წვიმას
არც უსასრულო ზღაპარს,
არ შემადაროთ ხილვას,
არც შემოვარდნილ წარღვნას,
იმას დავეძებ იმას
გულმა სხვა რამე რა ქნას.
თვალის ხილვები ვინ თქვას?
ვინ ესაუბროს ცივ ქვას
რა ქნას ამ გულმა რა ქნას,
რა თქვას ფიქრებმა რა თქვას?
არ შემადაროთ იმას,
არ შემადაროთ ამას,
არ შემადაროთ წვიმას,
არ შემადაროთ ზღაპარს.
12.06.12.

***

უნდა დაბრუნდეს

უნდა დაბრუნდეს გაზაფხული
იებით,
ლამაზი მთვარე, ვარსკვლავებით,
ღამის სიზმრებით,
უნდა დაბრუნდეს შემოდგომა
შავი მაყვლებით,
მზის ნაყანები მშვიდი
სიო
ოქროს ყანებით.
უნდა დაბრუნდეს სიყვარული
შენი თვალებით,
ცისფერ თვალებით, ცის
სილურჯით,
ვნების ქარებით,
უნდა დაბრუნდეს სილამაზე
თეთრი ვარდებით,
უნდა დაბრუნდეს
ყველაფერი წუთით, წამებით.
09.06.12.

* * *

ჩოქვით შემოვივლი
მობიბინე მდელოს,
მიწას დავუკოცნი
ლამაზ საქართველოს.
მზეს შევეხვეწები
არ დამიზროს ახო,
ღმერთის ნაჩუქარი
მიწა შემინახოს.
ია, ენძელები
ყველგან გამიმრავლოს,
რომ შვილებმა ჩვენმა
გულით გაიხარონ.
ღმერთო, ნუ მომიკლავ
იმ გაჩენილ ნაყოფს,
შანთით ნუ ამოწვავ
იმ გასაჩენ საშოს.
ჩოქვით შემოვივლი
მობიბინე მდელოს,
მიწას დავუკოცნი
ლამაზ საქართველოს.

*თამარ ჯაჭვაძე*

## და გაშინებდეს საქართველოს გადაშენება

დაკარგულია ენა, რწმენა და აფხაზეთი,
რამდენ მეგობარს ერის სული გაუროზგია...
სხვას კი არაფერს იტაცებდნენ შაჰ-აბასები,
სხვას კი არაფერს გიშავებდა დედა როსია!
წიგნში ია და წიქარები ველარ ხარობენ,
"აზბუკაზე" თუ "ჰედვეიზე" ვცვლით
"დედა ენას",
სხვას კი არაფერს გიძარცვავდნენ
ჩინგიზ-ხანები,
სხვას კი არაფერს გიკრძალავდა
მაჰმადის რწმენა.
სამყაროს ფარად, საქართველო
უფალს ენება,
სამოთხის ნაკრძალს შეატოვა

ჯიში ენდემად,
თუ ქართულ ენას უწერია გადაშენება,
დედამიწაზე სიყვარული გადაშენდება!
ხელს ვინც ახლებდა, ოდითგანვე,
წმინდა სამანებს,
ნადგურდებოდა, კვლავ ვისი მზე ჩაესვენება?
გიჟო მსოფლიო, შეინახე უფლის სავანე
და გაშინებდეს საქართველოს გადაშენება!

## უსაქართველო

რად გინდა გული თუ არ დაიწვა,
თუ არ იქცევა ცრემლი ნუგეშად,
რაა პოეტი თუ არ ეწამა,
გაფრენილ რითმას ვინ დაუგეშავს.
როგორ იცოცხლო, თუ შენი ვაზი
გადაეხვია ვიღაცის ჭიგოს,
თუ გადამთიელს უნდა ეღრიჯო,
რომ სამაჩაბლოს კარი გაგიღოს.
შერცხვეს აფხაზო შენი კაცობა,
თუ დედის ტანჯვას გინდა უყურო,
თუ ნაზიბროლას შენივე ნებით
გაათელინებ ვიღაც ურჯულოს.
ადე, ზამთარმა გადაიარა,
შენს საგოდებელს სხვა ვინ მიხედავს,
მარტო ძმას, მამას და შვილს კი არა,
გიკლავენ ჯიშს და გიკლავენ რწმენას.
ფეხადგმულ ხეებს ფესვი უხმებათ,
რამდენი მხარე უნდა გათელო?!
არ მიყვარს მთები უნისლებო და
ქართველი კაცი — უსაქართველო!

## რამდენი ნაბდის გაშლა დარჩა

მოგივლენ ნაჩეხი მამულიშვილები
და ვერ გაგიმხელენ მთავარს...
რამდენი ნაბდის გაშლა დარჩა
შენი საქართველო თამარ!
იცი, ერმა “თავი ისახელა”
ძმათა სისხლისღვრით და დავით.
რამდენი ჩოხის სიგრძე დარჩა
შენი საქართველო დავით?!
სხვათა სამშობლოში გახვეწილი
გული უმამულოდ შფოთავს,
რამდენი კალმის მოსმა დარჩა
შენი ვეფხისტყავი შოთა?!
ქართულ მიწაშიაც ვერ ისვენებ,
ისევ ქართულ მიწას ნატრობ,
რამდენი ფლოქვის დაკვრა დარჩა
საბარათიანო, ტატო?!
ლაშარის გორიდან მეც გადმომახედე
ლუხუმ... შეისმინე აჯა...
რამდენი ლოდის გაკვრა დარჩა
შენი მთა და ბარი ვაჟა?!
რაიც დაგვიტოვე, სულ გავანიავეთ
ჩვენი უმწიფარი თავით,
ორიოდე ნაბდის გაშლა დარჩა
დიდი საქართველო, დავით!

## მინდა ცუდად ვიყო

ისე მენატრებიიი,
როგორ შეიძლება შემხვდე სადმე!
ისე ლამაზად წვიიიმს,
ახლა როგორ უნდა გადაიღოს!
ისე შეგიყვარე,
მინდა აგიყვანო მეცხრე ცამდე,
მომაკვდავ სამშობლოში
როგორ შეიძლება პოეტი კარგად იყოს?!
სულ მენატრებოდეს შენზე
მინდა ჩუმი ჩაფიქრება,
მინდა მოდიოდეს
მუდამ ასე ნაზი წვიმა,
მინდა სულ მიყვარდეს,
ოღონდ სულერთია ვინ იქნება,
მინდა ცუდად ვიყო,
როცა საქართველოს ეტირება.

---

*ეთერი ხეთერელი*

## ნატვრა

(გალაკტიონ ტაბიძეს)
ვიღაცას რომ მოესროლა
ის წუთები კარში,
ვიღაცა რომ შეხვედროდა
„გამზადებულს “ გზაში,
ალბათ აღარ შედგებოდა
ის გაფრენა ცაში,
ალბათ არ გადატყდებოდა
ის ლერწამი ქარში.
2011.

## ყოველ გაზაფხულს

*წმინდა ნინოს*

ყოველ გაზახფულს თავფარავანთან
რა გულისძგერით გელი !
ჰოი, როგორ მტკივა მაყვლით
შენი გაკაწრული ხელი.
როგორ დაგვიწერე, ალვისტანავ !
ის სასწაული პოემა,
რა ძალა გქონდა უმწეოს, ასეთი,
ვეფხვს რომ შეგადარა პოეტმა !
მაგრამ, ეს რა ვსთქვი, წმიდაო !
უმეწოვ, მხოლოდ წამით,
რამდენი მწვერვალი დაიპყარ,
შენი თმით შეკრულ ჯვარით !
ამ ჯვარზე ვარფავთ რახანია,
მწარე ფიქრების გორგალს,
ის ხმაც ორლესული ხმალია,
შენ რომ დაუწმინდე გოგლას.
რახანია მკვიდრად თავს ვაფარებთ
შენგან დალოცვილ კარავს,
გვაჟრჟოლებს, ნინო, სტრიქონები,
შენ რომ დაუმშვენე ანას.
ამ გაზაფხულზეც თავფარავანთან
რა გულისძგერით გელით !
გვტკივა, დღესაც გვტკივა მაყვლით
შენი გაკაწრული ხელი.
2012

*მაია რაზმაძე*

ლექსი სულეთის ბინადარია
მანავში ღვინომ რად გადაგვრია,
ან ქართლში ატმებს რატომ ვეომეთ,
ლექსი სულეთის ბინადარია,
ასიათასჯერ გავიმეორებ.
თუ პოეზიის დაგვწვა ალმურმა,
მაშ გოგლას ღვინოს რაღად ვაბრალებთ?
დღეს დაგვიარა ძარღვში დავლურმა,
შუამთის ქვევრებს გადამაბარეთ.
გადამაფარეთ ივრის ხეობებს,
სად ბერიკოებს შემოვეყრებით,
თუ ამიტანენ სასაკლაოზე,
იის კონებად ხომ დამეყრებით?!
მე პოეზიის დამწვა ალმურმა,
წელზე მარტყია ეკლის ქამარი,
სიყვარულის გზაც თუკი გამრუდდა,
ნუღარ წამიყვანთ ლექსის მაყარში.

* * *

დეკემბრის ღამეებს ვითვლიდი თითებზე,
მსუსხავდნენ შეშლილი, ბებერი ქარები,
არნახულ ციხეებს ვაგებდი კირ-ქვებზე,
ვლეწავდი ვარსკვლავებს მითიურ ხარებით.
კვნესოდა სიონთან რიგი მათხოვრების,
რეკდა გამალებით სამრეკლოს ზარები,
იყო გოდება და გმობა ამ ცხოვრების,
დუღდა ჯოჯოხეთი სამოთხის კარებში.
გზაწვრილებს რარიგად ავუყვეთ აღმართზე,
ტანზე მეტმასნება ალი და მაწვალებს,
სული დამელია ლოდინის ლამპარზე
და შხამით ავსილი ფიალა დავცალე.
დეკემბრის ღამეებს ვითვლიდი თითებზე,
მსუსხავდნენ შეშლილი, ბებერი ქარები,
არნახულ ციხეებს ვაგებდი კირ-ქვებზე,
ვლეწავდი ვარსკვლავებს მითიურ ხარებით.

## ფიქრი ნიკოლოზ მორონლუკიელის საფლავთან

მირონლუკია, ცა, ზღვა, ხმელეთი,
სველი ქარი ქრის, ტანში მაციებს
და ცოდვიანი ჩემი ხელებით,
ფიქრში ვქმნი მორიგ ვარიაციებს.
უაღსარებოდ ვბედავ ვედრებას,
მეტყველ სარკოფაგს შუბლით ვეხები,
სინანულის ცრემლს რა შეედრება,
ან საჩრდილობელს თეთრი ვერხვების.
საუკუნეებს სძინავთ წმინდანთან,
ანგელოსების დასი უგალობს,
ამქვეყნიური გეენის კართან
ხავსმოდებულ სულს ვძერწავთ უფალო.
ჩუქურთმებს ასდით ცხელი ალმური,
ღრუბლებს აშლიათ თეთრი ფაფარი,
ხრამს გასწყრომია ლურჯი ხრამული,
მიმაგნებინე თავშესაფარი.
ამგებინე ციხე-დარბაზი,
მხრებზე მომხსენი ჯანღის მანტია,
ბეთანია და ჩემი არმაზი
მამულის ხატად გულში ანთია.

## ქვებს რად მესვრიან?!

ერთხელ ხომ სიკვდილს მეც შემოვხვდები,
მინდა დარდები ლექსად დავცალო,
მე დღეს ცოდვების საზღაურს ვიხდი,
სულის განწმენდა იქნებ მაცალო.
არ დამიზრახო ეს სინანული,
აღსარებისას ღაწვი სველია,
მივიწყებული და მინავლული
შენი თვალები რას მიშველიან?!
ბევრჯერ სიყვარულს გამოვეკიდე,
ბევრჯერ როკაპთან მიღლაბუცია,
დაღლილ ღამეებს მხრებზე ვეკიდე,
ბედთან ლეკვივით მილაქუცია.
ქვამარილიც კი ამილოკია,
თასით მასმევენ შარბათს გესლიანს,
ალალი სულის გამოფენისთვის,
ჩემზე ცოდვილნი ქვებს რად მესვრიან?!

* * *

ახლა ნამდვილად სიცოცხლე მინდა...
მაგრამ არ უნდა დიდი მისნობა,
ადრე თუ გვიან საფლავის ქვიდან,
მე გავუღიმებ მარადისობას.

---

*ნორა მორბედაძე*

*წიგნის «ქერა ემიგრანტის» ავტორი*
*სამშობლოზე შეყვარებულია და*
*ოცნებობს თავისუფალ საქართველოზე.*
*10 წელია ცხოვრობს იტალიაში.*
*ეს ლექსები სამშობლოს მონატრებაა.*

. . .
საქართველოა სამოთხე,
ჩვენთან არს მუდამ უფალი...
მალე გვენახოს სამშობლო,
მარადჟამს თავისუფალი.

. . .
ქარის გაყოლილს უცხო მხარეში,
შემომეძარცვა წლები ლამაზი,
ნეტავ რა ხდება საქართველოში?
ან რატომ სტირის ველი ალაზნის?!
ღამემ ფიქრები შემოიფლითა,
ქარი მაცდური სასჯელს მითვლიდა,
მტკიოდა გორი, ჭრილობა მღრღნიდა,
შინდისს ქართული სისხლი აწვიმდა.
რა დავაშავე ღმერთო ასეთი,
მე გავიქეცი საქართველოდან...
და საქართველოც ჩემებრ შეშლილი,
ფეხი აედგა და... შორს გარბოდა.

დეკემბრის დილა

იისფერ ფიფქებს მოუქარგავთ დეკემბრის დილა
და ასხლეტილი ოცნებები ზეცას ეწვია,
მაგნოლიები ჩურჩულებენ და ფერმიხდილან,
ვერცხლისფერ რტოზე დაფანცქალებს თეთრი მზეწვია.
ფეხზე წამოდგა შევერცხლილი, ძველი მთაწმინდა.
უმალ ღვთისმშობელს შეავედრა კრძალვით მამული,
მზემ რუსთაველზე გრძელ მკლავებით ნისლი დაწ-

მინდა,
მერე ქაშუეთს შეამშრალა ცრემლი ფარული.
იასამნისფერ ფიფქებს ბარდნიდა მეტეხზე ზეცა,
მტკვარს აჰყვდევნე, მოგონება ისევ მათბობდა,
მე ქსანს ვეძებდი, შფოთიანი ნაღველი მეცვა,
დეკემბრის დილას, ჩაფიქრებულს, მხრებზე ათოვდა.

ზღვასთან

ვსახლდები ზღვასთან, შევავლო თვალი,
ტყემლის ყვავილთა ფერის თოლიებს,
რომ ვიგემოვნო ზღვის მლაშე წყალი,
როს ტალღა გრძნობებს აიყოლიებს.
და სანაპიროს ნიავი როცა
მოეფერება თმებს გაშლილს, მზისფერს,
და როცა მთვარე დაუკრავს მოცარტს,
როს ალიონი თეთრ ზეწარს იფენს.
მერე ანდამატს ზღვის ტალღა უკან
გასტყორცნის სხეულს გარუჯულს, დაღლილს
და სუფსის ქარი ორღობეს ანწლის,
გაგიჟებული სილას გააწნის.
გონიოს ქვიშის ბრილიანტები
თვალისმომჭრელად თავბრუს მახვევენ,
ჩაქვი, ბათუმი, ანდამატები,
ნისლებს ტალღებში ფიქრად ახვევენ,
ჩემს სიახლოვეს შენი აჩრდილი,
გრიგოლეთის მზე და ანაკლია,
თეთრი ვილა და პალმების ჩრდილი...
უშენოდ თითქოს სითბო აკლია.

. . .

მე რუსთაველის სამშობლოდან გახლავართ, იცით?!
თვით საქართველო ვაზის ლერწის დიდი ჯვარია,
სვეტიცხოველში დაღვენთილი სანთელი სტირის,
თბილისის ზეცა ქარიშხალმა არივ-დარია.
მტკვარი ბუტბუტებს, შორით ისმის ქარის კივილი,
გალაკტიონის სამშობლოში დადის ტკივილი.
ბინდი ჩამოწვა, ფეხზე დამდგარა რაჭა, ვარძია,
სადაც თამარის სული მეფობს, «აქა ვარ, ძია».
გზააბნეულა სამშობლოში ტატოს მერანი,
ველარ განვდევნეთ საუკუნენი, «ფიქრნი მღელვარნი».
დიდია დანტე, მიქელანჯელო და იტალია,
ასე ტანჯული ჩემი სამშობლო კი გაილია.
მაშ როგორ იშვა რუსთაველი, გოგლა, ილია,
თუ საქართველო პატარაა, წვიმს და ნისლია...
რა არის ყოფა, ვერ გავთალო ტყეს შინდის ჯოხი
ველარ ვიხილო მამა-პაპის ღარიბი ქოხი.
ველარ დავლიო მერე პეშვით მე წყაროს წყალი,
ველარ მოვკრიფო შესახვევში მწიფე მაყვალი.
დედაო ღვთისავ, ღვთისმშობელო, წმინდა მარიამ,
გადამირჩინე საქართველო, ეს რამ აგვრია?
თუმც წიწამურთან მოკლეს ილია,
ქართული სული ვერ დაილია...
მე რუსთაველის სამშობლოდან გახლავართ, იცით?!

---

### *ბეჟან ხარაიშვილი*

* * *

მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ გულში –
ვარძიაში და შემაჩერეს უცბად აწყურთან,
და თითქოს ურო დამარტყეს თავში,
და თითქოს იქვე ადგილზე გავშრი, —
ჯარისკაცებმა მომთხოვეს საშვი...

ბებერი მტკვარი გაეკრა მიწას
და სირცხვილისგან იწითლა ცამან,
რად არ მოსთხოვა ხანძთელს საგზური
უკაცრიელმან ადგილმან ამან...

და ახლა, როცა მესხეთ-ჯავახეთს
ასდინდა სუნი ქართველთ სიმცირის,
მე უნდა აქეთ, აწყურთან ვიდგე,
ჯიშიან ძვლებზე მკბენდეს სიცივე...
და კარს ულებდეს უცხო ტურისტებს
ხერთვისი, ხანძთა, ბებერი ტაო,
გადამავიწყე დიდი თურქობა,
გადმიშვი მთაო!

* * *

გულთან არ დამადო ხელი...
მტკივა...
მტკივა...
და
დანაღმული ვარ მკერდზე ძარღვებით.
ეჭვის მახრებით
ფაჩუნობს ღამე...
მთვარის ეკრანზე მე გხედავ მუდამ...
რა ხელმა უნდა აიღოს ნეტავ,
რომ ვერ დასძალავს
ისეთი გუნდა?!
ისევ გამისხლტა თვალთა მიმინო
და
შენს ფანჯარას
გარშემო უვლის, —
— ყველაზე დიდი სასაფლაოა
გული!

## მრავალჟამიერ ჩემო ბეჟანა

არ დაგკლებია გაჩენის დღიდან
სულის სიმძიმე, ხორცის ჟეჟვა და
მაინც იცანი ვინ რა ფერია —
მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა!
მთელი ქვეყანა რომ ანაცვალე
იმათ გაგცვალეს...
(შენი კვნესა მე)
და იმ საყდარში, შენ რომ აღმერთე,
გაგინებენ და დანებს ლესავენ,
ვისთვის კვდებოდი,
ვისთვის ქრებოდი,
თაფლიც ო, თაფლიც, ხედავ? გემწარის,
ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწარი,
ისე დათოვა შენი მწვერვალი.
როგორც მწევარი ირმის ნაკვალევს,
ისე მისდევდი სატრფოს ხმას შორით,
დაეწიე და ნეტავ არ გეგრძნო
ვარდის სუნი და...
ვარდს შიგნით — შმორის.
და მაინც გასწი, ნუ დაიდარდებ,
გზად თუ არასდროს გამოგიდარა,
ხომ გაიცანი ვინ რა ფერია?!
— მრავალჟამიერ, ჩემო ბეჟანა!

## ხვედრი პოეტთა

მტრედებმა ჩამიქროლეს თოვლის გუნდებივით
ბალახები ჟანგისფერ სევდით ხუნდებიან
— მირზა წავიდაო, —

ეს რა გამაგონეს,
— არ დაბრუნდებაო, —
თქვეს და ტყუვდებიან;
პოეტები ბრძოლაში ადრე მიდიან და
პოეტები ბრძოლიდან გვიან ბრუნდებიან.
ტყვიებს უკორტნიათ ყორანივით,
კბილებს უფრქვევიათ ბროლი,
პირიდან მძიმე-მძიმე
ბოლი ამოსვლია,
დაუწერელი ლექსების ბოლი.
წაქცეულს მკლავებში ჩაუკლავს სიკვდილი,
მის თვალებს ჩაჰყოლიათ ცეცხლობა,
პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და
პოეტები ყველაზე დიდი ხნით ცოცხლობენ.

## მეგობრისადმი

წამოდი, იცი, სად?
კაფეში კი არა, —
წყალი ვსვათ ხეკორძულის...
ჩავუდარაჯდეთ, იცი, ვის?
გოგონებს კი არა,
წითელ მიმინოებს ჩვენი რჯულის
და მერე იქნებ ვინმე მადლიანმა
მოგვთხოვოს სული იაკობივით...
და მოგვჭრას მარჯვენა
გაღმა-გამოღმა ნაშენები კედლებისათვის.

## გახსენება

გახსოვს? — მოდინახე,
ღვინო ალისფერი,
მთვრალი მგზავრები და შორი გზები...
წამომელანდები კლდეზე შემომდგარი
და ხელს გამოგიწვდი მორიდებით!
სიო ჩაიყურებს წამწამთ სიშავეში
შენ კი მთებს გაჰყურებ ნისლიანებს,
ურთოლავს გიტარა და მწვანე მოლზე
ღვინით სასმისები ივსებიან!
გახსოვს? — მოდინახე...
მზეი ჩამავალი,
გულთა იდუმალი ბგერის გადაცემა,
ხედავ? — ჩავჩურჩულებ და მთის ნაპრალიდან;
ქალაქს გადმოვხედავთ ალმაცერად.
ეკლებს გაურბოდი, წუხდი დამკაწრავსო,
თმები შინდის რტოზე დაგეწნა,
ვკრეფდი ფურისულებს
ახლად დაჩიტულებს
მერე იმედივით გიწოდებდი,
ნისლში ირწეოდა მთიდან მონადირე,
ჟამთა ნასეტყვი და ნაწვიმები,
...დავრჩით ხელგაწვდილი მთის მწვერვალზე,
დავრჩით ასაფრენი არწივები!

## გერგეტის ტაძართან

მთელ ღამეს გდარაჯობდი გერგეტის ტაძართან,
ვიცი, არ გეძინა არც შენ და არც მე,
ყაზბეგის ასულო, —
მყინვარო!
და შენი გულის კენტი სიმღერა
ჩემთან ჩამოჰქონდა ცივ წყაროს.
გაგითამამდი და ნება-ნება შემოვყევ მაღლა
აჰა, შენთან ვარ,
დაუდეგარ ლექსების მაჭრით,
ო, ეს ნისლები, თორემ ამაღამ
თეთრ ბილიკებზე
გაგიტაცებდი ბეთლემის ჯაჭვით
ყაზბეგის ასულო, იმერეთში.

* * *

ფულისთვის კი არა...
განძივით კი არა...
ხარკისთვის კი არა...
ხათრისთვის კი არა...
ალაჰს ემსახურა ძამა ქართველი
სად არ იარა, —
სად არ იარა, —
სად არ აწვიმდა, —
სად არ ათოვდა, —
არ იკარებდა ქართველი სათოფედ!
ენატრებოდა მცხეთა და მარტყოფი,
გულმა ვერ გაუძლო მარტოყოფნას,
თმათა სითეთრე თმის წვერით ივარცხნა
და მამულს შესწირა საკლავი კი არა, —
სხვა მკლავი კი არა, —
პაატას მხრებზე დაკლული სიცოცხლე.

* * *

მტკვარი გველივით შეცურდა ჭადრებში
და შეათამაშა მკერდზე ნატვრისთვალი, -
თბილისი.
და მე ვინატრე, მე პატრონმა ამხელა განძის
ფული კი არა,
ოქრო კი არა,
სახლი კი არა,
დახლი კი არა,
— დღეგრძელი იყოს საქართველო უკუნისამდე!

* * *

ხდის ხეობიდან ცისფერი ზურგჩანთით
ჩამომაქვს ჩემი პატარა სევდა,
რომ ამოვახრჩო თერგში უჩუმრად
დაცლილ სოფლების სიცარიელე.

## რატომ გამიფრინდი?

ტყემლების თეთრი ფიფქი,
შენს ბაღში რომ თოვდა,
ნიავს გაზაფხულის
სუნთქვა შემოჰქონდა.
მათრობდა და მწვავდა
მაგ თვალების კრთომა,
მკერდი სავსე გქონდა,
როგორც შემოდგომა.
შენთვის ავირჩიე
ყვავილების კონა,
გვიღიმოდა არე
სხივით დაქარგული,
რატომ გამიფრინდი,
როგორც ჩიტბატონა,
ნუთუ ნაადრევად
მოდის გაზაფხული?

* * *

ყაყაჩოს წითელ და თხელ ფარფლებზე
შავად ნაფერი შავი წყვეტილი,
არა არის რა, თუ არა ტყვიით
ქართველი კაცის სისხლში დასმული
მისი სიცოცხლის მრავალწერტილი!

*გულნაზ ხარაიშვილი*



## ქრისტეს აცოცხლებ

(ამირან შალიკაშვილს)
დარდწამოსხმული შენს წიგნებში სევდას ვკითხულობ,
გინდა, სითბოთი გამოალღო სულის ხმელეთი...
გინდა, სიკეთის მთად გადიქცე, სიტყვით იხუმრო,
გინდა, განათდეს, ამზიანდეს, სხივით ბნელეთი.
ქრისტეს აცოცხლებ შენს სცენაზე... დაანთე ცეცხლი...
სარწმუნოების, სულიწმინდის, ვხედავ მონა ხარ.
ოქროს მონეტა გეჯავრება, არ გიყვარს ვერცხლი,
დიდ გრძნობაში კი... შენმა სულმა შვება მონახა.
აღშფოთებული... შენს მონოლოგს,
კრძალვით ვკითხულობ,
ხან ამაცრემლა, ხან რიჟრაჟზე შემხვდა გალობით.
ხოდა პოეტო, სიხარული მინდა გისურვო,
მზესაც აჯობო... იდიადო, ღმერთის წყალობით.

## იქნებ ჩემო ბედო

ბედო, ეს ტკივილი რატომ დამანათლე,
ვთესე სიკეთე და... ფეხქვეშ მეთელება...
მითხარ: მთვარე ღამეს თუ კვლავ გამინათებს,
მითხარ: თუკი ოდეს ისევ მეშველება.
წლების მოსასხამი წვიმით დამისველდა...
ფიქრმაც მიმატოვა, აღარ მეკარება,
ამდენ სიმწუხარით გული გამისივდა,
თვალმა გადმოთქეშა „ცრემლი” თაკარება.
ჩემი იმედები ნისლებს შეუპყრია,
მაცდურს მოუხვრჩვია, ძალით თავის ხელში...
ო, ეს გულის ეზოც ღრუბლებს აუყრია,
ვეღარ მოვისვენებ ალბათ თავის დღეში.
იქნებ ჩემო ბედო, ისევ მიწყალობო,
გამომიზაფხულო... შენ არ გეურჩები...
მინდა ისევ კალმით ტკბილად ვიგალობო,
თორემ ამდენ დარდებს ვეღარ გადურჩები.

## ღმერთო ჩემო

მწვერვალებმა გადაიცვეს თეთრი მანტი,
ღმერთო ჩემო, რა ძალიან აცივდა.
შორეთიდან შენი სუნთქვა ისევ მათბობს,
შენს ლოდინში სინატიფე დამცვივდა...

## ჰე ვარძია

ჰე ვარძია, მახსენდება პალესტინა,
მოვალ ლოცვით, შემაგებე ხერთვისი.
დიდო შოთავ, წმინდა ადგილს ჩაგეძინა,
ქართველზე ფიქრით... ბედნიერი მერმისით.

## იასამანო

იასამანო, სურნელი შენი -
ღრუბლებს გაყვა და დამემშვიდობა...
ბედო, იმედი შენ დამიფშვენი...
არადა გულით მინდა მშვიდობა.

***

ეს რამდენი შესევია მუმლი...
ამ ჩემს მიწებს არ შორდება მტერი,
მუხლიჩოქა ტაძარს ლოცვით ვუვლი
დაიფარე ღმერთო ჩემი ერი.

## ვეღარ დავწერე

მხოლოდ სიზმარში განახე წამიერ...
წარსულის წყენა ფიქრში დავმალე.
ხვალის იმედებს ვხედავ ცარიელს...
დარდით ძალიან გადავიღალე.

## ო, როგორ მინდა

ო, როგორ მინდა, სევდა აღარ შემომესახლოს,
შავები არა... ტანზე მეცვას ჭრელი სამოსი...
და სიხარულის მაჯისცემას, ვგრძნობდე ჩემს ახლოს,
ამიყვავილოს... ამიკვირტოს... კვლავ კვიპაროსი.

## აღარ მიტოვებ

იების სურნელს აღარ მიტოვებ...
ქარის დალეწილ ტყეში ჩერდები...
მიკვირს ბურუსებს როგორ იტოლებ,
მალე აბედად გადაბერდები...
შენ აღარახარ სულის სახატე,
აღარც გულში ხარ სიმად ჩაწნული,
გხატე კალმით და ვეღარ დაგხატე,
და ჩემთვის დარჩი უკვე წარსულში.

## ნუ შეეცდები

შენ ჩემთან მოსვლას ნუ შეეცდები,
კვლავ ცბიერებით ნუ გამიღიმებ...
ცუდ გზას ადგახარ... კი მეცოდები,
მაგრამ ვერასდროს ვეღარ მიგიღებ.

## უკვე

უკვე შენ ჩემთან ვეღარ გაივლი,
„ია“ ვიყავ და ბოლქვად გავქვავდი...
ისე უბრალოდ გზად თუ ჩაივლი,
იმ გზაზეც შენთვის ეკლებს დავრგავდი.

## დაუნაცრია

თუკი შავ ღრუბელს, ჩემთვის გული დაუნაცრია,
მე ბედისწერა, სულის სითბოს ისევ მალირსებს,
დაუზოგავად... სასიკვდილოდ, თუ კვლავ ამცრიან,
ჩემი ხელებით, იმედის თასს ისევ ავივსებ.

## ღამე

ღამე ვილაცამ მთვარე გაქურდა,
ბრჭყალი ჩაასო სულის არეში.
ცა, სიმწუხარით ღრუბლით გამუქდა,
მეც დავრჩი მათთან სიმწუხარეში.

## ტრიალ მინდორზე

ტრიალ მინდორზე ცხვარს შეხვდა მგელი,
დაეტაკა და დაფლითა კბილით.
ყვირის... ცხვარი და არავინ შველის,
მელას მიუძღვის ამაში წვლილი.

## ღრუბელო, სევდის მკვიდრო დიშვილო

მინდა ლექსებო, შვილად გიშვილოთ,
ტკივილს მიქარვებს ჩემი კალამი...
ღრუბელო, სევდის მკვიდრო დიშვილო,
ცაზე ბრინჯაოს ფერით დალაგდი.
რად გიყვარს შავი ფერის სამოსი,
გადაიქეცი ოქროს ზოდებად...
შენ აღარ გესმის ხმები წყაროსი,
და შენი სული ნესტით ფორდება.
ალბათ ეგ ცრემლი ზეცას აწვდება,
ფაფარაყრილი არის აშლილი...
მითხარ: შენს გულში სევდა რად გხვდება,
ალბათ საბრალოვ, მოგიკვდა შვილი.

## ქარიშხალო

ქარიშხალო, ძველებურად ისევ ცხარობ,
არ ვცახცახობ, მე დამიცავს ზეცის დასი.
შენით, მკერდში დიდი დარდი როგორ ვმალო,
შენით, გულში დამდებია მწვანე ხავსი.
გახალისდი ჩემო ფიქრო, მე დაგიცავ,
ისევ კალმით მოვიაროთ ვარსკვლავეთი.
მთავარია ჩემი მტერი უკვე ვიცან...
აბა კარგო, გადავშალოთ მხარმკლავები.

## შენ

*(ლუარა სორდიას)*
შენი ტკივილის მალამოს ვძებნი,
მთელი სამყაროს ყველა კუთხეში...
მთისა და ბარის ბილიკებს ვტკეპნი.
რომ არ იარო წვიმების თქეშში.

## გიპოვნე

(ლიანა მელიქიძეს)
გიპოვნე და არასოდეს დაგკარგავ,
ჩემო კარგო, ჩემო თვალის ჩინო...
ნაზი ძაფით მკერდზე უნდა დაგქარგო,
იქნებ შენით გულიც მოვირჩინო.

## შენ ბრძენ-კაციხარ!

*(კლიმენტი შელიას)*
შენ სიტყვა გიჭრის, არ გასვლია
                                შენს ნაფიქრს ყავლი,
ომახიანი ეშხით ამბობ,
                                რაც გაქვს სათქმელი...
აზრს აყალიბებ, რა სითბოა...
                                სიმართლის ალი,
მტრისთვის კი არის ცივი ზამთრის
                                დიდი ნამქერი.
ხვალის გზას კვალავ, შენში მუდამ
                                სიკეთე სახლობს,
აფხაზეთს ხედავ ისევ ისე
                                ცრემლით ცვარიანს,
გლოცავ... ტკივილმა არასოდეს
                                ხელი არ გახლოს,
შენი კვლევები ისტორიის
                                სიბრძნის კვალია.

## ჩემო ტკივილო

მოურჩენელი სიმწარე ხარ
                                ჩემო ტკივილო,
ხან გაგებუტტე... ხან ცრემლების
                                დიდ ტბად გაქციე...
შენი ბრალია.... ჩემი ბაგე,
                                რომ არ ღიმილობს
მე იმედი ვარ... შენ კი
                                სევდად გადამაქციე.

## თუკი იბადება

ჭადრის ხის ტოტებში მთვარე გაჩხირულა,
თავი დაუხრია, სიით უმღერს გული.
მაინც ანათებს და თითქოს უხერხულად,
თავის ბედს მინდობია, დამწვარ სიყვარულით,
დარდებს შევუპყრივარ, მეც ვარ დაღიანი,
ქვითინებს და მოთქვამს, ჩუმად კვნესის ღამეც.
ჰოდა ცის ღრუბლებო ხედავთ ავღრიალდით,
ეგებ გამითენდეს კვლავ ლამაზი ღამე.

## მჯერა დამიფარავს შენი კვართი

*(წმინდა ნინოს ვედრება)*

შენთან მოვიჩქარი, ჩემო ნინო წმინდა,
მინდა შენ გაგანდო, ჩემი ნაფიქრალი...
ვწუხ და... შენს გარეშე გულში გამიწვიმდა,
უნდა დაგიკოცნო, ფეხთა ნატერფალი.
სხვისას, ხილის ნაყოფს არ მოვწყვიტავ,
სხვისი, მწიფე ლელვიც არ მჭირდება...
მტევანს, საბადაგედ არ გავჭყლიტავ,
სხვისი, წყალის ყლუპიც არ მწყურდება.
მიკვირს, ცრემლის კაბა რად მაცვია,
კაბა, შავი ფერის მეჯავრება...
სხივი იმედისა, სხვებს ეწვია,
მე კი, ეს ნისლები მეჯარება.
გითხარ: ყველა დარდი რაც მაწუხებს...
ვიცი, დამიფარავ შენი კალთით,
მჯერა თავს დავაღწევ ამ მარწუხებს...
მჯერა დამიფარავს შენი კვართი.

## სიცოცხლის ღერძი

ქალი ყამირს ხნავს, და ეკლებს ებრძვის,
შვილს თუ დაჭირდა, გაძვრება ნემსშიც. . .
წლები გავა და. . . სიცოცხლის ღერძი,
შვილიშვილებს ჰყავს ერთგული მწყემსი

## თუკი, სული. . .

თუკი სული ცაში მიდის სადიადოდ. . .
და უფალი საზვრის ხვრელში გამატარებს,

მაშ რად ვსტირი. . . ანდა რაღად
ვდარდიანობ,
ფაქიზ გულში დიდ ტკივილებს რად
ვატარებ.
წინაპრები სიხარულით თუ შემხვდება
თუ ყვავილებს მომართმევენ
ნეტარებით.
მაშინ ფიქრი უკვდავებით აყვავდება,
ჩემო შვილო, გნახავ მაგრამ
მენატრები.

## ყვავილი ხრამში

გედის სიმღერას დაუგდე ყური,
ჩამოვისვენე მდელოზე იქვე.
გვერდზე ბიბინებს ჯეჯილი პურის,
მწყრის ბარტყები კი ხტებიან პირქვე.
შლეგ ნაკადულებს თვალი მოვავლე,
და დავინახე ყვავილი ხრამში.
დიახ ვიყავი მისი მოვალე,
ფრთხილად, ფესვებით, გადავრგე წამში.
თურმე მხედავდა ლამაზი შველი,
თვალებით მითხრა: შე მადლიანო...
თუკი მცენარეს გულით უშველი,
მე რაღას მერჩი ადამიანო?

* * *

ვალად შენ ჩემი სიცოცხლე გმართებს,
მოღალატესთან აღმოვჩნდი სუსტი. . .
ვტირი და ღამეს ცრემლებით ვათევ,
გელოდი. . . მაგრამ აღარც კი მსურდი.

## რას ვიფიქრებდი

რას ვიფიქრებდი... თუკი გულში ჩასახლდებოდი,
სულის ნაწილი დედოდ გახდი, მდგმურად კი არა.
რატომ ვჯავრობდი, თუკი წარსულს გავეყრებოდი,
თუმცა ხანდახან ნისლმა მაინც გადამიარა.
ვეღარც დარდს ვუძლებ, ალბათ ესეც ბრალია წლების,
თითქოს ნემსები მესობიან, მჩხვლიტავენ მკერდთან.
ამ დროს ისევე მოწყენილი, კვლავ დარდით ვწვები,
გავკაპასდები... და მომიწევს კამათი ბედთან.
დასამშვიდობებლად მოვიგონებ შეხვედრის წამებს,
ხასიათი მაქვს ფაქიზი და ხან კი კაპრიზი,
ღმერთს ვევედრები ამაცილოს ფიქრები მწარე,
გრძნობის გარეშე ცხოვრებაა ერთი კაპიკი.

## ახლა ვწუხვარ

ხვანის მთები, მაღლა ცასთან აზიდულან,
ძირულას და თხმელის ხეებს თავს დაჰყურებს.
კლდის პირებზე ყვავილები თითქოს დუმან,
მთის ნიავი ალბათ მათაც დააპურებს.
გამივლია იმ მინდვრებში, გამივლია,
მიკრეფია ტყის მარწყვი და ია-ია.
ჩქერო ჩემთვის გულის კარი გაგიღია...
სახლის ზღურბლზე დამხვედრია ფისუნია.
მშობლებს სახე გაბადვრიათ დანახვაზე,
და ცრემლებით დაუნამავთ გულისპირი.
ახლა ვწუხვარ რომ ხშირ-ხშირად ვერა ვნახე,
ვერ ვპატიობ ამას ჩემს თავს... მიტომ ვტირი.

## ჩრდილის ტანიდან

შემოიჭყიტა მთვარემ სარკმლის
ჭუჭრუტანიდან,
მომეალერსა და გამათბო თბილი
ამბორით.
ანარეკლები ცას სწვდებოდა
ჩრდილის ტანიდან,
ვგრძნობდი, რომ ისევ იწყებოდა ნდობის აკორდი. . .

* * *

დაღლილ სულს ვუყურებ –
ნატანჯვს და დაფლეთილს,
ნეტავი ეს ბედი კიდევ რას მპირდება.
სიცოცხლეც არ მოდის არასდროს დაკვეთით,
არადა სუყველას რარიგად გვჭირდება.

*მარიამ ნიკოლავა*

## ქრისტე აღდგა!

ქრისტე აღდგა! — მაცხოვარი მესია,
ქრისტე მართლაც ჭეშმარიტი ღმერთია!
ქრისტე აღდგა, რომ სიკვდილი მოეკლა,
ქრისტე აღდგა! — ჩვენს სულს ტკბილად მოესმა.
ქრისტე აღდგა! — სიკეთემ გაიმარჯვა,
სამოთხის გზა, აღდგომით გაიკაფა!
ქრისტე აღდგა! — ბორკილები დაიმსხვრა,
მაცხოვარმა განწირულნი დაგვიხსნა!
ღვთის აღდგომით კვლავ სიცოცხლე გამეფდა,
სიცოცხლის ხსნას ამაღლება დაერქვა!
ქრისტე აღდგა! — ლოცვის სხივნი აენთო,
და სიკვდილიც იმ დღიდანვე დაემხო!
ქრისტე აღდგა! — მზემ ამოსვლით გვახარა,
საუკუნო გაზაფხულად განათდა!
ქრისტე აღდგა! — მოძღვარი ჯვარს ემთხვია,
წუთისოფლად სიხარული გვეწვია.
ქრისტე აღდგა! უკვდავ სიტყვებს ვისმენდი,
ღმერთო ჩვენო, ტანჯვით ჯვრიდან გვიმზერდი!
გადასარჩენ კაცთა მოდგმას ხედავდი,
ცოდვილნი კი თვალწინ დგომას ვბედავდით!

## მაცოცხლე მუზავ

ლექსმა დამჭრა მრავალჯერ,
ცრემლმდინარე სიცხადით,
წარსულ დღეთა სიშორე,
მზეს ამოხდა სინათლით,
სულმა არ გაიკარა,
ბოროტ ფიქრთა თარეში,

რაც ვერ ხარობს ჩემშიგან,
მუზა აქრობს წამებში,
მეც ალესილ ხმალივით,
სიტყვას ვაგებ ქარქაშში,
ვინც დააძრობს მადლიანს,
ერთ ლექსს ჰპოვებს ათასში,
ათასს თქმულად ერთ ლექსად,
როგორც მზეა ცარგვალში,
გულმა ლოცვად ატარა,
ტრფობის სხივი ზამთარში!
ერო, რაღა გახარო?
გულს გჩუქნი და შეირგე,
ეგ ნაკლული სასმისიც,
ჩემი ლექსით შეივსე!

## დედაო ღვთისავ, მიწა ჩვენთვის

დედინაცვალია
დედაო ღვთისავ დედინაცვალთან,
ყოველდღიურმა ყოფამ დაგვღალა,
მუდამ ახლიდან იწყებს ჩვენს გვემას,
როდესაც ვგონებთ ტანჯვა დამთავრდა!
მისი მოწვდილი პური ვერ გვკვებავს,
ადამიანის მოდგმა დამშივდა,
და ვინაც მხოლოდ მისით სულდგმულობს,
მას მუდამ შია, მათთვის აცივდა.
დედაო ტკბილო, დედა შენა ხარ,
მიწა კი მხოლოდ დედინაცვალი,
ის, ვითარც გერებს ისე გვეპყრობა,
თუმც მრავალია მისკენ მავალი,
კაცობრიობის მთელი მოდგმანი,
მის უხეშ ხელებს დღემდე ემთხვევა,
წარმავალ გრძნობით ვინაც მღელვარებს,
მას ვითარც მშობელს ისე ეხვევა.
წმინდა ქალწული ტკბილი დედაა,
მით იმგვარ რამეს ძეს არ ჰპირდება,
რის ასრულებას მისთვის ვერ შესძლებს,
აღთქმა, საქმით ჩანს, უმალ ბრწყინდება.
დედინაცვალი უსულ-გულოა,
ცრუ დაპირებებს მარჯვედ იძლევა,
მისი სიტყვები საქმეს გაურბის,
ბოროტად გვიმზერს, ის არ იცვლება!
მიტომაც ცდილობს რომ შავი ფარდით,
დედის ხატება ჩვენგან დაფაროს,
დედაო ღვთისავ, გთხოვ, გამობრწყინდი,
შენ გაანათე ბნელი სამყარო.
თუმც დედის მზერას ვერას დააკლებს,
დედინაცვალის ავი ზრახვები,
როდესაც შენზე ვფიქრობ გიხსენებ,
ცრემლით მევსება კვლავაც თვალები!
აწ მოვა ჟამი დედინაცვალი,
დედის ხილვისას თვით გაიქცევა,
ჩვენ ღვთიურ მშობელს ოდეს ვემთხვევით,
დღე სიყვარულზე ლოცვად იქცევა!

## მამაო ჩვენო

როს ცანი ქუხან ამა სოფელში,
თუნდ სიყვარულით ზღვანი ღელავენ,
— „მამაო ჩვენო“ — შენ მოგიხმობენ,
ცანი თუ ქუხან, გრძნობით ელავენ!
როს ყვავილები გაზაფხულისას,
აყვავდებიან მიწის ამბორით,
თვის სილამაზით ღმერთს ადიდებენ,
რამეთუ იქმნენ უფლის წყალობით!
წმინდა ტაძართან შეჩერებულნი,
ოდეს აღვაპყრობთ თვალებს ზეცისკენ,
შემოქმედ უფალს ვეჩურჩულებით,
ვაგზავნით ლოცვის სხივებს ღმერთისკენ.
კვლავ ბაგეს გავხსნით სადიდებლად,
მამაო ჩვენო ტრფობით მოგიხმობთ,
— ღმერთო უშენოდ ყოფა არ გვილირს,
გულწრფელ გრძნობებზეც კრძალვით მოგითხრობთ.
ჰოი, წმინდაო, ჩვენო მამაო,
ღამის პეპლების მსგავსად ვფარფატებთ,
მაგრამ როდესაც შენსკენ მოვფრინავთ,
მან კაცთა მოდგმის სიყვარულისთვის
თავი გასწირა, რაკი უყვარდა!
მიტომაც ქვეყნად ქრისტე იესო,
ბრმა იუდეველ ხალხთან განცხადდა,
მუნ დაიბადა დედა უფლისა,
მყის ღვთივკურთხეულ შროშნად
აყვავდა.
ამავ მიზეზით წმინდა ქალწული,
იმ იუდეველ ერში გაბრწყინდა,
სადაც მაცხოვარს ელოდებოდნენ,
უფლისავ ხილვით ბევრი დამშვიდდა!
ქრისტემ სხეული მისგან მიიღო,
იუდეველთა წმინდა ჭურჭლისგან,
ამგვარად ვცანით განგებულება,
მაღალი ნება უტკბეს უფლისა!
და იშვა ღმერთი განკაცებული,
მათ ნათესავად იწოდებოდა,
იუდეველთგან ამ წუთისოფლად,
მხოლოდ სხეულით იმოსებოდა!
ამისავ გამო ჰქონდათ უფლება,
თავისიანად ქრისტე გაეცნოთ,
მაგრამ სიბნელით დაბრმავებულებს,
მაცხოვარ ღმერთის ვერა გაეგოთ!
ქალწულებრივი წმინდა სხეული,
ჩვენც შენივ მადლით მრუმეს ვანათებთ!
— „მამაო ჩვენო“ — რარიგ წარმოვთქვა,
როდესაც შენ ხარ მამა ყოველთა,
თვით ზრუნავ ყველას გადასარჩენად,
ჩვენი მამა ხარ, შემწე მთხოვნელთა!
ყველას სახელით კრძალვით მოგმართავ,
მამაო ჩვენო მუდამ გვჭირდები,
როდესაც შენზე ვფიქრობთ, მოგიხმობთ,
მყის აუწერელ მადლით ვივსებით.
როს ბაგეს გავხსნი წარმოსათქმელად,
მამაო ჩვენო, გულით გადიდებ,
შენსკენ გალობით მოვეშურები,
მწამს ოდეს მოვალ ზრუნვით გამიგებ!
მუდამ შენ გვიხსნი ბოროტისაგან,
მამაო ჩვენო ტკბილო ნათელო,
შენც განადიდე ჩვენი მშობელი,
ამ წუთისოფლის მწველო სანთელო!
ჰოი, მამათა შორის უბრძნესო,
ქვეყნის დიდებას ჩვენ არ შევხარით,
რაკილა ცვივა დამჭკნარ ფოთლებად,
რაიც უკვდავ არს იმას შევნატრით!
ბედნიერი ვართ ჩვენო მშობელო,
რომ შემოქმედის გვქვია შვილები,
არა არს ქვეყნად მეტი პატივი.

*საბა მოძველი*

## ანბანთქება

ალიონში ანბანთქება აისდა,
ბულბულების ბანგიანი ბალადებით,
გულის-გულში გაზაფხული გამაისდა,
დარის-დარულ დიდებული დანათებით.
ედემობა ეთბილებათ, ეტკბილებათ,
ვხედავ ვარჯი ვარაყდება ვარდიანი,
ზებუნებრივ ზამბახებში ზეფირებად
თიმთიმებენ თივთიკები თათიანი.
ია-აიც იავდება,ირინდება,
კორდის კუთვნილ კუნჭულებში კარავდება,
ლექსი ლოცვად ლაჟვარდებში ლივლივდება,
მუზა "მერეს" მოლოდინში მარადდება.
ნამით ნამავს ნეტარება ნექტარიანი,
ორლობეებს ოდითგანვე ოცნებიანს,
პეპელათა პეპელობა პეწიანი
ჟღალ ჟამებთან ჟუჟუნია, ჟრჟოლებია.
რუში როჭკი რანინაობს რითმისთანა,
სივრცე სულის სანაქებო სურათია,
ტბაში ტინი ტინისტინობს ტინისტანა,
უსაფუძვლო უწონობა უნატრია.
ფიქრში ფერი ფაქიზდება, ფარფატდება-
ქათქათდება ქალიშვილთან ქოშიანთან,
ღვთაებრივის ღაწვი ღიმით ღაჟღაჟდება,
ყელყელაობს ყვავილებში ყოჩივარდა.
შავი შაშვი შარიშურობს შრიალებში,
ჩიტუნია ჩირგვში ჩურჩულს ჩუმად ჩაფენს,
ციდან ცის-ცა ციცინათლობს ციალებით,
ძერწავს ძირძველ, ძეწნებიან ძუა-ძაფებს.
წუთებისთვის წამწამები წამებია,
ჭალებისთვის ჭანჭიკები ჭირხლებია,
ხრამის ხახა ხეობისთვის ხალებია,
ჯანღებში ჯგროდ ჯიქებია, ჯიხვებია.
ჰაეები ჰაერივით ჰქრიან... ჰქრიან...
ჰორიზონტიც ჰამაკს ჰკიდებს ჰაიჰარად,
ჰაეებით ჰარმონიულ ჰანგებს ჰქმნიან
ჰგვანან, ჰგვანან ჰაეროვან ჰარი-ჰარალს.

---

*ელგუჯა სხირტლაძე*

ჩემ საყვარელ ბიცოლას(გულნაზ ხარაიშვილს)

მერამდენედ მევსება გული სიამაყით, გთხოვთ მიკერძოებაში ნუ ჩამომართმევთ, ჩვენი ნათესავური კავშირის გამო.

ვხედავ ბიცოლას და ჩემი ბავშვობა მიდგება თვალწინ. მუდამ წიგნებში ჩაფლული... ჩვენც წიგნის სიყვარულს გვასწავლიდა და გვავალებდა ბევრი გვეკითხა.

მრავალი ავადმყოფის მკურნალსა და გაჭირვებულის დახმარებაში, იმთავითვე იგრძნობოდა მასში მადლი ღვთიური.

ლექსი მდინარესავით მოდის მხოლოდ დრო მქონდესო, არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის ბიცოლას.

დაე, მრავალი წლის მანძილზე ათბობდეს ჩვენს გულებს მისი შემოქმედება.

„ვიფიქრე ლექსით გავახარებთქო,
ხელთ ავიტაცე მყისვე კალამი,
ჰოდა მინდოდა შენზე, რომ მეთქვა,
სიტყვა ვერ ვპოვე შენი ბადალი.
თვალწინ მიდგია ჩემი ბავშვობა,
აურაცხელი, შენი ამაგი,
მეგობარივით მედექი გვერდში,
ხან დედა იყავ, ხანაც და ქალი.
შენგან ვისწავლე მე ანი-ბანი,
პირველმა წიგნი, შენ შემაყვარე,
შენი სამშობლოს სიყვარულისა,
შენი ლექსებით, ბევრს შეაყვარე.
შემოქმედის გზა რთულია ვიცი,
ია და ვარდი გქონდეს შარაზე,
ბევრმა, თუ არა მე მაინც ვიცი,
ქვეყნად რამდენი ნორჩი აღზარდე!
25.06.07წ.

---

*ელისო ფიჩხაია*

## პოეტ ქალბატონს: გულნაზ ხარაიშვილს

თქვენი ლექსი ალბათ სულის სიმშვიდეა,
სიკეთეა – გულს რომ მადლით ავსებს.
სიყვარულის დიდ ტაძარში მოფუსფუსეს
მუზა გინთებთ პოეზიის სანთელს.
მამულის ხსნას ღმერთს ლექსებით ევედრებით,
ლექსად გტკივათ სატკივარი მიწის.
თქვენ სამშობლოს სულ სხვაგვარად ეფერებით,
სიყვარულიც სულ სხვაგვარი იცით.
საქართველოს ვაჟკაცები აღუზარდეთ
ქართულ მანდილს არ აკარებთ სევდას,
თქვენ ხომ ის ხართ – ლოცვით ღამე ვინც ათენა,
შვილებისთვის საყვარელი დედა!
არ გელევათ საფიქრალი ამასოფლის.
უფლის მადლი თქვენს თბილ გულში სახლობს,
ეს თქვენა ხართ ის სათუთი ქალბატონი
შვილიშვილებს ალერსით რომ ათბობს.
დამიჯერე! საამაყო ბევრი რამ გვაქვს
თქვენს მეგობრებს თქვენს ფერებას ნაჩვევს.
მოალერსე თვალებით რომ შემოგვცქერი,
უსიტყვოდაც გვეუბნები სათქმელს.
ლამაზი დღის იუბილეს მოგილოცავთ,
დაგილოცავთ მუზას დღეს რომ ღელავს
და მადლობა თქვენ, პოეტო ქალბატონო,
სიცოცხლეს რომ გვილამაზებ ყველას!

*ნაღდი პოეტი, იშვიათად თუ მოევლინება ქვეყანას, მაღალი ნიჭიერებასთან ერთად უფლისმიერი წმიდა სიყვარულით. ზე კანონიერებიდან გამომდინარე თავს იყრის მასთან სულიერი ტკივილის უკიდეგანო შეგრძნება, კოსმოსური აზროვნება და მაგნიტური ხედვა., ჯანსაღი და ცხოვრებისეული ფილოსოფია. მოწამეობრივი შეწირულობა, მარად განუყრელ მამულზე, ღვიძლ მართმადიდებლობასთან და შესისხლხორცება მშობლიერ ენასთან. უნაკლო პოეტის მომაჯადოებელი პოეზია გაჯერებულია მიმზიდველი რომანტიზმით, მსუყე ლირიკით და პროზაული აზროვნებით, უხილავი მხატვრულ ფორმებისკენ შეუპოვარი სწრაფვით, რომელიც მხოლოდ აბსტრაქციის და სიურეალიზმის ხერხებით შეიძლება პოეტური ხორცშესხმა.*

*უთუოდ უზენაესის წყალობით ამდაგვარად ჩაისახება საამო მხატვრობის ახალი სახე და თვითნებადი გემოვნება. მის  გვერდიგვერდ დგას უცნაური იდუმალება: აზრთა სიუხვე და პოეზიის მომხიბლელობის მიზიდულობა.*

*ამჟამად აქ, ჩემს მიერ აღწერილ კოსმოსურ ყველა თვისებებს, ზეციურ შემოქმედებით ყოველგვარ რეგალიებს და ზეადამიანურ ენერგიას ფლობს ჟურნალ „ათინათის” სანუკვარ გვერდებზე წამრმოგენილი ბატონი რევაზ კახიძის (უჩინო) ღრმად სულიერი პოეზია, რომელიც შემოქმედებითი საზოგადოებისთვის და პოეზიის მოყვარულთათვის საკვირველ აღმოჩენას წარმოადგენს.*

*მხატვარ-პროზაიკოსი რ.ადამია*

*2012წ. 20 ივლისი*

*რევაზ კახიძე (უჩინო)*



## შავი ბილიკი

სისხლით დატბორილ ღამის წყვდიადში
ნუ მოსთქვამ - ვისლა შეებრალები?
სცივა ნასოფლარს, დამწვარ ბილიკზე
მორახრახებენ თავისქალები.

გული ფართხალით დაითვლის წამებს,
სამყაროს შესძრავს გრგვინვა ურროთა,
სინდისს გაფატრავს ეჭვის მახვილი:
ნუთუ სიკეთეს მსხვერპლი სწყუროდა?

წამით გაცდუნებს ჯერ შეუცნობი
შავი სიკვდილის დიდი მაგია
და თოფის ლულას მიიკრავ მკერდზე
სატრფოს მხურვალე მკერდის მაგიერ!

არვის ახსოვხარ დღეს ნაკაცარი,
არვინ გიკოცნის მწარე ნატყვიარს,
თოვს, ხონჯარივით, შავი ბილიკი
მინდორს დანაცრულ ჭიპზე ატყვია.

## მხატვარი /ფიროსმანს!

გულგასენილი იანვრის ქარი
მესტვირესავით იბრუნებს ტუჩებს,
სადღაც სარდაფში ქვითინებს თარი
და კაეშანი ატყვია ქუჩებს.
მწუხრი გვიწყობდა ღამის რვიანებს,
ვჭრიდით დღეებით - თეთრი ტუზებით,
დღეს კი ის კაცი დაიგვიანებს
დიდი ოცნების ლურჯი ღუზებით.
გული ბუდიდან არ ამომხტარა,
არ წაქცეულა თოვლში ჭადარი,
უბრალოდ, დიდი არა მოხდა რა -
მოლბერტით ხელში მოკვდა მხატვარი.
გაქრა ძლიერთა ფერთა მწერალი
და გულს მისერავს ფიქრთა ქაოსი...
მან გააცოცხლა სხივთა ჩქერალით
კოლხის სული და სუნთქვა ტაოსი,
აახლა ფრესკა და ნახატარი,
გვასმინა ღრუბელთ თეთრი გალობა
და დიდ ტილოებს შერჩა მხატვარი
ვით უკვდავების გარდუვალობა!
ქვეყნის ტკივილი ფუნჯით ატარა,
მაგრამ სიკვდილი არის უხათრო...
მე მეცოდება განა მხატვარი -
მე მებრალება ქუჩა უმხატვროდ!..

## ხმა ქვების სტრიქონთა

სულ იმას ვნატრობდი —
ნეტაი მაჩვენა
ამ ლოდის
დამკოდი,
ან მისი მარჯვენა:
ქვა გრძნობად ილვრება,
ქვა ლაღი სტროფია,
ქვა იქცა
სიმღერად —
ა ი ა ს ო ფ ი ა!
ქვააო დარბაზი,
ფუძე თუ ხიდები,
თმოგვი და არმაზი...
მზის პირამიდები.
წინაპართ ნაღვაწის
სავანე, საფარი —
ქვა არის ტაძარი?
— ქვაა და ქვაც არი...
თვალში რომ სიკვდილსაც
აყარა ნაცარი,
ქვა იყო თილისმა,

ქვა არის რაც არი,
კაცი ხომ საფლავშიც
ქვას გულში იკრავდა,
ქვა იყო იმ ღვთიურ
წყურვილს რომ გვიკლავდა,
ქვა იყო ფარი და
საფოსტო ბარათი
ეპოქის კარიდან
ეპოქის კარამდი.
ვინ შექმნა იმხელა
ძეგლები მარადი,
ის დიდი სიმღერა
ქვა არის?!
არა და...
ქვა თითქოს ის ქვაა
და ალარც ქვა არი,
ქვა ბნელის რისხვაა,
სინათლის — საარი.
ხმაც თითქოს ის ხმაა,
ხმა ველარ დავძარი...
ნუთუ ეს ის ქვაა —
ღვთისმშობლის ტაძარი?
გელათი?
ეგვიპტის სფინქსები საზარი?
ქვა არის ტაძარი?
— ქვაა და ქვაც არი!
— მე თქვენზე ვლოცულობ,
მისმინეთ სათქმელი,
ვინცა ხართ ამ ქვების
სიმღერად დამდგმელი,
თქვენ,
კვერით ხურონო,
აზრით და ოცნებით
თქვენ იყავნ გოია,
თქვენ იყავნ მგოსნები.
ეს თქვენი ნიჭია,
ღმერთთან რომ მიგორდა —
ლოდების დიდება,
ხმა ქვების სტრიქონთა.
თქვენს სახეს გვახსენებს
ოშკი და ხახული,
თქვენს სახელს ჩურჩულებს
ზარზმა და იკორთა
და სულთა მშვენება,
ქვად გადანახული,
მადლობას გიგალობთ
ხმით ქორონიკონთა.

## მოტივაცია

ნუთისოფელი დროის ჩქამია,
ჩემთვის ეს არის უხამსი სტრესი,
არსებობა მანდ ერთი წამია,
არარსებობა — უხანგრძლივესი.
არ დავიბადო, მერე რა მოხდა?
არც რას შევიძენ, არც რას დავკარგავ,
უსაზღვრო ჟამის მკაცრი გამოცდა
ვერ მაიძულებს სივრცის განკარგვას.
მოუსავლეთში, უცნობი მხრიდან,
თვალს ვერ წარმტაცებს სხვა რამ დიდება
და სინდისის წინ სიმშვიდით მდიდარს
ბოდიშის მოხდაც არ დამჭირდება.
დავიბადო და რისთვის მოვიდე,
ვინც გაჩენილა, ყველა კაცია?
აი, უღრანი სამყაროს კიდე
და უსუსური მოტივაცია!
ნუთუ მანდ არის ოცნების მხარე,
დიდი ნათელი, ძალი მშვიდობის,
უსინანულოდ იხურავთ კარებს,
სუსხი არ გშუშხავთ უამინდობის?
იბადებით და მოსპობის მწუხრი
მუდამ დაგყვებათ ძირით ძირამდე,
სიკვდილს მორჩილად თავებსაც უხრით...
უცნაურია — გასაკვირამდე?!
თუ ღირსხართ ხილვად, სიცოცხლევ — წამო,
და გაშეშებავ უხანგრძლივესო,
მხოლოდ და მხოლოდ მიზეზთა გამო,
რომ დაიბადა თქვენთან იესო!

2009წ.

## ქოხი

ვარდისფერი ნისლით, იისფერი ნისლით,
დაბურული ქოხი დაუხურავთ ისლით.
ბანზე ზის და მიხმობს ის აჯილღა ბალღი,
— სად გარბიხარ ასე? —ეს ასაკი გარბის.
იმსიშორით მომდევს ის ჭინჭრაქა ბიჭი,
— რად გამირბი ასე? — მე კი ჯდომაც მიჭირს.
კინწმოწყვეტილ მთვარეს ეპარება ძილი
და ხორცს — ჩონჩხის ბათქაშს გალევია ჩრდილი.
იბინდება ნისლით ცა — მნათობთა ნოხი
და დაისში დნება ისლიანი ქოხი.

---

***თინიკო ხაბურზანია***

## გულნაზ ქალის ხვედრი

*პოეტ გულნაზი ხარაიშვილს*

ნაზამთრალ გულში შემოსულახრ მაისის ფეთქვად,
დადგა მუზების სურნელება თავბრუდამხვევი.
ჩავიკრა მინდა, ეს სიუხვე, სინორჩე ფერთა
და ღრმად შევიგრძნოთ სურნელება ამ ნექტარების.

გაზაფხულივით შემოჭრილხარ სულის სიღრმეში,
ოცნება რითმით რა ლამაზად მოგიქარგია.
ახლადჩამოქნილ სანთელივით წმინდა ფიქრები,
შენ პოეზიის სამსხვერპლოზე მოგიტანია.

შეჭირვების ჟამს, როგორც ქართველ ქალსა და დედას,
ლექსის სტროფები ცრემლებში მაქვს ამონავლები
სულის და ერის ტკივილების სიმწარე ერთად,
გმატებს ბრძოლის ჟინს და სიფიცხეს ამორძალების.

მაგრამ ტკივილებს დაეფინე ლექსით მალამოდ,
სითბო, სიკეთე წამლად უხვად მოგმარჯვებია.
სიძულვილი, რომ სიყვარულით უნდა ალაგმო,
ეს შენებრ წმინდა და გულნაზი ქალის ხვედრია.

ამ შთაგონებით აფოთლილი ხე ხარ სიახლის,
სიტკბოს ქართული ვაზის ლერწიც დაგსესხებია
და შენ სახელი დიდებული პოეტი ქალის,
მის უხვ ტოტებზე, ტკბილ მტევნებად დაგფერებია.

## რა იქნებოდა

მახშვის სიდინჯით თავმოყრილები,
ბჭობენ კვლავ მთები ბოდბისხევისა.
დღესაც ჩაესმათ მათ მოწიწებით,
შემობრძანებული ნინოს ფეხის ხმა.

ქარი კი არხევს უთვალავ ხნის წინ,
ტანაყრილ ხეებს კვიპაროსისას.
ქარია მოწმე და გულში ითვლის,
წლებს დღიდან ნინოს აქ შემოსვლისა.

რა იქნებოდა ცხოვრება ჩვენი,
თუ არ ის ჯვარი ვაზის ლერწისა.
შეკრული წმინდა ქალწულის თმებით,
ბოროტებაზე ნიშნად ძლევისა.

არ იქნებოდა, რაც იყო მერე,
დრო საქართველოს გაბრწყინებისა.
დროშა გაშლილი ზეცამდე ბევრჯერ,
ნიშნად ღირსეულ გამარჯვებისა.

არ იქნებოდა, დავითი, თამარ,
საფლავნი სამას არგველისა.
რა იქნებოდა ცხოვრება ანდა,
გარეშე სიბრძნის რუსთაველისა.

*მანანა ზაზიკაშვილი*

## სულ ჩემთვის მინდა გიგულო

სულ ჩემთვის მინდა გიგულო,
არ მიგაკარო ავ თვალებს,
რა ვქნა ძალიან მიყვარხარ,
თუ გინდა გიჟად ჩამთვალე!
თვალიდან არა მცილდები,
გული ფიქრებმა დალია
ოცნების კოშკი ავიგე,
რა ვქნა, რა ჩემი ბრალია,
არსად არ გადამეკარგო
რომ არ მოვიკლა თავია.

## შენი გაჩენის ჭირიმე

შენი გაჩენის ჭირიმე
ქალი მაქციე არაკად,
ის გულის სითბო შენ
რომ გაქვს,
არვის ექნება არა კაცს.
დავდივარ გალაღებული,
ვითვლი პოეტურ ნაბიჯებს,
მგონია უკვე ცაში ვარ,
სამყაროს გადავაბიჯე!

## ფორიაქი

ფორიაქში თუ ხარ მუდამ,
თუ კალამიც გიჭრის,
ლექსის წერას რაღა უნდა
დაფიქრება, ნიჭი.

## ოცნება და სინამდვილე

ჩემს სახლის წინ მთვარე დაჯდა,
განა სავსე, ნახევარი,
მომწონს შენი შემართება,
მიყვარს შენი ნახელავი.
შენი სითბო მენატრება,
ეგ ღიმილი შუქიანი,
აქ რომ მზე გამობრწყინდება,
ვიცი შენი შუქი არის.
თან დამყვები აღმა-დაღმა,
ფიქრიც ნაირნაირია,
ოცნება და სინამდვილე
ერთმანეთში აირია.

## ისე მჭირდები

ისე მჭირდები, როგორც ჟანგბადი,
როგორც წყალი და როგორც სამყარო,
როგორ ახერხებ, სუყველას თავი,
ასე ჩემსავით რომ შეაყვარო?!

## ქორს

მოფრინდები, ვით წიწილას
გამიტაცებ შორს,
დამამსგავსე ნიალვრისგან
გამორიყულ მორს,
სულო ჩემო რად ბობოქრობ,
ვერ გაუსწრებ დროს,
ვერც ვერავინ მოგვერევა,
ჩვენ ამქვეყნად ორს.

***ნაზიბროლა გახოკიძე***



*მოსიყვარულე ცოლ-ქმარი*

## დედამთილს

(ოლია ჩიმაკაძე-ჩიხლაძეს)
ოი, დედავ-დედამთილო,
სანაქებოვ ბათუმში,
გული მწყდება,
რომ გიხსენებ გარდასახულს წარსულში.
ხუთი შვილის დედა იყავ,
ნაბრძოლი და ნაგმირი,
ოი, დედავ-დედამთილო,
შესაშურო მადლით.
რკინის ქალად იქეც თურმე,
ობლებს ნამად ეპკურე,
გაოცებას ვერ ფარავდა
ხალხი შენი შემყურე.
ჩიხლაძეთა გვარის მოდგმას
ადიდებდი, ლოცავდი,
შემოსულ რძალთ და შვილიშვილთ
გვაყვარებდი, გვმოძღვრავდი.
ოი, დედავ-დედამთილო,
დამისვამდი მუხლებზე,
ასე დიდხანს ვჭუკჭუკებდით
წარსულ დროთა ფურცლებზე.
ერთნაირად მოგნუსხავდა
დისშვილი თუ ძმისშვილი,
ამაყობდი, მაღლდებოდი,
გეფრქვეოდა მზის სხივი.
ვერ გამჩნევდი დაღლილობას,
იყავ ჯიში ძლიერი,
შენი საზრუნავი იყო
ობოლი და მშიერი,
გიტაცებდა გორდის მთები,
ალექსანდრეს უბანი,
მახსოვს ტკბილად მორთმეული
ჩურჩხელა და ნუგბარი.
ბედმა მრავალჯერ გიმუხთლა, გაგიჩინა ბზარები,
არასოდეს გიცხოვრია ალებული ვალებით,
ფუსფუსებდი, ქსოვდი, ჭრიდი,
ძილშიაც კი კერავდი,
ხმაურით და ვაი-ვიშით
ჩაგივლიდა ვერავინ.
ოი, დედავ-დედამთილო,
კელაპტარო ჭერამდი,
შენს ჩრდილს ხომ სხვა პეწი აქვს,
თავანკარა წყარო ხარ.
ჭკვიანი და შუბლგახსნილი
ტაძრის კართან სარო ხარ.
ოი, დედავ-დედამთილო,
გულმა ღელვა ვერ მალა,
დღესაც შენი ხმა ჩამესმის,
დამალულ ცრემლს ვერ ვმალავ.
აი ქალი, აი დედა,
დედაბოძი ნამდვილი,
შვილების და შვილთაშვილთა
შეურცხვენი მანდილი.
არ დრკებოდი ყოველ შაბათს,
გაშინებდა? მანძილი...
ინატრებდი და მაშინვე
სუფრა იყო გაშლილი.
ჩვენთან იყავ ყოველ წუთში,
სხვა შვილები გტკიოდა,
გაცილებდით, გიხაროდა,
გული ჩვენთან გრჩებოდა.
ოი, დედავ-დედამთილო,
სითბო გვქონდა ხანგრძლივი,
წახვედი და დაგვიტოვე
სინანული ნამდვილი.
ბოლო წუთშიც ლოცვად იქეც,
განა რამე გრჩებოდა,
ჯერ სამშობლო, მერე შვილნი,
იყო თქვენი ვედრება.
ოი, დედავ-დედამთილო,
ცოტა თუ შეგედრება...

## ღვთისმშობელს ცრემლები ცვივა

არ ქრება, არ დნება, არ კრთება,
რა უნდა იყოს ნეტავ?
იფიქრეთ მე უკვე ავდუღდი,
თან დამყვა ტკივილი ბედად...
არ ქრება, არ დნება, ვჯირითობთ,
მოკვდავი, უკვდავი, ყველა,
ვამძიმებთ ცოდვებით უფალსაც,
ვაცლით ძალ-ღონეს ერთად.
მთლად გადაგვავიწყდა მარადიული,
ცოდვილნი ძველ აზრზე ვდგევართ,
მივყვებით დინებას საპირისპიროს და,
თვითკმაყოფილთა გვემას.
ახლობელი და თოთქოს შორეული,
დღეები მიქრის და ღელავს,
კუჭამდე დასული ჩემი საქართველო,
თანდათან იშორებს რწმენას.
იცილებს ქვეყანა ღვიძლ შვილებს,
მოსისხლე ,,სხვა ხელით" გვკვებავს,
ეშმამ აგვიტანა, ვყიდით ყოველივეს,
ვყიდით სინდისს და ზენარს.
უბრალოდ, აშკარად, მარწუხს გვიჭერენ და,
არვინ არ გვთავაზობს შველას,
ავკაფეთ, გავჩეხეთ, ვაზი მამა-პაპის,
არაფერს ვეკითხებით გლეხკაცს,
მთვარესაც მოვტაცეთ, ძველი ბრწყინვალება,
ხელი შევაწმინდეთ ერთ ქალს.
გული გაჩეხილი, სული წართმეული,
გველი ორმოდან გვგესლავს
გზები აირია, ატყდა მისტერია,
სული მივყიდეთ ეშმას...
დავკორტნეთ ერთურთი, გრძელდება ქაოსი,
იქნებ ღვთის სიტყვა გვესმას,
ხარხარებს მსოფლიო ქართველთა ქმედებით,
ცრემლები დასდინდა ღმერთქალს.
ვაგრძელებ საუბარს, უნიათო სვლებზე,
უსინათლო გზებზე, ვალმერთებთ ეკრანის მეძავს,
ვეშვებით სულ დაბლა, სული გაღარიბდა,
სიშიშვლე ყოფაში შეგვჭამს.
,,ჟამთასვლას გაუძლებსო", გვჯეროდა ნათქვამის,

შევყურებთ ხახვსა და ლერწამს...
სახეზე ავიფარეთ ჯალათის ნიღაბი,
რა ხდება, რა ხდება ჩვენს თავს,
პარადოქსულია მაგრამ რეალური,
სხეულში სისხლი ძლივს ფეთქავს.
ამდენმა წინათქმამ, ბოლო მომიმზადა,
თვალი მომადევნეთ ბეჩავს...

## შვილიშვილს

არ არსებობს ქვეყანაზე შენი დარი,
უჩვეულო სიმდიდრე და საფიცარი,
დედამიწა თვით კოსმოსი,
ვულკანთფრქვევა ჩაუმცხრალი...
ახდენილი ოცნებები და კერია ჩაუმქრალი,
გონიერი მარდი, სხარტი,
,,ბებეს“ სუნთქვა გულის ვარდი,
მეცხრე ცაზე ფრთებგაშლილი.

შენთან ერთად, მეც რომ დავქრი,
არ მადარდებს თუ ოდესმე რამე დამღლის,
ანდა წამშლის...
ღმერთის მიერ ნაბოძები შვილიშვილი,
მოჩუხჩუხე ნაკადული, წყაროსთვალი,
არ არსებობს სხვა სიმდიდრე, ფუფუნება,
ლაშას დარი,
ის ჩემშია, დამილოცე ღმერთო,
მისი მომავალი...

## დედას

გამონათდი, ამიცრემლდა მკერდში გული,
შორიდანაც ვერ გისწორებ თვალს,
შენ მრავალი შვილითა და შვილიშვილით,
შეუძლებელს შესაძლებლად ,,თხზავ“.

ბადიშებით თავს იწონებ დამაშვრალი,
ისევ აკვანს დასტრიალებ თავს,
აცეკვდები, ამღერდები, ,,ქედმაღალი“ ...
შუაცეცხლი შემოგმატებს ალს.

ვინ აღწეროს დედავ, შენი დიდქალობა,
მამულისთვის არ იშურებ მკლავს,
მტერს მტრულად და მოყვასს კეთილ სურვილებით,
სიყვარულით შემოუღებ კარს.

,,კრუხის“ ფრთებქვეშ შეყუჟულან წიწილები,
წარმოადგენ: დასაყრდენს და ფარს,
მე, ბეჩავი, უცხო ცის ქვეშ გატანჯული,
შენი ნახვის მოლოდინი მკლავს...

## მეუღლეს

ეკრანიდან შემომცქერი,
თითქოს ვიყოთ ერთად სახლში,
მეფერები ენამზეობ,
დიდი და პატარა ბავშვი.
რამდენი რამ თავს გადაგვხვდა,
ერთად დაგვიცლია თასი,
ნარ-ეკალიც გვიკრეფია,
ერთმანეთის ვიცით ფასი.
დრო გადის და ბევრ რასმეს ვგრძნობთ,
მაცდურია უცხოთ საშვი,
მომენატრა გვერდით ყოფნა,
ხელებს უშენოდ ვეღარ ვშლი.
ორმოცი დღე კიდევ დამრჩა,
გავიშალოთ ერთად ტახტი,
გამძლეობას გიდღეგრძელებ,
სხვაგან ყოფნას არ აქვს ფასი.

## უსაქართველოდ

აქ გაოცება რა სათქმელია,
დავტოვე მიწა ღვთის საოცრების,
უწყლოდ დარჩენილს ვგავარ ბეჩავი,
მიტოვებული სულის მგოსნების.
დავდივარ უცხოდ ამ მილეთ ხალხში,
სხვის ქვეყანაში ჩუმი ოცნებით,
მომნატრებია ბელურა ჩიტი,
მერცხლების ჯარი თვისი ფრთოსნებით.
არანაირი სიმდიდრე სხვისი,
მე არ მიზიდავს სრა სამყოფელიც,
გამღმერთებია მამულში კენჭიც,
დაბადებიდან ძიძოს ყლორტებიც.
ყველა ხის ტოტი ჩემსას მაგონებს,
ჩამესმის სუნთქვა მწვანე ფოთლების,
ბევრ რასმეს ვხედავ კარგს და საჩინოს,
ნეტავ ქართველნი იყვნენ მფლობელნი.
თითებზე ვითვლი დღეებს დარჩენილს,
ვოცნებობ იმ დღეს როდის მოვრჩები,
გადასწორდება ნაოჭი თვალთან,
ჩაგიკრავთ მკერდში ღვთიურ ლოცვებით.
და მოგიყვებით ამბებს უთვალავს,
ისეთებს ალბათ თქვენც გაოცდებით,
მუხლებს მოვიყრი მშობლიურ ცის ქვეშ,
სულით ხორცამდე თქვენზე მლოცველი.
უფლის წინაშე წრფელი მაქვს გრძნობა,
და მის ახლობლად ამ გზით მოვხვდები,
უსაქართველოდ ფუჭია დილა,
უსაქართველოდ მე ვერ მოვრჩები.

## ქუდზე კაცი

დასაბამიდან ჩემო ქვეყანავ,
ურიცხვი მტერი ირგვლივ გარტყია...
იბრძვის და იღწვის შენთვის ქართველი
წინაპართ ძვლები სად არ მარხია
ო, საოცრებავ, სიცოცხლე შენი,
მტერმა არადა... არ შემარჩინა
აქამდე მოსულს ისევ მტრები გხრავს
მიკვირს რა ძალამ გადაგარჩინა
ქუდზე კაცს ვუხმობ სამშობლოსათვის
ერთობის ძალამ სალ-კლდედ გვაქცია
მამულისათვის, სამშობლოსათვის
რკინის აბჯარი ტანზე გვაცვია...

## დაცარიელდა სოფლები

მარტოობის და ეულად ყოფნის,
დიდი ტკივილი წამომეწია,...
ქართულ მიწაზე ყოფნა არ ყოფნის,
ვეება შიში გზად დამეწია.
მამა-პაპური ოდა სახლები
ეულად მდგარნი იღვენთებიან,
კერიის დამნთებს, კელაპტრის ამნთებს,
ყოველ წამიერ ელოდებიან.
ძველგაზრდები კი ნიშნის მოგებით,
დაკოჟრილ ხელით გვეფერებიან,
რა უნდა გითხრათ, რით გაგახაროთ,
მხსნელი სოფლისა ისევ ღმერთია.
შვილთსიმრავლეზე ვიფიქროთ ხალხნო,
თორემ გაქრება ღვთის ივერია...
11/ 07 2012

*ნუნუკა გურალია*

## მზე

ცამზე უბელო სიცოცხლის
მგოსანი,
ყვავილთა წკრიალა ხმა.
ჩემია, ვერ დავთმობ
 ურმულს და ლილეოს,
გრემს, ილორს, ბაგრატს და
 ჯვარს.
ლურჯი ზღვაც ჩემია,
ზედ თეთრი თოლია,
და სიზმრებს გაურბი ავს.
მამულზე ფიქრი ხომ
 ძალიან ძნელია,
ცრემლები მისველებს
 თვალს.

## გული სიჩუმით დაღალულია

უცნაურია მზე ფოთოლცვენის
და ვარსკვლავები ცაზე მიმქრალი.
გაფითრებული მთვარის ჩურჩული
და დაბნეული ხმა როიალის.
ყველგან დუმილი, მხოლოდ დუმილი
გული სიჩუმით დაღალულია
და ოცნებების ბილიკები კი
ღრუბელთ ბლონდებით დაფარულია.
უცნაურია მზე ფოთოლცვენის
და ვარსკვლავები ცაზე მიმქრალი.
 გაფითრებულ მთვარის ჩურჩული
და დაბნეული ხმა როიალის.

## გაზაფხული ყოჩივარდებს მპირდება

*(მეუღლეს)*

ყველაფერი დაიწყება თავიდან...
იცოდე, რომ მზე კვლავ ლალი იქნება.
მოფრინდება ციდან მალე მერცხალი
და ჩვენს სახლთან ჩუმად აჭიკჭიკებდა.
თავს ნუ დახრი გამართულმა იარე
გამაოცეს წუხანდელმა სიზმრებმა
ცრემლებს ნუღარ დამანახვებ, ძვირფასო!
გაზაფხული ყოჩივარდებს გვპირდება.
ყველაფერი დაიწყება თავიდან...
იცოდე, რომ მზე კვლავ ლალი იქნება.
მოფრინდება ციდან მალე მერცხალი
და ჩვენს სახლთან ჩუმად აჭიკჭიკდება.

* * *

აქ ამ მიწაზე მხოლოდ
ამ ცის ქვეშ,
ყელი ამაყად მომიღერია.
სხვა სალოცავი არსად
მეგულვის,
სამშობლო ჩემთვის
უფლის ძღვენია.

* * *

მზეს ცაში უკვე აწვალებენ
ზამთრის ქარები
და შიშისაგან ჩასცვენია
ორთავ თვალები.
მთვარეს სიმშვიდე დაუკარგავს
 გადაღლილია
და ვარსკვლავებიც ბუზღუნებენ
 დამაშვრალები.

* * *

შეშლილი ფიფქების
ხარხარი ზეციდან,
ფიფქები საოცრად
ურჩი და უბელო.
იქნება სულ მალე
ჩათავდეს ეს თოვა
რომ ისევ გაზაფხულს
შლეგივით ვუმღეროთ.

## მუზა...

სიჩუმეში გარინდებულ ქალაქს სძინავს,
ერთ ოჯახში მძიმედ სუნთქავს ქალი ,
ტკივილებით ნასაზრდოებ ფიქრთა კონას,
ლამისაა შეუმტვრიოს კარი.
აეშალა საღერღელი, წამოვიდა,
ყურთბალიშმაც იგრძნო მუზის ღვარი,
გამეფებულ სიჩუმეში სევდის მუზას,
ეფერება გათანგული ქალი.
მუზის სუნთქვა ასაზრდოებს დღესაც,
ქალაქს სძინავს უჩვეულო ძალით,
ერთ ოჯახში განათებულ სივრცეს,
აფერადებს მუზის ნიაღვარი...
სიჩუმეში ჩაფლულ ქალაქს სძინავს,
მუზამ ქაღალდს დააჩინა კვალი,
ახლებურად შემოიჭრა ,,ათინათი“,
ახლებურად დილას შეხვდა ქალი.
11/ VII -2012

## დადუმდა ქნარი

დადუმდა ქნარი, მოჰკლეს ილია,
მთვარეს გასცვივდა სხივთა ბულული.
ამოაცალეს გული ჩვენს მამულს,
სასიყვარულოდ ამღერებული.
მზემ ვერ დაფერა ზეცის თავანი
და ვარსკვლავებმა სევდა აკინძეს,
ჩუმად მოსთქვამდა ბაზალეთის ტბა,
ყვარლის მთებმა კი ძაძა ჩაიცვეს.
სანთლებმა დაბლა დახარეს თავი
ცრემლები ღვარეს თვალთაგან უხვად.
გოდებდა მტკვარი და ქართლის დედა,
ხოლო სამრეკლო დუმდა და დუმდა.
დადუმდა ქნარი, მოჰკლეს ილია,
მთვარეს გასცვივდა სხივთა ბულული.
ამოაცალეს გული ჩვენს მამულს,
სასიყვარულოდ ამღერებული.

*მანანა დანგაძე*

## „ადიდებელი წმინდა ნინო“

გზები როგორ მოუნამქრა თოვლით,
ასე რაღამ დააბრმავა ქარი,
არ იცოდა, რომ შორი გზის მოვლით
მოდიოდა ფეხშიშველა ქალი.
ჩვენზე ფიქრი ადნებოდა სანთლად,
ხელში ეპყრა თმით შეკრული ჯვარი,
როგორ ექცა ჯოჯოხეთი ნათლად —
საქართველოს ტკივილი და ჯავრი.
მოდიოდა ნარ-ეკლიან გზებით,
თვალებს არ კი მოაკარა რული
მტკიცე რწმენით, სულითა და გზნებით
აღვსილიყო მისი რწფელი გული.
გზები როგორ მოუნამქრა თოვლით,
ასე რაღამ დააბრმავა ქარი,
არ იცოდა, რომ შორი გზის მოვლით
მოდიოდა ფეხშიშველა ქალი.

## წერილი დედას

მახსოვს, პირველად შენ დაგინახე,
თითქოს მზეს ჰგავდი, გადგა ნათელი,
ის წამი სულში დიდხანს ვინახე,
ვით ჩაუმქრალი წმინდა სანთელი.
დედაშვილობის უსაზღვრო ხიბლით
იზლაზნებოდა წლები ტაატით,
დრო ჩერდებოდა ცოტა ხნით, ჯიბრით,
ხმას რომ შეწყვეტდა კედლის საათი.
დიდხანს ვუმზირე შენი თვალებით
ამ წუთისოფლის ფერისცვალებას,
ვერ დაგიბრუნე, დედავ, ვალები,
უკმარისობის დამაქვს წვალება.
ისევ წარსულში დავბორიალობ,
რამდენი სითბო გქონდა, ულევი,
მე დღესაც შენი სიკეთით ვხარობ,
შენგან ნასწავლი სიყვარულებით,
...გახსოვს, პირველად გითხარ რიდებით
ის ბიჭი კლასში თმებს რომ მწიწკინდა,
შენ დამიხატე ტოტი კვირტებით
და წამიკითხე ლექსი წიგნიდან.
მიხვდი, გაზაფხულს ლამაზფერებას
გამოუხატავს ჩემკენ ირგვლივი,
და გვირილების სულთა ფერებას
თავზე დაუდგამთ ჩემთვის გვირგვინი...
ერთხელაც მივხვდი, არ ვიცი, როდის
რომ შენ ცხოვრობდი ჩემი ცხოვრებით,
პატარა კენჭი, თუ ოქროს ზოდი -
სულ ერთი იყო შენთვის ყოველი.
შენ დამანახე სულ სხვა სიმდიდრე,
რადგან ილიას სულ მუდამ გწამდა,
ჩემს თვალში უფრო მეტად იდიდე -
ერთგული იყავ ბოლომდე სამთა...
ახლა შორსა ხარ ჩემგან სხეულით,
თუმც სული შენი ჩემში ბინადრობს,
ხან თავდახრილით, ხან აწეულით
ვფიქრობ, სხვაგვარად როგორ გინატრო.
დრო სწრაფად გარბის, ვგავარ მაგდანას,
არ ვეპუები სევდის დაისებს,
კვლავ მეორდები ჩემში, რადგანაც
ახლა მე შევცქერ შვილის მაისებს...
მახსოვს, პირველად შენ დაგინახე,
თითქოს მზეს ჰგავდი, გადგა ნათელი,
ის წამი სულში დიდხანს ვინახე,
ვით ჩაუმქრალი წმინდა სანთელი.
26.11.11

## არეული - დარეული

სიმღერები არიული -
აღმოსავლურ - თარიული,
ტაბაკები ვარიული,
სუფრა არივ - დარიული.
შინაური, გარეული
ერთმანეთზე დარეული,
მუშტი-კრივში ჩარეული
დაბნეული მზარეული.
დალეწილი ფანჯრებიდან
მოვარდნილი ქარეული,
და სუფრაზე ოხშივარი
გოჭისა და ხარეულის.
მინგრეული, მონგრეული
საზღვარი და ჯარეული,
თვალი მაინც სუფრისაკენ -
ცოცხალი და მჟაველი.
ქართველების რეალური
ოცნებები მთვარეული,
მაგრამ ცდა ი-რეალური,
ტვინი სპირტში არეული...
ვარსკვლავეთში არიელი,
მომტირალი ტარიელი,
ქვევრი სუფთა, ცარიელი,
ფიფქის ვარდნა ხვავრიელი.
13.02.10

## როცა...

როცა მაწვიმს და თოვლიც ითოვლებს,
როცა მიწყრება თავად ელია,
როცა ავბედი გაგვითითოებს,
როცა აღარსად აღარ მელიან.
როცა უკუნში ლამფა იბოლებს.
და, თუ რითმებიც შემომელია
სისხლის წვეთებით დავწერ სტრიქონებს,
ფურცელი ჩემი ბრძოლის ველია.
როცა გაქრება ლურჯი ზღაპარი,
როცა ტკივილი მზეზე მწველია,
უნდა ეძებო თავშესაფარი,
მწირის ბუნაგი, შენი კელია,
როცა გულიდან ნათქვამ სიტყვაზე
გეუბნებიან - უკვე ძველია,
როცა პასუხი არ გაქვს კითხვაზე:
ადამიანი მართლაც ჭრელია?!
როცა ლექსები გვანან სატირებს,
დღის შეფასებაც ისევ ნულია -
დამისხით, ამის დედაც ვატირე,
გათელესს ის, რაც ფასეულია.
მოსწორებულა ტვინში ბორცვები,
ნაოჭის ნაცვლად გლუვი ველია,
ვის უნდა შენი წმინდა ლოცვები,
ცხოვრება, თურმე, ბასრი ცელია.
როცა ყოველდღე რაღაცას კარგავ
და ვერ ფხიზლდები, როცა რთველია,
როცა წყალს აღარ დაასხამ ნარგავს,
როცა ბალიში ისევ სველია.
როცა გართმევენ მას, რაც შენია,

აღარ გაღელვებს შუქი მთვარისა,
ვერ ხვდები უკვე, რა დაგრჩენია
და დარდმა როგორ მიგითავისა.
როცა სული გაქვს ძალზე მშიერი
და ვეღარ არჩევ მტყუანს და მართალს,
როცა გეცვლება სახე, იერი,
თითქოს შორიდან ვიღაცა გმართავს.
როცა არ ესმის შენი ახლობელს,
თვალს ვერ გისწორებს შემონაფეთევს,
როცა ჭინკები აქვე სახლობენ
და ფილტვი ისვრის სისხლის ნაფლეთებს,
ფეხზე ჰკიდიათ შენი ტკივილი,
უგზო-უკვალოდ დაეხეტები,
ზეცას ასკდება სული კივილით,
თანაგრძნობად კი - წვიმის წვეთები.
დამისხით ღვინო, დღეს ვარ შეშლილი,
რადგან არავინ არ მყავს თავდები,
ელვა-ქუხილით გადათქეშილი
საკუთარ სხეულს დავუზავდები.
16.03.10

## გაშინებს სიფხიზლე

*თემურ ჩალაბაშვილს*

შენ უკვე მთვრალი ხარ, ნასვამი კი არა,
შემოგწყრა შენი სვე, შებრუნდა იღბალი,
ბორბალა ბედისამ სად აღარ იარა
ურყვნელი სულით და მზით შეუნილბავით.
ვერ გასცდი ჰორიზონტს, დაგღალა ცხოვრებამ,
მაცდური ხილვები დარდებად დალიე,
უფლისგან მიიღე შვება და ცხონება,
იქეცი ბოჰემად და დღემეხვალიედ.
სული დაგიმშვიდა ღვინომ და არაყმა,
ხელების კანკალით ჭიქა ძლივს აწიე,
დალიე, იქეცი მეფედ და არაყმად,
ქუჩაში ბუშტები მიართვი პაწიებს.
გნელდება არაყი და პატარავდები,
დადიხარ, დაეძებ მეგობრებს, ნაცნობებს,
გაშინებს სიფხიზლე, აშლილი დარდები,
გაცრეცილ ჯიბეში ჭინკები ანცობენ,
არადა ჭკვიანურს ვინ იტყვის შენსავით,
თუმც ფხიზელს მოსმენა არ უნდა არავის,
დადიხარ მიწაზე და ცხოვრობ ძესავით,
ვერ ნახე ადგილი, სად დასცე კარავი.
უშველე სიფხიზლეს, სასწრაფოდ არაყი,
თორემ ვეღარ უძლებ, შიგანი გეწვება,
გუშინ რომ უყვარდი, ის გოგო ამაყი
ამაღამ სიზმარში უცილოდ გეწვევა.
დალიე, ბახუსის რაშს მიაჯირითებ
და გინდა ღმერთებიც დაათრო კოცნებით,
მერე ძირს ეშვები და მოაბილიკებ,
ქვეყანა შენია მხურვალე ოცნებით.
კვლავ კრთება მირაჟი, ფხიზლდება გონება,
ვერ უმზერ სამყაროს ჩაძირულს ჭაობში,
დაძრწიან მაძღარნი სიმდიდრის მონებად,
ღმერთისგან განდგომილთ მოსწონთ ეს ქაოსი.
ო, როგორ გარყვნილან და რამდენს სცოდავენ,
სრულიად დაცლიათ მათ სულის დახლები,
ლაყბობენ - არ გესმის, ან რამდენს ბოდავენ,
დალევ და... ფიქრებით ღმერთს მიეახლები.
18.12.10.

## მამას

შენი პროფილით დავდივარ,
მოთმინება მაქვს შენი,
შენი სევდა და დარდი ვარ,
დარდსაც შენსავით ვშვენი.
ვიღიმი შენი ღიმილით
თუ მეღიმება მაშინ,
ო, რა უაზროდ მიაფრენს
წლებს წუთისოფლის რაში.
შენს დარგულ ვაზებს ვფურჩქნი და
შენსავით ვწურავ ღვინოს,
გლახაკს შესაწირს ვჩუქნი და
მან მაინც ილილინოს.
ამაყად დგახარ სურათში,
გვერდს გილამაზებს დედა,
შეგცქერით სიყვარულით და
შენში ჩემს სახეს ვხედავ.
დრომ სრულად შემომაცრიცა
ტანს სიხარულის კაბა,
ჟამი მწუხარე გაცლისა
ჩემს ფერხთით თვალებს ნაბავს.
შენი პირ-სახით დავდივარ,
შენს ნაფუძარზე ვდგავარ,
შენი ამაყი დარდი ვარ,
არ ვიმჩნევ, აქაც გგავარ...
27.03.12

---

*ლამზირა შეყილაძე*

## ჩემი სამშობლო

მზერას რომ ატკბობს, სულს რომ აამებს,
ჩემი სამშობლოს მთა და მდელოა.
მთელ სამყაროში თვალთა საჩინო
ჩემი ლამაზი საქართველოა.

## ნუ გაშინებს ცეცხლის წარღვნა

შენ სიკეთე აკეთე და
მადლით მორთე ცის აღმართი.
საქართველოს გულს აბრწყინებს,
უფლის მზე და წმინდა კვართი.
ნუ გაშინებს ცეცხლის წარღვნა,
ზღვის სიდიდე სიგრძე, განი,
ნუნისშია ნოე უკვე
და მზად აქვს თქვენთვის კიდობანი.

7/VII 2012 წელი

## იესო

რაც თავი, მახსოვს, მას შემდეგ გეძებ,
დღისით თუ ღამით სიზმარში, ცხადში,
ყველას გულის ხმას სიფრთხილით ვზვერავ,
რომ არ დავიწვე იუდას ალში.

შენგან ნაბოძებ იმედით ვცოცხლობ,
მართალი სიტყვა თავისკენ მძალავს.
ვკვესავ სიბნელეს, ვესწრაფვი ნათელს,
ვერ ვიტან ღალატს, ვერცხლის ხმა მზარავს.

ველიცლიცები ზეციურ სიღრმეს -
და ვეურჩები უსამართლობას.
ყოველი მამლის ყივილი მაკრთობს,
ყოველ წამს ველი მკვდრეთით აღდგომას.

მხოლოდ შენ იცი ასომთავრული,
კოდური სიტყვის სიგანე, სიგრძე.
წმინდა გიორგი გველეშაპს გაჰკვეთს
და გამჟღავნდება ლაზარეს სიბრძნე.

იესო შენი დიდი წყალობით,
სიყვარული და სიკეთე მმოსავს.
კრძალვით შევხარი ზეცის კარიბჭეს
რომ შევეგებო მეორედ მოსვლას.

27/ VII 2012წელი.

## წუთი არის ეს ცხოვრება

ფიქრმა ფიქრში ჩამითრია,
საფიქრალი მიღრღნის ნათელს.
ისე ძლიერ დაღლილი ვარ,
მზერა თვალებს ვეღარ ახელს.

ვზივარ დარდით გალეშილი,
ფერფლის - ფერი ადევს ბაგეს.
მთვარე ნათლით შემოსილი,
მისულდგმულებს შემცბარ სახეს.

ამ ცხოვრების წყურვილი მკლავს,
გულზე სევდა ლოდად მაწევს.
ვიბრძვი ხელ-ფეხ შებორკილი.
ჟამ-საწადელს დარდი მართმევს.

წუთი არის ეს ცხოვრება,
ამ წუთში ვერ ჩავეტიე.
მივსდევ დარდით დაღლილ წუთებს.
დროს მაინც ვერ დავეწიე.
10/I- 2011წელი

* * *

ზღვის ნაპირზე, მზის ნათებით,
იწვა თეთრი სხეული.
ბროლის მკერდა, შავ თვალება,
ზღვის ალერსს მიჩვეული.

ზღვას მოსწყურდა ქალის ბაგე,
დაასველა შხეფებით...
და ინატრა ჩემი გახდეს,
დავტკბე მისი შეხებით.

ქალი ზღვაში შენარნარდა,
ზღვის ალერსი ხიბლავდა.
ზღვამ კი ქალი შეიყვარა,
მასში გაუჩინარდა.

7/ II - 2010 წელი.

## ჩემო სამშობლო

ვეგულთბილები შენს სიწმინდეს, სულის ხატებას,
გულის-გულიდან ამოხეთქილ სითბოს ულეველს.
საუკუნეთა სიყვარულის ანდამატებას,
ჩემი სამშობლოს მზის ნათებას დაუსრულებელს.

ვეალერსები ვაზის ნაჟურს, მთვარის ნათებას,
მამა-პაპათა სამკვიდროებს, შორეულ წარსულს,
ზედაშის ძალას, გარიჟრაჟის გასხივოსნებას.
ადათ-წესებს და იავნანას უტკბილეს ქართულს.

გულით შევხარი ბულბულების ტკბილად გალობას,
ყვავილთა ღიმილს, პოეზიას სულის ღაღადისს,
ზეცის კარიბჭეს, უფლის მადლს და გულწრფელ წყა-
ლობას,
სიცოცხლის წყაროს მომჩქეფარეს აწ და მარადის.

17/ VII – 2012 წელი

* * *

ღამეა მთვარე ქათქათებს,
ვარსკვლავენი ნათლით თვრებიან,
მზის სხივებს ისე შესცივდათ,
მთვარის უბეში თბებიან.

## დაგიხატია გულზე ბიბლია

*თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის*
*მიტროპოლიტს - მეუფე თადეოზს*
*(მირიან იორამაშვილს)*

შენ საქართველოს თბილო მეუფევ,
წმინდა ლოცვებით რწმენას გვიღრმავებ.
შენ ხარ ვენახი, ვაზის ნაჟური,
სულმნათი კვარით გზაკვალს გვინათებ.

მადლი დანათის შენს სათნო სახეს
და შენს თვალებში დგას სიყვარული.
შენი ბაგენი ვარსკვლავებს აფრქვევს,
სულს გიმზიანებს მზე სიხარული.

შენი გონების თვალთა სამზეო,
შორეულ სიბრძნის ხეს აშრიალებს.
აფრთოსნებულო, ფიქრის სავალი,
ზეციურ სიღრმეს ათვალიერებს.

შენი მამულის თვალმარგალიტო,
ცის მნათობებთან ლოცვით საუბრობ
ამ საწუთროში სიკეთით ჩენობ,
ელიცლიცები სულთა საუფლოს.

შენ სიყვარულად მოსულხარ ქვეყნად,
დაგიხატია გულზე ბიბლია.
გახარებს ერის ერთიანობა
და საქართველო შენი ხიბლია.

ღმერთმა დაგლოცოს იყავ მზიანი,
მადლით აგევსოს ზეცის თავანი.
გემჩატებოდეს სული სვიანი,
გაგიყვავილდეს ცისკენ სავალი.
19/ VII – 2012

## წმინდა ნინოს

შენით შევიგრძენ უფლის სიამე,
სიყვარული და სული ნეტარი.
მტკივანი გული შენ დამიამე,
შენი წყალობით შევსვი ნექტარი.
უფლის დიდების მადლით შემმოსე,
გულში ამიგე წმინდა ტაძარი
და სიყვარულით დამამწყალობე,
ამიშრიალე სულის ჭადარი.
მოვდივარ კრძალვით შენს ხატებასთან,
შენს ნატერფალებს თრთოლვით ვეხები.
ჩემს ტკბილ ოცნებას, შორეულ სიზმარს,
ახლა სიცხადით გადავეხვევი.
აქ გაუშლია რტოები ვარდებს,
და ელვარებენ ნაზი ნათებით.
წმინდა დედების თვალები მიმზერს,
შენი წყალობის გამონათებით.
აქ, მაყვლის რტოებს ეტყობათ სიბრძნე,
ამაღლებულან კვიპაროსები.
აალებია ღაწვები ტყე-ველს,
გალობით ატკბობს სივრცეს ფრთოსნები.
ბროწეულების ყვავილთ სიწითლეს,
გაუჟღენთია ზეცის თავანი.
შენი ლოცვებით, უფლის წყალობით
მიმსუბუქდება ცისკენ სავალი.
შემოგავედრებ ჩემ საქართველოს,
სულო ნეტარო და ზეცის თვალო.
უკვდავთ საყოფად მოედინება,
შენი ცრემლების უშრეტი წყარო.

---

### *იამზე ჭელიძე*

*ვუძღვნი გულნაზ ხარაიშვილს*

* * *

ნათესაური სული შევიგრძენ
შენში, მაღალი და უწმინდესი,
თითქოს ახალი სხივით შევივსე,
მესტუმრა წამსვე მღერადი ლექსი.
ვიგრძენ, თვითონვე ხარ წყარო ლექსის
და შენს სტრიქონთა სიღრმენი მესმის,
გამორჩეულად ვკრეფ მარგალიტებს,
ეგ გული, სათნო, რამდენ ხმას იტევს!
მსურს, რომ გიწოდონ შენ ოკეანე,
შენ, სიყვარულის ღრმად მოტრფიალევ,
შენ სიხარულის ხარ კარგამლები,
დროის ტკივილის უხმოდ გამგები.
მხატვრული სულით აშუქებ ყველგან,
შორეული გაქვს ეგ ბრძნული ხედვა,
ჩემშიც შეიჭრა შენი აურა,
დამეგობრებას მეტი რა უნდა?!
გეხმაურები ამ მკრთალი ლექსით,
რადგან გამომყვა შენი ალერსი,
მშვენიერებავ, გაჰყევ დროს ხანგრძლივ
და სიყვარულის იარე ხანძრით.
შენს ლამაზ სულში მარად მზე ენთოს:
ბედნიერი ვარ აწ, გეთქვას, ღმერთო,
გაჰყევ ბოლომდე ამ საუკუნეს,
ლამაზ ცხოვრების ტანსხმას უყურე.

* * *

ლოცვა მიიღე ჩემგან პოეტო
შენი აზრები ჩემს სულს მოედო,
ირგვლივაც ლხენის წამ-წუთი აღჩნდა
გაფურჩქვნა იწყო ლამაზმა აზრმა.
მეფური სიტყვა მეამა ძლიერ,
კვლავ ჩავწვდი სიღრმით შენს სახე-იერს,
სიკეთე ფართედ დაგითესია,
ეს ფრთაძლიერი შენი ლექსია...
მე კი გიხილე რატომღაც გვიან,
მაინც ხომ შეგხვდი სვიანს და გზიანს.
აწ მსურს შეგიკრა ვარდების კონა,
იგრძნონ სიკეთემ მთლად დაგიმონა,
და ახმაურდეს დრო ისევ გრგვინვით,
სიკეთის მთესო, გადგამდნენ გვირგვინს.
ჩემგან მიიღე ლოცვა პოეტო,
შენი აზრები ჩემს სულს მოედო,
ლამაზი ლექსი აყვავდა მზეში...
შენი უკვდავი სიტყვები მესმის.

* * *

შენ სიხარულის ამობრწყინებად
რომ მომევლინე სევდა მეხსნება,
ვიგრძენ ჩემი გზა რომ იწმინდება
მიძლიერდება სიწმინდის ხედვა
და სანთელს გინთებ დილა-საღამოს
ვხატავ შენს სახეს მშვიდს და საამოს,
შუქი სულისა შემოდის ფართედ
მე შორიდანაც გრძნობით ხელს ვართმევ.
შენი ფიქრები უსაზღვროდ მფარავს
განურჩეველად სადაც ვარ, სადაც
და ეგ ძლიერი შენი აურა
ჩემს სულის სიმებს სიღრმით ჩაუდგა.
მინდა დაგხატო უხუნარ ფერით,
ამოგიქარგო სტრიქონი ბევრი,
ის წყარო შევსვა, შენ რომ გაპურებს,
მეც შენს სიღრმეებს გრძნობით გავყურებ...
მინდა, რომ ჩემთვის შენ იქცე ხატად,
სადაც მივდივარ მე მზეში გხატავ,
ოქროს გულიანს ანაპერწკლებით
შენ გაზაფხული მოგყავს მერცხლებით.
ჩემს ფართე სულში იმკვიდრებ ბინას
გხატავ მშვენიერს, ლაღსა და მცინარს,
მოხატულს ლამაზ გულის კარებით
შეგყურებ ხშირად, თუმც მოკრძალებით.
შენ გულის სითბოს აფრქვევ და აფრქვევ
და მე ეშხიან სიყვარულს ვარქმევ,
როცა სიკეთე მომენატრება
შენ მყავხარ მაშინ დიდად სათქმელად.
მშვენიერებავ, იარე დიდხანს,
ყვავილო სულის - სხვამაც რომ გითხრას,
ახლა აქ მინდა დავსვა წერტილი,
შენსკენ მოვილტვი თავაწყვეტილი,
მერე შეგხვდები და გეტყვი მრავალს,
ჩვენი ხალისი უფრო შორს წავა.
8 / II 2012 წ

* * *

მატარებელი შენსკენ მოდის, ჩუმი ხმაურით,
უყურადღებოდ ვიგრძენი რომ შენ არ ჩაუვლი,
დიდი სივრციდან შემოსული ხარ ანაშუქით
ჩემს სულის სიმებს მარგალიტებს ამაყად ჩუქნი.
აღორძინების ცეცხლი მოგაქვს და გვიქსოვ სამოსს,
რომ ეს ცხოვრება ყველასათვის იყოს საამო,

დიდი სიცოცხლის ამაგდარო ჟამი რად ცხარობს?
შენ ფართედ გინდა, რომ სუყველა მთლად დააწყნარო.
ხედავ ისწრაფის შენსკენ ისევ მატარებელი,
არ გსურს იხილო შენ არცერთი ატირებული,
აღორძინების ცეცხლი მოგაქვს და გვიქსოვ სამოსს,
რომ ეს ცხოვრება ყველასათვის იყოს საამო.
12 / II 2012 წ

* * *

შენი ღიმილი მრავლისმთქმელი აზრის დამჭერი
ჩემს გამოხედვას ჩაესახლა, იქ ჰპოვა ბინა
და იფურჩქნება ყვავილივით იგი ამჯერად
სიფხიზლეს მოყვა, სიფხიზლეს ხომ არასდროს სძი-
ნავს.
მეც შეგიცანი, შეგიგრძენი ძვირფასო უცებ
ჩრდილში გამოვლაც კი მოასწარ, ხმაც არ დაგღლია,
გული ხალისით შენს არსებას სიმხნევით უცემს
ცხოვრებისათვის ბევრი სითბო მიგაქვს ძალიან.
შენ ამორძალო, ვარდისფერი სამყარო გლოცავს
და სათნოების კარებისკენ მოგდევს აზრები,
როცა ქარბუქი, გრიგალია, რყევაა როცა
მაინც ღვთიური იმყოფები დროში ნამზევი.
შენთან შეხვედრამ ახლის შუქით ისევ დამფარა,
შენთან შეხვედრამ ხედვა ჩემი კვლავ შორს აზიდა,
ვიგრძენ, რომ შენსკენ ხალხის გული ძლიერ გამთბარა,
მიგვიძღვი ისე, რომ სიკეთით ჟამი აზვირთდა.
11/ II 2012 წ

* * *

დამიმეგობრა მაგ ნაზმა გულმა
სულში შეიჭერ შენ ჩემო გულნაზ,
როგორც არასდროს, არვინ, არცერთი,
ვფიცავ მოწმეა მაღალი ღმერთი
და შენი სულის შუქი ჩემს კარებს
აღებს ღვთიურად და გავიხარე
ამ ცივ ზამთარშიც, როგორც ყვავილი
სტრიქონი შენსკენ მოდის ყოველი
და გხატავს, გიხმობს ყოველი ლექსი
დღეს სადღეგრძელო მე შენი შევსვი
ო, რა ძლიერი სული გქონია,
ბევრი შენს გვერდით მონაგონია,
ხალისის ტალღავ, შუქო იმედის,
შენს სულის კუნჭულს ჩავწვდი, მივედი...
და მაღალი ხმით ვიმღეროთ ერთად
ჩვენ გავახარებთ კაცსაც და ღმერთსაც.

* * *

სანთელი იწვის და შენს სახელს ვახსენებ
ლოცვით შემოსილო, ღვთიურო, წმინდავ,
ეგ გულის კარები შენ ჩემთვის გახსენი
დიდი მირონცხება მე შენთვის მინდა.
ისევ ეკლესიის ხატებთან ლოცვებით
გიხსენებ, სიკეთით რომ ნათლავ ყველას.
ეგ შენი ბუნება არს მრავლის მომცემი,
შენს სულის სიმაღლეს ღვთისნიერს ვხედავთ.
იარე, იარე შენ უფლის მცნებით და
სიყვარულს გაუღე კარები ისევ
წრფელი გზით მიდიხარ, არასდროს ცდები და
უფლის შეგონებას ბოლომდე ისმენ
და ისევ რეკავენ ზარები სიონის
და ბედნიერების შემოდის შუქი,
შენს ლექსებს იხუტებს მთლად კავკასიონი
და მეც ჩემს სტრიქონებს გულწრფელად გჩუქნი.
ისევ სანთელს გინთებ, ვუმღეროთ მაცხოვარს,
ვიყოთ და ჩვენი გზა სიამით ვქარგოთ,
კეთილნი სიამით სიტკბოში გვაცხოვროს,
ვთესოთ სათნოება, არ დავიკარგოთ.
12 / II 2012 წ

* * *

ეს ლურჯი სუფრა მაღალი სულის
მასპინძელს მოგავს, ლხენის წუთებით,
აქ სიყვარულმა უმაღლეს სურვილს
ფრთები შეასხა ნასათუთები.
მოჩანს ყოველი ეშხიან შუქით,
ლაღი წამია, ვმაღლდებით ყველა,
მაშ გაუმარჯოს დღევანდელ სურვილს
ჩვენი მიგნება რომ ასახელა.
აზრის ნათელმა თქვენი სახენი
უფრო აზიდა სიბრძნის კარისკენ,
ლამაზად მოდის ჩვენი სათქმელი,
ეს სუფრა ჩვენზე თითქოს ჯვარს იწერს.
მოგონებათა სიღრმე მოსარკულ
ფერით შემოდის სიმღერის ხმებად,
თქვენი სახენი ჩემში მოხატულ
სულიერების წამებად რჩება
ვისვენებ, როგორც სამოთხის ჩიტი
იცით გალობა მაკლია ახლა
ვარ ბედნიერი და მეტად მშვიდი
გაფრენა მინდა უსაზღვროდ მაღლა.
ალბათ გამიგეთ: განეწყვეთ უკვე
მაშ დიდი ყანწიც ასწიეთ სავსე,
მხოლოდ სიყვარულს უდიდესს ვუთევ
სურვილებს ვლოცავ ჭეშმარიტს, ნამზევს...
და მიხარია, რომ ამ ლურჯ სუფრას
წყალობის დიდი შუქი ატყვია
და ხალასია დღეს თქვენი სუნთქვა
ვერ ვხედავ ახლა ვერცერთ დარდიანს.
ო, ძლიერ მინდა, სიმღერის ტალღამ
მთლად გაიტაცოს გონება ჩვენი
არ იგრძნობოდეს წამითაც დაღლა,
იყოს სიცოცხლე კვლავ დამამშვენი.
მაშ, გაუმარჯოს სიტყვას ძარღვიანს
გულის კარებს რომ სინათლით აღებს,
სიტყვას რიხიანს, არა დარდიანს,
ზეიმურ ელფერს ყველას რომ აძლევს.
მოხუცსაც სულში მზეს რომ უტოვებს
წამლად მიჰყვება ყველა დარდიანს,
სიყვარულს ჩუქნის ყველა უცოდველს
ფერთა ცვენაა თუ ავდარია
ვისვენებ, როგორც სამოთხის ჩიტი
იცით გალობა მაკლია ახლა
ვარ ბედნიერი და მეტად მშვიდი
გაფრენა მინდა უსაზღვროდ მაღლა.
ვიმღეროთ ისევ. ამ დღემ დახატოს
ისევ სურვილთა გამოძახილი,
შემოდი მალე ჟამო ახალო
დაიმახსოვრე ჩვენი სახელი;
გულნაზი, ეკა, იამზე ხატით
და ღვთისმოსავთა სიაა გრძელი
დროვ, მეგობარი ჩვენი გზის გახდი
მოსიყვარულე, ჩვენი დამცველი.
ისევ სიმღერა მოვიდეს ყურთან
ლამაზ ასულთა თუ რაინდების,
ცისფერ მომავალს ფრთაშლილმან ვუთხრათ
თავისუფლების გზით გავფრინდებით.
და გადასერავს ლექსი მზიანი
ოკეანეებს უხსოვარ გზებზე,
ისევ სვიანნი, თავაზიანნი
ხალისის ტალღით გამოვალთ მზეზე.
ახლა კი გვინდა მამა-პაპურად
დავაგუგუნოთ სიმღერა ეშხით
დე, იგრძნონ ჩვენმა ხმებმა დახურა
სივრცე, მშვენების ძახილი გვესმის.
ისევ ვახსენოთ ლილე და ლალე

და ჩვენი ძველი ხასანბეგურაც,
მამულო, ისევ შენ გენაცვალე
შენთან მე თავს ვგრძნობ ისევ მეფურად.
დამისხით ღვინო, ალუბლის ფერის
ვაზის ფილტვებით ვისუნთქო მინდა,
ნუნუას ჩუხჩუხს კვლავ გულისძგერით
სამადლობელი მივუძღვნა წმინდა
თქვენ მომისმინეთ მთესველნო სიბრძნის
საგალობელით შემომიერთდით,
დრო შემოაღებს აწ კარებს ვიცი,
გვეტყვის გფარავდეთ მაღალი ღმერთი
და ამაღლდება ყველას გულები
დაგვათრობს ისევ სიმღერის ეშხი,
დაგვდაფნავს ყველას თაიგულები
ვიგრძნობთ სიცოცხლის შარბათი შევსვით.
მწვერვალებს წვდება ჩვენი აზრები
და იადონთა გალობა გვესმის,
სული წყნარდება ისევ ნამზევი
ამ მირონცხებულ დალოცვილ დღეში.
აქ ჩვენს თავშეყრის დღეს გაუმარჯოს
მარად იხაროს ქართულმა სულმა,
დე, საქართველომ კვლავ გამოზარდოს
ლაღი არწივნი, რომ ჩვენი სუნთქვა
შეივსოს მათი გამონათებით,
წალკოტში ნაშობ ნიჭის შენებით
წარსულს, მომავალს დიდი სათქმელი
აქვს, შორს მოვდივართ უფრო ვმშვენდებით
დამისხით ღვინო ალუბლის ფერის,
ვაზის ფილტვებით ვისუნთქო მინდა,
ნუნუას ჩუხჩუხს კვლავ გულისძგერით
სამადლობელი მივუძღვნა წმინდა.
ისევ სიმღერა, ისევ ლექსები,
ყველა სიწმინდე მხოლოდ ჩვენია
გრძნობით სიყვარულს ვეალერსებით
დროსაც ვგრძნობ ჩვენთვის მოულხენია.
მაშ, ვიგუგუნოთ ქართველნო მშვიდად
მაშ, ავამაღლოთ ჭერი და ზეცაც,
ყოველთვის ვართ და ვიქნებით წმინდა
მისთვის ვუყვარვართ ჩვენ მაღალ ღმერთსაც.

* * *

როცა ამოდის მზე
გავყურებ განვლილ გზებს,
მიხანგრძლივდება ფიქრი
სადღაც ლამაზად მიქრის.
ისევ შევყურებ დროს
და სულში აღარ თოვს.
რადგან გავუძელ დარმართს
წავედი აღმა, აღმა.
სულმა სიმშვიდე ნახა,
ყინულიც ჩემში გალღვა
და მოვერიე ჟამს,
მე ძლიერება მწამს,
ახლა ვიმშვიდებ თავს
და მზე სხივებით მრთავს,
ისევ შევყურებ დროს
და სულში აღარ თოვს.
13 / II 2012 წ

* * *

ჩაივლის ალბათ წუხილი და ღრმა სიხარულიც,
აღარ იქნება დრო ცრემლებით აწ დანამული,
კვლავ ცისფერ გზაზე გაიქროლებს ჩვენი მერანი,
ხელს ვერ შეგვახებს წამითაც კი მაშინ ვერავინ.
სულით ძლიერებს დრო ჩაგვაცმევს უძლეველთ სამოსს,
ცხოვრება ისევ შეიქმნება ჩვენთვის საამო,
შენ, ჩემო გულნაზ, მეტყვი მერე, რომ ჩავწვდი დრო-
ჟამს,
ახლა ხალისმა გაგვახარა ცრემლები მორჩა.
გადამეხვევი ისევ ისე ყვავილთა კონით,
ისევ სიმღერით სამლოცველოს შევაღებთ ორნი,
მერე დაგვლოცავს დიდხანს, დიდხანს წმინდა ილია,
გვეტყვის: დიდებით საქართველო შემოსილია.
და ავამღერებთ უსაყვარლეს ჰანგებს ჩვენ დროში,
გწყალობდეთ ღმერთი, დაილოცოს ნაბიჯი მოსვლის,
ქართველნო, იტყვის, ყველა, ყველა ვისაც სწამს
ღმერთი,
ჩვენი გულები უსაყვარლეს სურვილებს ერთვის,
კვლავ წაგვიძღვება წინ ლოცვებით ბრძენი ილია,
ვიგრძნობთ მარადჟამს ღვთის დალოცვით შემოსილი
ვართ.
12 / II 2012 წ.

*ალინა კუპრავა*

## დედას!

*(ვუძღვნი დედას. ვულოცავ გადარჩენას და დაბადების დღეს)*

## „მშობელი დედა“

დედის ალერსით თბილი თითები აიღებს კალამს,
და მასზე დაწერს ლექსად ნაკინძ სიტყვების კონას,
სულს და გულს ჩავდებ ჩემს სიყვარულს მინდა იცოდე,
ოღონდ მეყოლე მუდამ შენს გვერდით მშობელო დე-
დავ.
მახსოვს დრო იყო ბევრი ტანჯვა ერთად გვინახავს,
ცრემლით დანამულ თვალებს ბევრჯერ კოცნით გიშ-
რობდი,
დღეებთან ერთად საათებს, წუთებს, წამებს ვითვლი-
დი,
როგორმე სწორად გემკურნალა დიდხანს ვფიქრობდი.
მაღალმა ღმერთმა არ გასწირა სიცოცხლე შენი,
კეთილი გული ნაღვლიანი თრთოლვა თვალების,
შენ გაუძელი ტკივილს დარდებს და დამცირებას,
მეამაყება ჩემო დედავ გმირო ქალების.
ბევრჯერ ლამაზი მწვანე თვალები ცრემლმა დანამა,
სიცოცხლის გზა კი ბოროტმა ხმებმა ნისლით დაფარა,
როცა გეტყოდი „დედი სიცოცხლე მშვენიერია“,
ნაღვლიანი ხმით მპასუხობდი: „ჩემთვის აღარა“.
თხუთმეტი წელი ჯოჯოხეთივით გამოვიარეთ,
ცეცხლის ალივით სულს გიღრღნიდა თითქოს სატანა,
რომ დაილალა ამდენი ტანჯვით შენი სხეული,
გონსაც კარგავდი, არ შეგეძლო მეტის ატანა.
საავადმყოფოს ქვასავით კედლებს რწმენით ვავსებ-
დით,
როცა ტიროდი შენი ცრემლი მარგალიტს ჰგავდა,
„დედაშვილური სიყვარული ხომ მძლეთა-მძლეა“

და შენ კი გვერდით მოალერსე შვილები გყავდა.
ხომ გპირდებოდი ავადმყოფობას დავამარცხებდით,
და იქცეოდი ტანჯვის გარეშე ბედნიერ ქალად,
ღმერთმა ისმინა ჩვენი ნატვრა ჩემო ტანჯულო,
მისი სიკეთე მთელი ცხოვრება გაგვყვება ვალად.
მინდა მივმართო ყველა შვილებს, დიდს თუ პატარას,
გულს ნუ მოუკლავთ მშობელ დედას ყველას ამას
გთხოვთ,
დიდხანს გიცოცხლოთ დედის ალერსი შეუცვლელია,
და ყოვლისშემძლე უფალს სანთლებთან დაჩოქილად
ვთხოვ.
ჩემო ძვირფასო დიდი ხნის ნატვრა უკვე აგვიხდა,
აწი ცხოვრება და ჯამრთელობა გარგუნა ბედმა,
ყველა გილოცავთ მოციმციმე ლალი თვალებით,
ყველაზე მეტად შენ გვიყვარხარ, მშობელო დედავ!“

15.12.2008 წ

## „სიყვარულის ისტორია“

*(ვუძღვნი მეუღლეს)*

„კალამს ავიღებ და შენ მოგიძღვნი,
ლექსად აკინძულ სიტყვების კონას,
თუმცა არასდროს არ ვიფიქრებდი,
„ოდნოკლასნიკში“ მე საქმროს პოვნას....
თოვლის უნაზეს ფიფქებთან ერთად,
ბედმა მარგუნა მისი გაცნობა,
გულში სითბო და სულში სინაზე,
ერთად შეიკრა ვარდების კონად....
პირველმა ნახვამ თითქოს შემაკრთო,
და გულმა იგრძნო საფრთხე ნამდვილი,
თითქოს ვიგრძენი შენს თვალებს სურდა,
ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი....
განშორებისას გული დამძიმდა,
შემოიპარა ღრუბელად დარდი,
როცა ვიფიქრე არ შევიყვარებ,
შორიდან მზერით მათბობდა ვარდი....
მეორედ გნახე შენმა თვალებმა,
უსიტყვო მზერით მითხრა სათქმელი,
მიყვარდი, მაგრამ ცივად გითხარი,
ჯერ საპასუხოდ მზად არვარ მეთქი....
რა უნდა მეთქვა, როცა ვხვდებოდი,
შენგან სიშორე მიძნელდებოდა,
შენი ყოველი მესიჯის ტექსტით,
სიყვარულს ალი ემატებოდა...
მე ძლიერი ვარ, ვფიქრობდი გულში,
მაგრამ თანდათან მძლია დარდებმა,
და გაზაფხულზე სულში და გულში,
აყვავილება იწყეს ვარდებმა...
და ამის შემდეგ ყოველ შეხვედრას,
სულ მოუთმენლად ელოდა გული,
შენი სიკეთით სავსე თვალებში,
რომ დაენახა კვლავ სიყვარული....
ვარდი უეკლოდ ველარ მოვკრიფეთ,
გული გონებას ემართლებოდა,
აზრთა სხვაობა კამათს ბადებდა,
ამით ცხოვრება გვემწარებოდა....
და არჩევანის წინაშე დადგა,
ან განშორება ან ყოფნა ერთად,
წარმოვიდგინე შენი დაკარგვა,
ველარ გავძლებდი უშენოდ ბევრ ხანს....
არც სამსახური, არც კარიერა,
ველარ მაქცევდა ბედნიერ ქალად,
როცა სიყვარულს განიცდის გული,
მისი დაკარგვა აღარ ღირს არა....
ბედისწერამაც არ დააყოვნა,
ააყვავილა მაისში ვარდი,
ორთავს დაგვადგა თავზე გვირგვინი,
ბედნიერებით შეცვალა დარდი....
უფალო ღმერთო გთხოვ დაიფარე,
ჩემი ოჯახი და სიყვარული,
შეგვინარჩუნე ბოლო წუთამდე,
ამ დიდი გრძნობით აღსავსე გული............

28. 05.....2011 წელი

---

*ნანა დარჩიაშვილი*

## კლდე ტირის

ბარათაშვილზე კლდე ტირის,
ცრემლი მტკვარს ჩაედინება.
ცინც ამ სასწაულს იხილავს
მშვიდად არ დაეძინება!...
კლდე ტირის ქალაქს დანგრეულს,
უდროოდ წასულ ყმაწვილებს,
ოდითგან მტრისგან გატანჯულ
მამულის დამცველ არწივებს!
კლდე ტირის, ჩუმი ქვითინით
გულზე ნაპრალი უჩნდება,
მიწა ტიროდეს უფალო,
სხვა ქვეყანაში თუ ხდება?!
კლდე ტირის - კლდის ხმა მწუხარე
გმირებს საფლავში ჩაესმით,
ნადენი ცრემლი ვაჟკაცებს
ჭრილობებს უბანს ალერსით!
ბარათაშვილზე კლდე ტირის
ნატანჯი, ნაიარევი,
მეც მისებრ თვალცრემლიანი
კლდის ძირში დავიარები.
კლდეო! დაწყნარდი, ნუ ტირი!
გეყოფა ცრემლის დენაო!
რა მგრძნობიარე ყოფილხარ,
ნეტავი გქონდეს ენაო!...

## ზაზას, ზვიადს, ირაკლის

კლდე ტირის, თქვენ კი ბიჭებო
არვის ენახოთ მტირალი!
თუმცა ცხოვრება რთულია,
საოცრად გასაკვირვალი...
გულს ვერ ვასვენებ, ბობოქრობს
როგორც ირემი მყვირალი!
შვილებო, ჩემი სუნთქვა ხართ,
თქვენზე ძვირფასი ვინ არი!
მაგრამ ერთს გეტყვით - სამშობლო
ერთია როგორც უფალი,
ქართული მიწა დედაა
ზეცა კი ჭირისუფალი!

## დედაენაა ჩემი ქართული

მე ვარ ქართველი! მეამაყება!
დედაენაა ჩემი - ქართული.
ილიას ენა, აკაკის ენა,
გულში მტკიცედ მაქვს ამოქარგული!
მე ვარ ქართველი! ქართულ მიწაზე,
ქართული ცის ქვეშ ვიზრდები, ვხარობ.
ანი და ბანი წინ მიძღვის სანთლად,
წიგნია ცოდნის დედა და წყარო!
დედაო ენავ, ჩემო ქართულო!
- სუნთქვავ - მზის შუქად ცად აღმართულო.
სიცოცხლის რწმენავ წინ წამართულო.
დედაო ენავ, გულის მალამოვ,
სიმდიდრევ ჩემო სიტყვავ მართალო,
ქართულო ენავ, მაღალო ზენავ,
ენავ ქარგულო ცამდე აფრენავ.
ვის უთქვამს შენებრ - შენ გენაცვალე!
უფალო ქვეყნად ყოფნა მაცალე,
ქართული რწმენით, ჩემი ანბანით,
შენი საუფლო შემომატარე.
სინათლევ თვალთა, გამხსნელო გზათა,
ცრემლდანამულო ჩემო მამულო,
ნუ მეღირსება სხვა ცა, სხვა მიწა,
მოვკვდე, შენ გულში დავისადგურო!
ჩემო ქართულო ენავ ტანჯულო,
ხარ ჩაუქრობი წმინდა სანთელი,
შენა ხარ ჩემი განძი, საუნჯე,
მე ვარ ქართველი! მე ვარ ქართველი!
ანო და ბანო, ჩემო გზაკვალო,
მთელო ქვეყანავ, მთელო სამყაროვ,
ტანჯვა წამებით იარე გზები,
სძლიე ორგული, ბოროტი, ფლიდი
და უფრო მტკიცედ გაშალე ფრთები!
შენ შემაყვარე სამშობლო ჩემი,
მე შენი იავნანათი ვტკბები.
დედაოენავ, ჩემო ქართულო!
დიდება შენდა-გუგუნებს მთები!
მე ვარ ქართველი! ვარ ბედნიერი,
დედაენაა ჩემი ქართული!

## ქალი საოცრება

*„ქალი კაცობრიობის საუკეთესო ნახევარია"*
*ჰემინგუეი*

მოვლენაა, როცა იბადება ქალი!
მომავალი დედა - საოცრება არი!
ქალი, მის მშვენებას აღწერს კაცის ენა?
ქალი დედაბოძი, ქალი დედაენა!
ქალი ერის ბურჯი, ერის გადარჩენა!
ქალი აგიზგიზებს სიყვარულის ლამპარს!
ქალზე უკეთესი, სამყაროში სხვა გვყაავს?
ოო! რა ლამაზია, როცა უზის აკვანს,
მის ტკბილ იავნანას პირმშო ღმერთთან აჰყავს.
ქალი საოცრება, ქალი განძი ერის,
ჰანგის ყველა ბგერა, მის დიდებას მღერის.
მოვლენაა, როცა იბადება ქალი,
ქალი ერის გული, ქალი ერის თვალი!

## ყელსაბამი

უცებ გული შემიტოკდა
უცნაური ფეთქვით.
როცა ერთხელ ყელსაბამი
შემაბნიე თეთრი.
ოჰ, ნეტავი გაცოდინა
გამახარე როგორ,
უცაბედად თითქოს გავხდი
თექვსმეტი წლის გოგო.
თეთრ ქათქათა მარგალიტებს
ვეფერები დღესაც,
მათგან მესმის შორით მყოფელს
შენი გულის ფეთქვა.
ისევ გელი ძველებურად
ფიქრი მაკრთობს მწველი,
ყელს მიკოცნის ყელსაბამი
ნაჩუქარი შენი.

## ოჰ ეს სიბერე...

ოჰ, ეს სიბერე, ვინ მოიგონა?..
თმებში ჭაღარა, კანკალი მუხლის,
ჟამი სიკვდილთან მიახლოვების
და დაბუდება ჩვენს სულში მწუხრის...
„დრონი მეფობენ, არა მეფენი" -
რა ბრძნულად უთქვამს წინაპარს ჩვენსას!..
მომიახლოვდა სიბერის დღენი
ამაყად ველარ შევხედავ ზეცას
ვერ დავიბრუნებ გაფრენილ წლებსა
გულდასაწყვეტი სწორედ ის არის,
მომიკაკუნებს სიკვდილი კარზე
და შეიკვრება კუბოდ ფიცარი.

* * *

ვერას მაკლებს სიბერე,
გული ანცობს, ხალისობს!
თვალებს რომ მომაშუქებ,
იანვარიც მაისობს.
მალე მოვა აპრილი,
მოქარგული ველებით,
იის ფარდაგს დაგიფენ...
მოხვალ,
მოგეფერები.

## ვერ გაგაოცებ

ისე თუ გეტყვი, რაც მიდევს გულში,
რაც არის ჩემი სულის ძახილი,
მოგიყვე, როგორ მიყვარს მამული
ცა ფირუზი და ლურჯი აპრილი!
ისეთს რას გეტყვი, რომ გაგაოცო?
უბრალოდ მინდა ლექსით გაკოცო.

*ვაჟა აქიმიშვილი*

## ქალბატონ ნინოს

თქვენ ეგვიპტეში უნდა გეცხოვრათ
ფარაონებს განმკარგულებლად,
სიცოცხლით სავეს შავი თვალებით
რომ იყურებით განმნადგურებლად...
ეს რა ძალა გაქვს, მგრძნებარე, ნაზი,
ჩვენთვის თვითრწმენის დასაბრუნებლად,
და სიყვარული მაგ ლამაზ ხმაში
სადიდებელი ასე ულევლად...
ხალხმა რჩეულად თქვენ აგირჩიათ
სულის საამოდ და საყურებლად,
თქვენი სახელი მუდამ ილვაწებს
ქართველთა ნიჭის საგუგუნებლად.
მილიონობით თაყვანისმცემი
სულ გეყოლებათ გამოულევლად,
სცენიდან რწმენით მადლობას ველით
ჩვენი გულების განსაკურნებლად.
თქვენ ეგვიპტეში უნდა გეცხოვრათ
ფარაონების განმკარგულებლად,
მაგ დახატული შავი თვალებით
რომ იყურები განმნადგურებლად...
სიყვარულს
სიყვარულია სიცოცხლის აზრი,
სიყვარულისთვის გულები ფეთქავს,
და სიყვარული რომ არა მწვავდეს
მას ვერ ვიტყოდი რაც უნდა მეთქვა.
სიყვარულია იმედი, რწმენა,
თავაზიანი ძალაუფლება,
სიყვარულია ბრძოლის მიზანი
მოპოვებელი თავისუფლება.
ღმერთის სიმდიდრეც სიყვარულია,
მისი მოძღვრება სულის მშვენება,
და სიყვარული რადგან არსებობს
არ გვიწერია გადაშენება.

## საოცრებას

ჩემი გრძნობის საოცრებავ
გულს უყვარხარ ისე ძლიერ,
რომ ათასჯერ მოვკვდებოდი,
ათასჯერვე შენ მაგიერ.
ისე ბრწყინავს ეგ თვალები,
ისე ბრწყინავს შენი ფერი,
რომ ვერავინ შეგედრება,
ვერც ნესტანი და ვერც მერი.
შენ ბუნებამ განძად შეგქმნა
ვერ ატარებ ყელსაბამებს,
რადგან შენი გაღიმება
ყველა მათგანს აფერმკრთალებს.
და ბუნებრივს ბუნებაში
ველარ გწყდება ჩემი თვალი
შენზე ვფიქრობ, შენით წყდება
აწმყოცა და მომავალიც. . .
ჩემი გრძნობის საოცრებავ
გულს უყვარხარ, ისე ძლიერ,
რომ ათასჯერ მოვკვდებოდი,
ათასჯერვე შენს მაგიერ

## იდუმალ ძალას

მე უმუსიკოდ შემიძლია შენთან ვიცეკვო,
შენი გრძნობების გარეშეც კი შემიძლია, რომ შენ მიყ-
ვარდე,
ჩემთვის მთავარი არის გრძნობა ყოვლად ძვირფასი,
იმის გარეშეც სანატრელო ვის დაებადე.
ვინც ჩემი გულის საიდუმლოს იგრძნობს, შეიტყობს,
ვიცი და ყველა უსათუოდ მომეფერება,
დამამშვიდებენ, თანაგრძნობით შეწუხებულნი
და სიყვარული შენგან ჩემი დამეჯერება.
ლურჯი ოცნებით მოხიბლული ვივლი მანამდის,
ვიდრე შევიტყობ, რომ ლამაზო სხვაზე გათხოვდი.
მერე შევიცნობ ამ ცხოვრების იდუმალ ძალას
ღვინის გარეშე სილამაზით როგორ მათრობდი.

## საქართველოს

ეშხით მოსილი გვირგვინი ადგას
კავკასიონის მთების დედოფალს,
მომავალი და წარსული მისი
სამარადისო დარდად მეყოფა.
სილამაზეში ულამაზესად
ჩემი სამშობლო დამეხატება
თავსაც გავწირავ თუ მომაშორეს
და მისი ნახვა მომენატრება.
საქართველოთი მოხიბლულები
ლეგენდებს თხზავდნენ უძველეს დროშიც,
მხარეებს შენსას თვალებით შევჭამ
ცხოვრების სტილი მოვირგე ბოშის
გულის მმართველო, სამშობლოვ ჩემო
შენს მზეს შენს კალთებს როგორ მოვიწყენ,
მთებს თუ შევძახებ გაბედულებით
ეშხით მათრობენ ამას ნუ მიწყენ.
სამშობლოვ, გულწრფელ ფიქრთა საწყისი
გრძნობათა ელვა ღელვა საამო,
ან უნდა გული მტკიოდეს მისთვის
ან უაზრობის ცეცხლში ვეწამო.
მუხლებს მოვიყრი ყველას წინაშე
ვინც გაგიტანა ვინც თანაგიგრძნო,
მადლობა უფალს მადლობა იმ ხალხს
ვინც ქვეყნის ტრფობით გული აღმიგრძნო.
ღირსებით დგახარ და მისი მადლით
გაიფურჩქნები სულ ახლო დროში,
მთელ ძალას მოქცემ სამშობლოვ ჩემო
ყოფნა არყოფნად არ მიღირს გროში.

## დედას

უფრო ანგელოზს შეგადარებდე
ვიდრე დედოფალს ან მეფის შვილებს,
შენ რომ არ მყავდე დედა ძვირფასო
ამ ჩემს ტკივილებს სხვა ვინ იტირებს.
ვინ გაიხარებს ჩემით გულწრფელად
ან ჩემზე დარდით ვინ დაიძინებს,
ვინ იამაყებს ჩემი ღირსებით
ან თვალზე ცრემლით ვინ გამაცილებს...
მიყვარხარ ძლიერ უძვირფასესო
და სხვას ვერ ვხედავ რომ შეგადარო,
შენ ცალკე დგახარ და სიყვარულით
ვერ გადაგწონის მთელი სამყარო.

## ისე არ წავალ

ისე არ წავალ ჩემი კვალი
არ დავარჩინო,
მინდა აზრები დღეს საჭირო
გადავარჩინო.

კეთილს სიკეთე დაუფასო
გამოვარჩინო,
და ბოროტებას ბოროტება
არ შევარჩინო.

***გიორგი ქეთელაური***

* * *

მრავალი სევდით ტანჯულიობს სახე,
გრძნობის ტყვეობას სინაზე შვენის.
მე სიყვარული ლექსებში ვნახე
რითმის ხუხულაც განწირულს მშველის.
ბევრჯერ ვიფიქრე, მარტო ვარ მგონი,
ხან ათასი ხმა ერთადაც მესმის.
იქნებ თვითონ ვარ გამონაგონი.
ან ჩემს მოგონილს წერტილი ესმის?!
გამოვფხიზლდები, მაგრამ სადაა
ამ სამყაროში გრძნობების ტალღა.
თუმც ჩემი სული მუდამ მზადაა,
მაგრამ მაინც ვგრნობ სევდისგან დაღლას.
მეც მინდა ერთხელ ღამე რომ ვიყო,
და მთვარის შუქი მიძღოდეს გზირად,
მღვრიე ნაპირში რომ გავირიყო
დამიჯდებოდა უთუოდ ძვირად.
გამოვთიბავდი ღრუბლებს და ცაზე,
დავიტოვებდი ვარსკვლავთა კიაფს.
მშვენიერებას მე ვხედავ ასე,
თუმცა ოცნება ქარიხალს მიაქვს.
სჩანს დარჩენლა ჩემში აკორდი,
ნაზი სიმღერის გრძნობათა ღელვა.
არ მორჩენილა გულის ნაკორტნი
და მოტრფიალე სულების ელვა...
კვლავ შევიბოჭე ალბათ მერევა,
ფუჭია ალბათ ლექსების ხარჯვა
უიმედობა გამოერევა
თვალით ვუყურებ
მე სულის ტანჯვას.
17.08.2012წ.

* * *

როცა გიპოვე, მინდოდა მეთქვა,
რომ შენზე ფიქრი იმ დღიდან დამდევს.
და მაშინ მივხვდი ამ გულის ფეთქვას
როცა ვფიქრობდი მე შენზე ამდენს.
თვალის მოკვრა და მაშინვე ვხვდები,
რომ უშენობა ღუზაა სულის.
ჩემი გრძნობების ქალღმერთი ხდები,
თმების ქარიშხალს ფიქრი როს უვლის.
დაგხატავ, მაგამ სადღაა ფუნჯი,
ფურცელს რომ უთხრას შენი ფერები.
შენს სახელს ვამბობ, თუმცა ვარ მუნჯი
ოცნებით მაინც მოგეფერები.
ვიცი რომ ვაჟკაცს ცრემლებზე მეტად,
ქალის გულისთვის სისხლი უხდება.
მაგრამ სევდისგან ლაყბობით კენტად,
უფრო და უფრო სული წუხდება.
უკვე დავმუნჯდით მეც და კალამიც
წერისთვის ძალაც არ შემრჩენია,
დღეს კი ავწიე თეთრი ალამი,
ხვალ დავიბრუნებ მად, ვინც ჩემია.
მივეწებები ვარსკვლავთა ცვენას,
ზეცის ფარდაგი ფიქრებმა დახია.
ახლა ვუჩივი უაზრო წყენას,
რაც უკვე მოხდა, ჩემზე ახია.
ღამემ დამითმო ვერცხლის გორგალი,
ყველა პლანეტამ შემომიტია
ამ სიყვარულის დიდი ბორბალი,
ირმის ნახტომმაც ვერ დაიტია.
23.08.2012.

***დარეჯან მიმინოშვილი***

**გულნაზი ხარაიშვილს**

ჩემი ოცნების გაზაფხული ხარ,
ლექსით ცოცხლობ და ზენიტს მოდიხარ,
სევდას მალავ და სიცოცხლეს აფრქვევ,
ფიქრის გარეშე ნეტავ როდის ხარ?!
დედაკაცობის ეტალონი ხარ,
სულით ნაზი და გულით მდიდარი,
კდემამოსილი სასწაული ხარ,
დედა - ქართველის დასაფიცარი.
08.07-2012

# საბავშვო ლექსები



*მიტროპოლიტი თადეოზი*
*(მირიან იორამაშვილი)*

## საქართველო

ყველაფერი, თვით სიცოცხლეც
მხოლოდ შენ შეგეწირება......
ჯერ რომ ვერაფრად ვივარგე,
ამაზეც ნუ გეწყინება...
ღმერთი ძალის მომცემია,
ჭიანჭველას აქცევს ლომად,
მიტომ სულით არ ვეცემით
ღირს-გვყოს მართლის თანადგომად...
სატირალზე სხვა იცინის,
მე კი მწარედ მეტირება,
ჩემი ქვეყნის ტკივილები
გულის გულში მეტკინება.
საქართველოვ, მოწამე ხარ,
რადგან მტერი კვლავ გყავს კრული...
მჯერა, უფლით გაიმარჯვებ
სისხლდენილი, ჯვარს გაკრული.
სულით არროს დაცემულო,
გაიმაგრე ისევ გული,
გწამდეს, ზეცა გაგახარებს,—
მოვა შენი გაზაფხული.

## დალოცვა მომავლისა

გაეზარდე მამულს ბრძენად,
მზედ მიგაჩნდეს დედაენა,
მოგეცემა შვება-ლხენა,
მადლი — ზეცად ასაფრენად.
გქონდეს უფლის დიდი რწმენა
ვინც ქვეყანა გააშენა,
ვარდ-ყვავილით გაამშვენა
და დამე დღით გაათენა.
სიო გიტკბობს ყურთასმენას
ვით ყვავილთა ნაზი ფშვენა,
ბულბულის და შაშვის სტვენა,
საგალობლად გიწვევს შენა.
ღმერთმა შენაც აგაშენა,
ბევრ ლამაზ დღედ გაგათენა,
ჯიშს არასდროს უღალატო,
იქართველე კვლავ ქართველად.
არ მოიქცე უზრუნველად,
მამულს ედექ მწედ და მშველად,
გაბრწყინდება საკვირველად
და დალოცავს შენს გზას ყველა.
ინავარდე მთად და ველად,
იარწივე ცის მხლებელად,
მტერს მიაგე შესაფერად,
მიაგებდნენ როგორც ძველად...
შრომით ჰბაძე ჭიანჭველას,
წმინდა ფუტკარს ყვავილთ მშლელად.
ვერ შეგაკრთობს განსაცდელი,
თუ თავს იგრძნობ დიდგორელად,
გაგაჩინა ვინც ქართველად,
იგულვებდე მარად მცველად,
ძალად შენდა უძლეველად,
მტერთა შენთა შემმუსვრელად...
...ნანა, სულის ყვავილოო,
ტკბილო, როგორც ალილოო,
ნანა, შვილო ნანინაო,
მზემ ჰირ დაგაბანინაო.

1994წ. 7ივლისი

## საქართველოს მტრები

სადაც ენაც წაგართვეს,
გვარიცა და ზნეობაც,
იქ დაბრმავდი — გგონია,
ლაჩარს — კეთილდღეობა.
აქ, ჩვენს მამულს რას ერჩი,
თუ არა ხარ ავსული?
შენი უმადურობა
ზეცამდეა ასული.
გონს მოეგო, არც მჯერა,
როს რობოტად გაქციეს,
რა გიშველის, თუ „მძლავრთა“
ერთ დღეს ზურგი გაქციეს?!..
ბოროტება ჩაივლის,
სასუფევლად ცა მოვა,
სიმართლის მზე, კუთვნილი,
ჩვენთვის მაინც ამოვა.

1990წ.

## პატარა ანგელოზების ვედრება

უფალო, მადლი მოგვმადლე,
გვაჩუქე დიდი რწმენაო,
შენს სადიდებლად მომართე
ჩვენი ჰირი და ენაო.
აღგვავსე მტრედულ სიწმინდით,
რომ მოვიფრინოთ ზენაო,
სად სილამაზე მეუფებს,
სულს ატკობობს ყვავილთ ფშვენაო.
ასე ლამაზი სამყარო

რა ხელმა ააშენაო?
ყველა სიკეთის გამჩენო
როგორ არ გაქოთ შენაო?!
ანგელოზები გალობენ,
შვენით ფრთაგაშლით ფრენაო...
სად მარტო სიხარულია
და არ არსებობს წყენაო,
თვალშეუდგამი ნათლიდან
წყნარად სხივების ფენაო...
წყარონი უკვდავებისა
უკვადავ ბულბულთა სტვენაო,
სიცოცხლის აღმაფრენაა
დაულეველი ლხენაო.
...ღმერთო, დიდებსაც მომადლე
ბავშვებრი სული და გული,
ახარე ესე ვენახი,
ღვთიური სიბრძნით დარგული...

ამინ.
1999წ. 15 იანვარი

## ლელა

*სოლომონ ხუციშვილის შვილიშვილს*
*(ძველი ლექსებიდან)*

როცა ციდან ღამე
დაეშვება ნელა,
აცურდება ცაზე
მთვარე ნესვისხელა,
ზღაპრისათვის პაპას
მიაშურებს ლელა,
პაპაც ლამაზ ზღაპარს
ამოარჩევს ხელად
და ყურს უგდებს წყნარად
ლელა, გედისყელა.
ხეებს მთვარე მცხრალი
ვერცხლის ეჟვნებს აბამს,
ისმენს ლელა ქალი
გასაოცარ ამბავს.
ისმენს, უკვირს გოგოს
ხასიათი მათი,
თუ მელიამ როგორ
მოატყუა დათვი.
ანდა შებინდების
უცნაური შიშით
რას ფიქრობენ ღამით
ყვავილები ძილში?
ისმენს, როგორც ბრძენი.
განა ეცინება
და როს ზღაპრის მერე
ტკბილად ეძინება.
კვლავ ტოლებთან „დარბის“,
ხედავს სიზმარს ფერადს,
სიხარული ამხელს
ციცქნა გულისძგერას
და უცინის სახე
პირნშვენიერ ლელას.

## მოწკრიალე ფანდურებო

*ვუძღვნი პატარებს, ანგელოზებს*

მოწკრიალე ფანდურებო,
სიყვარულის მზეებო,
მე უთქვენოდ, საყვარლებო,
სევდას როგორ შევება?!
რას ფიქრობენ ყვავილები,
რას მღერიან ხეები,
რას ჩურჩულებს ნიავქარი
სუნთქვა სამოთხეების?!
მზის და მთვარის ქორწილია,
ვარსკვლავების სიცილი,
ღმერთმა ყველას განგიქარვოთ
დარდი თქვენ-თქვენი წილი...
სამამულო სიმღერები
იგალობეთ ხმიანად,
ვინც რომ კაცად გაჩენილხართ,
დარჩით ადამიანად;
მოწკრიალე ფანდურებო,
სიყვარულის მზეებო,
თქვენ მასწავლეთ, საყვარლებო,
სევდას როგორ შევება.

მამულიშვილები
რად არის კაცი სამამულო
ბრძოლაში მარტო?
ან მოლოდინი გამარჯვების
როდემდე გასტანს?
ხმა იდუმალი ჩამჩურჩულებს:
ნურაფერს დარდობ,—
ღმერთია მასთან.

## ბავშვი

ბავშვი სარკეა, უტყუარი, ლამაზი სარკე
და მოქმედება შენი მასში აირეკლება,
იგი უნაზეს სურნელოვან ტკბილ სიტყვებს აკმევს
საგაზაფხულო ფერად პეპლებად.
ბავშვი ექოა, უცნაურად თავისებური,
ის იმეორებს შენს მოძახილს, მაგრამ ანაზებს,
მასში სითბოა, დიდი სითბო მადლისებური,
ტკბილი, მშობლიურ იავნანასებრ,
ის ფრთაშესხმული არის ხალისი,
გხიბლავს ცელქობით ეზოს რომ იკლებს,
დიდხანს მოწყენა ბავშვმა არ იცის
და, როგორც წყარო, სულში ლიკლიკებს.

## ყვავილები... ყვავილები

(ძველი ლექსებიდან)

ყვავილები... ყვავილები...
ყვავილების ზღვა...
შენც ყვავილის სადარი ხარ,
რას გადარო სხვას?
შენზე ფიქრით დავილევი
როგორც კოვზით ზღვა...
ჩურჩულებენ ყვავილები:
„— არ ინდომო სხვა ~ .
თუ სხივივით აღმსუბუქდი
მოვა ნათლის გზა,
ყვავილები... ყვავილები...
ყვავილების ცა!

## მოხუცი პაპა

ვინ, სად, როდის შეხვედრია,
გაიხსენოს, ცდილობს...
— პაპი, ამდენს რაზე ფიქრობ?
— დამაცადე შვილო...
დავწყნარდები და კვლავ იწყებს

ზაასს თავის თავთან,
მოიგონებს ყრმობის ხანას,
დონეს რკინის მკლავთა...
მიდის წუთი და სიფრთხილით
ირგვლივ დუმილს ფანტავს,
მოგონება მოგონებებს
ქსოვს ძაფივით, ართავს.
მის გულიდან სიჭაბუკის
ორომტრიალს ვისმენ
და ვგრძნობ, გული ჭაბუკური
შერჩენია ისევ.
ვხედავ მოხუცს, თანაც ჭაბუკს,
წლებით დამძიმებულს,
მის დაშაქრულ გადიმებას,
ბაგე დამძიმებულს.
სიყვარული გაზაფხულად
გულში შეუნახავს
და ცხოვრებას გამოუთქმელ
ნეტარებად სახავს.
კვლავ ღიმილით მზის ნაპერწკლებს
აბნევს ახალ-ახალს...
სიყვარული გაზაფხულად
გულში შეუნახავს.
მიდის წუთი და სიფრთხილით
ირგვლივ დუმილს ფანტავს,
მოგონება მოგონებებს
ქსოვს, ძაფივით ართავს...
მოხუცია, მაგრამ გულით
დგას სიცოცხლის კართან...
ამ წუთშიაც კვლავ წარსულის
გახსენებას ცდილობს:
__ პაპი, ამდენს რაზე ფიქრობ?
__ დამაცადე, შვილო...

## გიორგის

მე ძლიერ მიყვარს სიცოცხლე __
ჩემი პატარა გიაო,
ამოდი, ამობიბინდი.
სიცოცხლის შუქად ნიავო,
შენ ჩვენი კარგი თუ იცი,
ცუდი რა გაგიგიაო?..

## 5 წლის დათას

*მეგობრის შვილს – დათა შკუბულიანს*

რათა ბრაზობ, რათაო,
ოქროკაცო დათაო,
გაგვიბრწყინდეს საქართველო
ერთიანად მთლადაო.
ამ ლექსს გიწერს ღვთისმსახური,
შენი ძია თადაო.

19 თებერვალი. 2007წ.

## ნოდარის და დათას

ნოდარიკო მადრაძეს, დათა შკუბულიანს

ნოდარი და დათაო
გაიფიცნენ ძმათაო, __
ერთმანეთი ისე უყვართ,
ნუღარ მკითხავ, რათაო?!
თვალხილული ანგელოზნი
არიგებენ ბრმათაო,
თქვე კარგებო, ეს სიტყვები
ადიბეჭდეთ ღრმათაო...
თქვენი ტკბილი ლოცვის მადლი
უნაწილეთ სხვათაო,
აწნივებად დაფრთიანდით,
გადუფრინეთ ზღვათაო.

28 მარტი, 2007წ

## საქართველოს პატარებო!

ჩვენი ქვეყნის მომავალი
გაბრწყინდება თქვენითა...
აივსებით სიხარულით,
აივსებით ლხენითა...
ლომურ კამარათა შეკრით,
არწივული ფრენითა,
იმაყებს მზის სამკვიდრო
კვლავ და კვლავაც თქვენითა...
დაუდეგარ ჩანჩქერებით,
ბულბულების სტვენითა,
გმირთა წმინდა ნაკვალევზე
ვარდ-ყვავილის ფენითა;
საკვირველი ისტორიით,
მატიანის ენითა,
ზოგჯერ ლხინით და წუხილით,
ზევრჯერ ადმაფრენითა...
მრწამსითა და მამულითა,
მარად სანატრელითა...
სულ იყავით სილადითა,
ჯიშითა და ჯილაგითა...

ამინ!

27 დეკემბერი. 2008წ.

## საქართველოს შვილი ხარ

*ისევ ნოდარიკო მაღრაძეს*

ნოდარიკა __ ფრესკა, მზე, __
მიდი, დაჯექ შენს სკამზე!..
სავარძელი მეფისა, __
ანგელოზს შეგეთვისა...
საქართველოს შვილი ხარ, __
შენ შვილი ხარ... ღმერთისა...

## ჭიხვინებენ ცხენები...

ჭიხვინებენ ცხენები...
ჩვენ არ მოგვესვენება
ქართველები გახლავართ
კარგად მოგეხსენებათ.
ისტორიის შარაზე
მტვერზე მეტი მტვერია.
კარი მტკიცედ ჩარაზე
ყოფნა მით გიწერია.
ბრძოლამ, თავის გაწირვამ
ანთო სულის კანდელი,
თუმცა, ბედის დაცინვას
მოჰგავს დღე დღევანდელი.
მაგრამ გესმის, რას გალობს?..
„რაზედ მოგიწყენია,
აწმყო თუ არა გწყალობს,
მომავალი შენია“.
ჭიხვინებენ ცხენები,

ჩვენ არ მოგვესვენება
ქართველები გახლავართ
კარგად მოგეხსენებათ.
ღმერთო, შენ გაუნათე
ერს სიცოცხლის მიზანი
და უმრავლე ჩვენს მამულს
ლეკვნი ალგეთისანი...

## სახელო, შენთვის სიცოცხლე...

სახელო, შენთვის სიცოცხლე,
სულ ყველაფერი ყოფილა.
მამულო, შენთვის სიკვდილი,
სულ ყველაფერი ყოფილა.
სინდისო, შენთვის სიფრთხილე,
სულ ყველაფერი ყოფილა.
სიცოცხლევ, შენი ციმციმი,
აქ რა ხანმოკლე ყოფილა?
წკვარამსა წუთისოფლისას,
ანათებს სხივი ფოფინა.
ნეტავი, ერთხელ ყოველი,
წვრილ-წვრილად მაამბობინა.
ხილული ესე ყოფილი,
თითქოს არც არა ყოფილა
ნეტა, მას, ვინაც არყოფნას,
ყოფნის ნათელი მოჰფინა.

## მე და ქეთევანი

პირჯვარს როგორ ვიწერთ
ნახეთ, მე და ქეთო,
ქვეყნად უფრო კარგი
რა უნდა ვაკეთოთ?
ღმერთო შენ დალოცე,
პაწაწინა ქალი,
ყველას გასახარად
აუხილე თვალი.
მამულისთვის ენთოს
მარადიულ სანთლად
და წარმოდგეს ერთ დროს
ვალმოხდილი მართლად.
გვედრის თვალებშურთხი
ქართლოსიანთ გვარით,
მამულს ოთხივ კუთხით
ცით ეწეროს ჯვარი.

1987წ.20 მარტი

## დათო

*პატარა დავით მეტრეველს*

„ნეტავ მალე გავხდე შვიდი წლისა,
რომ შევაღო სკოლის კარი ფართოდ...“
ყოველ დილით თვითონ იბანს პირს და
თან სულ ამას ნატრობს ჩვენი დათო.

აღუსრულე, ღმერთო, ნატვრა ტკბილი,
დედაენით გაუშუქე გზა,
რომ ცხოვრების მკაცრი გაკვეთილით
ცით ისმენდეს უკვდავების ზარს.

***ნანა დარჩიაშვილი***

## წიგნი ცოდნის დედა არის

საბავშვო კრებულიდან „ზღაპრული სკივრი“

ამ წიგნით შენ გეფერები,
ჩემო პაწაწინა,,
იცი გულში რა სათუთი
მოგიჩინე ბინა?
აქ, პწკარებში ჩავაქსოვე,
შენი სიყვარული,
შენ ხარ ერის მშვენება და
დიდი სიხარული.
შეისწავლე, შეიყვარე
მტკიცედ წიგნის ენა,
მხოლოდ ცოდნით შეგიძლია,
ცის თაღამდე ფრენა.

## წიგნმა თქვა

წიგნმა თქვა, რამდენს მიკითხავ,
იმდენს გასწავლი ხერხსაო,
როგორ გიყვარდეს მოყვარე,
ან როგორ დახვდე მტერსაო,
წიგნშია ბედნიერება,
ცოდნაში არის შველაო,
სიკეთის მასწავლებელი,
ეს მე ვარ, დედაენაო.

## მომისმინე პატარავ

მინდა ლექსი დავწერო, მოგეფერო პაწიავ,
ვფიქრობ, ვფიქრობ, ფიქრების
ატყდა გაწამაწია.
იქნებ შემომეშველო
შენი ნორჩი ფიქრებით,
ერთად ვიტყვით სათქმელს და
შენც პოეტი იქნები.

## სკოლისკენ

რვეულები, წიგნები, ჩავალაგე ჩანთაში,
დავამთავრე ბალი და
თოჯინებთან თამაში.
უკვე დიდი გოგო ვარ,
პაწაწინა კი არა,
მელოდება მერხი და
სკოლის ზარი, წკრიალა.

* * *

დრო დადგა კითხვა ისწავლო,
ისწავლო აი, ია,
წიგნებში ეძებო სიკეთე,
წიგნს, ცოდნის დედა ქვია.

*მანანა ზაზიკაშვილი*

### თორნიკე და მინდია

თორნიკე და მინდია
ტყეში ჩუმად მიდიან,
არ ჭირდებათ კომპასი,
ბებო მისდევთ „მომპასით."

### ციცქნა ბიჭო

მზემ სახლები გააწითლა,
გარეთ გამო ლია, თეო,
ციცქნა ბიჭო, ჩანთა ასწი,
რა ძირ-ძირა მიათრევო!

### პირველი ზარი

სექტემბერო ლამაზო
ბავშვებისთვის ზღაპარო,
სკოლის ზარი, პირველი
კი არ გამოგვაპარო!

მოგემატება ფოსფორი
ჭამე თევზი და მაშინვე
მოგემატება ფოსფორი,
უცბად მიხვდები, ოთხია,
რომ მივუმატოთ
ორს-ორი!
იმასაც ჩქარა გაიგებ,
ორჯერ ხუთი რომ ათია,
ველარ დაგჯაბნის სწავლაში
ვერც კახა,
ველარც ნათია!

### მამლაყინწა მამალო

მამლაყინწა მამალო,
რომ გამშვენებს დეზები,
სულ შენ შეახრამუნე,
ჩემი წილი ღვეზელი?!

### მხატვარი

ბურთი ბურთზე დავასკუპე,
დაიწერა რვიანი,
თვალებიც რომ მივუხატე,
გახდა ადამიანი.
ყურებს, ცხვირ-პირს ისე ვხატავ,
გეგონებათ ნამდვილი,
ეს მხატვრობა, გენაცვალეთ,
ყოფილა სულ ადვილი!

### ზოოპარკში

გალიასთან შორს დადექი,
ხელს ნუ ახლებ რიკულებს,
ცხოველი არ გააბრაზო,
ხედავ, როგორ გიყურებს?!

### მორზეს ანბანი

ბეჰემოტმა კამეჩს
შეასწავლა მორზე,
დიდხანს ავარჯიშა
ჭალისუბნის მოლზე.
- უქმად ცოხნა - ხეტიალს, -
ასე უთხრა: - ძმაო,
შენც ისწავლე რამე და
ამოიღე ხმაო!

### აერია ფისოს ნოტი

აერია ფისოს ნოტი,
გაუბრაზდა ბეჰემოტი,
ფისოს მოსცხო თავის ბოტი,
დაასკუპა შუბლზე კოპი.
ფისოს იმ დღიდან
შეჯავრდა
ნოტიც,
ბოტიც,
ბეჰემოტიც.

### ვიცი შრომის ფასი

ყველას ვასწრებ ადგომას,
ვიცი შრომის ფასი,
არ მინდა დავკარგო,
დრო, ასე ძვირფასი!

# პოემები

***შემოქმედებითი ჯგუფი „ზღვარი“***

## მარტოობა

*(ფილოსოფიური პოემა)*

... „ამ თორმეტ ბრძენთა რომ გაჰყვე ამბავს,
ახალგაზრდობის რომ ნახო წლები,
მოისმენ ჯერეთ ალუწერ ზღაპარს,
და მოსმენითაც დაიტანჯები...
(თან, დროთ არევა არევს თვით რიცხვთაც,
რათა სიმბოლომ გაშალოს ფრთები).
ჯოჯოხეთს ვლიდა თითო მათგანი“...
შვიდსტრიქონედი
ერთ-ერთი ადრეული პოემიდან.

იგი მარტოა,
მარტოდმარტო...
ხომ გეცნობათ,
აი, ეს თემა, –
გაცვეთილია, ათასჯერ თქმული,
მაგრამ ამას რა ამოწურავს!
თანაც, ის კაცი
სულ მარტოა,
ფიზიკურად და სულიერად
ისეა მარტო, ვით სხვა არავინ,
და ასხივებს
დამანგრეველ, უძლეველ ტკივილს,
ოღონდ ისე, რომ
სახეზე ერთი ნაკვთიც
არ უთრთის.
იგი, უბრალოდ,
ტკივილია, კარგად მოსილი,
უმეტყველო კივილია,
განსხვავებით
მუნკის მეტყველი ნახატისაგან,
და მაინც, – ის ხმა,
ამ კაცის სული
რომ ასხივებს,
აღემატება მეტყველებას
დიდ ნახატისას.
მარადიული თემა არის, თან –
„ჩვენი თემაა“ მარტოობა,
და ეს კაცი
მით ავარჩიეთ
პოემის გმირად,
გამოქვაბულში
რომა აქვს ბინა,
ას წელზე მეტი
რომ იცოცხლა,
სულ, სულ გათეთრდა,
და არკი იცის,
რისთვის იცოცხლა...
ამ უზარმაზარ გამოქვაბულში,
მან, თავის დროზე,
უამრავი წიგნი შეზიდა.
სულ კითხულობდა, კითხულობდა...
მეტყველება ამად თუ შერჩა...
ხოლო კედლებზე
ნახშირითა ახატავდა
მეტად შემაზრზენ, შემძრწუნებელ
სურათთა წყებას.
ნახშირის
კედლების საოცრება აფერადებდა,
და ფერებად კიოდა სახლი,
სახლი – კლდეთა გამოქვაბული.
და ამ ხმაურში,
ამ კივილში ცხოვრობდა კაცი,
სურათებში ჩასახლებული
სიკვდილი რომ
მას გულს უღრღნიდა.
მაინც ცხოვრობდა.
ას წელს მაინც გადააჭარბა...
ადამიანებს ემალვოდა.
თუ მაინც ვისმეს შეხვდებოდა
ფერად მთებში ხეტიალისას,
„გამარჯობას“ ეტყოდა და
მერე სწრაფად გაეცლებოდა...
დაკნინებული
გახედავდა სივრცეს,
თან სწუხდა,
მერე კი, მერე
ივსებოდა იგი სივრცითა,
(ივიწყებდა ადამიანებს),
დიდგულდებოდა უეცრად,
სამყაროს მეფედ წარმოიდგენდა
მის უბედურ პიროვნებას და...
საზარელ ღრიალს
დაატეხდა თავს მთელს ცისქვეშეთს,
ღრიალს – გულიდან ამოვარდნილს,
სულის წამიერ,
წამიერ ამბოხს
არაფრისა და ყველაფრის
მიმართ!..
მერე კი, მეფე,
მეფე მარტოობის,
მეფე – არაფერი,
მოცელილივით მიეგდებოდა
მთის ფერდზე და
თავის ძმა – მთას
დიდხანს რაღაცებს ებუტბუტებოდა
სიცოცხლისა და სიკვდილის
შესახებ...
უმიზეზობით, ან – მიზეზებით,
ისე იცხოვრა,
რომ ერთი დღეც
არ უცხოვრია...
არ იცვლებოდა არაფერი.
არ იცვლებოდა არაფერი.
არ იცვლებოდა არაფერი...
თუმცა კი, ერთხელ,
თენდებოდა, როდესაც, მთებში,
იფხორიებოდა, როცა, მზის გული,
და აფეთქებდა სამყაროს კიდეს,
გამოქვაბულშიც როცა ოდნავ
გამტყდარიყო ქსელები ბინდის,
მოხდა ცვლილება...
იჯდა კაცი დიდ მაგიდასთან.
თრთოდა, თრთოდა

თაფლის სანთლების
ცრემლსავსე ალი.
კითხულობდა უზარმაზარ წიგნს,
და რაღაცებს ინიშნავდა,
მარტოსული,
უნაბისფერ, უხეშ რვეულში.
ეწვეთებოდა, სადღაცა, წვეთი,
ჭერიდან, მიწას.
ხმა ისმოდა თავისებურ,
მთრთოლავ მუსიკად.
ეწვეთებოდა წყალის წვეთი,
თეთრი წვეთი,
ჭერიდან, მიწას,
მარადისობა კი რჩებოდა
ქვის ქანდაკებად…
და უეცრად,
არსაიდან გაჩნდა ქაბუკი
შავით მოსილი.
ის პირდაპირ
სივრციდან თუ დაიბადა,
გამოქვაბულის ბინდისფერი სივრციდან.
ლამაზი იყო ქაბუკი და
სხივოსანიც კი,
მაგრამ – კუშტი, მოწყენილი,
ჩაფიქრებული.
იმის სახის ძალუმ ნაკვთებს
ფილოსოფოსის მაძიებლობა
ზედ აღბეჭდვოდა.
– „მოგესალმები პიროს“, –
უთხრა მარტოსულს,
და მჟღერმა ხმამ
აავსო სივრცე.
გამოქვაბულის რუხმა სივრცემ
კიდევ უფრო აამისტიურა
ასე მჟღერი ხმა.
პიროსმა
მშვიდად მიაპყრო მზერა
არსაიდან გაჩენილ სტუმარს.
– „რად მალოდინე ამდენი ხანი?“ –
ჯერ მხოლოდ ეს თქვა,
მერე ისევ წიგნს და რვეულს
შეავლო თვალი.
– „შენ რა, მე მიცნობ?“ –
გაიკვირვა ახალმოსულმა (თვით – ბევრთამცნობმა).
– „ან ეშმა ხარ,
ანდა სიკვდილი –
დასასრულის დიდი პოეტი,
და ჩემი სული გინდა დაიხსნა
ამ ბებერი სხეულისა
საპყრობილიდან“.
– „არ გეშინია?!“ –
გაოგნებით ჰკითხავს სტუმარი.
– „მეტ-ნაკლებობით
ყველა კაცში არის პოეტი,
ვით – სიცოცხლეში,
და ვით – სიკვდილში.
ხოლო თუ ორნივ
პოეტები ვართ,
რიღასი უნდა მეშინოდეს?“
გაკვირვებული მიაჩერდა სტუმარი
თავის თეთრ მასპინძელს.
– „ვერც მარტოობას,
და ვერცა ასაკს,
ვერ შეულახავს შენი გონება…
მე მაოცებენ სიტყვანი შენნი“…
ეს უთხრა პიროსს
ფიქრსახიანმა.
მერე პიროსი
ეტყვის მშვიდად:
– „აღასრულე შენი მიზანი,
რომ ჩემი სული
ცის სილურჯის
ნაწილი გახდეს.“
– „ჯერ რამდენიმე
კითხვას დაგისვამ,“ –
უთხრა სტუმარმა და
გაირინდა.
– „სტუმარო,
მინდა სიმართლე ვთქვა:
მე საუბარი არ მიყვარდა.
მარტოობა და სიჩუმე
იყო, მუდამ, ჩემი მეგზური.
მაგრამ თუკი გსურს,
სიკვდილის წინ
შევიცვლები და,
შენ, სიკვდილს, გეტყვი
ჩემს პასუხებს,
უპასუხო ამ სამყაროში“.
– „ადამიანნი როგორ გახსოვს?“ –
ჰკითხავს მოსული.
– „როგორც ტკივილი,
ტკივილი სულის,
უშორესი და ბუნდოვანი.
ესაა განცდა, რაღაც განცდა“… –
ჩაფიქრდა, დიდხანს, მარტოსული.
თავი დახარა, დახუჭა თვალნი,
შიგნითა მზერით
შეეხო გონს და
ეძებდა სიტყვებს –
თვის პასუხის დასასრულებლად,
თუმცა სიტყვები
ვერღა იპოვა.
მზერა მიაპყრო სტუმარს
ისევე.
– „მე მათ დავშორდი
დიდი ხნის წინათ…
მე, ისინი,
ბუნდოვნად მახსოვს“…
– „და, რომ დაშორდი,
გული არ დაგწყდა?
ნუთუ მათ შორის
ერთი ვინმეც არ გყვარებია?
ნუთუ შენში
სიძულვილი ცხოვრობდა მხოლოდ?“
– „ო, არა! არა!..“ –
მეტისმეტად აღელდა
კაცი – მარტოსული,
აღელდა – კაცი მარტოობა,
და მერეღა თქვა, –
„დამიჯერე,
სიძულვილი
არც ვიცი რაა!..
უბრალოდ, მე, იქ,
სულ არავის არ ვჭირდებოდი.
ზედმეტი ვიყავ იმდენად, რომ
მხოლოდღა ჩემი არსებობაც კი
მათ ხელს უშლიდა…
აი, ამიტომ წამოვედი…

სხვა კი... სხვა რა ვთქვა...
– „და, სიყვარული?“
– „სიყვარული
დარჩა ჩემს გულში,
როგორიც იარა მოურჩენელი.
გადავიტანე მე ეს გრძნობა
ბუნებაზე,
და შევიყვარე მისი სივრცენი...
ასე ვიყავი
მარტოობის მილიარდ დროში.
თან ვცხოვრობდი და
თანაც კიდევ
მე საერთოდ არ მიცხოვრია, –
ცხოვრებისეულ ნეტარებებს
გვერდი ვუქციე,
პოდა, ცოცხალმა შევაბიჯე
მკვდართ საუფლოში;
დიდი ხანია,
სიცოცხლესა და
სიკვდილს შორის
წავშალე ზღვარი;
მე არა ვცოცხლობ,
ამიტომაც არა მოვკვდები.
ჩემი სიკვდილი პირობითია.
ვისაც აროდეს უცოცხლია,
მას სიკვდილი ვით შეაშინებს?“
– „ადამიანებს თუ იხსენებდი?“
– „ადამიანებს, და სიყვარულს,
ვიხსენებდი მე.
პირველთ, გეტყვი,
თავს ვარიდებდი,
გავურბოდი-თქო, –
თავს არ ვაკადრებ...
სიყვარულს კი
ფიქრით ვეძებდი,
სახეს თუ ფორმას ვუქმნიდი
ჩემთვის,
მე მას, იდეას,
მატერიალურ ჩარჩოში ვსვამდი...
აქ ხეა ერთი,
უთეთრესი ყვავილები იცის.
გაზაფხულობით, როცა ყვავილობს,
სურნელით ავსებს იმგვლივეთს და
აფენს ყვავილებს არემარეს.
ის ქალწულივით ლამაზია,
ლამაზია ახალგაზრდა დედოფალივით.
მე, დიდ მთების,
სივრცეების ცქერით გამძღარი,
მერე ამ ხეს შევყურებდი
მოკრძალებით,
მერე მის ჩრდილში
განვისვენებდი,
და იქიდან ვადევნებდი თვალს
მზისა ჩასვლას.
ყვავილები მხრებზე მეყრებოდა
თეთრი ნისლის სტუმრობისას...
და სიყვარული
ასე სიმბოლურ სახეს ატარებს
ჩემს აზრთა შორის...
სიყვარული –
ეს არის დარდი.
მე როცა წავალ,
ადამიანნი ამა ამბავს
(ამბავს წასვლისას)
ვერც გაიგებენ.
მაგრამ ის მთები,
ის ველები,
ლურჯი ტყეები,
მიწა და ზეცა
ხომ გაიგებს,
რომ წავიდა
სხვა ხედვის კაცი,
ის თეთრყვავილა ხე
ხომ მიხვდება,
მის სილამაზეს
სხვა ვერავინ რომ
ვერ აღიქვამს ასე ძალუმად!..
შენ მეტყვი ახლა, –
პოეტობო, კაცო მარტოსულო,
ცარიელი სიტყვებიაო
ეგ ყოველივე.
მე გიპასუხებ,
რომ არ არსებობს
ცარიელი სიტყვები-მეთქი.“
– „მაშ, გამოდის რომ,
ბედნიერი კაცი ყოფილხარ?“ –
ეტყვის სტუმარი გაკვირვებული.
– „ადამიანებს გამოქცეული,
ბედნიერებას მე ვეძებდი
არა მარტო ბუნებაში.
არამედ, აგერ, მათ ნაწერებშიც.
ბუნებაც, სავსე
სამყაროს განცდით,
და წიგნებიც გასაოცარნი,
მე მიქმნიდნენ
იმ ფერად სიზმარს,
საცა ვცხოვრობდი,
და ტკივილამდე შემიყვარდა
მე ეს სიზმარი,
მარტოობის დიდი სიზმარი,
ბედნიერება, ამ სიზმარში, თუმცა,
არსად არის.
ბედნიერება ეგებ... ეგებ
ადამიანთ შორის უფროა,
უფროა – ალბათ...
მაგრამ ყველა ერთნაირი
ხომ ვერ იქნება?
მე სხვაგვარი ვარ,
უფრო კარგი თუ
უფრო ცუდი,
ამის კვლევას ახლა, უკვე
რაღა აზრი აქვს!..
წამოვედი და,
დაბრუნება ვეღარ შევძელი.
არც მიცდია, მართალი გითხრა...
მოკლედ, ასეა...
გავაგრძელე სიზმართა თემა, მარადიული,
ფერად სიზმარში გავატარე
მთელი ცხოვრება,
და მარტოობა –
უმძიმესი ჯვარი ვატარე“...
– „მე, მარტოსულნი,
რა თქმა უნდა,
სხვებიც მინახავს,
მაგრამ შენ მაინც
სულ სხვა კაცი ხარ,“ –
ეტყვის სტუმარი გაოგნებული, –
„შენს სიტყვებში თუ

სიტყვებს იქით
არის რაღაც,
რისი ახსნაც არ შემიძლია...
მარადიულ სიცოცხლეს მოგცემ,
თუკი ისურვებ!“
– „არა, სტუმარო,
არ ვისურვებ მე
დიდ საჩუქარს.
დამღალა წლების
უმანძილო უსასრულობამ. M
მე რამდენიმე წუთს
შეგთხოვ მხოლოდ,
და ამ წუთებზეც
გულმხურვალე მადლობას გეტყვი.“
– „კარგი. წამზომი ჩაირთო და
ბოლო წუთების
დაიწყო ათვლა.
ქვიშის საათი,
უსასრულო სამყაროებში,
შენს დროს დაწვავს
ძალიან მალე.
მე კი... მე წავალ...“
და უცნობი,
პირმშო ამავ რუხი სივრცისა,
შეისრუტა რუხმავე სივრცემ.
გამოქვაბულში დარჩა პიროს
სრულიად მარტო.
მან მიმოავლო თვალი
თავის დიდხნის სამყოფელს.
მადლიერება იკითხვოდა
მისსა მზერაში.
მერე წარვიდა გარეთ,
სივრცეს მოავლო თვალი,
განსაკუთრებით მიაჩერდა
მთებს, ცამდე აწვდილთ,
და გზა განაგრძო.
იქვე, ბილიკთან,
გაშლილიყო ვარდი
ვით დარდი,
ლამაზი დარდი.
გაცვეთილ რითმას ვიმეორებთ.
„რითმის მოპარვა!“ –
აღსანიშნად ვუტოვებთ მავანს.
სხვა ბევრ სათქმელსაც
ვუტოვებთ, მაგრამ
ახლა არაა ეგ ჩვენი საქმე.
მათ გადაწყვიტონ,
მათ იმტვრიონ ამაზე თავი...
წამი გავიდა იქნებ – თორმეტი,
იქნებ – თორმეტი მილიარდი.
ეს აღარ ვიცით.
დრო დაიკარგა, –
ან შემცირდა,
ანაც გაბევრდა,
ანკი სულ გაქრა,
გასიმბოლურდა, ისევე,
როგორც ყველაფერი;
და ბილიკმა მიიყვანა,
თეთრ ყვავილებით გადაპენტილ,
უნათლეს ხესთან,
მარტოსული.
ის მიაჩერდა მცენარეს და
განცვიფრებული უყურებდა.
ამ პოეზიას,
იმახსოვრებდა, თითქოს, თვალები,
ამ სილამაზეს.
მერე მივიდა,
მის ჩრდილში დაწვა,
თუკი ჩრდილი
სინათლესაც აქვს;
და როს ნიავმა ისულდგმულა,
დააცვივდა ყვავილნი პიროსს.
მან გაიღიმა.
ყვავილები კი მოცვიოდა,
მოცვიოდა უსასრულოდ,
როგორც თოვლი უსპეტაკესი,
ანდა – ცრემლები დედოფალისა.
თითქოს სამყარო დასტიროდა
კაცს, რომელსაც
ქვეყნად არავინ არა ებადა.
იმ ყვავილებში დაიმარხა,
იქა ჰპოვა თეთრი საფლავი,
იქა ჰპოვა მარადისობა...

P.S. „თეთრი ტრილოგიისა“ (პოემები — „იესო“, „პოეტი“, „თეთრი იმპერატორი“) და „მეორე ტრილოგიის“ (პოემები — „მეფეების ბაღი“, „ქალაქი მთებში“, „მეორე ტრილოგიის დასასრული“) შემდეგ დაწყებულია მუშაობა კიდევ ერთ პოეტურ ტრილოგიაზე. ამჯერად ჯგუფის ძირითადი ოთხეული: კახა ბაციკაძე, გიორგი ზუხბაია, სერგი ლომაძე, ვასო ლომაძე, სრულად ვართ საქმეში ჩართულნი. პოემა „მარტოობა“ სწორედ რომ ბოლო ტრილოგიის საწყისი ნაწილი გახლავთ.

***გულნაზ ხარაიშვილი***

## მკვლელობა საკუთარ სახლში

სამუშაო მაგიდაზე მობილური ტელეფონი გვერდზე დავიდე, სამსახურის საქმემ მისი არსებობა დამავიწყა. ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე წკრიალა ხმით თავი შემახსენა. ჩემი მეგობარი მირეკავდა, მთხოვდა სასწრაფოდ ავსულიყავი მასთან.

თინათინ ხაბურზანია ქ. რუსთავის აზოტის საავადმყოფოში მუშაობს, იგი ჩემი უახლოესი მეგობარია: ხომ არაფერი უჭირს?.. გავიფიქრე და აფორიაქებული წავედი.

ჩემი სამსახური და თინიკოს სამსახური ტერიტორიულად ძალიან ახლოსაა, ამიტომ ფეხით გავუყევი ქვაფენილს. კვლავ მეგობრის ფიქრში ჩავიძირე... რა კეთილია, ფაქიზი და ლამაზი. თავის დარდს არავის უმხელს, არადა ვგრძნობ მის გულში სევდა არხეინადაა მოკალათებული. არაჩვეულებრივი მეუღლისა და ორი ნიჭიერი ვაჟკაცის დედას, რა უნდა აწუხებდეს ისეთი, სულ მუდამ ნაღვლიანი თვალებით, რომ შემომყურებს, თითქოსდა ჩემში ხედავს იმ პიროვნებას, რომელსაც მისი შველა შეუძლია. არა თინიკო! ჩვენ ორივეს ერთი ტკივილი გვტკივა, არც შენ შეგიძლია ჩემი შველა და არც მე შენი. ეს წუხილი კი ჩვენი საქართველოა.

ჩვენს ქუჩებში მშენებლობებია გაჩაღებული. უცხო ინვესტორების ხელშია ჩავარდნილი სიმდიდრე. იშვიათად ნახავ დასაქმებულ ქართველს. ამ დროს ჩვენი შვილები, დედები, და ბებიებიც კი გაფანტულები არიან უცხო მხარეში.

ქართველი ქალები აკვანთან ლამაზი იავნანათი ზრდიდნენ ექვს, ცხრა შვილს. (სწორედ მეცხრე შვილია დიდი პოეტი, — აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი): ახლა კი საზღვრებს გასცდნენ ლუკმა პურის საშოვნელად ახალგაზრდა დედები. ამაზე დიდი ტკივილი რაა: სიყვარულით შექმნილი კერა, რომ იყოფა, ცოლი იქით არის, ქმარი აქეთ. ჩვენი გოგონები იქით თხოვდებიან და ვაჟებს კი უცხო ჯიშისანი მოჰყავთ, ამას არსებობისათვის აკეთებენ. აი, ქართული სისხლის აჯაბსანდალი. ვინ ვიქნებით ცოტა ხანში? ამის გაფიქრებაც მზარავს.

გზაში ჩემი ძმის აწ, გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის სიტყვები გამახსენდა. პოეტი იყო, ოცდაოთხი წლის წინ მოკლეს ოცდაათი წლის!!! დიდი ნიჭისათვის, მართალი სიტყვისათვის!!!ვ ეს გრძელი ამბავია.

- მომიახლოვდი!
— ვყიდი ვარძიას,
— ვყიდი ხერთვისს,
— ვყიდი არხოტს და —
— ვყიდი ხოშარას...
მე აღარ მინდა თქვენი ლიბანი,
ისრაელი და მთელი კამბოჯა,
მე საკუთარი დარდი გამბოწავს,
მე საკუთარი ბოლმა მომხარშავს
შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ,
მე ამიტირდა მუხრანი... ანა...
მე რომ გავგიჟდე მომკლავდი განა?
მე თვალდათხრილ დიდი ფრესკებს გიცვლი.
მხარჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი
იმ პირველადქმნილ საოცრებაზე.

გზა განვაგრძე იმ რწმენით, რომ თინიკოს უბრალოდ მეგობრული საქმე ექნებოდა.

ოთახის კარები შევაღე, მაგიდაზე ჩემი დაწერილი პოემა — ,,მდუღარე ცრემლი" ედოთ, თინიკოსა და მის თანამშრომელს ელიკო ლომიძეს. ორივემ ნამტირალები თვალებით შემომხედეს.

— რა ხდება?!..
— ვკითხე შეშინებულმა,
— არაფერი, მიპასუხა თინიკომ.

შენი დაწერილი პოემა წავუკითხე ქალბატონ ელიკოს და ორივემ ვიტირეთ.

სავარძელში ჩავჯექი, სული მოვითქვი და ავხსენი, რამაც განაპირობა პოემის დაწერის სურვილი.

... ჩვენ ვზეიმობდით დიდ სიხარულს, ფაზის მეცნიერებათა აკადემიაში არჩევას. მაგიდას ხელმძღვანელობდა პროფესორი ჯემალ ხარებავა.

ბატონი ჯემალის შვილია ბათუ, რომელიც თხუთმეტი წლის გარდაცვილილია, იმ ზეციურმა ძალამ ჩამაგონა, რომ პოემა დამეწერა ,,აკროსტიქით" ეს ძალიან რთული ხერხია. ეს ისეთივეა, ციხეში იჯდე და გარეთ გამოსვლის საშუალება არ გქონდეს. ამის სირთულეს მხოლოდ პოეტები მიხვდებიან. მკითხველის უმრავლესობა ამას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს.

წუთით დუმილი ჩამოვარდა, მერე ისევ თინიკომ განაგრძო.

ქალბატონ ელიკოს შვილი თავისივე სახლში მოუკლეს. თოკით დააბეს, თერთმეტი ჭრილობიოთ დაამთავრებინეს სიცოცხლე.

— მიზეზი? — ვიკითხე და შემრცხვა ასეთი შეკითხვა როგორ წამომცდა.

— როგორ უნდა მიხვიდე იმ ზომამდე ადამიანი ასე გაიმეტო, გაოგნებულმა თავი ჩავღუნე.

ისევ გამწარებული დედა ალაპარაკდა, ჩემი მერაბი კეთილი იყო, ნიჭიერი დამთავრებული ქონდა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სყვარულით შეირთო ბერძენი გოგო ცოლად. ჩემი შვილისა და ჩემი რძლისაგან ირაკლი დამრჩა, რომელიც ახლა საბერძნეთშია და იქ უკვე დავაჟკაცდა კიდეც. ცრემლები გადმოყარა, მერე ისევ განაგრძო.

— მიზეზი არავინ იცის, რისთვის მოკლეს, ძარცვის მიზნით თუ სხვა ინტერესი იყო, არ ვიცით ჩემს შვილს მხოლოდ სიკეთის გაკეთება შეეძლო.

... ცუდს ფიქრადაც არავიზე გაივლებდა.

— ქალბატონი მომიბრუნდა უკვე ანთებული თვალებით. ვიგრძენი მას რაღაცა განსაკუთრებული უნდა ეთხოვა ჩემთვის. ისიც იცოდა ალბათ, ჩემი პასუხი დადებითი იქნებოდა. ჭაღარა თმები ნაჯაფი ხელებით გადაისწორა და თვალებში შემომხედა იქნებ შეძლო და ჩემს მერაბიზეც დაწეროთ რამე. მაშინ ჩემს შვილსაც ხომ მარადიული სიცოცხლე ექნება აქ ჩვენთან, მიწიერ სამყაროში.

... გავჩნდი არაფერს შევპირებივარ, დუმილით დავშორდი ცრემლიან დედას:.

მე და თინიკო ერთად წამოვედით სახლში, გზაში ქალბატონი ელიკოს შესახებ მიამბობდა, რამდენი სიმწარის გამომლელია და მიუხედავად ამ დიდი მწუხარებისა, კვლავ ყველას დამხამარეა და სხვის ტკივილს ხომ მუდამ თავისად თვლის...

საღამოთი ადრე დავწექი. ძილი გამიტყდა და გულმა ამომძახა:

მე ამ ცრემლებით გალუმპულმა რაღა დავწერო,
იქნებ ტყის ექოვ ამ კითხვაზე შენ მიპასუხო
გულო იბრძოლე , გთხოვ უდროოდ არ დამაბერო
გაზაფხულებას ველოდები, ჩურჩულით უხმობ.
ხანდახან თუკი სიმღერებით ჩავიკლავ დარდებს,
ფიფქო შეჩერდი, სუსხით მაინც არ მომათოვო,
მეჩვენება თუ უკუნეთში ჭოტები კივის
უფალო ჩემო იქნებ კიდევ ცოტა მადროვო.

როდის დამეძინა, ეს უკვე აღარ მახსოვს. ძილში სადღაც უკაცრიელ ადგილას აღმოჩნდი, ჩამოვისვინე, ძარღვივით დახლართულ სქელ ფესვებზე და გაზაფხულს დაუწყე ლოდინი. თითქოსდა არ ჩანდა, ველარ ვუძლებდი ლოდინს ავწრილადი, ხელის თითები შევაცურე თმებში და ფიქრი დავიწყე.

გამახსენდა გულში, ჩაყოლილი პოემა ,,მდუღარე ცრემლი", ბატონ ჯემალს საერთოდ არ ვიცნობდი, იმ წუთში ჩემს წინ იჯდა ერთი ქართველი რაინდი, რომელიც დიდ მგოსანს ვაჟა ეგრისელს მასპინძლობდა.

იშვიათია მამაკაცი ტიროდეს, მაგრამ დიდმა ტკივილმა, აატირა და ცრემლები ჩემს გულში წვეთწვეთობით დაგროვდა, მერე ერთდროულად მოასკდა მკერდის ფიცარს და დაიწერა შვილმკვდარი მშობელის დასაამებელი სტროფები.

შავი ღრუბელი წამოვიდა, ატყდა ჭექა – ქუხილი, ხის ქვეშ შევაფარე თავი, რომელსაც ფართოდ ქონდა ტოტები გადაშლილი. ნედლი ფოთლები თითქოს და ცდილობდნენ წვიმის წვეთები შეეკავებინათ, უნდოდათ მასპინძლობა გაეწიათ ჩემთვის, მაგრამ კოკისპირულ წვიმასთან თოთო ფოთლები ვერას ხდებოდნენ.

სადღაც შორს მეხი ჩამოვარდა ... მერე ისევ მზით გაბრწყინდა არემარე, მაგრამ ცას ისევ ღრუბელი შერჩა. ჭექა – ქუხილმაც იმატა და ზღვის ახლოს მეხი ისევ დაეცა.

წვიმამ გადაიღო, ატყდა ჩიტების აურ – ზაური. მოფრინდა ფრინველთა მეფე არწივი, ქვეშევრდომთ

მართვეთა სიკვდილი აუწყა. დაიწყეს გლოვა და ვაი - ვიში. მივაყურადე და ... ვაი მათ დედას, ფრინველები ბათუს და მერაბის გლოვობდნენ.

გაოგნებული ვუყურებდი ჩემს წინ ასახულ კადრებს. მახსენდებოდა, რომ ასეთი ხმაური იყო მაშინ, როცა ჩემი ოცდაათი წლის პოეტი ძმა ბეჟან ხარაიშვილი დაიღუპა.

სიბნელეში ბეჟანის ლანდიც გამოჩნდა, გულში ჩამიკრა. ვკანკალობდი, ვეფერებოდი უსაზღვროდ მონატრებულ ძმას. ახლავე სახლში წადი მკაცრად მითხრა ბეჟანიმ. კალამს ხელი მოკიდე და დაწერე პოემა „მკვლელობა საკუთარ სახლში", რადგან მერაბიც იმსახურებს მარადიულობას.

ჩვენ სამივე ერთად ვართ. ბათუ უკვე ოცდაათი წლისაა, ქორწინდება. თამადად მე ვიქნები, შენ ხომ იცი დაიკო სიტყვას არავის დავესესხები.

მერაბი სამოთხეში მოხვდა, წინ დახვდა დათესილი სიკეთე და ადგილიც ასეთი მიაკუთვნეს. მე პოეტებთან ვარ, ბათუ ანგელოზთა დასს ხელმძღვანელობს.

გათენდა, მზემ თავისი ოქროსფერი სხივები უხვად გამოაგზავნა ჩემს სარკმელში, თვალები გავახილე, მივხვდი, რომ ყოველივე ეს სიზმარი იყო. იდუმალი ხმა ჩამესმა, იქნებ დაწერო ... იქნებ დაწერო ... მეც წერა დავიწყე.

ავტორი

**ყველასათვის ერთგული, საკუთარ სახლში თერთმეტჯერ დანის დარტყმით დაგამთავრებინეს ლამაზი სიცოცხლე....**
**არ დაიდარდო, შენი ირაკლი შენს სახელს გაარძელებს მერაბ, როგორ გაგიმეტეს ასეთი კეთილი....**
(აკროსტიქი)

ყ – აყაჩო წითლად გაჟღენთილა სისხლის წვეთებით,
ვ – ელური ვარდი სირცხვილისგან გაწითლებულა,
ე – ნძელა ნამით გაწკუმპლულა, სევდის ნესტით და...
ლ – ოგინი თბილი დარდის ცრემლით დასველებულა.
ა – ჭრილა ცაში ვარსკვლავებთან მერაბის სული,
ს – ადაური ხარ, შენ ვაჟკაცო, უთქვია მნათობს,
ა- ბა, რა გითხრა: შემომეჭრა სახლში ავსული,
თ – ოკით დამაბა, დამჭრა დანით სიცოცხლეს ვნატრობ,
ვ – ეღარ ვიბრძოლე, შებოჭილმა, ვგორავდი მტვერში,
ი – ს ბედისწერა ამ სიმწარეს რატომ მიწერდა,
ს – ისხლში ვცურავდი, სიბრალული არ ჩანდა მკვლელში

ე – მაშინ უკვე მზე ჩავიდა, გადაიწვერა.
რ – ოგორ მინდოდა მე სიცოცხლე, ირაკლი შვილო,
თ – ავს სულ კედელზე უროსავით უხათქუნებდი,
გ – აფრთხილდი ბევრჯერ, სიკეთე კი არ დაიშურო,
უ – ენეტარესო, ამას ვჯავრობ შორს მეგულები.
ლ – იჩი გიყვარდეს, სოფელია მამა – პაპანის,
ი – ა იაები გაამრავლე იმათ საფლავზე,

ს – აუკუნეებს გაუძელი წიე ჭაპანი,
ა – რ დამეჩაგრო, მანდ, რომ ცხოვრობ უცხოთა კარზე,
კ – აცურ ნაბიჯით ამოკაფე გზა ეკლიანი,
უ – ფაქიზესი დედაში კი შენიშნე მწუხრი,
თ – ავნება არა, უნდა იყო შვილო ჭკვიანი,
ა – რ დაგენანოს მიაწოდე მათხოვარს პური
რ – ოგორმე იქნებ საჩხერეშიც ჩახვიდე ხშირად,

ს – ილამაზეა იმერეთი ზაფხულის თვეში.
ა – ი, მე მაშინ ცის კიდიდან ჩამოვალ წვიმად,
ხ – ის ფესვს ვანედლებ, სიკეთეა ისევე ჩემში.
ლ – ოგინს ნუ ნამავ, შენ დედიკო, მნახე სიზმრებში,
შ – ენ, რომ იცოდე აქ ვამაყობ, მე შენი კდემით.
ი – მედი გქონდეს, აღარ ვივლი საძულველ მტრებში,

თ – ქვენ გაიგონებთ კვლავ სიმღერას დაჭრილი გედის,
ე – პიტაფია დამრჩენია, თუმცა მე მხოლოდ,
რ – ატომ მანამა ჩემმა მკვლელმა ასე სასტიკად,
თ – ერთმეტ ჭრილობას არ უჩანდა თავი და ბოლო,
მ – იმაბა თოკით დაუნდობლად, ისე დამფლითა,
ე – ნა რას იტყვის იმ სიმწარეს, მისით რაც მერგო,
ტ – ოტსაც არ ხვდება ნაჯახისგან ასეთი ბედი,
ჯ – ავრი შორს შენგან, შვილო ჩემო და ჩემო ნერგო,
ე – შმამ სხეული დამიწიწკნა და ბედს დავნებდი,
რ – ას ვიფიქრებდი მე უთქვენოდ აქ თუ გავძლებდი,

დ – ა სევდიანად დავტოვებდი ოჯახის წევრებს.
ა – ნთილი სულით ხელგამოწვდილს, მუდამ ვაძლევდი,
ნ – ეტავი მტრებმა მე ოჯახი რად ამიწეწეს.
ი – ას ვთესავდი, ამოვიდა ეკალი დიდი,
ს – ევდა საჩუქრად მომიტანეს და გამამწარეს.

დ – ამატოვინეს სულ უდროვოდ ოჯახი ტკბილი,
ა – მიტომ დედი, შენც ტკივილი გამოგატარე,
რ – ეკენ ზარები ისევ ალბათ, საყდრის კედლებში,
ტ – ივტივებს გული, სისხლის ღვარით დაგროვილ ტბაში,
ყ – ინული ჰქონდა გულის ნაცვლად მკვლელს იმ გენებში,
მ – შველელს ვუხმობდი... არ ესმოდათ არავის კარში,
ი – ფიქრა მკვლელმა ვაჟობებდი სტუმარს საძულველს,
თ – ოკის მარყუჟი ოსტატურად წელზე მომხვია,

დ – ასჯის უფალი, არ ვაძლევდი მტრობის საფუძველს
ა – მომხდა სული და ცრემლები წვიმად მოდიან.
გ – ავიფიქრე მე, იქნებ სჯობდეს თვალი დავხუჭო,
ა – მით ეგების დრო მოვიგო, გაჩნდეს მშველელი,
მ – ომკალი მხეცო? მივაძახე! გველის ნაჭუჭო,
თ – ოკით რომ მაბავ, ჯოჯოხეთში შენით შეხვედი,
ა – რა, არ გაჭრა მუქარამ და არც დაყვავებამ,
ვ – ერ ჩავკალ მხეცში დაგეგმილი მკვლელობა წუთით,
რ – ას ვიზეიმებ, თუკი კალმით მაქვს უკვდავება,
ე – ხეთქებიან სულით პოეტს ფიქრების გუნდი,
ბ – ინის მახლობლად იზრდებიან ნაზი პეპლები,
ი – ქ შრიალებენ ცას აწვდილი ალვის ხეები.
ნ – ატანჯი სულით ყველა ქართველს ვეალერსები,
ე – ხ! რომ შემეძლოს, კვლავ სიცოცხლეს დავისესხებდი
ს – აჩხერელი ვარ, სოფელი კი იქა მაქვს ლიჩში,

ლ – ომისის მადლი მფარველობდა მთათა ხედიდან,
ა – ხ! რომ იცოდეთ სიყვარული მე კუთხის ვიცი
მ – ამის სისხლი მაქვს და სიკეთე დამყვა დედიდან,
ა – რ გაიტეხოთ გული მაინც ულმობელ ბედით,
ზ – ვინივით დადგით სიყვარულის დიდი კოშკები,
ი – ს ბედისწერა უკითხავად მოვა ნებით და...

ს – იცოცხლეს მჩუქნის პოეტი და მე არ მოვკვდები,
ი – ქავარ, მაღლა საქართველოს ზეცამ მიშვილა
ც – ის ნამს მოკითხვა სიყვარულით გამოვატანე.
ო – რომ იცოდეთ მკვლელმა თვითონ ბედთან მიჩივლა,
ც – აში გამგზავნა, სიცოცხლე კი მანდ დავამთავრე
ხ – ან ღამე მოვალ, თქვენთან ფრთხილად მოსაფერებლად,
ლ – ოყაზე ამბორს დაგიტოვებთ ნატრულთ ბაგეთი,
ე – რთი შეხედვით ცისარტყელას ბედის ვყოფილვარ,

ა – მიტომ უცებ მოვედი და ცაში წავედი,
რ – ოგორ განვიცდი მხეცთა ჯიჯგნა რად დამეწერა,

დ – ამჭრეს, დამჩეხეს, როგორც ცხვარი ღმერთს შეწირული
ა – მომავალი მზე რა უცებ გადამეწვერა,
ი – მედიც გაქრა, თუმც ვიბრძოდი თავგანწირული.
დ - ედი ეხლა მე ვარსკვლავებთან გავიფრთამალე,
ა – მოფოფინდეს, ჩემი ჯიშის ნორჩი ფესვები.
რ – ომ შეეგუოს მწარე წარსულს, ცრემლი დამალე
დ – ედიკო ჩემთან მამა არის მას ვეფერები
ო – მშიც არ სჭრიდნენ ასე ულვთოდ, მე რომ დამჩეხეს,

შ – ური იყო, თუ ჭკუაზე შეცდა ბეჩავი
ე – ლდამ, სიკვდილი გააგონა იმ ჩემს საჩხერეს,
ნ – ეტავი მკვლელი შემხვედროდა გაუბედავი.
ი – მას არა გთხოვთ ბოროტებით იძიოთ შური,

ი – მას არ ვჯავრობ, დამაშორა ჩემს ტკბილ დედიკოს,
რ – ავიცი მკვლელმა ითვალთმაქცოს თუ სისხლი სწყურის,
ა – რ მინდა კიდევ, რომ თქვენსავით ვინმეს ეტკინოს.
კ – ინოშიც უნდა აიკრძალოს კადრი ასეთი,
ლ – ომიც არ ძიძგნის ხორცის ნაჭერს ნაკუწ-ნაკუწად.
ი – ფეთქა სისხლმა დავსუსტდი და სულით დავეცი

შ – ეშლილი იყო, ... სიბრალული არ ინამუსა,
ე – რთს ვნატრობ მხოლოდ, ვევედრები დედას და ჩემს
შვილს,
ნ – ატანჯი ვარ და კიდევ უფრო არ დამალონონ.
ს – ევდით ნუ ივლით დაამძიმებთ ისევე ჩემს სულს,

ს – იტყვით აუგი მკვლელის დედას არ გააგონოთ,
ა – არვინ იცის, მას რა უთხრეს, ან რას ეტყვიან.
ხ – ომ შეიძლება ცრუ ამბავმა შეშალა კაცი,
ე – ნით მოკვდები, ან თუ დანით ორივ ერთია,
ლ – ოცვა თქვით მშვიდად და იცოდეთ მშვიდობის ფასი.
ს – იკვდილს მსაჯულად დაუნიშნავს მხოლოდ თვით ბედი,

გ – ინდა, არ გინდა, არ კითხულობს გიწერავს წამებს,
ა – ლბათ მე ასე მერგუნა და ამიგეს წესი.
ა – რ გინდათ დარდი, ტკბილი სიტყვით მითხარით რამე,
გ – აითავისეთ იმედები, თქვენ ჩემო დებო,
რ – ომ თქვენი ცრემლით არ დამილპეს შარვალ – ხალათი,
ძ – ირულის წყალი მენატრება და თევზის გემო,
ე – ხლაც კი მახსოვს, მაყლაპებდნენ ლიფსიტს ძალათი,
ლ – ელვის ჩირივით ტკბილი იყო, ჩემი ბავშვობა,
ე – ნძელებსა და იის კონებს, გოგოს ვჩუქნიდი.
ბ – აბუას სახლთან გულისწორის ჩუმი ლოდინით,
ს – ატრფოს ფაქიზად, სიყვარულით ტკბილად ვკოცნიდი

მ – ოგონებებით დავიტვირთე ... წარსულის ხიბლით,
ე – ხლაც მანდავარ, ჩემო დებო აღარ მიტიროთ,
რ – ოგორმე იქნებ გაიაროთ ცხოვრების ხიდი,
ა – რ მინდა გლოვა, ტკივილებით აღარ იტვირთოთ.
ბ – ევრჯერ მიხილავთ სიზმრის სახით ოთახში მავალს,
ი – გრძნობთ ჩემეულს სითბოსა და გასძახეთ ექოს.

რ – იგში ვდგავარ და კვლავ მოვყვები ქორწილის მაყარს,
ო – კეანესაც გამოვცურავ თუ ძალა მეყო.
გ – ადიან წლები, მიუტევეთ ნუ გავიწყდებათ,
ო – მში ყოველთვის აირჩიეთ სიმშვიდის წუთი!
რ – ოგორც მზის სხივი არემარე გადაბრწყინდება,

გ – ულში აინთეთ კვლავ სიკეთის სინათლის შუქი
ა – ლმასისფერი ჩანჩქერებით იმედი მორთეთ,
გ – აინაწილეთ სიყვარულის ქარვის მძივები.
ი – ს ტანჯული დღე წარსულია, ჭრილობა მორჩეს,
მ – ეც გავიხარებ, დავმშვიდდები, ამას გპირდებით,
ე – ხეთქებიან გულის კედლებს ფიქრი წარსულის,
ტ – კივილს მიმშვიდებს ცის ლაჟვარდის ლურჯი ფერები
ე – ხ! მონატრების ბევრი წლები არის გავლილი,
ს – ევდას დავმალავ და ზეციდან მოგეფერებით.

ა – მოიზრდება ჩემი ფესვი, სინორჩით ისევ,
ს – იდარბაისლით დადინჯდება ზეცაში სული.
ე – ნდეთ ჩემს სიტყვებს შური სხეულს უდანოთ გისერთ,
თ – ოთო იად ხართ სათითაოდ თქვენ ამოსული,
ი – ბრწყინოს თქვენმა სიხარულმა დედამიწაზე

კ – აი კაცობით გაამრავლე შვილო ქართველი.
ე – ნის, მამულის სიყვარული აიგიზგიზე,
თ – ილისმად გქონდეს საქართველო ამოქარგული,
ი – მრავლე შვილო, ჩემმა სულმა, რომ მოისვენოს
ლ – ექსს წერს პოეტი, სიკეთისთვის ჩურჩულებს ქალი ...
ი – ქნებ შეძლო და ჩემი სახე კვლავ გაიხსენო,

მხოლოდ იფრთხილე, შენც არ შეგხვდეს ორპირი ქარი,
ირაკლი შვილო, ზეციდანაც ბევრს დაგავალებ,
კვლავ ჩემს სახლის წინ, სიყვარულით ამაყად მდგარი,
აბა, შენ იცი ჩემი ფესვი გთხოვ გაამრავლე,
სამარადჟამოდ უკვდავების შეაღე კარი!
მინდა შენს მამას, აქ ზეცაშიც ნათელს მითვლიდნენ,
ტკბილო დედიკო ცრემლი არა გშვენის სიცილი
მკვლელის დედასთან იქნებ შეძლო და შენვე მიხვიდე
უამბე მას, რომ ცეცხლი არის შვილის სიკვდილი.
ჩემო დედიკო, შემისრულე დანაბარები,
დაარიგე, რომ აღზრდას უნდა დიდი სიფრთხილე
კვლავ არ შეაღოს შეცდომებით ცოდვის კარები,
და აიცდინოს სიძულვილის დიდი სირცხვილი,
დედავ სიკეთის, სიყვარულის ტკბილო საზომო,
ყველაფერს ვხედავ, შენ დადიხარ გულით მწუხარი,
მიმტევებლობით აყვავდება ისევ სამშობლო,
მკაცრად მოვითხოვ!... არ ჩააქროთ ჩემი ბუხარი!
მხოლოდ ღმერთია, გამკითხავი ყველას ცოდვების,
უფალი არის მსაჯულიც და საქმის გამრჩევი.
ლექსით გავცოცხლდი, უკვდავი ვარ, გლოვა? რო-
დემდის,
აბა, ვინ არი სამუდამოდ მადეთ დამრჩენი ...

**როცა პოემის წერა დავიწყე ვგრძნობდი, რომ შვილმკვდარ დედას შევუმსუბუქებდი დარდს და ასეც მოხდა...**

# წერილები

**რეზო ადამია**

*დავით აღმაშენებლის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი*

## ვაჟა-ფშაველა და დრო...

სამყაროს შორეული სიღრმის რომელიღაც პლანეტიდან მოვლენილი ოლიმპიური ხედვის ხელოვანის უზარმაზარ სულიერ დინამიკაში და სივრცობრივ მოძრაობაში ერის რაობის ურთულესი სახის შინაარსია მოხმობილი, საიდანაც მრავალსახოვანი ხასიათი და შინაგანი თვითმყოფად აზრთა სიუხვეა წარმოჩენილი... მგოსნის მძაფრგანწყობილებიანი პოეზია და აზრი ზეადამიანური ტანჯვა იყო სიამეცხებული.

დაუდგრომელი და მოდარაჯე მგოსანი მარტვილად მოევლინა მამულს, რომელიც დღენიადაგ ეძებს მტრისგან მიმოფანტულ სულიერ მარგალიტს; მოქანდაკე ბურდელივით პოულობს და მტკიცედ ძერწავს ეროვნულ, სრულიად ახალს, განსხვავებულს, იდუმალებათა უხილავ შემოქმედებით არქაულნარევ მარადიულობის პორტრეტს...

ვაჟა-ფშაველას დაძაბული ფიქრი, დუმილი, განცდა, მთის თვითმყოფადი სულიერი სევდა და შინაგანი კოსმოსური წიოკი უძიროა, მრავალტანჯული ქვეყნის ფონზე.

უცნაური ფორმის ნარინჯისფერი ვარსკვლავი, ყოველ ღამე გადაუვლიდა ხოლმე ვაჟას სოფლის მუქი ლურჯი ცის გუმბათს. ფანტასტიური მანათობლის განსხვავებულ ფერ-ფორმას და შორეულ საიდუმლოს სრულყოფილად მხოლოდ მგოსანი ხედავდა და აღიქვამდა ძილსა თუ სიფხიზლეში. ნათელმხილველ პოეტს დაბეჯითებით სწამდა, რომ უფალი ყველგანაა...

მრავალ ათასწლეულში დამპყრობთაგან ნაწამები საქართველო, მხოლოდ თავდადებული, გმირი შვილებით განახლდება და კვლავინდებურად სფინქსივით აღსდგება. ვაჟას ნიჭი და თვითმყოფადი გენია სამშობლოს სულიერი სარჩო და ფიზიკური გადარჩენაა. მგოსნის ბრძნული და მეომრული აზროვნება უჟანგავი ფარი და უდრეკი ხალიბური ხმალია სრულიად საქართველოსი.

ეშმაკეულ-სისხლისმსმელ დამპყრობთაგან შელახული ნებისმიერი პატარა ერი, მხოლოდ თავისი თავდადებული პატრიოტებით და შეწირულთა გმირობებითაა უკვდავი. უცხოელი დამპყრობი და გაუცხოებული კოსმოპოლიტი ქართველი, ერთი და იგივე ჯოჯოხეთის მანქანაა მგოსნისთვის.

ვაჟა-ფშაველა, საქართველოს რჩეული მეფეებივით, სიცოცხლეშეწირული, ზნეობრივად მაღალი რაინდი და მამულისთვის თავდადებულია, დაუღალავი მონა-მსახურია, ფეხშიშველად მოარული ქურუმია ერთგული მხსნელი პატრონის მომლოდინე ერისა.

ბუნების მოვლენების მესაიდუმლე პოეტმა, კოსმოსის ურთულესი და პლანეტის ველური სივრციდან, შორეული ირეალური ფორმებით გაჯერებული ცისარტყელას ფერთა მოხმობით უნიკალური ლიტერატურული სურათი დახატა და მისი უბრალოებიდან მოსული შორსმჭვრეტელური ფილოსოფია აზრთა ურღვევ კონებად ამოიყვანა, მერმე ლიტერატურულად შეთხზა და გენიის მუხტით და ზესასწაულებით შეკაზმა; საქართველო, ღრმად ინდივიდუალური ხელოვანისათვის, უსასრულო, უმდიდრესი და უახლოესი შემოქმედებითი სივრცეა, რადგანაც შემოქმედი



უაღრესად წმიდა და მართალია. ჯერარგაგონილი, არხილული და წარმოუდგენელი – სამშობლოს ყოველი დროის უხილავი დიადურობა, მაღალი პოეზიის ჯადო ენით შეამკო. ჭეშმარიტი მგოსანი, დიდ ხელოვნებაში, ეროვნული გენიის მოულოდნელობაა და სამყაროსეული საიდუმლოება იხსნება ყველგან – მხოლოდ ვაჟასეული შემოქმედებით...

ვაჟა-ფშაველა, მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილივით, პლანეტის შორეულიდან მომდინარე მზისფერი სიბრძნის ბიბლიური უშრეტი წყაროა, რომელიც ღრმა ინდივიდუალურ შემოქმედად მოგვევლინა და პლანეტის ნებისმიერი ფილოსოფიური მიმდევრობის და მითიურ-გარდასულ დროთა ფასდაუდებელ საიდუმლოთა საგანძურის ოქროს გასაღებს პოულობს.

უზენაესისგან მხატვრად გარდასახულ საქართველოს ბუნებას ფერწერულ ტილოზე ხატვა რომ შეეძლოს, უკეთეს ავტოპორტრეტს ვერ შექმნიდა, რადგან ირეალურ-მისტიკური მძლავრი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნა მხოლოდ მაცხოვარს, მოციქულებს, ანგელოზებს, წმიდანებს და ვაჟასთანა გენიებს ძალუძთ...

მზით და მთვარით სხივსავსე მგოსანი ლექსად ქადაგებაა ერის ხატების, მშვენიერების და ღვთიური ჭეშმარიტებისა.

ბრძენი ხელოვანის ძლიერი მამაკაცური და კეთილმყოფლური სევდის ცრემლმა ქვეყნის ბარამდის ჩააღწია და მკურნალად მორწყა.

ძილშიაც სიმშვიდეწართმეულ მგოსანს ხშირად მტანჯველი სიზმრებიც აწუხებდა: ერთ ავდრიან ზამთრის ღამეს, უცნაური ხილვები აედევნა და მთელი ღამე აწვალებდა განმარტოებულს. უკუღმართი სიკვდილი, უჯილაგო და დაუნდობელი, დაბრმავებულიყო და ხევ-ხევ, მთებში, სოფლებში, შუკა-შუკა, ბილიკ-ბილიკ, ეზოებსა და ოჯახებში დაბორიალობდა და სამოქმედო ობიექტს ვერ აგნებდა, ჭაობისფერ, დაგრეხილ ფეხს ვერსად იკიდებდა, ფუნქციაგაუქმებული. ამ სასიხარულო სიახლეს – სიზმრის აურას, ვაჟას მუზაზე დადებითად ემოქმედნა და იმ დღეებში რამდენიმე უკვდავი სევდანარევი შედევრი შეექმნა...

სამყაროს ნიჭს, ვაჟა-ფშაველას პიროვნებით, საქართველოზე გადაუვლია და შემოქმედებითი გიგანტური კვალი დაუტოვებია.

შუაღამე იყო. ვაჟა ეზოში გამოვიდა და გაისეირნა. მშობლიური მიწის ხმა მოესმა უცნაური, შორეული:
– შენსავით ერთგული შვილი მე იშვიათად მყოლია, ადამიანო! მკურნალად ყველგან ხარ და იქნები. მიწა

იტანჯება, ადამიანო, სამყარო და კოსმოსიც. შენ ტანჯვით მოხვედი, ერის ბედიც გაფორიაქებს და შემოქმედება გაწვალებს, ადამიანები, ნათესავებიც. მაგრამ ყოველი მათგანი გმირის გადასატანია და იმიტომაცაა სასიამოვნო და რომანტიული. დიდი სიყვარულით დადიხარ შენს პლანეტაზე, მაგრამ იცოდე, მაგაზე უფრო მაღალ თვისებასაც ატარებ, რომლის მთავარი არსი მხოლოდ სამყაროშია გასაიდუმლოებული, რითაც წარუშლელ კვალს დატოვებ.

ვაჟა ცეცხლმოკიდებული უცხო პლანეტა იყო, რომელიღაც გალაქტიკისა... ბოლოს ნახევრად დანახშირებულ ნაკვერჩხლად იქცა და უახლოესი პატრონი მიწა ელოდებოდა მხსნელ მფარველად...

სული, ქართული – და საფშვინველი მგოსნისა გზად იდგა შორეული მგზავრობისათვის...

საკაცობრიო და ეროვნული ლიტერატურული ხელოვნების სიახლეთა იდეები, მიზნები და ამოცანები ამოუწურავია, მაგრამ იმდენად წარმტაცია ვაჟას შემოქმედებით სივრცეში მგოსნის ლეგენდად მოვლენილი პოეზია და პროზა, რომ ნისლმოფენილი იდუმალებიდან მიუწვდომელ, ლეგენდარულ მწვერვალად ამოიზიდება და იმის იქით უკვე ველარ აზროვნებ. მთის ბუმბერაზი, უფაქიზესი აზრი და ფიქრი ზეციური მადლია მირონცხებულ პოეტში კოსმოსური ძაფებით მოწნული. მწამს და მჯერა, თვითმყოფადი ფშავ-ხევსურეთის ულამაზესი მთების თემაზე რომ ემუშავა მუსიკის ღმერთს – ლუდვიგ ბეთჰოვენს, ჰაიდნის, მოცარტს, შოპენს, მხატვრებს: ელ გრეკოს, გოლბეინსა და ბრეიგელს, მხოლოდ ვაჟა-ფშაველასავით დამოუკიდებელ და ინდივიდუალურ ხელოვნების საოცრებებს შექმნიდნენ...

ღრმა სულიერების მოციქულათსწორი ვაჟას აზროვნება და ფილოსოფიური ხელოვნების იქით, ამოუხსნელი და წარმოუდგენელი შორეული სივრცე იხსნება, რომელიც ბუნების ურთულესი ფენომენია – მარად შეუცნობადი. ესაა დიდი ხელოვანის მიუწვდომელ ფიქრთა უხილავი ფორიაქ-გახელება, რომელიც მიუწვდომელ ზესივრცეშია შეზავებული, საიდანაც სრულიად ახალი, უხილავი მხატვრული ხაზები, ფორმები, ფერები და ფიროსმანაშვილისეული სახეები ვლინდება.

ანკარა მთის წყაროდ მოვარდნილ ვაჟაში ბრძენი პოეტი, ბიბლიური გმირი, ჰომეროსივით მწერალი არქაულნაზავი ფილოსოფოსი და უტეხი ღვთის კაცი, ერთ მიუწვდომელ ზეხაზზეა ხორცშესხმულ-აქანდაკებული.

მოციქულთასწორი შემოქმედი ღმერთივით ქმნის ლიტერატურულ სიახლეებს, რადგან სიბრძნით, ფერით, ჰარმონიით და აზრით მხატვარი საკვირველი კოსმოსური ქვეცნობიერებიდან მოედინება. გამაოგნებელია უფლისაგან მოვლენილი რჩეული ადამიანის სულიერი ზეძალა და შემოქმედებითი იშვიათი ნიჭის საიდუმლოება. ვაჟა-ფშაველას შედევრები, უბისას ეკლესიის დამიანეს გენიალურ ფრესკას, გუმბათის ყელს ქვემოთ გამოსახულ შედევრს – მაცხოვრის ფრესკას მახსენებს და თანაბარი კორიფეობით ორივე ერთ, უზარმაზარ ქმნილებათა ორბიტაზე განფენილან.

უთუოდ ვაჟაში სამყაროსეული და მიწიერი სიცოცხლე იგავმიუწვდომელ, მთლიან ბიბლიურ მოვლენად იხატება... მსოფლიოს ლიტერატურის ისტორიაში მხოლოდ ერთეულებია, თანაბარ დონეზე რომ ქმნიდეს შედევრებს როგორც პოეზიაში, ასევე პროზაში...

ბუნებას ხომ არაფერი უკვირს და არც უფრთხილდება თავისსავე შექმნილს, ეს ყველასთვის ნათელია და განსაცვიფრებელი, რომელიც სიცოცხლის ტრაგედიის უწყვეტ ხაზს წარმოადგენს.

ვაჟა-ფშაველა გამორჩეული იყო უდიდესი ვნებით, ამქვეყნიური და ნიჭის ზეადამიანური თვისებებით: მგოსანთან თავს იყრიდა მრავალმხრივი სიყვარული და ქრისტესმიერი რაინდული შენდობები, რასაც უწყვეტ დინებად გასდევდა ადამიანური ტკივილი... თანმდევად ახლდა უტეხი ქართული პატრიოტიზმი, დაუმორჩილებელი შემოქმედებითი ჟინი, დიადურ საქმეთა მიზანი, ჯანსაღი და სამართლიანი ეჭვები; ურთულეს და მკაცრ გარემოსთან ძლიერ მომთმენი იყო, პირდაპირი, შეუპოვარი, ოდნავ ფიცხი და ზოგჯერ სასტიკიც...

უყვარდა ქალი, მხოლოდ მეგობრად მოვლენილი.

კოსმიურ, უხილავ ხაზთა მტკიცედ ჩაორნამენტებულ, მკვიდრად ჩაკირულ საიდუმლოს და ზოგჯერ გრძნეულ მოგვთა დაძაბულ სულს ატარებდა, რომლითაც გრძნობით განუსაზღვრელი, შეუფასებელ-შეუსწავლელი იყო და ასეთად დარჩება მარადიულ საზოგადოებაში...

ამდაგვარი ზეაღმატებული გონების, საკვირველი ინტუიციისა და მძაფრი ინსტინქტის ხელოვანი სულიერად იტანჯებოდა და ხშირად საზოგადოებისაგან განდეგილიც იყო. წამებული მგოსანი სიკვდილ-სიცოცხლის შუალედურსა და შეუვალ სურნელს მომაკვდავივით გრძნობდა, რისგანაც გაორებული ადამიანი მრავალ თანამედროვეთათვის სრულიად უცნობი, გაურკვეველი და მიუკარება ხდებოდა...

უზომო სიამოვნებას სიკეთის ქმნაში, სიყვარულში, მეგობრობაში, ლიტერატურულ მოღვაწეობაში და მამულზე თავდადებაში პოულობდა. მთელი არსებით გახლდათ სამშობლოზე თავგადადებული, წმიდანის ზნე-კანონ-წეს-თვისებებით.

რელიგიურ მოძღვრებათა გარდა, ყოველ საერო იდეას, პოლიტიკურ მოვლენებს, მიზნებს თუ აზრებს პირადი სრულყოფილი ზნეობის ქარ-ცეცხლში ატარებდა და ნებისმიერ უსამართლობაზე უშიშრად ილაშქრებდა...

ქვეყნის მხსნელ ქურუმად მოვლენილი, ღრმად მოაზროვნე ხელოვანი და უცნაური, ხშირად გამიწიერებული, გენია, წმინდანივით ურთიერთობს მცენარეებთან, გარეულ ფრინველებთან, სტიქიურ მოვლენებთან, ცხოველებთან და მთის მშვენიერ ნისლ-მანდილთან. პოეტთან ალიონის ნამის აალმასებული წვეთები თუ წვიმის მოსვლა, უკიდეგანო სევდისა და ზოგჯერ სიხარულის ცრემლად გვეხატება; უდიდესი მაესტროს კალმით აგვიწერს მთის რთულ ხასიათს და ადამიანთა ჯანსაღი ზნეობის, გმირობისა და ცდომილების უებარი ქირურგ-დასტაქარია; პიროვნების, კერძოდ, ინდივიდთა საიდუმლოებათა სულიერი რეფორმატორი, მტკიცედ აყალიბებს თავის ერში სრულიად ახალს და შეუდარებელს, ცხოვრების ყოვლად პროგრესული ზნეობის მარადიულ ზეადამიანურ ჭეშმარიტებას.

მთის უწმინდეს ნისლთა ურთიერთდამოკიდებულებაში, უფაქიზესი ფილოსოფიის სიღრმისეულ აზრსა და დიადურ ხასიათს ნახულობს. მგოსნის უმდიდრესმა წარმოსახვის იდუმალებამ კოსმოსური ქსელის საიდუმლოებანი მოზიდა და საკუთარ პალიტრაზე განალაგა...

მოწმენდილი ცასავით სპეტაკი ბუნების იდუმალებათამხსნელი ვაჟა-ფშაველა – უფლისა და დედამიწის ყველა რელიგიური სალოცავის სიკეთის თვალითაც იმზირება და უბრალო ადამიანისათვის მიუწვდომელ შორეულ ფორმებს მხოლოდ მისეული, მეცნიერული გზით პოულობს, ნათლად აღიქვამს და წერს. ყველგან და ყველასთან ღვთიურს და იდეალურ მოვლენებს

ხედავს. დევნილი და მთებსშუა მავალი, მარტოხელა ქურუმი – რჩეულ პიროვნებებზე (დადებითი იქნება თუ უარყოფითი) და ქართულ პატრიოტიზმზე, რომელსაც გააჩნია ყველა ერისგან გამორჩეული აზრი, შეუდარებელი სიკეთე, ბიბლიური ზნე და გონება, სულიერი განცდის ურთულესი სისტემა და შემართება – მათზე უფლის ენით მეტყველებს. კლასიკოსი მაესტრო-მგოსნის ნათელ გონებას, უწმინდეს სულსა და საღ ოცნებას ზეციური ალღო და სხივმოსილი ინსტინქტი კარნახობს და შეუბღალავი ზნეობრიობის ჭეშმარიტებით მოსავს... უზადო ნიჭბოძებული და უფლისაგან შემოქმედებითი კურთხევაალვლენილი მგოსანი წერისას უსაზღვრო მორალურ შვებას, შემოქმედებით ძალათა მოზღვავებასა და ზეციურ სიამოვნებას განიცდის.

მრავალი დიდი ხელოვანი სტიქიურად მოევლინება კაცობრიობასა თუ ერს; ვაჟა-ფშაველა კი ქართულ მიწაზე უზარმაზარ მუქ ლურჯ მთად ამოემართა, მანათობელ მწვერვალთან ერთად. ეს შემთხვევაც გამორჩეული, ვაჟას მობრძანების კიდევ ერთი ამქვეყნიური საკვირველება და საოცრებაა.

რასაც აქ ვწერ ვაჟა-ფშაველაზე, რომლის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გარემო უსაზღვროდ გამაკვირვებელი და დიდი ხელოვანის გონებრივი სიმაღლის წარმოუდგენლობაა, დაბინდული გალაქტიკის ფერის-ფონის, მხოლოდ მცირედი აზრთა ციმციმია ჩემს მიერ ნაგრძნობის, დანახულის განცდილისა და ყოველმხრივ შეულამაზებლად გადმოცემულისა...

მოკრძალებით მინდა გაგიმხილოთ, თუ როგორ ჟღერს ვაჟა-ფშაველა! მოციქული იოანე ნათლისმცემელია ის ჩემთვის, მხატვარი და სახარების ავტორი ლუკაა, ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, მატათა, ასევე მათე და პეტრეა, ყოვლისმხილველი და შემძლე უფალიც სტუმრობს მგოსანში... კაცთაგან შემოქმედნი? – საოცრება ვინსენტ ვან გოგი, ნიკო ფიროსმანაშვილი, ხელოვნების მამა ლეონარდო და ვინჩი, პოეზიის შუქურა – ჰომეროსი, ტიტანი – მიქელანჯელო, მოდერნისტული ხელოვნების სათავე – პოლ სეზანი, აბსტრაქტული ფერწერის გენია – ვასილი კანდინსკი, ზოგჯერ სალვადორ დალი, მალევიჩი, ლეჟე და რამდენიმე გენიალური მხატვრის დასახელებაც შემიძლია, მაგრამ მიჯობს აქ შევჩერდე.

ბერძნული ანტიკური მსოფლიო და ქართული წარმართული არქაიზმიდან კლასიკოსად მოსული მგოსანი მზის, მთვარისა და ვარსკვლავთა მეოხებით გალაქტიკის ნისლმოფენილ ბურუსში გახვეულ სიმბოლურ საქართველოს პოულობს... აი, ისიც, შორეულიდან გადმოტყორცნილი ლექს-ქურუმობა:

„გულზედ მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა."

დიდი მგოსნები, ილია და აკაკი, ვაჟას ჭეშმარიტ გამოცხადებას ელოდნენ, დრო და სივრცე ყველაფერს იტევდა – ითმენდა...

მწერლის უკანასკნელი პერიოდის დოკუმენტური ფოტო, სადაც, უბედური შემთხვევისაგან დაზიანებული მარჯვენა თვალის მძაფრი მზერით, ვაჟა აურაცხელ მტერთან მეომარ რაინდს მოჰგავს. იქვე მეხატება პლანეტის უპირატესი მოგვი-მოგზაური, რომელიც მხოლოდ ვარსკვლავების განლაგება-მოძრაობით ხელმძღვანელობს. რწმენით მჯერა, მრევლთმაძიებელი, მაცხოვარს შეწირული მოციქულივითაა მოვლენილი. ხელოვნების, ნათელ აზრთა, მშვენიერების, საგნებთანაც მოსაუბრე – ფილოსოფიური ღრმა სიახლეებისა და ბუნების ადამიანურად ამეტყველებისათვის მოწოდებული, სამშობლოს სულიერ მეუფედ ნაკურთხი, კანონთა – ზეკანონიკური, წესთა – ღრმად მოწესე, შეწირული მებრძოლი – მარგალიტასხმული ლეგენდარული სიმბოლო და თავისი ქვეყნის ქედუხრელი პატრიოტი... ამ სახით ვაჟა-ფშაველაში იხატებოდა უდრეკი მეომარი, პოეზიის გენიით აღჭურვილი.

უფლის მიერ ბოძებული სიბრძნე და პოეზიის გამაოგნებელი მადლი თითქოსდა უხილავი და უხსოვარი დროის საკულტო ტაძრის კედლიდან უწყვეტად ჟონავდა.

შინაგანად შეუფასებელია გახსენება ერთ-ერთი უნიკალური ლიტერატურული ქმნილების ფრაგმენტისა: „არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა, ენადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ვეღარა დგებოდა...". აქ საქართველოს მრავალათასწლოვანი – თავდაცვითი ბრძოლით, სამყაროს მარადიულობაში არსებობის, მისი ბედის და ქვეყნის ფსიქოლოგიური სურათი მშობლიური ცის ფონზე მუქი აბრეშუმის ძაფებითაა ამოქარგული. წარსულში, აწმყოსა და მომავალში ეროვნული ჭეშმარიტების ნათელმხილველსა და რაინდულად უარყოფითის მგმობელს, საქმით მოუსვენარს – ღვთიური სიმართლისა და სიყვარულის წმიდანსწორს – მხოლოდ ასე აღვიქვამ და ვხედავ ვაჟას, რომლის უძირო და მითოლოგიური გრაალის იდუმალების თასში მცირედად ვწვდები და სუსტ ვარსკვლავთმრიცხველს ვემსგავსები.

ხელოვნების ზეგრძნობებით სავსე მგოსანი, მძიმედ სევდიანი და თავისი გარემოსაგან დევნილი, უდროოდ განეშორა საქართველოს. მაგრამ სიკვდილი ვაჟამ წმინდა გიორგივით უარყო სამყაროს შორეულთან მარადიული ურთიერთობით...

ვაჟა-ფშაველა ზედმიწევნით სალი აზრისა და სრული ჭეშმარიტების წყაროა, თვითმყოფადი, ქართული, უსაზღვრო სინამდვილისა... ღვთიური სიყვარულივით დამჭირდა და ვაჟას ზღვა შემოქმედების მოლურჯო მწვანე ფსკერიდან მოვერცხლისფრო-მოყვითალო ნიჟარის ბინადარ ულამაზეს მარგალიტს ამოვაბრძანებ, აი, ისიც! – „ნისლი ფიქრია მთებისა", – ასე მისტიკურად, ანგელოზთმოსასხამი თეთრი აბრეშუმივით საამოდ ხედვის, ან შუაღამის მშვიდი სიზმარივით თუ დახატავდა მარადიულ ტილოზე მხოლოდ ელ გრეკო, ნიკო ფიროსმანაშვილი, კრანახი, სეზანი, ფერწერაში მოვლენა – საოცრება ვან გოგი და კლასიკური ხელოვნების ბოლო მოჰიკანი ეჟენ დელაკრუა; მწერლებიდან: ანტიკური საოცრება ჰომეროსი, რუსთაველი, დანტე, შექსპირი, ბალზაკი, ჰიუგო, გოეთე, სერვანტესი, ჰემინგუეი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, ტერენტი გრანელი და მსოფლიო ლიტერატურის სივრცის რამდენიმე გენიათაგანი...

ბრძენკაცი ვაჟა – შორეულიდან ამოსული სამყაროს უტეხი რეალობაა და სინამდვილიდან სივრცის მიუწვდომლობისკენ გასვლაა; აქ უკვე იმ სრული და მომაჯადოებელი მთავარი მითოლოგიური სურათის დანახვა მიჭირს...

საშინელება სიკვდილი მთებს შუა გამუდმებით ბრმად დაეხეტებოდა და წინდაუხედავად, უაზროდ ეძებდა ყველაზე სანუკვარს.

ოცნებასავით ლურჯი და იაიასფერნარევი შემოქმედი ხშირად შორეული სიღრმეებიდან საამოდ და გასაგებად მეტყველებს; ზოგჯერ შეუცნობელი უხილავი კავკასიონის მთებს შუა მოარული ბრძენი ქურუმის გონებასა და კალამს შორეული ფორმათა მიუწვდომლობა კარნახობს. დიდი მაესტრო უფლის უტყუარი მოსწავლე და ერთგული – ჭეშმარიტების უნაკლოდ გამომხატველი, მისტიკური ხილვების კლასიკოსი მხატვარი და ანდამატურ-კაზმულ აზრთა

უსასრულობის პოეტია. ბრძენთაბრძენი ხელოვანი ისევე იტანჯებოდა დედამიწაზე, როგორც – ქვეყნიერების მხსნელი. თვითშეგნებით თუ გამოუცნობი მცნებით უშიშრად მიდიოდა მშობლიური მამულის ფერგადაკრულ ჯვარზე ასასვლელად. თუმცა საკუთარი ფერმკრთალი ჯვარი მუდამჟამს თან ახლდა მგოსანს და წმიდანივით ატარებდა. დღენიადაგ იწვოდა ცეცხლმოკიდებული საქართველოს იისფერი ალით და ზეცაში მძაფრად გაჭრილი სულისფერი ცეცხლით.

თავისი შეუდარებელი შედევრებით ვაჟა-ფშაველა რაინდულად ებრძოდა ყოველთა მჩაგვრელ დროს და პოეზიის ოქროჭედილ გალერეებში ათავსებდა.

მზის, მთვარის, დედამიწისა და უთვალავი ვარსკვლავის სხივთა დენა ვაჟა-ფშაველასეულ გრაალშია ჩაღვრილი. მთის მისტიკური გარემოდან, დილის საამო ნამივით ციმციმა ღამეულ ვარსკვლავებს უმზერდა გამუდმებით. სიზმარეული აბურდული ნისლის და მთის ღამეული უცნაური ხილვების ჩახვეულ სიბნელეში, მუდამჟამს ქვეყნის შორეული საიდუმლოებების ჩაბინდულ მუქ ფარდას ხდიდა და ძველ კოლხებისეულ ვიწრო, უხილავ სენაკებში სამშობლოს სულიერ – სამკურნალო, გრძნეულ მედეასეულ წამლებსაც პოულობდა.

ვაჟა-ფშაველასთან ერთსხეულად ქმნილი ქართული მთა– კავკასიონი – დადიოდა უძველესი და მარადიული.

მგოსანი მზესავით და მთის არწივივით მხოლოდ წინ მიილტვოდა, უკან დახევა უცხო იყო ლეგენდა კაცისთვის...

ვაჟა-ფშაველა კოსმოსურის იდუმალ აკადემიას დაუმორჩილებელი ჟინით გამოეყო და სრულიად საქართველოს წმიდათაწმიდა მხსნელ მოციქულად გამოეცხადა. ამდაგვარი ურთულესი სივრცეებიდანაც მოვლენილი დიდი გალაკტიონი ეახლებოდა ხოლმე ყოვლისმხილველ, პოეზიის აზრთა ქურუმს, რომლის ღვთიური სიკეთის სხივები უკვე მოჰფენოდა ქართულ მიწას და უებარი მადლით ნოყიერდებოდა.

ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონ ტაბიძე ცის სივრცეში ერთიანი სისტემის კანონიკურად განლაგებული მანათობლები არიან, რომელნიც განდეგილი ტერენტი გრანელის ია-იასფერი სიკვდილისმპყრობელ ვარსკვლავთან ურთიერთობით იყვნენ გაოცებულნი...

უძვირფასესი თვითნაბადი თვალი პატიოსანი – ქართული, უკეთილშობილესი, უფალივით მართალი უანგარო პატრიოტიზმის მეოხებით, სამშობლოსთვის განწირული ლეგენდარული მეომარი გახლდათ. მაღალი აზრთმეუფე ვაჟა, საქართველოს სხეულის დაუსრულებელი ტანჯვით თვითონვე უსაშველოდ იტანჯებოდა, რაც მტრისგან იყო გამოხმობილი და კვლავინდებურად ჭირად მოემართებოდა ღვთიური ერთგულისაკენ სატანის მანქანა.

მგოსანი სიკვდილთან დიალოგს არასოდეს მართავდა, მაგრამ ბნელეთი მაინც მოდიოდა...

უთუოდ პატარა ერები ღვთის გაჩენილია და მათი მიწიერი თუ კოსმიური სხივებმოსილი უფლებები დიდ ერებთან უცილოდ თანაბარია. ეს შესანიშნავად სწამდა და იცოდა აზრშემკულმა მგოსანმა, რითაც სამშობლოს გადასარჩენად, მუდამჟამეული პირადი მსხვერპლშეწირვა ეცხადებოდა...

ძველი კოლხებივით, დასტაქარ ვაჟაში, უძველესი ქართული-სულიერი სამკურნალო კარაბადინი იყო დაპროგრამებული (ქურუმები მხოლოდ ასეთნი იყვნენ და არიან).

მამულში ფეხშიშველად მოარული, ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი, ყველასათვის მისაბაძი ქრისტიანი იყო და მთელი სულით და გონებით ებრძოდა ერში უძველესი წარმართული პერიოდიდან შემორჩენილ, უხილავ მეტეორებადქცეულ მავნე ნამსხვრევებს, ეგერ-აგერ, ისევ რომ ტივტივებდნენ ხალხის მეხსიერებაში, სულსა და გონებაში, რომელიც ამოუძირკვავ, ზნეობრივ ეროვნულ ტრადიციად ჩაკირულიყვნენ. მაგრამ კანონიკური მგოსანი, მოციქულ ანდრია პირველწოდებულივით, ქრისტიანულ ჭეშმარიტებას ქადაგებდა, წერდა, მოქმედებდა მომავლის ღვთიური სიმართლით და ყოველივეს დიდი მაესტროს უხილავი ფუნჯით ხატავდა, სოკრატეს, ჰომეროსისა და რუსთაველის დარად, უცნაური კოსმოსური არსი სახიერდება ვაჟა-ფშაველას მასწავლებლურსა და შემგონებლურ შემოქმედებაში.

ზღვით, ხმელეთით, მთებისა და ასობით მდინარის უპოვარი გადალახვით, ორი ათას ხუთასი წელი იარა ანტიკური ხანის ლეგენდარულმა მისტიკოსმა და იდეალისტმა ფილოსოფოსმა, სრულიად განსხვავებული და ინდივიდუალური აზროვნების დიდმა დიოგენემ; ოლიმპოს ღმერთებისმიერი უტყუარი ინსტინქტით შორეული კავკასიონისკენ, ღარიბული ჩაცმულობის და ტანზე ნახევრად შემოხეული განმარტოებული მწირი, ერთ-ერთ უმთვარო, ვარსკვლავიან ღამეს, ლეგენდარული ჩირაღდნით ხელში, მგოსნის მშობლიურ სოფელ ჩარგალს მოევლინა.

განცვიფრებული დრო და სივრცე მოულოდნელობისაგან შეტორტმანდა; ვარსკვლავთ საკრებულომაც იგრძნო ყოველივე და უფრო აენთო.

– აქაურობის პატრონო! გამომხედეო, – მშვიდი ხმით შეჰღაღადა ვაჟა-ფშაველას შუქჩამქრალ სახლს. უცხო გამოცხადების ხმაზე, ღამენათევი, დაღლილი მგოსანი მთვარეულივით წამოდგა თურმე, თეთრი საცვლების ამარა, გულმკერდგაღეღილი, თმებაჩეჩილი და გაკვირვებული სახით, ჩირაღდნით განათებულ, მითიურ მოჩვენებადქცეულ სივრცეში იკითხა: – ვინ ბრძანდებით, გვიანი ღამის სტუმარო?! თუ ღვთისა ხარ, შინ შემოდი, ჩვენსას, – კეთილი ხმით მიმართა მასპინძელმა უცხო სტუმარს. ოლიმპიური ღმერთების გამოცხადებასავით, ვაჟა-ფშაველას დანახვაზე დიოგენემ ორივე ხელი ჩირაღდნიანად, ვარსკვლავიანი ცისკენ აღმართა და საოცრების ხილვით გახარებულს, დაღლილი, ნახევრადჩამქრალი თვალები ამომავალი მზის ფერად აენთო.

– ღმერთებო, დამთავრდა ძიება, ვიპოვე! ვიპოვე! კავკასიონის მთებში ადამიანი-იდეალი! – ხმის ჩახლეჩამდე იყვირა ბერძენმა ფილოსოფოსმა დიოგენემ და განუყრელი ჩირაღდანი ჩაბნელებულ ხევში მოისროლა.

სხვადასხვა ცივილიზაციის დროისა და ერის ლეგენდარული ადამიანები ღვიძლი ძმებივით გადაეხვივნენ, თურმე, ურთიერთს. თქმულებაა თუ რეალობაა, ამდაგვარი ისტორია მართლა მომხდარა ჩარგალში, იმ ვარსკვლავიან, საკვირველ ღამეს...

გარკვეული ხნის შემდეგ, სოფელ ჩარგალთან უშველებელი ვერცხლისფერი სფეროს ფორმის მანათობელით, ადამიან-იდეალს ეძებდა თურმე, კავკასიონის მთავარ მწვერვალთაგანი, მარად ჭაღარა იალბუზიც. მერმე, დაუკითხავად, ვაჟას მიადგა და უმალ იწამა, დიოგენესდარად მოაზროვნე კაცი-მგოსანი. იმ პერიოდიდან პოეტის სული იალბუზის ხშირი სტუმარია და მთვარიან, მშვიდ ღამეებში, ია-იისფერ უწყვეტ ხაზად დასეირნობს მწვერვალის ირგვლივ...

დიოგენესა და ვაჟა-ფშაველას სულები ხშირად იკრიბებიან თურმე იალბუზზე, თეთრ ტაბლაზე ბერძნულ-ქართული პურმარილით ძველებურად პურობენ და ბრძენკაცურად ჩამავალი მზისფერი ღვინით ლოცავენ წარმართულ წარსულს, ქრისტიანულ სიახლეს

და გამძლეობას, ფიზიკურ გადარჩენას და სულიერ მარადიულობას...

მგოსნის გამორჩეულ გენიას კვებავს კოლხურ-იბერიული უძველესი შორეული აზროვნება, ინსტინქტი და უტყუარი ალღო, რომელიც ათასწლეულებიდან მოედინება უსასრულობისკენ... ვაჟა-ფშაველა, ფრინველთ მეფე არწივთ მომთვინიერებელი პატრონი და მომფერებელია... ხშირად ესიზმრებოდა ვაჟას მარტოხელა მგლისა და ვეებერთელა მთის არწივის ურთიერთდაპირისპირება კავკასიონის ერთ-ერთ ქედზე; ამაყად მიმავალ მგელს გრიგალივით თავს დაესხა გამეხებული არწივი და ორთაბრძოლის არნახული ქარბორბალა ატყდა. მხოლოდ ვაჟამ იცოდა, რა ჰქონდათ მათ გასაყოფი...

დამპყრობთაგან დაუსრულებლად შელახული, გვიანდელი ეპოქის საშუალო დონად გარდასახული ქართული ცივილიზაცია, რომელიც მგოსნის ირგვლივ არსებობდა, ეყო თვითნაბად ხელოვანს, სრულიად განსხვავებული გენიის გამოვლენისათვის, მაგრამ მთავარი ის ღვთიური ნიჭი გახლდათ, რომელიც შემოქმედს ზენაარისგან ებოძა. არავითარი აკადემიები და უნივერსიტეტები არ ჰქონიათ ინდიელ-აცტეკებს, მაიას იდუმალებით მოსილ ხალხს, მაგრამ არნახული, სრულიად განსხვავებული მაღალი, თვითმყოფადი ცივილიზაცია და კულტურა შექმნეს...

ვაჟა-ფშაველასთან ზეციური მდიდარი ფენომენის და იშვიათ ტალღათა მოსვლას მკვიდრად დახვდა მთის ჯანსაღი სული და უებარი სიმდიდრით მარად ამოუწურავი უძირო კოსმოსური აუზი. შედეგად მიღებულია აცტეკებისა და მაიას ხალხთა კულტურაზე არანაკლები, მხოლოდ ვაჟა-ფშაველასეული სიბრძნე და ძლიერ გამორჩეული ცივილიზაცია...

ვით უხორცო და უძვალო, უშიშარ მებრძოლ მგოსანში იმდენად ღრმად მოქმედებდა მტკიცე და მართალ ძალთა მძლავრი სულიერი ღელვა, რომ ხორციელი ადამიანი ბოლომდე ვერ უძლებდა, მაგრამ ყოველდღიური, თავდადებული მოღვაწეობით, გონებრივი თუ ფიზიკური ვარჯიშით, მოუღლელი ფიქრით, ტანჯვით და შემოქმედის უდრეკი შემართებით იწრთობოდა და ქმნიდა უკვდავ შემოქმედებას. დიდი ხელოვანი პლანეტის სხივმაგნიტთა ძალამ კეთილ ზვარაკად მიიზიდა ხელოვნების, ერისა და ქვეყნის მარადიულ სამსხვერპლოზე.

ვაჟა-ფშაველა დაუდგრომელი მიწის უცხოდ მგრგვინავი ფიქრია მრავალტანჯულ საქართველოზე; გულჩათხრობილი და მოაზრე მგოსნის უწყვეტი ძალა და სიყვარული მხოლოდ მშობლიური მიწის ნაპრალიდან ნათელ მირონად მოჟონავდა.

ერთი პერიოდი, უძილო ღამეები ტანჯავდა მგოსანს. დაძაბული, ღრმად გონებრივი და ფიზიკური მუშაობის ფონზე ნერვიული გადაღლაც შეენიშნებოდა. მძიმე, სუსხიანი ზამთარი იდგა. ცხვრის ქურქშემოხვეული ვაჟა თბილ ლოგინში იწვა. ცეცხლმიმქრალ ბუხარს ტყვიისფერი ნაცარი მოჰფენოდა და აქ ბუხრის ფიქრიც მდუმარებდა... შუაღამეს გადაცილებული იყო. თვალგახელილი და მწვავედ აგზნებული მბჟუტავ ჭრაქის პატრუქს მისჩერებოდა, მის ირგვლივ უცნაური გამოსახულებები კალმახის ლიფსიტებივით დახტოდნენ...

მუქ ფერებთან ერთად ვერცხლისფრად ლივლივებდა დათოვლილი ღამეული სოფელი. შორეული მთებიდან შემოღწეული წინამძღოლი ხვადი მგლის ველურმა ყმუილმა განწყობილება შეუცვალა ფიქრებშეყრილ კაცს... მერმე, ოცნებით მგელთან მივიდა: კავკასიონის ფონზე, მუქი გრანიტის კლდის ნატეხად აღიქმებოდა მთის მტაცებელი; შავი, კოხტა ნაცრისფერი თავი, ღონივრად ყბებდაბერილი, ფართოდ ანთებული, უკიდურესად ვერაგი, მძაფრი მზერის ჭროღა თვალებით, ატყორცნილი მუქი ყურებით და ქანდაკებური გულმკერდით, მგლური ჟინით სავსე, თოვლზე წამომჯდარი, მთვლემარე სოფელს გადაჰყურებს და უშიშრად ამცნობს, ხროვასთან ერთად, ულრანი ტყიდან ჩამოსვლას. ნადირმა ისევ მერამდენედ შეზარა გარემო. მისმა ბოხმა ტყიურმა შეძახილმა უცხო ღიმილი მოჰგვარა მგოსანს და მშვიდად ჩაეძინა.

უძველეს კოლხურ-შუმერულ და ეგვიპტურ ცივილიზაციებში მნიშვნელოვან დონეზე ფიგურირებდა გველის გაუხსნელი მისტიკური სახება. იგივე ხდებოდა გვიანდელი ეპოქის დიდ შემოქმედებთანაც. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში უთუოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პლანეტის ამ ურთულეს თემას, რადგანაც ამ სახის ქვეწარმავალში მძაფრი კოსმოსური იდუმალება ბუდობს. ერთ-ერთ სუფრასთან, ვაჟა თანამეინახეს უმტკიცებდა, გველი რომელიღაც მძაფრსხეულიანი მარად ფეთქებადი ვარსკვლავივითააო. უკიდეგანო ემოციებით სავსე პოეტი ძილში ერთსა და იმავე მუცელაჭრელებულ გველს ხშირად ნახულობდა, ამგვარი შემზარავი სიზმარი მოსვენებას უკარგავდა, ტანჯავდა და უკვირდა – ეს ქვეწარმავალი ძილში უშიშრად რატომ შემოდის ჩემში...?

ვაჟასეულ დროში, ულვთო, უცხო და შინაურმა ჯალათებმა მგოსნის მოკვდინებაც განიზრახეს თურმე, რათა ქართული ჯიშის განადგურება აქედან დაწყებულიყო. მტერმა კარგად იცოდა, რომ ვაჟა-ფშაველაშია საქართველო და საქართველოშია ვაჟა.

მგოსანი მთის იდუმალ-მოდარაჯე ღამედ ადგა მამულს, რომ სიცოცხლით სავსე ვარსკვლავებით მოეფინა ქვეყნის ყოველი მხარე...

საქართველო მარადის სჭირდება ჩვენს პლანეტას, თუ არადა, უდანაშაულო ქვეყნის ბარბაროსულად განადგურების შემთხვევაში, მის ადგილას დედამიწის სასიკვდილო შავი ხვრელი წარმოიშობა (ღმერთმა ნუ ქნას)!...

დარბაისლური კახეთის მზეჩაღვრილი რქაწითელის მწიფე ქარვისფერი ყურძნის მტევანს ხომ გაგონებთ ვაჟა-ფშაველას მგოსნურ-ბრძნული აზროვნება! ასევე წარმართობას გახსენებს თვითმყოფადი მსუყე, ქართული მთის რეალური თუ იდეალისტური ფილოსოფია, რომელიც ბუნების დედო და მარადიულ-ღვთიური ცნებაა. მზესავით ნათელი შეგონების, გამაოგნებელი ძველის და ახლის სინთეზია ვაჟასმიერად განსხვავებულ-განმარტოებული, ლეგენდარული ოპიზარივით, ოქროს ძაფებით ამოქარგული, ორნამენტცვარულ-ხატული ქმნილებათა მოყვითალო ფერის მარად გაუცვეთავ-გაუხუნარი ლიტერატურული ეტრატები...

მოკრძალებით ვეახლოთ და მოვეფეროთ მწერლის ერთ-ერთ უკვდავ შედევრთაგანს – „შვლის ნუკრის ნაამბობს“, მსოფლიოს მრავალი დიდი მწერალი აღფრთოვანებაში მოჰყავდა, აოცებდა და მრავალსაც მოხიბლავს მომავალში, ბევრს შურის სენსაც შეჰყრის, მდაბიურს...

მიწიერ კეთილთ ჯეროვნად სჯეროდათ, სწამდათ და უკვირდათ ძლიერი და მდიდარი სულიერება მგოსნისა, მაგრამ გონებით ღარიბებმა ბოლომდე ვერ იწამეს და არც მიიღეს. მერმე მოცვივდნენ და წმიდა ჯვარს გაკვრა დააჩქარეს. ჯვარცმულ ვაჟას მათზე ბევრად უფრო დიდი სულიერი რწმენა და გამძლეობა შეჰქონდა და მარადის შეაქვს ერის ცოცხალსა და უკვდავ ორგანიზმში, რომელიც მაგალითია ამა ქვეყნისა.

წმიდა გიორგივით მებრძოლი ვაჟა ეძებდა და

პოულობდა მტრისაგან, უნიჭო ორგულთაგან უკიდეგანო სივრცეში მიმოფანტულ ქართულ სულიერ სიმდიდრეს. მგოსანი, ადამიანის კოსმიური გონის ერთ-ერთი უზარმაზარი მოვლენა იყო და დატოვა კიდევაც მზესავით ნათელი ხელოვნება და განსხვავებული სახის ცივილიზაცია.

ვაჟა-ფშაველასთან, ნიკო ფიროსმანაშვილისა არ იყოს, შემოქმედებითი პერიოდები მკვეთრად არ იკითხება. მგოსნის ნაღვაწი თავიდან ბოლომდე მხოლოდ ქართული – სრულიად ეროვნული მთლიანობის გასაოცარი სახე და გამაოგნებელი, ღრმად ორიგინალური, ვაჟა-ფშაველასეული, გენიალური აზროვნების – მონოლითურობის და მარადიულობის ფორმაა...

ერის უერთგულესმა შვილმა ყველაზე უკეთ იცოდა, თავის მამულს უსაზღვრო სიყვარული, სამართლიანი და ჯანსაღი პატრიოტიზმი რომ გადაარჩენდა, ბრძოლა და შეწირვა პირადი სიცოცხლის ფასად უნდა გაელო და იგივე ზნეობრივ შემართებას ასწავლიდა ყველას; სამყაროში სიკვდილის ზოგ მოვლენას აქვს აუცილებელი დადებითი ფუნქცია, იტყოდა ხოლმე...

ვაჟა ფშაველა, ამოუწურავი შემოქმედებითი წარმოსახვითა და მოუსვენარი კალმით, უძველეს ლეგენდებსა და მითებს საჭიროებისდა მიხედვით ეახლებოდა ხოლმე. ისინიც ხელოვანს ხშირად აკითხავდნენ და მწერლისგან ლიტერატურულ-მითოლოგიური სახეებით, სიცოცხლის მინიჭებას ითხოვდნენ. ხალხური ლეგენდებიც კვებავდა მგოსანს და მათგან უგუნურნი ებრძოდნენ კიდევაც, – სოფლის ზღაპრული დევები ხომ უძველესი დროიდან ბუდობდნენ საქართველოში; ჩარგლის სიახლოვე მთების ბინადარ დევებს კი გასაკვირი საჩივარი შეუტანიათ დევთა გამოთაყვანებული საზოგადოების „დიდ ქვევრ“ სამსჯავროში: მოაშორეთ ეს ცალთვალა კაცი ჩვენს სამეფოს, თუ არა და სამუდამოდ დავტოვებთ ადამიანისგან ჯოჯოხეთადქცეულ ამ ქვეყანასო. აი, ამდაგვარადაც ებრძოდნენ მგოსანს ლეგენდები, მითები და რეალური შავი ძალებიც, მაგრამ უდრეკი მთები და ვაჟა ლომკაცურად უმკლავდებოდნენ მათ, ზეციდან ფრთებმაგარი არწივიც ირაოს წრით იმედად მოევლინებოდა ხოლმე და ცას ღვინისფერი ხაზებით უქარგავდა. ასეთი საკვირველი ამბავიც მომხდარა თურმე, მგელს ვაჟას სახლთან ახლოს დიდი ზომის, შავი და თეთრი ფერებით აჭრელებული გველი მოეგუდა და უღრანი ტკისკენ მიაქანებდა, ღამე ყოფილა ბნელი და უკაცრიელი...

ამჟამად თანამედროვეობის პირობებს ემალებიან ეს გულუბრყვილო ზღაპრის გმირები, რადგან მესამე ათასწლეულის ცივილიზაციის სინათლის სიკაშკაშეს თვალს ვერ უსწორებენ და ალბათ, გადაშენდნენ კიდევაც. არადა, ისინი ძალიან სჭირდებოდნენ ქვეყანას, რადგან უშუალო კავშირი იყო რეალურ სამყაროსთან, სოფელთან, სიფხიზლესთან, ადამიანებთან. მათი ლეგენდარული არსებობა ამდიდრებდა ხალხურ პოეზიას, პროზას, მუსიკას, ფერწერას, ქანდაკებას, საერთოდ, ადამიანის შემოქმედებით ფანტაზიას. მაგრამ მოვიდა დრო მაღალი და ახალი კოსმოსური ბინადრებისა, დამთავრდა არქაული ლეგენდებისა და მათი მიწიერი გმირების ათასწლეულები და პლანეტამაც ფერი იცვალა...

მომავალი საუკუნეების ადამიანები შეეგუებიან ამდაგვარი მისტიკური ბინადრების სიშორეს თუ სიახლოვეს და მათზეც შეთხზავენ პლანეტათა შორის ჩანისლულ ლეგენდებს; დაიბადებიან სრულიად ახალი – როგორც კეთილი, ასევე ბოროტი ციური თუ მიწიერი არსებები, გაგვაოცებენ თავიანთი უცხოდ მდიდარი ბუნებით და მოქმედებებით. ეჭვსგარეშეა, ზეციური ფანტაზიის და ნიჭის კონტაქტები დამყარდება დედამიწელებთან და დაიწყება ახალი ერა...

ხოლო წარსულის გულუბრყვილო ლეგენდა გმირები დიდ ხელოვანთა შედევრებში თანაარსებობას და უკვდავებას სამარადჟამოდ გააგრძელებენ...

მგოსნის შემოქმედებითი სტილი, ნაწარმოების ფორმა და მხატვრული გემოვნება, თითქოსდა ხელოვნებაზე მაღალია და უფლის სუნთქვის ზეციური საიდუმლოება იხსნება და მისი ლიტერატურული ლეგენდარული ფენომენი წრიულ ათასწლეულებს წვდება. ყველგან, ნებისმიერი ნაწარმოების ხავერდოვან ფენებში, უხილავ მხატვრულ ფორმათა მშვენიერებაა, მგრძნობიარე სულში, გონსა და სხეულში საამო ჟრუანტელად გამავალი. ნეტარი სულიერების, ანდამატური განწყობილების და უცხო, საამოდ ჰაეროვანი, გამაოგნებელი და შეუცნობელი ნათლის ჰარმონიული ტალღის ყცხო გემოვნების შემოსვლაა ყოველ ადამიანში...

დიდი ხელოვნების ნაწარმოებზე იტყვიან, მაღალი მხატვრული გემოვნებითაა შექმნილიო. ამჟამად შედევრის მხატვრულ გემოვნებაზე მინდა ვისაუბრო. ძნელი ფორმა და მცნებაა ამის ახსნა, მისი მეცნიერულ ფენებად დაშლა-გაშლა და რეალურ სურათად წარდგენა. ბევრი მაქვს მოდილიანის ფერწერაზე დაწერილი, ასევე ბოტიჩელის, პიკასოს, მატისის, სპარსული მინიატურების, იაპონურ გრაფიკულ ნახატებზე და თითქოს პიროვნება სულეირად უახლოვდები მათ რეალური კუთხიდან. და, აჰა, ნაწილობრივ გაშიფრავ, მაგრამ ვერსაიდან ვერ ვუდგები ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“, მიქელანჯელოს „მიჯაჭვულ მონებს“, გოიას „შიშველ მახას“, ველასკესის „პაპ ინოკენტის პორტრეტს“... აქ უსასრულოდ მაღალმხატვრულობაა – ვირტუოზული ტექნიკით მოტანილი, გიჭირს იმ დიადურისაგან მხატვრული გემოვნების გამოყოფა და ცალკე უხილავ, ზეგრაციულ, სულისმიერი ფორმის სურათად განხილვა. მაგალითად, გიყვარს და ბოლომდე არ იცი, რატომ, რისთვის და რაზე, იმდენად მაღალი და ღვთიურია ხელოვნების ნაწარმოების გემოვნების დარად, ადამიანთა ურთიერთსიყვარულიც. ხელოვნების ქმნილებათა გემოვნების სრული ახსნა, რაინერ მარია რილკესაც გაუჭირდებოდა, რადგანაც ამდაგვარ შიდა საამო ბურუსში მოქცეულ საოცარ სულიერ ჰარმონიათა ფორმულებს ადამიანები ბოლომდე ვერ ვხსნით. მიახლოებითი აზრობრივი შეხებები კი გაგვაჩნია. აქედან გამომდინარე გავთამამდები და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა გონების და სულის მომნუსხველ მხატვრულ გემოვნებას, ბეთჰოვენის შედევრებისას შევადარებდი, საოცრება მიქელანჯელოს ან ბრეიგელს. მინდა, რემბრანდტიც მოვიხსენიო, ნიკო ფიროსმანაშვილი, და რატომღაც თვითნებურად მოდის, როდენი, დესპიო და ანტუან ბურდელიც. საბოლოოდ კი, შორეული გალაქტიკებივით შეუვალია ეს თემა და მარად ღია, უძირო და შეუღწეველ სივრცედ დარჩება...

ჩემო გონიერო მკითხველო, მხოლოდ ამდაგვარი ბუნების აზროვნების და საკუთარი გემოვნების გენიოსს შეეძლო იმ შედევრების შექმნა, რომელთა წაკითხვისას თქვენ ხელოვნების საოცრებათა სამყაროში შეხვალთ და აღტაცებით გაეცნობით. აურაცხელი და უზომო მხატვრული სიმაღლის ფორმები და სახეები იმალება ჩვენს ირგვლივ მიმდინარე ჩვეულებრივი ცხოვრების მიღმა, რომელიც დიდმა ვაჟამ თავისი ნათელმხილველი, კოსმოსური ინტუიციითინსტინქტით-სულით, საფშვინველით და გამაოგნებელი აზროვნებით დაინახა, რომელიც წმიდა ხატად წარმოგვიდგინა; ყოველივე ხომ უფლისმიერ იდეათა ნათება და დიდი ხელოვანის ვირტუოზული მიგნე-

ბებია; ჩვეულებრივი და უახლოესი ბუნების უხილავ ფერთა საფარის მიღმა, მაღალმხატვრული სახეები სრულყოფილად რომ იპოვოთ, ვაჟას ნაწარმოებების წაკითხვა უთუოდ მოიწადინეთ, რადგან ოქროს დრო თქვენს წინაა. გთხოვთ, მგოსნის უკვდავ შედევრებს მთლიანად ეზიაროთ, რათა ვაჟას გენია სრულყოფილად აღიქვათ...

მინდა, თხრობის შინაარსს გადავუხვიო და ჩემს დღევანდელობასაც შევეხო. თითქმის ცამეტი წელია ნახევარი შემოქმედებითი დრო პარიზში მაქვს გატარებული. ქალაქის მოტივების ხატვის გარდა, სხვადასხვა ეპოქის ევროპელი გენიალური მხატვრების უფრო შემოქმედების და ზოგადად, ცხოვრების ამსახველი ესეების წერით ვიყავი დაკავებული. 2009 წლამდე, მოვლენა ავანგარდისტ-აბსტრაქციონისტ ვასილი კანდინსკიზე ესეს შექმნას ვერ ვბედავდი. ამ დროისათვის ესეისტური ნაწარმოებები შექმნილი მქონდა არანაკლებ ოცდაათ, სხვადასხვა ეპოქებში მოღვაწე ევროპელ მხატვარზე. დიდი ხანია, ვმუშაობ ქართველი პოეტებისა და მწერლების (გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ტერენტი გრანელი, ლადო ასათიანი, ნიკო სამადაშვილი, ფრიდონ ხალვაში, ტიციან ტაბიძე, თინათინ მღვდლიაშვილი, რევაზ მიშველაძე, მოფლიო ბალეტის მოვლენა ნინო ანანიაშვილი და სხვა) ესეებზე. ხოლო ვაჟა-ფშაველა, ახალგაზრდობიდან მოყოლებული, ის ურთულესი გენია საკვირველება და სიყვარული იყო ჩემთვის, რომელთან, ამ მხრივ, ოცნებითაც ვერ ვბედავდი მიახლოებას, მაგრამ ყოველგვარი სულიერი, გონებრივი თავშეკავება და მორჩილი დუმილი დამარღვევინა შესანიშნავმა ქალბატონმა, ცისანა ქოჩოჩაშვილმა. ავტორიტეტს რა შესძლებია თურმე და მეც ესეს მეოხებით თქვენთან ერთად გატაცებით ვაგრძელებ ფიქრს, განცდებს, რჩეულ აზრთა მოზიდვას და ჩემეული შეგრძნებითი დიალოგებით საუბარს ვაჟას უზარმაზარ შემოქმედებაზე.

არქაულ-ანტიკურად და თანამედროვეობასთან სინთეზურად მოაზროვნე მგოსანი, იობის მოთმინებით და წმიდანის ჭირთა ძლევით ეძებს ალიონის ნისლისფერ ბურუსში ჩაძირულ ძველთაძველ საქართველოს და, როგორც ზევით გიამბეთ – ჯანსაღი ფერ-ფორმებით პოულობს, მერმე შორეული ქვეყნიდან მოსული მოგვივით საიდუმლო დუმილის გავლით უსასრულობაში იკარგება...

მგოსანი იმდენად უსაზღვრო დიდი მასშტაბის ქანდაკებურად ჩამოსხმული სინთეზური კლასიკოსია, რომ მისი მწერლური მიმართულებით (ღრმა ინდივიდუალური) და ნაწარმოების თავისებური ფილოსოფიით, თითქოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ანტიკური ხანის პოეტი გვმოძღვრავდეს. ამდაგვარი განწყობილება იქმნება თანამედროვეობასთან არქაიზმნაზავი მძაფრი სიახლის სტილით. კითხულობ ვაჟას ლექსს თუ მოთხრობას, საამოდ აღიქვამ – გრძნობით, მთლიანად შემოდის შენში, მაგრამ მის ზეციურ სიდიადეს და აზრთა იდუმალების სიღრმეებს ბოლომდე ვერ წვდები და ფიქრებში ტოვებ...

ვაჟა-ფშაველას განსხვავებულ ბრძნულ აზრთა სულიერი სიფაქიზე სრული, შემოქმედებითი ჭეშმარიტებაა, უშრეტი წყაროა შორეული და უახლოესი ქართული ისტორიული და ზნეობრივი სინამდვილისა. წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის უსასრულობაში საიდუმლო ურთულესი შემოქმედებითი ფორმულით შედის, რომელიც საოცრებად ქცეულ ხილულსა და უხილავ მშვენიერებას ქმნის, აზრ-გონებით და სულით ბოლომდე ამოუხსნელს და მარად საფიქრალს (მიზანთან თუ მიგიყვანს ისევ, მოულოდნელობით სავსე ინსტინქტი) ხდის, თითქოსდა ჩვენს წინაშეა ეგვიპტური კედლის მხატვრობის უძველესი ფრესკულ-იეროგლიფური ნიმუში, რომელშიც სფინქსის მიუწვდომელი ხედვა-გარინდება და მარადიულობის ფიქრ-დუმილია, რასაც თან ახლავს მილიონობით წლის წინანდელი გამოქვაბულის პირველყოფილი შემოქმედი ადამიანის სისხლსავსე ჯანსაღი არტერია და დიდი ხელოვანის ველური სწრაფვა. სხვა მხრივ, ვაჟა-ფშაველასნაირი გამორჩეული ლიტერატურული სტილის, ფორმისა და განსხვავებული აზროვნების პოეტი არ ამოვიდოდა სამყაროს სივრციდან. ვაჟასთან ფიქრის, სიღრმეებიდან ამოფრქვეული მძაფრი განწყობილების, ურთულეს ოცნებათა წვდომის, მშვენიერებათა წყურვილის, შემოქმედებით სიახლეთა ძიების მრავალმხრივი და უკვდავი ძველი და უახლესი ფილოსოფიის უსასრულობაა. როგორც მოგახსენეთ, რაც დრო გადის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში წარსულის, აწმყოსა და მომავლის არეალი სამყაროს მარადიულობის მომნუსხველ იდუმალებას უტოლდება და ციურ სამყაროსფერ სიშორეში გადადის.

გაზაფხულია, მთის ბუნებამ დროულად გაიღვიძა. მგოსანი ბოსტანში საგანგებოდ შემზადებულ მიწას ბარავს, მოულოდნელად შეჩერდა და ურთიერთზე მიწყობილ მთრთოლვარე ბელტებს დააცქერდა, ოდნავ სველი მიწის ნატეხი აიღო, დააკვირდა, ბელტზე კოსმოსური სუნთქვა და მიწიერი ნერვის ფეთქვა იგრძნო; ამ გაურკვეველმა ტკივილმა პოეტის სული უცხოდ შეძრა. ლეგენდად გარდაიქმნა ყოველივე და შავ-მოყავისფრო ბელტის ზედაპირზე უხსოვარი დროის წინაპართა გარდასახული სახეები დალანდა. აღელვებულმა ვაჟამ მუშაობას თავი დაანება, სახლში შევიდა, მაგიდას მიუჯდა და მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობის“ წერა განაგრძო...

საოცარი კლასიკური თუ ხალხური მუსიკა, მგოსნის ლექსით თუ პროზით, საამო სიმფონიურ მალამოდ დაედინებოდა ქვეყნად.

ვაჟას ხელოვნებაში ფსიქოლოგიური სირთულეების და მდუმარე ფიქრთა განძთსაცავია, უშრეტი სტიქიური ენერგია და ყოველ ნაწარმოებში ლიტერატურულ-კოსმოსური უცნაური წნევაა აწეული.

ქართულმა მკვრივად დამჯდარმა მთამ, მისმა უმდიდრესმა და მიწიერმა ყოვლისმომცველმა მისტიკამ და წარმოსახვათა მრავალსახეობის უსასრულობამ შვა, აღზარდა, გამოკვება და შემოქმედებითად გაახელა ვაჟა რაზიკაშვილი (ფშაველა). შემდეგ კი სასწაული, უკუქცევით ისევ კოსმოსს დაუბრუნა და ზეცა განუსაზღვრელი სულიერი ნადავლით გაამდიდრა. ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდასავით“ უსასრულო ფიქრასხმულია მგოსნის შემოქმედების ბიბლიური მარადიული სიცოცხლის ხე. ყველა იდეას, (ხელოვნების გარდა) აზროვნებათა ფორმებსა და ცივილიზაციებს დააბერებს დიდი პოეტის უკვდავი ხელოვნება, რადგან უსასრულოდ მართალი და ღვთიურია. როგორც გიამბეთ, ჩვენთვის მაინც მიუწვდომელია მისი მიწიერი და ზეციურ-ლიტერატურულ-ფილოსოფიური ჭეშმარიტების აზრთ სინთეზი, რითაც დაიბადა ვაჟასეული ყველასაგან განსხვავებული თვალთშეუდგამი მწერლური სტილი.

მორჩილი, ბუნებით უბრალო და გულღია ავტორი, არაფერს ვაზვიადებ და არც ვამატებ, მხოლოდ ამდაგვარი ზეადამიანური დიდებით და ზებუნებრივი შემოქმედის უძლიერესი სტიქიით შემოვიდა ვაჟა-ფშაველა ჩემში. მერწმუნეთ, უფრო ღრმა ფორმითაც კი, რისი სიტყვიერად გამოხატვის უნარი ბოლომდე არ გამაჩნია.

მაპატიე, მკითხველო, ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი

ნაწარმოების ჩემეულ ლიტერატურულ გარჩევას რომ არ გაწვდი, თავად არ ვინდომე. თქვენ ხომ თქვენეული ხედვა, აღქმა და განსჯა გაგაჩნიათ, გენია რისი გენიაა, მისი შემოქმედებითი მრავალსახოვანი გზა და მხატვრული გემოვნება ხომ ყოველთა ხილულის და უხილავის მაღალმხატვრულად გამოსახულების ზეძალათა უსასრულობაა. ამ შემთხვევაში ვსაუბრობ მგოსნის შემოქმედებითი ზეციური გუმანის – ინსტინქტის და ნიჭის ალმაფრენაზე, რისგანაც არნახული სულიერი და გონებრივი შთაგონება მივიღე და კვლავინდებურად შინაგანად ვმდიდრდები. დიდი მგოსნისაგან საერთო შემოქმედებითი შთაბეჭდილება ხომ უსასრულო აბსტრაქციაა. შესაძლოა ჩვენ ვაჟას ნაწარმოებისადმი ერთნაირი მხატვრული შეხედულებანი და შეგრძნებები გვაქვს ან თქვენში ის უფრო დიდად სრულყოფილია, ამის მძაფრ დიდმასშტაბიან ფორმულას ვაჟა გვაწვდის ვარსკვლავეთივით.

ჩვენი პლანეტის ბობოქარი სტიქია, გამჭვირვალე და ყველგანმწვდომი მისტიკა, ლიტერატურული დამატყვევებელი ჰიპნოზი, განწყობილების ამაღელვებელი, შემოქმედებითი დაძაბულონის ურთულესი წნევა, ბიბლიურად დახვეწილი ხელოვანის წმიდანური ზნეობა, უფლისმიერი სიყვარული და სამშობლოსადმი თავდადებულობა მოციქულის ტოლ ხელოვანს შემოქმედებითად უზომოდ ამდიდრებდა, ასევე ტანჯავდა შეწირულს და უმოწყალოდ ანადგურებდა...

ვაჟა-ფშაველამ ეროვნულ-ხალხურ-შემოქმედებითი სიბრძნით მარადიულობის უკვდავი მოკაშკაშე ვარსკვლავი ამონანათა და დროის დინება შაჩერა...

ამდაგვარად, სივრცისა და დროის ყოვლისშემძლეობა დაიმორჩილა, მერმე ზეციური სვლით პლანეტათა უსასრულობაში მარადიული სიახლეთა ხელოვნებით გაუმთლიანდა...

უმდიდრესი გალერეების მფლობელი მგოსანი მხატვრულ განძ-ექსპონატებს უშურველად გასცემს მტერმომრავლებულ მამულში, შემდგომ ვალმოხდილი და წამებული მოციქული პირნათლად – გარდაცვალებითვე მაღლდება და კოსმოსურ მარადიულობაში განეფინება.

სიცოცხლევ, უსასრულობავ, შენი ჩრდილი სიკვდილის მუდმივი სახეა – მოუშორებელი; ბევრად უფრო მძაფრი და ტრაგიკული...

უზენაესის ბუნების კანონიდან გამომდინარე, ადამიანის მიწიერი ტანჯვისაგან განთავისუფლება მხოლოდ გარდაცვალებითაა, სიკვდილი რომ არ იყოს, სამყარო გამოიფიტებოდა, გაქრებოდა და უკუნეთი სიბნელე დაისადგურებდა. ხოლო მისი შემდეგი პროცესი მორიგი ზეციური საიდუმლოებაა, რასაც მომავალი ცივილიზაციები ფარდას ახდის. ამ სირთულეებს ამდაგვარად ხსნის მგოსანი:

„შენ გაგიმარჯოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა"...

უდიდესი ფილოსოფიური ტევადობისაა აქ ვაჟას სივრცობრივი და სულიერი შეგონება, ადამიანის შინაგანი სახის ბუნდოვანებით და მის წინაშე მორჩილი დრო მიუწვდომელ მდუმარებაში იძირება... მერმე სიკვდილი უშიშარ მგოსანს გაბოროტებული მისიით მიუვარდა, ყოვლისშემმუსვრელმა სძლია და წარიტაცა...

პლანეტა, გულუხვი და ყოვლისშემძლე, დღენიადაგ სიკეთით ავსებდა ხელოვანს და უცხო ხმით არიგებდა: მე მიწა ვარ, ყოვლის პატრონი, მალე, მგოსანო, ჩემთან ურთულესი გზის გავლით ჩამოხვალ, გამიმარადიულდები და მიწიერი სხეული შენით შეივსება...

სიკვდილს საშინელი – ყოვლისწამშლელი სახე და ფუნქცია კი აქვს, მაგრამ მიწა ხომ ბედნიერებაა სიცოცხლეშეწყვეტილთათვის?! მთაწმინდა მარადიული სიამაყე და მფლობელია გარდაცვლილ შემოქმედთათვის – ვაჟა-ფშაველას წმიდანური ძვლები კურთხეულ მიწაზე მარადიულობის ღვთიურ განძად ინახება, დუმს უძველესი მთა და უსასრულო კოსმოსური ფიქრია დავით-გარეჯის უპირველეს სავანეში...

*მანანა კვატაია*

## მშვენიერების მარადიულობის აპოლოგია

მშვენიერების ენიგმურ არსს მრავალი მოაზროვნე დაუფიქრებია. ცნობილი ფილოსოფოსების ინტენციათა თვალის მიდევნება ამ მხრივ საინტერესო სურათს გვთავაზობს: თალესი უმშვენიერესად კოსმოსს (სამყაროს) თვლის, რადგან ის, მისი აზრით, უდიდესი ხელოვანის – ღმერთის ქმნილებაა; პითაგორას შეხედულებით, მშვენიერება ჰარმონიაა, რომლის საფუძველი ღმერთია. პლატონისათვის მშვენიერება, უპირველესად, ზესკნელს არსებული მარადი და უხილავი იდეაა, მიწიერი მშვენიერება კი აბსოლუტურთან წილნაყარია. არისტოტელეს გააზრებით, მშვენიერია ის, რაც კარგი, კეთილი, სასიამოვნოა. ქრისტიანული თვალსაზრისით, მშვენიერება ღმერთია და მშვენიერია ყველაფერი, რაც მის მიერაა შექმნილი: მთელი სამყარო, ბუნება, ადამიანი და მისი ხელოვნებითი მოღვაწეობა. პლოტინოსისათვის უმშვენიერესი თავად ღმერთია. დიონისე არეოპაგელსაც სწამს, რომ მიწიერი მშვენება ღვთაებრივის ანარეკლია. ჰეგელისათვის ნამდვილი მშვენიერება ღმერთის გამოვლენაა სულში, მისთვის მშვენიერება და ჭეშმარიტება არსობრივად ერთი და იგივეა: ჭეშმარიტია მხოლოდ ის, რაც აბსოლუტური სულის თანაზიარია. სქოლასტიკოსთა შეხედულებით, მშვენიერება ღმერთის ატრიბუტია. მისტიკოსი ისლამისტებიც მიწიერ მშვენებას განიცდიდნენ, ვითარცა გამოცხადებას, თეოფანიას.

როგორც ვხედავთ, მშვენიერების უმთავრეს მახასიათებლად მისი ღვთაებრივთან წილნაყრობაა აღიარებული. ეს მისი მარადიულობის განმსაზღვრელია, მშვენიერების არსთან მიახლება კი ღვთაებრივთან ზიარებაცაა. გამოუქვეყნებელ ნაშრომში "შვენიერების თეორიები" ვ.იქტორ ნოზაძე წერს: "ყველაფერი მიწიერი შვენიერია მხოლოდ იმით, რომ მას აქვს მონაწილეობა, ზიარება აბსოლუტ შვენებასთან, შვენების იდეასთან.. თითოეული ადამიანის სული, მის მიწიერ დაბადებამდე იმყოფებოდა იდეათა ზესკნელში, სადაც იგი კეთილობის, შვენებისა და მართლობა-ჭეშმარიტების ღმრთეებრივ იდეებს უმზერდა.. მერე, როცა ადამიანი ამ სოფლად რაიმე შვენებას ხედავს.. მას მაშინვე გული უთბება, გაიხსენებს რა, რომ მან თავის ზესკნელ სამშობლოში იხილა ღმერთის შვენიერების იდეა, რომელიც ამქვეყნად არის მხოლოდ გადმონახატი". სწორედ ღვთაებრივთან თანაზიარობის გამო "მშვენიერების კანონზომიერებანი ურთულესი რამაა, ალბათ, თვით უმაღლეს მათემატიკურ კანონებზე მეტად ძნელმისაწვდომი" (სირაძე 1982: 9).

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი ხელოვნების მიერ შექმნილ მშვენიერს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ბუნებას, "რადგან ხელოვნების მშვენიერება გონისაგან შობილი და აღორძინებული მშვენიერებაა" (ჰეგელი 1973: 7). "ღმერთია ის გონი და მხოლოდ

ადამიანში აქვს ის მედიუმი, რომელშიც ღვთაებრივი გაივლის" (იქვე, 40). მისივე განმარტებით, "მხოლოდ შეგრძნების უშუალობასა და გარეგანი საგნების მიღმა მოიპოვება ჭეშმარიტი სინამდვილე" (იქვე, 15). შესაბამისად, "მშვენიერი შეიძლება ვუწოდოთ იდეას.. თვით მშვენიერს უნდა მივწვდეთ, როგორც იდეას, სახელდობრ, იდეას გარკვეული ფორმის, იდეალის სახით" (იქვე, 125), რადგან "განსჯას არ ძალუძს მისწვდეს მშვენიერებას" (იქვე, 131).

მართლაც, მშვენიერების ჭეშმარიტი იდეალის ძიება ყველა დროისა და ხალხის სულიერი შემოქმედების უმთავრესი ნიშანსვეტია. სხვადასხვა ეპოქაში მას განსხვავებულად გაიაზრებდნენ. მისი არსის წვდომის სურვილი, შეგნებულად თუ ქვეცნობიერად, გამომსახველობითი ფორმების მრავალფეროვნების იმპულსიცაა. ამავე დროს, მშვენიერების შეგრძნება ღვთაებრივი ემანაციის განცდა და ხელოვნების ენაზე მისი ამეტყველებაა. ხელოვნება მშვენიერების სულის გამოვლენაა (ფიხტე). "რომანტიზმმა მშვენიერების შეუცნობლობა პრინციპად აქცია. აქ მთავარია არა ის, თუ რა არის მშვენიერება, არამედ ის, თუ რაოდენ შეუცნობადია მშვენიერება" (სირაძე 1987: 204). მოდერნისტების რწმენით, ხელოვნებას "უნდა ჰყოლოდა ერთი უფალი – მშვენიერება" (სიგუა 2002: 197).

მშვენიერების მარადიულობისა და მისი ენიგმური არსის ძიების ნიმუშად გვესახება მოდერნისტი მწერლის გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი ესე "ნეფერტიტის თავი", რომელიც შეტანილია მისსავე კრებულში "დემონი და მითოსი" (იენა, 1935 წ.) (ქართულ ენაზე იხ. რობაქიძე: 2012). ეგვიპტის ლეგენდარულ დედოფალს გრიგოლ რობაქიძის სულიც შეუძრავს. მწერალი ცდილობს, მისი ქანდაკების იდუმალებისა და უკვდავების საიდუმლოს ჩასწვდეს.

განმარტებისათვის აქ კვლავ ჰეგელის "ესთეტიკის" ერთ პოსტულატს გავიხსენებთ: ეგვიპტური ხელოვნების ყოველი სახე თუ ფორმა სიმბოლო და იეროგლიფია, რომელიც თავის თავს კი არ ნიშნავს, არამედ რაღაც სხვაზე მიგვანიშნებს. ეს ხელოვნების ნიმუშები "ისეთ გამოცანებს შეიცავენ, რომელთა სწორად გაშიფრვას ნაწილობრივ არამცთუ ჩვენ ვერ ვახერხებთ, უმეტესწილად თვით ისინიც ვერ ახერხებდნენ.. ამიტომ ეგვიპტური ხელოვნების ნაწარმოებები, თავიანთი საიდუმლოებით მოცული სიმბოლიკით, გამოცანაა – თვით ობიექტური გამოცანა" (ჰეგელი 1973: 416). "გამოცანა კი შეგნებულ სიმბოლიკას ეკუთვნის და ნამდვილი სიმბოლოსაგან ამავე დროს იმით განსხვავდება, რომ მნიშვნელობა გამოცანის შთამაგონებელს ნათლად და სავსებით გაუგია, ხოლო მისი დამფარავი და შემმოსავი სახე, რის საშუალებითაც იგი გამოიცნობა, განზრახ შერჩეულია ამ შეფარვა-შემოსვისათვის"(იქვე, 457).

მართლაც, აქაც, ნეფერტიტის მშვენიერი ქანდაკების სახით უცნობმა ეგვიპტელმა შემოქმედმა მომავალ თაობებს იდუმალი გამოცანაც შესთავაზა, რომლის პასუხის მცდელობა გრ. რობაქიძესაც ეკუთვნის. მწერალი, რომელმაც კარგად უწყის, რომ მხატვრული ჭვრეტა გაკვირვებით, განცვიფრებით იწყება, ბერლინის მუზეუმში საათობით აკვირდება ქმნილებას. მის წინაშე წარმოსახვით იხატება ეგვიპტის დედოფლის ჰაბიტუსი და სულიერი სამყარო, კინემატოგრაფიულად ცოცხლდება მისი გარემომცველი არე, სტატიკური ქანდაკება ნელ-ნელა სულს იდგამს და მწერალთან ერთად ლეგენდარული ქალის განუმეორებელი განცდებისა და ფიქრების თანაზიარნიც ვხდებით. ამავე დროს, ნეფერტიტის გამოცანაც თანმიმდევრულად იხსნება.

ნეფერტიტის ენიგმა. ესეს მიხედვით, დიდებულია იდუმალი დედოფლის ქანდაკების გარეგნული შტრიხები: ნეფერტიტის "დახვეწილ, გრძელ, მცირედ მოღუნულ ქურციკისებრ ყელზე, რომელსაც მიმქრალი მარგალიტების ახლად აელვარება ძალუძს, მეფურად აღმართული, ნატიფად გამოკვეთილი თავი ირხევა. ბაგეები: მგრძნობიარე-ვნებიანი, ტუჩის კუთხეზე: ძლივს შესამჩნევი თხელი ნაოჭი, მიწიერი თრობის დაუცხრომელ სიხარბეს რომ ამხელს. მაგრამ ქვემოდან თვალებისაკენ ახედავ და ასე, თითქმის შეშინებული, წმინდა სიმკაცრეს იგრძნობ." განსაკუთრებით მომნუსხველი დედოფლის თვალებია: "იმზირებიან მუქი წამწამებით მოჩრდილული, აკვამარინ-ცისფერი დიდი თვალები, რომლებშიც რიდი და, ამავე დროს, ძალაუფლება ბატონობს. მათ შეეძლოთ, სრულიად გამჭვირვალენი ყოფილიყვნენ, ნაკლებად რომ ისუსხებოდნენ". შემდეგ: თვალებს ზემოთ "ჯიუტად და მაინც მიმზიდველად მაღლდებიან მკაცრად და გრძლად გადაჭიმული წარბები. ყურის ნიჟარები: ფორმით სრულყოფილი და მკაცრი, თითქოს თავიანთ სიღრმეში აწ გამქრალი, უცხოდ ტკბილი ტალღების ხმაური შემოენახოთ".

ქანდაკების სტატიკურ პოზაში ღრმა შინაგანი განცდა დაუნჯებულა. ამჯერად გრ. რობაქიძე მის შეცნობას ცდილობს და თვალს ადევნებს ნეფერტიტის მზერას: "მზისსისხლიან ქალს თავი სინათლის შესახვედრად მიუბრუნებია და მისი თვალები მინავლული ჰორიზონტის ცქერისას წყნარად გაქვავებულან. ის გარეთ იმზირება, თუმცა სინამდვილეში მისი ხედვა შიგნით შეიგრძნობს. იგი ნეტარებით უსმენს: მისივე სისხლის ჩუმ სიმღერას". შინაგანი ჭვრეტით მწერალი იმ ლანდშაფტსაც წარმოიდგენს, საოცარი ქალის მზერა რომ შეჰყინვია: "მზის სხივებს ოქროსფერ-ყვითელი ქვიშა გაუჟღინთავთ და ქვიშა ბრჭყვიალებს, თითქოსდა მზის მარცვლებიაო. უკიდეგანო დაბლობზე მქრქალ მეტალისებურად მძიმედ ეშვებიან ცისფერი ჩრდილები და სინათლის ოკეანის ფონზე ქალის რბილი ნაკვთები მკაცრად და სუფთად იკვეთება".

გრიგოლ რობაქიძე კვლავ მონუსხული შეჰყურებს შედევრს: ქანდაკების სტატიკურობა თანდათან დინამიკურობით იცვლება, ნეფერტიტის თავი თითქოს შეირხევა და ნელ-ნელა ცოცხლდება კიდეც. შემოქმედის თვალწინ სულჩადგმული ქალი ყურადღებით ათვალიერებს არეს: "შუადღის სუნთქვაში მთვლემარე ქვიშის გასწვრივ ნილოსის ცისფერ-მწვანე ტალღები დიდებულად, ნელა მოგორავენ. ლეგენდარულ მდინარესთან ერთად ქალი უსასრულობისაკენ მიცურავს. ნილოსის დაბლობზე გადამწვარი უდაბნო ახლოვდება, შემზარავად მდუმარი. ცხელი ამოსუნთქვით მას თითქოსდა მდინარის სხეულის ჩაყლაპვა სურს". უდაბნო – წარმავლობის სიმბოლო – დედოფალს ამაოების ღრმა სევდით ავსებს და ეს ნაღვლიანი განწყობა სრულიად ბუნებრივია: დიახ, ყოველივე გაქრება, თვით ისიც: ნეფერტიტი. "ქალი ტკბილი ცდუნების წინ კრთება: მასზეც ხომ არ ინაღვლებს მზე – ეს "ანთებული კუკური, მსოფლიო ოკეანეს რომ აყვავებს?" – კითხულობს იგი. შედარება სრულიად ლოგიკურია: "ნეფერტიტი – მზის ქალიშვილი, თავს მზის სასურველად თვლის." ის გაოცებული იხსენებს, რომ მზე თავად წარმოშობს საკუთარ თავს. აქ ქალს წმინდა ხოჭო სკარაბეუსის (ფუნაგორიას) სიმბოლოც ახსენდება. მან კარგად უწყის, რომ იეროგლიფურ დამწერლობაში ხოჭოს ნიშანი "ყოფიერებას" ნიშნავს: "განუყოფელი, თავის თავში დასრულებული ყოფიერება, რომლის გამოუთქმელი ანარეკლი მისსავე სახეზე შეჩერებულა".

გარინდული ნეფერტიტი სწორედ ყოფიერების საიდუმლოს ულრმავდება: მართლაც წარმავალია ყოველივე? – სევდიანად ფიქრობს იგი.

აქ იმედის ნაპერწკალი აკიაფდება (არ შეიძლება, ყოველივე გაქრეს): უსასრულობაში ჩაძირული დედოფალი სულის სიღრმეში საკუთარ თავს ეგვიპტის მიწის ნორჩ ყლორტად წარმოიდგენს და, ამით გაამაყებული, წინა მხრებს ნიკაპის სიმაღლეზე ასწევს. ქალის ღვთაებრივ ბაგეს მხურვალე ლოცვა აღმოხდება, რომლის სიტყვები მის მეუღლეს, ეხნატონს ეკუთვნის. "შენ ჩემი გულის ძგერა ხარ", - ასე მთავრდება ეხნატონის ლოცვა მზისადმი. იქნებ ამ სიტყვებში მისი მშვენიერი შეყვარებულიც იგულისხმება? – მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს მწერალი და განმარტავს: "მზისადმი ამგვარი განუმეორებელი სიტყვების მოძებნა მხოლოდ იმ მამაკაცს შეეძლო, რომელმაც ქალი-ნეფერტიტი ადამის გაგებით შეიცნო". შემოქმედის დაჟინებული მზერა კვლავ ნეფერტიტის გამოსახულების იდუმალებას უბრუნდება: ამჯერად "მჭვრეტელს ამ გრძელი თავის ქალის ჯიშიანი კვეთის მხოლოდ პროფილში საკუთარ თავზე ზეგავლენა შეუძლია გამოსცადოს: მას პირდაპირ, სახეში თუ შეეხედავთ, გრძნობები აირევა". ამის მიზეზი კი დედოფლის მომაჯადოებელი, ფართოდ დაშორებული, კატისებრი თვალებია, რომელთაგან მარცხენა მინისებრია, რაც ბნელ გრძნობიერებას კიდევ უფრო აძლიერებს".

და მაინც: რას მალავს ნეფერტიტის იდუმალი მზერა? მივყვეთ მის ნაკვალევს: "ფარაონის მეუღლე მშვიდად უცქერის უკიდეგანო, გაქვავებულ გარემოს. ცხელი, მსუნთქავი უდაბნო ყოველივეს ემუქრება. ქვიშის საშინელი ქარიშხალი ყველა კვალს შლის, ადამიანის იქნება ის, თუ მხეცისა. მძლავრად მოხეტიალე დიუნები საცხოვრებელ ადგილებს ავსებენ და ფარავენ ყველაფერს, რაც გზად ხვდებათ". უდაბნოს (წარმავლობის) გამანადგურებელ სიძლიერეს ნეფერტიტი კარგად იცნობს. ქალის ფიქრი უფრო შორს მიდის: "ერთხელაც ყველაფერი გაუდაბურდება, ყველაფერი უდაბნოდ იქცევა," - შეშფოთებული დაასკვნის იგი.

უნაპირო, გამოუთქმელი სევდის მიუხედავად, დედოფლის სახის ნაკვთები მშვიდი და აუღელვებელია. ის ფიქრს აგრძელებს. მასში იმედის ნაპერწკალი იელვებს, როცა უმაღლესი ქურუმის სიტყვებს იხსენებს: ყოველი წლის 19 ივლისს მზის თვალიდან წვეთი ეცემა პატარა ნაკადულში, რომელიც ელეფანტინის მთებიდან იღებსო სათავეს. "ეს ის წვეთია, რომელიც ნაკადულს ნილოსად გაზრდის საშუალებას აძლევს", - განმარტავს მწერალი. მდინარე ადიდდება, დედამიწა გამოცოცხლდება, თითქმის გამხმარი ხეები ისევ აყვავდება, დამშრალი წყაროები აჩუხჩუხდება და სიცოცხლე კვლავ გახალისდება. ამ ხილვით შთაგონებული ნეფერტიტი შვებით ამოისუნთქავს და "წვეთის ღამის" დღესასწაულის ჰიმნი ახსენდება: "შენ ამწვანდები, შენ ამწვანდები, ო, ნილოსო, შენ ამწვანდები!" – ასე იმედიანად მთავრდება ჰიმნი და ამჯერად მწერალს თვალად ნეფერტიტი ელეფანტინის მთის მზის თვალიდან ნაკადულში ჩავარდნილ წვეთად ესახება, მაცოცხლებელ დიდ მდინარეს რომ აძლევს ძალას. "იგი, ფარაონის მშვენიერი მეუღლე, გარეთ იმზირება და მისი ხედვა შიგნითაა გაბედული. ის საკუთარ თავში ამ საოცართესლიან წვეთს გრძნობს", მერე მღელვარე ნილოსად რომ იქცევა. აქ დედოფალი შინაგანი ხედვით თავის თავში საკუთარი ყოფიერების ბნელ თაურსაწყისს ეხება და მისი წამიერი შეგრძნება იმ მცენარის მსგავსია, რომელიც "საკუთარ თავში უეცრად თაურმცენარეს შეიგრძნობს." ეს კი მარადიულობის შეგრძნებაა: "ფარაონის მეუღლე ახლა თავის საკუთარ მითად მყოფი ჩანს." მწერალი მოჯადოებული და თან ბედნიერი აკვირდება მის მშვიდ სახეს. ახლა ის სანდოა, თანაც შემაშფოთებლად უცხო. "ის მთლიანად წამშია გახსნილი და წამი მასში მდუმარე შთაბეჭდილებაა..ეს ის წამია, რომელიც ნეფერტიტში მარადისობადაა ქცეული".

აქ მწერალი გამოსახულების ენიგმურობის არსებით მომენტს იხელთებს: მისი ფიქრით, ნეფერტიტის სახეში უსახელო მოქანდაკემ, ვითარცა ჭეშმარიტმა ეგვიპტელმა, იდუმალი "კა" გადმოსცა. ამ პარადიგმის რობაქიძისეული განმარტება ასეთია: "კა არსის შინაგანი სუბსტანციაა: ის სამყაროს შექმნამდე ცოცხლობს, დედამიწაზე თავის თავს განახორციელებს, სიკვდილის შემდეგ იგი სულის სფეროებში ადის. ის განუმეორებელი სახეა, ერთჯერადი, როგორც ასეთი. მასში ღვთაებრივი იხსნება. ამის შედეგად იგი მარადიული ხანგრძლივობის ნიშანს იღებს. ის მოუხელთებელია და, ამავე დროს, მაინც ნათლად შეგრძნებადი". მეტიც: ეგვიპტელისათვის ყოველი წამი "კა"-თია გამსჭვალული. ამის გამო იგი ყოველ წამშია შეყვარებული. "ის ცდილობს, დაიჭიროს იგი და დააყოვნოს, მიწიერ ხორციელად შექმნაც მისთვის მსგავსი მარადი წამია, წარმავლობის მტვერში გაელვებული". ამით ხსნის გრ. რობაქიძე ეგვიპტელთა მიერ ადამიანის მუმიფიცირების ტრადიციასაც. მუმიაში, მისი შენიშვნით, გარდაცვლილის სახელია შენახული (რადგან სახელს ეგვიპტელისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება). "კა" მუმიაშია ჩაძირული. მუმია კი თვლემს და ირგვლივ ყოველივე ზემიწიერი სუნთქვით სუნთქავს."

ამ თვალსაზრისით (წამის მარადიულად ქცევა) განიხილავს მწერალი ნეფერტიტის ქანდაკებასაც: "ქალის გამოსახულებაში მისი წარუვალი კა სუნთქავს: ის ჭეშმარიტად ცოცხლობს, თითქმის უშუალოდ შეგრძნებადი. გაქვავებული სიმშვიდით იგი ღრმადაა ჩაძირული კოსმიურ წამში, ტკბილად და ცოტა შეფიქრიანებულად".

დასასრულ, სრულიად ბუნებრივად, მწერალს სევდისმომგვრელი კითხვაც უჩნდება: ოდესმე, მომავალში, რა ბედი ეწევა ამ საოცარ ქანდაკებას, მარადისობის შეჩერებული წამი რომ აღუბეჭდავს? "დრო ალბათ ამ მასალასაც დაშლის, - ფიქრობს იგი, - მაგრამ ნეფერტიტის თავი არ გაქრება, ისევე, როგორც არ წაიშლება მეცხრე სიმფონია", თუნდაც ოდესმე ყველა მუსიკალური ინსტრუმენტი განადგურდეს – ისინი სადღაც, ტონის სამყაროში, ქვეყნიერების აღსასრულამდე იჟღერებენ. "ამგვარად, მაგიური მუსიკალური ტალღა, ნეფერტიტი, კვლავ მარადისობისათვის ცოცხლობს" – ასეთია რობაქიძის საბოლოო ოპტიმისტური ნოტა, რომელიც მშვენიერების მარადიულობის აპოლოგიადაც ჟღერს.

**დამოწმებული ლიტერატურა:**

რობაქიძე გრ. დემონი და მითოსი (გერმანულიდან თარგმნა მ. კვატაიამ). თბილისი: "არტანუჯი", 2012.

სიგუა 2002: სიგუა ს. ქართული მოდერნიზმი. თბილისი: "დიდოსტატი", 2002.

სირაძე 1982: სირაძე რ. სახისმეტყველება. თბილისი: "ნაკადული", 1982.

სირაძე 1987: სირაძე რ. ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები. თბილისი: "განათლება", 1987.

ჰეგელი 1973: ჰეგელი გ. ესთეტიკა, ტ.1 (გერმანულიდან თარგმნა შ. პაპუაშვილმა). თბილისი: "ხელოვნება", 1973.

*ლუარა სორდია*

## პოეზია პლანეტების

*და ვიცი უსათუოდ ვარ მსოფლიო პოეტი*
*(ტერენტი გრანელი)*

ტერენტი გრანელის უკიდეგანო თვალსაწიერი ვერ იგუებდა ჩარჩოებს, დოგმებს, ბორკილს. ის გამუდმებით ლოკალურიდან გლობალურისკენ, საზღვრის, მიჯნის მიღმა მიისწრაფოდა. მისი დაუდეგარი სული არა მხოლოდ დედამიწას, არამედ ცას, კოსმოსს, სხვა პლანეტებს ზვერავდა და სამყაროს ცენტრში ყოფნის განცდა უეფლებოდა. უხილავის ხილვის უნარით მომადლებული, სხვათათვის განუჭვრეტელს უღრმავდებოდა და "მსოფლიო რადიუსით" ქართული ლექსის გამართვის, დასავლურ-აღმოსავლურის შემოქმედებითი სინთეზირების მიზანი (რაც "ცისფერყანწელთა" დევიზიც იყო), რეალობად აქცია.

მის პოეზიაში ბუნებრივად დაისვა მსოფლიოს შემოქმედებით ტრადიციებთან, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებთან მიმართების, საერთაშორისო არენაზე ქართული მხატვრული სიტყვის ადგილის და მნიშვნელობის გააზრების საკითხი.

გალაკტიონს "ქვეყნის ყველა პოლუსების" ხილვა ენადა, რომ თავისი ღრმააზროვანი სიტყვით მიემართა მსოფლიოსთვის: "მინდა გადმიშვას ნისლმოხვეულმა მთებმა, რომ დავინახო ქვეყნის ყველა პოლუსები: მე მოვითხოვ სიტყვას, მე გადავხედავ ქვეყნებს და ხმამაღლა ვამბობ: უარგყოფ, მიყვარხარ! ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალ, 1923 წელს და ვამბობ: გაუმარჯოს მომავალს!" ("ეს იყო ოქტომბრის დამლევს").

პოეტის სურვილი იყო "ცის კაბადონზე... მსოფლიოს შესახედავად" დაეწერა: "გიყვარდეთ !" ("ფანტაზია").

საოცარი გაბედულება ვლინდებოდა ყოველ განაცხადში: "სული დაეძებს უშორეს ხაზებს", მის მშფოთვარე გულში "ეჯახებიან პლანეტები ერთიმეორეს", "უუდიდებულეს რითმებში" უნდა ისმოდეს "ომი ვარსკვლავეთის რაზმის"...

"უკანასკნელ საზღვართან" მისული გრძნობდა პლანეტათა შეჯახების" შეკავებულ "ქვითინს" ("უკანასკნელი საზღვარი").

გალაკტიონს გათავისებული ჰქონდა "უზარმაზარი მსოფლიო ქნარის" მოთხოვნები, "მსოფლიო ორკესტრის", "მსოფლიოს ყველა ხმათა ხვეულის" თავისებურებები, იწყებდა "ბაიის ბგერიდან", ეძებდა "ბგერა-ბგერა, საგან-საგან" და ესმოდა კოსმიური რიტმი, საღვთო მუსიკა.

ტერენტი გრანელი უეჭველად გალაკტიონის ჯუფთი გენია. ამას თვით გალაკტიონი აღიარებდა: "ტერენტი გრანელი ხალასი გენია და ნიჭია. საიდან ისწავლა ტერენტი გრანელმა ასეთი საამო ქართული?"

"მემენტო მორის" ავტორის მიხედვით, გული მსოფლიო ღერძია", "გულის გარშემო მსოფლიო სევდის ცეცხლი ანთია" ("მარადისობის ლაჟვარდები").

გულთან, განცდასთან, მოვლენათა ინტუიციურ აღქმასთან ერთად, პოეტს მომადლებული ჰქონდა ყოვლისმხედველი, სამყაროს საიდუმლოებათა განჭვრეტის უნარით გამორჩეული უტყუარი თვალი: "ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით".

ამავე დროს, ის იყო "ღია ბაღისებრ", ანუ ალალი, მართალი, ბუნებასავით შეუნიღბავი.

"ღია თვალებით" მზერა უფლის პრეროგატივაა: "დიდგანმზრახველო და მარადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და ნამოქმედარის მიხედვით" (იერემია წინასწარმეტყველი, 32,19).

"ღია თვალებით" მიიცვალა მზე (ქრისტე) გალაკტიონის ლექსში "მას გახელილი დარჩა თვალები".

ტერენტი გრანელი ამჩნევდა არა მხოლოდ ლოკალური ჭრილის მოვლენებს, არამედ მსოფლიოს, პლანეტებს, მთელ სამყაროს, უსაზღვროებას და მომავლის კატაკლიზმებს აფიქსირებდა მისი სულის თვალი: "მიდის ეს ხანა, მიდის ეს ფიქრი და ეს ქვეყანა დარდისკენ მიქრის".

და ის ლოცულობდა მთელი ქვეყნის სახელით: "ვდგევარ ქვეყნის წინ, როგორც მლოცველი, ვითმენ წამებას, სხვაგვარ დროს ველი". პოეტი დაატარებდა საკაცობრიო სევდას და შიში იპყრობდა ჭაობის, გალიის, ყუთის, საპყრობილის სახით მოზმანებული ქვეყნის გამო: "შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ"...

ტერენტი გრანელი ხედავდა გონიერ, სულიერ ზეცას ("რა ბრწყინვალეა ცა იქაური") და საქვეყნო ვედრებას აღავლენდა მარადიული ცისადმი: "ნისლივით მიმაქვს ცისკენ გლოვა ჩემი და სხვისი".

ცისკენ ლტოლვა სამყაროს მოუწესრიგებლობით იყო ნაკარნახევი და პოეტის სული ცას უვლიდა: "ექსკურსია ცისკენ", "ბარათი ცისკენ".

ეიმედებოდა ცასავით მარადიული პოეზია: "ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით".

მთელი ძალისხმევა სულისა მარადიულს, მსოფლიოს, უსაზღვროს უტრიალებდა: "ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი", "გულია ისევ მსოფლიო ღერძი, თანამედროვე ცხოვრება მებრძვის" ("ვდგავარ ქვეყნის წინ როგორც მლოცველი"), "მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო, მე ისევ ვეძებ მარადისობას, და მინდა ყოფნა აქაც და იქაც, „შორეულ და მარადიულ სამყაროსთან" ახლობელი კავშირი გამოარჩევდა.

რაკი დედამიწა ეპატარავებოდა, სხვა პლანეტებისკენ მიილტვოდა სულით: "აქ სხვები წერენ მხოლოდ მიწაზე, როცა მე ვუმზერ პლანეტარიას", "მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის", "მიპყრობს პლანეტა შორი"...

განსაკუთრებით მარსი აინტერესებდა: "მარსის წიაღში შემიყვარდა მე გაქანება" ("სონეტი"), "მთელი ღამე ვსაუბრობ ვიღაც მარსიანელთან".

მერე უფრო იზრდებოდა მასშტაბები და სულის უკიდეგანობას გვაუწყებდა ეს სურვილი: "მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი", "მინდა ვარსებობდე ყველგან", "მსურს სამყარო მეკავოს", "...ავენთები..., როგორც სიშორე და პლანეტები"...

პოეტმა მართლაც მისნური უნარით, გასაოცარი ძალისხმევით შეძლო მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების გადალახვა, მოსალოდნელი მოვლენების განჭვრეტა, მაგრამ ამან ნუგეში ვერ აპოვნინა, მსოფლიოს პრობლემებისათვის თვალის გადევნებამ მის მოუწყობლობაში, დისჰარმონიაში დაარწმუნა,მთელი კაცობრიობის ავდარი შეიგრძნო, რამაც თანდაყოლილი დარდი კიდევ უფრო გაუღრმავა: "ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის", "მოწყენა მოსდევს ამნაირ ავდარს, მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო" ("ჩემი ბედი").

რა იყო ასეთი მასშტაბურობის, გამბედაობის სა-

ფუძველი?

ამის პასუხი თვით ტერენტი გრანელის პოეზიაშია: "ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი". რწმენის, უსაზღვროების (ღმერთის) გულწრფელი სიყვარულით ეზრდებოდა ფრთები და ასტრალებში ნავარდის უნარი ენიჭებოდა: "ვუმზერ პლანეტარიას... უსაზღვროებას, მარადისობას..."

მაგრამ მსოფლიოს, უსაზღვროს, პლანეტების სიყვარული, მარსით დაინტერესება არამც და არამც არ ნიშნავდა გულგრილობას სამშობლოსადმი. პოეტი განიცდიდა როგორც ფიზიკურ სამშობლოს, ისე მის სულიერ ზეცას, "უხილავ საქართველოს".

ტერენტი გრანელის ყოვლისმხილველი თვალი უფლის "დიდი დღის" დადგომას, ანუ ცოდვებისათვის განკითხვასაც აფიქსირებდა: "...მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი".

"პოეზია პლანეტების" — გენიალური პოეტის ეს უნიკალური წიგნი (უსათუოდ უნიკალური იქნებოდა, როგორც სხვა კრებულები) ავბედობით დაკარგულია და არის უდიდესი დანაკლისი როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე მსოფლიოსთვის, რადგან ასეთი მსოფლგანცდის და ასეთი არაჩვეულებრივი აზროვნების პოეტი საერთოდ იშვიათია, თუ არა ერთადერთი.

ტერენტი უთუოდ არ ცდებოდა, როცა თავის შემოქმედებას პლანეტის, მსოფლიოს ყურადღების ღირსად აცხადებდა.

ტერენტი გრანელი დაბეჯითებით უსვამდა ხაზს არა მარტო თავის დაინტერესებას მსოფლიო პრობლემებით, არამედ საკუთარი ლექსების საკაცობრიო მნიშვნელობასაც და თვითშეცნობილი პოეტური გენიის ეს განაცხადი არ უნდა მოგვეჩვენოს უსაფუძვლო ქადილად: "და ვიცი, უსათუოდ ვარ მსოფლიო პოეტი", "მთელ მსოფლიოს რომ დავიპყრობ, ვიცი".

ჩვენმა დრომ ხელახლა აღმოაჩინა სულიწმიდის მიერ გაბრძნობილი შემოქმედის პოეტური პლანეტა, უფრო დიდი ძალით იწამა ეს "პოეტი ბავშვი" და ლამის ჩვენი დროის სახარებად შერაცხა მისი განუმეორებელი კრებულები. მან უკვე ჩააბარა დროს გამოცდა და ერის რჩეულთა თანავარსკვლავედში ჩაიწერა.

ტერენტი გრანელი თავის სამშობლოდ ზეცას იგულვებდა: "ჩემი ნაზი სამშობლო ლაჟვარდები ცისფერი". თავის მარადიულ სავანედ ესახებოდა "ზეციური სახლი, ცისფერი სახლი, ცისფერი ქვეყანა". ამავე დროს, თავისი მიწიერი სამშობლოდან, როგორც მთავარი მაგისტრალიდან, მიერთვოდა მსოფლიოს, უსაზღვროს და ნატრობდა: "ღმერთო, გამაღვიძე მე სხვა პლანეტაზე".

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, სამყარო დაყოფილია დაბალ, მაღალ და შუა პლანეტარულ სისტემებად. დედამიწა შუა პლანეტარული სისტემის შემადგენლობაშია. სიკვდილი ყველგან არსებობს, გარდა მაღალი სულიერი პლანეტისა. ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ მიიღოს სულიერი სხეული და მიაღწიოს სულიერ პლანეტას.

ტერენტი გრანელი გამუდმებით ეძებდა "სხვა პლანეტას", "მესამე გზას", იზიარებდა სულის უკვდავების და ყოვლისშემძლეობის თეორიას, ჯეროდა "სიცოცხლე სხეულის გარეშე". მისი "უვალი გზა" ხორცისაგან გასაღწევი, სულის გამარადისების გზა იყო, რაც სიკვდილის შემდეგ უნდა დაწყებულიყო სულიერი ნათელღების პირობების ერთგული დაცვის შემდეგ.

პოეტის სულის გზები სათავეს იღებს კაცობაში "ადამის ძის" სახით და სრულდება უმაღლეს სავანეში. დაღლილი მგზავრის მიერ განვლილი გზა მთელი გონიერი, მორწმუნე კაცობრიობის სულიერი გზაა და ამიტომაც არის იგი მსოფლიო პოეტი.

"უცნობი სფინქსის" მწუხარე მუზა ხვალ თუ ზეგ მოაზროვნე მსოფლიოს მართლაც შეძრავს.

ტერენტი გრანელის აღიარება, მისი მსოფლიო მასშტაბების დანახვა უკვე დაიწყო.

მწერალი და მეცნიერი რევაზ მიშველაძე საუბრობს მის "ცადამაღლებულ სულზე", მის მიერ გაკვალულ "ახალ ბილიკზე", "პრიმიტიულობისა და გენიალობის ზღვარზე შექმნილ მის ლიტერატურულ ციხე-კოშკზე" ("მწერლის გაზეთი", 10-23 ივნისი, 2004 წ.).

მურმან ჯგუბურია წერს, რომ "მომავალი კოსმოდრომების პოეტის სტრიქონებში "მთელი კოსმოსი იკითხება".

ადარებს რა ყალმისა და სიტყვის მხატვრებს — ნიკო ფიროსმანს და ტერენტი გრანელს, მურმან ჯგუბურიას აღაფრთოვანებს "გენიოსი და შეშლილი გრანელის" გენიალური პრიმიტიულობიდან გენიალურ მისტიურობამდე ამაღლებული სტრიქონები და დარწმუნებულია ამ ორი შემოქმედის (ფიროსმანისა და გრანელის) მარადიულობაში: "ასე ივლიან მხარდამხარ მხატვრისა და პოეტის ნახელავნი საუკუნეების განმავლობაში" (მურმან ჯგუბურია, "მომავალი კოსმოდრომების პოეტი", "ლიტერატურული გაზეთი", 10-23 ივნისი, 2004 წ.).

პოეტი დილარ ივარდავა ტერენტის პოეზიაში ხედავს "საღმრთო ფერებს", ზეციურ განზომილებებში მოარულ სულს: "მას სხეულის სიმძიმე აიძულებს ამ ქვეყანაზე დროებით ყოფნას, თორემ სული ზეციური განზომილებების ლურჯ ფრინველად ჰყავს მიმინოსავით გაწვრთნილი".

აკეთებს რა შედარებას უცხოელ ავტორებთან, დილარ ივარდავა მიკიბ-მოკიბვის გარეშე აღნიშნავს ტერენტის უპირატესობას: "ვერც როლინა, ვერც რემბო, ვერც ვიიონი და მით უმეტეს ნადსონი — ბოჰემისა და მელანქოლიის თავგადაკლული რაინდები, დღენიადაგ ქალებივით ატირებულნი, თავიანთ ლექსებში ვერ ედრებიან ინფანტას ცრემლივით მონაწნკარე გრანელის სტრიქონებს" ("მწერლის გაზეთი", 22-28 ნოემბერი, 2001 წელი).

პოეტი თამაზ ფიფია ასე ალაპარაკებს ტერენტი გრანელს: "მწამს ლაჟვარდები მარადისობის და პლანეტების მწე პოეზია... მე კი ვიწექი ფრთებზე გრიგალის — განედებს ვანდე უკვდავი სული... გული, სამყაროს ნამდვილი ღერძი მე მაგრძნობინებს მსოფლიო სევდას... მინდა შორეულ პლანეტის მწამდეს — სული დაეძებს ოცნების ყურეს... სივრცენი მიხმობს მე გასაკვირი".

და უმთავრესია აზრი, რომ ტერენტი გრანელი მარადისობის და ღმერთის რჩეულია: "მარადიული გიცავს სამყარო, ახლოს გეგულვის თვითონ უფალი" (თამაზ ფიფია, "ფრაგმენტი გრანელის ფიქრებიდან", "მწერლის გაზეთი", 10-16/X, 2002 წ.).

ტერენტი გრანელის დიდი მოამაგე ლერი ალიმონაკი წერს: "ტერენტი გრანელის შემოქმედებას როცა მთლიანად წაიკითხავ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მიწაზე დაბადებული კი არ არის, არამედ სხვა სამყაროდანაა მოსული. თითქოს მისტირის სხვა, უხილავ სამყაროს, სადაც რაღაც აქვს დატოვებული. ბავშვს რომ გადმოსვამ უცხო სამყაროში და არ იცის, სად მიდის, ასე გადმოსულს ჰგავს ამ პლანეტაზე" (ჟურნალი "სარკე", 2003 წ. 26/III-1/IV).

იგი "განუწყვეტელ პოეტურ ინსპირაციაში ჩართული დუმილით იძენდა კოსმიურ ძალებს" (ლერი ალიმონაკი, "გრანელის ლანდი", თბ. 1998, გვ. 32).

ვლადიმერ ნორაკიძის აზრით, "ყოველდღიური მოვლენა ვერ იწვევს პოეტში პოეზიის ცეცხლს, — პოეტს აწუხებს მსოფლიო რაობა, ფართო ფორმით.

მისი პესიმიზმი თუ ოპტიმიზმი არ არის რუტინის, მიეთ-მოეთის, არამედ საერთოა, მსოფლიო.

...მისი რკალი ინტუიციური ცდაა მსოფლიო რკინის, რკალის გარღვევის" (ვლ. ნორაკიძე, ტერენტი გრანელის პოეზია, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 138).

გრიგოლ შავიშვილი საუბრობს ტერენტი გრანელის პოეზიის "კოსმიურ ელემენტებზე, პოეტის "კოსმიურ იდეალებზე" (იქვე, გვ. 151).

აპოლონ ქელბაქიანის დაკვირვებით, "ტერენტი გრანელის პოეზია "ყოფნა-არყოფნის" საკითხია, სიკვდილ-სიცოცხლის" პრობლემაა. ეს არის მსოფლიო სევდა, რომლითაც შეპყრობილი იყვნენ ისეთი ბუმბერაზი პოეტები, როგორიც იყვნენ ბაირონი და ბარათაშვილი... გრანელის სევდა უფრო უიმედოა. ინტუიციური ხედვა ტ. გრანელში უმაღლეს წერტილამდე აღწევს" (იქვე, გვ. 21).

მხატვარ რეზო ადამიას წიგნები "სისხლიდან ცრემლი" (2008) და "უკვდავებაა სიკვდილში" (2011) წარმოადგენს "მემენტო მორის" ავტორის აპოლოგიას. მხატვარი პოეტს უწოდებს "პლანეტების მგოსანს", "კოსმიური ფენომენის უცნაურ ბინადარს" და მის შემოქმედებაში ესმის კოსმიურ ხმათა კივილი, კოსმიური ბგერები, მარადიული მარტვილობის სიტყვები, კოსმიური მონოლოგი, კოსმიური მუსიკა, კოსმიური სევდა, კოსმიური სივრცის მარადიულობაში გახმიანებული გრანელისეული, წმინდანური, სევდიანი, მაგრამ მოციქულებრივი მართალი ხმა (გვ. 7), ღამეული, ნისლდაფენილი, ჩვენი პლანეტის გარეთ გამავალი ხმა აფორიზმი: "შენ დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ..."

მხატვარი გრანელის პოეზიაში ხედავს კოსმიურ მოგზაურობას, კოსმიურ სივრცეს, კოსმიურ სურათს, კოსმიურ ფერებს, კოსმიურ სიდიდეებს, კოსმიურ აზროვნებას, კოსმიურ ველს, კოსმიურ გენს, კოსმიურ სამკაულებს, კოსმიურ სულს, კოსმოსის მარადიულ სამყაროს, მგოსნის ლექსად ნააზრევ კოსმიურ სურათს, კოსმიურ სიმართლეს...

ტერენტი გრანელის გენიალურობის დაჟინებული და დამაჯერებელი მტკიცებაა რეზო ადამიას განაცხადი: "ძლიერი, ღვთისნიერი, ყოველმხრივ განწმენდილი ანგელოზური ბუნების და კოსმიურად დამოუკიდებელი სული მხოლოდ დიდ ადამიანებს და გენიებს გააჩნიათ: "ამდაგვარი სულის მატარებელი გახლდათ ტერენტი გრანელი" (იქვე, გვ 6).

რეზო ადამია საუბრობს მგოსნის "შეუდარებელ გენიაზე" და იმოწმებს პოეტის სიტყვებს: "წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია" — მილიარდობით წლის შემდეგაც, ამ თითქმის ტრაგიკულ გოდებას მწარედ იტყვიან სიკვდილის კარამდე მისულნი... ამდაგვარი, კოსმიური პოეტური თემის გახსნა, თანაც ასეთი მაღალი დონით, თუ მუსიკალური სიღრმეებით და მაღალმხატვრულად, მხოლოდ გენიათ ძალუძთ" (იქვე, გვ 7).

რეზო ადამიას გენიებად, კოსმიურ წმინდანებად ესახება ნიკო ფიროსმანიშვილი და ტერენტი გრანელი: "...ორივე გენია წმინდანებია კოსმიურ სივრცეში... ისინი უფალთან მარადისობაში თანაარსებობენ" (იქვე).

"გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი" — ასეთ კოსმიურ ბგერებს, ალბათ, მთავარამგელოზის გაფრენისას მისი უნაზესი ფრთათა რხევა თუ ტოვებს"...

"ლექსით "ფიროსმანი" ტერენტი გრანელი მსოფლიოს პოეზიის შედევრთა გალერეაშია ექსპონირებული" (იქვე, გვ. 14).

ტერენტი გრანელი იყო კოსმიური სულით და სევდით ნაკვები პოეტი. გრანელში ჩაისახა და მკაფიო სურათად ჩაიხატა ადამიანის მოდგმის მარადიული ტრაგედია, სული და მისი ბედის მთლიანი სახე" (იქვე, გვ. 3).

"ალბათ, წინაპართა კოსმიური ველის ცოცხალი ხაზიც უნაკლოდ გადიოდა ტერენტის სულში" (იქვე).

"ტერენტი გრანელმა მთელი მსოფლიო შემოიტანა თავის სულში, კოსმიურ პრობლემებს ლირიკით გასცა პასუხი" — სამართლიანად აღნიშნავს მკვლევარი აპოლონ ჟორდანია ("დრო და შემოქმედება", თბ. 1987).

"ბედნიერი ხარ, თუ დრო გათანგე და მის სალესზე სული ალესე", მიმართავს ზვიად გამსახურდია მგლოვიარე სერაფიმს ("მარტოობა" — ტ. გრანელს, "მწერლის გაზეთი", 22-28 ნოემბერი, 2001).

მუხრან მაჭავარიანი ტერენტი გრანელს უწოდებს "ჭეშმარიტ პოეტს, ვაჟას ნაღდ აჩრდილს" ("დიდ სალამს უძღვნის ახლა მუხრანი", "მწერლის გაზეთი", 2001, იქვე).

მერაბ კოსტავა გაოცებულია იმით, როგორ "ჰკვირობდა სულეთის სიღრმეს "მემენტო მორის" ავტორი და საზღვრის გაღმა გაღწეულად წარმოიდგენს მას: "ეს დედამიწა აკრთობდა გრანელს, როცა ოცნებით ცაში ვიდოდა, იმ ცეცხლის ალით თვით დაიგრაგნა, ვიდრემდე საზღვარს გადავიდოდა" (მერაბ კოსტავა, "გალაკტიონი").

პარიზში მცხოვრები ქართველი, ტერენტი გრანელის შემოქმედების მთარგმნელი და მკვლევარი დათო თოთიბაძე ხაზს უსვამს კოსმიური სივრცეებისადმი ტერენტი გრანელის ინტერესს: "ღამე შეახსენებს პოეტს შემოქმედების უსასრულობას და კოსმიური სივრცეების მონაწილედ ხდის" (დათო თოთიბაძე, ტერენტი გრანელი, ხელნაწერი).

აქვე ნათქვამია, რომ ტერენტი გრანელმა "მთელი ცხოვრება მარტოსულად გაატარა და შეეპარა კოსმიური სპლინის თავისებური ნაირსახეობა, რომელიც შემდგომში მისი შემოქმედების ფუძედ და შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ გადაიქცა" (იქვე, გვ. 38).

შემდეგ "სამყაროს სინათლედ ქცეული პოეტი როგორც იქნა, თავის ორმაგ განზომილებას იღებს, მისტიურს და კოსმიურს — ამას უწოდებს გრანელი "მესამე გზას", ცხოვრების აზრს, მიწიერ ცხოვრებასაც, რა თქმა უნდა, მაგრამ უპირველესად ციურ და სულიერ ცხოვრებას. მან გადალახა ადამიანური განზომილება, რომ შემოქმედის სიტყვით შთაგონებული წინასწარმეტყველი გამხდარიყო" (იქვე).

ტერენტი გრანელმა "საუკუნოვანი ომი გადაიხადა ყოფნა-არყოფნის კანონმდებელთან — დროსთან და სძლია იგი. მისმა ნაგვემმა სულმა ლოცვით გამოაღწია მეოცე საუკუნის მშფოთვარებასა და ულმერთობას და განწმენდილი, ოცდამეერთე საუკუნის კარიბჭესთან ლეგენდად მდგარი, განახლების ძალითა და რწმენით გვიხმობს ახალ საუკუნეებთან მისაახლოებლად" (ლერი ალიმონაკი, მამანტი როგავას წერილიდან "ტერენტი გრანელი", ქართული მწერლობა — XXI, № 1 (5), 2009, გვ. 21-22).

"...ქვეყნად მოვლენილი გრაალის თასში ჩამოღვრილი სისხლისა და სულის მატარებელი წმინდა პოეტი შინაგანი, მშობელი ერის გულისხმით ენაცვლება ჯვარზე გაკრულ ქრისტეს, რათა საბოლოო დაღუპვისგან იხსნას ადამიანთა სულები, ქართველ ერში რომ არ ჩაკვდეს თავისუფლების ნაპერწკალი, სიყვარულისა და ლაზარეს აღდგინების დიადი მომავლის რწმენა" (მამანტი როგავა, იქვე, გვ. 28).

## მოგზაურობა სიძნელით სავსე

ჭეშმარიტი ცხოვრება სიძნელეებთან, წინააღმდეგობებთან ჭიდილში გამარჯვებაა. განგება ადამიანს ათასნაირ განსაცდელს უმზადებს, მრავალნაირ გამოცდას უწყობს, ჭირთათმენის მაგალითებით აძლიერებს, "რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი " ( პავლე მოციქული, ებრაელთა, 12.6).

დიდი უბედურების გადატანაში ვლინდება მორწმუნე ადამიანში დაფარული სათნოება: "ზოგჯერ ღმერთი დაუშვებს, მართალი მორწმუნეც განსაცდელს ეწიოს, ჭირი და უბედურება დაითმინოს, რათა სხვა ადამიანებს დაანახვოს მორწმუნეებში დაფარული სათნოება" (იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ.2000, გვ, 32).

მხოლოდ განსაცდელის გადამტანი ადამიანი ესათნოება ღმერთს: "ნეტარია განსაცდელის გადამტანი კაცი, რადგან, რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის მოყვარულთ" (იაკობი, 1, 12,)

უფლის მიერ მოვლენილი განსაცდელი არასოდეს აღემატება ადამიანურ შესაძლებლობებს, და უფალი იძლევა განსაცდელიდან გამოსვლის საშუალებას : "არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა და სარწმუნო ღმერთი, არ დაუშვებს , რომ თქვენს შესაძლებლობებზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც მოგცემთ, რომ შესძლოთ გადატანა" (პავლე მოციქული, Iკორინთელთა, 10,13).

ჭირთათმენის, გადარჩენის მაგალითი ჯვარცმულმა ქრისტემ მოგვცა, რომელიც ცოდვილი ადამიანების გამოსახსნელად ეცვა ჯვარს: "იესომ ღვთის მადლით იგემა სიკვდილი ყველას გულისთვის, ვინაიდან ... ის არის მათი გადარჩენის წინამძღვარი" (პავლე მოციქული, ებრაელთა, 3,10).

მხოლოდ უფლის რწმენა გადაარჩენს ადამიანს ტანჯვისგან: "ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება" (პავლე მოციქული, რომაელთა, 10,3).

დიდი მოგზაური აცხადებს: "ბრძენთაგან თქმულა: ნუ აიძულებ საკუთარ თავს შეუძლებლის საკეთებლადო , მაგრამ მე ხომ არაორდინალური ინდივიდი ვარ? პიროვნება, რომელმაც გაბედა და ნებადაურთველში გადადგა ნაბიჯი? კაცმა სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა შეძლოს საკუთარი თავიდან გასვლა და საკუთარ ზებუნებრივში ჩახედვა, მოუწყოს უდიდესი გამოცდა თავის თავს, თუნდაც უდიდესი რისკის ფასად"(მოგზაურის დღიური (გვ 45).

ჯუმბერ ლეჟავა, რომელმაც 3-ჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი და ჰქონდა ღვთისგან მოვლენილი მომავალზე მომნიშნებელი ხილვა, რაც დიდი მისიისთვის მისი შემამზადებელი იყო, აღნიშნავს, რომ "კლინიკურმა სიკვდილმა დიდ საიდუმლოს აზიარა, ასწავლა "სამყაროს ღვთაებრივი და საიდუმლო ანბანი", "ცხოვრების წიგნის მართებული კითხვა", "სიკვდილმა სიცოცხლე მასწავლა, მაპოვნინა გზა კოსმიური ენერგიებისკენ, გზა ვიტალურისა და ვიტალური ძალების დაუფლებისა, რომელიც სიკეთეში და სიყვარულში უნდა გამელია".

არა მექანიკური მობრუნების, არამედ „შემობრუნების" შედეგი იყო ექვს წელიწადში წოლზჯენიდან მკლავებზე აზიდვებში 11 მსოფლიო რეკორდის დამყარება, რომელთაგან უმეტესობა "გინესის" და "დივოს" არაჩვეულებრივი რეკორდების წიგნებში შევიდა.

ჟუმბერ ლეჟავას უკვე ჩაბარებული ჰქონდა პროფესიონალიზმის, პატრიოტიზმის, ინტელექტუალობის, უპირველესი სპორტსმენობის, ქართველობის, სიყვარულის, გამოცდა, შემუშავებული ჰქონდა საკუთარი ჯანმრთელობის და სიცოცხლის გონივრული მართვის მეთოდები, გადატანილი ჰქონდა მრავალი განსაცდელი, და მაინც არ ცხრებოდა მისი დაუდეგარი, მარადისობას ადევნებული სული. მან მიზნად დაისახა ისევ ექსტრემალურ პირობებში გამოეცადა საკუთარი ძალა და შესაძლებლობები. არჩევანი ურთულესი და უძნელესი იყო: გადაწყვიტა მსოფლიოს შვიდივე კონტინენტის ყველა ქვეყანაში მარტოდმარტო მოგზაურობა ველოსიპედით. იდეა თენგიზ კიკაჩეიშვილის ვაჟს, რატი კიკაჩეიშვილს ეკუთვნოდა, ეს მოგზაურობა მიუძღვნა ნაადრევად გარდაცვლილ მეუღლეს – ლიანა ალიბეგაშვილს და აფხაზეთში 1992 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ რატი კიკაჩეიშვილს.



პროგრამული გეგმით, ველოსიპედით უნდა დაეძლია დედამიწის ყველა სარტყელი, გადაელახა ჯუნგლები, სავანეები, მთათა სისტემები, ვაკეები, ვულკანები, ტუნდრები, ტაიგები, არქიპელაგები, კუნძულები და ნახევარკუნძულები, გადაესერა ოკეანეები, ზღვები, ყურეები, სრუტეები, ტბები, მდინარეები, მაღალი მოქცევის ადგილები ... გამოეცადა ზღვაოსნის ბედი (დღიური, 21)

პროგრამის მიზანი ასეთი იყო:

1). დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს გაცნობა მსოფლიოს ხალხებისთვის;

2). მოგზაურობის პერიოდში მრავალი ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარება.

3). პლანეტის მოსახლეობაში მასობრივი გამაჯანსაღებელი უმარტივესი ვარჯიშის- წოლზჯენიდან მკლავებზე აზიდვების დანერგვა.

4).მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ეკოლოგიურ პრობლემებზე ზრუნვის უმარტივესი ფორმა-ლოკალური ტერიტორიებზე გადაადგილების საშუალებად ველოსიპედის გამოყენება.

5).მოგზაურობის პერიოდში დღიურების სახით ინფორმაციული ფოტო და ვიდეომასალების შექმნა; სამომავლოდ „მოგზაურის მოგონებები"-ს მრავალტომეულის გამოცემა, დოკუმენტური ვიდეო და მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნა, სხვადასხვა თემაზე ფოტოგამოფენების მოწყობა.

საქართველოსთვის მრავალი ახალი მეგობრის მოძიება (ეს აზრი ხომ ერთ-ერთ უძირითადეს მცნებად, აფორიზმებად დაგვიტოვა დიდმა რუსთველმა).

პროგრამაში, რომელიც სამი თვე იწერებოდა, გამოკვეთილად ჩანდა, რომ მოგზაურობაში ძირითადი ყურადღება მიექცეოდა ადამიანის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოცდას ექსტრემალურ პირობებში (გვ.21).

სტარტის დღე იყო 1993წლის 13 აგვისტო.

სპეციალურად 13 რიცხვის შერჩევა მოგზაურის უშიშარ ბუნებაზე, არსებულ ცრურწმენებთან დაპირისპირებაზე მიგვანიშნებს, რადგან ხალხში 13 რიცხვი თარს, უკუღმართ რიცხვადაა მიჩნეული, იგი ქრისტიანიზმში საიდუმლო სერობის 13 მონაწილესთან ასოცირდება, რომელთა შორის იესოს გამცემი იუდა იმყოფებოდა.

თუმცა ჯუმბერ ლეჟავა ამ რიცხვის პოზიტიურ ასპექტს ითვალისწინებს, 13-ეს არის სიმბოლო მარადისობის, ესაა ქრისტე 12 მოციქულთან ერთად... გაზაფხულის, ჯვრისა და ვერძის ზოდიაქოს ნიშანი, მზის ახალ ციკლში შესვლაა... დიდ არკანში ეს ნომერი ნიშნავს მუდმივ მოძრაობასა და ენერგიის განახლებას...

"მაგრამ... 13 ნეგატიურ სპექტრში ერთობ საშიში ნიშანია, როცა დახვეწილი, წმინდა ენერგიები გამოიყენება ბოროტი მიზნებით, მე კი, ჩემი კლინიკური სიკვდილის მომენტიდან კარგად მახსოვდა სამი უხუცესის პირობა- წინასწარმეტყველება: შევიძენდი უდიდეს, წმინდა ენერგიებს და იგი სასიკეთოდ უნდა მომეხმარა. ამიტომ გერმანული მოარული თქმა და ფრთიანი სიტყვები – "დარეკა 13-მა" ჩემთვის ნიშნავდა რაღაც ნებადაურთველის ზღვარზე გადაბიჯებას. ჩემი ზღვარდაუდები წადილი-პლანეტის გარშემო ველოსიპედით მოგზაურობა, - მართლაც, ნებადაურთველში გადასვლას ნიშნავდა...

1993 წლის 13 აგვისტოს ერთდროულად დავდექი ნებადართულის ფინიშთან და ნებადაურთველის სტარტთან-მოგზაურობას ვიწყებ ქ.რუსთავის მერაბ კოსტავას სახელობის მოედნიდან.

"ზუსტად 8საათსა და 13 წუთზე მოედანს 3 წრე დავარტყი და გამოვემგზავრე თბილისისაკენ, ხალხი შეძახილებით და ტაშით მაცილებდა, რამდენიმე ათეული მანქანა კი უკან სიგნალებით მომყვა"(გვ.33).

სიონში სანთელი აუნთო საქართველოსთვის დაღუპულ გმირებს, მეუღლეს, ამ მოგზაურობის იდეის ავტორს, რატი კიკაჩეიშვილს, უფალს შეავედრა საქართველო, ქართველი ხალხი, ქვეყნის თავისუფლება და სახელმწიფოებრივი მომავალი. თან მიჰყვებოდა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევა.

მცხეთაში სვეტიცხოვლის წინამძღვარმა, ლოცვასთან ერთად, წმინდა ნინოს ჯვარი და ნაკურთხი ქართული მიწა გაატანა ნათლის, ჭეშმარიტების, სიყვარულის გზად დამდგარს (გვ 24).

ეს იყო სტიმული იმისა, რომ დაგვეარსებინა ბატონ ჯუმბერის სახელობის სამეცნიერო საერთაშორისო აკადემია, რომლის პირველი გვერდი წმინდა ნინოს ხატით იქნებოდა მადლფენილი.

გაეცნო თურქეთის, ისრაელის ღირსშესანიშნაობებს. ისრაელში გატარებული ოცი დღიდან მხოლოდ ორი ღამე ეძინა სასტუმროში, დანარჩენი ბულვარზე გაათენა..

იერუსალიმში წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვების 24 სათიანი ახალი რეკორდის დამყარება დაგეგმა, მაგრამ მიზანი ვერ აისრულა ოფიციოზისა და ადგილობრივ ქართველ ებრაელთა პასიურობის გამო.

1993 წლის 19 ოქტომბერს თელავივში შეიტყო თავისი მეგობრისა და მოგზაურის ხელმძღვანელის-ბატონ ჟიული შარტავას აფხაზეთში გმირულად დაღუპვის ამბავი, რაც იყო ასრულება იმ გამაფრთხილებელი ხილვისა, რაც ჰქონდა მოგზაურს ორი კვირის წინ. 21 ოქტომბერს დროებით შეწყვიტა მოგზაურობა და დაბრუნდა საქართველოში გმირულად დაღუპული ეროვნული გმირისა და ძვირფასი მეგობრის პატივის მისაგებად.

ჟიული შარტავას დაღუპვის შემდეგ რუსთავის მერიამ და განვითარებისა და კეთილდღეობის ხელშემწყობმა ცენტრმა უარი განაცხადეს სპონსორობაზე. მაგრამ გამოჩნდა ადამიანი, ვისაც ესმოდა ამ მოგზაურობის მნიშვნელობა საქართველოსთვის. ეს იყო ჟიულისა და ჯუმბერ ლეჟავას მეგობარი ბატონი თემურ მაისურაძე, რომელმაც მოგზაურობის ხელმძღვანელობა და სპონსორობა თავის თავზე აიღო.

თუ როგორ ხვდებოდა წინააღმდეგობებს, ხელისშემშლელ სერიოზულ მიზეზებს ჯუმბერ ლეჟავა, ამაზე თვითონ საუბრობს თავის დღიურებში:

"ამგვარმა ტრაგიკულმა დასაწყისმა უფრო მეტად განმამტკიცა, უფრო განმაწყო საბრძოლველად. მზად ვიყავი მსოფლიოს დასაპყრობად, რათა ბატონი ჟიულის მიერ დაწყებული საქმისათვის ჩრდილი არ მიმეყენებინა, მოგზაურობის ხელმძღვანელის, ბატონ თემურ მაისურაძის წინადადებით მოგზაურობას "ჟიული შარტავას სახელობის მსოფლიო ველომოგზაურობა" დავარქვი და 1993 წლის 25 ნოემბერს განვაახლე ჩემი "ოდისეადა" (გვ.28).

სირიის არაბეთის რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობების გაცნობის შემდეგ ლიბანის რესპუბლიკიდან გადავიდა, გეზი იორდანიის ხოშიმიტის სამეფოსკენ აიღო, იქ კი საუდის არაბეთის ვიზას ელოდებოდა, მაგრამ მათი საელჩოს თანამშრომელთან მომხდარი ინციდენტის გამო ვიზაზე უარი მიიღო.

იორდანიის ხოშიმიტის სამეფოს გავლის შემდეგ 1993წ 24 დეკემბერს აკაბადან სინაის ნახევარკუნძულამდე გადავიდა. უდაბნოს ურთულესი გზა საინტერესოდ ეჩვენებოდა და იქიდან ეგვიპტის არაბეთის რესპუბლიკის დედაქალაქ კაიროში ჩავიდა. კაიროს გზაზე ორჯერ დაიჭირეს ეგვიპტელმა ფუნდამენტალისტებმა (გვ.29).

ეგვიპტეში სისტემატიურად გადაიცემოდა ინფორმაციები ქართველ მოგზაურზე პრესითა და ტელევიზიით.

1994წ 31 იანვარს კაიროდან ჩრდილოეთ იემენის რესპუბლიკის პორტ ხოდეიდში გადაფრინდა, საიდანაც ველოსიპედით გააგრძელა მოგზაურობა დედაქალაქ სანასკენ, იქ კი ოთხმა ახალგაზრდამ წრეში მოაქცია. მათ ხელში იემენური რკალისებური ბებუთი ეკავათ და დოლარებს სთხოვდნენ, სანაში სხვა დროსაც ჰქონდა საშიში ინციდენტები, სუფრაზე ერთ რუს პასუხისმგებელ პირთან მოუხდა დაპირისპირება (გვ. 30).

მიუხედავად იმისა, რომ იემენელი ბედუინები მანის სასულთანოდან იემენში გადმოსულ უცხოელ ტურისტებს იტაცებდნენ და მკვლელობასაც არ ერიდებოდნენ, ჯუმბერ ლეჟავამ 1994 წლის 2 მარტს მაინც მოახერხა გადასვლა ომანის სასულთნოში.

ომანის სასულთნოს დედაქალაქ მასკატში ღამე რიტუალების სასახლეში გაათია, საშუალო სიმაღლის მკვდრებისთვის გამზადებულ ტახტზე (გვ. 31).

თეირანის მუზეუმში სტალინის სავარძელში ჩაჯდომა და გოგოლის ძეგლის ფონზე სურათების გადაღება იყო ღირსშესანიშნავი.

ურთულესი იყო ლუტის უდაბნოს ცხელი გზები.

ქ.რავსაჯანში სასტუმროდან ღამის პირველ საათზე გამოაგდეს.

პაკისტანში ყარაჩიდან ურთულესი 1500 კილომეტრიანი უდაბნოს გზა გაიარა. ჰაერის ტემპერატურა ხშირად +50° აჭარბებდა.

ინდოეთში თარის უდაბნოს სისასტიკეს გაუძლო, 1994წლის 12 ივნისს ჰეიდარაბადის მიდამოებში +51°

ტემპერატურა იყო.
ისლამაბადისკენ მიმავალს ავარია შეემთხვა და ძლივს გადარჩა.
მუსონური წვიმის პერიოდში დელი-ტრივანდრუმის 3500 კილომეტრიანი გზა გაიარა 25 დღეში.
მალდოვის რესპუბლიკის კუნძულებზე ველოკროსში გაიმარჯვა და პრიზიც დაიმსახურა, შრი-ლანკის რესპუბლიკაში ციკლონში მოყვა, რამდენჯერმე გამოსცადა ადამიანთა თავდასხმა.
თავი დააღწია მაიმუნებს და ტროპიკულ ჯუნგლებს, სადაც დაეძებდა სპილოებს, რადგან აინტერესებდა "სპილოების ქცევა თავისუფლების სამყაროში" (გვ. 35)
შრი-ლანკის მწვანეთა პარტიის წარმომადგენლებს განზრახული ჰქონდათ, მოგზაურისთვის ტერორისტული აქტი მოეწყოთ.
შრი-ლანკიდან პირდაპირ მადრიდის თვალის კლინიკაში მოხვდა.
პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის არჩევნებზე პროგნოზი გააკეთა.
ნეპალის მთიანეთის მდინარეთა აუზები და იქაური მთები გაიარა, რომელიც სავსეა ნიანგებით, მარტორქებით და მთის ვეფხვებით.
მოუხდა უმკაცრეს ნეპალელებთან შეხვედრა.
მიანმაში, რთული პოლიტიკური ვითარების გამო, რუსეთის ფედერაციის საელჩოს თანამშრომლები ურჩევდნენ, ქალაქს არ გაშორებოდა. მოგზაურმა კი გაფრთხილება ყურად არ იღო და მთელი მიანმა მოიარა, ამიტომაც სპეცსამსახურები კვალდაკვალ დასდევდნენ. პოლიციელებს შეგზავნილი ჯაშუში ეგონათ და ამის გამო არასასიამოვნო შეხვედრები ვერ აიცილა, თუმცა ვერაფერი დაუმტკიცეს და უვნებლად გადარჩა, ჰქონია შეხვედრები ფუნდამენტალისტებთან, ნარკოტიკების მწარმოებლებთან.
ფათერაკების ძიების სურვილი თან სდევდა ვიეტნამშიც. რუსეთის ფედერაციის სპეციალისტების რჩევით, ვიეტნამის დედაქალაქში ჰანოისა და ხოშიმინში თვითმფრინავით უნდა ჩაფრენილიყო, მაგრამ, მათი რჩევის მიუხედავად, ლაოსის ყოველმხრივ საშიში ჯუნგლები მაინც ველოსიპედით გაიარა. ეს გაუმართლებელი რისკი იყო, რადგან გზა გაუვალად ითვლებოდა. არსებობდა არათუ მწერების, ქვეწარმავლების, მხეცების თავდასხმის საშიშროება, მოსალოდნელი იყო ხიფათი მთავრობის წინააღმდეგ განწყობილი ნარკომაფიის სამხედრო დაჯგუფების მხრიდანაც.
ჰანოი-ხოშიმინის გზაზე ვერ ასცდა თავდასხმებს. გამკლავება უწევდა თავდამსხმელებთან, ქურდებთან, ხულიგან მძღოლებთან, რომლებიც ცდილობდნენ მის დაშინებას ავტობუსებისა და ავტომობილების დაჯახებით.
ერთხელ ხუთ პოლიციელთან მოუწია ჩხუბი, მაგრამ თვითონ ისინი აღმოჩნდნენ დასჯილი.
სამი კვირა უძლიერეს პირქარებს უმკლავდებოდა.
მოძრავი ტრანსპორტიდან ხელი, წიხლი, კეტი და ქვა ხვდებოდა ზოგჯერ.
კამბოჯის სამეფოში ამბოხებულთა თავდასხმა იწვნია.
გადაურჩა ჭაობს.
სინგაპურში, ჯუნგლებში პოლიციელებმა გააფრთხილეს: სნაიპერები ამა და ამ ადგილას ელოდებიან შენ გავლასო.
ტაილანდის სამეფოსა და მალაიზიის ჯუნგლებში 1500 კილომეტრიანი მანძილი დაფარა.
კუნძულ პინანგზე, ჯორჯთაუნში გადასვლისას 13კმ სიგრძის ხიდი გაიარა კუნძულამდე, სადაც პოლიცია კრძალავდა ველოსიპედით გავლას.
კუალა-ლუმპურში, ქართულ ოჯახში გატარებული დრო სანანებლად გაუხდა, რადგან ჩვენი ერის შვილმა ადგილობრივ ხელისუფლებაში უჩივლა, რომ გაესახლებინათ მალაიზიიდან, რასაც სისრულეში მოყვანა არ ეწერა, რადგან გამოესარჩლა ცნობილი რუსი კალათბურთელი ა.პეტროვი.
ჯუმბერ ლეჟავა გვამცნობს: "ჩემი ცხოვრების წესი ქრისტიანულია და ჩემი ფიქრი-ყოველივეს მომთვინიერებელი თვინიერებაა-ჩემი ცხოვრების კრედო და ფორმულაა" (გვ. 39).
ინდონეზიის რესპუბლიკის კუნძულ სუმატრის ქ.მეიდანში რუსეთის ფედერაციის საკონსულო არ ღებულობდა, მაგრამ მაინც დააფიქსირა იქ მისვლა.
ამ კუნძულზე ძლივს გადაურჩა ადიდებულ მდინარეს.
სურაბაიაში კომპანია "პიონერის" ოფისში შესვლისას ცერა თითი მოიტეხა.
მწვანე კონტინენტზე პორტ დარკინის საბაჟოში შემოწმებისას მებაჟეებმა ერთი პატარა თავი ნიორი აღმოუჩინეს და მისი ექსპერტიზა ჩაატარეს. ნიორი კბილებად დაშალეს. როცა გაზეთ "დარვინ ნიუსის" კორესპოდენტმა ინტერვიუს მიცემა სთხოვა, პროტესტის ნიშნად უარით გაისტუმრა, ნიორთან დაკავშირებით იგივე განმეორდა პორტ დარვინის სუპერმარკეტში, რისთვისაც, მოგზაურის თხოვნით, პოლიციელის გამოძახება გახდა საჭირო.
პორტ დარკინიდან ფრინ-კრიკის და კატერინის შემდეგ გზა დასავლეთით უხვევდა, ჯერ ქვიშის დიდ უდაბნოში, შემდეგ ნახევრად უდაბნოში.
ეს ადგილები მსოფლიოში ცნობილია ყველაზე დიდი ნიანგებით და ქვეწარმავლებით. ამ ადგილებში კენგურუების ჯგუფები დაძრწოდნენ, ღამით საშიში იყო აბორიგენებთან შეხვედრაც, მაგრამ ეს მაინც ვერ ასცდა.
თითქოს საგანგებოდ ახდენდა საინტერესო ექსპერიმენტებს და გამოცდებს... სილის უდაბნოში, დიდ უდაბნოში, ციკლონების მძვინვარებისას... მოგზაურის სიცოცხლე საფრთხეში იყო, მაგრამ იგი იპოვნეს და მოახდინეს მისი ევაკუაცია ქ.კარაემში.
ორი დღის შემდეგ ურთულესი, წყალწაღებული და დაშლილი გზით პერტისკენ გააგრძელა გზა. 2500კმ. გზის გავლას ართულებდა მუსონური წვიმები და ქარები, გზისპირა სასტუმროების კურიოზები.
ორი კვირა იმუშავა ავსტრალიის ფერმერ მეყვავილესთან.
ევროპის ჩემპიონი საგზატკეცილო ველორბოლაში გერმანელი ჰაინც ვოლფი გაოცებული იყო, არ მეგონა, თუ ადამიანი 70კგ-იანი ტვირთით 200ზე მეტ კილომეტრს გაივლიდა დღეშიო (გვ.41).
კანბერაში ავსტრალიის უმაღლესი მწვერვალი "კოსკიუკო" დაიპყრო.
ახალი ზელანდიის დედაქალაქ ველინგტონიდან ოკლენდისაკენ თოვლით დაფარულ მაღალ მთებში უწევდა სვლა, სადაც 200 მწვერვალზე მეტი 2280-ზე მაღალია. მათ შორის, 3 აქტიური ვულკანი. გზა საკმაოდ რიყიანი იყო, ხშირად ღამით გარეთ მყოფს, გადარჩენის გარანტია არ ჰქონდა.
ოკლენდიდან ახალ კალედონიაში გაემგზავრა და სპონსორად ფრანგი ჟაკ ალენი გამოუჩნდა. კუნძული ჯერ ველოსიპედით მოიარა, შემდეგ ალენის დელტაპლანითაც შემოუფრინეს. ეს მოგზაურის მხრით დიდი რისკი იყო. ერთადგილიანი დელტაპლანით ფეხზე მდგარმა, დაუზმელად იფრინა.
ეკონომიკურად გამოუვალ მდგომარეობაში იყო. როგორ უნდა გაფრენილიყო ვანუატუში უფულოდ და უბილეთოდ? აქაც უზენაესი მოევლინა მხსნელად

და ნუმეადან პორტ-ვილამდე "უბილეთო მგზავრი" "ბოინგ 747"-ის კაპიტნის სავარძელში იმყოფებოდა და ორი საათით მართავდა თვითმფრინავს.

ვანუატუს აეროპორტში დაფრენისას უკვე ბორტის ინჟინრის სავარძელში იჯდა.

ფიჯის კუნძულებზე რამდენჯერ სცადეს მოგზაურის გაქურდვა, რაც აიძულებდა სიფრთხილის გამოჩენას.

იქვე მიტინგში მიიღო მონაწილეობა.

ფიჯის კუნძულებზე პირველად ითამაშა გოლფი შერატონის სასტუმროში ერთ-ერთ დამსვენებელთან.

ვალესსა და ფუტუნაში გემის დამოუკიდებელი მართვა გარისკა, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვდა. გემის მართვით აისრულა მოგზაურმა ბავშვობის ოცნება, რადგან გემის კაპიტნები იმთვითვე გმირებად და ზეადამიანებად ესახებოდა.

მარშალის კუნძულებზე მრავალი სახეობის თევზი დაიჭირა, გაიცნო მეზღვაური კანიბალები. აქვე ბრისმენელი როლფ ანდერდალი დაუმეგობრდა, რომელსაც გოლფი ეთამაშა, ის კი არაფრით იჯერებდა, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ფიჯის კუნძულებზე სცადა ამაში ბედი.

ნაურუს რესპუბლიკაში საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე მოიგო შეჯიბრი 1500 დოლარიანი პრიზით. ეს იყო ძვირფასი ფერწერული ნამუშევარი.

პაპუა ახალ გვინეაში ჭეშმარიტ პირველყოფილ პაპუასებს დაეკონტაქტა, აქვე მოწმე გახდა პაპუასების მიერ ოთხი ავსტრალიელი სტუდენტის "შეხრამუნების".

უძილო ღამეები პორტუგალიელთაგან აშენებულ ეკლესიაში გაატარა.

საერთაშორისო კავშირგაბმულობის მუშათა შეთქმულების გამო ვერაფრით უკავშირდებოდა თბილისს.

ჩინეთში შანხაელ თამარ ლეჟავასთან ჰქონდა ინციდენტი.

პეკინამდე წვიმაში, ყინვაში, თოვლში, მოლიპულ გზებზე არსებულ საფრთხეებს ჩვეულებრივი ადამიანი ვერ გაუძლებდა. ხიფათს უმზადებდნენ ჩინელი მძღოლები, აუტანელი იყო სპეცსამსახურების თანამშრომლების დაკითხვები.

პეკინიდან წასვლისას სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა მოგზაურის გამცილებლები დააკავეს, ამის გამო პროტესტის ნიშნად დახია კომპანია "ნისანთან" დადებული ხელშეკრულება, რომელთაგან მილიონების მიღება და უზრუნველი სიბერე ელოდებოდა.

ყინვაში, დანგრეულ გზებზე აგრძელებდა გზას მონღოლეთის საზღვრისკენ, ჩინელი მესაზღვრეების კონდახების მოხვედრის მიუხედავად, საზღვარზე მაინც გადავიდა. ქარბუქში, 24 გრადუს ყინვაში უხდებოდა სვლა. მონღოლებმა იპოვეს და დახმარება გაუწიეს. ულან-ბატორში ჩააღწია და გადაურჩა ხელის თითების მოკვეთას.

ქართველი მასპინძლების ღალატიც გამოსცადა, რუსეთის საელჩოსთან კონფლიქტიც.

მონღოლეთ-რუსეთის საზღვარზე გადავიდა და ულან-უდეში 15წლის გადასახლებულ ქართველთან ჰქონდა შეხვედრა. იქ ისევ იწვნია ქართველის ღალატი.

თოვლში, უგზოობაში აგრძელებდა სვლას, ასე მოხვდა დასახლებულ პუნქტ პეტროვკაში რეციდივისტ ქალთა კოლონიაში. ყინულზე მოცურებული ძლივს გადაურჩა მდინარეში ჩავარდნას.

ხაბაროვსკის გზებზე ხშირად იყო საფრთხე. გადაურჩა ვლადივოსტოკისა და ხაბაროვსკის გზას და კორეისკენ მიმავალს აცილებდნენ და ლოცავდნენ რუსი გოგონები და მამაკაცები.

ჩრდილოეთ კორეამ ვიზა არ მისცა და სამხრეთ კორეაში გადაფრინდა.

არასასიამოვნო სიტუაციების განმუხტვაში შველოდა გონიერება.

ოსაკაში შეიტყო, რომ აფრიკაში დაიკარგა ცნობილი რუსი ველომოგზაური ვადიმ კეტოვი და ამ სამწუხარო ფაქტმა ისე მძიმედ იმოქმედა ჯუმბერ ლეჟავაზე, რომ გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: "მე ვადიმისთვის შურს ვიძიებ აფრიკაზე" (გვ.48).

რაკი იაპონიის ვიზა ვერ მიიღო, ჰავაის კუნძულების ბილეთი აიღო და ოსაკაში ითხოვა 3 დღიანი ვიზა, შესთავაზეს მხოლოდ 48 საათიანი ტრანზიტული ვიზა. მათი კანონით უახლოესი რეისით უნდა გადაფრენილიყო იაპონიიდან. ხელწერილი ჩამოართვეს, რომ ჰავაის კუნძულებზე გასაფრენად დროზე დარეგისტრირებულიყო აეროპორტში, წინააღმდეგ შემთხვევაში საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის დააპატიმრებდნენ.

შეუძლებლის შეძლებას მოწმობს ის, რომ ერთი დღისა და ორი ღამის(37სთ.) განმავლობაში ველოსიპედით 347კმ. მოიარა და ასე მოხვდა ოთხ უდიდეს ქალაქში-ოსაკას, კიოტოს (იაპონიის ძველ დედაქალაქი), ნარას, კომეს და დაბრუნდა ოსაკას კანზეის საერთაშორისო აეროპორტში. გაოცებულმა აეროპორტის თანამშრომლებმა პრიზად ორი ლამაზი იაპონელი გოგონას კოცნა არგუნეს.

მოგზაური აღნიშნავს: "ამით კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელი ჩავწერე, ჩემს სამოგზაურო ისტორიაში, რადგანაც ჩემი ჯიუტი ხასიათით იაპონია ყველაფერში (ჩემთან დამოკიდებულებაში) დავამარცხე. გარდა ამისა, ამით ერთგვარად, შურიც კი ვიძიე ქართველი თავადის, რუსეთის არმიის კავალერიის პოლკოვნიკის პიპინია ერისთავის გამო, რომელმაც, იაპონელთაგან ოტებულმა, საკუთარ ცხენს ფეხით გამოასწრო" (გვ 49).

ჰავაის კუნძულებიდან სან-ფრანცისკოში ჩაფრინდა, სადაც მისი მასპინძელი იყო შესანიშნავი ქართული ოჯახი გიორგი ერისთავისა.

ოკლენდსა და სან-ფრანცისკოს შორის 6.5კმ სიგრძის ხიდზე და სან-ფრანცისკოს ორკილომეტრიან ხიდზე –"ოქროს კარიბჭეზე" ველოსიპედით გაიარა.

კალიფორნიის შტატის შემდეგ ძნელი და ხიფათიანი გზებით ჩააღწია არიზონას, ნიუ-მექსიკას, ტეხასის, ლუიზიანას, მისისიპის, ალაბამას, ჯორჯიას შტატებში. იგი გადარჩენას უმადლოდა ღმერთს. ჟორჟიის შტატის დედაქალაქ ატლანტაში უმასპინძლეს იაშა და ზურაბ ლეჟავებმა.

ურთულესი იყო ალიასკის გზები ზამთარში.

ნიუ-იორკში, გაეროში, ბრიფინგზე გამოვიდა.

ბერმუდის სამკუთხედის კუნძულების ირგვლივ შექმნილია უცნაური, დაუჯერებელი ვერსიები. აქაც წარმატებით იმოგზაურა, ჯუმბერ ლეჟავას გვარი დაფიქსირდა ამ სახელმწიფოს ოქროს წიგნში.

ბერმუდის სამკუთხედის კუნძულებიდან ბაჰამის თანამეგობრობის კუნძულების დედაქალაქ ნასაუში გაფრინდა.

***ლიანა წურწუმია***

## ბესიკის პოეტური სამყარო

XVIII საუკუნის სოციალურ-პოლიტიკურმა „დეცენტრალიზაციამ“, რაც ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და ერთიანი სახელმწიფოებრივი მოწყობის განუხორციელებლობის შედეგი იყო, თავისებური დაღი დაასვა თეორიულ-ესთეტიკური და მხატვრულ-შემოქმედებითი აზროვნების „არასისტემურ“ განვითარებას, კერძოდ, აისახა იმ ურთიერთგანსხვავებულ ტენდენციებში, რომლებიც მთელი საუკუნის მანძილზე გამოვლინდება ქართულ მხატვრულ-ესთეტიკურ აზროვნებაში. მხედველობაში გვაქვს შემოქმედებითი პროცესის ისტორიულ-რეალისტური თემატიკით გამდიდრება; ხალხური ნაკადის შემოტანა ტრადიციულ-ხალხური თუ ქალაქური ფოლკლორის ათვისების გზით; სტილურ-ჟანრობრივი სიახლეები; დასავლეთისკენ კულტურული სწრაფვის მიუხედავად, აღმოსავლური პოეტური ფორმებით გატაცება. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ტენდენციები თავს იყრის XVIII ს.-ის II ნახევრის ქართული პოეზიის კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილი) შემოქმედებაში.

ბესიკის პოეტური სამყარო მრავალფეროვანია, როგორც თემატურად, ისე ჟანრობრივი მოცულობით: სამიჯნურო ლირიკული ლექსები, პოემა, ოდა, ელეგია, სატირა, იამბაკო, ზმა, ანბანთქება. ტრადიციული შეფასებით, ბესიკი ცნობილია, როგორც მგზნებარე, ვნებიანი სიყვარულის მომღერალი მგოსანი. აკად. კ. კეკელიძის თქმით, „რუსთაველის შემდეგ ისე მძაფრად, უშუალოდ, ღრმად და შთაგონებულად არავის გამოუვლენია სიყვარულის გრძნობა, როგორც ეს მოახერხა ბესიკმა“. მაგრამ ბესიკის სამოყვარულო განცდას იმდენად ძლიერი ტრაგიკული ინტონაცია ახლავს – მოთქმა-გოდება, ცრემლთა ღვრა, შავ სიკვდილთან უთანასწორო ჭიდილით გამოწვეული შიში, ბედის ჩივილი და ა.შ., რომ ცხადი ხდება: პოეტის სულიერი მდგომარეობა, რომელიც მის პოეზიაში განსვავებულ განწყობილებათა კონტრასტული ფერადოვნებითაა გამოხატული, ბუნებრივი შედეგი იყო იმ სოციალურ-პოლიტიკური და პიროვნული ყოფისა, რომელშიც პოეტი ყმაწვილობიდანვე მოექცა.

საქმე ისაა, რომ ერეკლე II-ის სამეფო კარზე დიდად დაფასეული, ღრმად განსწავლული, სატირისა და იუმორის ნიჭით დაჯილდოებული, სამუსიკო საკრავების – საზისა და თარის – დაკვრის დიდოსტატი და ლამაზი ხმით მომღერალი, „მელექსეობაში“ უბადლო ბესიკი ცილისმწამებლებმა და მოშურნეებმა ისეთ პოლიტიკურ ინტრიგებში გააბეს ანტონ I კათალიკოსთან მისი მამის, ზაქარია გაბაშვილის, დაპირისპირების გამო, რომ ჭაბუკი პოეტი სამშობლოდან გააძევეს. იმერეთის სამეფო კარს თავშეფარებული პოეტი სოლომონ I-ლის დავალებით დიპლომატიურ მისიას ასრულებს სპარსეთსა და რუსეთში და ბოლოს 40 წლის ასაკში სამშობლოდან შორს, რუმინეთში, ამთავრებს სიცოცხლეს.

ბესიკის პოეზიის მუსიკალობა, რითმის სიმდიდრე, ფერადოვნება, სალექსო ზომათა მრავალგვარობა ქართული კლასიკური ლექსის წიაღიდან არის ამოზრდილი, მისი სამიჯნურო-სატრფიალო ლექსები დავალებულია რუსთაველის, ჩახრუხაძის, თეიმურაზ I-ლის მემკვიდრეობისგან. სატრფოს სახის დასახატავად პოეტი უხვად იყენებს ქართული კლასიკური სალექსო ფონდიდან ისეთ მეტაფორულ აქსესუარებს, როგორიცაა „მილეული მთვარე“, „ბრძოლის ველი“, „ნაწნავები-გველები“, „მელნის ტბა“, „წამწამები-ისარი“, „დაზიდული მშვილდი“ და ა.შ.

ბესიკის სამიჯნურო განწყობილება ძლიერი სიყვარულის უშუალო განცდაა, რომელიც არა განყენებულ უსაგნობას, პოეტურ ფიქციას ეხება, არამედ რეალურ, ცოცხალ არსებას. ბესიკი დაუცხრომელი, ეროტიკული გზნებით უმღერის სატრფოს გარეგნულ მოხდენილობას, სატრფოს ტანის რიტმულ რხევას, თვალ-წამწამის ელვარებას. ამ მხრივ, ბესიკის „ტანო-ტატანო“, როგორც ქალის სილამაზის დიდებული ჰიმნი, ნამდვილი შედევრია ქართულ სატრფიალო ლირიკაში.

აღსანიშნავია, რომ ბესიკის სატრფიალო ლირიკაში „ვარდბულბულიანის“ ტრადიციული თემაც გვხვდება, მაგრამ იმდენად ორიგინალურად, საკუთარი ხმის შენარჩუნებით ახერხებს ამ თემის გაშლას, რომ ქართული პოეტური ორნამენტებით დამშვენებული „ვარდბულბულიანის“ ციკლის მისი ლექსები სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ პოეზიაში („სევდის ბაღს შეველ“, „ბულბული მოდის მწუხარებით“, „ბულბულის შურსა“, „ვარდო სასურო“, „სტვენს ბულბული“).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბესიკის სიყვარულის განცდას ღრმა სევდა და კაეშანი ახლავს. ეს ტონი განსაკუთრებით საგრძნობია „ყარიბობაში“, უცხოეთში დაწერილ ლექსებში. პოეტი უჩივის ბედს – „ვა, ჩემსა ბედსაო“, თავს „ბედკრულს“ უწოდებს, „ბედისგან იავარქმნილია“, მგოსანს „ჰკლავს და აწყლულებს სევდის შხამი“, „ღაწვები ცრემლითა ნაღარი აქვს“, ამიტომ წყევლის მუხთალ სოფელს: „სოფლისა ბრჭალმან, ვით გრიგალმან, ჩემსა ბედასა უსწორა კილო“ ან „ვარ უცხო ვინმე ყარიბი, ამა მუხთლისა სოფლისა, მაგინებელი, მგმობელი“. პოეტის ამგვარი სულისშემძვრელი ამონაკვნესი მხოლოდ გაცრუებული სატრფიალო გრძნობებით არ უნდა იყოს გამოწვეული. შეიძლება ითქვას, რომ ბესიკის მწუხარებას უფრო ღრმა საფუძველი აქვს და იგი მშობელი ქვეყნის სატკივარს უკავშირდება.

ბესიკი მგზნებარე პატრიოტი იყო – მშობლიური ქვეყნის უსაზღვროდ მოყვარული. სამშობლოს მოშორებული პოეტი გულისტკივილით იგონებს ტოლამხანაგებს, მშობლიურ ადგილებს, სადაც ბავშვობა აქვს გატარებული („ცრემლთა ისარნი“). იგი ხედავს თავისი ქვეყნის გასაჭირს, განიცდის სამშობლოს სოციალურ და პოლიტიკურ რღვევას, მზადაა თავი გაუჭყლიტოს „ენით მკვლელ გველს“. ტრაგიზმის განცდა იმდენად მძაფრია, რომ პოეტი სიკვდილსაც არ უშინდება: „ბესიკი სიკვდილს არ ვემალები, თავი მაქვს მისთვის შენაწონები“ („სევდის ბაღს შეველ“). საზოგადო და პირადი ბედუკუღმართობის ერთიან ტკივილად გაცნობიერებასა და დიდი სულიერი ტრაგიზმით გამოხატვას ბესიკი „იგავური“ ფორმებით ცდილობს, რაც მას თეიმურაზ I-ლისა და დავით გურამიშვილის პოეზიასთან აახლოებს. ბესიკის მამულიშვილურ გრძნობას გამოხატავს მისი დამოკიდებულება ქვეყნისთვის თავდადებული, სახელოვანი გმირებისადმი, რაც ისტორიულ თემაზე შექმნილ საგმირო-სახოტბო პოემებში: „ასპინძისათვის“ და „რუხის ბრძოლა“ - აქვს გადმოცემული. ამ პოემებში პოეტმა საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული ფაქტები ასახა, გამოჩენილ თანამედროვეთა დაუვიწყარი პორტრეტები შექმნა. ამ მხრივ განსაკუთრებულია სამგლოვიარო ოდაც „სამძიმარი“, რომლითაც პოეტმა ცხარე ცრემლით დაიტირა ერეკლე II-ის საყვარელი შვილი, „მორიგე ლაშ-

ქრის“ ორგანიზატორი, მისი მეგობარი და მფარველი ლეონ ბატონიშვილი, რომლის მოულოდნელი სიკვდილი თავზარდამცემი აღმოჩნდა მეფისა და სამშობლოს ბედით დაინტერესებული ყველა ქართველისათვის.

აღსანიშნავია, რომ ბესიკმა ქართულ პოეზიაში დაამკვიდრა სახუმარო და სატირულ-იუმორისტული ჟანრი. მართალია, ბესიკის სატირა ზოგ შემთხვევაში პირადი ხასიათისაა, („მზეჭაბუკ ორბელიანს“), მაგრამ მის ენამახვილობასა და სატირულ ნიჭს ძირითადად იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება ასაზრდოებდა. სამეფო კართან დაახლოებული პოეტი კარგად იცნობდა ფეოდალური არისტოკრატიის მეშჩანურ ბუნებას, შურსა და გაუტანლობას პირად ურთიერთობებში, ინტრიგებს. ამიტომ თავის გესლიან, სატირულ ლექსებში თამამად დასცინოდა ადამიანთა მანკიერ მხარეებს. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხალხურ, საყოფაცხოვრებო თემაზე დაწერილ სატირულ პოემა „რძალდედამთილიანს“, რომელშიც პოეტი უხვად იყენებს ქართული ხალხური ყოფის დამახასიათებელ მასალებს, თუმცა ამბავი სამარყანდში გადააქვს და რძალ-დედამთილის ტრადიციულ მტრობასა და კინკლაობას უცხო ქვეყნის მოვლენად თვლის. ბესიკი მსუბუქი, ლაღი ტონით იწყებს რძალ-დედამთილის ურთიერთობის სასაცილო მხარეების აღწერას. თანდათან პოეტის სახუმარო ტონი მწარე სატირაში გადადის: პოეტი გმობს ოჯახის მყუდროების დამრღვევთა სისასტიკეს, ფლიდობას, დაუნდობლობას, სომეხი ტერტერას სახეც საეკლესიო პირთა უზნეობისა და სიმდაბლის განსასახიერებლად აქვს ჩართული პოემაში. აღსანიშნავია, რომ „რძალდედამთილიანის“ ხალხური თემა ქართულ მწერლობაში პირველად ბესიკმა შემოიტანა.

ბესიკის პოეტურ შემოქმედებას განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებდა ე.წ. მუხამბაზურ ყაიდაზე დაწერილი ლექსები. „მისი ბაიათები და მუხამბაზები, რომელთაც ის საუცხოოდ ამღერებდა თარზე, გარკვეულ წრეში პირიდან პირში გადადიოდა და ქალაქის ბაღებსა და ქუჩებს აყრუებდა“. (კ. კეკელიძე). ბესიკმა საიათნოვასთან ერთად ქართულ პოეზიასა და მუსიკაში დაამკვიდრა ე.წ. მუხამბაზური კილო, გააძლიერა აშუღური პოეზიის ტრადიცია, რომელიც ღრმად შეიჭრა ქალაქურ ყოფაში და საფუძვლად დაედო XIX ს.-ში უკვე „თბილისურად“ წოდებულ ქალაქურ ფოლკლორს. ბესიკის პოეტური ხმის გავლენა იგრძნობა ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის პოეზიაში. ბესიკის პოეზიის მკვლევარი და თაყვანისმცემელი გიორგი ლეონიძე ბესიკის პოეტური „სახელის ფუძედ მუსიკალურ სტიქიას“ მიიჩნევდა და სავსებით სამართლიანად, ამაში გულისხმობდა ბესიკის პოეზიის საოცარ მუსიკალურ ჟღერადობას, პოეტური ინერციის თავისებურ რიტმში გამოხატულებას, ფრაზის სიმსუბუქესა და ელვარებას. ბესიკს თანამედროვენი რუსთველსაც კი ადარებდნენ: „რუსთველისებრ ხმატკბილობით არ აკლებდა არცერთ გვარსო“. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ წერს: „ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გამოცდილი უცხო პიიტიკოს-მოშაირე, მსგავსი რუსთველისა, რომელმაც მრავალნი საამო შაირნი დასწერა სპარსთა ხმათა ზედა სამღერალი ქალთულისა ენითა“.[1]

კომპოზიციური დახვეწილობითა და მთლიანობით, მეტაფორათა სიმრავლითა და ნარიფერობით, ალიტერაციათა სიუხვით ბესიკმა გაამდიდრა ქართული ლექსის ესთეტიკური ბუნება, რითაც დიდი გავლენა მოახდინა არამარტო ე.წ. „გარდამავალი ხანის“ (XVIII-XIX სს. მიჯნა) პოეზიაზე, არამედ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებამაც პოვა გამოხმაურება.

ამრიგად, ქართული კულტურის განვითარების გზაზე ერთი კონკრეტულ-ისტორიული მონაკვეთის (XIII—XVIII სს.) მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებებში გამოვლენილი ქართველი ერის სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობების, მისი ხასიათისა და მიზანსწრაფულობის ესთეტიკურ-თეორიულ პრინციპად გააზრება შემდეგი დასკვნის საშუალებას გვაძლევს:

ქართული კულტურა ტიპოლოგიურად აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა სინთეზია, იგი თავისი ბუნებით ღია კულტურაა, რომელიც ყოველთვის გახსნილი იყო სხვა კულტურასთან მაღალი სულიერი ღირებულებების მისაღებად. თუმცა, შინაგანი, იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე, ქართულ კულტურას შუა საუკუნეების „დაცემის“ პერიოდშიც კი შენარჩუნებული ჰქონდა ის იმპულსები, რისი მეოხებითაც ქართული მხატვრული ცნობიერება ცდილობდა გამიჯვნოდა აღმოსავლურ-მაჰმადიანურ გავლენას.

XVII-XVIII სს.-ში აღორძინებას იწყებს ეროვნული თვითშეგნების იდეა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ისტორიის გაცნობიერებაში ვლინდება, ამიტომ ქართულ სინამდვილეში დღის წესრიგში დგება მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების აქტუალური პრობლემები ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სოციალურ-ეთიკური ასპექტებით.

მხატვრულ აზროვნებაში შემოდის სინამდვილისადმი დამოკიდებულების ახლებური გაგება — ეპოქის რეალისტურად ასახვისა და შეფასების ცდა.

ამაღლებული ზნეობრივი და ეროვნული იდეალებით, ევროპაზე ორიენტაციით, ახალი ცივილიზაციის ათვისებით, ჩვენში მკვიდრდება განმანათლებლური იდეები, რომლის ღერძული ტენდენციაა ზნეობისა და განათლების დონის ამაღლების გზით ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დასავლური რაციონალიზმი და სამყაროს შემეცნების მოთხოვნილება ბიძგს აძლევს მეცნიერულ ცოდნასაც. იზრდება თეორიული ინტერესი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი, ქართულ ლიტერატურაში შემოიჭრა პუბლიცისტური ნაკადი დიდაქტიკის ნიშნით, რაც ეპოქის მოქალაქეობრივ მიზანდასახულობაზე მეტყველებს. დაიწყო წიგნის ბეჭდვა, დაარსდა ქართული სტამბა. რედაქცია უკეთდება ქართულ საისტორიო თხზულებებს.

განახლდა ხელოვნებისა და ესთეტიკური პრობლემატიკის თეორიული გააზრების მცდელობანი, რაც, არეოპაგიტული მოძღვრების, რუსთაველისა და იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ-ესთეტიკური მემკვიდრეობიდან მოკიდებული, კლასიკური აზროვნებითი ტრადიციების გაგრძელებაა.

[1] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, თბ., 1948, გვ. 204.

*ჟუჟუნა ნიჟარაძე- მაჭავარიანი*

## ქვა და ადამიანი

ქვა ისეთივე ძველია, როგორც ჩვენი პლანეტა დედამიწა. მრავალი მილიონი წელი იყო ქვა — "საგანი თავისთვის". მხოლოდ ადამიანის წყალობით დაიწყო მან სრულიად ახალი ცხოვრება. ჯერ კიდევ ადამიანის საზოგადოების ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე ქვა ადამიანის ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა.

პირველი ადამიანი ქვას იყენებდა, როგორც შრომის იარაღს. წვეტიანი ქვით ფატრავდა მოკლულ ცხოველს, ბრტყელ ქვას ხმარობდა მარცვლის დასაფქვავად, ქვის ხახუნით ცეცხლს აჩენდა, ფერადსა და ბრჭყვიალა ქვებს სამკაულებად იყენებდა და ა.შ.

მონადირის კარგად ნატყორცნი ქვა შიშის ზარს სცემდა მტერს და გაქცეულ ცხოველს.

გავიდა დიდი დრო. რაც უფრო ვითარდებოდა საზოგადოება, ადამიანი მით უფრო ძალუმად ეუფლებოდა ბუნებას, რითაც უფრო მეტად ამჟღავნებდა ქვის სასარგებლო თვისებებს. ადამიანმა თანდათან დააგროვა ქვაზე მუშაობის გამოცდილება და სურვილის მიხედვით მისცა მას დანიშნულებისამებრ ფორმა და ზომა.

უკვე იწყება სხვადასხვა შრომისა და საბრძოლო იარაღის დამზადება. მკვრივი ქვისაგან ადამიანი ამზადებს ჩაქუჩს, დანას, ისრებს და სხვა საჭირო ნივთებს.

ქვის იარაღის შემოღებიდან ბრინჯაოს და რკინის იარაღამდე დიდი დრო გავიდა, დაახლოებით 800 000 წელი. ეს პერიოდი დამთავრდა 6 000 წლის წინათ ძველ აღმოსავლეთში და 4 000 წლის წინათ ევროპაში; აღსანიშნავია, რომ ზოგ ტერიტორიაზე თუმცა ძალიან იშვიათად, დღესაც გრძელდება ქვის იარაღის გამოყენება. მაგალითად აფრიკის ჯუნგლებში ცხოვრობენ ტომები, რომლებიც ჯერ ქვის ხანას არ გასცილებიან.

ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების ხანა იყოფა პალეოლითის, მეზოლითის და ნეოლითის ხანად.

პალეოლითი უძველესი ქვის ხანაა, როცა პირველყოფილი ადამიანი იწყებს ქვის იარაღის გამოყენებას. ეს პროცესი დაიწყო 800 000 წლის წინ და დამთავრდა 100 000 წლის წინ.

მეზოლითის ხანა ითვლება ქვის ხანის შუასაუკუნედ. იგი ემთხვევა გამყინვარების პერიოდს. მისი ხანგრძლივობა 100 000 წლიდან XVII-XIII საუკუნეებამდე ძველი წელთაღრიცხვით. ამ პერიოდში ადამიანი ქვისაგან უკვე მისთვის საჭირო იარაღის კეთებას იწყებს.

ნეოლითის ხანა, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ახალი ქვის ხანაა. ამ პერიოდში ქვისაგან დამზადებული იარაღი დიდი მრავალფეროვნებითა და დამზადების მაღალი ოსტატობით გამოირჩევა.

ნეოლითის ხანა დამთავრდა, როცა ადამიანმა დაიწყო ლითონის გამოდნობა. დაახლოებით XIII ათასი წლიდან II ათას წლამდე ძვ. წელთაღრიცხვით. ამ დროს უკვე იქმნება ისეთი იარაღები, რომლებიც ხელს უწყობენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებას.

ჩვენს ეპოქაში, როცა ადამიანის ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიკავა ლითონმა და პლასტმასმა, ქვის მნიშვნელობა თითქოსდა უნდა შემცირებულიყო, მაგრამ მისი როლი მაინც ძალზე დიდია. ქვას იყენებენ მშენებლობაში, ნაგებობების მოსაპირკეთებლად, ხიდების, ძეგლებისა და სხვათა ასაგებად. ახლა ავიღოთ თუნდაც კირი, ქვიშა, ფოსფორიტები, ცემენტი, თიხა — ყველაფერი ეს ხომ ქვის პროდუქტებია! თეთრი თიხისაგან მზადდება ფაიფურის, ქაშანურის ჭურჭელი, ხოლო წითელი თიხისაგან აგური, კრამიტი და სხვა.

ადამიანი აღარ კმაყოფილდება ბუნებრივი ქვის მოპოვებით, ხელოვნურად იღებს მას ქარხნებში მაღალი ტემპერეტურის პირობებში. ქვას ადნობენ და შემდეგ ასხამენ ყალიბებში, რითაც აძლევენ საჭირო ფორმას. ამზადებენ საიზოლაციო მასალას.

ადამიანი ბუნებას ორად ყოფს — ცხოველთა და მცენარეთა სამყარო მისთვის "ცოცხალი ბუნებაა", ხოლო ქვის სამყარო —"მკვდარი ბუნება".

ისევე როგორც "ცოცხალი ბუნება", "მკვდარი ბუნებაც" გარდაიქმნება. ქვები ჩნდება, მრავლდება, ბერდება, იშლება დედამიწაზე მიმდინარე ბუნებრივი პროცესების ზემოქმედების შედეგად.

ქვების შესწავლას ემსახურება გეოლოგიის რამდენიმე დარგი. გამოჩენილმა რუსმა მინერალოგმა ა. ფერსმანმა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომა ქვის შესწავლას, მრავალი წიგნი და დიდძალი მასალა დაგვიტოვა მის შესახებ. როგორც ცნობილია რუსი მინერალოგი ე. ი. სობოლევსკი თავის წიგნში "არაჩვეულებრივი მინერალები" წერს: აკადემიკოსი ალექსანდრე ევგენის ძე ფერსმანი, რომელიც როგორც თვითონ ყვებოდა გააოცა რვა წლის ბიჭუნას მიერ ყირიმის კარიერში ნაპოვნმა არაჩვეულებრივი სილამაზის ცეოლიტის კრისტალმა. მან ვერ წარმოიდგინა, თუ როგორ აღმოჩნდა მთაში "დაწახნაგებული ქვები". ა. ფერსმანმა, ჯერ კიდევ ბავშვმა, დაიწყო მინერალების შეგროვება. შემდგომში კი მას მრავალი ათასი ნიმუში დაემატა. მან ეს დიდი მასალა დაუტოვა მინერალოგებს და ამ საქმის მოყვარულებს. იგი თავის წიგნში წერდა: "მომავალ კულტურაში ქვა, როგორც ულამაზესი, არაჩვეულებრივი ბუნების მასალა, შემოვა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში არა მარტო პრაქტიკაში, როგორც სამშენებლო და დეკორატიული ხელოვნების სახეობა, არამედ როგორც ტანსაცმლის სამკაული, ნივთების მოსართავი, ასევე ხალხურ ფანტაზიაში, ხალხურ ეპოსში, ზღაპრებში, პოეტურ ნაწარმოებებში, რადგან ყოველთვის ყველგან ფერადი ქვები ასრულებს დიდ როლს; ამიტომაც ქვაც ბუნებრივი არაჩვეულებრივი მასალაა, რასაც გამოიყენებენ სახვით ხელოვნებაშიც. იგი სულს შთაბერავს შემოქმედებით აზროვნებას და იქნება განუყოფელი ნაწილი ადამიანის კულტურის განვითარებისა".

ჩვენი დიდი მგოსანი აკაკი ფერად ქვებს შედარებისათვის იყენებს: "ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო"...

"ვეფხისტყაოსანში" შოთა რუსთაველს ქვები ფართო სპექტრით აქვს გამოყენებული. აქ ზოგან თავისი დანიშნულებით არის მოხსენიებული ქვა, ზოგან შედარებისათვის არის გამოყენებული, ზოგან კი როგორც ხატოვანი სიტყვა; საინტერესოა, რომ "ვეფხისტყაოსანში" დასახელებული ზოგიერთი ქვა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

ქვების მოყვარული გახლავართ და არავითარი პრეტენზია არა მაქვს მათი მეცნიერული ანალიზისა, ამიტომ მკითხველმა უნდა მომიტევოს, როდესაც ამა თუ იმ მინერალს მეცნიერულად რაიმეს დავაკლებ მისი აღწერის ან მოხსენიების დროს.

ეს წიგნი ძირითადად ფართო მკითხველისათვის არის ჩაფიქრებული. ამიტომ მკითხველი მასში ვერ იპოვის ქვების მეცნიერულ კლასიფიკაციას და აღწერას. იგი დაიწერა მისთვის, ვისაც უყვარს და აინტერესებს ქვები. ქვების წარსულის შესასწავლად დიდად გვეხმარება არქეოლოგიური გათხრების მონაპოვარი, რითაც ვიგებთ ამა თუ იმ ეპოქაში რომელი ქვა როგორი ტექნიკით მუშავდებოდა. აქ დიდად გვიწყობს ხელს ცნობილი მუზეუმები, ქვის ბიბლიოთეკები, როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე კერძო, კოლექციები ჩვენს

ქვეყანაში და საზღვრებს გარეთ.

ამ წიგნში თავმოყრილია ქვეზე არსებული ცნობები უძველესი დროიდან დღემდე, განსაკუთრებით ისეთ ისტორიულ ქვეყნებში, როგორიცაა: ჩინეთი, ინდოეთი, ცეილონი, ეგვიპტე, რუსეთი, აშშ, აფრიკისა და სხვა ქვეყნები.

ამასთანავე შევეცადე, მკითხველისათვის მიმეწოდებინა ცნობები საქართველოში არსებული ქვების, განსაკუთრებით კი ძვირფასი ქვების დამუშავებასა და მოხმარებაზე.

მსოფლიოს ქვეყნებში გავრცელებული ძვირფასი ქვების

ადგილმდებარეობის რუკა

რომელიმე უცხო ქვეყანაში გამგზავრების წინ სასურველია გავეცნოთ ამ ქვეყნის პოლიტიკურ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და ისტორიულ წარსულს. საინტერესო რუკა შეადგინა ინგლისელმა ექიმმა გ. სმიტმა, რომელიც ვთარგმნე და, ვფიქრობ, როგორც ძვირფასი, ასევე ნახევრად ძვირფასი ქვების მოყვარულთ დიდად დააინტერესებთ.

ევროპა და აზია

ინგლისი — კვარცი (მთის ბროლი, შებოლილი კვარცი, კენგორმი, ამეთვისტო, ქალცედონი(აქატი), ფლუორიტი ("ბლუჯონ". ლურჯი ნაირსახეობა ფლუორიტის), ჰემატიტი, ქარვა, გიშერი.

საფრანგეთი — ცირკონი, ვარისციტი, კვარცი (მთის ბროლი, ამეთვისტო).

გერმანია — ტოპაზი, ძოწი (ალმანდინი, პიროპი), კორუნდი (საფირონი, ქრიზოლიტი, კვარცი, ამეთვისტო), ქალციდონი (ქსიროპრაზი, აქატი), დიოპსიდი, ფლუორიტი, ქარვა.

ნორვეგია — ბერილი, მინდვრის შპატი.

ესპანეთი — კვარცი (ანეთვისტო), ჰემატიტი, გიშერი.

შვეიცარია — სფენი, კვარცი (მთის ბროლი, შებოლილი კვარცი).

ყოფილი სსრკ — ალმასი, ბერილი (ზურმუხტი, აკვამარინი), ქრიზობერილი (ალექსანდრიტი, ტოპაზი), ფენაიტი, ტურმალინი, გრალი (გრასულიარი, ანდრატიტი), ფირუზი, კვარცი, (ამეთვისტო), ქალციდონი, ლაბრადორი, ნეფრიტი, ლაპის-ლაზურიტი, ობსიდიანი, დიოპტაზი, ჰემიმორფიტი, მზის ქვა, ჩარადეი.

ბაიკალის ზღვა მდიდარია ნეფრიტითა და ლაზურიტით.

ურალის მთები — როდონიტით, რომლის მსგავსი მსოფლიოში არსად არ მოიპოვება.

სომხეთი — ფირუზი, ოფსიდიანი, აქატი.

აზერბაიჯანი — ამეთვისტო, გელიანტროპი, გაუმჭვირვალე ძოწი, ოფსიდიანი, აქატი, მთის ბროლი.

კორეის რესპუბლიკა — ნეფრიტი, კვარცი (მთის ბროლი, ამეთვისტო, ვარდისფერი კვარცი, იასპისი, პლაგმა), უადეიტი.

ავღანეთი — კორუნდი (ლალი), ლიაპის ლაზურისტი.

ირანი — ფირუზი.

ინდოეთი —ალმასი, კორუნდი (საფირონი), ქრიზობერილი (ციმოფანი), ბერილი (ზურმუხტი), ძოწი (ალმანდინი), ტურმალინი, კვარცი (მთის ბროლი, ამეთვისტო, ვარდისფერი კვარცი, ავანტურინი), ქალციდონი (აქატი), ფიანიტი, ევკლაზი, სერპანტინი (ბოვენიტი), აპატიტი, კორდიერიტი, მინდვრის შპატი (ამაზონიტი), ცირკონი, როდონიტი.

პაკისტანი — ბერილი (ზურმუხტი), ძოწი (გლოსულიარი), სერპანტინი (ბოვენიტი).

შრი-ლანკი (ცეილონი) — კორუნდი (საფირონი, ლალი), ქრიზობერილი (ალექსანდრიტი), შპინელი, ცირკონი, ტოპაზი, ძოწი, ბერილი, ტურმალინი, სფენი, რუტილი, კორდიერიტი, ფიბროლიტი, ანდალუზიტი, დიოპსიდი, აპატიტი, კვარცი (ამეთვისტო, კატის თვალი, მინდვრის შპატი (მთვარის ქვა), კორნერუპინი.

ბირმა — კორუნდ (ლალი, საფირონი), შპინელი, ჟადეიტი, ცირკონი, კვარცი, ბერილი, ქრიზობერილი, ტოპაზი, ქრიზოლიტი, სკაპროლიტი, აპატიტი, ფიბროლიტი, ტურმალინი, ქარვა (ბირმიტი), ლაპის-ლაზურიტი, დიოპსიდი, ენსტატიტი, კიანიტი, დანბურიტი

ტაილანდი — კორუნდი (საფირონი, ლალი), ცირკონი.

კამპუჩია — კორუნდი (ლალი, საფირონი), ცირკონი, კვარცი (მთის ბროლი, ამეთვისტო).

ვიეტნამი — ცირკონი.

ინდონეზია — ალმასი.

კალიმანტანი — ალმასი, კორუნდი (საფირონი).

აფრიკა

ალჟირი, მაროკო — ქალციდონი, სერპანტინი.

ეგვიპტე — ბერილი, ქრიზოლიტი, ფირუზი.

გვინეა — ალმასი, ძოწი (ანდრადიტი), კორუნდი (ლალი), ცირკონი.

განა, სპილოს ძვლის ნაპირი — ალმასი.

ნიგერია — ტოპაზი.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა — ალმასი.

ზაირი — ალმასი, ქალციდონი, დიოპტაზი.

ანგოლა —ალმასი, კორუნდი.

ტანზანია — ალმასი, კორუნდი (საფირონი, ლალი), ძოწი (ალმადინი, პიროპი), კვარცი (ამეთვისტო), ფენვიტი, ტურმალინი, მინდვრის შპატი (მთვარის ქვა), ევკლაზიტი, ციოზიტი.

ზამბია — კვარცი (ამეთვისტო), ძოწი (გრასულიარი).

მალავი — კორუნდი (საფირონი, ლალი).

ზიმბაბვე — ალმასი, ბერილი (ზურმუხტი, აკვამარინი), ქრიზობერილი, ტოპაზი, ძოწი (პიროპი), ტურმალინი, კვარცი (ამეთვისტო), ქალციდონი, ნეფრიტი.

ბოსვანა — ალმასი.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა — ალმასი, ძოწი (გროსულიარი, პიროპი), ბერილი (ზურმუხტი), კვარცი (ამეთვისტო), ვარდისფერი კვარცი, კერგორმი, არწივის თვალი, ვეფხვის თვალი, ენსტატიტი.

ლესოტო — ალმასი.

ნამიბია — ალმასი, ბერილი, ტურმალინი, ტოპაზი, კვარცი (ამეთვისტო, ყვითელი კვარცი), ქალციდონი (ქრიზოპრაზი, ჰელიოტროპი), კორდიერიტი, ლაზურიტი.

მადაგასკარი — კორუნდი (ლალი, საფირონი), ბერილი, ძოწი (ალმადინი, სპესარტინი), ტოპაზი, ტურმალინი, შპინელი, ქრიზობერილი, სპოდუმენი (კუნციტი), კვარცი (მთის ბროლი, ამეთვისტო, ვარდისფერი კვარცი), ქალცედონი, კორდიერიტი, მინდვრის შპატი (მთვარის ქვა, ამაზონიტი), ცირკონი, კორნერუპინი, სკაპოლიტი, დანბურიტი, ჰამბერგიტი, როდიციტი.

## ამერიკა

კანადა — ქრიზოლიტი, ტურმალინი, აპატიტი, ფირუზი, კვარცი (ამეთვისტო), ქალციდონი (აქატი), მინდვრის შპატი ( ლაბრადორი).

ამერიკის შეერთებული შტატები — ალმასი, კორუნდი (საფირონი), ფირუზი, ტერმალინი, ოპალი, ქალციდონი (აქატი), ბერილი, მინდვრის შპატი (ამაზონიტი, მზის ქვა), ლიაპის-ლაზურიტი, ნეფრიტი, როდონიტი, ტოპაზი, სპოდუმენი (კუნციტი, გიდდენიტი), პოლლუციტი, ცირკონი, ვარისციტი, დიუმორ-

ტერიტი.

მექსიკა — ოპალი, ძოწი, კვარცი (ამეთვისტო, მთის ბროლი).

გვატემალა — ჟადეიტი.

ჰონდურასი — ოპალი.

კოლუმბია — ბერილი (ზურმუხტი), კორუნდი (ლალი, საფირონი), ლალი (პიროპი, გროსულიარი, სპესარტინი), ტოპაზი, ქრიზობერილი, ტურმალინი, კვარცი (ამეთვისტო, მთის ბროლი, ციტრინი), ქალცედონი (აქატი), ანდალუზიტი, ევკლაზი, ნეფრიტი, ფენაკიტი, სკაპოლიტი, ბრაზილიანიტი.

არგენტინა — ძოწი (პიროპი), ბერილი, კვარცი (კვარცი ვარდისფერი), ქალცედონი (აქატი), როდოროზიტი.

ურუგვაი — კვარცი (ამეთვისტო), ქალცედონი (კარნეოლი, აქატი).

ავსტრალია — ალმასი, კორუნდი (საფირონი, ლალი), ოპალი, ბერილი (ზურმუხტი, აკვამარინი), ცირკონი, შპინელი, ტოპაზი, ძოწი (პიროპი, სპესარტინი), კვარცი (ამეთვისტო), ქალცედონი (აქატი, ქრიზოპრაზი, იასპისი), ფირუზი, ქრიზოლიტი, ტერმალინი.

ახალი ზელანდია — ნეფრიტი, ოპალი, ქალცედონი, სერპანტინი.

გამოჩენილი რუსი მეცნიერი ა. ფერსმანი წერდა: «ძვირფასი ქვების მცოდნე შეუცდომლად ამოიცნობს: ეს ალმასი სამხრეთ აფრიკიდანაა, ეს — ინდოეთიდან; აი, ეს ფირუზი ირანიდანაა და აი, ეს — ჩრდილო ამერიკიდან». ისე, როგორც კარგი მეღვინე დეგუსტაციის დროს ამოიცნობს ამა თუ იმ ღვინოს, ქვების მცოდნეებსაც არ ეშლებათ ქვის სადაურობის გამოცნობა.

ასევე საინტერესოა საქართველოში არსებული ქვები: ამეთვისტო, პიროპი, ალმანდინი, მთის ბროლი, ქალცედონი, აქატი, ოპალი, ონიქსი (ფრცხილი), იასპისი, გიშერი, თაბაშირი, ფაზარი — სერპანტინი, სარდიონი, მარმარილო, ბერილი, ფირუზი, ობსიდიანი.

## პეონი — ტყის ყაყაჩო

ჩინეთში მოგზაურობის დროს ბევრ ყვავილზე ხალხში გავრცელებული ლეგენდები, ზღაპრები და თქმულებები ჩავიწერე.

მრავალწლიანი ხის ტანის ჯიშის ბუჩქი პეონი ყველაზე დიდი ყვავილით ხომ ჩინეთსი წარმოიშვა. უკვე ორი ათასი წელია ჩინელ მებაღეებს ეს ყვავილი გამოჰყავთ. ყვავილების მოყვარულებმა საუბარში მითხრეს: პეონს მთელი წელი ვუვლით და მხოლოდ ათი დღე ვტკბებით მისი ყურებითო. აი, მათ მიერ ნაამბობი ერთი საინტერესო ლეგენდა: პეონის თაყვანისმცემელ ერთ მებაღეს სახელად ხო-ჩის, ფერად-ფერადი პეონის გარდა ბაღში სხვა ყვავილი არ ჰქონდა დარგული, ყვავილის ზოგი ფურცელი დახუჭუჭებული იყო, ზოგიც სწორი, დიდი მზესუმზირის ყვავილის ხელა. ზაფხულის დასაწყისში პეონი რომ აყვავდებოდა, ბაღი ერთიანად მშვენდებოდა და მას «ასი ყვავილის ბაღს» უწოდებდნენ. ერთხელ ამ ბაღთან ჩაიარა მანდარინის ვაჟმა, ჩანგ-ეიმ, დაინახა ეს ლამაზი ბაღი, შევარდა ჯოხით, მოსხიპა ყვავილები და ფეხით გათელა. ჯერ კიდევ არიან ასეთი უგულო ადამიანები, რომლებიც არ აფასებენ სილამაზეს და ჩანგ-ეის მსგავსად მის განადგურებას ცდილობენ. ამაოდ ემუდარებოდა ხო-ჩი ყმაწვილს, ხელი აეღო ყვავილების განადგურებაზე, იგი მაინც ჯიუტად აგრძელებდა უკეთურ საქმეს... მაშინ მოხუცმა ჯოხით აუჭრელა ზურგი და ბაღიდან გააგდო. დიდხანს იჯდა გაპარტახებულ ბაღში მეყვავილე ხო-ჩი და მწარედ ტიროდა. უცბად ლამაზი გოგონა დაინახა, რომელმაც უთხრა: მომიტანე წყალი და მე გავაცოცხლებ შენს ყვავილებსო. ხო-ჩი რომ დაბრუნდა, გოგონა აღარ იყო, მაგრამ ბაღი კიდევ უფრო დამშვენებულიყო, ახასხასებული პეონები თავისი ბრწყინვალებით თვალს სჭრიდნენ მას. ეს ამბავი ჩანგ-ეიმ ჯადოქრობას მიაწერა და საცოდავი ხო-ჩი ციხეში აღმოჩნდა. ჩანგ-ეი ისევ ეწვია «ასი ყვავილის ბაღს» და დაიწყო ყვავილების გათელვა. უცბად ძლიერი ქარი ამოვარდა და ყველა პეონი ახალგაზრდა გოგონად გადაიქცა. მათი კაბები ყვავილის ფურცლებს მოგაგონებდათ, ხოლო ხელების მოძრაობა გრიგალის მაუწყებელი იყო. მოვარდნილმა ქარიშხალმა მაღლა, ჰაერში აიტაცა ჩანგ-ეი, შემდეგ მიწაზე დაანარცხა და სასიკვდილოდ დაამტვრია. ამის შემდეგ მოსამართლემ განაჩენი შეცვალა და ხო-ჩი გაათავისუფლა. იმ დღიდამნ იგი ისევ უვლიდა თავის პეონებს. მოხუცი მებაღე გაახალგაზრდავდა და ცხოვრობდა ძალიან დიდხანს». ამბობენ ვისაც ყვავილები უყვარს და იცავს მათ, ის ბედნიერია და სხვისთვისაც ბედნიერება მოაქვსო.

საბერძნეთში ძველთაგანვე ცნობილი იყო პეონი, როგორც სამკურნალო მცენარე. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ამ ყვავილმა სახელწოდება ექიმ პეონისაგან მიიღო. იგი ისე კურნავდა ავადმყოფებს, რომ მის მასწავლებელს, ცნობილ ექიმს — ესკულაპს, შური აღეძრა. ესკულაპმა მოწაფის მოწამვლა გადაწყვიტა, მაგრამ სანამ თავის განზრახვას სისრულეში მოიყვანდა, ღმერთებმა პეონი ყვავილად გადააქციეს.

საქართველოშიც მრავლად მოიპოვება პეონი— იორდასალამი დიდი, ხუჭუჭა, მკვეთრი ვარდისფერი ან თეთრი ყვავილებით, რომელიც შორიდან ვარდს მოგვაგონებს. პეონი მინდვრის ყვავილის — ბაიას ოჯახიდანაა. მას არ ჰგვანან ამ ოჯახის სხვა წევრები, ყველას თავისი ფორმა და ფერი აქვს.

## სასარგებლო რჩევები

ბევრმა არ იცის, როგორ უნდა მოუაროს ლარნაკში მოთავსებულ ყვავილს, რომ მან დიდხანს დაამშვენოს ოთახი.

— ყვავილის ღეროს ბოლო ერთი სანტიმეტრით ირიბად უნდა გადავჭრათ. ვარდი ბოლო ფოთლებისა და ეკლებისაგან უნდა გავათავისუფლოთ. ლარნაკში ჩასხმულ ცივ წყალში უნდა ჩავყაროთ ერთი ჩაის კოვზი შაქარი, ასპირინი, ასევე შეიძლება რამოდენიმე წვეთი გლიცერინი ან რამდენიმე კრისტალი მარგანეცი. სასურველია საღამოს ყვავილები ლარნაკიდან ამოვიღოთ, გავახვიოთ სველ გაზეთში ან დილამდე მოვათავსოთ მაცივარში.

— ლარნაკში ჩადებულ ყვავილს არ უყვარს ორპირი ქარი. მაგიდაზე, ყვავილების გვერდით, ხილი არ უნდა ეწყოს, განსაკუთრებით, არასასურველია ვაშლი.

— ვარდი და მიხაკი ლარნაკში ერთად ყოფნას ვერ ეგუებიან, ამიტომ სასურველია, ისინი ცალ-ცალკე მოვათავსოთ.

— თუ ყვავილი ჭკნება (მაგ: იასამანი) იგი უნდა ჩავდოთ ჯერ ცივ წყალში, შემგედ ცხელში და ასე გავიმეოროთ რამდენჯერმე.

— ყვავილს წყალი უნდა გამოვუცვალოთ ორ-სამ დღეში ერთხელ.

— თუ ონკანიდან ქლორიანი წყალი მოდის, იგი ჭურჭელში უნდა გავაჩეროთ და ლარნაკში ისე ჩავასხათ.

— ლარნაკში ჩადებულმა ყვავილმა დიდხანს რომ გაძლოს, იგი პერიოდულად უნდა დავნამოთ.

— რიგი მეყვავილეებისა უპირატესობას ანიჭებს გამოხდილ წყალს.

ყვავილი უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს, ამიტომ არ უნდა დავიზაროთ მისი მოვლა.

— ლარნაკში ყვავილის ჩადების დროს უნდა შევარჩიოთ ერთი ჯიშის, სხვადასხვა ფერის ყვავილები, დამშვენებული მწვანეფოთლიანი ტოტითა და ღეროთი.

— ასევე გასათვალისწინებელია ყვავილების ერთმანეთთან შეგუების საკითხი. ერთნი გამოირჩევიან მძაფრი სუნით, რაც ცუდად მოქმედებს სხვებზე, ზოგი ძალიან მალე ჭკნება, რაც სიცოცხლეს უმოკლებს სხვებს.

— ყვავილების მოყვარულთა დაკვირვებით, იმ ოჯახში, სადაც ბევრი ქოთნის ყვავილია, ლარნაკის ყვავილები დიდხანს ვერ ძლებს, ამიტომაც კოლექციონერი მეყვავილეები ხშირად მოჭრილ ყვავილებზე უარს ამბობენ.

## ზოგიერთი რჩევა ქოთნის ყვავილების მოყვარულთათვის:

ქოთნის ყვავილები აჯანსაღებს ჰაერს, მათი შესანიშნავი ფერებით შექმნილი სილამაზე დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. საჭიროა ოთახის ყვავილების დარგვისათვის ნიადაგის დროულად მომზადება, შავი მიწის გაფხვიერება გამომწვარი ნაკელით და მისი გამდიდრება მდინარის სილით. შეიძლება ამ მიზნით ჩაისა და ყავის ნაყენის გამოყენებაც. აუცილებელია ჰაერის ტემპერატურის რეჟიმის დაცვა, მცენარეთა მავნებლებთან და ავადმყოფობის გამომწვევებთან ბრძოლა. ყვავილის გაზრდასთან ერთად უნდა შეიცვალოს ნისი ქოთანიც. ერთი ქოთნიდან მეორეში გადატანა ხდება გაზაფხულზე ან შემოდგომაზე. სასურველია ოთახის ყვავილისათვის შეირჩეს გრილი ადგილი. საღამოს ყვავილი უნდა მოვრწყათ და ფანჯრის რაფაზე დავდგათ.

ოთახის ყვავილს სათუთი მოვლა და დიდი მზრუნველობა სჭირდება. ის ხომ სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

### იასანმის დაფრქვეული სურნელება

ვინც გვესტუმრება ნარეკვავზე, მცხეთაში, იგი მოიხიბლება სურნელოვანი იასამნის მწვანე ბუჩქით, რომლითაც ჩვენი ეზოს წინა ხედია დაფარული. იასამნის ყვავილის მტევნები არაჩვეულებრივ სურნელებას აფრქვევენ.

იასამანს ბევრ ქვეყანაში: ფინეთში, ნორვეგიაში, ბალტიისპირეთში შევხვედრივარ.

ტალინში, ტრავმატოლოგთა და ორთოპედთა III საკავშირო ყრილობაზე ჩემს მეუღლეს ვახლდი. ტალინის ლამაზ ქუჩებში თითქმის ყველა ძველი თეთრი ფერის შენობა და სასახლე დაფარული იყო იასამნით, რაც ძალიან ლამაზ იერფერს აძლევდა ქალაქს. ჩანს, ტალინის მკვიდრთ ძალიან უყვართ ეს ყვავილი. იგი კარგად იტანს სიცივესა და ყინვას.

ჩრდილოეთის ქვეყნებში იასამნის დამკვიდრებაზე მოგვითხრობს ლეგენდა: «გაზაფხულის მზის სხივებით არეკლილი ცისარტყელას ფერები ეცემოდა დედამიწას. თითოეული სხივის დაცემის ადგილზე ამოდიოდა თეთრი, ყვითელი, წითელი, ნარინჯისფერი, ცისფერი, ნარინჯისფერი ყვავილი. გაზაფხული იწყება სამხრეთიდან და მიემართება ჩრდილოეთით. მანამ ამ გზას გაივლის, ცისარტყელას ფერები აკლდება და რჩება მარტო იასამნისფერი. ამიტომ ჩრდილოეთის ქვეყნებში იზრდება ულამაზესი იასამნის ბუჩქი».

ხალხური თქმულებით, ამ ყვავილის სამშობლოდ სპარსეთი ითვლება. ოთხასი წლის წინათ იასამანი ჩაუტანიათ ავსტრიაში, ქ. ვენაში, საიდანაც გავრცელებულა მთელს ევროპაში.

საქართველოს ყველა კუთხეში შეხვდებით აყვავებულ იასამანს. გაზაფხული ხომ ამ ყვავილით მთავრდება. სხვა ქვეყნის პოეტების მსგავსად, ქართველმა პოეტებმაც ბევრი შესანიშნავი ლექსი მიუძღვნეს იასამანს, ბევრმა კომპოზიტორმა დაწერა რომანსები, ხოლო მხატვრებმა შექმნეს უკვდავი ტილოები.

### ლეგენდები და მითები მიხაკზე

მიხაკს ანტიკური დროიდან ზევსის ყვავილად თვლიან. მის ღვთიურ არსს უძველესი ბოტანიკოსებიც ამტკიცებდნენ. მიხაკის ლათინური სახელი«Iთშ», «დიანტუს» - «დიოს» და «ანტოს» თარგმანში ნიშნავს «ღვთაებრივ ყვავილს». შეიძლება ან სახელით მისი არაჩვეულებრივი სილამაზისა და სურნელებისათვის ხაზგასმა სურდათ. თეოფრასტე წიგნში «მცენარეთა გამოკვლევა» მიხაკს მოიხსენიებს, როგორც ზევსის ყვავილს. ძველი რომაელი მწერალი, პლინიე უფროსი წერს, რომ ამ ღვთაებრივი ყვავილის მოშენებას რომაელებიც ეწეოდნენ.

«მიხაკი მონადირეთა საყვარელი ყვავილია» - წერდა 1785 წელს გამოჩენილი რუსი მეცნიერი ა. ბოლოტოვი.

რუსულად მიხაკს «გვაზდიკად» მოიხსენიებენ. ეს სიტყვა წარმოშობილია პოლონური სიტყვიდან «გვაზდიკ», ხოლო თვითონ პოლონელებმა ამ ყვავილის სახელწოდება ისესხეს გერმანელებისაგან. ამ ყვავილის სუნი ჰგავს მიხაკის ხის ნაყოფის არომატს.

ერთნაირი სურნელების გამო ადამიანმა ორივე გვაზდიკად მონათლა.

მიხაკზე უამრავი ლეგენდა და მითი გაჩნდა. აი, ერთ-ერთი მათგანი: ერთხელ ნადირობიდან მომავალ ხელმოცარულ ქალღმერთ დიანას გზაში მწყემსი შეხვდა, რომელიც სალამურზე უკრავდა. «აი, ვინ დააფრთხო ნადირობისას ფრინველი» - შეჰყვირა გაბრაზებულმა დიანამ, ეცა საბრალო ბიჭს და თვალები ამოთხარა. როცა დაწყნარდა და გონს მოეგო, მიხვდა, რომ სისასტიკე გამოიჩინა და თავბედი იწყევლა. დიანას ბილიკზე საბრალო, უდანაშაულო ბიჭის თვალები ხელიდან დაუცვივდა და სწორედ იმ ადგილას ორი ულამაზესი წითელი მიხაკი ამოვიდა, შუაში შავი გულით.

ევროპაში დაიწყეს წითელი მიხაკის პოპულარიზაცია. აი, რა იყო ამ ისტორიული ეპიზოდის საბაბი: როცა ფრანგი ჯვაროსნები ლუდოვიკო IX-ის ხელმძღვანელობით ამარცხებდნენ ტუნისის ჯარს, უცბად ჭირის ეპიდემიამ იფეთქა. ეს საშინელი დაავადება დაერია როგორც ჯარისკაცებს, ისე მათ სარდლობას. მაშინ ლუდოვილო IX-მ, რომელიც კარგად იცნობდა სამკურნალო ბალახებს, დაიწყო მიხაკის ძებნა ბანაკის გარშემო. მან დაკრიფა ეს წითელი ყვავილი. ნახარში მისცა ავადმყოფებს და მოხდა საოცრება, ნაყენმა სასიკვდილოდ განწირულნი ფეხზე დააყენა.

მას შემდეგ საფრანგეთში დიდ პატივსა და სიყვარულს მიაგებენ ამ კეთილშობილ ყვავილს. გოგონები, რომლებიც შეყვარებულებს ჯარში აცილებდნენ, თილისმად მიხაკს ატანდნენ მათ. ნაპოლეონ I-ის მიერ დაარსებული ორდენის, «საპატიო ლეგიონის» ლენტიც მიხაკისფერი იყო. 1815 წლიდან წითელი მიხაკი გახდა ნაპოლეონის მომხრეთა ემბლემა, ხოლო თეთრი როიალისტებისა. XVIII საუკუნიდან ფრანგებს მიეცათ საშუალება, კუნძულ ბურბონზე გაეშენებინათ მიხაკი.

პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, კომუნარების კედელთან ყვავის მიხაკები, რომლებიც ფრანგებს პარიზელი კომუნარების გმირობას აგონებს. წითელი მიხაკი რევოლუციონერების თანამგზავრი ყვავილია.

მას ერგო განსაკუთრებული პატივი — გამხდარიყო თავისუფლებისა და სიმართლის, რევოლუციური სულისა და გამარჯვების სიმბოლო. იტალიაში, ქალაქ პარმში მას პარტიზანების ყვავილს უწოდებენ. სასახლის კარზე კი იგი გახდა სახელმწიფოს სიმბოლო. უძველესი დროიდან იტალიელი ქალბატონები მიხაკს თმებში იმაგრებდნენ.

გერმანიაში ამ ყვავილს ერთგულების ნიშნად თვლიან.

ინგლისში გამოჩენილმა მებაღემ გერადმა დიდი შრომა გასწია მის მოსაშენებლად. ინგლისელი ქალბატონები მოსვენებას არ აძლევდნენ, ყოველდღე გზავნიდნენ მასთან მოახლეებს მიხაკის თაიგულისათვის. XVI საუკუნეში, ელისაბედის მეფობის დროს მიხაკი ყველასათვის საყვარელი ყვავილი იყო. ელისაბედმა სამეფო კარის ერთ-ერთ მეჯლისზე თავისი კაბა მიხაკებით მორთო.

ჰერცოგინია დევონშინსკაია არასოდეს იცილებდა მიხაკს, მისგან კრავდა თაიგულებს და წნავდა გირლანდებს. მას ურღეროდნენ გამოჩენილი ინგლისელი კლასიკოსები: შექსპირი, მილტონი.

ბელგიაში მიხაკი ითვლებოდა ღარიბთა სიმბოლოდ. მის გამრავლებაზე განსაკუთრებით მეშახტეები ზრუნავდნენ. მიწისქვეშა სამუშაოების შემდეგ, სუფთა ჰაერზე, ბაღში უყვარდათ მათ ყვავილის მოვლა. ქალიშვილს გათხოვებისას მშობლები ამ ყვავილით აჯილდოვებდნენ. არ მოიძებნებოდა ოჯახი, სადაც მაგიდაზე თუნდაც ერთი-ორი მიხაკით დამშვენებული ლარნაკი არ იდგა.

ბრიუსელში მქარგავები და მქსოველები დიდი სიყვარულით აქსოვენ თავიანთ ნამუშევრებში ან ყვავილს. უძველესი დროიდან ცნობილი ბრიუსელის მაქმანი მოფენილია უნაზესი მიხაკის ნაყშით.

ესპანეთში სხვადასხვა ფერის მიხაკით შეყვარებულები ერთმანეთს პაემანს უნიშნავდნენ, ამიტომაც ამ ყვავილს შეყვარებულთა ყვავილს უწოდებენ.

კულტურული მიხაკი ველური მიხაკისაგან გამოირჩევა ფურცელთა სიმრავლით. უბრალო, ბუთხუზა ყვავილისებრი, უსუნო... როგორ მიხაკს არ შეხვდებით. მას უყვარს მზის სხივები, და ისიც არ იშურებს, აფრქვევს სითბოს, რაც შეუძლია.

## ლომისპირა — ძაღლიპირა

ძალიან უცნაური, თითქოს საშიში სახელია ლომისპირა. ეს მცენარე თავისებურად ძალიან ლამაზია, ღეროზე განლაგებული დიდი ყვავილები წვერისაკენ პატარავდება, თითქოს სახეებია. ხელს თუ მოუჭერთ, თითოეული ყვავილი პირს აღებს და ლომის ხახას მოგვაგონებს, ამიტომაც უწოდეს მას ეს სახელი. ფუტკარს დიდი ძალა სჭირდება ამ ყვავილიდან ნექტრის ამოსაწოვად. მინდორში გვხვდება მისი მსგავსი უფრო პატარა ზომის ყვავილი, რომელსაც ძაღლისპირას ეძახიან.

ამ ყვავილის სამშობლო აფრიკაა, სადაც ლომები ცხოვრობენ.

ძველი ბერძენი გმირის, ჰერაკლეს 12 გმირობის შესახებ მოთხრობილ ამბებში ეს ყვავილიც არის მოხსენიებული. ჰერაკლემ დაამარცხა უძლიერესი ლომი, რომელსაც შიშველი ხელებით გაუგლიჯა ხახა. ეს გამარჯვება მოუწონეს არა მარტო მომაკვდავებმა, არამედ ოლიმპოს ღმერთებმაც. ქალღმერთმა ფლორამ ამ გამარჯვების აღსანიშნავად შექმნა ყვავილი, რომელიც მოგაგონებთ ლომის გასისხლიანებულ პირს.

ასეთივე გამარჯვება ხვდა წილად ძველ ბერძენ მითოლოგიურ გმირს — სამსონს.

ვინც ლენინგრადს სწვევია, შეუძლებელია ნანახი არ ჰქონდეს პეტროდვორეცკის უდიდესი შადრევანი, სადაც სამსონის ძეგლია დადგმული. გერმანელებმა ეს მონუმენტი მოიპარეს და იგი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აღადგინეს.

შლიცენბურგში მოგზაურობის დროს გიდმა აგვიხსნა, რომ რუსთის გამარჯვება შვედეთზე აღინიშნა გერბში ლომის გამოსახვით. საოცარია შვედების იქ ყოფნის სიმბოლოდ დარჩა თეთრი ქინქლა, რაც ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის არასასიამოვნო სანახავია.

*Ira Danelia*

## TO BETTER AND EFFECTIVE READING IN EFL THROUGH CONTEXT

**Abstract**

For decades different approaches or methods have been used to teach and improve all skills while teaching English. These approaches differ in how much guidance or direction teachers provide as their students are learning new skills, how clearly and directly teachers explain new skills, whether they demonstrate exactly how to use a specific skill, and whether the skills are taught in a thoughtful sequence.

Language (reading, writing, listening & speaking) skills are essential and particularly critical in the area of education. Through language abilities students understand the academic content areas. Success is grounded in students acquiring solid knowledge & skills in order to:

- become fluent readers, writers, speakers;
- be able to communicate effectively, coherently & imaginatively;
- be at ease communicating in an increasingly technological world.

**Key Words: reading comprehension, affecting factors, context, replace, density, effect**.

In this respect reading is the most useful for language acquisition. In the process of teaching foreign languages reading is both a teaching means and a teaching goal.

Reading as a tool involves teaching/learning reading technologies, while reading as a teaching/learning goal deals with reading comprehension.

Numerous studies have been carried out on teaching/learning strategies considering age, level, background, culture, individual differences, abilities, interests, environmental factors, and etc. that impact on the reading process.

Researchers hold different views towards the classification and defining of learning strategies. A dictionary definition of strategy refers to a “clever plan or method; the art of employing plans towards achieving goals”.

Oxford defines learning strategies as specific action, behavious, steps, or techniques that students employ often consciously to improve their progress in internalizing, sto-

ring, retrieving, and using the second language.

Development of language learning strategies has become essential in language teaching due to the importance of continuous/lifelong learning. Vocabulary of such a developed language as English is above two million lexical units and it is constantly growing, which makes it an unattainable goal to master it totally. Grammar is more limited, however, there are some subtleties which are may go on learning till the end of life. This puts in front of us more attainable goals - to provide learners with strategies which will help them continue successfully learning/using a language lifelong.

To raise fluent readers right reading-learning strategies are to be taught.

Of all the reading strategies commonly recognized today in both L1 and L2 reading, arguably the most widely studied and encouraged is the **guessing of the meaning** of unknown words from context.

Compensatory (guessing the meaning) strategies are necessary for reading comprehension. Unfortunately, though, these strategies along with many other readings strategies are widely discussed in ELT (English language teaching) literature, language course books practically do not offer tasks for their development.

We would like to offer to substitute some words in the text by artificially created words for this purpose. The tasks should worn students not to try using dictionaries when they come to a word that they don't know as these words are not there and try to guess the meaning from the context without stopping reading. Otherwise the words may be familiar for some students.

The words will be in the bold letters. Students will work in groups (brainstorming) trying to identify their meaning. Then groups will have a joint discussion giving their arguments & describing their strategies.

So, telling students unfamiliar words as they encounter them, they can focus on constructing meaning and reading with fluency. During initial readings, the reader may be required to devote more working memory to the task of decoding unfamiliar words. These efforts at word recognition build mental connections that enable the reader to recognize those words more rapidly when they are encountered again. This allows more working memory to be used for comprehension during subsequent readings. Amongst many advantages the guessing strategy involves generalizable skills of interpreting surrounding text, predicting, and testing predictions while reading, which enhance reading skills as a whole (Liu and Nation, 1985). In addition, guessing has been advocated instead of dictionary use because stopping to use a dictionary interrupts the flow of reading (Brown, 1972).

The piece of research conducted by Lui Na and Nation was an attempt to discover some of the factors that make guessing difficult and to see the potential of the guessing strategy. The occurrence of the low frequency words is mainly unpredictable and it is not possible to learn them in advance. Because there is low probability of meeting them again soon they do not deserve much effort in learning them, it's better to use context clues (guessing words, collocations or paraphrases) to infer their meaning than to spend time learning them.

The experts were checking effects on guessing of the different densities of unknown words and part of speech of the unknown words. For the subjects who were trying to guess the words that they already knew they could use clues like collocations. For example, the word prior which is often followed by to could be a clue available for the subject who had already learned it but wouldn't be available to another subject.

If learners work as a group and share their guesses a high proportion of the words in the passage guessed successfully and learners can share information about the clues they use. As learners improve in handling the strategy, the work can become more individual. Regardless of the exact size of a native speaker's vocabulary, it is clear that the average second or foreign language learner faces a major challenge in trying to match it. Therefore, it is not surprising that the main reason given for encouraging use of the guessing strategy is the perception that it is the only reasonable way for L2 learners to learn enough words to form suitably large active and passive vocabularies.

Liu and Nation (1985) state that some guessing may be useful to teach because it encourages readers to make and test predictions, which is a useful generalized reading skill. But the evidence discussed in their study dictates a selective approach, by the reader and the teacher. Instruction should include training in what contexts provide the best opportunities for successful guessing, and must avoid urging use of the guessing strategy in all cases where readers encounter unknown words. Otherwise, guessing can easily become a strategy for frustration and demotivation instead of for improved reading and learning.

**What is context in real reading?**

Researchers often offer different types of contexts their subjects which have then conflicting results. For example, context may have been the reason for the contrasting results. In the Rott's (1999) study, the texts were created with enough contextual clues for the learners to be able to infer the meaning of the target words. Whereas, in the study by Hulstijn et al.(1996), the text was authentic, and the researchers had determined that it was "extremely difficult to infer the exact meaning" of the target words from the context.

Of the many theoretical descriptions of the elements and nature of context, Bialystok's (1983; cited in Barnett, 1989) has important implications for any discussion of context and the guessing strategy. She proposes that context exists in relation and proportion to the reader's implicit knowledge (intuitive and unanalyzed knowledge of the L2), other knowledge (knowledge of other languages and world knowledge), and context (linguistic and physical aspects (in this case, of a text) which provide clues to meaning). From this perspective, context is not an absolute presence in a text, but is instead created by the reader, and is therefore influenced by the reader's linguistic and world knowledge.

More and more studies show that a key factor affecting L2 readers' ability to make use of context is vocabulary knowledge. Laufer's (1997) summary of L2 research on this topic provides some interesting conclusions regarding the importance of vocabulary in reading comprehension and strategy use:

L2 learners tend to rely heavily on words as landmarks of meaning in text, less so on background knowledge, and to virtually ignore syntax.

Vocabulary knowledge has been consistently shown to be more strongly related to reading comprehension than other components of reading.

Even if a reader has and uses good metacognitive strategies in L1, they will not be of use in the L2 until the reader develops a solid language base.

To this list, we can add points from Barnett's (1988) discussion of research on the guessing strategy:

Usable context varies from rich to poor, and is affected by the proportion of known to unknown words.

Readers with larger active vocabularies can use available context better than those with smaller vocabularies.

Beginning readers and advanced readers have been shown to use guessing strategies more than middle level readers.

These findings have some important implications. First, they support Bialystock's proposition that context is created by the L2 reader in proportion to preexisting knowledge, and show that vocabulary is an important part of that knowledge. Second, they make it clear that a critical level of vocabulary and general language mastery is essential, not only for successful use of the guessing strategy, but also for the transfer of L1 strategies to L2 reading (Laufer, 1997). Third, the seemingly paradoxical fact that low- and high-level L2 readers use the guessing strategy more than middle-level readers is, in fact, another indication that level of linguistic development plays an important part in guessing. All of these points have direct implications for L2 reading instruction.

Because there is so much written in support of the guessing strategy, Dycus, D. (1997) supports the importance of bottom-up processing. He does not claim that top-down factors are unimportant. Indeed, still top-down strategies can also lead readers to ignore words, and improper use of a schema or of background knowledge can lead readers to wrong conclusions about context and word meaning. All things considered, the case for direct vocabulary teaching and against the guessing strategy is strong in David Dycus' article, at least for low- and intermediate level L2 readers.

Studies and discussions lead us to the question of whether or not we should teach and encourage L2 readers to use the guessing strategy. The answer is "Yes," but not at all times, not with all learners, not with all contexts, and certainly not as the main means of learning vocabulary.

As long as not all contexts are equal (Beck & McKeown, 1983) it is found that guessing using local context (required reference to immediate sentence context) is superior to guessing using global context (depended on textual elements farther away from the target word). Accordingly, if guessing requires global context, the guessing strategy should be abandoned and the dictionary or other resource should be used instead.

Conclusion

The purpose of the present article is to overview the different suggestions of the researchers about factors that affect vocabulary acquisition through context which leads to better reading.

The results of the studies allow us to state and share that the compensatory (guessing meaning) strategy is the most acceptable amongst teaching/learning strategies for that purpose. Though, sometimes the ideas differ which is very reasonable considering level, frequency, background, local or global context and etc. that may impact on the reading/guessing process.

REFERENCES


1. Beck & McKeown (1983). Vocabulary: All contexts are not created equal. Elementary School Journal, 83, 177–181.

2. Birch,B.(1998).Nurturing bottom-up reading strategies, too. TESOL Journal7/6,18-23.

3. Brown, H. D. (1972). Cognitive pruning and second language acquisition. The Modern Language Journal, 56(4), 218-227.

4. Coady, J. (1993). Research on ESL/EFL vocabulary acquisition: Putting it in context. In: T. Huckin, M. Haynes, & J. Coady (Eds.), Second Language Reading and Vocabulary Learning. NJ; Ablex, 3-23. [-16-]

5.Danelia,I.Activities to develop reading& writing strategies. University of Georgia. Annual Conference.(2010). p.109-114.

6. David Dycus.Guessing word meaning from context:Should we encourage it? Literacy Across Cultures,1997 1/2

7. Hulstijn, J.H (1992). Retention of inferred and given word meanings: Experiments in incidental vocabulary learning. In: P.J.L Arnaud & H. Bejoint (Eds.), Vocabulary and Applied Lin guistics, London: Macmillan, 113-125.

8. Laufer, B. (1997). The lexical plight in second language reading. In J. Coady & T. Huckin (Eds.), Second language vocabulary acquisition (pp. 20-34). Cambridge: Cambridge University Press.

9Lui Na & Nation,I.S. Factors Affecting Guessing Vocabulary in Context. RELC Journal 1985 vol. 16 no.133-42

10Mohammad H. K,,Vali Mohammadi. The Effect of Unknown Vocabulary Density on EFL 2009, Learners' Reading Comprehension of Nonfiction General English Texts. ELS, Vol. 1, No. 1,p. 1-22

11. 15. Rott, S. (1999). The effect of exposure frequency on intermediate language learners' incidental vocabulary acquisition and retention through reading. Studies in Second Language Acquisition, 21, 589-619.


***ირა დანელია***

*რეზიუმე*

### კითხვისას უკეთესი შედეგების მიღწევის შესახებ ვარაუდის ( კონტექსტის) მეშვეობით.


ენობრივი სტრატეგიების დახვეწა და განვითარება აუცილებელია უცხოური ენის სწავლებისას, რაც შესწავლის პროცესის ხანგრძლივობითა და მუდმივობითაა გამოწვეული.

წინამდებარე სტატია ეხება კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას კონტექსტის (ვარაუდის) მეშვეობით. ამ მიზნის მისაღწევად შემოთავაზებულია ჩვენი ხედვა ტექსტში ზოგიერთი სიტყვა შეიცვალოს ხელოვნურად შექმნილი(გამოგონილი) სიტყვით. სავარჯიშომ უნდა გააფრთხილოს სტუდენტები არ ეცადონ ლექსიკონის გამოყენებას, ვინააიდან ეს სიტყვები იქ არ არის მოცემული. წინააღმდეგ შემთხვევაში ზოგი სიტყვა ზოგიერთი სტუდენტისთვის შეიძლება აღმოჩნდეს ნაცნობი. სტუდენტები შეეცდებიან სიტყვების მნიშვნელობების იდენტიფიცირებას. შემდეგ მოხდება ჯგუფებში ერთობლივი განხილვა. დაასახელებენ საკუთარ არგუმენტებს და აღწერენ საკუთარ სტრატეგიებს.

სტატიაში განხილულია უცხოური ენის სწავლების სფეროში მოღვაწე ექსპერტებისა და მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები და შემოთავაზებულია სტრატეგიები. მართალია, მეცნიერთა აზრები კითხვის სწავლებისას უკეთესი შედეგების მიღწევის თვალსაზრისით ზოგჯერ იყოფა, თუმცა თანხმდებიან საკომპენსაციო (მნიშვნელობის ვარაუდი, მიხვედრა) სტრატეგიების აუცილებლობაზე, რასაც ვიზიარებთ.

*ლამარა გერგედავა*

## პოეტური სინტაგმები...კონტრასტები...პარალელები...
## (ბესიკ ხარანაულის «ხეები».ფრაგმენტები)

, , ღმერთო, როგორი წუთიერი არის ცხოვრება, შეყვარებულნი სიყვარულსაც ვერ მოასწრებენ. მაგრამ როგორი ხანგრძლივია იგი ჩვენი ტკივილებისთვის. როგორ არ ჰყოფნის დიდ საქმეებს ერთი ცხოვრება, მაგრამ როგორი ხანგრძლივიაიგი ჩვენი წვრილმანებისთვის!» ... აწმყო...წარსული...მომავალი...ლირიკული გმირი დროს ამთლიანებს. » წუთიერია ცხოვრება» და ის «არ ჰყოფნის დიდ საქმეებს» , მაგრამ მარადიულობის გამომხატველია როგორც ზოგიერთი ზმნის ფორმა.ის ან ცარიელია, ან შინაარსით სავსე, ან ერთფეროვანია, ან მრავალფეროვანი.ერთი და იმავე ხანგრძლივობის დროს ფსიქოლოგიაში სხვადასხვანაირად აღიქვამენ:» ამ აზრით დროის აღქმის ფსიქოლოგიაში სავსე დროის კანონის შესახებ ლაპარაკობენ» (დ. უზნაძე)....ის წუთიერი, ხანმოკლე მაშინ გეჩვენება, როდესაც ბედნიერების მწვერვალზე იმყოფები, საინტერესოა, შინაარსით სავსეა, გიყვარს ან დიდი საქმეებისთვის ხარ მოწოდებული...არის მეორე შეგრძნებაც, როდესაც ის ცარიელია, ხანგრძლივია, მოსაბეზრებელი და აუტანელი. ორივე შემთხვევაში დრო შევსებულია..

ბესიკ ხარანაულის «ხეებში» თითქოს ფიროსმანის ნახატებში გაუკვდავებული ხეების სევდა ჩანს, ფრანგი მხატვრის, ანრი რუსოს, სურათებიდან მომზირალი მოწყენილი ხეები...ანა კალანდაძის ფოთლებიც ქარდაქარ მიუყვებიან გალაკტიონის ფოთლებს, სადღაც, შორეთში. მიწიერებაზეკი ბიბლიური სამწუხარო ჭეშმარიტება სამუდამოდ დავანებულა და სინანულის გრძნობა ამაღლებულა ყოველგვარ სიხარულზე მაღლა: «ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო» ... ბესიკ ხარანაულს აქვს ერთი უსათაურო ლექსი:» და, ჰა, ყოველთვის...» პოეტის თქმით, როდესაც ის ცხოვრებას მიაპყრობს ნებისყოფიან მზერას და დააპირებს, რომ თავისი სიღარიბე სიმდიდრედ აქციოს, ხოლო სიმხდალე ვაჟკაცობად, მაშინ ეცხადება ავადმყოფი გოგონას მოჩვენება, რომელიც ეუბნება:» მე უთვალავი წელი არის, რაც თავი მახსოვს, სულ ასე ვარ, და ყველა, ვინც კი შენებრ საბრალოდ შემართულა, მე მადგამს ხოლმე ფეხს თავის გზაზე!'» '» რაც უფრო მაღალ საფეხურზე ადის ცნობიერებით აღჭურვილი არსება, რაც უფრო პირდაპირ, ძლიერად, უშუამავლოდ გრძნობს თავის ბუნებაში ცხოვრების სიმდიდრეს და დაუსრულებლობას, მით უფრო უძლეველი ხდება მასში სევდა კიდევ უფრო ფართო, კიდევ უფრო ინტენსიური ყოფნისადმი, მით უფრო იზრდება მასში ნდომა მიუწვდომელ, იდეალურ ყოველმხრივობისადმი» (გ.ქიქოძე) ცხოვრება ზღვაა, უდაბნოა ბიბლიის მიხედვით...ზოგიერთი შემოქმედისათვის ის არარაობაა, ზოგიერთისათვის» უანკარეს ღვინის ფერია» ან სიზმარია... ადამიანი–სამყაროს გვირგვინი და მისი განუმეორებელი ფენომენი, ებრძვის ტალღებს ზღვისას, ცდილობს გახდეს» უდაბნოს ვარსკვლავი» და მაინც... ცხოვრება სინტაგმები, კონტრასტები, პარალელები და ურთიერთგადამკვეთი ხაზებია... ამაღლებულია, რადგან დროსა და სივრცეშია განფენილი, შინაარსითა და ფორმით გრანდიოზულია, ღრმაა, საოცნებოა და მარადიული. მშვენიერია, რადგან წუთიერია, ხანმოკლეა და დიდ საქმეებს, მართლაც, არ ჰყოფნის ერთი ცხოვრება: «» «რაც კი ვიცხოვრე, იმდენ ხანს რომ მგლებში მეცხოვრა, ხომ ძმად ჩამთვლიდნენ, ხომ აღარასოდეს მიმტყუნებდნენ, არ გამწირავდნენ» ... თითქოს, ვიღაცამ სადღაც, ვიღაცისთვის, უარყო ქრისტიანული თეზა:» გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი». ბიოლოგის თქმით:მგლები ოჯახებად ცხოვრობენ.ნეიტრალური ზონები აქვთ და საზღვარიც მონიშნულია, ჰყავთ დომინანტები» ძლიერი ინდივიდები ნეიტრალური ტერიტორიიდან აძევებენ სუსტებს, მგლის რომელიმე ოჯახის ტერიტორიაზე.აქიდან გამომდინარე, მგლის მსხვერპლი ხდება ის, ვინც სუსტია» ... (ი. ბადრიძე)



ქართული ხალხური საყოფაცხოვრებო პოეზიის არაერთი ნიმუში არსებობს მგლებზე. მათგან ზოგიერთი შეფარულ აზრებს გამოხატავს და, თითქოს, ადამიანთა ნილბების სამყაროში გადავყავართ. მგლის მეტაფორული სახე წმინდა წიგნის არაერთ სტრიქონშია ნახსენები, არაერთი შემოქმედი იყენებს მას მხატვრული გამომსახველობისათვის. «შეთქმულან აქ მისი წინასწარმეტყველები, ლომებივით ბრდღვინავენ, ნადავლს გლეჯენ და ცოცხლად ჭამენ. მათი მთავრები მგლებივით გლეჯენ ნადავლს, სისხლს ღვრიან, სიცოცხლეს უსწრაფებენ ანგარებისთვის» (ეზეკიელ წინასწარმეტყველი). «» ულირსებო კაცი ლეშის მჭამელ მგელს ჰგავს» . ეს მგელი, სხვა მხეცებთან ერთად, » პატივმოყვარეობის კუნძულზე მკვიდრობს» (წმინდა იოანე ოქროპირი) წმინდა ეფრემ ასური:კურთხეულ არს, ვინც წმინდა ეკლესია ირჩია.ეს არის კრავი, რომელიც ვერ წარიტაცა მგელმა (სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა) წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი:» ჩემი ზღუდე–გალავანი მიუდგომელია მგლისათვის, არც ავაზებსშემოუშვებს შიგნით ვერც მპარავნი თუ გარეშენი გარდმოევლებიან მას. კარგად ვიცი, რომ ოდესმე მას უფრო ფართოსაც ვიხილავ, რომ იმათგან, რომელნი აწ მგელნი არიან, ოდესმე მრავალნი ცხვრებად უნდა მოვითვალო და ვინძლო ზოგნი მწყემსადაც! ამას თვით მწყემსი კეთილი მახარებს მე, რომლის მიერაც სულს დავდებ ცხოვარისათვის» (სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა).

გოდერძი ჩოხელის რომანის («მგელი» ) პერსონაჟი ნამგლარი თევდორე, კვლავ მართალ, სათნოებით სავსე, მგლების წინააღმდეგ მებრძოლ რაინდად გარდაისახება ლოცვის, სინანულის, სულიწმინდის მადლით. შოთა ნიშნიანიძის «მგლური კანონების ბალადაში» კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ მგლური კანონები მოქმედებს. მგელი პრინციპულობის, შეუვალობისა და მარტოსულობის სიმბოლოა მითოლოგიასა და ლიტერატურაში. ვაჟა–ფშაველა: » მუცალს არ სწადის სიკვდილი, ფერს არა ჰკარგავს მგლისასა, » უშიშას:» უამბობსქეთელაური ამბავს ღილღველის

მგლისასა, » ბერდიასთან საუბარში: » გაჯავრდა ქეთელაური, ფერი დაიდვა მგლისაო» («ალუდა ქეთელაური» ) პოემაში «სტუმარ–მასპინძელი» , ჯოყოლას სახლში მყოფ მეზობელს» ფერი დაედვა მგლისაო» მგლისფერი» მთის პოეზიაში კარგი ვაჟკაცის ეპითეტია. (ალ. ჭინჭარაული) ხალხურ პოაზიაში «კაი ყმა» შედარებულია მგელთან.

კონსტანტინე გამსახურდია თავის ტოტემად მგელს მიიჩნევდა, ნოველაში» ქალის რძე» მწერალმა ძმად მოიხსენია მგელი. თარაშ ემხვარი («მთვარის მოტაცება» )ერთ ბარათში წერს, რომ სვან ბავშვებს დაბადებიდანვე მგლის კბილს დაკიდებენ, თვითონაც ნატრობს, რომ შემოხედვა ექნეს მგლური. მგლები შეწირულია მარსისადმი, რომელიც ომისა და სისხლის ღმერთია და ამდენად არის ძალაუფლების სიმბოლიკა. ვაჟა–ფშაველას ნაწარმოებში «ამოდის ნათდება» მოხუცი ტოტია თანამოძმეებმა დაგლიჯეს. გაუცხოებისა და პიროვნული დისჰარმონიის განწყობა გასდევს ბ.ხარანაულის «ხეებს» , მგლებიკი, ალბათ, » არ გამწირავდნენო» ...თქვა პოეტმა, იმიტომ, რომ ისინი მხოლოდ სუსტებს იმეტებენ. «შუა საუკუნეების შეხედულების მიხედვით, ადამიანს ოთხი უმთავრესი ღირსება ამშვენებდა, სიკეთე, სიბრძნე, სიყვარული და მშვენიერება.უმაღლეს ამქვეყნიურ ბედნიერებად ითვლებოდა საკუთარი ადამიანური ნაკლისა და ცოდვათა შეგნება, სინანული საკუთარ ნაკლოვანებათა გამო. ასეთი იყო გზა თვითსრულყოფისა, თვითგანვითარებისა, ეს კი გულისხმობდა მორალურ ამაღლებას. ვინც იგრძნობდა, რომ მან ჭეშმარიტად შეიგნო თავისი ნაკლოვანებანი, თავს ბედნიერად თვლიდა. ეს იყო საკმაოდ რთული გრძნობა.ერთმანეთს ერწყმოდა სინანული და სიხარული» (რ.სირაძე) განა დაეკარგათ პეწი შორეულ მოძღვრებებს...განა დღესაც არ ფიქრობენ ადამიანებისრულყოფასა და ადამიანის არსის შეცნობაზე ? უფლის სასუფეველს ის მოიპოვებსო, ვისაც სინანულის გრძნობა დაეუფლება» შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა» (მათე 3, 2) ვინ ადგას სინანულის გზას? «წმინდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის აზრით, ვისაცმთელი გულით სურს ხსნა და ცათა სასუფევლის დამკვიდრება, ღმერთში და ჩვენს მაცხოვარში, სინანულის გზას უნდა დაადგეს, რადგან სწორედ დამდაბლება და საკუთარი პატივმოყვარეობის დათრგუნვა მიიყვანს ადამიანს ჭეშმარიტებასთან» ... (თ.შარაბიძე) ლევან ბრეგაძის თქმით:» ბესიკ ხარანაულისთვის ადამიანის არსის შეცნობის ერთ–ერთი საიმედო გზა თვითანალიზია.იგი დაუნდობლად ანათებს თავისი სულის იდუმალ კუნჭულებს, ვიდრე სხვას უსაყვედურებდეს რამეს, ჯერ საკუთარ თავს უსწორებს ანგარიშს.მოკლედ, თვითშეცნობის, თვითსრულყოფის ძნელ გზას ადგას...» ფრანგი მოაზროვნის, პიერ ტეიარ დე შარდენის, ძირითადი ფილოსოფიური ნაშრომის» ადამიანის ფენომენის» მიხედვით, ადამიანი ამქვეყნიური ევოლუციის მწვერვალია, მშვენიერებისა და ამაღლებულობის საზომად აქციეს, თურმე, ის რენესანსის პერიოდში.დიდი საქმეებისთვის იღწვიან დიდი ადამიანები.პოეტის თქმით, მგელი ზნეს არასოდეს გამოიცვლის, მაგრამ დამნაშავეა ადამიანი, » თავის ზნეს ვინც მალიმალ იცვლის» ...ამგვარი ცვალებადობა, არამდგრადობა და მერყეობა უფლისგან გვაშორებს... ბ.ხარანაული ერთგან, ლექსში» შეუძლებელი» , ამბობს:» დაიმახსოვრე უკიდურესობაზე ხეთქებამ დაამსხვრია ადამიანი» ...ადამიანი უნდა იყოს ინდივიდუალური, თავისუფალი, მან უნდა აღმოაჩინოს თავისი კუნძული მატერიკებს შორის, რადგან ის საჭიროა კონტრასტებით ცხოვრებისათვის; მომხდარსა და არმომხდარს, სიხარულსა და წყენას, ფანჯარასა და კედელს შორის...ადამიანის უდიდესი მისია სხვათათვის თავგანწირვაა, მსხვერპლშეწირვა. ის ნატრობს: აივსოს გაზაფხულის სიმშვენიერით ისე, რომ უცებ იფეთქოს, დაიფანტოს ათიათას ნაწილად, რათა ყველას გასწვდეს სიხარულის ეს ნატეხები («რა იქნება რომ ავივსო გაზაფხულის სიმშვენიერით» ).უნებლიეთ, გენიალური ვაჟა-ფშაველას სტრიქონებთან ავლებ პარალელს: » რამ შემქმნა ადამიანად რატომ არ მოველ წვიმადა» ...აქ წვიმა კვდება, მაგრამ იმარჯვებს სიცოცხლე, მარცხდება სიკვდილი... მაცხოვრის გზა......იქ, სადაც ნატვრა რეალობის ფარგლებს სცილდება, სინანული იწყება.

ბ.ხარანაულს ადამიანის, პოეტის, დანიშნულებად მიაჩნია თვითონ ემსხვერპლოს. გაზაფხული ლიტერატურაში ა ღორძინებისა და განახლების, აყვავების უფლის მეორედ მოსვლის სიმბოლოა. ის სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველია. თუკი «ხეებში» პოეტის სინანულის გრძნობა ჩანს, იქვე სიცოცხლის აუცილებლობასა და ადამიანის მაღალ დანიშნულებაზე დაფიქრებაცაა.

შემოქმედის თქმით, მან რაც ხალხში იცხოვრა, იმდენ ხანს რომ ტყეში ეცხოვრა, ხეებს მაინც გაარჩევდა ერთმანეთისგან, დღეს გაცნობილი კი ხვალ ახალი თვისებით გააკვირვებდა. ბუნება საოცარი ფენომენია, იქ არ მოქმედებს დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი, იქ სიწმინდეა და სიხალისე, განსხვავებით ადამიანთა საზოგადოებისაგან, იქ ბუნების დიალექტიკა, ურთიერთგავლენა, შინაგანი წონასწორობა, წესრიგი მოქმედებს.ბუნება ხომ თავისუფალია. ტყეში ხეებთან თანაარსებობის სურვილი მარტოსულებს უჩნდებათ...პოეტი თითქოს თავისი დროის «მარტოობის ორდენის კავალერია» , ან ყვითელი ფოთოლი» .ალბათ, ყველა ეპოქას თავისი მარტოსული, თავისი რომანტიკოსი ჰყავს. ხეებს (განსაკუთრებით მუხას)ძველი ხალხები მიიჩნევდნენ, როგორც ღვთაებას, ღვთაებათა სიმბოლოს.» ადამიანის თვალში ხე არის შემოქმედის მიერ ბუნებაში განფენილი სიცოცხლის ძალის ცხადი გამოვლინება» ბიბლიური ლექსიკონის მიხედვით. გ. მურღულია (საუბრები ქართულ ლიტერატურაზე) ხის სამ სიმბოლიკაზე საუბრობს:ხე ცხოვრებისა...ბიბლიური წარმოდგენით, ის უკვდავებას უკავშირდება, საპირისპიროა ცრუ სიბრძნის სიმბოლო –ხე ცნობადისა, რომლის ნაყოფის მირთმევითაც ადამიანმა დაკარგა უკვდავებასთან წილნაყარობა.ქრისტეს მიერ ჯვარცმით ცოდვის გამოსყიდვის საბოლოო მიზანი ის არის, რომ ადამიანმა კვლავ იგემოს ცხოვრების ხის ნაყოფი. ხე საღვთო სამეფოსი...აღმოსავლეთის მითოსი იცნობდა კოსმიურ ხის სიმბოლოს, რომელიც მთლიანად სამყაროს განასახიერებდა, ბიბლიამ უარყო ამგვარი მნიშვნელობა და ამ ხეში დაინახა ხელოვნური ადამიანური დიდება, რომელიც სიამაყეს ეფუძვნებოდა.საღვთო წერილის თანახმად ღვთიურ სამსჯავროზე ეს ხე მოიჭრება. ჯვრის ხე...ხე წყევლის ნიშნად იქცევა, როდესაც მას ადამიანის დასასჯელად იყენებენ.საღვთო წერილის თანახმად, იესომ თავის თავზე აიღო წყევლა, ჯვარზე აიტანა ადამიანთა ცოდვები...

ბესიკ ხარანაულის პოეზიაში ტყე, ხეები მეტაფორული სახეა, ის ადამიანთა სიმრავლეს გამოხატავს. პოეტის სიტყვებში სინანულის ხმა გაისმის: რაც ხალხში ვიცხოვრე, იმდენ ხანს რომ ტყეში მეცხოვრა. ხეებს ხომ მაინც გავარჩევდი ერთმანეთისგან» ... ტყეში ცხოვრება ღვთაებრივ, სრულყოფილ საზოგადოებაში ყოფნის სურვილს გვიჩვენებს, ამ შემთხვევაში, ყველაზე ადვილია, გაარჩიო ადამიანები (ხეები)ერთ-

მანეთისგან. მრავალი ქართული ზღაპარი გვიყვება ადამიანთა ხისგან წარმოშობის შესახებ. რაც ხალხში ვიცხოვრე, იმდენ ხანს რომ ცაში მეცხოვრა, ვიკიაფებდი მეც ვარსკვლავად, , მაგრამ საბრალოს მაინც მიწისკენ მექნებოდა მზირალი თვალი, ვით მგლის ყმუილი და მარტოობის ხვეწნა–შრიალი...» ვარსკვლავის სახე ამაღლებულობის განწყობას გვიქმნის. ვარსკვლავმა ამცნო მოგვებს ქრისტეს დაბადება, ვარსკვლავი დაადგა ღამით აბო თბილელის მდინარის ფსკერზე დასვენებულ ტანჯულ სხეულს, » უდაბნოს ვარსკვლავია «გრიგოლ ხანძთელი, ვარსკვლავი პოეტური სახეა აკაკი წერეთლის «სულიკოში» . სხვადასხვა ხალხთა მითოსში მზე, მთვარე და ვარსკვლავები ღვთაებებია.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მზე და მთვარე ადამიანები არიან, რომელთაც ჰყავთ შვილები–ვარსკვლავები. «ქართულ მითოსში მზე ვარსკვლავები ხშირად ადამიანების დები და ძმები არიან.მათ თავიანთი სახელები ჰქვიათ:შუქურვარსკვლავი, ცისკრის ვარსკვლავი და სხვა» (გ.ალიბეგაშვილი). «იერარქიის ესთეტიკის « (რ.სირაძე) მიხედვით, ვარსკვლავები ანგელოსთა სახეებად მიაჩნდათ და ცდილობდნენ მათ მოძრაობაში ადამიანის ბედი ამოეცნოთ.» ზეცა მშვენიერების სამყაროა» , შვიდი ცის შემდეგ იწყებოდა ვარსკვლავთა ცა...მეცხრე ცაზე ზებუნებრივი ნათელი იდგა. «ხეებში» ვარსკვლავი მეტაფორული სახეა. პოეტი რომ ვარსკვლად გარდასახულიყო, უმაღლეს მოკიაფე სიწმინდედ, მას მაინც მიწისკენ ექნებოდა» მზირალი თვალი» , რადგან მოკვდავი ადამიანების ძმაა, მოყვარეა, უნდა იფიქროს მათს ბედზე და დედამიწაზე აღსრულებული საქმეები წარმოადგენს პოეტის უმაღლეს დანიშნულებას, მიწაზეა დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი, დისჰარმონია და ჰარმონია, წესრიგი და ქაოსი...დედამიწა ხომ სინტაგმების, კონტრასტებისა და პარალელების ანარეკლია, რომლის გაცნობიერება, გარდასახვა, ფერიცვალება ადამიანთა (პოეტთა) დანიშნულებაა, რათა მოძმეს» სიძნელე გზისა გაუადვილდეს» . «ხეების «მთავარი თემა ადამიანის არსის, მისი დანიშნულების ჩვენებაა, რომელიც ქვეყნის სამსახურში, პიროვნული პრინციპების ერთგულებაში, მიზნისკენ სწრაფვაში, მიღწევებსადა სრულყოფაში მდგომარეობს. დრო (ცხოვრება)იმდენად ხანმოკლეა, რომ ვინც ზნეს მალიმალ იცვლის, ძნელია მოასწროს სრულყოფილება, ის ვერ ამართლებს თავის მიწიერ ყოფას, ამიტომ, ლირიკული გმირის მოსაზრებით, დამნაშავეა და ასეთ ადამიანს მართალს ვერ შევადარებთ.

მართალია, ადმიანს აქვს არჩევანის თავისუფლება, მაგრამ» ზნის ცვალებადობა» არ უნდა ხდებოდეს მარადიულად, რადგან, ყოველ მიწიერ საქმეს, კონკრეტულ ეპოქაში, თავისი განსაზღვრული დრო აქვს, ის არ გვითმობს ყოველთვის საასპარეზო მოედანს, ან ვასწრებთ საქმეებს, ან ვერ ვახერხებთ მოვაგვაროთ ისინი საჭიროებისამებრ; ან...რამდენჯერ შეიძლება შევეგუოთ ადამიანთა მეტამორფოზებს? მგელი ლირიკულ გმირს» არ გაწირავდა» ...პოეტმა ცხოველს ბუნება შეუცვალა.მსგავს მაგალითებს იცნობს ლიტერატურა, ბიბლია... ვაჟა–ფშაველას ლექსში «სიყვარულის სამეფო» , უფლის სასუფეველია ნაჩვენები, სულიერი ბაღი, სადაც ცხოველთა ბუნება შეცვლილია. მშიერ ლომებთან ჩაგდებული დანიელ წინასწარმეტყველი ხომ უვნებლად გადაურჩა მათ. პოეტმა ლექსში, დროის მითოლოგიზაცია გამოიყენა, მართალია, მან, თითქოს, მთელი თავისი ცხოვრება განსაზღვრა, მაგრამ შეიძლება სათქმელი განზოგადდეს და ყველა დროს მივაკუთვნოთ, მომავალი ეპოქის ადამიანმაც მიიღოს მოხმობილი აზრები ამგვარი ფორმით:» ღმერთო, როგორი წუთიერი არის ცხოვრება» ...ან» მგელი თავის ზნეს არასოდეს არ გამოიცვლის» ... აქ ხომ მარადიული დროა ნაჩვენები. «რაც კი ვიცხოვრე» , «მე მგელს კაცს როგორ შევადარებ», » რომ მათი ვნებები თანაგრძნობით აღიწეროს» ამ წინადადებებს წარსულში, აწმყოსა და მომავალში გადავყავართ.დროთა კავშირი, მისი ურღვევი ერთიანობა, პოეტს ავალდებულებს თავის მოვალეობად ჩათვალოს წეროს ადამიანების არსსა და დანიშნულებაზე, მათ ვნებებზე...წეროს სამყაროს გვირგვინზე.სიტყვა» თანაგრძნობით» უნებლიეთ ვნების ერთ–ერთ ამგვარ განმარტებას ითხოვს» ვნება ანუ ტანჯვა ( (პატჰოს).მისი კორელატური ტერმინია კათარზისი (განწმენდა).» ლექსში მეტაფორებითა და შედარებებით გაცხადებულია სინანული, ხმამაღალი ფიქრი იმაზე, რომ ადამიანები ერთმანეთისთვის გაუცხოებულნი არიან, მათი ყოფა წვრილმანებს შეუვსია, დიდი საქმეებისთვის კი იმდენად «წუთიერი არის ცხოვრება» , რომ» შეყვარებულნი სიყვარულსაც ვერ მოასწრებენ» , გაუცხოება რომ არა, მოკვდავნი თავიანთ თანამოძმეს უახლოესად ჩათვლიდნენ, იშრიალებდა ხეებთან ერთად, იკიაფებდა ვარსკვლად, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც წერს ადამიანებზე, რადგან საამისოდ აღძრავს თავისი ახირებული თვისება ეკუთვნოდეს იმათ, ვიზეც წერს, მათაც, საპასუხოდ, ძალუძთ» ვილაცებში აღმოაცენონ უნარი, რომ მათი ვნებები თანაგრძნობით აღიწეროს.

ადამიანები, რომლებიც პოეტში ამ უნარს აღძრავენ, მათთან ერთად თვითსრულყოფის გზას ადგანან, მარადიულ ფასეულობებს მიესწრაფვიან, მათ უნდა გაამართლონ თავიანთი მიწიერი არსებობა, როგორც ცდა იმისა, რომ ვისწრაფოთ იდეალებისკენ. «» ადამიანთა დიდი უმრავლესობა არაფრობის წიაღში შესანიშნავად გრძნობს თავს.მცირე ნაწილი ეშმაკურს (სატანურს) ეტრფიალება, მხოლოდ რჩეულნი მიისწრაფვიან ზნესრულობისაკენ, ოღონდ მარტო მისწრაფება არ კმარა, უნდა იცოდე კიდეც, რა გზით იარო. ზნესრულობისკენ მიმავალი გზა საქმით ნეტყველი ყოფილა. უკვდავებაც საქმით მეტყველი სულის წილხვედრია (ა.ბაქრაძე) ცხოვრება ხანგრძლივია ტკივილებისთვის წვრილმანებისთვის და არა სიყვარულისა და დიადი საქმეებისთვის...ანუ სამყარო ანტონიმური, სინტაგმური თვისებების შემცველია, ჰარმონია და დისჰარმონია პარალელურად თანაარსებობს და ჯერაც განუხორციელებელ ოცნებად აღიქმება ის, რაც რუსთველის გენიამ ეპოქებს გადმოსძახა:» ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ– ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს, ავთა ქმნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს, შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად ძოვდეს» . «ხეების» ლირიკულ გმირს სურს ამაღლდეს მოკვდავთა პროზაული ყოველდღიურობიდან...მისი პოეტური სახეები არის კიდევ ერთი გაცხადება იმისა, რომ განვლილმა პერიოდმა სინანული უბოძა, მან არ დაუთმო შემოქმედს საასპარეზო დრო დიადი საქმეებისათვის, » დრონი მეფობენ» ...გმირი სხვებთან ერთად მაინც მიუყვება უფლის მთის ბილიკებს, ზეცას ნათლის სვეტი მოუვლენია ზემოდან, ზღვაზე მზის ბილიკი გაწოლილა, ყოველი დროის აღსაზრდელები კი გურამიშვილის სტრიქონებს სანამ გაითავისებენ, გაოცებულნი კითხულობენ:» მიდის–მოდის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს !უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს

*Irina Kruaschwili*

## DEONYMISCHE ADJEKTIVBILDUGEN IM DEUTSCHEN

Unter deonymischen Bildungen versteht man Wortbildungskonstruktionen, an denen Eigennamen beteiligt sind, und zwar vorzugsweise Personennamen und geographische Namen. Der Eigenname nimmt innerhalb des Wortschatzes eine Sonderstellung ein. Daraus ergeben sich auch Spezifika für die Wortbildung. Eigennamen sind an das System der deutschen Sprache durch vorhandene semantische Elemente, durch onymische Derivations- und Kompositionsmodelle sowie durch morphosyntaktische und morphonologische Phänomene gebunden. Im vorliegenden Aufsatz behandeln wir zunächst Eigennamen als Erstglied adjektivischer Komposita und anschlieβend die deonymische Adjektivderivation.

Mit onymischen Erstgliedern verbundene Abjektive bleiben auch als Komposita Adjektive. Das onymische Erstglied wird kleingeschrieben. Das entspricht natürlich der Wortart des Kompositums, obwohl die Motivation durch den Eigennamen erhalten bleibt. z.B. goethefreundlich, castrobärtig. Nicht selten gibt es Konflikte zwischen dem Kleinschreibung fordernden Wortcharakter des adjektivischen Kompositums und dem – nach Groβschreibung strebenden – Eigennamencharakter des Erstglieds: im Virginia-ähnlichen Sachsen, den Hermlin-kundigen Zuhörern, die Wittgenstein-kongeniale Formulierung. Vgl. auch: der nicht-Mozartschen und nicht-Haydnschen Musik (Fleischer/Barz 1995 : 237).

Personennamen werden mit Partizipien nur sehr selten verbunden. z.B. in der Mozart-verwöhnten Festspielstadt, berlinbegeisterte Jugendliche, frankreichinteressierte Intellektuelle.

An der deonymischen Adjektivderivation sind mehrere Suffixmodelle beteiligt. Besonders produktiv sind die Modelle mit den Suffixen -isch und -er.

Das Suffix -isch ist produktiv unter anderem auch als adjektivbildendes Ableitungselement von Eigennamen geworden. Das Modell hat in erster Linie syntaktische Funktion, indem es die Eigennamen adjektivisch-attributiv verfügbar macht. Die ausgeprägte Motivation führt dazu, dass die Wortbildungskonstruktionen in hohem Maβe der Konkurrenz durch andere Wortbildungs- und Wortgruppenmodelle ausgesetzt sind: Goethesches Gedicht – Goethegedicht – Gedicht von Goethe.

Wie schon erwähnt, sind unter den onymischen Basen vor allem geographische Namen und Personennamen zu unterscheiden. Hier ist zunächst auf die Länder- und Landschaftsnamen zu verweisen. Auch die Begriffe `Region~, `Regionalität~ und `Identität~ gehören zu Modethemen, wovon der häufige Gebrauch von `Regionalisierung~ und `regionaler Identität~ vornehmlich in den Medien zeugt (Krause/Sternkopf 1997:229). Vgl. burgundisch, kanadisch, luxemburgisch, österreichisch, württembergisch. Hat die Basis das onomastische Suffix -en oder -ien, so fällt dies in der Regel ab: Arabien – arabisch, Indien – indisch, Schweden – schwedisch, Spanien – spanisch, Serbien – serbisch, Argentinien – argentinisch, Norwegen – norwegisch. Umlaut kann auftreten, wo er bei der Bewohnerbezeichnung fehlt. z.B. Sachse – Sächsisch, Schwabe – schwäbisch, Franzose – französisch, Franke – fränkisch.

Neben Ländernamen auf -land und -mark stehen meist entsprechende Adjektive ohne diese Komponente. Sie sind in der Regel von der Bewohnerbezeichnung abgeleitet. z.B. Irland – Ire – irisch, Griechenland – Grieche – griechisch, Russland – Russe – russisch, Schottland – Schotte – schottisch, Finnland – Finne – finnisch, Dänemark – Däne – dänisch. Ohne -land steht auch englisch, obwohl die Bewohnerbezeichnung Engländer ist. In diesen Zusammenhang gehören auch Fälle wie Türkei _ Türke – türkisch, China – Chinese – chinesisch, Portugal – Portugiese – portugiesisch. Erhalten bleibt -land in den Wörtern grönländisch, isländisch, holländisch, neuseeländisch, neiderländisch, thailändisch, feuerländisch. In allen diesen Fällen endet die Bewohnerbezeichnung auf -länder (Fleischer 1983:266).

Als Interfixe treten -an-, -in-, -es- auf. Die Erweiterungen -an-isch und -in-isch ergeben sich durch den Anschluss an die entsprechenden Bewohnerbezeichnungen auf -an-er und -in-er. In diesen Fällen entfällt -er bei Antritt von -isch. z.B. Afrikaner – afrikanisch, Bolivianer – bolivianisch, Brasilianer – brasilianisch, Indianer – indianisch, Dalmatiner – dalmatinisch, Koreaner – koreanisch, Kolumbianer – kolumbianisch, Mexikaner – mexikanisch, Peruaner – peruanisch, Sizilianer – sizilianisch, Venezolaner – venezolanisch, Montenegriner – montenegrinisch.

Als Interfix wird -es- im folgenden Fall angesehen: Vietnam – Vietnamese –vietnamesisch. Unmittelbar an die Bewohnerbezeichnung auf -er fügt sich -isch nur in der Bildung schweizerisch.

Das gleiche gilt auch für Ortsnamen als Basis. z.B. Florenz – florentinisch, Damaskus – damaszenisch, Verona _ veronesisch. Aber bei der adjektivischen Ableitung von Ortsnamen konkurriert heute mit -isch das Suffix -er. Älteres -isch ist in diesen Fällen vielfach durch -er ersetzt, so dass heute -isch nicht mehr das allgemeine Suffix zur Ableitung aus Ortsnamen genannt werden kann. Zu einer Substantivierung des von einem Ortsnamen abgeleiteten Abjektivs ist jedoch nur das -isch-Derivat tauglich. z.B. das typisch Berlinische (nicht *Berliner), das echt Hamburgische (nicht *Hamburger). In einzelnen Fällen tritt -isch auch an die -er- Ableitung. z.B. wienerisch, münchnerisch.

Bei manchen fremden Städten wird die -isch-Ableitung vorgezogen oder ist überhaupt allein gebräuchlich. z.B. delphisch, korinthisch, spartanisch, neapolitanisch, venezianisch. Die meisten dieser Adjektive haben über die Beziehung auf den Stadtnamen hinaus allgemeinere Bedeutung bekommen: spartanische Lebensweise, korinthische Säule, venezianisches Glas.

Auch Gewässer- und Flussnamen als Basis von -isch-Derivaten sind nicht selten. z.B. rheinisch, ostelbisch, amazonisch, mittelmeerisch, rechtselbisch, donisch (zu Don), rechtsmuldisch, Rhein-Mainische Forschungen.

Eine besondere Gruppe bilden die von Personennamen (und zwar Familiennamen) abgeleiteten Adjektive. Hier ist eine Tendenz zur Verwendung von -sch statt -isch erkennbar. Solche Derivate werden – wie die Adjektive auf -er von Ortsnamen – groβgeschrieben. z.B. die Grimmschen Märchen (nicht *Grimmischen), die Klopstockschen Gedichte (nicht *Klopstockischen), eine Freudsche Fehlleistung, die Einsteinsche Relativitätstheorie, die Bismarksche Politik, Goethesche Gedichte, das Hessesche Gesamtwerk (in beiden letzten Beispielen gehört -e-

zum Namen). Die Fälle wie Goethesche Gedichte (statt *Goethische Gedichte) erklärt W. Wilmanns mit dem `Bedürfnis, die Form des Namens unversehrt zu halten~ (Wilmanns 1899:476). Es muss betont werden, dass -sch statt -isch mehr in fachsprachlichen Texten vorkommt (z.B. Bangsche Krankheit, Mendelsche Gesetze) als in publizistischen und belletristischen Texten. Auβerdem ist -isch bei antiken Namen üblich. z.B. Horazisch, Homerisch.

Es muss die Differenzierung von Groβ- und Kleinschreibung beachtet werden. Die obengenannten Wortbildungskonstruktionen werden groβgeschrieben, weil der Bezug auf die individuelle Person unmittelbar ist: Schillersche Gedichte – Gedichte von Schiller, die Goetheschen Werke _ Werke von Goethe. Erhalten die Ableitungen eine allgemeinere Bedeutung in der Art eines Appellativums, erscheint -isch, und sie werden kleingeschrieben. z.B. goethische Universalität, lutherischer Bekennermut, platonische Liebe, sokratische Ironie, napoleonische Kriege, augusteisches Zeitalter.

Auch das Suffix -er dient nahezu ausschlieβlich der adjektivischen Derivation von onymischen Basen. z. B. die Leipziger Messe, das Berliner Ensemble, der Rostocker Hafen, die Lüneburger Heide, die Mecklenburger Landschaft, der Münchner Himmel, der Kölner Dom, Berliner Bevölkerung, Frankfurter Würstchen, Potsdamer Konferenz (Vgl. Barz/Schröder/Hämmer/Poethe 2004:42). Hier handelt es sich um Orts- und anderen geographischen Namen, und nicht – wie bei -isch _ um Personennamen. Deswegen sind zu unterscheiden: Altenberger Sprungsschanze (Ortsname Altenberg) – Altenbergsche Prosaskizzen (Personenname Altenberg).

Adjektivische -er-Derivate sind invariant, sie sind unflektiert, werden attributiv gebraucht und immer groβgeschrieben. Trotzdem ist -er hier ein Adjektivsuffix, die Wortbildungskonstruktionen sind Adjektive (Helbig/Buscha 1998:315). Aber -er kann auch ein Substantivsuffix sien: ein gebürtiger Berliner. Die Formen sind zwar identisch mit den substantivischen Bewohnerbezeichnungen auf -er, doch unterscheiden sie sich davon funktional: ein gebürtiger Berliner; die Berliner Einwohnerschaft. Im ersten Fall ist Berliner ein Substantiv, im zweiten aber ein Adjektiv. Es gibt auch adjektivische -er-Derivate, denen keine homonymen substantivischen Bewohnerbezeichnungen entsprechen. z.B. Teutoburger Wald (aber nicht *der, die Teutoburger), Harzer Käse (aber nicht *Harzer), Böhmer Wald (substantivische Bewohnerbezeichnung: der Böhme). Umgekehrt haben nicht alle substantivischen Bewohnerbezeichnungen ein homonymes Adjektiv neben sich: Neben der Gruppe ein Schweizer Geschäftsfreund steht nicht *ein Cherusker Dorf , sondern nur die substantivische Zusammensetzung Cheruskerdorf oder die Wortgruppe Dorf der Cherusker.

Die Adjektive auf -er sind vielfach an die Stelle älterer Bildungen auf -isch getreten. Vgl. 1483 leipczscher `Leipziger~ Jarmarckt, 1591 Deβ Mansfeldischen Bergkwergs, 1592 Die Dreβdenische und Lausitzer Heide. Heute dominiert -er bei Ortsnamen, wo sich -isch nur in wenigen festen Bildungen erhalten hat (römisch, venezianisch). -er-Derivate werden nur attributiv gebraucht, -isch-Derivate aber auch adverbial: Lausitzer Eigenheiten; Er spricht mecklenburgisch; mecklenburgische Küste.

Auf die deonymische Derivation ist nur teilweise das Suffix -esk spezialisiert. Es kommen die Derivate von Eigennamen vor: danteske Szenen (M. Walser), von chaplineskem Format (TZ 9.7.1970), ein wenig hoffmannesk-romantisch (Sonntag 21.2.1971), ein sehr kafkaeskes Ich (W.Weiβ)

In allen von uns analysierten Beispielen treten hauptsächlich zwei Wortbildungsbedeutungen hervor: Ausdruck der Zugehörigkeit zu dem durch den Eigennamen benannten Individuum bzw. Objekt und Ausdruck eines Vergleichs (`in der Art von~).

Literatur:


Barz, I./Schröder, M./ Hämmer, K./Poethe, H. (2004): Wortbildung – praktisch und integrativ. Ein Arbeitsbuch. Leipziger Skripten. Bd. 2. Frankfurt am Main. Berlin. Bern. Bruxelles. New York. Oxford. Wien.

Fleischer, W. (1983): Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Leipzig.

Fleischer, W./Barz, I. (1995): Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Unter Mitarbeit von M. Schröder. Tübingen.

Helbig, G./ Buscha, J. (1998): Deutsche Grammatik. Ein Handbuch für den Ausländerunterricht. Leipzig. Berlin. München. Wien. Zürich. New York.

Krause, A./ Sternkopf, J. (1997): Wege onymischer Identifikation. In: Barz, I./Schröder, M. (Hrsg.): Nominationsforschung im Deutschen. Festschrift für W. Fleischer zum 75. Geburtstag. Frankfurt am Main. Berlin. Bern. New York. Paris. Wien. S. 229-247.

Wilmanns, W. (1899): Deutsche Grammatik. 2. Abteilung. Wortbildug. Straβburg.


**Irina Kruashvili**

**Derivation of Deonymic Adjectives in the German Language**

**Summary**


In deonymic derivations there are implied the word-building constructions, in the nascence of which there took part proper nouns, namely, Geographical names and personal surnames. The article discusses adjectival composites and explicit derivatives, the first direct constituent of which is represented by a proper noun.

Proper nouns can be found relatively rarely in German composites. What about derivation models, there are mainly used the following adjective suffixes: -isch and -er. -isch suffix is used especially productively in derivation of adjectives denoting origin and belonging. Derivations, the basis of which is a Geographic name, point to the origin from a certain country. What about the derivations made from surnames, there can be traced the tendency to use instead of the suffix –isch its variant –sch. In such derivations there must be paid attention to the orthography. Word-building constructions begin with capital letters, if they express direct belonging to an individual person. But if a derivation acquires general meaning of a kind of appellative, then we have –isch suffix there and the construction begins with a lowercase letter.

-er suffix is mainly used in order to make adjectives out of Geographical names. Such derivations are invariable, i.e., they do not change according to sex, declination or number. They are used as attributives and they always begin with a capital letter. Yet, such constructions are still considered to be adjectives. In this case, -er is an adjective suffix.

The model of deonymic derivation has, above all, syntaxic

function. It makes possible the attributive use of proper names.

*ირინა ყრუაშვილი*

## დეონიმური ზედსართაული წარმონაქმნები გერმანულ ენაში

### *რეზიუმე*

დეონიმურ წარმონაქმნებში იგულისხმება სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები, რომელთა წარმოქმნაში მონაწილეობენ საკუთარი სახელები, კერძოდ, გეოგრაფიული სახელწოდებები და პიროვნებათა გვარები. სტატიაში განხილულია ზედსართაული კომპოზიტები და ექსპლიციტური დერივატები, რომელთა პირველი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტი საკუთარ სახელს წარმოადგენს.

გერმანულ კომპოზიტებში საკუთარი სახელი შედარებით იშვიათად გვხვდება. რაც შეეხება დერივაციულ მოდელებს, აქ ძირითადად გამოიყენება ზედსართაული სუფიქსები -ისცჰ და -ერ.

-ისცჰ სუფიქსი განსაკუთრებით პროდუქტიულად გამოიყენება წარმომავლობისა და კუთვნილების აღმნიშვნელი ზედსართავების წარმოსაქმნელად. დერივატები, რომელთა ბაზისი არის გეოგრაფიული დასახელება, მიუთითებენ ამა თუ იმ ქვეყნიდან წარმომავლობას. გვარებისაგან წარმოქმნილ დერივატებში იგრძნობა ტენდენცია, რომ -ისცჰ სუფიქსის ნაცვლად გვქონდეს მისი ვარიანტი -სცჰ. ამგვარ დერივატებში ყურადღება უნდა მიექცეს ორთოგრაფიას. სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები დიდი ასოთი იწერება, თუ მათში გამოხატულია უშუალო კუთვნილება ინდივიდუალური პიროვნებისადმი. მაგრამ თუ დერივატი აპელატივის სახის ზოგად მნიშვნელობას იძენს, მაშინ გვაქვს -ისცჰ სუფიქსი და კონსტრუქცია პატარა ასოთი იწერება.

-ერ სუფიქსი ძირითადად გამოიყენება გეოგრაფიული სახელებიდან ზედსართავების მისაღებად. ამგვარი დერივატები ინვარიანტულია, ე.ი. არ იცვლება სქესის, ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით. ისინი ატრიბუტულად გამოიყენება და ყოველთვის დიდი ასოთი იწერება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კონსტრუქციები ზედსართავებად განიხილება. -ერ ამ შემთხვევაში ზედსართაული სუფიქსია.

დეონომური დერივაციის მოდელს, უპირველეს ყოვლისა, სინტაქსური ფუნქცია აქვს. იგი საკუთარი სახელების ატრიბუტული გამოყენების საშუალებას იძლევა.

***Ratiani Lali***

## RADIAL-LINEALE VERBINDUNG DER WÖRTER ANTONYM-SYNONYMISCHER PARADIGMEN

*Staatliche Universität Suchumi*

Ausgehend von der Systemcharakter der Sprache, was sich in der wechseleitigen Aufeinanderbezogenheit und in den gegenseitigen Relationen der sprachlichen Einheiten und Erscheinungen zeigt, ist es interessant zu äussern," in welchem Zusammenhang die Antonymie mit dem sprachlichen Phänomen der Synonymie steht". (Klimova, 1975)

Die Relationen zwischen den synonymisch-antonymischen Paradigmen stützen sich vorallerdings auf folgende ausschliessende Faktoren.Es sind: strukturelle Anzeiger des Wortes, die Stileigentümlichkeiten, die Relationen der antonymischen Reihe.

Traditionellerweise wird das Phänomen der Synonymie als "Wörter mit der identischen oder ähnlichen Bedeutung dargestellt"(Schippan, 1975). Obwohl sich die Definition bewährt hat, ist darin ein wesentlicher Umstand—die Sinnstruktur des polysemantischen Wortes ausser Acht gelassen. Es ist möglich, in dieser Struktur für jede konkrete Bedeutung ein entsprechendes Synonym auszusuchen. Davon ausgehend wäre es absolut wahr die Synonyme als Wörter des gegensätzlich-logischen Inhaltes zu betrachten, die miteinander in einer oder mehreren Bedeutungen zusammenfallen.Es ist zweckmässig bei der Synonymiebestimmung die Rolle der Distribution nicht zu vergessen. z.B. für die Synonyme -„bekommen-erhalten"(Görner,1986)-ist hauptsächlich ähnliche Distribution charakteristisch. Sie werden sich im syntagmatischen Schnitt mit denselben konkreten oder abstrakten Substantiven anschliessen---„einen Brief, Geld, ein Buch, eine Antwort bekommen /erhalten". Es gibt aber eine Reihe der Substantiven, die mit einem beliebigen Wort „bekommen" oder „erhalten"kongruiren. Die Eigentümlichkeiten der lexikalischen Bedeutung bedingen nicht so selten die Notwendigkeit der maximalen Präzisierung des antonymischen Phänomens und die Lösung seiner Qualifikationsprobleme. Der Unterschied zwischen den Synonymen wird auch in stilistischer Hinsicht bezeichnet. Der stilistische Unterschied wird in den Paaren fixiert, wo ein Glied einen neutralen sprachlichen Ausdruck der logischen Verben schildert, zweites Glied aber- eine expressiv gefärbte Einheit des selben Begriffs bezeichnet:das Gesicht-das Antlitz/poet/, der Kopf-das Haupt/gehob/, der Mund–die Fresse/vulg/,(Görner,1986)

Die für die Synonymie charakteristische oben aufgezählte alle Merkmale sind für jede Vertreter der synonymischen Reihe bei der Feststellung ihrer Übereinstimmung mit den antonymischen Einheiten zu berücksichtigen. Beim Auswählen der antonymischen Paare ist nicht zuzulassen solch einen Umstand zu vernachlässigen, dass es nicht immer möglich ist, die lexikalische Einheit einer bestimmten synonymischen Reihe durch die andere beliebige Einheit denselber Reihe zu versetzen. Soviel beim gegenseitigen Wechsel der synonymischen Wörter die Redewendung vorwiegend eine unterschiedliche Schattierung einnehmen wird. Auf diese Weise werden die distributionellen Eigentümlichkeiten des konkreten antonymischen Paares beschränkt. Die Einschaltung des differenzierenden Wortes in die synonymische Reihe verursacht ausserdem die Veränderungen der existierenden bilanzierten Relationen zwischen den gegenübergestellten Mitgliedern und gibt ihnen eine ebenso unterschiedliche Schattierung. Demzufolge wird

die Absolutheit der Antonymie in Übereinstimmung mit Synonymität zerstört und ihre gegenseitige Versetzung scharf eingegrenzt..z.B.das Antonym des Adjektivs „zukünftige“-„bevorstehende“(Agricola, 1979)-gibt dem antonymischen Paar parallel mit dem offiziellen Ton zusätzlich eine semantische Schattierung, im konkreten Fall die Bedeutung „des Wartens“ , die im semischen Bestand des Adjektivs „zukünftig“ nicht aufgefasst wird. vergl. zukünftig-in der Zukunft eintretend, bevorstehendes –etw. zu erwartendes: zukünftige/bevorstehende Wahlen-aber zukunftige und nicht bevorstehende Frau, zukunftiger und nicht bevorstehender Schwiegersohn(Agricola 1999). Im solchen Fall werden die distributionellen Angaben bei der Konkretisiertung der antonymischen Einheiten eine entscheidende Rolle spielen.

Das Obenerwähnte ist bei der Feststellung der konkreten antonymischen Einheiten zu beliebigen Mitglied der synonymischen Reihe zu berücksichtigen. Die Analyse der synonymischen Relationen im Rahmen der synonymischen Paradigma bildet eine wahre Grundlage für die Abgrenzung des Sinnenunterschiedes unter den Wörtern und deutet zugleich auf die Existenz der semantischen Verbindung zwischen diesen zwei aussergewönlichen Erscheinungen. Es ist klar, dass es in solchen Fällen nicht zu zulassen ist, die distributionellle Eigentümlichkeiten zu vernachlässigen. Die Richtigkeit der wechselseitigen Relationen der Antonymie und Synonymie bestätigt auch die Meinung, dass ein Wort als wahre Antonym zu zweiten betrachtet wird, wenn es die Substitution dieses Wortes in die identische Distribution durch die Wörter mit den entgegengesetzten Bedeutung möglich ist.z.B.eine normale, gewöhnliche, übliche Sache≠eine anormale, abnormale, ungewöhnliche, unübliche Sache. (Agricola, 1979; Görner, 1986)

Analogische Relationen der Aufeinanderbezogenheit der antonymisch-synonymischen Reihen werden im Rahmen des polysemantischen Wortes bei der Feststellung der oppositionellen Relationen und beim Aussuchen der Einheit mit oppositionellen Semantik für jede einzelne Bedeutung abgesondert.Das Wort mit einigen Bedeutungen ist in der Lage die oppositionellen Relationen mit einer Reihe von Wörtern herzustellen. Die Verbindungen solcher Art werden oft als Wortketten oder Wortreihen erwähnt. Sie enthalten die Wörter mit direkt und ubertragener Bedetungen und werden als klares Beispiel betrachtet, dass für jede einzelne Bedeutung des polysemantischen Wortes seine antonymische Einheit ausgesucht werden soll und das die antonymischen Relationen realisierendes Wort gegen das Zweite Wort synonymische Reihe der lexikalischen Einheiten eines bestimmten Inhaltes bilden kann, wo sich diese Einheiten voneinander nur durch die zusätzlichen Sinnschattierungen unterscheiden. Für derartige Schattierungen ist oft Expresivität eigen.

Die Behauptung hat sich bewährt, dass die Bestimmung der synonymischen Relationen oft als Grundlage der Feststellung des Umfangs der semantischen Struktur der Antonyme betrachet werden kann und ermöglicht den Sinnesunterschied zwischen den Einheiten der antonymischen Reihe zu Äussern, die Spezifik zu erforschen und objektive Schlussfolgerungen zu ziehen. Die Notwendigkeit die Analyse dieses Charakters zu verwirklichen, wird durch die Existenz der bestimmten semantischen Verbindung zwischen den Antonymen und Synonymen bedingt. Durch die Untersuchung der Antronymie und Synonymie in gegeseitiger Verbindung werden auf der Ebene der Gegenüberstellung die Relationen zwischen diesen aussergewöhnlichen Erscheinungen konkretisiert.

Die Notwendigkeit, die Analyse in bezeichneter Hinsicht auszuführen, bezeugt auch eine wahre Tatsache, dass durch nichts die Gegenüberstellung zwischen den Antonymen in solchem Grade geäussert wird, wie es die Präzisierung der Wörter ist, die mit ihnen in synonymischen Relationen stehen und umgekehrt; trotz ihrer wechselseitig ausschliessender Natur, soll sich eine vollständige Schilderung des Wesens der Antonymie, in Verbindung mit der Synonymie erreignen, weil “ es als eine der Eigentümlichkeiten der Antonymie die Übereinstimmung mit der Synonymie anerkannt wird“.(Stepanova,1986)

Die Behandlung der Antonymie in Verbindung mit den Synonymen ermöglicht die objektiven Untersuchungsergebnisse zu bekommen, den Charakter der zwischen zwei voneinander radikal unterschiedlichen Erscheinungen existierenden Relationen zu konkretisieren und ihre Spezifik zu offenbaren.

Für die beliebigen Glieder des antonymischen Paares werden entsprechende synonymische Einheiten oder die Reihen derartigen Einheiten ausgesucht werden.Wenn die Reihe der synonymischen Einheiten eines Mitgliedes mit der Reihe der synonymischen Einheit des zweiten Gliedes in eine rückbezügliche Relation steht, wird in diesem Fall mehrdimensionale Antonymie abgeteilt. Wenn sich die Entgegenstellung der oppositionellen Paare zu einer Einheit im Rahmen nur einer synonymischen Reihe zeigt, ist die Synonymie eindimensional. Die bezeichneten Relationen werden als Gattung zweir wechselseitigen und ausschliessenden radial-lineale(Wedewnskaja, 1973 Verbindungen behandelt, die zwischen den Wörtern der synonymisch-antonymischen Paradigma existieren. Unter der radialen Verbindung ist das Eintreten eines linken Gliedes des antonymischen Paares in gegensätzlicher Verbindung mit den überwiegenden Mehrheit der synonymischen Einheiten des zweiten–rechten Gliedes und die Bildung eines unterschiedlichen Paares vom antonymischen Anfangspaar zu verstehen. Die lineale Verbindung der Wörter wird im Rahmen einer bestimmten Bedeutung in Verbindung einer konkreten Einheit der synonymischen Reihe eines Gliedes mit einem konkreten Einheit der synonymischen Reihe des zweiten Gliedes hergestellt.

Durch die Analyse der Relationen zwischen diesen zwei aussergewöhnlichen Escheinungen wird ihre ebenso gegenseitige Aufeinanderbezogenheit offenbart:

kühn Antonymisches Wortpaar zaghaft
antonymische Relationen
Synonyme zwischen den synonymischen Synonyme
Reihen
_unerschrocken feige
Zaghaft
verzagt
ängstlich

-verwegen zaghaft
verzagt

-wagemütig feige
zaghaft
v erzagt
ängstlich
besonnen
vertnünftig
_wag(e)halsig vorsichtig
gefahrlos

ungefährlich
mutlos
bang
- mutig kleinmutig
ängstlich
feige
furchtsam
zaghaft
verzagt
besonnen
-tollkühn vorsichtig
vernünftig
feige
mutlos
-tapfer zaghaft
verzagt
furchtsam
bang
kleinmut
ängstlich

Die Analyse des antonymischen Wortpaares kühn-zaghaft,(Klappenbach,1977; Wahrig, 1980; Duden, 1983; Görner, 1986) zahlreicher antonymischen Paare und antonymischer Relationen zwischen den synonymischen Reihen bestätigt vor allem die Verbindung dieser zwei bedeutenden sprachlichen Erscheinungen und deutet auf die Existenz der wechselseitigen Aufeinanderbezogenheit der Synonymie und Antonymie. Durch die Synonyme ist es möglich die Qualität der Antonymität mit maximaler Präzisierung festzustellen–je in mehreren Fällen die oppositionellen Relationen der synonymischen Einheiten eines Gliedes des antonymischen Paares mit den synonymischen Einheiten des zweiten Gliedes geäussert werden, desto höher die Qualität der Antonymität der Glieder ist.

Auf die Existenz der gegenseitigen Verbindung zwischen der Antonymie und Synonymie zeugt auch die Behauptung, dass sowohl das Erste als auch das Zweite Glied des antonymischen Gliedes in der Lage ist, in einer identischen Distribution eine beliebige Einheit der synonymischen Reihe dieses Gliedes zu versetzen.

Die zweite Abart der Verbindung zwischen den Einheiten des synonymisch-antonymischen Paradigmas stellt eine lineale Beziehung dar, die vorwiegend durch zwei lexikalischen Einheiten formiert wird-das erste Glied des Paares ist primär, bzw Ausgangspaar, das zweite – das durch die derivativen Elementen erzeugte Wort. z.B. Erfolg-Misserfolg; beschädigt-unbeschädigt . blühen-verblühen, freudig-freudlos.(Agricola, 1999) Die Realisierung der oppositionellen Semantik wird in solchen Einheiten dem wortbildenden Mittel auferlegt, sofern die Identität der Stämmensemantik von den gegenübergestellten Einheiten ihre Polarität völlig ausschliesst.

Sowohl synonymische als auch antonymische Relaitonen werden nicht nur unter den neutralen, sondern auch funktionalen lexikalischen Einheiten hergestellt werden, derer Semantik durch Ähnlichkeit mit der konkreten Funktion des bestimmten Gegenstandes bzw der Erscheinung motiviert wird.z.B. in der semantischen Struktur des Substantivs „der Kopf“(Klappenbach, 1977;Duden, 1983) ist eine der Varianten abgetrennt: „Leitung, Führung, geistiges / seelisches , intelektuales Zentrum“,was eindeutig auf die Funktion des bezeichneten Organs „der Kopf“ –„die Leitung der Menschenhandlungen deutet. Auf diese Funktion beruht sich die Fixierung solcher Wörter als Synonyme, wie:der Leiter, die Leitung, der Führer, die Spitze; der Kopf/ Leiter /Führer der illegalen organisation in Sachsen war im August verhaftet worden; Dieser Mann bildet den Kopf/die Leitung des Unternehmens.( Klappenbach 1977; Duden 1983; Görner, 1986, Bünding, 1996)

Ähnlicherweise wird das Substantiv „der Fuss“(Klappenbach, 1977;Wahrig, 1980) behandelt werden, dessen Funktion ist, den Körper im vertikallen Zustand darzustellen, ihn zu tragen.;der Fuss= tragender Teil von Gegenständen, tragender Teil von Einrichtungsgegenständen. Auf Grundlage der Funktionsidentität wird dieses Substantiv nicht nur in Verbindung mit den Lebewesen verwendet.z.B die Füsse des Kindes, des Alten, des Hundes, der Katze und viele andere, sondern auch bei solchen Substantiven, die Nichtlebewesen bezeichnen, z.B.der Fuss des Sessels, der Säeule, des Turms, des Berges, der Druckseite, des Denkmals, des Burges, der Lamp,e des Glases u.a. (Klappenbach, 1977;Wahrig, 1980; Duden, 1983))

Es sei hervorgehoben, dass mit den Substantiven „der Kopf“, „der Fuss“ die antonymischen Relationen in jedem einzelnem Fall verschiedene lexikalische Einheiten aufnehmen,was durch die konkreten Semantik des Ausgangsmitglieds des oppositonellen Wortpaares realisierte Bedeutung bedingt wird. Als Antonyme des Lexems „der Kopf, der das Koerperteil bezeichnet,sind in den speziellen Wörterbüchern die Wörter –Leib, Körper, Rumpf, Fuss(Agricola, 1979) fixiert; Mit der Bedeutung „der Anführer,“ „der Oberhaupt“ wird dem Wort „der Kopf“ „der Gemeinde, der Soldat “ entgegengesetzt(Agricola, 1979).Ähnlicherweise werden die Antonyme zum Wort „der Fuss“ ausgesucht; jeder einzelnen Bedeutung dieses Wortes werden verschiedene Einheiten gegenübergestellt; vergl.;Fuss des Tisches≠ die Decke des Tisches , der Fuss der Säule≠ das Kapitel der Säule, der Fuss des Menschen≠der Kopf der Menschen, der Fuss des Berges≠ der Gipfel des Berges , der Fuss der Druckseite≠der /untere/Rand der Seite.(Agricola, 1979).

Während der Belehrung der antonymischen Relationen ist es nötig, zufolge der oben ausgesagten Meinungen, die Spezifik solcher Erscheinungen, wie- Antithese, Enantyosemie, Synonymie - in jeden einzelnen Fällen zu berücksichtigen, die mit der Untersuchungseinheit verbunden sind. Hier soll auch die semantische Struktur der antonymischen Wortpaare benannt werden.

*ლალი რატიანი*

## რადიალურ-წრფივი კავშირი ანტონიმიურ-სინონიმიური პარადიგმის სიტყვებს შორის


### *რეზიუმე*

ანტონიმთა და სინონიმთა ურთიერთზემოქმედება ვლინდება განსაკუთრებულ ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის, ორ რიგად წარმოდგენილ, როგორც სინონიმური ისე ანტონიმიური პარადიგმების ფარგლებში. მათ შორის აღინიშნება ურთიერთგამომრიცხავი მიმართებები, რომლებიც დაფუძნებულია აზრობრივი სხვაობის ხასიათზე, სიტყვის სტრუქტურულ მარკერებზე, სტილურ თავისებურებებზე, ანტონიმიურ-სინონიმიურ რიგთა მოცულობაზე.

სინონიმების მეშვეობით ხდება ანტონიმიურობის ხარისხის მაქსიმალური სიზუსტით დადგენა. ანტონიმიური წყვილის როგორც ერთ, ისე მეორე წევრის იდენტურ დისტრიბუციაში შეიძლება ჩაენაცვლოს ამ წევრის სინონიმიური რიგის ნებისმიერი ერთეული. როგორც სინონიმიური, ისე ანტონიმიური მიმართებები მყარდება არა მხოლოდ ნეიტრალურ, არამედ ფუნქციურ ლექსიკურ ერთეულებს შორისაც. სინონიმიურ მიმართებათა განსაზღვრა ხშირად ანტონიმთა სემანტიკური სტრუქტურის მოცულობის დადგენის საფუძვლად გვევლინება

ანტონიმიურ-სინონიმიურ პარადიგმის სიტყვებს შორის განიხილება არსებული კავშირის ორი სახე: რადიალური და წრფივი. რადიალური გულისხმობს ანტონიმიური წყვილის მარცხენა და მარჯვენა წევრის სინონიმიური ერთეულების უმეტესობასთან წინააღმდეგობრივ მიმართებაში შესვლას, წრფივი კი მყარდება ორი ლექსიკური ერთეულით-წყვილის ერთი წევრი პირველადი, ამოსავალი, მეორე კი დერივაციული ელემენტის მეშვეობით წარმოქმნილი სიტყვაა. ასეთ ერთეულებში ოპოზიციური სემანტიკის რეალიზაცია მთლიანად სიტყვამაწარმოებელ ელემენტს ეკისრება, იმდენად რამდენადაც დაპირისპირებულ ერთეულთა ფუძეების იდენტურობა მათ პოლარობას სრულიად გამორიცხავს.

სინონიმიურ-ანტონიმიური პარადიგმების ფარგლებში სინონიმიურ მიმართებათა გამოკვეთა ქმნის სიტყვებს შორის აზრობრივი სხვაობის დაკონკრეტების საფუძველს და ამავდროულად მიუთითებს ამ ორ ფენომენს შორის სემანტიკური კავშირის არსებობაზე. ასეთ შემთხვევაში არც დისტრიბუციული თავისებურებების უგულებელყოფაა დასაშვები.


***Ratiani Lali***

## RADIAL - LINEAR RELATION OF WORDS WITH ANTONYMIC AND SYNONYMIC PARADIGMS


Relations of antonyms with synonyms are shown within special in two given lines of lexical-semantic groups, both synonymic, and antonymic paradigms. Among them the inter-estimate relations are noted which are based on structural markers of words, on stylistic features, on volume of antonymic-synonymic ranks.

By means of synonyms is possible to establish the degree of antonymity with the maximum exactness. Both the first and the second members of antonymic pairs can be replaced with any unit of a synonymic line of the same member. Both the synonymic and antonymic relations are established not only between neutral, but also functional lexical units. The definition of synonymic relations is often the basis of semantic structure of antonyms volumes.

Between words antonymic-synonymic paradigms of words are considered two types of existing relations – radial and linear. Radial relations implies input of the left and right members of antonymic pairs in opposing relations with most of synonymous units. The linear relation is formed by two lexical units, the first component of pair is the primary, and the second - by means of a derivative element is a reproduced word. The realization of oppositional semantics in such lines of units is assigned to a word-formation element as identity of basis of opposed units estimates entirely their polarity.

Distinguishing synonymic relations within antonymic-synonymic paradigms creates a basis for a specification of semantic distinction between words and at the same time points to existence of a semantic relation of these phenomena. In such cases denial of distributive units isn't admissible.

*გივი ხაზალია*

# არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემა ფსიქოლოგიაში

კაცობრიობამ გარემომცველ ბუნებაზე დაკვირვების, ინფორმაციის მოპოვებისა და მისი სათანადო შესწავლის გზით ერთი მეორის მიმდევრობით დაამკვიდრა მეცნიერული კვლევის ინფორმაციული, სისტემური და სინერგეტიკული მიდგომები.

ბუნებრივია კვლევის ობიექტების თვისობრივი მახასიათებლების არსებითი განსხვავებულობის გამო იცვლებოდა მეცნიერული კვლევის ერთი მიდგომა მეორით.

შესასწავლი პრობლემისადმი მეცნიერული მიდგომის სწორად შერჩევა არამცთუ საჭიროა, არამედ აუცილებელიცაა. ამის ნათელი მაგალითია, არაცნობიერი ფსიქიკური. მის შესწავლას მიეძღვნა ხუთი საერთაშორისო სიმპოზიუმი, მაგრამ უშედეგოდ. წარუმატებელი შედეგის მთავარი მიზეზი კი ჩვენი შეხედულებით სისტემური მიდგომის ნაცვლად ინფორმაციული მიდგომის გამოყენება იყო.

ოთხი საერთაშორისო სიმპოზიუმიდან ხანგრძლივი დროის შემდეგ, 1979 წ. 29 სექტემბერს, თბილისში მუშაობა დაიწყო მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმმა, რომელიც ისევ და ისევ არაცნობიერი ფსიქიკურისადმი იყო მიძღვნილი.

„წინამდებარე კოლექტიური მონოგრაფია, რომელიც მიეძღვნა არაცნობიერის ბუნებასა და ფუნქციას არ არის ჩვეულებრივი არც თავისი შინაარსით და არც მისი შექმნის ისტორიით“.1 ასე იწყება თბილისური სიმპოზიუმის სქელტანიანი და ფართოფორმატიანი ოთხტომეულის პირველი ტომის შესავალი, რომელიც დაწერილია სარედაქციო კოლეგიის წევრების ფ. ბასინის, ა. ფრანგიშვილისა და ა. შეროზიას მიერ.

კოლექტიური მონოგრაფიის შექმნის თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ სამი წლის განმავლობაში თბილისის საერთაშორისო სიმპოზიუმის როგორც უცხოელ ისე ადგილობრივ მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ ეთანამშრომლათ სარედაქციო კოლეგიასთან.

მართალია არაცნობიერისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი მოეწყო ქ. ბოსტონში 1910 წელს ფროიდის ინიციატივის საფუძველზე, მაგრამ მეცნიერებმა ფროიდამდე ასი წლით ადრე გამოთქვეს მოსაზრება არაცნობიერის არსებობის თაობაზე.

შესავალი ტექსტის მე-16 გვერდზე კი ვკითხულობთ:

„გამოჩენილი ინიციატივის შედეგია წინამდებარე კოლექტიური ნაშრომი. რედკოლეგიამ გაითვალისწინა განსაკუთრებული თავისებურება და პარადოქსები არაცნობიერის პრობლემებისა და მისი ევოლუციის: უმაგალითო სიმწვავე კამათის, რომლებიც მიმდინარეობს ამ პრობლემის გარშემო უკვე ასი წელია, იმ ორ უკიდურესად დაპირისპირებულ თვალსაზრისებს შორის, რომლის მიხედვითაც მეცნიერების ერთი ნაწილის შეხედულებით არაცნობიერი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის სულიერი ცხოვრების სხვადასხვა გამოვლინებებში, ხოლო მეორე უკიდურესობის წარმომადგენლები საერთოდ უარყოფენ არაცნობიერი ფენომენის არსებობას“.

არცერთ მეცნიერულ მიმართულებას არ გამოუწვევია ისეთი მძაფრი ინტერესი და აზრთა ისეთი სხვადასხვაობა, როგორიც გამოიწვია არაცნობიერის პრობლემამ.

თბილისური სიმპოზიუმის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ პროფესორი ფ. ბასინი (თბილისური კონფერენციის სარედაქციო კოლეგიის წევრი) წერს:

«От полного непризнания до попыток объяснить чуть ли не вес мир с позиции бессознательного – вот границы того поля, на котором разгарались Тбилиси научные баталии.

Но было бы покушением на истину утверждать, что в вопросе о бессознательном есть очевидно правые и очевидно неправые, то есть будто бы можно легко и с увереностью сказать вот это точка зрения истинна, а это – ошибочна.

Увы, нередко доводы и про и контра звучат в данном случае почти одинаково убедительно (Журнал «Знание – сила», октябрь, 1982 г.).

ვერც თბილისურმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა დაამთავრა მუშაობა დადებითი შედეგით და ამას ფ. ბასინის გამონათქვამიც კარგად ადასტურებს.

ვინაიდან ფსიქოლოგების მიერ განსახილველად დასმული პრობლემა ეხებოდა ადამიანს, ჩვენი შეხედულებით სიმპოზიუმზე დასმული პრობლემა უნდა განხილულიყო არა ინფორმაციული, არამედ სისტემური მიდგომით. ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, სისტემაა და შესაბამისად ყველა ადამიანთან დაკავშირებული პრობლემა სწორედ სისტემური მიდგომით უნდა განხილულიყო.

სისტემური მიდგომის ფუძემდებელმა ლ. ბერტალანფმა კვლევის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე ასე განმარტა სისტემა:

«Система – это комплекс взаимодеиствующих элементов».

სისტემური მიდგომის არა მხოლოდ პოპულარიზაციაში, არამედ მისი გამოყენების არეალის გაზრდასა და განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის დიდ ქართველ მეცნიერს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემათა ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილს, რომელმაც 2009 წელს ქ. მოსკოვში გამოაქვეყნა ნაშრომი «Системный подход и общесистемные закономерности». ბატონი ივერის განმარტების მიხედვით: «Система – это наличие структуры. Это значит что как нечеткие так строгие формализованные, упрошенно отождествляют понятие системы с понятием её структуры».

ინტერნეტში განთავსებული განმარტების მიხედვით კი: «Система – множество взаимосвязаных элементов, обособленное от среды и взаимодействующее с ней как целое».

არაცნობიერ ფსიქიკურთან დაკავშირებით ჩვენს მიერ შემოთავაზებული განმარტების მიხედვით:

„სისტემა თვითმართვადი პროგრამითა და თვითმართვის მექანიზმებით ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების სტრუქტურული წყობაა“.

დედამიწაზე მოსახლე მილიონობით ცოცხალი არსება განსხვავდება ერთმანეთისაგან არა მხოლოდ სხეულებრივი მექანიზმით, არამედ აგრეთვე თვითმართვადი პროგრამით.

ფსიქოლოგების მიერ არაცნობიერიერად ალიარებული ფენომენი სწორედ ის თვითმართვადი პროგრამაა, რომელიც სხეულებრივი მექანიზმის შესაბამისად მიეცა თითოეულ ცოცხალ არსებას არსებო-

1 არაცნობიერი, ბუნება, ფუნქციები, კვლევის მეთოდები; თბილისი, 1978, გვ. 15.

ბა-ფუნქციონირებისათვის. სწორედ თვითმართვადი პროგრამა, სხეულებრივი მექანიზმი და დედამიწაზე არსებული გარემო პირობები არის ის სამი არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს ცოცხალი არსებების არსებობა-ფუნქციონირების წესს.

შესაბამისად, დედამიწაზე მოსახლე მილიონობით ცოცხალი არსება განსხვავდება ერთმანეთისაგან სწორედ თვითმართვადი პროგრამით, სხეულებრივი მექანიზმითა და არსებობა-ფუნქციონირების წესით.

რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს ეს, ცოცხალი არსებების მილიონობით სიმრავლიდან სწორედ ადამიანია ის ერთადერთი ცოცხალი არსება დედამიწაზე, რომლის თვითმართვად პროგრამაში დღიდან მისი გაჩენისა პოტენციური შესაძლებლობის სახით გათვალისწინებული იყო: დაკვირვების, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების, გამოცდილების დაგროვების, სიახლეების მიგნება-აღმოჩენისა და ადამიანთა საზოგადოებაში დაგროვილი ცოდნის შეთვისებისა და მისი გამოყენების უნარი.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ პირველყოფილი ადამიანი, ყველა სხვა ცოცხალი არსებების მსგავსად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმართებოდა სწორედ იმ თვითმართვადი პროგრამით, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გამდიდრებული ცნობიერით. მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ სიახლეების მიგნება-აღმოჩენის გზით იწყებს ადამიანი არაცნობიერი თვითმართვადი პროგრამის ცნობიერით გამდიდრებას.

ადამიანს აქვს სიახლის მიგნება-აღმოჩენის უნარი, შესაბამისად აქვს განვითარების შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, ცხოვრების მისთვის განკუთვნილი დროისა და ლიმიტირებული ენერგო-რესურსების გამო ადამიანი ვერ იქნება თვითგანვითარებადი სისტემა. შესაბამისად, ადამიანი არის სიახლეების მიგნება-აღმოჩენისა და, მაშასადამე, განვითარების უნარის მქონე სისტემა. რაც შეეხება ადამიანთა საზოგადოებას ის ადამიანისაგან განსხვავებით განვითარების უნარის მქონე თვითგანვითარებადი სისტემაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფსიქოლოგებს უნდა გამოეკვლიათ ცოცხალი არსებების ის მნიშვნელოვანი თავისებურება, რომლის მიხედვითაც თითოეულ მათგანს სხეულებრივი მექანიზმის შესაბამისად გააჩნია მისთვის და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი, რომ თითოეული მათგანის არსებობა-ფუნქციონირება ერთმნიშვნელოვნად არის განპირობებული მათი კუთვნილი თვითმართვადი პროგრამით, რომ ადამიანის თვითმართვადი პროგრამა ერთად-ერთია მილიონობით ცოცხალი არსებების თვითმართვად პროგრამებს შორის, რომ ადამიანს დღიდან გაჩენისა, პოტენციური შესაძლებლობის სახით, გააჩნია სიახლის მიგნება-აღმოჩენის უნარი, ანუ პირველყოფილი არაცნობიერი ქცევა-მოქმედების ცნობიერი ქცევა-მოქმედებებით გამდიდრების შესაძლებლობა.

არაცნობიერის არსებობის მომხრე ფსიქოლოგები თბილისური სიმპოზიუმის მასალებში ხშირად იშველიებენ დ. უზნაძის განწყობის თეორიას, მაგრამ ჩვენი შეხედულებით უშედეგოდ. მართლაც, იმ სიტუაციის განმეორებით დანახვა, რომელიც არაერთგზის გამხდარა ადამიანის რომელიმე საარსებო მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება, ბუნებრივია გამოიწვევს ადამიანში იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილების განწყობას, რომელიც წარსულში არაერთგზის გამხდარა მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების წყარო. მაგრამ ეს განწყობა შეიძლება იყოს როგორც გაცნობიერებული, ისე გაუცნობიერებელი. ამიტომ განწყობის თეორიის მოშველიებით არ შეიძლება არაცნობიერის არსებობის დამტკიცება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფსიქოლოგების იმ ნაწილს, რომლებიც არ აღიარებენ არაცნობიერის არსებობას სამართლიანობა მოითხოვს მივმართოთ შეკითხვით: პირველყოფილი ადამიანების თვითმართვადი პროგრამა, რომლითაც ისინი იმართებოდნენ ასეული წლების მანძილზე ცნობიერი იყო თუ არაცნობიერი. ეს რიტორიკული შეკითხვა ერთმნიშვნელოვნად პასუხობს დასმულ კითხვაზე. ადამიანები საკმარისად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მილიონობით ცოცხალი არსებების მსგავსად იმართებოდნენ სწორედ არაცნობიერი თვითმართვადი პროგრამით.

არაცნობიერი მეტად საინტერესო, ამასთან ერთად, მეტად მრავალკომპონენტიანი ფენომენია და ის იმსახურებს არა მხოლოდ ფსიქოლოგების, არამედ სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ყურადღებას. მართლაც, ადამიანის თვითმართვადი პროგრამა მოიცავს თავის თავში მთელ რიგ ისეთ შესაძლებლობებს, რომლებსაც ადამიანების ძალიან მცირე ნაწილი იყენებს, მაგრამ საინტერესოა მეცნიერებისათვის. მათ რიცხვს მიეკუთვნება: ტელეკინეზი — ნივთების გადაადგილება ფსიქიკური ენერგიის საშუალებით, ჰელსტრომიზმი — კუნთის რეაქციის საშუალებით აზრების წაკითხვა, რენტგენული ანუ ალტერნატიული ხედვა, ჰიპნოზის საშუალებით რომელიმე ინფორმაციის შთაგონება, არიან ადამიანები, რომლებსაც ჩვეულებრივზე გაცილებით დიდი ინტენსიობის ბიოდენი აქვთ (ჯუნა დავითაშვილი, მაგული გორდელაძე). ისინი წარმატებით იყენებენ ამ მონაცემს სამედიცინო პრაქტიკაში.

ადამიანის ქცევა-მოქმედებათა სიმრავლეში არის ქმედებები, რომლებიც სრულდება მომენტალურად, ცნობიერის ჩარევის გარეშე. მათ რიცხვს მიეკუთვნება ზედმეტად ცხელი სხეულისაგან ხელის სწრაფი მოშორება, როგორც ფხიზელ ისე ძილის მდგომარეობაში დაკარგული წონასწორობის აღსადგენი ქმედებების სიმრავლე. ყველა ისინი ადამიანის დამცავი მექანიზმებიდან იღებენ სათავეს და ჩვენი შეხედულებით არაცნობიერ ქცევათა კატეგორიას მიეკუთვნებიან.

არაცნობიერის უარყოფა ერთი მხრივ ცნობიერისა და არაცნობიერის გაიგივების ტოლფასია, მეორე მხრივ ადამიანის თვითმართვადი პროგრამისა და მილიონობით ცოცხალი არსების, თვითმართვადი პროგრამების იდენტურობის მტკიცებაა, რაც ალბათ მიუღებელია.

# ისტორია

*სიმონ ზაქარაია*

## „წმინდა ნინოს“ მოღვაწეობა ქართლში, ქართული ისტორიოგრაფიის ორგანული ნაწილია

**მოკლე შესავალი**

საქართველოში, ყოველი ქრისტიანისათვის საინტერესოა და ვფიქრობ აუცილებელიც კი იმის ცოდნა, თუ როდის შემოვიდა და დამკვიდრდა ჭეშმარიტი სარწმუნოება – ქრისტიანობა ჩვენს ქვეყანაში და ვის მიუძღოდა ამაში უდიდესი წვლილი... და ეს ეკუთვნის წმინდა ნინო კაბადოკიელს, მის მრავალწლიან თავგანწირულ მოღვაწეობას. ეს სარწმუნოება თავიდანვე ქართველი კაცის შინაგანი ბუნებისათვის ისეთი ახლობელი შეიქმნა, რომ დღიდან ქრისტეს რჯულის მიღებისა დღემდე, ქართველ ერს მასზე არასოდეს უღალატია. ამ ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის და მის სადიდებლად, უკვდავსაყოფად უამრავი სასწაულები ჩაუდენია ათეული საუკუნეების განმავლობაში.

არა მარტო ქართველი ერისათვის, არამედ სხვებისთვისაც დაუვიწყარია თბილისში, მეტეხის ხიდზე ურჯულოების მიერ უთანასწორო ომში დამარცხებული და იარაღაყრილი ასი ათასი ქართველისათვის თავის მოჭრა ქრისტეს რჯულის ერთგულებისათვის, როცა მდინარე მტკვარი, პოეტურად რომ ვთქვათ, ქართველთა „სისხლში ცურავდა“. და ვინ იცის ეს შემაძრწუნებელი პროცესია სანამ გაგრძელდებოდა, თვით ჯალათებს რომ არ შეეწყვიტათ, და შეწყვიტეს იმიტომ კი არა, თუნდაც ერთ ქართველს ეღალატნა თავის რჯულისათვის, არამედ თვით ურჯულოებმა ვერ გაუძლეს ასეთ არგაგონილ და არნახულ ტრაგედიას. მსგავსი ტრაგედიებით აღსავსეა ქრისტიანული სარწმუნოების ისტორია ქართველი ხალხისა, როგორც საქართველოში ასევე დღევანდელი თურქეთის, სპარსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე.

ერთი სიტყვით, ისე როგორც ქრისტიანული სარწმუნოებისათვის (არ იგულისხმება არიანული, მონოთეიზმური, მონოფიზიტური და სხვა სექტები) ერთარსია მამა, ძე და სულიწმინდა, ასევე ერთარსია ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ენა, მამული და სარწმუნოება.

**ჩვენ, ჩვენი ერის ისტორიას არ გვასწავლიდნენ**

საბჭოთა სისტემის პერიოდში, ბევრ სხვა საკითხებთან ერთად, ტაბუირებული იყო სხვადასხვა ერების ჭეშმარიტი ისტორიების ლეგალიზაცია, გარდა ერთეულებისა, რომლებსაც მიეწერებოდა კაცობრიობის განვითარების ყოველივე პროგრესული თავისი ეტაპებით. სწორედ ამის გამო, ჩვენი თაობისათვის მიუწვდომელი იყო თუნდაც საკუთარი ერის საამაყო წარსულის ცოდნა.

საბედნიეროდ, უკანასკნელმა ორმა ათეულმა წლებმა, ნათელი მოჰფინა დიდი მეცნიერების გამოკვლევებს პრეისტორიის, ისტორიისა და არქეოლოგიის დარგში, სადაც ჯერჯერობით მცირე მოცულობით, მაგრამ მაინც გამოჩნდა რიცხობრივად მცირე ერების ღირსეული კვალი კაცობრიობის უძველესი და შემდგომდროინდელი ცივილიზაციების შექმნაში. უდაოდ ერთ–ერთი ასეთთაგანია ქართველი ერი, მისი საამაყო წარსულით.

სულიერად, უდაოდ უბედურად მიმაჩნია, თუ გნებავთ საშუალო განათლების ადამიანიც კი, რომელიც ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ თავისი ხალხის წინაპართა ისტორიას ვერ გაეცნო. ჩვენ სხვადასხვა პროფესიის ქართველებს (ყოველ შემთხვევაში არა ისტორიკოსებს) თავის დროზე არ მოგვეცა საშუალება გვესწავლა ჭეშმარიტი ისტორია. ეს ბოლო ათეული წლები დიდი ენთუზიაზმით ვიღწვით ვეძიოთ და ჩავწვდეთ ჩვენი წინაპრების შორეულ წარსულს, მათ ადგილს სხვა გამორჩეულ ხალხთა ისტორიაში. საბედნიეროდ ქართველთა წინაპრები უძველეს პრეისტორიულ დროიდან დღემდე, მუდამ წარმოადგენდა არა ველურ, ხალხთა ცივილიზაციის დამანგრეველ ტომებს, არამედ მშენებლებს, რომლებსაც მუდმივად შეჰქონდა სიახლე მსოფლიო ცივილიზაციის როგორც სამეურნეო ცხოვრებაში ასევე აზროვნების განვითარებაში.

როგორც ქართველი, ისე მსოფლიოში ცნობილი სხვა ეროვნების დიდი მეცნიერები, ქართველთა შორეულ წინაპრებად მოიხსენიებენ ცივილიზაციის სათავეებში მოღვაწე შუმერებს, მცირე აზიაში კაპადოკიელებს, ტროელებს, აპენინის ნახევარკუნძულზე პელაზგებს, პირენეიზე ეტრუსკებს, იბერი–ბასკებს, დიდ ბრიტანეთზე – პიქტებსა და სხვ.

აქ ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი ცივილური თუ ნახევრად მომთაბარე ხალხები, რომლებიც გადაურჩნენ წარსულის ქარტეხილებს, შინაგანად მოწოდებულნი არიან იმაზე, რომ ყოველგვარი მეთოდებით ხელში ჩაიგდონ სხვისი მამული და მათი კულტურული მემკვიდრეობა, (დღეს ასეთებია აფსუები).

**ქუჩის უცნაური გაკვეთილი . . .**

ჟურნალ „ათინათის“ წინა, მე–4 ნომერში, ჩემს მიერ გამოქვეყნებული იყო სტატია – „მცირე ცნობები კაპადოკიის მოსახლეობისა და წმინდა ნინოს ეროვნულობის შესახებ,“ სადაც დასაწყისში ვწერდი, რომ საჭიროდ არ მიმაჩნდა ამ საკითხის გარშემო მომეტანა დაპირისპირებულ მხარეთა მოსაზრებები და განმეხილა.. ასეც იყო. თუმცა ამ სტატიაში ასეთი სურვილი ნაწილობრივ ირღვევა ერთი გარემოების გამო, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ:

ა/წლის 2 აგვისტოს, წმინდა ილია მართლის (ი. ჭავჭავაძე) დღეს თბილისში, თავისუფლების მოედნის წინ გაჩერებაზე ავტობუსიდან ჩამოვედი და იქვე მოსაცდელში შევხვდი მეგობრებს - „ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებს, ბატონებს – ტარიელ მუმლაძეს, პროფესიით მათემატიკოსს, მწერალს, პუბლიცისტს, ისტორიული მნიშვნელობის ნაშრომების ავტორს, ზაურ გოგოლაძეს, მწერალს, საზოგადო მოღვაწეს. ჩვენი ეს დღე მივულოცეთ ერთმანეთს, რის შემდეგ საუბარი გავმართეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ბატონმა ტარიელმა თქვა, რომ მას გამოსაცემად აქვს გამზადებული ნაშრომი ანდრია პირველწოდებულზე და ნაბეჭდი თაბახებიც გვაჩვენა. შემდეგ დასძინა, რომ მას ჩემი სტატია „წმინდა ნინოზე“ წაუკითხავს, და ზოგიერთ საკამათო ციფრებზეც ვიმსჯელეთ. ამაზე საუბარი არც კი გვქონდა დამთავრებული, როცა ჩვენს გვერდით მჯდომი შუახნის, უსათუოდ სხვა ტომის ქალი (სახეზე ზომაზე უფრო შავი იყო) უხეშად, ყოველგვა-

რი მორიდების გარეშე ჩაგვერია და წინასწარ მომზადებულივით მოგვახალა: „თქვენ რა, არ კითხულობთ დიდი კლასიკოსების ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის წიგნებს, რომლებმაც დაასაბუთეს, რომ რაც წმინდა ნინოზე დაწერილა წარსულში, ყველაფერი მითოლოგია და ზღაპარიაო," მერე ფეხზე წამოდგა და დასძინა – „რაზედაც ახლა თქვენ აქ საუბრობთ ყველაფერი სიცრუეა"–ო. ასეთი „ნაღმის აფეთქების" შემდეგ ის ქალი სწრაფად გაჩერებული ავტობუსისკენ გაიქცა და სალონში შევიდა.

ჩვენს პასუხს მის ნათქვამზე, ქონდა თუ არა ღირებულება (თუმცა ისტორიის გამყალბებლისთვის ასე ნაუცბათევად რა უნდა გვეთქვა, რომც ის ქალი ბოლომდე ჩვენთან დარჩენილიყო), მაგრამ რაც იქ იმაზე რომ გვეთქვა, მას აქ ამ სტატიაში მოგახსენებთ...

**ერი, პიროვნებზე ყოველთვის დიდია**

ისმება კითხვა, ქონდა თუ არა იმ ქალბატონს იმის თქმის საფუძველი, რომ მას პრინციპულად ეთქვა ჩვენთვის, დიდი ქართველ კლასიკოსებს ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს და კ. კეკელიძეს თავიანთ გამოკვლევებში მე–4 საუკუნის ისტორიული თხზულებაზე ნინოს „ცხოვრების" შესახებ მითოლოგია (და ბევრი სხვაც) ეწოდებინა? ჩვენ სამივემ კარგად ვიცოდით, რომ ჩვენს სასიქადულო მეცნიერებას თავიანთ გამოკვლევებში აქვთ საუბედუროდ გამოთქმული მსგავსი მოსაზრებები.

დასაწყისშივე მინდა გავახმიანო ის ფაქტი, რომ მომდევნო თაობების მიერ ჩატარებული მრავალმხრივი გამოკვლევებით, უკვე გაცემულია დადებითი და დამაჯერებელი პასუხები წმინდა ნინოს „ცხოვრების" შესახებ იმ უარყოფით მოსაზრებებზე, რომელიც თავის დროზე გამოთქვეს ჩვენმა დიდმა მეცნიერებმა.

ახლა კი ძალიან მოკლედ იმ უარყოფით შეხედულებებზე, რომელიც ჩვენს კლასიკოსებს აქვთ (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე) ჩამოყალიბებული თავიანთ ნაშრომებში „ნინოს ცხოვრებასა" და „მოქცევაი ქართლისაი" შესახებ.

ნიკო მარი – ნინოს ცხოვრებაში ამბავს იგი უწოდებს სირიულ ლეგენდას, სადაც პირველადი სახითაც არაა შემორჩენილი . „ნინოს ცხოვრებაში" შემონახული საოცრად ლეგენდარული გადმოცემა, მართლაც ისეთი ფანტასტიურია, რომ მასში ოდნავ ისტორიული სიმართლეც არაა!!"

ივ. ჯავახიშვილი – „. . . ჩვენი მკვლევარები (მხედველობაში აქვს ალ. ხახანაშვილი და თ. ჟორდანია) მეტისმეტი ნდობით, თითქმის მოწიწებით ეპყრობიან ჩვენ ორ უძველეს მატიანეს, რასაკვირველია, იმიტომ, რომ შატბერდულ წმინდა ნინოს ცხოვრების, თვით ნინოს ნაამბობად და მის თანამშრომელთა და თანამედროვეთა ნაწერად თვლიან." და შემდეგ „წმინდა ნინოს ცხოვრებაც მცირეოდენი ცნობის გარდა ... საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების გამოკვლევისათის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

კ. კეკელიძე – „სამწუხაროდ, რამდენადაც საინტერესოა ქრისტიანობის შემოსვლა ქართლში, იმდენად ბურუსითა ის მოცული, ნინოს შატბერდულ –ჭელიშური ცხოვრების „ცნობების, ისტორიული ღირებულება დიდი არ არის, ისინი სავსეა ლეგენდებით, ანაქრონიზმით და ერთიმეორის საწინააღმდეგო ფაქტებითა და თქმულებებით."

რა თქმა უნდა, ამ მეცნიერების უარყოფითი შეხედულებები და შეფასებები „ნინოს ცხოვრებისა" და „მოქცევაი ქართლისაი" შესახებ, ამით არ მთავრდება, მაგრამ ესეც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მათი მოსაზრებები და მტკიცებულებები კრიტიკის საგანი გამხდარიყო.

გარდა ამისა, ნ. მარის მტკიცებით ტაოსა და კლარჯეთის ტერიტორია საქართველოს ხელში მხოლოდ მე–8, მე–9 საუკუნეებში გადავიდა და ამ დროიდან დაიწყო „ეთნოგრაფიულად სომხური" ტერიტორიების გაქართველება და ქართული მონსატრების მშენებლობა. როგორც პავლე ინგოროყვა წერს „თავის „გიორგი მერჩულეში," „მარი ავლენს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის უცოდინარობას, როცა არტანუჯს ტაოსთან აიგივებს, ეს საქმის ერთი უბედურებაა, მაგრამ კიდევ უფრო საზარელი ისაა, რომ მარის ამ სიცრუეს იზიარებს კორნელი კეკელიძე და მისი მტკიცებით ტაო–კლარჯეთში „რამდენიმე მნიშვნელოვანი ქართული სავანე სომეხთა ნამონასტრალზე აშენდა." ქართული კულტურის ისეთ ძეგლებს, როგორიცაა ოპიზა, ხანძთა, იშხანი, მიძნაძორი, შატბერდი და სხვა. კ. კეკელიძე სომხების აშენებულად თვლიდა!!! ამის შემდეგ სრულებითაც არ არის გასაკვირი როცა კეკელიძე წერდა, რომ ნინოს დაბადების პერიოდში კაპადოკიაში ქართველური ტომები (ლაზები, ჭანები, გუგარქები, ხალიბები, ქალდები) არ ცხოვრობდნენო, რაც რა თქმა უნდა არაა რეალური.

ამაზე აი რას ამბობს პავლე ინგოროყვა – „მე–8 საუკუნის მეორე ნახევრამდე არტანუჯის ხეობის მოსახლეობის სომხურად მისაჩნევად არავითარი საფუძველი არ არსებობს, მესხეთის უკიდურეს სამხრეთ–დასავლეთ ნაწილში – ზემო სპერსშიც კი, რომელიც მაშინ სომხეთს ეჭირა, სომეხი ისტორიკოსი მოვსეზ ხორენაცი VII ს–ში ამ მხარეს ისეთ ტერიტორიად ასახელებს, სადაც სომხური ენა არ ისმოდა. უფრო გვიან, VIII საუკუნის სომეხი ავტორი სტეფანე სივნელი სპერში, ისევ ადგილობრივი, ე.ი. ქართულ დიალექტზე მიუთითებს. ქართლში ქრისტიანობის შემოსვლის დროისათვის ჯერ კიდევ ქართული ჩანს სპერის დასავლეთით მდებარე კაპადოკიის მოსახლეობაც (რასაც კ. კეკელიძე უარყოფს). და ბოლოს პ. ინგოროყვა აღნიშნავს – აგათანგელოზის თხზულების ვერსიაში ქ. სებასტიიდან ეგრისში მოსული სასულიერო პირების ქართველებად დასახელება ამის დამადასტურებლად უნდა მივიჩნიოთ."

**ეპისკოპისი ანანია ჯაფარიძისეული კრიტიკა**

„1897 წელს ნ. მარმა გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ „ნინოს ცხოვრების ვრცელი რედაქცია არ უნდა იყოს IX საუკუნეზე ადრინდელი ძეგლი. ნ. მარს ეს არგუმენტაცია აშკარად საკმარისად არ ეჩვენებოდა მსჯელობიდან გამომდინარე. ეს ჩანს არა მარტო იქიდან, რომ ზემოთ მოტანილ დასკვნას ვარაუდის ფორმა აქვს, არამედ იქიდანაც, რომ 1906 წელს გამოქვეყნებულ სხვა ნაშრომში „ნინოს ცხოვრების ვრცელი რედაქციის თარილთან დაკავშირებით მან მიუთითა არა საკუთარი ზემოთ აღნიშნული შრომა, არამედ 1900 წელს გამოსული ივ. ჯავახიშვილის „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში". რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილს მას ზემოთ დასახელებულ წერილში არავითარი საგანგებო მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ მაინცდამაინც აღნიშნულ საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს ეს ძეგლი, მოცემული არა აქვს. თავის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში" კი „ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქციის თარიღზე საუბრისას ნ. მარის ნაშრომი და ის არგუმენტი აქვს მითითებული, რომელიც თავის დროზე ნ. მარმა საკმარისად არ მიიჩნია და ამის გამო არ მოიშველია."

რაც შეეხება კ. კეკელიძეს იმის შესახებ, რომ მას

„ნინოს ცხოვრების" გვიანი ხანის დამათარიღებელ ერთ–ერთ საბუთად მარტის წელიწადი მიაჩნია. შემდეგ მის სხვა ნაშრომებიდან კი ვიგებთ, რომ თურმე, იმის გარკვევას, თუ როდის შემოვიდა ჩვენში მარტის წელიწადი, მკვლევარი ახდენს თვით ვრცელი „ნინოს ცხოვრების" საშუალებით, იმის დაშვებით, რომ იგი IX საუკუნის ძეგლია." ამის შემდეგ ეპ. ან. ჯაფარიძე დასძენს, „ზემოთ თქმულიც აშკარას ხდის, რომ ქართული წყაროების მიმართ ჰიპერკრიტიკული (გადაჭარბებული ს.ზ.) დამოკიდებულების პირობებში „ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქციის გვიანი საუკუნეებით დათარიღება ხდებოდა ფაქტებზე ძალდატანებით. როგორც მსჯელობაში ლოგიკური წრის შემცველნი ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის მტკიცებანი არ შეიძლება მიღებულ იქნას არგუმენტად განსახილველი ძეგლის, თარილის გარკვევისას. დღეს სპეცილისტთა ნაწილის მიერ ვრცელი „ნინოს ცხოვრების" გვიან ხანაში შექმნის შესახებ თვალსაზრისის გაზიარება ემყარება მხოლოდ და მხოლოდ დასახელებულ მკვლევართა ავტორიტეტს და არა რაიმე გამტკიცებულ საბუთს. ამგვარად არა გვაქვს არავითარი საფუძველი არ დავუჯეროთ თხზულებისვე მითითებას იმის შესახებ, რომ იგი მეოთხე საუკუნის ძეგლია. აქედან გამომდინარე, სალომე უჟარმელის ავტორობასაც არაფერი ელობება წინ. წყაროთმცოდნეობაში მიღებული წყაროს „უდანაშაულობის პრეზუმციის" პრინციპის თანახმად, ჩვენი ძიება აქ უნდა შეწყდეს".

ბოლოს, ერთ–ერთი გამორჩეული მკვლევარის ვ. გოილაძის მიერ ეპისკოპოსი ან. ჯაფარიძის „საქართველოს ეკლესიის ისტორიის" ოთხტომეულის შესახებ გაკეთებულ რეცენზიაში გამოთქმულია შენიშვნები ნიკო მარის ანტიმეცნიერულ მოსაზრებებზე: „თავის დროზე ნიკო მარის მიერ გამოთქმული ანტიმეცნიერული მოსაზრება, თითქოს VII-IX საუკუნეებამდე ტაო–კლარჯეთის მოსახლეობა არაქართული იყო და ამ მხარეების ქართული კულტურის ძეგლები სომხურის ნანგრევებზე აშდენდა, კ. კეკელიძემ და ა. აბულაძემ გაიზიარეს. მკითხველისათვის ცნობილია მარის თეორიამ თუ რა მავნე შედეგები გამოიღო, თუ როგორ გამოიყენეს იგი ნ. ტოკარსკიმ, ა. იაკობსონმა, ვ. მიხალკოვამ და სხვებმა ტაო–კლარჯეთის ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლების არაქართულად გამოსაცხადებლად."

ნათქვამია „ციხე შიგნიდან ტყდებაო", დიდი მკვლევარების გაუთვალისწინებელ მოსაზრებებს მტერი თავის სასარგებლოდ ეფექტურად იყენებს, ჯერ მორალურად წაგართმევს შენი წინაპრების საამაყო ისტორიულ მემკვიდრეობას, ხოლო შემდეგ კი იარაღის ძალით, რისი ფაქტების საუბედუროდ მრავლად გვაქვს და არც მომავალშიც არა ვართ დაზღვეულები.

მცირე ცნობები საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ ევროპულ წყაროებში

ვფიქრობ ზედმეტი არ იქნება თუ ამ სტატიაში მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს ალექსანდრე თვარაძის წიგნიდან „საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში".

„ამ მხარეში ცხოვრობს სხვა ქრისტიანი ხალხი, რომელთაც უკეთესად სწამთ ღმერთის და არიან მაგარნი და მძლავრნი ომებში. სარკინოზებს მათ მეტისმეტად ეშინიათ და ვერ ბედავენ ზიანის მიყენებას, ამ ხალხს ქართველები ეწოდებათ. როდესაც იერუსალიმში მიდიან, რათა თაყვანის სცენ ჩვენი უფალი იესო ქრისტეს წმინდა საფლავს, ისინი სარკონოზებს არსად არ უხდიან ხარკს. ამ ქვეყნის კეთილშობილი ქალები შეიარაღებულნი და სწრაფ ცხენებზე ამხედრებულნი საქართველოს რაინდთა მხარდამხარ იბრძვიან სარკინოზთა წინააღმდეგ..." („სამყაროს სარკე" – დაახ. 1480 წელი)

„არის კიდევ ერთი ხალხი, რომლებსაც ქართველებს უწოდებენ... ბევრი მათგანი ცხოვრობს იერუსალიმში და ფლობს მრავალ წმინდა ადგილს, კერძოდ გოლგოთის მთას და ნაპრალს, სადაც ჯვარი იდგა. აქ მათ საკურთხეველი უდგათ..., ისინი გაშლილი დროშებით მოემართებიან იერუსალიმში და უკან ისე ბრუნდებიან, ხარკს არავის უხდიან, სარკინოზები ვერ უბედავენ ხელყოფას..., ომში საქართველოს წარჩინებული ქალებიც მონაწილეობენ, რომლებიც ამორძალებივით ხმარობენ იარაღს." („იოჰანი, სოლმის გრაფი 1483 წელი")

„წმინდა ადგილებისადმი პატივისცემის ნიშნად, ბევრი მათგანი [ქართველი] ცხოვრობს იერუსალიმში და ყოველწლიურად, თურქეთის სამეფოს გავლით, უამრავნი მიდიან საპილიგრამოდ (სალოცავად) ჯვრებითა და დროშებით. ისინი ფლობენ დიდსა და ნოყიერ ქვეყანას, რომელიც ვიწრო უღელტეხილების გამო პრაქტიკულად მიუვალია. ეს არის მძლავრი ქრისტიანული ერი, ამ ერის სახელმწიფო პოლიტიკა მთლიანად ორიენტირებულია იერუსალიმზე... , ქართველები საუკუნეების განმავლობაში ფლობენ ცენტრალური დატვირთვის მქონე წმინდა ადგილებს იერუსალიმში. დასავლური წყაროების მიხედვით 1300 წელს ქართველებმა თვითონ იერუსალიმის დაპყრობაც შეძლეს." დასავლური ცნობები და პორტოლანები, ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაშია. (იგნაციო ფონ რაინფელდენი, 1653-1656 წწ.)

მსგავსი ამონარიდების მოყვანა აქ დაუსრულებლად შეიძლ;ება, მაგრამ ვფიქრობ ესეც საკმარისია.

აქვე მინდა მოვიყვანო ზვიად გამსახურდიას გამონათქვამი ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ ქართველი ხალხისა, რომელიც მოცემული აქვს თავის წიგნში „საქართველოს სულიერი მისია" (გამომცემლობა „განათლება" – თბილისი 1990 წელი) „შეიძლება ითქვას რომ ქართული ქრისტიანობა თავისი არსით არის სამხედრო ქრისტიანობა... "

„წმინდა ნინო" – ქრისტეს ნათელი ქართლში

ეს ქვესათაური იმიტომ შევარჩიე, რომ წმინდა ნინოს მრავალი წლის თავგანწირული მოღვაწეობით შემოსული და ერში დამკვიდრებულმა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ, საქართველოს ყველა კუთხე ერთ მთლიან მუშტად შეკრა და ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნაში ფასდაუდებელი როლი შეასრულა. ქართველი კაცის გონებაში ყოვლისშემძლე ქრისტე ღმერთის ლოცვად დამკვიდრებამ, თითქმის უძლეველი გახადა ეს პატარა ერი, რომელიც მრავალი კაციჭამია, უსაზღვროდ ძლიერი, იმპერიების შუაგულში მდებარეობს.

„წმინდა ნინოს" შემოსვლის შესახებ ქართლში და ქრისტიანული სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მიახლოებითი თარიღის დადგენაზე დიდი ხანია მუშაობენ, როგორც ქართველი ვახუშტი ბაგრატიონით დაწყებული ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძით დამთავრებული, ისე უცხოელი მკვლევარები, მაგრამ მათი კვლევის შედეგად მიღებული ციფრები ერთმანეთისგან განსხვავებულია.

მართალია, არსებობს მე–4 საუკუნის თხზულება–ცნობები „ნინოს ცხოვრების" შესახებ, ასევე შემდგომდროინდელი ლეონტი მროველის „მოქცევაი ქართლისაი", მაგრამ ამ ისტორიულ წყაროებში პირდაპირ ზუსტი თარილი მითითებული არ არის ნინოს ქართლში შემოსვლის და ქრ. სარწმუნოების სახელმ-

წიფო რელიგიად დაფუძვნების შესახებ.

სწორედ, ამიტომ გახდა იგი მრავალი ცნობილი მეცნიერის სერიოზული კვლევის ობიექტი და საუბედუროდ მათი უმრავლესობის მიერ შემოთავაზებული თარიღება ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

აი როგორ გამოიყურება მკვლევართა მიერ შემოთავაზებული თარიღები (მეცნიერ მკვლევარები ჩამოთვლილია რაიმე პრივილეგიების გარეშე).

ცეზარ ბრონიუსი – იტალია – 327 წელი.

ი. მარკვარტი გერმანია – 350 წელი.

ფონ. ბუდენშტეტი – გერმანია – 320 წელი.

მარი ბროსე – ქართველოლოგი – 328 წელი.

დიუბუა დე მონტეპრე ფრან. მოგზაური – 318 წელი.

ვახუშტი ბაგრატიონი – 317 წელი.

დავით ბაგრატიონი – 312 წელი.

ვახტანგ ბაგრატიონი – 320 წელი.

თეიმურაზ ბაგრატიონი – 331 წელი.

ალ. ხახანაშვილი – 332 წელი.

ექვთიმე თაყაიშვილი – 332–333 წელი.

პ. იოსელიანი, გ. საბანინი, ნ. დურნოვი – 318 წელი.

კ. ცინცაძე –335 წელი

ს. კაკაბაძე – 330–333 წელი

ივ. ჯავახიშვილი – 337 წელი

კ. კეკელიძე – 350–356 წელი

მ. ჯანაშვილი – 323 წელი

ან. ნატროშვილი 326 წელი

ს. გიორგაძე – 323 წელი

დ. ბაქრაძე, ი. გვარამაძე, თ. ჟორდანია – 323–325 წელი

ნოდარ ლომოური – 325–330 წელი

ვახტანგ გოილაძე – 324 წელი

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი მკვლევარების მონაცემებიდან ჩანს, ბოლო ექვსი ავტორის მიერ შემოთავაზებული თარიღები ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან და მაინც ბოლოდროიდელი გამოკვლევებით ქართლში ქრისტიანობას, სახელმწიფო რელიგიად დამტკიცება 318–325 წელს უნდა მომხდარიყო.

320 წლამდე რომის იმპერიაში და განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში (ალექსანდრია, კაპადოკია, ანტიოქია და სხვა) მისი ერთპიროვნული მმართველი ლიცინიუსი ხშირად სცემდა ედიქტებს, (კანონებს) ქრსიტიანული სარწმუნოების დევნის მიზნით. სწორედ ამიტომ გაძნელდა ქართლისა და სომხეთის სახელმწიფოების გაქრისტიანება. სწორედ მე–4 საუკუნის დასწყისში იქნა წმინდა გიორგი კაპადოკიელი ქრისტეს რჯულისათვის ნაწამები (303 წლის 23 აპრილი). იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა 324 წელს გამოსცა კანონი, რის ძალითაც წარმართული ტაძრები ქრისტიანთა ხელში გადადიოდა. აი, ასეთ პერიოდში, უხდებოდა წმინდა ნინოს მოღვაწეობისა დაწყება იმპერიის ტერიტორიაზე.

**წმინდა ნინოს მშობლების შესახებ**

წმინდა ნინოს მშობლები „ცხოვრებიდან“ გამომდინარე, იყვნენ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და დამკვიდრების ერთ–ერთ მძლავრი კერა – კაპადოკიიდან. მამა ზაბილონი (ზაბულონიც იხმარება წყაროებში) „კაცი ვინმე მთავართა შესაბამი, მიდის ჰრომად (რომში) მეფეთა წინაშე მსახურებად და ნიჭისა მოღებად.“ ისტორიული წყაროებიდან გამომდინარე, ზაბილონის სამხედრო სამსახურის დაწყება იმპერიაში 257 წლით წლითაა დაფიქსირებულიხოლო 273 წელს ახლო პერიოდში ის, როგორც ჯარის სარდალი, ეომება განდგომილ ბრანჯებს (ფრანგებს) და ამარცხებს მათ. საინტერესო ისაა, რომ დამარცხებული და განწირული ბრანჯები ზაბილონისაგან ითხოვენ ქრისტეს რჯულზე მოქცევას, რასაც იგი იმპერტორთან და პატრიარქთან შეთანხმებით ახორციელებს კიდეც. ამის შემდეგ იგი სამხედრო სამსახურიდან გადადგება და ბრუნდება იერუსალიმში, სადაც დაუახლოვდება ასევე კაპადოკიელ იობენალს, რომელიც იმ დროისათვის იერუსალიმის „პატრიარქად ქმნულიყო.“ პატრიარქ იობენალის და ზაბილონის მეგობრობა მოყვრობაში გადაიზარდა... 274 წელს ზაბილონი ცოლად ირთავს იობენალის დას სოსანას. ახალშეუღლებული ცოლ–ქმარი სამშობლოში – კაპადოკიაში ბრუნდებიან. სწორედ იქ, 275 წელს გაუჩნდათ ქალიშვილი ნინო, შემდეგში ქართლის განმანათლებელი. ნინო როცა 12 წლის გახდა, (დაახლ. 287 წ) ზაბილონისა და სოსანას გადაწყვეტილებით, კაპადოკიაში ჰყიდიან თავიანთ ქონებასა და იერუსალიმში მიდიან, სადაც მთლიან შემოსავალს უნაწილებენ გლახაკებს. ოჯახის გადაწყვეტილებით ზაბილონი პატრიარქისაგან ღებულობს კურთხევას, ცრემლით განეშორება ცოლს სოსანას და ასულს ნინოს. ნინოს ეუბნება – „შენ ჩემო ერთადერთო შვილო, გტოვებ ობლად ჩემგან და მიგანდობ ზეცათა მამას, რამეთუ ის არის ობოლთა მამა, ყოველთა მზრდელი და ქვრივთა განმკითხველი. ნუ გეშინია შვილო ჩემო, შეიყვარა ქრისტე მარიამ მაგდალინელის მსგავსად და ლაზარეს დებივით. თუ შენც მათსავით შიყვარებ, ასევე მოგცემს ყოველივეს, რასაც ითხოვ მისგან.“ ეს, რომ თქვა, „საუკუნო ამბორის ყოფით” გამოეთხოვა მეუღლეს სოსანას და ქალიშვილს ნინოს და წავიდა იორდანეს იქით მეუდაბნოე კაცებთან ასტეკური ცხოვრების მოსაპოვებლად. ზაბილონის მეუღლე სოსანა პატრიარქის ნებით დადგა გლახაკი და უძლური ქალების მსახურად. ნინო კი 2 წელი მსახურობდა დვინელი სომეხ ქალ ნიაფორთან.

რა თქმა უნდა ნინო თავის ასაკთან შედარებით (13-14 წწ.) ბევრად უფრო განათლებული და რწმენით აღვსილი იყო ქრისტე ღმერთის ზეცით მოვლინებაზე, მის ყოვლის შემძლეობაზე, ქვეყნის მხსნელზე, რადგან მისი მშობლები ზაბილონი და სოსანა თავგანწირული მორწმუნეები გახლდათ. ასევე ნინოზე ზეგავლენა დიდი იქნებოდა დედის ძმის იერუსალიმის პატრიარქის იობენალისა, რომელთანაც იგი იქ ყოფნის ბოლო წლებში ცხოვრობდა.

... მაგრამ ნინოზე გადამწყვეტი ზეგავლენა მაინც იქონია ბეთლემელმა სარა ნიაფორმა, რომელთანაც ნინო რომში წასვლამდე ბოლო ორი წელიწადი ცხოვრობდა. მისგან გაიგო სრულყოფილად ქრისტეს წამების შესახებ, თვითმხილველთა მიერ ხილული ჭეშმარიტება თუ როგორ აცვეს ჯვარს, როგორ დაფლეს და როგორ აღდგა, ხალხის კეთილდღეობისათვის ზეციდან მოვლენილი ღმერთი, თუ როგორ დაინაწილეს ქრისტეს სამოსელი. ნიაფორმა დაზუსტებით მოუთხრო, თუ როგორ ხვდა წილად ქრისტეს სამოსელი – კვართი მცხეთიდან მოსულ ებრაელებს.

თვითონ ნინო ნიუანსებში ეკითხება სარას, თუ როგორ უნდა მოიქცეს მომავალში, მას თხოვს - „წარმგზავნე ელენე დედოფალთან (რომის) და იქნებ მივეახლო მას სასაუბროდ ქრისტეს შესახებ“- ო. ნინოს დაუოკებელი წადილის შესახებ ნიაფორმა ყველაფერი უამბო დედის ძმას პატრიარქ იობანელს და არც მან დააყოვნა ნინო დააყენა საკურთხევლის აღსავლის კართან, ხელები მხრებზე დაადო და შესთხოვა ღმერთს: „უფალო ღმერთო საუკუნეთაო, ხელთა

შენთა შევვედრებ ჩემს ობოლ დისშვილს, წარვავლენ შენს საქადაქებლად, რათა ახაროს მათ შენი აღდგომა. იქმენ ქრისტე ღმერთო ამის თანამგზავრი და მოძღვარი“. ამის შემდეგ ნინო და ერთი ეფესელი ქალი რომში მიემგზავრებიან, სადაც შეხვდებიან დედოფლის მონათესავე ქალ რიფსიმეს და მის დედამძუძუს გაიანეს. ნინო საცხოვრებლად რიფრიმესთან გადავიდა. მალე (იმავე წელიწადს) მოინათლნენ რიფსიმე, გაიანე და 50 მათი თანამზრახველი, ყველა იმათმა წმინდა ნინოს ხელქვეშ მიიღო ნათლისღება, რომლებთანაც მან კიდევ ორი წელი დაჰყო.

რომის კეისარმა, იმ პერიოდში თავისი ერთგული ხელქვეითები დააგზავნა ყოველ მხარეს, რათა მისთვის მოენახათ ლამაზი საცოლე. ასევე ისინი ესტუმრნენ ქალწულთა მონასტერს , სადაც იხილეს ულამაზესი რიფსიმე, რომლის შესახებ შეატყობინეს კეისარს. მეფე აღივსო სიხარულით და ბრძანა ქორწილის გამართვა. მაგრამ ნეტარმა რიფსიმემ და მისმა ყოვლადქებულმა ქალებმა, რომლებსაც უბიწოების აღსარება ჰქონდათ შეფიცული ღმერთთან, იგრძნეს განსაცდელი, დახმარება შეევედრეს ღმერთს და ფარულად დატოვეს ქვეყანა. დევნილი ქალები დიდი წვალებით სომხეთში ჩავიდნენ და იქ დვინში, მეფეთა სამყოფელში დაბინავდნენ, სადაც გარკვეული დროის განმავლობაში ხელსაქმით ირჩენდნენ თავს.

კეისარი მოულოდნელი განზილების გამო, მწუხარებით აღივსო, მან ბრძანა გაქცეული ქალებისათვის მიეკვლიათ. სომხეთშიც მეფე თრდატთან გაგზავნა კაცი და წერილიც მისწერა მისი შეუარცხყოფის გამო და სთხოვა ისინი დაესაჯა, ხოლო თუ რიფსიმე მოეწონებოდა, ნებას რთავდა მის ცოლად შერთვას. მართლაც თრდატმა ისინი მონახა, განსაკუთრებით მოეწონა რიფსიმე და დააპირა მისი ცოლად შერთვა, მაგრამ მისგან მტკიცე უარი მიიღო, გაბრაზებულმა სომხეთის მეფემ ჯერ რიფსიმე აწამა, ხოლო შემდეგ ბევრი სხვაც. ხოლო ნინომ ღვთის წყალობით მოახერხა გაქცევა, საიდანაც იგი მცხეთისკენ გაუდგა გზას.

მკვლევარების გაანგარიშებით „ნინოს ცხოვრებიდან“ გამომდინარე, ნინო და სხვა მორწმუნე ქალწულები იმპერიას ტოვებენ 303 წლის 18 აპრილს, იმავე აპრილის

ბოლოს სომხეთში შემოდიან, ხოლო 3-5 მაისს სომხეთის მეფე თრდატი ვაღარაშაპატში (სომხეთის მაშინდელი დედაქალაქი) მათ სიკვდილით დასჯის. რა

თქმა უნდა სიკვდილს გადარჩენილი ნინო, სომხეთს მალე ტოვებს, რამდენიმე დღეში ჯავახეთში შემოდის და ფარვანის ტბის ნაპირზე მწყემსებთან „დადგა მუნ ორი დღე“. აქ მან მწყემსებს ჰკითხა „თუ საით არის მცხეთა?“ ხოლო მათმა აუწყეს - მდინარე, რომელიც ამ ტბიდან გაედინება მცხეთაში მივაო. აქ აუცილებლად საინტერესოა ნინოს სიზმარი, რომელიც მან ნახა მწყემსებთან ღამის გათევებისას. ძილში ჩვენებით მოვიდა ერთი კაცი ზომიერი სიმაღლისა და ნახევართმოსანი. მან მისცა წმინდა ნინოს ბეჭდით დალუქული წიგნი და უთხრა - „მიართვი ეს წიგნი მცხეთაში წარმართთა მეფეს“. წმინდა ნინომ დაიწყო ტირილი და ვედრება - „უფალო, დედაკაცი ვარ, უცხო და უმეცარი და როგორ მივიდე უცხო ქვეყანაში, უცხო ერში?“. მაშინ კაცმა გახსნა წიგნი და მისცა წასაკითხად, რომელიც დაწერილი იყო ლათინურად და ბეჭედი ესვა იესო ქრისტესი, სადაც ეწერა „ათი სიტყვა“:

სადაც იქადაგება ეს სახარება, იქ ითქმება ამ დედაკაცის შესახებ;

არც მამაკაცება არის და არც დედაკაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთი ხართ.

წადით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით

მათ სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა.

ნათელი გამობწყინდა წარმართებზე დიდებად ერისა შენისა ისრაელისა.

სადაც სასუფეველის ეს სახარება იქადაგება, მუნცა ითქმოდეს ყოველსა სოფლისა.

ვინც თქვენ მოგისმენთ და შეგიწყნარებთ, მე შემიწყნარებს და მე ვინც შემიწყნარებს, ჩემს მომავლინებელს შეიწყნარებს.

ფრიად უყვარდა მარიამი უფალს, რამეთუ მარადის ისმენდა მის ჭეშმარიტ სიტყვას.

ნუ გეშინიათ მათი, რომელნიც თქვენს ხორცს მოკლავენ, მათ სულის მოკვლა არ შეუძლიათ.

უთხრა მარიამ მაგდალინელს იესომ: „წადი დედაკაცო, ახარე დათა და ძმათა ჩემთა“.

ქადაგებდეთ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

წმინდა ნინო მიხვდა, რომ ეს ჩვენება ზეციდან იყო, მან ზეცას მიაპყრო თვალნი და ითხოვა შეწევნა, იგრძნო ძალა ღვთისა შეუდგა ძნელ და ხიფათით აღსავსე გზას.

შემდეგ „ჩემი ვარაუდით წერს ვ. გოილაძე, მაისის 17-18-ში იგი უკვე ურბნისში ჩადის, სადაც მან ერთი თვე გაატარა „ცეცხლისა და ქვათა თაყვანისმცემელთა შორის“, ხოლო „მზის მზებუდობის“, სულხან-საბას განმართებით, რომ ვთქვათ არდადეგის წერტილში შესვლის ზეიმის დროს ე.ი., 303 წლის ივნისის შუა რიცხვებში წმინდა ნინო მცხეთაში შევიდა.

სწორედ ნინოს მრავალწლიანი და თავგანწირული მისიონერული მოღვაწეობა ქართლში დაიწყო 303 წლის შუა ივნისიდან. წმინდა ნინომ მცხეთაში მოსვლიდან „მეოთხესა წელსა იწყო ქადაგებაი. . . და მეექუსისა წლისა არწმუნა ნანა დედოფალსა. . . მეშვიდე წელსა არწმუნა მირიან მეფესა (გამოიხსნა იგი მზის დაბნელებით დამდგარ წყვდიადიდან). ისე, როგორც მკვლევარმა რევაზ სირაძემ თქვა „მზის დაბნელება, წარმართების მთავარი ღვთაების, ძალის დაკარგვას ნიშნავდა“. იქიდან მოყოლებული 14-15 წლის განმავლობაში, სანამ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად დამტკიცდებოდა ქართლში, წმინდა ნინო სასწაულებს ახდენდა უფლის შეწევნით, ის კურნავდა მძიმე ავადმყოფებს, თვალებს უხელდა ბრმებს, ხალხს არწმუნებდა წარმართული სარწმუნოების სიბრმავეში და სხვა...

ყველაზე საზარელი სანახაობა წმინდა ნინოსი ის გახლდათ, რომ ერთ დღეს მცხეთაში მეფისა და მთელი ერის შეკრება მოხდა, იყო გასაოცარი საყვირის ხმა, ღრიანცელი ხალხისა.

ხალხის ბრბოში ჯერ გამოჩნდა ნანა დედოფალი, ხოლო შემდეგ მეფე მირიანი „საზარელი და თვალშეუდგამი ხილვით“, მათ ღმერთი არმაზი უხმობდა. წმინდა ნინომ შეასწრო არმაზის ციხეში, დადგა კერპის მახლობლად, უყურებდა თუ როგორი შიშით შესცქეროდა მეფე, მთავრები და მთელი ხალხი კერპებს: არმასზს, გაცსა და გაიმს. საოცრად მდიდრულად იყო მოწყობილი კერპები - ოქროთი, ძვირფასი თვლებით, თავზე ოქროს ჩაფხუტითა და სხვ. ამას შესცქეროდა ნინო სტიროდა და ოხრავდა, საზარელი სანახავი მათზე მზერა. ამის შემდეგ წმინდა ნინო აღიხილნა ზეცად და თქვა:“უფალო ერთი წმინდა სამებისაგან კაცად იქმენ და აცხოვნე ყოველი სოფელი, ნუ უგულვებელყოფ ამათ, რამეთუ კაცი შენი ხატი არის, მოხედე წყალობით ამ ერს, შერისხე სოფლის მპყრობელი, ბნელე-

თის მთავარი უჩინო სულები. მიჩვენე მე, უფალო ღმერთო მამისა და დედისა ჩემისაო, მხევალსა შენსა, რათა იხილონ ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა მაცხოვარება შენი, რათა ჩრდილოეთი სამხრეთთან ერთად იხარებდეს და ყოველმა ენამ მხოლოდ შენ გცეს თაყვანი, შენი ძის იესო ქრისტეს მიერ, რომელსა შვენის მადლობა და დიდების მეტყველება“.

როგორც კი დაასრულა ნინომ ეს ლოცვა, წამსვე ამოვარდა დასავლეთის ქარი, გაისმა საზარელი ქუხილის ხმა, გამოჩნდა სწრაფი ღრუბლები, მოვიდა „ლიტრის“ სიმსხოს სეტყვა, რამაც დაამსხვრია და შემუსრა კერპები, დაარღვია და ნაპრალებში ჩაამხო ისინი, ამასთან ერთად წმინდა ნინო გადარჩა იმავე ადგილას მშვიდობით.

მეორე დღეს გამოსული მირიან მეფე და მთელი ერი ეძებდა თავიანთ ღმერთებს, მაგრამ ვერსად ვერ იპოვეს. ისინი დარწმუნდნენ იმაში, რომ ქრისტე ღმერთის გარდა სხვა ღმერთი ნამდვილად უძლურია „ასეთის ქმნად“.

როგორც ზემოთ ვწერდით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესახებ, მკვლევარების მოსაზრებები, ერთმანეთისაგან მეტნაკლებად განსხვავდება.

ძველი ქართული წყაროების ერთობლივი მითითებებით ნინოს ქართლში შემოსვლიდან 14-15 წლის შემდეგ მოხდა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება და ეს ემთხვევა 318-325 წწ.

წმინდა ნინო ბოლოს ბოდში ჩადის, მოდიოდნენ მასთან, მისი სწავლება აღიარა ერის სიმრავლემ. ნინოს ჯანმრთელობა შეირყა, იგი მძიმედ დასნეულდა. როცა ნინოს ავადმყოფობა გაიგეს უჯარმაში მცხოვრებმა, მეფე მირიანის ძემ რევმა და მისმა ცოლმა სალომემ (უჯარმელმა), ავადმყოფი ინახულეს, თან აცნობეს მირიან მეფეს და ნანა დედოფალს. მეფემ მაშინათვე გამოაგზავნა ეპისკოპოსი იოვანე ნინოს წამოსაყვანად, მაგრამ წმინდა ნინო მათ არ დამორჩილდა, მაშინ მეფე და დედოფალი ჩამოვიდნენ ნინოსთან, იხილეს ნეტარის მძიმე მდგომარეობა, სტიროდა ყველა და ყველას სურდა მისი ნათელი სახის ნახვა.

სალომე უჯარმელია დედოფლისა და მეფის, ასევე ერისთავებისა და დიდებულების თხოვნით ჰკითხავდნენ „თუ ვინ ხარ და საიდან მოხვედი ამ ქვეყანაში ჩვენს მაცხოვრად?“ ნინო მოიკრებს ძალას და თავის ვინაობას ჩააწერინებს, სალომე უჯარმელსა და პეროჟავრი სვინიელს. ნინო დინჯად კარნახობდა მათ, ისინი კი დიდის ყურადღებით იწერდნენ. შემდეგ წმინდა ნინომ შეავედრა თავისი სული ცის მეუფეს, ეს იყო მისი ქართლში მოსვლიდან მეთოთხმეტე წელს, ქრისტეს ამაღლებიდან 338 წელს ის დაფლეს დაბა ბოდში, რამეთუ იქ ითხოვა თვით მეფისგან დაფლვა და ანდერძიც ნათელყვეს.

გაგრძელება იქნება

**გამოყენებული ლიტერატურა:**

ინგოროყვა, პ, გიორგი მერჩულე, თბ. 1954

ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშიას., საქართველოს ისტორიას, თბ. 1948.

კეკელიძე კ. ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, ეტიუდები, ტ. IV, თბ. 1957.

ჯავახიშვილი ივ., ანდრია მოციქულს და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, ჟურნ. „მოამბე“, 1900, №5,6.

ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, გამომცემლობა „საქართველო,“ თბილისი - 1991.

ალექსანდრე თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბილისი - 2004.

ბიძინა თვარაძე, ვინ დაწერს ახალ „ქვათა ქაღალდს.“ საქართველო, თბილისი 2008.

ეპ. ანანია ჯაფარიძე „წმინდა ნინოს ცხოვრება,“ თბილისი, 2004.

სპ. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.I

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, აფხაზეთი (ქართველთა „გააფხაზება“). II გამოცემა, შპს „თბილისი“ 2007.

ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, გამომც. „განათლება“ თბ. - 1990.

## დევნილები „გოლგოთის“ გზაზე

**პირველი ღამე ღია ცის ქვეშ**

პირველ დღეს ჩვენმა ჯგუფმა 15-საათიანი სიარულის შემდეგ ლათის ცენტრამდე ჩააღწია. ამ ტყეშიც და ლათაშიც სოფლის მოსახლეობის ეზოებში და მის გარეთ უამრავი მანქანა იდგა, ხოლო სახლები ხალხით იყო სავსე, ამიტომ მგზავრთა დიდმა ნაწილმა სოფლის ცენტრში ღია ცის ქვეშ გავათენეთ. ჩვენც ცენტრიდან ოდნავ მოშორებით, ტყესთან ახლოს, ერთ საკმაოდ ვარდგაშლილ ხის ქვეშ დავიდევით „ბინა“. შეშის დამზადება ზურაბ თორიამ ითავა და ჩვენი ბასრი ნაჯახით ღამის საკმარისი ხმელი ხის ტოტები დაამზადეს ბიჭებმა. ცეცხლის დანთება ცოტა გაგვიძნელდა, მაგრამ მეზობლების კოცონიდან ნასესხები ნაკვერცხლებით მაინც შევძელით „კერიის“ გათბობა ხმელი და მშრალი წიფელა თითქმის უკვამლოდ იწვოდა. შემდეგ მსხვილი ნაჭრებიც შემოვდევით და ცეცხლს ძალა მიეცა. ბევრმა მგზავრმა, რომლებსაც არც შეშის დასამზადელი იარაღი ჰქონდა და არც მინდორში ცეცხლის დანთების ელემენტარული გამოცდილებაც არ გააჩნდა, ჩვენი მოგიზგიზე ცეცხლის გარშემო მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ ბავშვები და მოზარდები, რომლებსაც საკმაოდ სციოდათ და შიოდათ კიდეც. სექტემბრის თვის სიცივემ მთებში, განსაკუთრებით კი ღამით ღია ცის ქვეშ მყოფი მგზავრები საკმაოდ შეაჟრჟოლა, მაგრამ პატარ-პატარა კოცონებმა იმედიანად გადაატანინა მათ ღამე. ჩვენც გულუხვობა გამოვიჩინეთ და საკმაოდ ძლიერი კოცონის გარშემო მოვთავსდით ყველა - სტუმრები და მასპინძლები. თანაც მეორე დღეს მოსახლეობაში პურისა და ყველის შოვნის იმედით, რაც დედაჩემის მიერ გამომცხვარი მჭადები გვქონდა ზურგჩანთაში, სხვებსაც გავუნაწილეთ. მცირე ხნის შემდეგ ზურგით ერთმანეთს მიყრდობილ დაღლილ მგზავრებს ჩაეძინათ. ზურაბი და რობერტი ცეცხლს შეშას არ აკლებდნენ, ამიტომ ღამე ისე მიილია, რომ არ შეგვცივნია.

**სვანი მოსახლეობის მხარდაჭერა**

28 სექტემბერს, დილის 8 საათზე ცოტათი შესვენებულმა მგზავრებმა გზა განვაგრძეთ. ისევ და ისევ ზევით, მაღალი მთებისკენ მიიწევდა მგზავრთა კოლონა.

დაუვიწყარია და დაუფასებელი ადგილობრივი სვანი მოსახლეობის ძალზე გულთბილი მასპინძლობა იმ ასიათასამდე დევნილი მგზავრებისა, რომელთა გარკვეული ნაწილი გადაუდებელ დახმარებასაც საჭიროებდა. უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის უმეტესობას სოხუმიდან და გულრიფშიდან რამდენიმე დღით ადრე უკვე ჩამოსვლოდა თავისი ოჯახის წევრები და ნათესავები, რომლებსაც წამდაუწუმ მეგობრები და ახლობლები ემატებოდნენ. გზისპირა ყოველი მაცხოვრებლის სახლებში და ეზოებში ხალხი ირეოდა. ეზოს შიგნით და ჭიშკრის ახლომახლო ადგილებში მანქანე-

ბის ტევა არ იყო. მგზავრთა ასეთ არაჩვეულებრივ სიმრავლეს მოსახლეობა შეგნებულად შეხვდა, რა თქმა უნდა, მასპინძელთა ასეთ დიდ სითბოს ყოველი დევნილი სულის სიღრმემდე გრძნობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბავშვიანი და ორსული ქალების, ასევე ასაკოვანი ადამიანების ღამის საათებში მიღება, გამოკვება და მათი დასვენება. მართალია, ჩვენც გვყავდა ახლო მეგობრები და კარგი ნაცნობები სვანეთის თითქმის ყოველ დასახლებულ პუნქტში, მაგრამ პირველ ხანებში ჩვენს წინაშე აღმართულ სიძნელეებს ვერეოდით, ამიტომ ახლობელთა ისედაც გადატვირთული ოჯახების შეწუხებას თავს ვარიდებდით.

დევნილ მგზავრებს ისიც გვაწუხებდა, რომ ჩვენი ბედოვლათი მთავრობისა და სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელი იმედით, არც აფხაზეთის სვანეთის ტერიტორია იყო დაცული, უახლოეს დღეებში მტრის შემოტევისაგან. რა თქმა უნდა, მოსალოდნელ საშიშროებას ადგილობრივი მოსახლეობაც გრძნობდა.

**ორგანიზებული და დაგეგმილი ყაჩაღობა**

იმდროინდელი მთავრობის იმ წარმომადგენელთა სამარცხვინოდ, რომლებსაც უშუალოდ ევალებოდა თავგზააბნეული დევნილ მგზავრთა ხელშეწყობა, გზებზე გახშირდა ორგანიზებული ყაჩაღობები, რაც თავისი სისასტიკით აფხაზი ბოევიკებისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა. პირდაპირ რომ ვთქვათ, ხშირი იყო ყაჩაღების მიერ ძარცვა, ფიზიკური შეურაცხყოფა, დამცირება, გაუპატიურება და მკვლელობებიც კი.

ასეთ ანტიხალხურ, ავაზაკურ ქმედებებს სჩადიოდნენ ის პირსისხლიანი, გამოცდილი ჯალათები, რომლებმაც თავიანთი ორგანიზებული, ბინძური საქმეებით თავი გამოიჩინეს სამაჩაბლოს, სამეგრელოს, აფხაზეთის კონფლიქტებში. ახლა კი ეს პროფესიონალი, გამოცდილი ჯალათები, რომლებიც მთელი საქართველოს კრიმინალთა „ნაკრებს" წარმოადგენდა, უმოწყალოდ ესხმოდა თავს უმწეო, დავრდომილ დევნილ მგზავრებს.

მთებში მგზავრთა შორის უფრო ადრეც დაირხა ხმა, რომ მოსალოდნელი იყო ხალხის დაყაჩაღება-ძარცვა, ამიტომ კეთილი ადამიანების რჩევა იყო დევნილები მუდამ ჯგუფებად ყოფილიყვნენ, განსაკუთრებით ღია ცის ქვეშ რამის თევისას. თუმცა შეიარაღებულ ბანდიტებთან ვინ რას გახდებოდა, მათ ხომ ტანკით დაწყებული ყოველგვარი იარაღი ჰქონდათ ხელთ. ხალხის თქმით, ეს აქციაც ზემოდან იყო დაგეგმილი. აი რას ამბობდნენ დევნილები ამის შესახებ:

მხედრიონელთა ერთ-ერთმა თავკაცმა თავისი იდეის ერთგულ ხელქვეითებს, რომლებმაც სპეციალურად აირჩიეს ეს გზა დევნილებთან ერთად სამგზავროდ თავიანთი არაკაცური მიზნების განსახორციელებლად მისცა სპეციალური მითითება - „ჰე ბიჭებო, ის რაც ჩვენ მანქანებით, თვითმფრინავებით და გემებით გაგვქონდა აფხაზეთიდან, ახლა იმ გაქცეულ ხალხს არანაკლები განძი მიაქვთ ჩანთებით და ჯიბით, მიდით! - მეტი თქვენ და ცოტა მეო". კიდევ ერთი „ტალჩოკი" მისცა სისხლის მსმელებს - „აი ახლა ათიანზე ტუზი დაგეცათო". ჩვენმა უმრავლესობამ ხომ ვიცოდით აფხაზეთიდან თუ სამეგრელოდან ვის რა გაჰქონდა. მათი გარკვეული ნაწილი მობილიზებულიყო, მაქსიმალურად გაეძარცვა მათ სამოქმედო ზონაში მოხვედრილი სახელმწიფო დაწესებულებები თუ კერძო ბინები და სახლები.

სწორედ ის „ჯარისკაცები" ახორციელებდნენ ერთგული მეთაურის „ბრძნულ" მითითებებს და ამის მოწმე თითქმის ყოველი მეორე დევნილია, რომელმაც ეს გოლგოთის გზა გამოიარა. რა თქმა უნდა, დევნილებიდანაც იყო გარკვეული წინააღმდეგობა. ბევრი ჩვენთაგანისათვის ცნობილია, რომ ერთ-ერთი დაყაჩაღების დროს გულადმა ქალმა ხელყუმბარა ესროლა ბანდიტების ჯგუფს და სამი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმა. რა დამავიწყებს, თუ როგორ წავაწყდით შემთხვევით ნახევრად მკვდარ, უმოწყალოდ ნაცემ კაცს, რომელიც გზისპირიდან მოშორებით იყო გადაგდებული. ეს ღონემიხდილი კაცი დროდადრო კვნესოდა იმედი ქანთარია ჩემი მამიდაშვილი, დრანდის მაცხოვრებელი, თავისი გულკეთილობითა და პატიოსნებით ცნობილი, ფიზიკურად ძლიერი პიროვნება. მეუღლეებმა ნარგიზა კვარაცხელიამ და იმედი ქანთარიამ ჩაის საკრეფ მანქანაზე სამი ათეული წელი იმუშავეს და ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მოწინავე მექანიზატორებად აღიარეს. ნარგიზა კვარაცხელიამ, რომელიც თავისი შემართებით ბევრ მამაკაცს არ ჩამოუვარდება, სენაკში მცხოვრები ახლობლების დახმარებით იმავე დღეს მოძებნა დამყაჩაღებელთა ბანდა და ტრაქტორი და მის ძარაზე მოთავსებული ოჯახური ნივთები დაიბრუნა, ხოლო განწირულ მეუღლეს სათანადო სამედიცინო დახმარება გაეწია. ეს მოხდა საკენიდან დაახლოებით 7-8 კილომეტრის დაშორებით, სადაც მოსახლეობა არ არის. მე არ შევუდგები და არც ვაპირებ სათითაოდ იმ მასობრივი საძრახი შემთხვევების ფიქსირებას და გარჩევას, რასაც ადგილი ჰქონდა დევნილთა მიმართ იმ შორეულ მთებში. ამის უტყუარი მოწმეა ყველა ისინი, ვინც პირადად განიცადა ყაჩაღების თავდასხმისას შიში და დამცირება. და მაინც არ შემიძლია აქ არ მოვიგონო ჩემი ინსტიტუტის მეგობარი და მეზობელი თხუბუნში, ყოფილი საბჭოთა კავშირის პრიზიორი ჭიდაობაში, დიდებული ვაჟკაცი ომარ კიკაბიძე. მისი ოჯახი მთებში დააყაჩაღეს და წინააღმდეგობის გაწევისას იგი მოკლეს და ხრამში გადააგდეს.

არც ჩვენი ჯგუფი გადაურჩა მთებსი მოთარეშე პირთამდე შიარაღებულ არაკაცებს. ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

მთელი დღე, დილიდან საღამომდე, სიარულის ჩვეული წესით, აუჩქარებლად მივიწევდით წინ. გზის აღმართი ზოგგან საკაომდ შესამჩნევი იყო, ზოგგან უხილავი, მაგრამ მუდამ მთებისკენ მაღლა მიიწევდა, აშკარად ეტყობოდა ახალგაზრდებს დაღლა, ისინი უფრო მეტი დროით შესვენებას მოითხოვდნენ, რისი წინააღმდეგიც ვიყავი.

**ხალხი მთებისკენ მიიწევს,**
**მათი მდგომარეობა რთულდება**

ერთ-ერთი მთავარი გასაჭირი უმეტესი მგზავრებისა და მათ შორის ჩვენიც, იყო ლუკმაპურის უქონლობა. მცირე საგზალი ადრე შემოგველია, არც მისი ადვილად შოვნის იმედი ჩანდა. იმ დროს არც ერთი მაღაზია არ მუშაობდა სოფლების ცენტრში. მეორე საშიშროება ის გახლდათ, რომ მთებში ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ამინდის ცვილება და გაუარესება, რისთვისაც არავინ იყო მზად. საქმე ის გახლდათ, რომ ფეხით მოსიარულეთა უმრავლესობას მესამე, მეოთხე დღის შემდეგ ფეხსაცმელები შემოეხათ, მისი შეცვლა ახლით ცოტა ვინმეს თუ შეეძლო. ყველაზე დიდი „მტერი" ფეხსაცმელებისა, ასფალტირებული გზები შეიქნა. ასეთ გაჭირვებაში ჩავარდნილი მგზავრები რაღაც გამოსავალს მაინც პოულობდნენ. ბევრს ქონდა ხის ნაჭრებისაგან გამოთლილი ქოშების მსგავსი ძირები. ასეთ მოხერხებულ ძირებს საკენში მაცხოვრებელი ერთ-ერთი ხელოსანი სპეციალურად უმზადებდა მგზავრებს და უფასოდ ურიგებდა მათ. ისე კეთდებოდა საშუალებით, რბილი სპილენძის ასეთმა „ურთიერ-

თობამ" გარკვეული დროით ხელი შეუწყო მგზავრთა შეუფერხებელ გადაადგილებას.

ნახევრად შიშველი ფეხებით, საგზალშემოლეული მგავრების გაჭიანურებული მოძრაობა უკაცრიელ მთებში, განსაკუთრებით კი საკენ-ჭუბერის გზაზე კიდევ უფრო ამძიმებდა მათ გუნება-განწყობილებს, ამიტომ ყველა ჩვენთაგანის უპირველესი ამოცანა იყო მთელი შესაძლებლობის გონივრულად გამოყენებით, რაც შეიძლება სწრაფად გადაგველახა გზა - სვანეთის ქედის ალპური ზონა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 2500-2600 მეტრამდეა. სწორედ ეს აზრები არ მასვენებდა, როცა ჩემი ჯგუფის წევრებს თუ სხვებს დიდი ხნით არ ვასვენებდი გზაზე.

*ნიკო ხერკელაძე*

## ცრემლში ნალესი ხმალი

*(გაგრძელება)*

ბაზალეთის ომის შინაარსი იმ კუთხით აიხსნება, რომ ორი მტრის, სპარსეთისა და ოსმალეთის იდეოლოგია, ქართველების სახით ერთმანეთს დაუპირისპირდა. ნ. ხერკელაძეს მართალია დიდი მრწამსით აქვს გ. სააკაძის ფსიქოლოგიური პორტრეტი წარმოჩენილი, ამის პარალელურად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გ. სააკაძის ოპონენტურ მხარეს თეიმურაზ I-სა და ზ. ერისთავს, არ უკარგავს და ჩრდილში არ აყენებს ქვეყნისათვის მათ დამსახურებას.

ჯანსაღი ნააზრევია, როცა ხერკელაძეს საქართველოს ისტორიიდან მოჰყავს დიდი ქართველი მეფეებისაგან, და მათ გვერდში მდგომი დიდებულთა მხრიდან გამოსულ სარდალთაგან გადახდილი ომები, მათი შინაარსი და მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ ისინი მეფენი ბაგრატიონები და მაღალი წრის წარმომადგენლები იყვნენ. მათ მიერ გადახდილ ომების შინაარსს და სიდიადეს ადარებს რიგითი აზნაურის გ. სააკაძის თაოსნობით გადახდილ ტაშისკარის, მარტყოფის ქსნის ომების შინაარსს, რაც სწორი პოზიციით დანახული რეალობაა და ქართველი ერისათვის მარადჟამს ერთობლივი თანატოლფასი ღირსებებით ბრწყინავს.

აქ მკითხველი ყოველთვის დაფიქრდება, რომ გ. სააკაძეს თავისი სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურება და ამაგი აქვს. ამასთანავე ბუნებრივად იბადება კითხვა, როცა ეს ასეა და ჭეშმარიტად სრული სიმართლეა, დღეს ისევ შემორჩენილი ოპონენტები რისთვისღა ირჯებიან? წიგნის ავტორის უმთავრესი მიზანია, გულგრილობა მოაცილოს გ. სააკაძის უსაფუძვლო, ოპოზიციურ ფსიქოლოგიას, რა გავლენა მოდიოდა გ. სააკაძის სამტრო მხარიდან, მემატიანეზე, რა მიზეზებმაც განაპირობა მისთვის ასეთი ბედი, რატომ მოხდა ასე?

იმ ავბედით ხანაში, და მის სიღრმე, სირთულეებში, დატრიალებულ ტრაგედიებში, თავის გართმევას და თავის ქვეყნის სამშვიდობოზე გაყვანის მოწადინე იყო „დიდი მოურავი", ბევრიც გააკეთა, რაც ჩვენი ისტორიკოსებისათვის და საზოგადოებისათვის ცნობილია. რაც ვერ გააკეთა და არ მიეცა ამის საშუალება, ამის მიზეზი თავისივე სამტრო მხარის წინააღმდეგობრივი პოზიცია იყო. წიგნის ავტორი დამაჯერებლად ცდილობს მკითხველს აუწყოს, გ. სააკაძის ტრაგედიული ბედის განმსაზღვრელ მოვლენათა არსებობა. ჩვენ ნ. ხერკელაძის წიგნის „ცრემლში ნალესი ხმალი" ძირითად მოვლენებს შევეხეთ. იგი არა მარტო კარგი მკვლევარი და ისტორიკოსია, არამედ კარგი ლიტერატორიც. წიგნი ისტორიულ-მეცნიერული რომანია. მან მაღალი ნიჭიერებითა და დიდი ენერგიით ქართულ მეცნიერებას შესძინა ახალი გამოკვლევა, ახალი მისეულ მხატვრულ ხერხებთან ერთად, რომელზედაც აღიზრდებიან ახალი თაობები, ახალი მკვლევარები. როცა ასეთი საარაკო პიროვნების თავგადასავალს ეხება თავის ლიტერატურულ-ისტორიულ ნაწარმოებებში გამოჩენილი მხატვარი და პუბლიცისტი ნიკო ხერკელაძე, ვიტყვი გაბედვით, დიდად საამაყოა მხატვრისაგან ასეთი გულმხურვალე განცდებით გ. სააკაძეზე წიგნის დაწერა და შინაარსობრივი გარკვევა იმ ურთულეს მოვლენებში.

მდგომარეობათა და ვითარებების განხილვის ახლებური ანალიზი, ლოგიკური თხრობა, არცერთი შემთხვევითი ამოვარდნილი სიტყვა, აზრთა დამაჯერებლობა, მკითხველისათვის დაფიქრებისა და მსჯელობის საშუალების მიცემა, უწყვეტი განცდა წიგნის ბოლომდის წაკითხვისა.

წიგნის ავტორს იმ ეპოქის მაჯისცემით, სიღრმითი შინაარსის თვალსაჩინოებისათვის, მიზანშეწონილად ჩართული აქვს თანამედროვეობის უდიდესი პოეტის ვაჟა-ფშაველას შესანიშნავი ლექსები „გიორგი სააკაძეს" წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული.

მისი წიგნის პირველი გამოცემა დიდი სიყვარულით სარგებლობს ხალხში. მე მას რამოდენიმეჯერ შევხვედრილვარ სხვადასხვა ვითარებებში, გაცნობისთანავე მის უბრალოებაში შეიცნობა თავისი სამშობლოსადმი და საქმისადმი ერთგულება, იგი თავმდაბალია და უხმაუროდ ეწევა თავის შემოქმედებით ჭაპანს, რამდენადაც იგი უხმაუროა, სანაცვლოდ მისი ნამუშევრები და გამოფენები ხმაურობენ სხვადასხვა ქვეყნებში: ბულგარეთში, რუმინეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, იტალიაში, იაპონიაში, მისი ნამუშევრები დაცულია მოსკოვში ტრეტიაკოვის გალერეაში და გერმანიის კარლ-მაქს შტადის მუზეუმში.

როგორც ჩემთვის ცნობილია, მან სიდარბაისლით განვლო დიდი და ტკივილიანი გზა, რაც მრავალთა ყურადღებისა და თანაგრძნობას იპყრობდა, ასე ხდება მის გარშემო დღესაც, მან წარუშლელი კვალი განვლო, ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. არასოდეს შეუცოდავს, ერთი კაცური-კაცობის წოდების წინაშე, საქართველოა ბატონ ნიკო ხერკელაძის სიხარული, სიყვარული და აღმაფრენა. ესაა მისი მხატვრული ტილოებისა და ლიტერატურული ნაწარმოების ლაიტმოტივი.

კლიმენტი შელია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.
თბილისი 15. 02. 2010 წელი

რეცენზია

ნიკო ხერკელაძის წიგნი „ცრემლში ნალესი ხმალი" პროფესორ ნ. ხერკელაძის მიერ წარმოდგენილი ლი-

ტერატურულ-ისტორიული ნაწარმოები მიძღვნილია საქართველოს ერთ-ერთი უმძიმესი და შავბნელი ხანის გამოჩენილი და საარაკო პიროვნების, გიორგი სააკაძის გმირული და ტრაგიზმით სავსე ცხოვრების შესახებ, რომლის შესადარი თავგადასავალი თითქმის იშვიათია საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში. ამ ისტორიულ-პუბლიცისტურ ნაშრომში იშვიათი გამჭრიახობით და ოსტატობითაა ასახული და გადმოცემული საქართველოს ისტორიის იმ უმძიმესი პერიოდის მთელი მაჯისცემა. ზნეობრივი სურათი და ტრაგიკული მოვლენები როდესაც უცხო და მოძალადე იმპერიების, ჯერ თათარ-მონღოლთა, შემდეგ სპარსელებისა და თურქ-ოსმალოების აგრესიული და ამაოხრებელი შემოსევების შედეგად საქართველო დაიშალა სამ სამეფოდ და რამოდენიმე სამთავროდ, რომელიც გადაშენება-გაქრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სამწუხაროდ, იმ ვითარებებში ვერც ქართველი საზოგადოებრიობა აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, რადგან ერთიმეორის წინააღმდეგ ძმათა მკვლელ ომში ჩაება, ასეთ ავბედით მოვლენებში გამოჩნდა ერთი ქართველი (ნოსტელი) რიგითი აზნაური, გიორგი სააკაძე, რომელიც თავისი გამჭრიახობით, უმაღლესი ნიჭითა და საოცარი თვისებებით, აგრეთვე ლეგენდარული ფიზიკური მონაცემებით, უმაგალითო გმირად იქცა. იგი ბედკრულ საქართველოს მაშინ მოევლინა, როდესაც ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ბედი სასწორზე იდგა.

სამწუხაროდ, საქართველოს იმ უმძიმეს ხანაში მმართველ წრეებში პირველობისათვის გაჩაღებულ დიდებულთა შორის ინტრიგის, შურისა და შუღლის ქსელი შაჰ-აბასისაგან დაიხლართა, თავისი კარიერისა, სიმდიდრისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის არაფერს ზოგავდა ზოგიერთი მოხელე დიდებული, რომელნიც ქვეყანას უფსკრულისა და გადაშენებისაკენ მიაქანებდა, თავიანთი ანგარების გასახორციელებლად.

ვერ ვიტყვით იმას, რომ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების, ანარქიის, ძმათამკვლელი ომის მიზეზები მარტო გარეშე მტერი იყო. სამწუხაროდ, ეს ტრადიციად ექცათ თავიანთი უგუნური საქციელის გამო, საქართველოში გაბატონებულ მმართველ წრეებს, რომლებიც ნაცვლად ერთ მუშტად შეკვრისა, ყველა ცალ-ცალკე გათითოკაცებული ცდილობდა ხელისუფლების სათავეში ყოფილიყო; რის გამოც არავითარ აუგ საქმეებს არ ერიდებოდნენ.

სწორედ ამ ეპოქაში მოუხდა გ. სააკაძეს თავისი გონებით, პირადი მტრებისთვის შერიგების ხელი გაეწოდა იმის გამო, რომ ქართული ხასიათი არ დანაწევრებულიყო და მტრების მოსაგერიებლად, მონოლითური სიმტკიცე გამოეჩინათ. სწორედ გ. სააკაძის ასეთი ტოლერანტული თვისებები და ქვეყნისათვის ღირსეული სამსახურისათვის, შვილის, პაატას სიცოცხლის ჩანაცვლება, შეწირვა გახდა საფუძველი. მის თანამედროვე მემატიანეთა თუ მოგზაურთა სამართლიანი, გულმოდგინე შეფასება, რომ არ გამორჩენიათ, არც ქრისტიანებსა და არც მაჰმადიანებს, ყველა ობიექტურად აღიარებდნენ და აფასებდნენ მის დიდ სარდლურ ნიჭსა და თავის ქვეყნისათვის დამსახურებას. ასეთი ეპითეტები და დახასიათებები არცერთ მის თანამედროვე პირთა შესახებ, იმ დროის მემატიანეთაგან არ თქმულა.

ასეთები იყვნენ: დონ — კრისტოფორო დე კასტელი, იტალიელი მისიონერი, პატრიკ — კასტელი ესეც იტალიელი მისიონერი, პესიონელი ევროპელი მოგზაური, ისქანდერ-მუნში ირანელი მემატიანე, მუსტაფა ნაიმა თურქი მემატიანე, იბრაჰიმ ფეჩევი თურქი მემატიანე, არაქელ თავრიზელი სომეხი მემატიანე.

ქართველები — იოსებ თბილელი, პოეტი არჩილი, ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი. აქვე ავღნიშნავ, დონ ქრისტოფორო დე კასტელი, რომელიც გ. სააკაძის თანამედროვე იყო და მისი პორტრეტი ნატურიდდან შესრულებული აქვს, როცა ისინი სტამბულში ერთმანეთს შეხვდნენ, მას თავისივე ხელით წარწერაც გაუკეთებია.

„დიდი მოურავი“ იყო ქართველთა ჯარის სარდალი, უბადლო და ძლევამოსილი ვაჟკაცი, რომელიც თავისი ძალით ყველას ჯობდა, იბრძოდა რა სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ, მან იბერიის სამეფოში მრავალ დიდი წარმატებას მიაღწია, შემდეგ როდესაც ბედმა უმუხთლა, თურქეთის მფარველობაში ილტვა, ხოლო იქ თავისი დიდებისა და ძლიერების გამო შურის ნიადაგზე დაიღუპა.“ მხატვარ კასტელს ეს გ. სააკაძის პორტრეტი თავის სხვა ნახატებთან ერთად ჰქონია მოთავსებული საერთო ალბომში.

კასტელს რაიმე უარყოფითი მოვლენა რომ სცოდნოდა გ. სააკაძეზე, როგორც მის თანამედროვე პირზე, ასეთი შინაარსის წარწერას არ გააკეთებდაო - განმარტავს მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე.

ვერ ვიტყვით იმას, რომ გ. სააკაძეზე ცოტაა დაწერილი, მით უმეტეს ისეთი კორიფეებისაგან როგორებიც იყვნენ, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, პლატონ იოსელიანი, ზაქარია ჭიჭინაძე, ივანე ჯავახიშვილი, ჯანსულ ღვინჯილია, გივი ჯამბურია, ლევან სანიკიძე, როსტომ ნიორაძე. აღარას ვამბობ უფრო თანამედროვე ჩვენს სასიქადულო ისტორიკოსებზე, პოეტებზე თუ მწერალთ ნაშრომებზე.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგ-ზოგი ისევ გულგრილობის გარსშია გახვეული. საიდან მოდის ეს? როცა ცდილობენ მემატიანეზე თავსმოხვეული ზეწოლით, რაღაც ბუნდოვანად მოსაზრებული მოვლენებით, ჩრდილი მიაყენონ გ. სააკაძის პიროვნებას, მით უმეტეს, როცა დღესდღეობით, ხომ უკვე ცნობილია, იმ დროის ოპოზიციური მხარის ხელწერაა ეს!

ვფიქრობ ღრმად უნდა დაფიქრდნენ ასეთი სკეპტიკოსები, მათს ასეთ ქმედებაში ხომ იკითხება, აქ ჩამოთვლილი ღირსეული საზოგადო მოღვაწეების მიერ გ. სააკაძეზე გამოთქმული აზრების უარყოფა, არ ეძლევათ ასეთებს ამის უფლება.

მხატვრისაგან დაწერილი, თან ასეთი ღრმა განხილვებით, გ. სააკაძის ეპოქის შესახებ მე სხვა არ მეგულება. ამ წიგნში ავტორისაგან წარმოდგენილი გ. სააკაძის ფსიქოლოგიური პორტრეტი ქართველი მკითხველისადმი მუდამ დამაფიქრებელი და ანგარიშგასაწევი იქნება, რაც დღევანდელი და მომავალი ქართული ცნობიერებისათვის ცოტას არ ნიშნავს.

ნ. ხერკელაძესაგან საყურადღებოდაა გადმოცემული გ. სააკაძის და ლუარსაბ II-ის ურთიერთობები „ტაშისკარის ომის“ შემდეგ,რამაც განაპირობა დამოყვრებოდა გ. სააკაძეს, ამ საფუძვლებზე წარმოშობილი საპირისპირო პოზიცია თავადთა შორის, შეთქმულების მოწყობა, გ. სააკაძის გაწირვა პირადი მტრებისაგან, შემდეგ ქვეყნიდან გაძევება, ირანული გზის არჩევა, შაჰ-აბასის გეგმები, მარტყოფის მოვლენების აღწერა, სადაც ამ ომის თორმეტწლიანი სამზადისი აისბერგს მოგვაგონებსო, ამბობს ავტორი. ის რაც წყლის ზედაპირზე ჩანდა, შაჰისადმი ერთგულების ფორმად იკითხება, იმ მძიმე წლების მანძილზე შეკავებული რისხვითა და ტკივილით ფარულად ნამზადები და შესაფერის დრომდის ნაცარ-წაყრილი. დამაფიქრებელია ძმები უნდილაძეების ხასიათების წინა პლანზე წამოწევა, როგორც გულგრილნი პირნი, ქართლ-კახეთის ბედისა. ალბათ სხვაგვარად არც ძალუძდათ, და

აქვე ავტორს მართებულად მოჰყავს მარტინ ლუთერის სიტყვები“ — აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძს“. ვისაც სხვაგვარად, ე.ი. თავის ქვეყანას როგორც ესაჭიროებოდა და ისე ძალუძდა, ეს კაცი იყო გ. სააკაძე. ამ წიგნის ავტორი სვამს ლოგიკურ კითხვას, მაშ რისთვის ითმენდა გ. სააკაძე ამდენს იქ, ირანში, შაჰთან დიპლომატიურ ურთიერთობებში. აქ კიდევ თავის პირადი მტრებისაგან და რადგან ითმენდა, ცხადია, მიზანი ჰქონდა, და ამ დათმენის მიზეზსა და მიზანს, ირანში დარჩენილი თავისი პაატა რომ შეეწირებოდაო, ხომ საზღვრავდა ამას გ. სააკაძის გონება? საქმე ამაშია, რომ როგორც კი შეიცნო მან შაჰ-აბასის მიზნები, გადაწყვეტილებაც მიილო, წინ აღსდგომოდა, რომ თავისი ქვეყანა გადაერჩინა. ეს კი პირდაპირი ლოგიკაა, რომ პაატა, ასეთი გადაწყვეტილების მერე უკვე გამოტირებული ჰყავდა. გ. სააკაძეს გულის ერთ ნაწილში შვილი ჰყავდა, უკვე განწირული და გამოტირებული, გულის მეორე ნაწილში კი ზაალა ხერხეულიძე და მისი მსგავსი მრავალი ქართველი, რომელთაც, ერთად აღებულს, სამშობლო ერქვა. ამ შინაარსით თავისი მიწა-წყალი საშველად უხმობდა და როცა გ. სააკაძემ სამშობლო არჩია შვილის სიცოცხლეს, მისგან სამშობლოს თანაგანცდის მოზიარენი იყვნენ მისი პირადი მტრები, ამიტომ გ. სააკაძისგან სამშობლოსათვის შვილის შეწირვა, მოძულე მხარის პატიებასაც ნიშნავდა. — განმარტავს ნ. ხერკელაძე.

დამაჯერებელი მოტივითაა მარაბდის მოვლენების განხილვაც, სადაც გ. სააკაძის საომარი გეგმა უარყო ნაწილ თავადთა ამბიციურმა პოზიციამ. მათ დაივიწყეს და ვერ განსაზღვრეს, რომ გ. სააკაძის იობის მსგავსი მოთმინებით და თადარიგით მოიგეს მარტყოფის ომი და რუსეთისაკენ ორიენტაცია აღებული თეიმურაზ I უკვე გაერთიანებულ ქართლ-კახეთის მეფედ დააბრუნეს. ამ გაერთიანების მისიამ 20 ათასიან ქართველ მეომარს მოუყარა თავი, რომელნიც მარაბდაში პირისპირ მზადყოფნაში დადგნენ შაჰ-აბასის 50 ათასიან არმიასთან. ვინ შექმნა ეს პირობა? განმარტავს წიგნის ავტორი. თვალსაჩინოება სახეზე იყო. მარტყოფის გამარჯვებით განმტკიცებულნი, თანაიმედად გ. სააკაძე ეგულებათ, ამ მოტივით მტერთან ომის გამართვას, დაბლა ვაკეზე ჩასვლით ეპირებიან, სარდლობას კი გ. სააკაძეს არ უთმობენ.

ქართველი საზოგადოების ცნობიერება იცნობს ქარჩოხი „ქსნის ომის“ მოვლენებს, აქვე უნდა აღინიშნოს ნ. ხერკელაძისაგან ხაზგასმა, რატომ გახდა საჭირო ანდუყაფარ-ამილახვარის ოჯახის ჯერ ასეთ სიშორეზე, თერგის ხეობაში, იზოლირება და მერე უკან დაბრუნება. განა ერთი ოჯახის გამოხსნისათვის საჭირო იყოვო ისახან-ყორჩიბაშისაგან 12 ათასი ირანელი მეომრის გამოყოფა? რომელნიც უვნებლად აივლიდნენ ზ. ერისთავის არაგვის ხეობას და ქსნის ხეობით დაბრუნდებოდნენ. რა ელოდათ მათ იქ ? თუ არა გ. სააკაძისაგან წინასწარ შემუშავებული გეგმა, რომ რაც შეიძლება ბევრი ყიზილბაშთა რიგები მოესპოთ, განმარტავს წიგნის ავტორი. ჯანსაღი სიმართლეა, როცა ნ. ხერკელაძე აღნიშნავს, საქართველოში შემოსული 90 ათასიანი ყიზილბაშური ჯარების პატრონი შაჰ-აბასი, ოდესმე იფიქრებდა იმას, რომ საქართველოსთან ზავი დასჭირდებოდათ, მარტყოფის ომში 27 ათასი ირანელი განადგურდა, მარაბდაში 14 ათასი ირანელი, ქსნის ომში 12 ათასი ირანელი, გორის ციხის, ბირთვისის ციხის, განჯის ციხის აღებისას და სხვა პარტიზანული, თარეშულ ბრძოლებში მრავალი ირანელი განადგურდა, იმ ვითარებებში შაჰ-აბასის ჯარების განადგურების რიცხვმა 70 ათასს მიაღწია, შვილი პაატაც შეწირული ჰყავდა. ამ საფუძვლებზე გ. სააკაძე ყიზილბაშთა მთლიანად განადგურებაზე ხელს არ აიღებდა. ასეთმა მოვლენებმა შაჰ-აბასი საგონებელში ჩააგდო, მან ვერ აისრულა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა, სამაგიეროდ მოძებნა გამოსავალი, ზავის პირობით ზოგ დიდებულთა ფსიქოლოგია მოეხიბლა, სადაც ქართლ-კახეთის მეფედ ისევ თეიმურაზ I-ს გამოაცხადებდა. შაჰ-აბასის ზავის პირობებმა ქართველების ორ ბანაკად გაყოფა გამოიწვია, თეიმურაზ I-ის მხარე ირანული ორიენტაციისა გახდა, მეორე გ. სააკაძის მხარე, ოსმალური ორიენტაციისა. ბაზალეთის ომი პროვოკაციული ომი იყო. რაც ირანის კარმა ქართველებს შორის ურთიერთ-დაპირისპირებით გამოიწვია. ბაზალეთის ომი გარდა სინანულისა, ქართველი ერისათვის სულის ასამაღლების მოვლენებითაცაა გაჯერებული, რამეთუ ამ ომში გ. სააკაძისაგან ამერ-იმერ საქართველოს გაერთიანების გეგმა იყო საფუძველი. რომელიც დავით IV-ე აღმაშენებლისაგან დატოვილია ანდერძად, რაც აღმატებულია და დიდი მასშტაბებისაა, რომელიც ბაზალეთში გ. სააკაძის მოპირისპირე მხარეს არ გააჩნდა და ამაზე არც ეფიქრებოდათ ვინც ამაზე ფიქრობდა, მას სამკვდროსასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ. — ვკითხულობთ ნ. ხერკელაძის ნაშრომში.

ასეთ ვითარებებს აგვიწერს ერთ-ერთი ბრძენი მემატიანე ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც წერს: „საქართველოს დარბაისელნი და დიდებულნი ერთმანეთისა მტერნი და ქიშპნი იყვნენ, არც ერთმანეთსა ასვენებდნენ და არცა ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონებოდათ, ვერც არას ურუმნი და ვერც არას სხვა მტერნი აწყენდათ რასმე, ამათი საქმე ნიადაგ, ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოიშლიან და არცა მოუშლიათ. საქართველოს იმ შავბნელ დროს შესანიშნავად აგვიწერენ მემატიანეები: ეგნატაშვილი ბერი და ფარსადან გორგიჯანიძე, აგრეთვე პოეტი დავით გურამიშვილი, რომელიც პოეტურ ფორმაზე ხატოვნად წერს თურქნი, სპარსნი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ ღლიღვი, დიდო ქისტი — სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თითო ქიშტი, მერმე შინათ აიშალნენ ძმამ მოუდო ძმათა ყისტი, თავის თავსა ხმალი იკრეს გულთა მოიხვედრეს ხიშტი.“

ვფიქრობ საჭირო და აუცილებელია მეტი და მეტი მონდომებით აისახოს და დაიწეროს ისეთ თემატიკაზე, როგორზეც ჩვენი ავტორი ნ. ხერკელაძე წერს. რადგან XVII-XVIII საუკუნეების გამოძახილი ხშირად მეორდება, საქართველოს მტრები არასოდეს არ ელეოდა, ეს თემა ყოველ დროში აქტიურია, გარე მტერი ხომ ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს შინაურ მტრებთან საერთო ენის გამონახვას.

ამჟამად, სასიამოვნო და მისასალმებელია ნ. ხერკელაძის მიერ გ. სააკაძისადმი მიძღვნილი ნაწარმოების შექმნა, მისი გამოქვეყნება და გამოცემა. მიმაჩნია, რომ ნ. ხერკელაძის მიერ წარმოდგენილი ნაწარმოები ყოველმხრივ საინტერესო და მოსაწონია. იგი, როგორც ლიტერატურული მხარე ყოველმხრივ გამართულია, მასში, როგორც ზემოთაც ვთქვი, ბევრი ისტორიული ფაქტი და მოვლენაა გაანალიზებული, ერთობ საინტერესო კუთხით. მის სტროფებში და სიტყვებში კარგად გამოსჭვივის ავტორის სრულყოფილი და მყარი აზროვნება, მაღალ მხატვრული ლიტერატურული დონე, და რაც ყველაზე მთავარია, პროგრესული აზროვნება იმ დროის მოვლენების დამაჯერებელი შეფასებების შესახებ.

გაგრძელება იქნება.

***ბადრი გოგუაძე***

# კიდევ ერთი „შაითანი“

*(გაგრძელება)*

აფხაზეთისა და სოჭის რეგიონში სხვადასხვა ქართულ შენაერთებს გენერალ- მაიორი ტარასი ვაშაკიძე მეთაურობდა. გარკვეული პერიოდი ის ტუაფსეს გენერალ- გუბერნატორიც იყო და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დაარსებიდან ბოლომდე, ბოლშევიკების მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობამდე, ემსახურა.

ეს ის ქართველი ლომკაცია, რომლის გმირობამ მრავალი ქვეყნის სამხედრო ისტორიკოსი განაცვიფრა, თურქებმა კი „შაითან კაპიტანი“ შეარქვეს.

ეს ის გმირია, რომლის თავდადებამ და გამჭრიახობამ რუსეთის იმპერატორის ყურადღება მიიპყრო და პირადი აუდიენციის დროს მას სამხედრო ჯილდო და „პოდპოლკოვნიკის“ ჩინი მიანიჭა. მრავალომგამოვლილი გერმანელები კი, (ისინი თურქებთან ერთ სამხედრო ბლოკში გამოდიოდნენ) აღაფრთოვანა. მისი გმირობა სამხედრო სტრატეგიის სახელმძღვანელოებში შევიდა და გარკვეული კორექტივებიც შეიტანა. მამაცობისათვის იგი საფრანგეთის (ანტანტის წევრი) პრეზიდენტმა პუანკარემ „მედაილლე მილიტაირეთი“ დააჯილდოვა, რომლის კავალერი თვით რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II იყო. ამასთან იგი უკვე ფლობდა წმ. გიორგის, წმ. სტანისლავის, წმ. ანას სხვადასხვა ხარისხის ორდენებს.

პირველი ჯილდო (წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენი) მან სამხრეთ კავკასიის საომარ სცენაზე ომის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ დაიმსახურა. კერძოდ, თავისი ასეულით ბრწყინვალედ ჩატარებული, გააზრებული ოპერაციის შედეგად 1914 წლის 19 დეკემბერს თურქების დიდი ძალები გაანადგურა და ტყვედ წამოიყვანა ორასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი (მათ შორის ექვსი მაღალი და ოთხი უმცროსი ოფიცერი).

თუმცა, მთავარი გმირობა რასაც სამხედრო საისტორიო ნაშრომოებში „რუსული სასწაული“ უწოდეს, ქართველმა ოფიცერმა, გამოღვიძებულმა ქართულმა სამხედრო გენმა ჩაიდინა. ისტორიული ტაო-კლარჯეთისათვის ბრძოლაში (რუსული არმიის ცნობილი მოუქნელობისა და არაოპერატიულობის ფონზე) მისი, როგორც ქართველის, მოტივაცია არნახული გმირობის საფუძველი შეიქნა.

ეს მოხდა იმავე წლის 22 დეკემბერს.

თურქებმა გერმანელ მრჩეველთა ხელმძღვანელობით საქართველოს ისტორიულ რეგიონში, ტაოკლარჯეთში კერძოდ, ყარსისა და ბასიანის რეგიონში დაგეგმეს გრანდიოზული სამხედრო ოპერაცია. ეს მიწები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში რუსეთთურქეთის 1877-78 წლების ცნობილი ომის შემდეგ შედიოდა და მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს აჭარლები შეადგენდნენ.

რუსული ქვედანაყოფების შემადგენლობაში შედიოდა დარუბანდის 154-ე კაზაკთა ათასეულის (მას ასევე ქართველი პოლკოვნიკი თავადი ნიჟარაძე მეთაურობდა) მე-14 ასეული, რომელსაც კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე ედგა სათავეში.

მან, რუსული ჯარების დაგეგმილი ერთიანი საომარი მოქმედების წინ, მაღალპროფესიონალური, წარმატებული დაზვერვითი ოპერაცია ჩაატარა მტრის პოზიციების სიღრმეში. ამასთან მისმა ჯარისკაცებმა ხელთ იგდეს ოთხი ზარბაზანი და არტილერისტები, რომლებიც თურმე უშუალოდ იცავდნენ თურქული მეცხრე კორპუსის შტაბს.

ფლობდა რა ძვირფას სადაზვერვო მონაცემებს, კაპიტანი ვაშაკიძე არ დაემორჩილა საერთო ოპერატიულ გეგმას. გამოამჟღავნა იშვიათი ინტუიცია, დამოუკიდებელი მანევრირებისა და ინიციატივის უნარი. თავის ასეულთან ერთად წინასწარ დამუშავებული მარშრუტით შეიჭრა თურქთა განლაგების სიღრმეში და მათი შტაბის უშუალო მისადგომებს მიადგა.

მან მახვილგონივრულად გარისკა, პირადი გმირობით აღაფრთოვანა თანამებრძოლნი, არად ჩააგდო ის, რომ დამოუკიდებელი მანევრირება სასტიკად აუკრძალა პოლკის მეთაურმა (რისთვისაც დასჯა ელოდა უცილობლად)

მისი რამოდენიმე მცდელობა შეტევაზე გადასულიყო მკაცრად შეაჩერეს. მაგრამ იგი, ალბათ, ვერ შეაჩერა საკუთარი მიწის სიყვარულმა, ქართულმა საბრძოლო სულმა... და შედეგიც ფანტასტიური, თითქმის არარეალური იყო.

ტარასი ვაშაკიძემ ერთი ასეულით ხელთ იგდო მტრის უამრავი ტყვია-წამალი, ცხენები, ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები. თუმცა, სამხედრო ნადავლი რა სახსენებელია როცა 1400 ჯარისკაცთან და ოფიცერთან ერთად მან დაატყვევა თურქთა კორპუსის სარდალი ისხან ფაშა, დივიზიის სამ მეთაურთან ერთად შტაბებითურთ.

უკანმობრუნებული ქართველი კაპიტანი მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა, რომ თურქებს არ გაეგოთ მისი ხელქვეითების სიმცირე ( სულ რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და ორიოდე პრაპორშიკი)

— მაინც რა ძალები გყავთ — დაინტერესდა ტყვე თურქი გენერალი.

— აქეთ დივიზია დგას, ხოლო ერთი ბრიგადა და ორი ბატალიონი აქვეა ჩასაფრებული — უპასუხა კაპიტანმა.

როდესაც სამშვიდობოს გავიდა, ვაშაკიძე მიუბრუნდა მას და უთხრა:

— იცით გენერალო მე თქვენი კორპუსი ერთი ასეულით დავატყვევე.

— შაითან კაპიტან, შაითან კაპიტან! — სიმწრით აღმოხდა ნირწამხდარ ისხან ფაშას.

ქართველი კაპიტნის გმირობის კონკრეტული შედეგი გახდა, პრაქტიკულად ხელმძღვანელობის გარეშე დარჩენილი, თურქთა ორი საამირო კორპუსის ნაწილების სრული განადგურება.

ოპერაციის შემდეგ რუსეთის ელიტარული გენერლები იუდენიჩი და შერხმანი აღფთოვანებით ულოცავდნენ “მის მაღალკეთილშობილებას დიდ და სახელოვან გამარჯვებას”.

“ ეს ხომ შეუძლებელია “— აღმოხდა განცვიფრებულ გენერალ იუდენიჩს.

შესაძლებელია — რადგან ქართველებს ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე გვყავდა გამორჩეული, ნიჭიერი, თავდადებული გმირები, რომელთაც ისტორიული ბედუკუღმართობის ფონზე ხშირად უხდებოდათ უცხო ქვეყნების სამხედრო შენაერთებში ბრძოლა, მაგრამ მათი ერთგულება, გამჭრიახობა და შემართება მშობლიური მიწა-წყლის დაცვის დროს ასმაგდებოდა.

კონსტანტინე გამსახურდია „მთვარის მოტაცებაში“ თარაშ ემხვარს ათქმევინებს: “ეს კაცი ყოფილი გენერალია. მსოფლიო ომის დროს მან ერთი ბატალიონით თურქეთის მთელი კორპუსი შტაბიანად შეიპყრო... მან არც კი იცის, რომელიმე სენსაციური ამერიკული გაზეთი მილიონდოლარს არ დაიშურებდა მისი მემუარებისთვის.“

გაგრძელება იქნება.

*გიორგი ბეჟიტაშვილი, თამარ თამარაშვილი*

# პარტიზანულ ბრძოლაში ნაწრთობი მეგობრობა

იტალია, უძველესი და უნიჭიერესი ხალხის სამშობლო.

იტალია თანამედროვეობის უმშვენიერესი ქვეყანა. იტალია და საქართველო ერთი ისტორიული ბედის გზით მავალი.

საქართველო და იტალია ორი უძველესი სახელმწიფოების ნიმუში. საქართველოს და იტალიის წარსული დიდების თანაზიარი ურთიერთობა. იტალიის მადლიან მიწაზე სამეგობროდ ჩასული ქართველი მეფე ფარსმანის მხედრული ნიჭის პატივისცემის ნიშნად რომაელთა იმპერატორმა ანტონიუს პიუსმა მარსის მოედანზე ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკება დადგა. კეისარი რომისა და მეფე ქართლისა ერთად შევიდნენ კაპიტოლიუმის ტაძარში.

საქართველოს ისტორიული განვითარება მჭიდროდ გადაეჯაჭვა რომის ისტორიას.

დაიწყო ორი შემოქმედი ხალხის მეგობრობა . . .

დაიწყო ძვ.წ. 1 საუკუნიდან მოყოლებული . . .

დაიწყო და გაუძლო საუკუნეების ქარტეხილებს . . .

დაიწყო და გაიარა ასწლეულები.

დაიწყო და მოვიდა XX საუკუნეში.

1922 წელი. მონოპოლისტური კაპიტალის, კათოლიკური ეკლესიის, სამეფო კარისა და ქვეყანაში რეაქციული ძალების მხარდაჭერით, იტალიაში დამყარდა ფაშისტური დიქტარურა ბენიტო მუსოლინის მეთაურობით. ასე დაიწყო XX საუკუნის 30-იანი წლების იატლიის ურთულესი ისტორია, რომელმაც დიდი ხნით განსაზღვრა იტალიელი ხალხის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა. მუსოლინის დიპლომატია ფაშისტურ გერმანიასთან კავშირში იღწვოდა რუსეთის (საბჭოთა კავშირის) წინააღმდეგ საბრძოლველად და მსოფლიო გეოპოლიტიკური სივრცის გადანაწილებისათვის, ,,მე მჭირდება რამდენიმე ათასი მოკლული, რომ მივუჯდე გამარჯვებულთა მაგიდას" აცხადებდა მუსოლინი. (1) მან ფრონტზე გააგზავნა საექსპედიციო კორპუსი, რომელიც 1942 წელს მერვე არმიად გადაკეთდა და ეწოდა ,,არმირა". მის შემადგენლობაში შედიოდნენ მექანიზებული დივიზიები ,,პასუბიო", ,,როტინო". მობილური დივიზია ,,პრინცი ამადეო გერცოგ დაოსტა", საარტილერიო პოლკი და ავიაციის 23 ესკადრილია, მაგრამ სტალინგრადთან იტალიის მერვე არმიამ ისეთი დარტყმა განიცადა, მისგან მცირე ნაწილი დარჩა. მუსოლინის საგარეო პოლიტიკური კურსი მარცხს განიცდიდა ,,არმირას" განადგურებამ იტალიელ ხალხზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ამას დაემატა მუსოლინის მიერ ქვეყნის ცენტრალური და ჩრდილოეთი რაიონების ოკუპაცია და თავისი მარიანეტული მთავრობის გამოცხადება, იტალიელი ხალხი დარწმუნდა მუსოლინის რეჟიმის დამღუპველობაში და იარაღს მოჰკიდა ხელი, დაიწყო პარტიზანული მოძრაობა. 1943 წელს ჩამოყალიბდა პირველი პარტიზანული რაზმები – გარიბალდის სახელობის ბრიგადები.

იტალიაში დაიწყო მრისხანე და მოუხელთებელი პარტიზანული ბრძოლები, რომელშიც თავდადებით მონაწილეობდნენ საქართველოს წარმომადგენლები. ისინი იბრძოდნენ ,,ვალტოპრეს", ,,ვალდოსოლას" ,,რედის" და სხვა პარტიზანულ ჯგუფებში იტალიელების მხარდამხარ.

იტალიაში მძაფრად გაიშალა პარტიზანული მოძრაობა.

იტალია იბრძოდა. . .

იტალიაში ათას ცხრაას ორმოცდა სამის შემოდგომა იდგა.

ტყვედ მოხვედრილი ქართველები იტალიაში ჩაიყვანეს. იქ პარტიზანული მოძრაობას განსაკუთრებით თანაუგრძნობდა იტალიის მოსახლეობა და შეძლების დაგვარად ეხმარებოდა. წერს ბორის შურღაია წიგნში – ქართველები იტალიის მთებში" (2)

იტალიელი პარტიზანები – ჯუზეპე ლაზარეტო, დელა-ვალე, ფრანსა (ჯუზეპე) ნინო, ვიტორიო ბლანდინი, ვევო, კროზე ორესტე, მაიორკა, ტულიო, ჯინო, მარიო, ალესიო მაფიოდა, როლანდინო, კარამზა, ენდოჯიბინი, ერნესტო მორა.

ქართველები: სერგო ბეღელაძე, გრიგოლ დონდოლაძე, კალენიკე მარუაშვილი, გიორგი სირაძე, გაბრო რუსიშვილი, შაქრო ბარბელი, გიორგი ენუქაშვილი, აპოლონ თოფურია, გიორგი პაპოშვილი, ბორის შურღაია, გრიგოლ ჩხაიძე, ნოე კუბლაშვილი, ვალოდია გაბისონია. გიორგი ბექაური, გივი მიქიაშვილი, ვასილ ურუშაძე, ონო ალანია, ფირუზ ბაღალოშვილი, არსენ კარახანოვი, ილია (ინდიკო) დანელია და სხვა.

ულამაზესი იტალიის მთიანეთი.

ჩრდილოეთი იტალიის პროვინციები

და იქ ტყვეობიდან თავდახსნილი ქართველები . . .

და პარტიზანული მოუხელთებელი ბრძოლები . . .

იტალია. ტოსკანას ოლქი. მონტე ფიორინოს ბანიო და-ლუკა დი-ლუჯანის ზონაში, გარიბალდის მეთერთმეტე დივიზიის პარტიზანებთან ერთად იბრძოდნენ. მიხეილ ლაგვილავა, ვლადიმერ ბოკუჩავა, ემელიანე გოცირიძე, შალვა მათიაშვილი. სხვადასხვა რაზმებში იბრძოდნენ: გრიგოლ ადამაშვილი, დავით ბოჭორიშვილი, ვლადიმერ ბოჭორიშვილი, არჩილ ბუხნიკაშვილი, ალექსანდრე ბოსიკაშვილი, ნიკოლოზ გიორგაძე, გრიგოლ გობეჯიშვილი, ვლადიმერ ზვიადაძე და სხვა. მათ საბრძოლო თავდადებით არა ერთხელ შეასრულეს ძნელი დავალება და ასახელეს იარაღის ძალა. ისინი იქ იტალიის განთავისუფლებისა და ფაშისტური რეჟიმის დამხობას ემსახურებოდნენ.

იტალიაში ,,წინააღმდეგობის" მოძრაობის ვეტერანი, მამაცი პარტიზანი ერალდო გასტონ (პარტიზანული სახელი ჩორო).

პარტიზანული მოძრაობის თვალსაჩინო ორგანიზატორი ჩინო მოსკატელი, ჯიოვანეტი იატაკქვეშ მოქმედი, ბაგრატ მაისურაძე ქართული 224-ე დივიზიის სანაღმტყორცნო ოცეულის ყოფილი მეთაური, ისინი ბაგრატი ჯიოვანეტიოსთან ერთად გრიგორიის სახელობის 169-ე ბრიგადაში შემავალ რაზმში იბრძოდნენ (3).

იტალიელი პარტიზანი კაშტელა და ქართველი გიორგი ვარაზაშვილი (იგი კაპიტან მონტის სახელით იყო ცნობილი) 1945 წლის 6 თებერვალს იტალიელმა ფაშისტებმა ალყაში მოიმწყვდიეს. პარტიზანებმა უკანასკნელი ხელყუმბარით თავი აიფეთქეს. შემდეგში პარტიზანებმა თანამებრძოლების ცხედრები გაიტაცეს. გიორგი ვარაზაშვილი (კაპიტანი მონტი) იტალიელმა რენალდო დალმასიმ და რუსმა ბორის ზერნოვმა დაასაფლავეს სოფელ ჩიზონ და-ვალმარინოს სასაფლაოზე. საფლავის ქვაზე გაკეთებულია წარწერა: ,,გამვლელო, შეჩერდი, აქ განისვენებს პატრიოტი, რომელმაც სისხლი დაღვარა შენი განთავისუფლებისათვის და შენ თავისუფლება გაჩუქა – კაპიტანი ,,მონტი" გიორგი ვარაზაშვილი (4)

ლანცოს ულამაზესი ხეობა. . . საომარი მოქმედებების ასპარეზი. . .

პარტიზანთა რაზმის საბრძოლო თავგადასავალი. . .

იტალიელი და ქართველი მეომრები ფაშისტების პირისპირ.

ლანცოს ხეობაში დაეცა იტალიელი ეუსებიო ჯამბონე. ტყვიით განგმირული.

დაეცა და უკვდავყო თავისი სახელი.

ეუსებიო ჯამბონეს სახელი მისი დაღუპვის პირველივე დღეებში ეწოდა ლანცოს ხეობაში მომქმედ პარტიზანულ რაზმს, რომელშიც ბორის შურღია და ვანო ბადუაშვილი, შოთა მანაგაძე, ნიკოლოზ აბუსერიძე, გიორგი ახობაძე, ემელიან გოცირიძე, სერგეი შერმადინი და სხვა ქართველები იბრძოდნენ.

მტკიცედ გადაეხლართა იტალიელთა და ქართველთა საბრძოლო მეგობრობა.

არ ივიწყებდნენ ქართველებს იტალიელი თანამებრძოლები: ალესიო მაფიოტო, ვიტორიო ბლანდინო, ჯორჯო ოსტორენო, ლუჩიანო დიეროდო, კონელიო მაფიოდო, ტამბულო ემილიო, ვინოსე ფელიჩე, მასიმო პალიარელი, ბარიბიერე, ვალსანგონეს სერჯო დე ვიტის სახელობის პარტიზანული ბრიგადის ყოფილ მეთაური ჯულიო ნიკოლეტა, რუჯერო ვიტრანის სახელობის დივიზიის ყოფილი მეთაური კარლო ასტეჯანო, ვალ და სუზას გარიბალდის 113-ე ბრიგადის მეთაური, გენერალი ნინო გრისკუოლო, კოაცეს კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯორჯო ოსტორერო, სოსო ფრანჩესკო, უგო პიანო; ჩიმას სახელობის მე-17 პარტიზანული ბრიგადის ერთ-ერთი რაზმის მეთაური ბოსკო პიერინო, ჯინო სტასი, ჯოვანი ბოტანელი, კარეტე ჯუზეპე, მაცონი ჯულო.

ტორინოს პროვინციაში გაბედულად მოქმედებდა ქართველ პარტიზანთა რაზმი ვასილ ურუშაძის მეთაურობით. რაზმმა სამართლიანად გაითქვა სახელი მთელ ჩრდილოეთ იტალიაში.

სხვა პარტიზანულ რაზმს ხელმძღვანელობდა კოტე ლეჟავა – საქართველოს სოფელ სილურიდან, ასევე სახელი გაითქვა რაზმის მეთაურმა ალექსანდრე ფარცხალაძემ. მისმა რაზმმა ჩრდილოეთ იტალიის პარტიზანთა სარდლის მოსკატელის თანხმობით მონაწილეობა მიიღო ქალაქ დომოდოსოლას აღებაში. აი, რას წერდნენ დივიზიის პოლიტკომისარი პიპო და დივიზიის მეთაური იზო: . . . ,,ქართველი პარტიზანების შესვლამ ქალაქ დომოდოსოლაში მშრომელი მოსახლეობის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია . . . ჩრდილოეთ იტალიის გარიბალდელთა პირველმა დამკვრელმა რაზმმა – 92 ქართველისა და 205 იტალიელის მონაწილეობით (ქართველთა რაზმის მეთაური – კოტე ლეჟავა. რაზმის კომისარი შალვა კვასხაძე). იერიში მოიტანა ბაჩენოს რაიონზე და გააფთრებული ბრძოლების შედეგად ხელთ იგდო მისი გამაგრებული ადგილები: კრივოლა, სანტა-მარია, დაბები ლანცო, მალუსკო და ქალაქი დომოდოსოლა. (5)

დაბა გრაველონასთან პარტიზანებმა დაკარგეს ორი ქართველი – აღნიაშვილი, მუმლაძე და 34 იტალიელი პარტიზანი. მძიმედ დაიჭრნენ ვასილ ჩიკვაიძე და ლოცუაშვილი, მსუბუქად შალვა კვასაძე.

მუსოლინის შეპყრობაში მონაწილეობა ბედმა იტალიაში მომქმედ ქართველ პარტიზანებს არგუნა: ესენი იყვნენ კ./ ლეჟავა, ვლ. ჯავახიშვილი, ნ. კეჟერაშვილი, ა. ნინუა.

ჩრდილოეთ იტალიის უდინოს პროვინციაში შეიქმნა ქართველ პარტიზანთა 15 კაციანი ჯგუფი. ის შედიოდა სტალინის სახელობის იტალიელ პარტიზანთა ბატალიონში.

კ.ე. ვოროშილოვის სახელობის რაზმი 49 ქართველ პარტიზანს ითვლიდა. რაზმის ხელმძღვანელი ნ. ესართია, კომისარი შ. სიგუა.

საბრძოლო თანამეგობრობის ამსახველია იტალიის პარტიზანთა 143 ბრიგადის სამხედრო კომისრის დონიკო კორტას (პოსატორე) მიერ ჩამოთვლილი პარტიზანების გვარები: 1. ნიკოლოზ ესართია, 2. შალვა სიგუა, 3. ვარდო ქადაგიძე, 4. გიორგი მოლარიშვილი, 5. ალექსი გრძელიშვილი, 6. ნოე ჯანჯღავა, 7. მიხო კოტაშვილი და სხვა.

იტალიელი ,,ალუესიოს" რაზმში იბრძოდნენ: ე. კუბლაშვილი, ვ. გაბისონია

1969 წლის ზაფხულში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს იტალიიდან გამოგზავნილი ბარათი, რომელსაც ხელს აწერდნენ იტალიის კომუნისტური პარტიის ც. კომიტეტის ხელმძღვანელობის წევრი არმადო კოსუტა და ,,წინააღმდეგობის მოძრაობის" გამოჩენილი ორგანიზატორი ერალდო გასტონე. იტყობინებოდნენ ფაშისტებისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში თავდადებისათვის სიკვდილის შემდეგ იტალიის უმაღლეს ჯილდოზე – ოქროს მედალზე ,,მხედრული მამაცობისათვის" წარდგენილია იტალიელი პარტიზანი ეროვნებით ქართველი და ითხოვდნენ გმირის ვინაობის ზუსტ დადგენას. (6)

ძიებამ შედეგი გამოიღო. ქართველის ვინაობა დადგინდა. ფორე ნიკოლოზის ძე მოსულიშვილი, დაბადებული სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში 1916 წელს. 1939 წელს იგი წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს.

იტალიელ ერალდო გასტონე ავიაციის ოფიცერი იყო, მერე მეთაურობდა პარტიზანულ რაზმებს, მან დაადასტურა, რომ ფორე მოსულიშვილი 1944 წლის სექტემბერში (გერმანელთა ბანაკიდან გაქცევის მეორე დღეს) შეუერთდა იტალიელ პარტიზანებს. ერალდო გასტონემ, ფორე მოსულიშვილმა, მიხეილ საყვარელიძემ, ზაქარია თომაშვილმა, იტალიელმა მარიო ძინონიმ ერთად გადაიტანეს პარტიზანული ბრძოლის ბევრი მძიმე ეპიზოდი. 1944 წლის 3 დეკემბერს, გერმანელებმა ალყაში მოაქციეს ის რაზმი, რომელშიც ფორე მოსულიშვილიც იყო და განწირულ პარტიზანებს წინადადება მისცეს – თუ თქვენი მეთაური ჩაგვბარდება სიცოცხლეს შეგინარჩუნებთო. ცხადია ეს მაცდური შეპირება იყო. რაზმს სულ სხვა მეთაური ჰყავდა. ფორე გამოვიდა და გერმანელებს განუცხადა – რაზმის მეთაური მე ვარ, თქვენთან ტყვეობას სიკვდილი მირჩევნიაო და მათ თვალწინ მოიკლა თავი. ეს მოხდა ,,სერვადეის" 118-ე ბრიგადის ჯგუფში, გარიბალდელთა 118-ე ბრიგადის შტაბის მიერ შედგენილი პარტიზანული ბრიგადის. 1945 წლის 10 აპრილს ბრძანებაში ამის თაობაზე ნათქვამია: ,,პირველმა პირველთა შორის, პატიოსანმა პატიოსანთა შორის, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი ჯარისკაცისა და პარტიზანის დიდებული მაგალითი გვიჩვენა. იგი ბოლომდე საკუთარი სიტყვის ერთგული დარჩა – არასოდეს დანებებოდა ცოცხლად მტერს. (7)

1944 წლის დამდეგს ჩრდილოეთ იტალიაში. ტყვეობიდან გაქცეულები პარტიზანთა სხვადასხვა შენაერთში იბრძოდნენ. აქ იტალიაში პარტიზანულ ბრძოლებში წერდნენ უკვდავ ისტორიას ქართველები.

აქ იტალიაში განისვენებს ბევრი მათგანი

აქ იტალიაში სამუდამოდ დაიმკვიდრეს სახელი და დიდება.

ყოფილი პარტიზანი ბ. შურღაია იგონებს: ქალაქ ლეხას გავშორდით თუ არა, მარჯვნივ გავუხვიეთ და ვიწრო, ტყით დაბურულ გზას გავყევით.

გზა სულ მაღლა-მაღლა იწევს, აი, სოფელი კომნაგოც

გამოჩნდა. სწორედ ამ პატარა, იტალიურ სოფელში შეხვდა თავის უკანასკნელის წინა დღეს ფორე მოსულიშვილი – 1944 წლის 2 დეკემბერს.
ისინი ჩვიდმეტნი იყვნენ: ათი იტალიელი და შვიდი ქართველი. რაზმს იტალიელი ედო დელგრატო მეთაურობდა. ისინი მეგობრის ნატალე მოტას ოჯახს მიადგნენ. მერე კი სოფელ კომნაგოდან სულ ორიოდე კილომეტრის შემდეგ სოფლის ბოლოს ციცაბო ფერდობზე, უპატრონოდ მიტოვებული ქვის სახლისათვის შეეფარებინათ თავი. პარტიზანებს ღრმა ძილით ეძინათ . . . ფაშისტები მიჰპაროდნენ.
დილით სოფელი სროლის ხმამ შეაზანზარა. დაიწყო უთანასწორო ბრძოლა. დაიჭრნენ პარტიზანები.
აქ იარაღმომარჯვებული გერმანელები ხედავდნენ, როგორ გაიღო სახლის კარი . . . ზღურბლზე სისხლში მოსვრილი გოლიათი იდგა. მე ვარო მეთაური თქვა ფორემ. პისტოლეტი საფეთქელთან მიიდო და ჩახმახს გამოჰკრა. . .
იტალიის სრულუფლებიანი ელჩი მოსკოვში ფრედერიკ სენსი 1971 წლის 19 მარტს ქართველ დელეგაციას მიმართავდა.
ქართველო მეგობრებო!
თქვენ უნდა ამაყობდეთ, რომ ამ გმირს თქვენმა ქვეყანამ აწოვა ძუძუ, მისმა სახელოვანმა საგმირო საქმეებმა კიდევ უფრო განადიდა საქართველოს სახელი. ეს გმირობა კიდევ უფრო განამტკიცებს იმ მრავალსაუკუნოვან ტრადიციულ კავშირ-ურთიერთობას, რომელიც საქართველოს და იტალიას აერთიანებს. ასე წერს კაპრიეს მერი კარლო კანალი: (მაშინ, ომის დროს ის მცირეწლოვანი იყო) კავკასია, მისი ლამაზი და უბრალო ხალხი, მათი ზნეჩვეულებები, თბილისის სიამაყე და თანამედროვეობა ჩემში სამუდამოდ აღიბეჭდა. დიდი სიამოვნებით ვესაუბრე ჩემს მეგობრებს თქვენზე, ქართველებზე, იტალიის პარტიზანებზე, რომლებსაც ვთვლი დიდი ხნის მეგობრად. ასეთებად დარჩნენ გიორგი ვარაზაშვილი, მეგონა ღურწკაია, შიო სართანია, ფორე მოსულიშვილი, ნოე კუბლაშვილი, ვასილ ურუშაძე, გრიგოლ ჩხაიძე, შალვა კვასხაძე, ვლადიმერ გაბისონია, ვალოდია გაბისონია, ვალოდია ჭეჟაია, მიტო ჩოლოყაშვილი და მრავალი, საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი.
ფორე მოსულიშვილს თავდადება ნათელი სვეტი იტალიაში დაცემული ყველა ქართველს ,,სამშობლოდან ათასობით კოლომეტრის დაშორებით, შორეულ იტალიაში, ალპების ძირას განისვენებს ფორე მოსულიშვილი. კაცი რომელმაც ასახელა თავისი ქვეყანა, ხალხი, ბოლომდე ვაჟკაცურად მოიხადა მხედრული ვალი. . .
იტალიის სხვადასხვა რაიონში მოსკატელის, პიპოს, იზოს და სხვათა მეთაურობით გარიბალდიელ პარტიზანთა მრავალი დივიზია (300 ათასი კაცი) იბრძოდა.
აქ მოხვდნენ ტყვეობიდან გამოქცეული სუფსელი ურუშაძე. ზუგდიდელი ხარჩილავა, გურჯაანელი სონღულაშვილი, ლანჩხუთის სოფელ აცანის მკვიდრი გრიგოლ ჩხაიძე და სხვა.
1945 წლის 5 მაისისათვის ქართველმა პარტიზანებმა 120 კაციანი რაზმი შექმნეს, მის მეთაურად დაინიშნა ვასილ ურუშაძე, სამხედრო კომისრად გრიგოლ ჩხაიძე, დომოდოსოლას პროვინციაში — კოტე ლეჟავას, ნოვარის პროვინციაში ალექსანდრე ფარცხალაძის, უდინოს პროვინციაში ქალაქ პანდენოში — ვარლამ ლეკვეიშვილის მეთაურობით შეიქმნა პარტიზანული რაზმები.
ტორინოს პროვინციაში სუზის ხეობის კონდევეს ერთ-ერთი ქართული ქუჩას იტალიელებმა ,,ქართველ პარტიზანთა ქუჩა“ უწოდეს. ქუჩის თავში აღმართული სვეტის წარწერა გვამცნობს.
სუზის ხეობაში საბჭოთა საქართველოს მამაცი და დაუმორჩილებელი შვილები იტალიელი ძმების მხარდამხარ იბრძოდნენ პარტიზანულ ფორმირებაში 1944-1945 წ.წ. იტალიისა და ევროპის თავისუფლებისათვის.
ჟურნალისტი მ. გალენი წერს: ,,იტალიელმა ხალხმა იცის, თუ რაოდენ ბევრი რამ გააკეთეთ მათი ქვეყნის განთავისუფლებისათვის, გწამდეთ, რომ ჩვენი ხალხი არ დაივიწყებს. ამას და სამუდამოდ იქნება თქვენი მადლიერი”.
საქართველოდან იტალიაში ჩატანილი მემორიალი დაბა ბუსოლენოში დადგეს. მასზე წარწერაა: ჩვენს ძმებს და დებს ომში დაცემულ იტალიელებს, სსრ კავშირი, საქართველო, 1978 წ“. მემორიალი ყოფილმა პარტიზანებმა იტალიაში დაღუპულ ყველა პარტიზანის ხსოვნას მიუძღვნეს.
მემორიალს აქვს ბრინჯაოს დაფა, მასზე ქართველი პარტიზანების გვარები და სახელებია: გიორგი არჩვაძე, ავთანდილ ბოჭორიშვილი, ალქსი ბერიძე,ბეგო ბულესკერია, ემილანე გოცირიძე, გიორგი გაგილაძე, ნიკოლოზ ვაჩეისვილი, ტარასი ზაქარია, ნიო კუბლაშვილი, სოლომონ კბილანაშვილი, ლავრენტი ლაცაბიძე, გრიგოლ ლომთათიძე, გივი მოქიაშვილი, შოთა მანაგაძე, კარლო მათიაშვილი, ილია მაზანაშვილი, გიორგი ნასარიძე, ლაზარე ნასყიდაშვილი, ბოცია ნინუა, ვარლამ რევია, ნოე სილაგაძე, ნასყიდა სონღულაშვილი, ასლან ტოტოღაშვილი.
გაზეთის ,,კვირის პალიტრა” იუწყებოდა: იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში ფაშისტებს 300-მდე ქართველი ვაჟკაცი ებრძოდა.
. . . ქართველები ბრძოლაში უნდა ნახო. მაშინ ისინი ჩვეულებრივ ადამიანები კი არ არიან, არამედ ტიტანები, რომელთაც ძალებით ზედა იერიშით იალონ.
. . . გერმანელებმა გადაწყვიტეს გაენადგურებინათ პარტიზანები და შეტევა განახორციელეს ,,რემოსერვადიეს“ 181-ე ბრიგადაზე, რომლის მე-2 ბატალიონ ,,პაპინიში“ იბრძოდა ფორე და 24 სხვა ქართველი პარტიზანი.
ამრიგად, იტალიის განთავისუფლებისათვის წარმოებული მძლავრი პარტიზანული მოძრაობის ფორმირებებში ღირსეულად იბრძოდნენ საქართველოს წარმომადგენლები. იტალიის მამაცი შვილების მხარდამხარ სისხლით წერდნენ საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიას.

**ლიტერატურა და წყაროები:**


1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10 1986
2. სიხარულიძე, ე. იტალიის ეროვნული გმირი, თბ.,,საბჭოთა საქართველო” 1973 გვ. 25
3. შურღაია, ბ. ქართველი პარტიზანები იტალიის წინააღმდეგ მოძრაობაში, ,,საქართველო”. თბ. 1991. გვ. 154. გვ. 159-160.
4. ხუბულური, ლ. ,,კაპიტანი მონტი”. გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო” 1979.
5. ჭეიშვილი ნ. ქართველი პარტიზანები ფაშისტებისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ბათუმი. 1958 წ. გვ. 15-25. 38. 84
6. შურღაია, ბ. ქართველები იტალიის მთებში. თბ. ,,ნაკადული” 1971 გვ. 45
7. შურღაია, ბ. ქართველი პარტიზანები იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში. თბ. ,,საქართველო”. 1991 გვ. 159
8. სიხარულიძე ე. იტალიას ახსოვს ფორე. თბ/. ,,ნაკადული” 1971. გვ. 45. 210

9. საქ., სსრ. მეცნ, აკად. პრეზ. არსებული სამამულო ომის ისტ. შემსწავლელი კომისიის არქივი, ფონდი №3, საქ. №533, ფონდი №7. საქ. №551, გვ. 4-5
10. გაზ. ,,კვირის პალიტრა" 29.07.2009

*რეზიუმე*

### პარტიზანულ ბრძოლებში ნაწრთობი მეგობრობა

სტატიაში არსებული ლიტერატურისა და საარქივო პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე მეცნიერულად არის შესწავლილი იტალიაში წარმოებული ანტიფაშისტური პარტიზანული მოძრაობის ისტორია. 1944-1945 წლებში ჩრდილოეთ იტალიის პროვინციებში რაიონებსა და დაბებში იტალიელ პარტიზანებთან ერთად იბრძოდნენ გერმანელ ფაშისტთა ტყვეობიდან თავდახსნილი ქართველები. მათ არა ერთი საგმირო ეპიზოდი ჩაწერეს იტალიის ხალხის პარტიზანულ ომში, რითაც განამტკიცეს საბრძოლო მეგობრობა, იტალიის მამაცი შვილების მხარდამხარ სისხლით წერდნენ საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიას.

***Summary***

### FRIENDSHIP HARDENED IN PARTISAN FIGHTS

The history of antifascist partisan movement made in Italy is studied on the scientific level on the basis of analysis of the first Archive sources and bibliography used in the article.
In 1944-1945 Georgians escaped from captivity of German fascists struggled together with Italian partisans in provinces, regions and towns of North Italy. They wrote a lot of feats in partisan war of Italian people. With the help of it they hardened fighting friendship. They wrote the history of fighting friendship with their own blood together with the Italian braves.

*ნაილი ხარაიშვილი*

## ჩემი მადლიანი წინაპრები

("მეწამლე" ხარაიშვილები)

ისტორიულად ცნობილია, რომ ეკლესია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახალხო მედიცინას და ტაძრებისა და მონასტრების საშუალებით ავრცელებდა მას ერში.

ხალხში შემონახული ცოდნა დიდი განძია, რომელსაც გამოვლენა, შესწავლა და გავრცელება სჭირდება.

ღმერთმა დალოცოს
ქალბატონი ნაილი
ხარაიშვილი ხეთერელისა

ილია II
12/ VI 2000წ.

1967-68 წლებში საჩხერის რაიონის სოფელ ჭალოვანის საშუალო სკოლის მე11-ე კლასში ვსწავლობდი. ვცხოვრობდი სოფელ ხვანში, ჩემი მამის მშობლებთან — შუშანა ბებიასთან და გიორგი ბაბუასთან. ისინი ხშირად მესაუბრებოდნენ თავიანთი წინაპრების შესახებ. რამდენიმე ეპიზოდი მათი ცხოვრებიდან ჩემს მეხსიერებას შემორჩა, როგორც მეტად საინტერესო, შემეცნებითი კინოსიუჟეტი. გიორგი ხარაიშვილმა ზეპირად იცოდა თავისი გვარის გენეალოგიური რუკა. დაახლოებით XVII საუკუნეში უცხოვრია ფარსადან ხარაიშვილს, რომელიც სიბრძნითა და ვაჟკაცობით ყოფილა ცნობილი ზემო იმერეთში, ფარსადანის ვაჟზე, პაპუნა ხარაიშვილზე, დღემდეა შემორჩენილი სოფელში ლეგენდები მის ქველმოქმედებასა და ნიჭიერ შემოქმედებაზე.

### ნოე ხარაიშვილი

გიორგი ხარაიშვილს 4 შვილი ჰყავდა მარგარიტა, შურა, დიმიტრი და ნოე. რომლებმაც თავის მხრივ ნამდვილი ქართული ტრადიციების მქონე, ნიჭიერი შთამომავლობით გაამდიდრეს ხარაიშვილების გვარი. ესენი არიან პროფესორები ეთერი, ნათელა, დიმიტრი, ირაკლი, ჯუმბერი, ნოდარი, თეიმურაზ ხარაიშვილები. სოფ. ჭალოვანის სკოლა ოქროს მედალით დაამთავრეს ჯუმბერი და ნაილი ხარაიშვილებმა.

ნოე ხარაიშვილი II მსოფლიო ომში იბრძოდა, დაჯილდოვებული იყო სხვა და სხვა მედლებითა და ორდენებით. უფროსი ლეიტენანტი მძიმედ დაჭრილა, ინვალიდი დარჩა, ფეხი მთლად გაუშეშდა, მუხლს ვერ ხრიდა. ნოემ უარი თქვა შინ დაბრუნებაზე და თეორიულად რომ დახმარებოდა სამშობლოს, ალმა-ატის სამხედრო აკადემიაში ჩააბარა გამოცდები, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1944წელს.

ნოე საჩხერის რაიონის სამხედრო კომისარის მოადგილედ დანიშნეს, ამავე დროს რუსულ ენას ასწავლიდა ჭალოვანის საშუალო სკოლაში, სადაც გაიცნო ახლადმოვლინებული, საქართველოს ეროვნული გმირის – მერაბ კოსტავას ბიძაშვილი მარი კოსტავა, ახალგაზრდა პედაგოგებს ერთმანეთი შეუყვარდათ და ცხოვრების 50 წელი ერთად გაატარეს. მარი კოსტავა ერთადერთი უმაღლეს დამთავრებული გეოგრაფი იყო იმხანად საჩხერის რაიონში, ამიტომ თითქმის ყველა სოფლის საშუალო სკოლის დამთავრებულის ატესტატს ის აწერდა ხელს. ნოე ხარაიშვილმა ისე ბრწყინვალედ იცოდა რუსული ენა, რომ რაიკომიდან მოსკოვში გასაგზავნ დოკუმენტებს ნოე უკეთებდა კორექტირებას.

ნოე ხარაიშვილისა და მარი კოსტავას ინტელიგენტური ოჯახი მთელი საჩხერის რაიონის მოსახლეობისთვის ცნობილი იყო, როგორც ბრწყინვალე პედაგოგების, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და კარგი შვილების აღმზრდელი ოჯახი.

ხარაიშვილები ხანგრძლივსიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევიან. 108 წელი უცხოვრია ნოეს ბებიას აღათის, 114 წელი იცოცხლა ნოეს დედის მხრიდან სევასტიამ, 107 წელი ნოეს დედამ შუშანამ, 100 წელზე მეტი უცხოვრია გიორგი ხარაიშვილის წინაპრებს.

დაახლოებით 1938-40 წლებში ლაგოდეხის განათლების განყოფილების გამგე ყოფილა ნოეს ბიძა ვასილ

ხარაიშვილი, რომლის მოღვაწეობის დროს რამდენიმე საშუალო სკოლა გახსნილა ლაგოდეხის რაიონში.
მარი კოსტავა, ნოე ხარაიშვილი, ვასილ ხარაიშვილი ჩემი აზრით საზოგადო მოღვაწეები იყვნენ იმ დროის საქართველოში, რომლებიც ასე თავგამოდებით იღწვოდნენ ახალგაზრდა თაობის განვითარებისათვის.
ჩვენ ჩადუნლები ვყოფილვართ, სხვადასხვა მიზეზის გამო სამ შტოდ დავყოფილვართ: ჩადუნლებად, ხარაიშვილებად და ხარაზიშვილებად. ამ ისტორიულ ფაქტს პოეტი გულნაზი ხარაიშვილი ასე აღწერს ლექსში:
ჩადუნლები, ხარაიშვილები და ხარაზიშვილები ერთი გვარისაა
ვყოფილვართ ფუძით ჩადუნელები,
ვკითხოთ წინაპრებს, რა მოხდა მერე?
ვყვაოდით ისე ვით ენძელები,
გვარის გაყოფას მითებში წერენ.
ხარივით ვხნავდით ჩვენს კუთვნილ მიწას,
დედით ირწოდა ტკბილი აკვანი.
ასე გამრავლდა, ოთარ და ნიკა,
ასე გამრავლდა, ხვანი ჭალვანი.
მეცნიერები, მჭერმეტყველები,
ჩვენს გვარში უფლით ბევრი ერია
და გაზაფხულის თეთრი ტყემლები,
ბებერ მიწაზე ახლაც მღერიან.
ალბათ უფალმა ასე ინება,
საგვარეულოს გვარის დაყოფა.
ღვთის სიყვარული ჩვენით იწყება,
ჩვენ ღმერთმა გრძნობით დაგვაწყალობა.

ხოლო ნათელა ხარაიშვილი, ლექსით ამბობს რომ საბანელა თურმე ხარაიშვილის გვარის ფუძე ყოფილა
„აქ დაირწა გვარის წმინდა აკვანი
აქ ხომ წყალი მოჩუხჩუხობს ანკარა,
გვარი არის ჭირ-ვარამის ამტანი.

## პაპუნა ხარაიშვილი

საჩხერის რაიონის სოფელ ლიჩიდან არიან წარმოშობილი. გვარის წინაპრები ყოფილან ჩადუნელები. ჩადუნელებსაც, როგორც სხვა მრავალ გვარს, ანალოგიური ისტორია ჰქონიათ. გაუნაწყენებიათ ბატონი, გაქცეულან და თავიანთი ფიზიონომიის შესაფერის გვარად — ხარაიშვილად გადაუკეთებიათ. როგორც თანამედროვე ხალხისათვის საყვარელი პოეტი ავთანდილ ხარაიშვილი გვიამბობს, სიტყვა - "ხარ" არაბულად ნიშნავს ცეცხლოვანს, ხარაიშვილები მართლაც ცეცხლოვანი, ტემპერემენტიანი და, ამავე დროს რომანტიკულები არიან.

განსაკუთრებული ახოვანებითა და სილამაზით გამოირჩევიან კაცები. ნამდვილი ქართველის დამახასიათებელი ცისფერი თვალები და ქერა თმა აქვთ. ქალები არიან ოდნავ ფიცხები, მაგრამ ოჯახის უერთგულესი თვისებებით დაჯილდოებულნი. ძალიან იშვიათობაა, ან საერთოდ არ არის დანგრეული ოჯახი, როდესაც ქალი ან კაცი ხარაიშვილის გვარისაა. სწორედ ასეთი ყოფილა XVIII საუკუნეში მცხოვრები პაპუნა ხარაიშვილის ოჯახი.

### ლეგენდა I

ერთ წელიწადს სოფელს შავი ჭირი შეჰყრია. ხალხი იხოცებოდა. განსაკუთრებით დაავადებას ჩვილი ბავშვები ვერ უმკლავდებოდნენ. პაპუნას ოჯახი მცენარეულ წამლებს ამზადებდა. სოფელი ამჩნევდა, რომ ამ ოჯახიდან კუბო არ გაჰქონდათ. ჩვილი ბავშვების მშობლებს პირი შეუკრავთ, რათა თავიანთი ჩვილები პაპუნასთვის მიებარებინათ სამკურნალოდ და გასაზამთრებლად...

ღამის ოთხ საათზე, როდესაც პაპუნას მრავალსულიან ოჯახს ეძინა, ძილი დაურღვევია ეზოს ჭიშკართან მიყვანილ 14 აკვანში მტირალ ჩვილებს.

პაპუნამ განსაზღვრა, რომ ამდენ ჩვილს მისი სახლი ვერ დაიტევდა. სთხოვა ოჯახის წევრებს თავლა დაეცალათ, დაეთბუნებინათ, შიგ ბუხარიც მოეწყოთ და ჩვილები იქ გამოეზამთრებინათ. 8 თვე ჰყოლია პაპუნას ბავშვები და გაზაფხულზე მერცხლებივით ჯანმრთელი და მოჭიკჭიკე დაუბრუნებია თავიანთი პატრონებისათვის.

### ლეგენდა II

XIX საუკუნის დასაწყისში სოფელში ჟანდარმების ოთხკაციანი ჯგუფი ტყეში ეძებდა გაქცეულ ყაჩაღებს. 3 დღიანი ინტენსიური ძებნის შემდეგ ჟანდარმებიც და მათი ცხენებიც დაღლილ-დაქანცულები მიდგომიან პაპუნა ხარაიშვილის შვილის, ივანე ხარაიშვილის ოჯახს. ივანე 2 მეტრის სიმაღლე, ბრგე ვაჟკაცი ყოფილა. სტუმრები დიდი პატივით შინ შეუპატიჟებია. ბოსლიდან სახარედ გამზადებული ბულა გამოუყვანია დასაკლავად, ცოლი სთხოვდა თურმე, რომ სხვა საკლავიც ბევრი ჰყავდათ და ეს განსაკუთრებულად მოვლილი ბულა არ დაეკლა. ცოლის სიტყვები ივანეს ყურად არ უღია. ბულა ხეზე მიუბამს რქებით, ხმალი უშიშვლებია და ერთი ხელის დარტყმით თავი წაუგდებინებია. ორი დღე და ღამე დარჩენილან ჟანდარმები ივანესთან. მესამე დღეს, როდესაც ოჯახის წევრები სტუმრებს აცილებდნენ, ჟანდარმერიის უფროსს ვერცხლის ქამარ-ხანჯალი მოუხსნია და ივანესთვის საჩუქრად გადაუცია. შინ მობრუნებულ ივანეს თავისი ოჯახის წევრებისთვის უთქვამს: უფალი მადლს არავის უკარგავსო. თქვენ კი დაგენანათ ბულას დაკვლა, მაგრამ მათი ნაჩუქარი ნივთი ისეთი ძვირფასია, ჩვენ ამის ფასად 3 ბულა შეგვიძლია ვიყიდოთო. ვერცხლის ქამარ-ხანჯალი ივანეს არ გაუყიდია, ის შთამომავლობით გადაეცემოდა ოჯახებს. დღესაც ეს ნივთი, როგორც ძვირფასი რელიქვია, გადაეცემა ივანე ხარაიშვილის შთამომავლებს.

## გიორგი ხარაიშვილი მეოცე საუკუნის გენიალური ფერმერი

ჩემი ბაბუა, გიორგი ხარაიშვილიც, საჩხერის რაიონის სოფელ ხვანში ცხოვრობდა. ის დაბადებული ყოფილა 1890 წელს. გიორგის წერა-კითხვა მოძღვრებისგან უსწავლია. სოფელ ხვანში არის მეექვსე საუკუნის მცირე ბაზილიკური წმ. კვირიკეს სახელობის ტაძრის ნანგრევები და მე-19 საუკუნეში აგებული წმ. გიორგის სახელობის ტაძარი. კომუნისტურ პერიოდში ტაძრების მასიური ნგრევა რომ მიმდინარეობდა, გიორგის სოფლის მამაკაცები შეუკრებია, ტაძარს გარს შემორტყმიან და დანგრევას გადაურჩენია. ამ ტაძრიდან მიცვალებულს წმინდა მართლმადიდებლური წესით კრძალავდნენ. გარდაცვალებიდან მე-3 დღეს ტაძარში დაასვენებდნენ, ღამეს უთევდნენ, პანაშვიდს უხდიდა მოძღვარი, წესს აუგებდა და ნაკურთხ საფლავს მიაბარებდნენ.

როგორც მისი წინაპრები, გიორგიც ძალზედ ჭკვიანი მეურნე გახლდათ. თავის ეზოში გიორგის ჰქონდა სამჭედლო, სადაც 8 სოფლის მაცხოვრებთ ამარაგებდა რკინის იარაღებით. მახსოვს, გავარვარებულ რკინას, უროთი და ჩაქუჩით როგორ აძლე-

ვდა ბაბუა თოხის, ბარის, წალდის, ნაჯახის და სხვა სოფლებისთვის საჭირო ნივთების ფორმას. როდესაც ბაბუა სახლში არ იყო, ბავშვები "საბერველის" (ჰაერის შესაბერი მოწყობილობა ღუმელში ანთებული ცეცხლისთვის) ტარს ჩამოვეკიდებოდით და აიწონა-დაიწონას ვთამაშობდით.

გიორგი ხარაიშვილი ვენახის ბოლოს მოიპოვებდა კერამიკულ თიხას. თიხისგან ოჯახი ამზადებდა თონეებს, დოქებს, ფიალებს, ჭინჭილებს (მცირე ზომის სურა, საიდანაც ღვინო დალევის დროს სასიამოვნოდ რაკრაკებს). დღევანდელ გადასახედიდან გიორგი იყო კვალიფიციური ეკონომისტიც. ის ასაქმებდა სოფლის მოსახლეობას. ორ წისქვილში მეწისქვილეები და მათი დამხმარეები ჰყავდა დასაქმებული. ზაფხულში ტყეში გამოხშირავდნენ ტყეებს (ჭრიდნენ) ხეებს. ხერხავდნენ, აშრობდნენ და ზამთარში აკეთებდნენ ავეჯს. დღესაც გვაქვს შემორჩენილი გიორგის მიერ გაკეთებული ე. წ. "ბუფეტი", რომელიც ძვირადღირებულ, მაღალი გემოვნებით შესრულებულ ნივთად შეიძლება ჩათვალოს.

საოცარი სითბოთი და სიყვარულით დაიტირეს მეზობლებმა და ნათესავებმა 96 წლის გიორგი.

აღნიშნავდნენ მის უანგრო სამსახურს სოფლის მაცხოვრებლების წინაშე. ვის წყალი არ ჰქონდა და ჭა აუშენა, ვის ბუხარი არ ჰქონდა და გაუკეთა... გიორგი დაიტირეს, როგორც ცნობილი მოღვაწე.

ასევე პატივცემული და დაფასებული იყო ცნობილი პოეტების ბეჟან და გულნაზი ხარაიშვილების მამა ჭიჭიკო ხარაიშვილი. ჭიჭიკო ჭიათურის მარგანეცის მაღაროში მუშაობდა ბრიგადირად. 6 შვილი გაზარდეს ჭიჭიკომ და მისმა მეუღლემ, დონიკამ, ასევე, კეთილმა, ჭირის და ლხინის ვაჟკაცურად გადამტანმა ქალბატონმა. შვილებს ღვთის შიშსა და ადამიანის სიყვარულს უნერგავდნენ მშობლები. დღე და ღამე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, რათა ესწავლათ და სამშობლოს გამოდგომოდნენ ისინი.

აკი დაუფასდათ კიდეც მშობლებს ამაგი. ბეჟან და გულნაზი ხარაიშვილები, არა მარტო ჭიჭიკოს და დონიკას, არამედ სრულიად საქართველოს გულმართალი შვილები, ნიჭიერი პოეტები არიან. სამწუხაროდ, ბეჟანი ადრე გადავიდა მარადიულ სასუფეველში.

## გულნაზი და ბეჟან ხარაიშვილის ლექსები.

მათ ყოველ ლექსში იგრძნობა სიმტკიცე, სიყვარული, სიმშვიდე, მაღალ ადამიანური განცდები, უფლის რწმენა და სიყვარული.

მე რომ კრიტიკოსი ვიყო მათ ლექსებს მსოფლიო განზოგადების კრიტერიუმს მოვუძებნიდი.

გულნაზი ხარაიშვილის ლექსები ფრესკებთან ანთებული სანთლების ციციმს მაგონებს, გულსა და სულს სითბოთი და სიყვარულით რომ ესალბუნება.

## მორწმუნე "მეწამლეები"

XVII საუკუნიდან იღებს სათავეს ზეპირსიტყვიერებით გადაცემული სამკურნალწამლო რეცეპტები ხარაიშვილების გვარისა. განსაკუთრებით ცნობილი იყო სეფრო და თამარ ხარაიშვილების წამლები. ისევე, როგორც პაპუნა ხარაიშვილთან, მათთანაც ურმით მოჰყავდათ მომაკვდავი ავადმყოფები. მკურნალი მართლმადიდებელი მორწმუნენი იყვნენ. ისინი ავადმყოფს მკურნალობასთან ერთად ლოცვებსაც უკითხავდნენ, ღამეს უთევდნენ, თუ მოუნათლავი იყო, მოძღვარი მოჰყავდათ და ნათლავდნენ, აზიარებდნენ. ხარაიშვილების ორი შტო ყოფილა: ერთი მცირე მორწმუნენი, მეორე კი ღრმა მორწმუნენი (როგორც ხალხი უწოდებდა მათ). სოფელში ახლაც იხსენებენ, როდესაც ვინმეს ავადმყოფისთვის წამალზე გააგზავნიდნენ, სახლის აივნიდან გადასძახებდნენ: «მორწმუნე ხარაიშვილებისაგან მოიტანე წამალი, მათი დამზადებული უფრო მოსახდენიაო».

სამკურნალო საშუალების დამზადებისას «მორწმუნე მეწამლე ხარაიშვილები» იყენებდნენ საკმეველს, ნაკურთხ წყალს, სანთელს თაფლს, სპეციალურად დამზადებულ ღვინოს, სხვადასხვა მცენარეულ ზეთებს და გამონაწვლილებას.

ბებია შუშანამ, გიორგი ხარაიშვილის ცოლმა, მე პირად შემასწავლა წამლის დამზადების ტექნოლოგია. ამ გადასახედიდან ისინი წამლებს უნიკალური მეთოდებით ამზადებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ჰქონდათ წამლის შენახვის განსაკუთრებული პირობები, სამკურნალო ნაყენი არ ფუჭდებოდა. ხარაიშვილები წამლებს ამზადებდნენ საეკლესიო, სატაძრო მედიცინის მეთოდებით, რაც მკურნალობაში ლოცვის ჩართვას გულისხმობს. დღეს ამ მეთოდს ამერიკის თანამედროვე კლინიკებშიც იყენებენ.

ჟურნალ „ათინათში" დაიბეჭდება ხარაიშვილების გვარის ისტორია შემდეგ ნომერშიც, მოგვწოდეთ მასალები.

ხალხური მეთოდებით მკურნალი ნაილი ხარაიშვილი ხეთერელისა

წინაპართა გამოცდილების გაზიარება აუცილებელი პირობაა მომავალი თაობებისა. 20 წელია მუშაობს ტრადიციული მედიცინის აღდგენის გამგედ პარტიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

# ხელოვნება

*გულნაზ ხარაიშვილი*

## ლეგენდარული შვიდი ნომერი



მანუჩარ მაჩაიძის განვლილი გზა საამაყო და ''მოსაფერებელია,'' ახლობელთათვის უბრალოდ —''მანო''. თბილისის ''დინამოს'' კაპიტნის და ლეგენდარული 7 ნომრის ცხოვრების გზა ზღვის ტალღასავით მშხეფარეა, მის ყოველ ბილიკს თავისი ლაზათი, შნო და სილამაზე აქვს.

არ არსებობს ჭეშმარიტი ქართველი, რომელიც არ იცნობდეს ბატონ მანუჩარ მაჩაიძეს, მასში სპორტი და ხელოვნება ისეა შერწყმული, როგორც ჭიგოზე შემოხვეული ვაზის მანეული.

ბუნებრივია ასეთი სულის პიროვნებასთან შეხვედრას მღელვარება ახლავს, მღელვარება ადამიანური, მამულიშვილური... იმ დღეს ჩვენ ვღელავდით, როცა ჟურნალ "ათინათის" რედაქციაში მანუჩარ მაჩაიძეს ველოდით. ამ მღელვარების მიზეზს მიხვდება მკითხველი, ვისაც ერთხელ მაინც უნახია მანუჩარ მაჩაიძე ფეხბურთის მოედანზე და უფრო მეტიც დაუთვალიერებია მისი ფერწერული ნამუშევრები. მის ნახატებში მკაფიოდ არის ასახული თბილისური ბოჰემისა და მომავალი თაობების შთაგონების სავანე... დილის მელოდია. თუ ამხანაგების ტვირთწამოკიდებული და დაუღალავი მანუჩარ მაჩაიძე ასეთი კარგი მხატვარი იქნებოდა, ამას ვერც წარმოვიდგენდი, სუპერფეხბურთელს რა ფაქიზი სული ჰქონია. მისმა თავდადებამ, არაერთმა ბროლის თასის აღებამ, ოქროსა და ვერცხლის მედლების მოპოვებამ დამაწერინა 2003 წელში გამოშვებულ პოეტურ კრებულში ეს ლექსის სტროფები:

ბევრჯერ დარეკე ზარები,
ოლიმპოს ანთე ცეცხლი,
შენ მზესაც კი ედარები
მედლად ოქრო და ვერცხლით.
ბევრჯერ ვარსკვლავად ამაღლდი
და ააკვირტე ვერხვი...
იმედის ცეცხლით აალდი
მედლად ოქრო და ვერცხლით.

ბატონო მანუჩარ, შენს განვლილ გზაზე სიამაყით გაივლიან შენი შვილები და შვილიშვილები. შენი სახელი უსასრულო ზენიტს გავს.

*თამარ ჯაჭვაძე*

## ორპირნალესი ნიჭი

### (როცა სტადიონი დუმს)

ნიჭიერებითაა დასჯილი ქართველი კაცი. ხელოვნების დონეზე აუყვანია დასაბამიდან ხმლის ტრიალი თუ გუთნისდედის შემოძახილი. ქვაში უკვეთია მომღერალი სული, ბარელიეფებზე დაუღლია ნაომარი მარჯვენა. ფრესკებად დაუტოვია ტაძრის კედლებზე თავისი ფიქრი, სიხარული და მწუხარება. ასე უდენია ქართულ სულს, ასე გადმოუვლია საუკუნეები... იბრძოდა და მღეროდა, ხნავდა და ღიღინებდა, თოხნიდა და ნადურს დასძახოდა.

შემოქმედად იყო დაბადებული მეომარი თუ გუთნისდედა, კირითხურო თუ ჩუქურთმისმჭრელი. შემოქმედება ხომ სულის განთავისუფლებაა არა მარტო სხეულის, არამედ ყოველივე მიწიერისაგან. ყოველ შემოქმედში (ხელოვნების რომელ დარგშიც არ უნდა მუშაკობდეს) პატარა ბავშვია შემორჩენილი. ბავშვურად გულუბრყვილო კი არა, ბავშვურად სუფთაა და წმინდა შემოქმედის სული; მარადიულად მეოცნებე და მაძიებელი, სული მბორგავი და მოუსვენარი. თავად შემოქმედის მეტმა არავინ იცის, რა რთული გზაა სულიერი სამყაროდან ჩვეულებრივ, ადამიანურ ყოფიერებაში დაბრუნება. ისიც არავინ იცის ბედის სასჯელია თუ ჯილდო, რომ ერი მომღერალი და შემოქმედი — მეომრადაა გაჩენილი. დასაბამიდან ჯაჭვგაუხდელი ყოფილა არა მარტო სხეული, არამედ სულიც. ჟამიდან ჟამზე, როცა გარეშე მტერი დუმდა, ხმლისა და ტყვიის ზუზუნი წყდებოდა, ბრძოლის ჟინს მხოლოდ მაშინ ანაცვლებდა შემოქმედებითი ჟინი. მერე და როგორ ამშვენებდა ბრძოლაში დაღლილ მარჯვენას ფანდურზე როკვა, მაშინ, როდესაც ბრძოლის ქარტეხილს მყუდროების ნიავი სცვლიდა.

ხანგრძლივ მშვიდობას ვერგუებული მებრძოლი სული ტრადიციულ თამაშობებში იჟონებოდა და ასე მოდიოდა საუკუნეთა მიღმიდან სპორტულ სანახაობრივი თამაშობები: დოღი, ჯირითი, ლახტი, ჭიდაობა, ბერიკაობა, ლელობურთი, ფარიკაობა... ცეკვა და სპორტი, სადაც ქართველი კაცის ხასიათი და მისწრაფება ისახებოდა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში დიდი საფეხბურთო ციებ-ცხელება შეეყარა საქართველოს. ეს თბილისის "დინამოს" ოქროს ბიჭების "ბრალი" იყო. მთელი საქართველო ფეხბურთით დაავადებულიყო, ფეხბურთით სუნთქავდა და ცოცხლობდა. ყოველ

ოჯახში ტელეეკრანებით შემოდიოდნენ ოჯახის წევრებივით შეყვარებული "დინამოელები," ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყე და სიყვარული! დღეს თითქმის ლეგენდად ქცეულან ის ბიჭები, საქართველოს სახელი რომ შეახსენეს და დაახსომეს მსოფლიოს.

ფასეულობის გადაფასებათა ცრუ ეპოქაში, დავიწყებული სიყვარულივით გაიხსენე, საქართველოვ, ის პატარა ბიჭები, შენი დიდი სახელი ავგაროზივით რომ გაიტანეს და ატარეს მსოფლიოს გზებზე. რამდენი ასეთი დიდი მამულიშვილი გყოლია, საუკუნეთა წიაღიდან რომ ანათებს მათი სახელი და "საქმენი საგმირონი", ეგაა მხოლოდ, ჯერ კიდევ გუშინ მობობოქრე, მშვიდობიანი მეომარი შვილები დაგვიწყებია, გულნატკენი გაგიშვია ბრძოლის ველიდან და დღესაც, სხვადქცეულ თუ სხვისადქცეულ ქვეყანაში, სადაც ტრიუმფალურ შეხვედრებს ვუმართავთ უცხო ქვეყნიდან შემოხეტებულ მომღერლებსა თუ მუსიკოსებს, ჩრდილს შეფარებულნი დგანან შენი დიდი შვილები, ისინი, ვისი ცხოვრებაც სამაგალითოდ ეყოფოდა და საუკეთესო აღმზრდელად მოევლინებოდა ჩვენს მომდევნო თაობას, იმ თაობას, ვისაც აღარ ჰყავს გმირები და იდეალები. მაგრამ თუ ჩვენი, მარად უცხოურისაკენ მიქცეული თვალებით ვერ ვხედავთ და ვერ ვამჩნევთ, განა აღარ არიან იდეალები! ისინი აქვე, ჩვენს ახლოს დადიან და თვალთუხილავი ცეცხლით იწვიან, რომ ბნელში ჩაძირული ქვეყნის გონი გადაარჩინონ.

"დიდი მანუჩარი"- ასე ეფერებოდა საქართველო "დინამო"-ს დაუმარცხებელ კაპიტანს მანუჩარ მაჩაიძეს. ლეგენდები იბადებოდა მის სიყრმესა და სიჭაბუკეზე, თუ როგორ კაშკაშებდა თბილისის ცაზე ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, როგორ იზრდებოდა და ყალიბდებოდა მარტო დიდი ფეხბურთელი კი არა დიდი ქართველი და მამულიშვილი. მას ადარებდნენ მხრებგაშლილ არწივს, ფაფარაშლილ ლომს და ვინ იცის ექსტაზში შესულნი მესსიადაც ნათლავდნენ ალბათ.

ლეგენდები ლეგენდებად რჩებიან, ლეგენდარული გმირები არ ბერდებიან, მაგრამ მანუჩარი არც ლეგენდა ყოფილა, არც არწივი და არც ლომი ფაფარაშლილი. იგი ერთი არაჩვეულებრივი ერის შვილია თავისი ადამიანური წუხილით, სიხარულით, ტკივილითა და იმედებით. მთელი თავისი ცხოვრების სტილით ერთი ჯარისკაცია მებრძოლი ქვეყნისა, ხელში უხილავი ხმალი რომ ეჭირა მარადიულად და ფხიზლად იდგა კაცურკაცობის სადარაჯოზე.

დიდმა მანუჩარმა დიდი იმედივით გაიელვა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. უცნაური იყო მისი თამაშის ტექნიკა, ხელოვნების დონეზე აყვანილი, მხოლოდ ქართული, არა მარტო ფიზიკური ძალის, არამედ გონიერების დაღდასმული. 12 წლის მანძილზე მას თბილისის "დინამოში" გამოუტოვებლად უთამაშია 295 მატჩი. ეროვნული თვითშეგნების ამაღლების წინა ხანაში, მაშინ, როდესაც ყველაფერი ერის ფილტვებით სუნთქვას იწყებდა, ფეხბურთი მარტო სპორტი, ანდა ციფრები, არ ყოფილა. საკუთარი სახელისა და დიდებისათვის კი არა, თავისი ქვეყნისათვის იბრძოდნენ ჩვენი დინამოელები. ხალხის დიდი სიყვარული იყო ყველაზე დიდი ჯილდო და მედალი... ზოგჯერ შეიძლება დიდი სიყვარულიც არ გაპატიოს ვიღაცამ... და არ შეიძლება დიდი კონსტანტინეს სიტყვები არ გაიხსენო: "დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები!" სწორედ ამიტომ, ნაადრევად მოუწია სარბიელის დატოვება "დინამო"-ს, მთელს ისტორიაში, ყველაზე ხელხვავიან კაპიტანს. ცოტა ხანს კიდევ შემორჩა გუნდს მებრძოლი მუხტი, მერე კი დადუმდა ქართული ფეხბურთი, დაღმართზე დაეშვა, ისევე, როგორც მთელი ერის ყოფიერება.

მანუჩარ მაჩაიძის ცხოვრებაში დიდიხანია სტადიონი დუმს. აღარც აცდენილ ბურთს ადევნებული გმინვა ისმის და არც გატანილი გოლების სიგიჟის ზღვარზე ასული გრიალი და გუგუნი. აღარც ვაჟკაცური შეძახილი: "დინამო"! დინამო"! "დინამო"! — მხოლოდ ქართველი კაცის ყელიდან რომ ამოდიოდა და სხვა დინამოებისაგან ქართული, გულისმიერი აქცენტით განსხვავდებოდა.

როცა სტადიონი დუმს, მაშინ სული წრიალებს და რეინკარნაციის პრინციპის მიმსგავსებით ეძებს ობიექტს, რაშიც შეიძლება გადმოიღვაროს აფორიაქებული და მეამბოხე. მაშინ გამოჩნდება ან ტილო, ან ქვა, ან მუყაო, ან სულ უბრალო ფურცელი რამე და მერე შემოქმედის სული გადმოსხეულდება მასზე. ამ სულის ხორცშესხმას ვინმე უბრალოდ ნახატს უწოდებს. სული კი მარადიულია, ჩარჩოებში ვერჩატეული, მით უმეტეს მაძიებელი სული და ნიჭიც ხომ თანდაყოლილი სისხლისმიერი ფენომენია, სულ ერთია მის მფლობელს მხატვარს შეარქმევ თუ დიდ ფეხბურთელს.

მიუღწეველის მიღწევის ჟინით შეპყრობილი, სწორედ რომ შემოქმედად დაბადებულა მანუჩარი. იგი ფეხბურთშიც შემოქმედი იყო და მწვანე მინდორზე დაუხარჯავი ენერგია, ძალა თუ ნიჭი დღეს მის ფერწერულ ტილოებზე ჩამოღვენთილა. სული გადმოსხეულებულა მის, როგორც ადრეულ წლებში ამბობდნენ "გატაცებაში", რომელსაც მისი უდიდებულესობა — მხატვრობა ჰქვია. ფეხბურთის დიდოსტატის მებრძოლი სული ტილოზე გამოსულა სათამაშოდ და როგორც იქ, მწვანე მინდორზე, აქ ფერად პალიტრაზეც ბობოქრობს დიდი მანუჩარი. აშენებს და აფერადებს საკუთარ სამყაროს. ამ საკუთარ სამყაროს კი, რამდენი გრძნობა დაუტევია! გრძნობათა განსხეულება, რომლისათვისაც ერთ მშვენიერ დღეს სული უნდა მოსთხოვონ მხატვარს. ეგაა მხოლოდ სულის ნაწილი მწვანე მინდორზე დარჩენილა, წარსულის ტკივილიან ხილვებთან ერთად. თითქოს ზღაპრული "კრისტრაში'' შეუქმნია შემოქმედის სულს, გაყოფილა არა მხოლოდ ორ, არამედ რამდენიმე თანაბარ ნაწილად და თუ სამშობლოს მიავიწყდება ფეხბურთის დიდოსტატი, მხატვარი არ მისცემს უფლებას დროთა დინებას, რომ მივიწყებას გაატანოს მისი სახელი. თუ მხატვარს სული უნდა მოსთხოვონ, სულის ნაწილი მწვანე მინდორს შერჩება და პირიქით, თუ ფეხბურთის დიდოსტატის სული სჭირდება ვინმეს, მისი ნაწილი ჩარჩოებში მომწყვდეულ სამყაროში იფანტება. პოეტიც შეყუჟულა მანუჩარის სულში, მუსიკოსიც და დიდი ერის შვილიც, რისი დასტურიც მისი წიგნია - "ერი და თანამედროვეობა". ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიით ინჟინერ-მშენებელია იგი. მრავალი გამოკვლევის, სამეცნიერო ნაშრომების, მრავალი წიგნის ავტორი, საკუთარი პროფესიის დიდოსტატი სამშენებლო საქმეში, რკინა-ბეტონის ტექნოლოგიაში, თუმცა რომელ სფეროში არ არის მანუჩარი პროფესიონალი? ტექნიკურ მეცნიერებას თავისებური მიდგომა სჭირდება, თავისებური შეფასება და იმ მიღწევათა გამოყენება, რაც ასე ჰაერივით სჭირდება ამდენ ქაოსგადავლილ ქვეყანას.

ისტორიულ და ფილოლოგიურ ძიებას — ამ საგანთა საფუძვლიანი ცოდნა.

მხატვრის შეფასებას მხატვარი სჭირდება.

პოეტის შეცნობას — პოეტური სული.

სპორტსმენი სპორტის მცოდნემ უნდა შეაფასოს.

მაგრამ არსებობს ყოველ მათგანში მაძიებელი და სული, რომლის დანახვას დონკიხოტური კეთილშობილება უნდა. რადგან ქართველი კაცი მეომართან

ერთად შემოქმედიცაა, თავისი მსგავსი სულიერების შეცნობაში, თავისივე ხასიათი ეხმარება. ხასიათი, რომელსაც კაცობრიული სიყვარული გასდევს აჩრდილად. სწორედ დიდი სიყვარულის ნიჭის გამოვლენა იყო, როცა საქართველომ უზომოდ შეიყვარა დიდი ფეხბურთელი. ასეთივე სიყვარულის ნიჭის გამოფენაა ის, რომ (მეცნიერებაზე აღარაფერს ვამბობთ) მანუჩარის მხატვრობის მოყვარულთა წრე ასე თვალდათვალ ფართოვდება.

ადამიანის სულიერ სამყაროში შეღწევა, დაბადებასავით მტკივნეული პროცესია. უმტკივნეულოდ ვერც შეეცდები აზრთა წიაღსვლას ფერთა ბურუსში, საიდანაც უკვე ტილოები შემოდიან დიდი ფეხბურთელის და მეცნიერის ცხოვრებაში. დაუკითხავად შემოიჭრებიან; ერატო, ევტერპე, ტერპსიქორე თუ სხვა სტუმრად წვეული მუზათაგანნი და იმორჩილებენ მხატვრის სულსა და მარჯვენას. ააცეკვებენ ფერებად ქცეულ პოეზიას. მანუჩარის სამყაროში, მის ფერთა საუფლოში პირველი, რაც თვალში საცემია, ეს საკუთარი ფერებია.

არიან მხატვრები მეოცნებე ფერები რომ უყვართ.

არის განრისხებულ ფერთა დიდოსტატი.

და არსებობს ფერი — აურზაურის მოტრფიალე...

მანუჩარის ფერი პოეზიით, სითბოთი, მზით და სიყვარულით სავსე სამყაროა. ამ სამყაროში შესულს მეგობარივით შეგეგებება ძაღლის ერთგულებით და სიყვარულის მოლოდინით, ამასთანავე უზომო სევდით სავსე თვალები, საიდანაც მთელი კაცობრიობის ნაღველი გეშხეფება. ეს "ბიბის პორტრეტია". შეხედავ და მოულოდნელად გახმიანდება გულში ტერენტი გრანელის სიტყვები: ''ეს ძაღლი ხშირად კაცი მგონია.'' უფრო მეტად ადამიანური, ვიდრე ცხოველური. ამ პირველყოფილი მეტყველი თვალებით დატყვევებული, მხატვრის სამყაროს გადახედავ და შეშინდები: ფერები, ფერები, ფერები... საოცარი ფერები, საქართველოთი სავსე ფერები, მშვიდი, ნაზი, მეოცნებე, პოეზიით სავსე, სითბოთი სავსე, მზითა და მოკრძალებული სიყვარულით სავსე, სიმარტოვით სავსე - რადგან ყოველი დიდი ადამიანი მარტოა თავის თანამედროვე საზოგადოებაში... და გრძნობ, როგორ ივსება შენი არსება ფერთა სიუხვით, სითბოთი და იმ სუფთა და ანკარა სულით, ბავშვობაშერჩენილ ადამიანებში რომ შეიძლება დაინახო მხოლოდ.

ალისფერ მინდორზე ცეცხლწაკიდებული შემოდგომა შემოსრიალებულა და დგას წითელ-ყვითელი ფერებით აალებული მარტოხე, თითქოს მზეზე ამოსულა. ადამიანის ცხოვრებაში ჩუმად შემოპარული შემოდგომასავით ლამაზი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია მწვანე ფოთლები... და მოულოდნელად ისევ პოეზია შემოგეფრქვევა "დგანან და ელიან, უსაზღვროა მათი მოლოდინი"...

პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები, მაგრამ ბუნება, ბუნება და კიდევ ბუნება. გესაუბრებიან გატიტვლებული ხეები, აჭარულის მოცეკვავეებივით კოსმიური წესრიგით რომ ჩამწკრივებულან, თავბრუდახვეულნი და ხელებგაშლილნი. მათ შორის ბედისწერასავით უცნაურ ბილიკს მიუყვები, შენივე ხილვებში, ოსტატის მხარდამხარ, და იკარგები პოეზიის გაუვალ ტევრში, თოვლზე ფეხშიშველნი დგანან ხეები ("ზამთარი") და გრძნობ, როგორ სცივათ და როგორ ეფიცხებიან გასათბობად, მანუჩარის ფერწერის საერთო პალიტრას შერჩენილ - მზის ფერებს. ყვავილებით მოჩითული ფერადი მოლის ფაფუკ ნოხზე წამოსაწოლად ემზადება ჯერ კიდევ ნორჩი, ზროგადახრილი ხე და ხელის შეშველება მოგინდება. გადმოდიან ტილოებიდან ყვავილები, ფოთლები აჩრდილებივით გამოგყვებიან და მოსვენებას არ გაძლევენ, ვიდრე რაიმეს არ ეტყვი, ისეთივე თბილს, როგორი სითბოთიც თვითონ გეფრქვევიან, მათი საოცარი ფერებით თავბრუდახვეულს. შეუძლებელია არ დაინახო, მიმწუხრის ფერებში, რამხელა სევდას გამოუჟონია ფუნჯიდან, ეს უმწეო კი არა ვაჟკაცური სევდაა, სწორედ ისეთი, მეომარი სული ფანდურს რომ უმხელდა მხოლოდ — ბრძოლის ველიდან დაბრუნებული. მანუჩარი ასე უმხელს პალიტრას და მერე ტილოს თავის ტკივილსა და სიხარულს, უმხელს ბუნების ენით, გვიანი შემოდგომის კრიალა ფერებით. ამ გამჭვირვალე სამყაროში, ამ ფერთა მეწყერში მოქცეული, გაოცებული რჩები, რამდენი კოსმიური წესრიგია, რამდენი გრადაცია, რამდენი ოცნება და რა საოცარი რეალიზმი, შეუმჩნევლად გადაზრდილი აბსტრაქციაში. აკადემიური, ავანგარდისტულზე უფრო რთული, რადგან აქ საგანთა კი არა ფერთა თავისუფლებაა გასაოცარი. გიზიდავენ მანუჩარისეული ფერები, ნაყრდება და ისვენებს სული ამ სამყაროში და აღარ გინდა მოსწყდე მას. მოსწყურდება სულს ერთ ყვავილის ფურცლად, სულაც ერთ პატარაფოთლად ქცევა, რომ მარადიულად ტილოზე დარჩეს, ოსტატის ხელით ნასათუთარ სამყაროში. მზეწაკიდებული ბუჩქის თვალებით გადმოხედოს მომავალ საუკუნეებს და თავი მოიწონოს მხატვართან სულიერი სიახლოვის გამო.

ბედნიერია ვისაც მთლიანობაში შეუხედავს მანუჩარის მოღაღადე ფერებისათვის, ვისაც უგემია ამ ფერთა სიტკბო და სინაზე. თითქოს ეს თვალთუხილავი ფერთა გამა ერთ დიდ ჩარჩოში ერთიანდება, რომელსაც სხვა სახელს ვერ მოუძებნი, მას ლირიკაში ცხოვრება ჰქვია. დადიხარ სიოსავით ჩუმად ამ პატარა, თანაც ულრმეს სამყაროში და ამ საოცარი მთლიანობის ცალკეულ ნაწილებს აკვირდები.

რაჭა ხომ თავად ერთი დიდი მხატვარია საქართველოს ბუნების, მთა "წუთხარა" კი, რაჭის ნისლებში მიმალულა მორცხვი პატარძალივით და წუთიერად თუ გამოაჟუჟუნებს თვალებს ნისლების ჩადრიდან, წუთიერად თუ გამოჩნდება თეთრი ჩიხტიკოპით დამშვენებული, ლურჯი მთის კონტურები. სწორედ წუთხარას ფერებზეა სათქმელი გალაკტიონის სიტყვები: "გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?" მანუჩარს უნახავს და ტილოზეც გადმოუწერია დაბინდული, მაგრამ მაინც სიცოცხლით და ოცნებით სავსე წურხარას ფერები. იგი ხომ თოფით მხარზე დაეხეტება თავისი საყვარელი რაჭის პირველყოფილ ბუნებაში და მის წიაღში განმარტოვებული ცეცხლსასროლ იარაღს განზე გადასდებს და მისი ერთადერთი იარაღი იქ ასეთი სუსტი და ამავე დროს ასე ძლიერი ფუნჯია, ფუნჯი, რომლითაც საკუთარი საქართველოს მოხატვა გადაუწყვეტია.

ლილეოზე და მზის სადიდებელ ჰიმნებზე მოგუგუნე სვანური კოშკები ჯაჭვგაუხდელი მეომრებივით ჩამომსხდარან, აქ თოვლიანი მთის თეთრი ფერები მოჭარბებულა. სვანეთი ჭაღარაა თეთრწვერა მწვერვალებივით, მაგრამ მანუჩარის "სვანეთი" თბილიცაა, გარეგნულად გოროზი, მაგრამ გულით თბილი - სვანი კაცივით.

შეხედავ "ყვავილების ქუჩას" და ამ ყვავილებს შორის ჩამოჯდომა და ოცნება მოგინდება, შეგიყვარდება თბილისის ქუჩები და ყველა უმნიშვნელო ქუჩა ასეთი ლამაზი, მოკრიალებული, მოწესრიგებული და ყვავილებით დამშვენებული მოგეჩვენება. მერე იმ ბილიკებს ადევნებაც მოგენატრება, გაზაფხულშეპარულ მდელოებსა და ხეებს შორის ჩუმად რომ მიიპარებიან და სადღაც ოცნებაში იკარგებიან. რაჭის მშვენიერი ოდა-სახლები შემოგღიმილებენ, მანუჩარის ტილოე-

ბიდან, ზამთრის თეთრი ნაბდებით თუ გაზაფხულის მზისფერი თავსაბურავით დამშვენებულნი და მოგენატრება მიატოვო მთელი სამყარო და ამ სიმშვიდის მუსიკით სავსე ფერთა საუფლოში გადააბარგო ამაოებით გადაღლილი სული. ეს ოცნებითი მოგზაურობა ნამდვილად დიდი ხელოვნების შედეგია!

არც კახეთი დარჩენია მანუჩარს ფერუხლები, “კავთისხევის მდინარე” მრავალჟამიერივით დინჯად მისრიალებს ფერთა სიჭრელეში, ბერმუხების სამეულები, საწნახელში ჩამდგარი კაცებივით ერთმანეთზე ტოტებგადახვეულნი დგანან და თითქოს ბანს ეუბნებიან მაჭარივით მოჩხრიალე მდინარეს.

და მოულოდნელად ზარივით დაირეკება, ფერთა წიაღში მოხეტიალე, აფორიაქებულ გონებაში; სიყვარულის ფუნჯგადასმული საქართველოს გამთლიანება ხომ არ დაწყებულა მანუჩარის ფერთა სიმშვიდიდან?! ამდენი სიძულვილისა და ძმათა შუღლის — სითბოში და სიყვარულში გარდასახვას ხომ არ გვთავაზობს შემოქმედი! მისი ცხოვრებაც ხომ საოცარი გარდასახვაა ფეხბურთიდან, ყუმბარისებური დარტყმების დიდოსტატობიდან, ფერწერაში ასე ნაზად ამბოხებული ფუნჯისაკენ. ის სიყვარული, რაც ბედისწერის უხეში ფანდისა თუ ყველა ქართველივით მეამბოხე სულის გამო სპორტულ ბილიკზე დარჩენია უთქმელი და დაუხარჯავი, საკუთარი მისწრაფებებივით განსხვავებული, უცნაური და მზიური ფერებით უმჟღავნებს სალოცავ მამულს, ყველას, ვისაც ფერთა წუხილისა თუ ღიმილის წაკითხვა შეუძლია.

ლეონარდო და ვინჩის შეხედულებით, (”ტრაქტატი ფერწერის შესახებ”) მხატვრობა პოეზიაა, რომელსაც ვხედავთ და ვერ ვისმენთ. მხატვრის ჯადოსნური სამყაროდან მომზირალი და საკუთარ ფერნაცხები დარდი და ღიმილი, წუხილი, შფოთი და სევდა, უხილავი სულის აღმაფრენა — გაცოცხლებული მზენასვამ, მსუსხავ ფერებში, ანუ მთელი სამყარო, მხატვრის ხელით მოვარაყებული რომ შეიგრძნო, დაინახო და მოისმინო, ხედვად და სმენად უძლური არ უნდა იყო, ჩარჩოებში მომწყვდეული სამყაროს გადმოლმა მდგარი. არ შეიძლება სმენას არ მისწვდეს ოსტატის გულისცემა, შეუძლებელია ვერ იგრძნო ფუნჯის მღელვარება და თრთოლვა მხატვრის თითებში. ყოველი წვეთი ხომ დიდი გრძნობის მონაჟურია, ფუნჯიდან კი არა სულიდან რომ ეღვენთება ტილოზე. შედიხარ მხატვრის სამყაროში და მონაწილე ხდები მისი სულიერი ცხოვრების, თითქოს შემოქმედის სულიდან აკვირდები, როგორ იქმნებოდა თითოეული დეტალი, თითოეული ხაზი ტილოზე, ფერთა შეხამება მღელვარე პალიტრაზე... და გრძნობ ოსტატის სულის ბორგვას, გესმის მისი ტკივილის ფეთქვა და სევდის მუსიკა, სიხარულის ღიმილის ხმაც გესმის. ხედვას და სმენას ამძაფრებს ადამიანის დიდი უბრალოება, ძალდაუტანებლად რომ მიგიშვებს სულიერ სამყაროსთან, მიგიშვებს, რადგან სული მისი ისე ნათელი და გამჭვირვალეა, ყოველი მხრიდან შეგიძლია შეავლო თვალი. იქ უსიცოცხლო ფერი არ ადევს შემოქმედის ნაფიქრ-ნაოცნებარს. თავმდაბალი და მორიდებულია მხატვარი, კრიტიკული თვალით უყურებს საკუთარ ტილოებს და არ უყვარს ქება-დიდება, დიდი მხატვარი ხარო, ვერ ეტყვი მანუჩარს, ეს მაღალფარდოვანი ეპითეტი, უსუსური მოგეჩვენება, მის უბრალოებასთან. მას ხომ მართლა გულწრფელად უკვირს, როცა ასე მოსწონთ მისი ტილოები... და გაოცებული რჩები, მანუჩარის ადგილზე, ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდება სიამაყის გრძნობა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ხატავს პროფესიული განათლების გარეშე, სულის კარნახით, ეს ხომ თვითნაბადი ნიჭია “თვითნასწავლის” ტერმინით სახელდებული. ჩვენი დიდი ფიროსმანივით თვითნასწავლი მანუჩარი ისეთი საოცარი ფერებით ავსებს უფერულ სამყაროს, მოულოდნელად გიჩნდება სურვილი შეედავო თავად მხატვარს და ამტკიცო, არა მისი სიდიდე თუ ოსტატობა, არამედ თუნდაც ის, რომ მანუჩარის ფერები სითბოთი და სიყვარულით ავსებს სულს, ისინი შეუძლებელია არ შეიყვაროს მან, ვისაც სიყვარული შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ მეტი ქებით არ გინდა აწყენინო, ასე ალალი სულის ადამიანს, არ შეიძლება არ გაიფიქრო — თუ თვითნასწავლ მხატვარს ასეთი სამყაროს შექმნა შეუძლია, მაშინ ხომ, “სხვისნასწავლი”, (პროფესიულ განათლებამიღებული) მანუჩარი ისეთივე მოვლენა იქნებოდა მხატვრობაში, როგორიც დიდ ფეხბურთში იყო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ხელოვნებას დრო სჭირდება, ძველი ღვინოსავით მას წლები მატებენ ეშხსა და ლაზათს, გემოსა და ფასეულობას. ეგაა ოღონდ, ფაქიზია ხელოვანის სული და სითბო და მოფერება სჭირდება მაშინ, როდესაც ქმნის, როდესაც აშენებს. მოყვარული თვალი და გული უხილავ ფრთაშესხმას უდრის ასტრალში მოხეტიალე შემოქმედისათვის.

და მაინც, არ შეიძლება არ დაინახო, რომ მანუჩარ მაჩაიძის ფერწერას ნამდვილად არ სჭირდება ეს თავმდაბლობა. საკუთარ თვალებს რომც არ დაუჯერო, ამას მისი ჯგუფური თუ პერსონალური გამოფენები მეტყველებენ: თბილისში, მოსკოვში, ისევ თბილისში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ცისფერ გალერეაში... რამდენჯერ შეუტანია საგამოფენო დარბაზებში დიდი სიხარული, თავისი ულამაზესი სულის გამოფენით. რამდენჯერ დაუმსახურებია უმაღლესი შეფასება ტიტულოვანი მხატვრებისაგან, თავადაც მხატვართა კავშირის წევრსა და უბრალოდ ხალხის საყვარელ მხატვარს. იქნებ ვინმეს ეს სიტყვებიც გაზვიადებული მოეჩვენოს, მაშინ უნდა ნახოს მანუჩარის ფერწერა, შეახოს მას სული, დაასვენოს ტექნიკამოძალებული საუკუნის მიერ გაუხეშებული თვალი მის ფერებზე, მოისმინოს მანუჩარის უბრალოებით და სითბოთი სავსე საუბარი და მერე შეაფასოს იგი.

ყოველი დიდი მოაზროვნე, ამპარტავნულ ქედმაღლობას, ჩრდილში დგომას ამჯობინებს, პოპულარობის აურზაური მას ფიქრისა და სულიერი განმარტოვებისას მოსული იდეებისა და სახეების დანახვაში შეუშლის ხელს... აქ არ შეიძლება არ გაიფიქრო, რომ თავმდაბლობა დიდი ადამიანების თვისებაა და მათ გონიერებაზე მეტყველებს. ასეთია ''დიდი მანუჩარი.''

მოულოდნელად გიჩნდება სურვილი, ძველი ბერძნული ჰიმნების საპირისპიროდ შესძახო: ''მუზავ, შეჩერდი!'' მანუჩარ! შენი უკვდავება უკვე დაწერილია მწვანე მინდორზე, დაწერილია ფეხბურთის დიდი ხელოვანის დიდი პალიტრით. შევსებულია დიდებისა და პოპულარობის ყველა ფურცელი. გავლებულია ყველაზე ძლიერი შტრიხი საკუთარი თავის დასახასიათებლად, იგი, მრავალჯერ ოსტატს, თავად გაგივლია, პირადი ცხოვრებით. შეჩერდი, თორემ გული გაუსკდება ყველა ძველ გულშემატკივარს, ახლა უკვე შენი მხატვრობის მოყვარულ ქართველობას, მაგრამ აქვე განუგეშო მინდა, ეს სასიამოვნო და სანუკვარი გულის გახეთქვაა, როგორც იქ, სტადიონზე, სიხარულის შეძახილით დახეთქილი ფილტვებისა. ეს ნეტარი გულის გახეთქვაა და ნეტამც მრავალი ჰყოლოდეს საქართველოს ასეთი “გულის გამხეთქავი” შვილი!

მაძიებელ სულს კი ვერანაირი შეძახილი ვერ შეაჩერებს. შემოქმედი უნდა იწვოდეს და ანათებდეს, ვიდრე ჩაიფერფლება. ადამიანის ამქვეყნად მოსვლის გამართლებაც ხომ ეგაა, მოვალეობის მოუხდელად არ წავიდეს და საკუთარი კვალი დატოვოს დედამიწაზე,

რამდენადაც შეუძლია გაახაროს თავისი ქვეყანა და გაანათოს თავისი წილი წყვდიადი.

ერის გულის მოგება ყველაზე დიდი ხელოვნებაა, უფრო ძნელია სიყვარულის დამსახურება. ქართველმა ხალხმა თავისი უზომო სიყვარული ჩაატია ორ სიტყვაში ''დიდი მანუჩარი''.

ორპირნალესი სატევარივით მჭრელია მისი ბიოგრაფია. ცალმხრივ მისი უდიდებულესობა ფეხბურთი, მეორე მხრივ უმშვენიერესი დედოფალი მხატვრობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ტექნიკურ მეცნიერებაზე, უმთავრეს პროფესიაზე, ეროვნულ საკითხებზე, მსოფლიოს მრავალი მეცნიერის და მოაზროვნის თვალსაზრისი რომ გაუტარებია საკუთარ პრიზმაში და ეროვნულ ჩარჩოში ჩაუტევია. გაბედულად ეპაექრება ქართველი ერის ეროვნულობის დაკნინების ყველა მცდელობას და ისტორიის ხლართებიდან ამოაქვს დამაჯერებელი არგუმენტები იმისა, რომ ჩვენი ერი ეროვნებად ჩამოყალიბებულა მსოფლიოს უდიდეს ერებზე გაცილებით ადრე, ეწინააღმდეგება ეროვნების წაშლას ქართულ პასპორტებში... და მიუხედავად ამისა, არა მარტო ფეხბურთის დიდოსტატობით, არც თუ მარტოოდენ ფუნჯის მომთვინიერებლობით, არც მრავალი სამეცნიერო ნაშრომით, დიდი მანუჩარი მხოლოდ თავისი პიროვნებით, ვაჟკაცურობით, პირდაპირობით, კეთილშობილებით, დიდი უბრალოებით, ფაქიზ ფერნაცხები მეამბოხე სულით გაამშვენიერებდა სამყაროს.

და ბოლოს მაინც მაღალფარდოვნების კი არა, ხალხის მადლიერებისა და სიყვარულის პათოსი მინდა გამოვიყენო: ორპირნალესი ნიჭის მპყრობელო, ორგზის კი არა, შვიდგზის კი არა, ასგზის გაგიხარებია, გაგინათებია და ბოლოს მოგიხატია შენი წილი საქართველო!

---

*ნოდარ ტაბიძე*

## „შედევრები და მარადიულობა"



ემელიანე (რეზო) ადამია

წიგნი „შედევრები და მარადიულობა" მსოფლიო ხელოვნებასთან მიახლოების გზამკვლევია. ნუ ვიქნებით ზედმეტად პრეტენზიული, ნუ მოვითხოვთ შედევრების სკრუპულოზურ გაანალიზებას, ან მათ ავტორების ბიოგრაფიათა ვრცლად გადმოცემას. ეს არ არის ბატონი რეზოს ამოცანა. მისი უმთავრესი მიზანია, დაგვაჭაშნიკებინოს ფერწერის ყავლგაუსვლელი ნიმუშები, გვაგრძნობინოს მათი სიმშვენიერესიდიადე და ლაჟვარდებში გაფრენისაკენ გვიბიძგოს.

ამიტომაც მძლავრობს რეპორტაჟული სტილი. ჩვენ ბატონ რევაზთან ერთად ვათვალიერებთ ლუვრს თუ ორანჟერეას, საათობით ვდგავართ პომპიდუს, ორსეის თუ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებში, წიგნის ავტორთან ერთად ვსტუმრობთ როდენის, ბურდელის, ცატკინის, პიკასოს სახლ-მუზეუმებს...

„შედევრებსა და მარადიულობას" ვინც ჩაღრმავებით გაეცნობა, შეუძლებელია არ დაეთანხმოს: ავტორი მორწმუნე კაცია. ჩვენ საქმე გვაქვს ფილოსოფიურად მომართულ პიროვნებასთან, სამყაროს საოცრებებზე ჩაფიქრებულ მტახვართან, რომელსაც ბევრი რამ აღელვებს და აწუხებს, რომლის გონება მოუცავს ყოფნა-არყოფნის პრობლემებს. იგი აკვირდება, სჯის, აანალიზებს და საბოლოოდ შემდეგ დასკვნამდე მიდის: ყველაფერი უფალს ემორჩილებოდა. თუ არა ღმერთი. წარმოუდგენელი იქნებოდა არა მხოლოდ სამყაროს კოსმოსური მოწესრიგებულობა, არამედ იმ გენიოსური ნაწარმოებების შექმნა, რომლებიც გვაოგნებენ და გვთანგავენ...

# თარგმანები

*ჟუჟუნა ნიჟარაძე- მაჭავარიანი*

## ქალთა სიქველეები

ძველი მსოფლიოს მამაცი და გონიერი ქალბატონები
ჩვენს წელთაღრიცხვამდე მცხოვრები ჭკვიან და ბრძენ ქალთა ისტორიები გადმოცემული პლუტარქოსის და ქართულად თარგმნილი
ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანის მიერ.

## სიკეთე ყველა დროშია საჭირო

როცა ძველი საბერძნეთის წარჩინებული ადამიანების ცხოვრებას ვეცნობით, უპირველეს ყოვლისა ჩვენს ყურადღებას მიიპყრობს პლუტარქოსი.

იგი გამოჩენილი, განათლებული, პოლიტიკურად მომზადებული, იმდროინდელი ყველა გამოჩენილი ადამიანის დაახლოებული პიროვნება იყო. იმპერატორმა ტრაიანემ ყველა მმართველს დაავალა მისგან მიეღოთ რჩევა-დარიგება და არავითარი საქმე უმისოდ არ წამოეწყოთ. იგი სრულიად საბერძნეთის პროკურორადაც დანიშნეს.

მიუხედავად იმისა, რომ რომის იმპერიაში მას დიდ თანამდებობებს სთავაზობდნენ, იგი საკუთარ სამშობლოს საბერძნეთს ვერ ღალატობდა. სიცოცხლის მეორე ნახევარში პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი აიღო და დააარსა მცირე აკადემია თავის ქალაქ ქერონეაში.

„მე ამ პატარა ქალაქში დავიბადე, ჩემი აქედან წასვლა ისედაც პატარა ქალაქს ერთი კაცით კიდევ უფრო შეამცირებსო".

საბერძნეთში მოგზაურობის დროს ქალაქ ქერონეის ეკლესიაში მქონდა ბედნიერება მენახა პლუტარქოსის "მარმარილოს სავარძელი". იქაც ვერ ვფარავდი, რომ მე მისი დიდი თაყვანისმცემელი ვარ, იმიტომ, რომ პოლიტიკაზე წინ დააყენა ახალგაზრდების სწავლა-განათლება. იგი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ოჯახით. მისი მეუღლე ტიმოქსენი განათლებული ქალი, ექვსი შვილის (4 ვაჟიშვილი და 2 ქალიშვილი) დედა, დიდ მეგობრობას უწევდა მეუღლეს. დიდმა სიყვარულმა და მეგობრობამ დააწერინა პლუტარქეს „რჩევა-დარიგება მეუღლეებს" (ქალთა სიქველეები).

პლუტარქოსის მოღვაწეობის დროს საბერძნეთი რომის იმპერიას ჰქონდა დაპყრობილი. იმ პერიოდში ძალიან დიდი სიმდიდრე რომაელ მუქთახორათა ხელში დაგროვდა. მმართველი ზედა ფენის უსაზღვრო სიხარბე მიწის მეურნეთა და ხელოსანთა სრულ განადგურებას იწვევდა.

პლუტარქოსის მიერ დაწერილი „რჩევა-დარიგება სახელმწიფო მოღვაწეებისათვის " არა მარტო იმ ეპოქისთვის, არამედ დღესაც აქტუალურია.

იგი თავის თავს ფილოსოფოსად თვლიდა. მას საინტერესოდ აქვს გაანალიზებული, რომ ადამიანი თავის თავის მბრძანებელი უნდა იყოს, მან უნდა დაიოკოს მავნე ვნებანი და საზოგადოებას ემსახუროს ; ვერც დიდი სიმდიდრე და ვერც წარჩინებული გვარი და საერთოდ ვერაფერი ვერ უშველის ადამიანს, თუ იგი მანკიერების მარწუხებშია მომწყვდეული.

„მანკიერებისგან თავისუფლად და ზნეობრივად ამაღლებული ადამიანი მიწვდება მხოლოდ სიკეთეს". ამიტომაცაა მის ფილოსოფიაში ძირითად ხაზად სწორედ „სიკეთის" იდეა, რაც დღეს ქართველებსაც ძალიან გვჭირდება.

ტროელები

ეს ამბავი ძვ. წ. აღ-ით 480 წელს მოხდა.

...ზღვაზე ამინდი გაფუჭდა... ხომალდებზე მყოფი არც თუ გამოცდილი მეზღვაურები შიშმა მოიცვა, რადგან ხომალდებს ზღვის ტალღები იტალიის სანაპიროსკენ მიაქანებდა. ისინი ვერ ახერხებდნენ ხომალდების შეჩერებას. ისინი, როგორც იქნა, მდინარის შესართავთან გავიდნენ ხმელეთზე და დაიწყეს აქეთ-იქით სიარული. ისინი ეძებდნენ ადგილობრივ ხალხს და მათი დამხვედრი ქალები შეეცადნენ მათთვის მიეცათ თავშესაფარი. მეზღვაურებს სურდათ ახალი სამშობლო ეპოვათ და ახალი, უკეთესი ცხოვრება დაეწყოთ. ამიტომ ქალებმა ურჩიეს მეაღვაურებს, ხომალდები დაეწვათ და წყალში ჩაეძირათ. ისინი მართლაც ასე მოიქცნენ, მაგრამ ქალებს მაინც ეშინოდათ, რომ მეზღვაურებს სხვა რაიმე საშუალება არ გამოეძებნათ და იტალია არ დაეტოვებინათ. ამიტომ განსხვავებულ მზრუნველობას იჩენდნენ მათ მიმართ და ასე შეინარჩუნეს უკვე თავიანთ მეუღლეებად ქცეული მეზღვაურები.

აქედან მოდის ის ტრადიცია, რომ რომაელი ქალები შეხვედრის დროს უთუოდ კოცნიან ახლობლებს. სწორედ ასეთმა სიყვარულმა და მზრუნველობამ მოხიბლა მეზღვაურები, ისინი მალე შეეჩვივნენ იმ გარემოს და იქაური მოქალაქეობაც მიიღეს.

ფინიკიელები

ფინიკიელი ქალების გმირობა ისტორიულად, შეიძლება ითქვას, საფუძვლიანად არც არის შესწავლილი. არადა, იგი ამას იმსახურებს. მაშინ გამართული ომები სავსეა საბრძოლო ხასიათის ეშმაკობებით. ეს ომი ქსერქსეს გადახდა თავს, ძველი წ.აღ-ით 480 წელს. პლუტარქოსმა კარგად იცოდა ფინიკიელების ამბავი, რომელიც მოხდა თესალიიდან ფოვისში მიმავალ გზაზე პატარა ქალაქ გიამპოლისში.

პლუტარქოსი თავისი ბიოგრაფიული ისტორიების აღწერისას დაიფანტის ბიოგრაფიაში გვიამბობს ქალების დიდებული მოქმედების შესახებ.

დაუმთავრებელი ომი გრძელდებოდა თესალიელებსა და ფინიკიელებს შორის.

თესალიელებმაც და ფინიკიელებმაც დაუნდობლად ამოხოცეს ტყვეები. ბოლოს ფინიკიელებმა მთელი ძალით შეუტიეს თესალიელებს. ისინი არ ზოგავდნენ არც ბავშვებს, არც მოზრდილებს, ქალებს კი ატყვევებდნენ.

ერთ-ერთმა თესალიელმა თქვა: სამართლიანი იქნება, თუ სოფლის სახლებს, სადაც ქალები და ბავშვებია ცეცხლს წავუკიდებთო, მაგრამ ვიდრე ამას ვიზამთ, უკეთესი იქნება თუ ფინიკიელი ქალებისაგან მოვიღებთ რჩევასო. მაგრამ მათ მზაკვრულ ჩანაფიქრს ფინიკიელმა ქალებმა, კაცებთან ერთად ბრძოლით უპასუხეს და გაიმარჯვეს.

### ქიოსელები

ქიოსელებმა გააძევეს კოლონისტები ლევკინიაში იმ მიზეზით, რომ ერთი მდიდარი კაცი მათ ქალზე დაქორწინდა.

როცა პატარძალი ეტლით გამგზავრებას აპირებ-

და, უკვე შეზარხოშებული მეფე ჰიპოკლესი, რომელიც ამ ქორწილს ესწრებოდა, როგორც საქმროს ნათესავი, შეახტა ეტლს, მას არ ჰქონდა რაიმე ცუდი განზრახვა, მაგრამ საქმროს მეგობრებმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს. როცა მეფის მხლებლებმა და მისმა დაცვამ მოითხოვეს ქიოსელების დაპატიმრება და დასჯა, მაშინვე ყველა სტუმარმა თავი დამნაშავედ გამოაცხადა.

მაშინ მათ შესთავაზეს ყველას და არა მარტო მკვლელებს, სასწრაფოდ დაეტოვებინათ ქალაქი. მართლაც, ყველამ დატოვა ლევკონია, მათ ნება მისცეს თან ჰქონოდათ მხოლოდ ერთი ხმალი და ერთი თოფი.

ქიოსელები დათანხმდნენ და ასე მშვიდობიანად დატოვეს იქაურობა, ეს კი ქალების ინიციატივა იყო. სწორედ ქალებმა აიძულეს მთავრობა მათ თავიანთი იარაღით მშვიდობიანად დაეტოვებინათ ქალაქი.

ამრიგად, ქიოსელი ქალების ვაჟკაცური მოთხოვნის საფუძველზე შეუნარჩუნდათ სიცოცხლე.

ისტორიას შემორჩა ქიოსელი ქალების კიდევ ერთი გმირობა, როცა მოგვიანებით ფილიპე V-მ დემეტრეს ვაჟიშვილმა დაიპყრო მათი ქალაქი და ბარბაროსული განცხადება გააკეთა, რომ ქიოსელ მონებს შეეძლოთ მათ მხარეზე გადასულიყვნენ და მათ თავისუფლებას ჰპირდებოდნენ, ქალები კი თავიანთ ბატონებზე უნდა გათხოვილიყვნენ.

ქალებმა მტრის მხარეზე გადასულ მონებს ქვები და ტყვია დაუშინეს და ვერცერთმა მათგანმა ვერ მოახერხა ფილიპეს ჯარებამდე მისვლა.

არგიველები

ისტორიაში არ მოიპოვება ქალთა ისეთი გმირობა, როგორიც მათ ჩაიდინეს თავიანთი სამშობლოს დასაცავად, სპარტის მეფის კლეომენესე წინააღმდეგ. არგოსელი ქალების სულიერებაზე ზეგავლენა მოახდინა პოეტმა ტელესილამ (ჩვ. წ. აღ-მდე 494წ.) როგორც გადმოსცემენ, ის ცნობილი ოჯახის შვილი იყო და რაღაც მელანქოლიური ავადმყოფობა ჰქონდა. მას შემდეგ მან ღმერთებს მიმართა თავისი ლექსებითა და სიმღერებით, იგი გამოჯანმრთელდა და საქვეყნოდ გაითქვა სახელი, ამ პოეტ ქალზე მანამდე არაფერი არ იყო ცნობილი. ეს ლეგენდა III საუკუნეში უკვე ტელესილას ქანდაკების დადგმის შემდეგ გახდა ცნობილი, რაც პლუტარქოსმა სიამოვნებით აღწერა თავის ნაწერში.

როცა მეფე ვლეომენესსმა არგიველებზე მიიტანა პირველი იერიში, თავი გამარჯვებულად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ ამ ბრძოლაში მან გაანადგურა შვიდი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი ჯარისკაცი.

ბევრი ისტორიკოსი ამას ზღაპარს უწოდებს, მაგრამ მას საბოლოო გამარჯვება არ დასცალდა. დახოცილი მამაკაცების ადგილი თურმე ახალგაზრდა ქალებმა დაიკავეს და თავისი პოეტი ქალის ტელესილას მოწოდებით გამხნევებულნი, დადგნენ სამშობლოს დასაცავად. მათ აისხეს საომარი იარაღი, გაამაგრეს ქალაქის გალავანი და მომხდური მტერი გაოცებაში მოიყვანეს. ქალებმა მეფე კლეომენესის ჯარს დიდი ზარალი მიაყენეს, ასევე შეავიწროვეს მეორე მეფის, დემატრიოსის ჯარიც.

ქალებმა დაიკავეს ქალაქ არგოსის ნაწილი – პამფილიაკონად წოდებული.

ამ ბრძოლის ისტორიულ მნიშვნელობას აღწერს არგოსელების ისტორიკოსი სოკრატე. ასე იხსნეს ქალებმა თავიანთი ქალაქი.

ქალები, რომლებიც დაიღუპნენ ამ ბრძოლაში, დიდი პატივით დაკრძალეს, ხოლო გადარჩენილებს ძეგლი დაუდგეს.

ამ თარიღს ყოველ ოქრომბერში დღესაც საზეიმოდ აღნიშნავენ ჰიბრისტავკის სახელწოდებით. ქალები ამ დღეს კაცის ტანსაცმლით იმოსებიან, ხოლო კაცები ქალის ტანსაცმელს იცვამენ.

თურმე ბრძოლისას ქალებს უკაცობა რომ დაეფარათ, წვერსაც იკეთებდნენ.

ამ ბრძოლისას დაქვრივებულ ქალებს დიდ პატივს მიაგებდნენ.

---

*ირმა თავაძე*

## თბილისის ინდური კულტურისა და მეცნიერების ცენტრი „ინდრა“



იდუმალებით მოცული აღმოსავლური კულტურა ყოველთვის იზიდავდა მკითხველს. აღმოსავლური კულტურის დაუფლების სურვილი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს გამიჩნდა. 1997წ. აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში ჩავაბარე. პროფ. ევგენია ხაჩატუროვამ შემასწავლა და შემაყვარა ჰინდის ენა. მისივე დახმარებით დავიწყე მთარგმნელობითი მუშაობა. რამდენიმე მოთხრობა გადმოვაქართულე, რამდენიმე ქართული მოთხრობა და ზღაპარიც გადავთარგმნე ინდურ ენაზე.

თარგმანი, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ, დიდი პოპულარობით სარგებლობს ინდოეთში. ეს არის ბჰიშმ საჰნის „ნადიმი შამანათის სასახლეში“. იმედია, ქართველი მკითხველიც სიამოვნებით მიიღებს ამ ცნობილი ინდოელი მწერლის ულამაზეს მოთხრობას.

ამჟამად, ვმუშაობ თბილისის ინდური კულტურისა და მეცნიერების ცენტრ „ინდრა“-ში, ჰინდის ენის პედაგოგად. წინამდებარე მოთხრობა ითარგმნა, ამ ცენტრის ხელმძღვანელის — ბატონი გიორგი ბეჟიტაშვილის დაკვეთით.

## ნადიმი შამანათის სასახლეში

ავტორი: **ბჰიშმ საჰნი**
თარგმნა **ირმა თავაძე**

დღეს მისტერ შამანათის ოჯახში მისი შეფის პატივსაცემად წვეულება გაიმართა. შამანათსა და მის მეუღლეს ოფლის მოსაწმენდი დროც არ ჰქონდათ. ხალათმოხვეულმა ქალმა გაწეწილი თმები დაივარცხნა, სახეზე მოწითალო პუდრი წაისვა. მისტერ შამანათი კი სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, რალაც სია ეჭირა ხელში და ოთახში ბოლთას სცემდა. ხუთი სრულდებოდა და სამზადისიც დასასრულს უახლოვდებოდა. სკამები, მაგიდა, ყვავილები – ყველაფერი ვერანდაზე იყო გატანილი. სასმელის ბარი სასტუმრო ოთახში იყო მოწყობილი. ზედმეტი ნივთები კარადებს უკან და საწოლქვეშ გადამალეს. სწორედ მაშინ დაფიქრდა შამანათი – დედას რა ვუყო? ეს მას და მის „ჭკვიან“ მეუღლეს აზრადაც არ მოსვლიათ. შამანათი მეუღლეს მიუტრიალდა და ინგლისურად უთხრა: - „დედას რა ვუყოთ?" ქალბატონმა საქმის კეთება შეწყვიტა და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თქვა: „თავის მეგობართან გაგზავნე, რომელიც მეზობლად ცხოვრობს, ღამე იქ დარჩეს და ხვალ მოვიდეს." შამანათი სიგარეტით პირში, დაბღვერილი თვალებით ქალბატონისკენ იყურება, წამით დაფიქრდა, შემდეგ თავი გააქნია და თქვა: „არა, მე არ მინდა იმ მოხუცმა კვლავ იაროს ჩვენთან. როგორც იქნა, თავიდან მოვიშორე. დედას ვუთხრათ სწრაფად ჭამოს და საღამოს თავის ოთახში შევიდეს. სტუმრები სადღაც რვა საათისთვის მოვლენ, მანამდე თავისი საქმეები მოამთავროს".

კარგი აზრი იყო, ორივეს მოეწონა, მაგრამ ქალბატონმა უეცრად წამოიძახა
- რომ დაიძინოს და ძილში ხვრინვა ამოუშვას, მაშინ? იქვე ვერანდაა, სადაც სტუმრებმა უნდა ივახშმონ.
- მაშინ მას ვეტყვით, რომ შიგნიდან კარები ჩაკეტოს და მე გარედან ბოქლომს დავადებ, ანდა დედას ვეტყვი, რომ შიგნით შევიდეს, მაგრამ არ დაიძინოს, იჯდეს. კიდევ რა?
- მაინც რომ ჩაეძინოს? ვახშამი როდემდე გაგრძელდება ჩვენ ხომ არ ვიცით, თერთმეტის ნახევრიდან თერთმეტამდე სასმელი უნდა სვან.
- კარგი იყო ძმასთან რომ მიდიოდა, მაგრამ თავი რომ უკეთ წარმოგეჩინა ჩაერიე.
- თქვენს საქმეში მე რატომ უნდა გამოვიდე ცუდი? ეგ შენი და მისი საქმეა.

მისტერ შამანათი გაჩუმდა, კამათის დრო არ იყო, რაღაც გამოსავალი უნდა გამოენახა. შემობრუნდა და გაიხედა დედის პატარა ოთახისკენ. ოთახის კარი ვერანდაზე გადიოდა. – მოვიფიქრე! – უეცრად წამოიძახა და დედის ოთახს მიუახლოვდა. დედა კედელთან მდგარ სკამზე იჯდა, შარფი ჰქონდა შემოხვეული და კრიალოსანს მარცვლავდა. დილიდან ამ სამზადისის შემყურე დედაც ღელავდა. შვილის ოფისის უფროსი მის სახლში მოდიოდა. ნეტავ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს?!
- დედა, დღეს შენ ადრე ისადილე, სტუმრები შვიდის ნახევარზე მოვლენ.

დედამ შარფი მოიცილა, შვილს შეხედა და უთხრა: „დღეს მე საჭმელს არ შევჭამ, შვილო, შენ ხომ იცი, ხორცით და თევზით დამზადებულს ვერაფერს ვჭამ".
- როგორც გინდა, შენი საქმე მალე მოამთავრე.
- კარგი, შვილო.
- და კიდევ, დედა, ჩვენ ჯერ სასტუმრო ოთახში ვისხდებით, მანამდე შენ აქ, ვერანდაზე იჯექი. შემდეგ ჩვენ აქ გამოვალთ, შენ სააბაზანოს გზით სასტუმრო ოთახში შედი.
- დედამ გაოცებულმა შეხედა შვილს, შემდეგ კი მშვიდად უთხრა: „კარგი, შვილო".
- და კიდევ, დედა, დღეს მალე არ დაიძინო, შენი ხვრინვის ხმა შორს ისმის.

დედამ მორიდებული ხმით თქვა: „რა ვქნა, შვილო, რაც ეს ავადმყოფობა გადავიტანე ცხვირიდან ველარ ვსუნთქავ".

მიუხედავად იმისა, რომ შამანათს ყველაფერი მომზადებული ჰქონდა, მაინც ვერ მშვიდდებოდა. „უფროსი შემთხვევით აქეთ რომ გამოვიდეს მაშინ? 8-10 სტუმარი მაინც იქნება, ჩინოვნიკები თავიანთი ცოლებით, ნებისმიერი შეიძლება სააბაზანოსკენ წამოვიდეს" – ღელავდა. სკამი აილო, ვერანდაზე ოთახის წინ დადგა და დედას უთხრა: „მოდი, დედა, აქ ჩამოჯექი". დედამ კრიალოსანი აილო, კაბის კალთა გაისწორა და ადგა. შემდეგ ნელ-ნელა სკამთან მივიდა და დაჯდა. „ასე არა, დედა, ფეხებს ზევით ნუ შემოდებ, ეს ტახტი არ არის."დედამ ფეხები ქვემოთ ჩამოუშვა.
- და კიდევ, ღვთის გულისათვის, ფეხშიშველამ არ იარო და არც მაგ სანდლებით წარსდგე სტუმრებთან. ერთხელაც იქნება და მაგ სანდლებს გადაგიყრი.

დედა დუმდა.
- ტანსაცმელს რას ჩაიცმევ?
- რაც არის იმას ჩავიცმევ, შვილო, რასაც იტყვი.

შამანათმა მოჭუტული თვალებით დედისკენ ყურება დაიწყო და მის ტანსაცმელზე დაფიქრდა. შამანათი ყველაფერში წესრიგს ითხოვდა. სახლში ყველაფრის მართვა მის ხელში იყო – საკიდები ოთახში სად უნდა ყოფილიყო დამაგრებული, ლოგინი სად უნდა გაშლილიყო, რა ფერის ფარდები უნდა დაკიდულიყო, ქალბატონს რომელი სარი უნდა ჩაეცვა, მაგიდა რა ზომის უნდა ყოფილიყო...

შამანათს იმის დარდი ჰქონდა, რომ შემთხვევით უფროსი დედას არ შეჩეხოდა და არ შერცხვენილიყო. დედა თავიდან ფეხებამდე დაათვალიერა და უთხრა: „შენი თეთრი კამიზი და თეთრი შარვალი ჩაიცვი, რომ გნახო". დედა ფრთხილად ადგა და თავის ოთახში წავიდა ჩასაცმელად. „ეს, დედასთან დაკავშირებული, საზრუნავილა დაგვრჩა" – კვლავ ინგლისურად უთხრა მეუღლეს. „გაუთვალისწინებელი რამ რომ მოხდეს და ვინმემ რომ რამე წამოროშოს, რაც შეფს არ მოეწონება, მაშინ ხომ მთელი სიამოვნება გაუფერულდება?!"

დედა თეთრ კამიზში და შარვალში ჩაცმული გამოვიდა. დაბალი, პატარა ტანის, თეთრ სამოსში გახვეული, გამხმარი სხეულით, ამღვრეული თვალებით, მხოლოდ ნახევრად ჩამოშლილი თმა სარის ბოლოს ქვეშ ჰქონდა დაფარული. ახლა ცოტა ნაკლებად უშნოდ გამოიყურებოდა დედა. – კარგი, იყოს. რაიმე სამკაულს თუ გაიკეთებდი, ურიგო არ იქნებოდა.
- სამკაულები საიდან, შვილო? შენ ხომ იცი, ყველა სამკაული შენი სწავლის გამო გაიყიდა.

ეს წინადადება შამანათს ისარივით მოხვდა და უკმაყოფილო სახით უთხრა: „ამას რას მაყვედრი, დედა? პირდაპირ მითხარი სამკაული არ გაქვს და მორჩა. ამასთან განათლებას რა საერთო აქვს? რა სამკაულიც გაიყიდა გამოვიყენე, ხომ არ გადამიყრია?! რაც მოგიცია, ორი იმდენი აილე.
- ენა გამიხმეს, შვილო, შენგან სამკაულს ავილებ?! ისე წამომცდა. რომ მქონოდა გავიკეთებდი.

უკვე ხუთი სრულდებოდა, ახლა კი მისტერ შამანათი თავადაც უნდა მომზადებულიყო, ქალბატონი კი კარგა ხანია თავის ოთახში იყო შესული.მისტერ შამანათმა წასვლისას ერთხელ კიდევ მისცა მითითება დედას.
– დედა, როგორც გჩვევია, ჩუმად არ იჯდე, უფროსი თუ აქეთ წამოვიდა და რამე შეგეკითხა, წესიერად გაეცი პასუხი.

- მე გაუნათლებელი ვარ, რა უნდა ვილაპარაკო?! შენ მას უთხარი, რომ დედა გაუნათლებელია, არაფერი არ იცის და არ ესმის. ა, ისიც აღარაფერს მკითხავს. შვიდი საათი სრულდებოდა და დედის გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა. შეფი მასთან რომ მისულიყო და რაიმე ეკითხა, რა უნდა ეპასუხა. ინგლისელს რომ დაინახავდა, შორიდანვე იწყებდა ღელვას, ეს კი ამერიკელია. – რა ვიცი, რას მკითხავს და მე რას ვეტყვი. დედას სურდა, რომ ჩუმად თავის ქვრივ მეგობართან წასულიყო, მაგრამ შვილის ბრძანებას როგორ აარიდებდა თავს. სკამზე ფეხებდაკიდებული ასე იჯდა.

წვეულება წარმატებული მაშინაა, როცა სასმელს წარმატებულად მიჰყავს. საუბარი იმ ტემპით წარიმართებოდა, რა ტემპითაც ჭიქები ივსებოდა. შამანათის წვეულება მიზანს აღწევდა, ხელის შემშლელი არაფერი იყო და წინააღმდეგიც არავინ იყო. შეფს ვისკი მოეწონა, მის ქალბატონს კი ფარდები, სავარძლების გადასაფარებლების დიზაინი, ოთახის მორთულ-მოწყობილობა, მეტი რაღა გინდა?! შეფმა სასმელის მეორე ჯერზე ანეკდოტების და ამბების მოყოლა დაიწყო, ის ოფისში რამდენადაც ოფიციალური და თავშეკავებული იყო, აქ იმდენადვე მეგობრული და ფამილარული ჩანდა. მისი ცოლი, შავ კაბაში გამოწყობილი, ყელზე თეთრი მარგალიტის ყელსაბამით, სუნამოს და პუდრის სურნელში გახვეული, ოთახში მჯდომი ქალების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ხან იცინოდნენ, ხან საუბრობდნენ და შამანათის ცოლს ისე ელაპარაკებოდნენ, თითქოს მისი ძველი მეგობრები ყოფილიყვნენ. ასე ამგვარად, ასე სმა-ქეიფში ათის ნახევარი გახდა. დრო ისე გავიდა, რომ ვერც შეამჩნიეს. ბოლოს ყველამ თავთავიანთი ჭიქებიდან ბოლო ყლუპი მოსვა და სავახშმოდ სასტუმრო ოთახიდან გავიდნენ. წინ უძღოდა შამანათი და მას მოჰყვებოდა შეფი და დანარჩენი სტუმრები. ვერანდაზე რომ გავიდნენ, შამანათი უეცრად ადგილზე გაშეშდა. წამიერად გამოფხიზლდა. ვერანდაზე, ზუსტად იმ ოთახის წინ, დედა თავის სკამზე უწინდებურად იჯდა, მხოლოდ ორივე ფეხი სკამზე ეწყო, თავს აქეთ-იქით აქანავებდა და ხვრინავდა. ქანაობისას, როცა ილვიძებდა, თავს ისევ აქეთ-იქით აქანავებდა, სარის ბოლო თავიდან ჩამოცურებოდა და ნახევრად გამელოტებულ თავზე აწეწილი თმები მოუჩანდა. შამანათი განრისხდა, ერთი სურვილი ჰქონდა, დედისთვის ხელი ეკრა, აეყენებინა და ოთახში შეეგდო, მაგრამ ასე მოქცევა შეუძლებელი იყო, რადგან იქვე შეფი და დანარჩენი სტუმრები იდგნენ. დედის დანახვისას ჩინოვნიკების ზოგიერთმა ქალბატონმა სიცილი ატეხა. ამ დროს შეფმა ხმადაბლა თქვა: „საბრალო ქალი”, დედა სწრაფად წამოდგა, მის წინ მდგარი ამდენი ხალხი რომ დაინახა, ისე აღელდა, რომ ვერაფერი ველარ თქვა. თავზე სწრაფად გადაიფარა, წამოდგა, თავი დაღუნა და ხელ-ფეხი აუკანკალდა.

- დედა, შენ წადი, დაიძინე, ასე გვიანობამდე რატომ ღვიძავს? დარცხვენილი მზერით შამანათმა შეფს გადახედა. შეფს სახე უღიმოდა, ის მიესალმა მოხუცს „ნამასტე”. დედამ შემკრთალმა, მოკრძალებით მისალმების ნიშნად ორივე ხელი შეაერთა, თუმცა ერთ ხელში, შარფის ქვეშ კრიალოსანი ეჭირა, მეორე კი გარეთ ჰქონდა, წესიერად მისალმებაც კი ვერ მოახერხა. შამანათი ამის გამო ძალიან შეწუხდა. ამ დროს შეფმა მარჯვენა ხელი დედას გაუწოდა. დედა კიდევ უფრო დაიბნა.

- დედა, ხელი ჩამოართვი.

მაგრამ ხელი როგორ ჩამოერთმია? მარჯვენა ხელში ხომ კრიალოსანი ეჭირა. დაბნეულობისგან დედამ მარცხენა ხელი გაუწოდა. შამანათს ცეცხლი ეკიდა ბრაზისგან. ჩინოვნიკების ცოლებმა ატეხეს ხარხარი. „ასე არა, დედა! შენ ხომ იცი, რომ მარჯვენა ხელს ართმევენ. მარჯვენა ხელი ჩამოართვი.” მაგრამ ამასობაში შეფი მარცხენა ხელს ართმევდა და ამბობდა: “ჰოწ დო ყოუ დო?” „თქვი დედა მე კარგად ვარ, ჯანმრთელად.” დედამ რაღაც წაიბუტბუტა. დედა ამბობს: „მე კარგად ვარ, თქვი, დედა, „ჰოწ დო ყოუ დო?” დედამ ყოყმანით გაიმეორა „ჰაუ დუ დუ?” ერთხელ კიდევ ატყდა კისკისი.

სიტუაცია განიტვირთა, შეფი ვითარებას მართავდა. შამანათის გულის ღელვამაც ცოტათი იკლო. შეფს ჯერ კიდევ აქამდე დედის ხელი ეჭირა, დედა შეიშმუშნა. შეფს პირიდან ღვინის სუნი ამოსდიოდა. შამანათმა ინგლისურად თქვა: დედაჩემი სოფლის მაცხოვრებელია, მთელი ცხოვრება სოფელში გაატარა, ამიტომაც მორცხვობს თქვენთან. შეფმა ამის გაგონებაზე კეთილი თვალით შეხედა და თქვა: „მართლა? მე სოფლის ხალხი მომწონს, მაშინ დედათქვენს სოფლის სიმღერები და ცეკვები ეცოდინება.” შეფი დედას თვალს არ აშორებდა. – დედა, უფროსს სურს, რომელიმე სიმღერა იმღერო, რომელიმე ძველებური სიმღერა, რომელიც გემახსოვრება. დედამ მშვიდად უთხრა: „მე რას ვიმღერებ, შვილო, როდის მიმღერია?” – დედა სტუმრის თხოვნას ვინ არ ასრულებს?! შეფმა ისეთი მონდომებით გთხოვა, რომ არ იმღერო, ეწყინება.

- რა ვიმღერო, შვილო, რა ვიცი?!

- რომელიმე ლამაზი სიმღერა იმღერე.

ოფისის თანამშრომლებმა და მათმა ცოლებმა ამ წინადადებას ტაში დაუკრეს. დედა ნაღვლიანი მზერით ხან შვილს გადახედავდა, ხან რძალს. ამ დროს შვილმა დაჟინებული მოთხოვნით წამოიძახა: „დედა!!!” ამის შემდეგ ხო ან არას საკითხიც არ დამდგარა. დედა დაჯდა და გალეული სუსტი ხმით ერთი ძველი საქორწინო სიმღერა დაიწყო. ჩინოვნიკების ცოლები ისევ აკისკისდნენ, დედამ სამი სტრიქონი იმღერა და გაჩუმდა. ვერანდაზე ტაშისკვრა ატყდა. შამანათის კმაყოფილება სიხარულსა და სიამაყეში გადაიზარდა. დედამ წვეულებას ახალი ელფერი შესძინა. შეფმა ტაშისკვრა შეწყვიტა და იკითხა: „პენჯაბის სოფლების ხელსაქმე რა არის? „შამანათი სიხარულით როკავდა და უპასუხა: „ძალიან ბევრი რამ, ბატონო. მე თქვენ ერთ ნაკრებს იმ ნივთებიდან მოგართმევთ და რომ ნახავთ მოგეწონებათ, - მაგრამ შეფმა თავი გააქნია და კვლავ ინგლისურად ჰკითხა: „არა, მე მაღაზიების ნივთებს არ გთხოვ. პენჯაბელების სახლში რა მზადდება? ქალები თვითონ რას ამზადებენ?” შამანათმა ცოტა ფიქრის შემდეგ თქვა: „გოგოები თოჯინებს ამზადებენ, ქალები ქარგავენ” – რა არის ნაქარგები?

შამანათმა ნაქარგების მნიშვნელობის ახსნის უშედეგო მცდელობის შემდეგ, დედას უთხრა: „დედა, რაიმე ძველი ნაქარგი არის სახლში? “დედა უხმოდ შევიდა ოთახში და თავისი ძველი ნაქარგი გამოიტანა. შეფმა დიდი ინტერესით დაუწყო ნაქარგებს თვალიერება. ნაქარგი ძველი იყო, ადგილ-ადგილ მისი ძაფები დაწყვეტილი და ნაჭერი დაფლეთილი იყო. შეფის დაინტერესების შემჩნევისას, შამანათმა თქვა: „ეს დაფხრეწილია, ბატონო, მე თქვენთვის ახალს მოვაქარგინებ, დედა მოგიქარგავთ”.

- დედა, შეფს ნაქარგი ძალიან მოეწონა, მისთვის ასეთივე ნაქარგს ხომ დაამზადებ? დედა ჩუმად იყო, შემდეგ შიშით ხმადაბლა თქვა: „ახლა მე მხედველობა სადღა მაქვს, შვილო ?! მოხუცის თვალები რას დაინახავენ?” მაგრამ შამანათმა დედას წინადადება გააწყვეტინა და უფროსს უთხრა: „ის აუცილებლად მოგიქარგავთ და რომ ნახავთ მოგეწონებათ”. შეფმა თავი დაუქნია, მადლობა გადაუხადა და მსუბუქი ზან-

ცალით სუფრისკენ გაემართა, დანარჩენი სტუმრებიც მას მიჰყვნენ.
როცა სტუმრები დასხდნენ და დედა თვალს მოეფარა, მაშინ ის სკამიდან ნელა წამოდგა, ყველას მზერისგან მოფარებული თავისი ოთახისკენ გაემართა. ვერ მოასწრო ოთახში შესვლა, რომ ცრემლები ნიაღვარივით წამოუვიდა, ის თავისი შარფით იწმენდდა ცრემლებს, მაგრამ დედამ თავი დაიმშვიდა, ხელისგულები შეაერთა, ლოცვა დაიწყო და ღმერთს შვილის დღეგრძელობა შესთხოვა, თან თვალებიდან დროდადრო ცრემლი წვიმასავით მოსდიოდა. შუაღამე იქნებოდა, სტუმრებს ევახშმათ და ერთიმეორის მიყოლებით წასულიყვნენ. დედა, კედელთან მიყრდნობილი იჯდა და თვალები ზევით აეპყრო. სახლში დაძაბულობამ უკვე ჩაიარა. უბნის დუმილმა შამანათის სახლშიც დაისადგურა, მხოლოდ სამზარეულოდან თეფშების რახარუხის ხმა ისმოდა. ამ დროს დედის კარებზე ძლიერი ბრახუნი ატყდა – დედა კარი გააღე! დედას გული აუფანცქალდა, სასწრაფოდ წამოდგა „კიდევ რაიმე ხომ არ დავაშავე?!" – დედა საკუთარ თავს კიცხავდა, რატომ მოერია ძილი და რატომ ჩათვლიმა, ნუთუ შვილმა ჯერ კიდევ არ აპატია. დედა ადგა და აკანკალებული ხელებით კარი გააღო. კარის გაღებისთანავე შამანათი ბარბაცით შიგნით შემოვიდა და დედას გადაეხვია. „ოო, დედი, დღეს შენ გაგვახალისე, შეფმა შენით გაიხარა, ვერ აგიხსნი, ოოოო, დედი, დედი". დედის დაჩიავებული სხეული შვილის მკლავებში დაიფარა. დედას თვალებიდან კვლავ ცრემლი სდიოდა, ცრემლებს იწმენდდა და ხმადაბლა ამბობდა: „შვილო, გამგზავნე მოხუცთა თავშესაფარში, რახანია გთხოვ." შამანათმა უცბად შეწყვიტა ბარბაცი, მას შუბლზე კვლავ დაეჭიმა ნაოჭები. მან დედას ხელი გაუშვა – რა თქვი, დედა, კიდევ გულსატკენ რამეს მეუბნები?! კიდევ უფრო გაბრაზდა შამანათი და განაგრძო: „შენ გინდა სახელი გამიტეხო, დედა? განზრახ გინდა, რომ წახვიდე თავშესაფარში, რათა ყველამ თქვას, რომ შვილს არ შეუძლია დედას მოუაროსო?"
- არა, შვილო, შენ შენს ცოლთან ერთად იცხოვრე, როგორც შენ გულს გაეხარდება. ჩემი დრო უკვე წავიდა, ახლა აქ რა ვაკეთო?! დარჩენილი სიცოცხლის დღეები ღვთის სახელის ხსენებაში მინდა გავატარო. გამგზავნე მოხუცთა თავშესაფარში.
- შენ თუ წახვალ ნაქარგებს ვინ მოქარგავს? შეფს შენს თვალწინ ნაქარგების ჩუქებას დავპირდი.
- თვალები აღარ მაქვს იმისათვის, რომ ნაქარგები ვამზადო, შვილო. შენ სხვა ვინმეს დაამზადებინე და მზა ნაქარგები აიღე.
- დედა, შენ დამაღალატებ და ისე წახვალ? ჩემს აწყობილ საქმეს დამინგრევ? იცი, რომ, თუ შეფი კმაყოფილი იქნება ჩემით, მე დაწინაურება მელის.
დედა გაჩუმდა, მერე კი შვილს სახეში შეხედა და თქვა: „შენი დაგაწინაურებენ? შეფი დაგაწინაურებს? რაიმე გითხრა ამის შესახებ?"
- თქმით არ უთქვამს, მაგრამ ვერ ნახე, როგორი კმაყოფილი წავიდა? ამბობდა, რომ დედაშენი რომ ქარგვას დაიწყებს, მე სანახავად მოვალ, რომ ვნახო როგორ ამზადებსო. თუ შეფი კმაყოფილი დარჩა, ამაზე უფრო დიდი თანამდებობა შემიძლია მივიღო სამსახურში. მე უფროსი ჩინოვნიკი შემიძლია გავხდე. დედას სახეზე ფერმა გადაჰკრა, ნელ-ნელა მას ნაოჭებიანი სახე გაებადრა, თვალებში ცოტაოდენი ნაპერწკალი გაუჩნდა.
– ე.ი. შენ დაგაწინაურებენ, შვილო?
- დაწინაურება განა თავისთავად მოხდება? თუ უფროსს ვასიამოვნებ, ისიც გაირჯება, თორემ მისი მომსახურენი განა ცოტანი არიან?!
- მაშინ მე მოვქარგავ, როგორც გამომივა, შვილო.
დედამ გულის სიღრმეში ისევ შვილის ნათელი მომავალი ისურვა და მისტერ შამანათმა უთხრა: „ახლა დაიძინე, დედა!". ბარბაცით თავისი ოთახისკენ გაემართა.

# იუმორი გზად და ხიდად

*ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი*




## ლოთი ქმარი

კარზე მოეყუდება და
ურცხვად აძლევს ხანგრძლივ ზარს,
ბავშვებიც არ ედარდება
ამ ჟესტით სცემს შიშის ზარს.
ვაი, სახლში მის შემოსვლას,
ეყუდება კედლებზე,
მღერის, კივის, იდილია
სულ ჰკიდია ფეხებზე.
ვიწურები მეზობლებში
ხმა რომ გადის ღრიალის,
მრცხვენია ორომტრიალის
მსხვრევა, ლეწვა, რიალის.
უასაკო ბავშვებსაც კი
სურს რაღაც ჩაეძიოს,
ველოდები ამ ქაოსში
იქნება ჩაეძინოს.
გორლაზეა, ზარხოშზეა,
ათას შარებს იგონებს,
სულ არ დარდობს, ამ ღრიანცელს
გარეთ ვინც გაიგონებს.
სიმწრისაგან ლამისაა
რომ კედლებზე ავდივარ,
მეორე დღეს სირცხვილისგან
გარეთ ძლივსლა გავდივარ.
მას რომ ჰკითხო, ხმის გალება
ქალისგან, რას მიქვია,
დამენატრა რა ხანია
ქმრის სითბო რასაც ჰქვია.
ტუჩზე დუჟით, ხან ვერცკი მცნობს
მხვდება ხან სად, ხან სადა,
ახლა ვხვდები, ასეთებმა
ცოლი რით ქმნეს ხასადა.
სულ გალეშილს, ეს სასმელი
ღმერთო! როგორ ერგება,
აღმა, თავქვე ბორიალით
ოდა თავზე ენგრევა.
ვასმიორკით სხვის ქმრები რომ
ყალყზე ტრიალდებოდა,
რა ვიცოდი, ეს ჩემს თავზეც
თუ დატრიალდებოდა.
გაბრუჟება ჩემს ქმარს უკვე
თავის ჭკვაზე აყენებს,
კუჭს და სასმელს, ოჯახზე წინ
ღმერთო! როგორ აყენებს.
ხან ძლივს გვაგნებს ოთხით, ფორთხვით,
სამარცხვინო მალაყით,
მოდის მხოლოდ რომ ატეხოს
ზათქი, აყალ-მაყალი.
ლოთი, შფოთი, მსგავსი გიჟის
სახლში ყველას გვერევა,
ჩირადაც არ მიაჩნია
ფეხები რომ ერევა.
რასაც კი მიეჯახება
ჰაერში ატრიალებს,
გალეშილი ღძრო სიტყვებით
ენას ძლივს ატრიალებს.
ლოგინამდე ვერ მიაღწევს
სკამზე სურს რომ იწვალოს,
ასეთისგან შვილმა ნეტავ
ან რა უნდა ისწავლოს.
შვილებისთვის, სინდისისთვის
მაინც ვერა ვცილდები,
ნელა-ნელა ეპარება
ჰალუცინაციები.
ღმერთმა რისთვის გამიმეტა
სხვას არასდროს ვკილავდი,
ამდენ ბავშვებს რა ვუშველო
თორემ თავს მოვიკლავდი.
გაცნობამდე ავზნეობა
გულში როგორ დატია,
ბელაია გარიაჩკის
უკვე კანდიდატია.
ნეტავი ვინ შემოიღო
გალეშება მოდაში,
ვერ ვუსურვებ მტერს, უყუროს
როს ვარდება ლომკაში.
სხვების შვილებს, მამები ჰყავთ
ჩემებს კი, სასაცილო,
ლოთი ქმარის გამოდგომა
ღმერთმა ყველას აცილოს.
ბასიაკის ცოლი მქვია
მეფაკლება ლოყები,
ამ ბუნებას რად უნდოდა
კაცი პათოლოგები.
სპირიტის სუნით, ყარს მძინარიც
გახედვაც ჭირს იმისკენ,
რეალობის შემხედვარეს
გული ლამის გამისკდეს.
არც მადარდებს. ბოლმისაგან
თუ რამ ავი მომივა,
მეშინია დაღამების
გალეშილი მომივა.
ცხვირი თითქმის გაულურჯდა
წელში ძლივსლა სწორდება,
ვიოცნებო ლოთობისგან,

ვითომ გამოსწორდება?
ნეტავ ბოლო რა იქნება?
ღმერთო! საით გავიქცე?
სად ვიჩივლო, ვინ მიშველის
ოჯახი არ დაიქცეს?
ეს კითხვა ხომ, სულ მაგიჟებს,
გული მთლად შემივარდა,
ის კაცია, ღმერთო ჩემო
ერთ დროს, რომ შემიყვარდა?
გულში მირტყამს, მის ლოთობით
ოჯახს ვინც კი მიჭორავს,
რა მწარეა ქმრის ნაცვლად რომ
გვერძე მიწევს ტიკჭორა.

## ალქაჯი სიდედრი

ცოლს ხმას ვერ ვცემ, გადიქცევა
თვალებად და ყურებად,
კონცლაგერში ყოფნა მიჯობს
ჩემ სიდედრის ყურებას.
ჩამკირკიტებს, მყარაულობს,
გულზე ლამის მაბიჯებს,
ჩემზე თუ არ წაიკბინა
ისე ვერ დგამს ნაბიჯებს.
ხალხი ჟენიას ეძახის,
მოფერებით, ხან ჟენოს,
სიზმარშიაც მელანდება
ერთი მაგრად დავჟეჟო.
სულ მიწუნებს, ქვეყნის თვალში
სიმპათიას ვიწვევდი,
დუელები არ არსებობს
თორემ გამოვიწვევდი.
დილიდანვე მთარსავს, მთათხავს
სულ მავიწყებს დღის მიზნებს,
ქვემეხივით ნასროლ სიტყვებს
კაკალ გულში მიმიზნებს.
მთლად დავკარგე სიამაყე
ფხიზელმაცა და მთვრალმა,
საჩხუბი და საომარი
ჩემთან ვერ დაამთავრა.
რომ ატყდება, ვერა ვხვდები,
სად გავიქცე, მასეთ დროს,
სიდედრი ვინც მოიგონა
ჩემი ცოდო მას ედოს.
დაგესლილი უნდობელი
ნაგაზივით ავია,
ქალის სახელი შემზარდა
თუმცა... ეგ რა ქალია.
შემზარდა სიტყვა სიდედრი
მე არ ვყვები სხვის ძახილს,
მისი შიშით ჭიქას ვერ ვწევ
სულ ბასიაკს მიძახის.
თავზე ბუზი არ დამისვამს
გულში დარდს რად მოვკლავდი,
ბავშვებს უყვართ, თორემ უკვე
უსათუოდ მოვკლავდი.
ჩეკისტივით სულა მზვერავს
სადაც წავალ, სულ იგებს,
ჩხუბი ვერ წამომიწყია
ყველა რაუნდს სულ იგებს.
კაცი ვარ და მენდობიან
სხვის საქმეც გამერჩია,
ამ ქოფაკს არ გადავყროდი
უცოლობა მერჩია.
თავს მჭრის ყველგან, ბაქიაობს
ჩემს ოჯახს, რომ ის არჩენს,
სიტყვა შემზარდა: ქორწილი
სიდედრს რადგან ის აჩენს.
ბინა ჩემი გამაჩნია,
ამიტომაც ვერ მაგდებს,
თვალებში რომ შემომხედავს
იმწუთში შოკში მაგდებს.
სიდედრები შარებია
ჩემსას მწარედ გამოვყოფ,
იმის ახლოს გავლისასაც
ადრენალინს გამოვყოფ.
დასვენებაც რომ მინდოდეს
ძერასავით მეცემა,
ჩხუბში ზურგზე კატასავით
არასოდეს ეცემა.
საძაგლობით სხვასაც ჰყავდეს
არ მგონია სადარი,
პივითაც რომ ვადღეგრძელო
იმის ღირსიც არ არი.
კაცი ვარ და უცრემლოდ ვძლებ
ყველა ჭირის ატანას,
გასკდა გული, ველარ ვუძლებს
ვუყურო ამ სატანას.
სადაც მისი ბუნდღა არი
ვერიდები იმ არეს,
ყველასი მშურს, ვინც სიდედრი
გაიცილა იმ მხარეს.
მის სლიკინს და მის კანონებს
დოგმად რომ ვერ ვიდგენდი,
დედაკაცი დამჯაბნიდა
როგორ წარმოვიდგენდი.
ძმაკაცთან ვიმუსაიფო
კვლავ იქცევა ყურებად,
სვარკის ყურება სჯობია
ამ ალქაჯის ყურებას.
იმ შახის დედა ვატირე
გული როგორ უძგერდა,
მე ჩემ ერთ სიდედრს ვერ ვუძლებს
სამასს როგორ უძლებდა.
ზოგისათვის თუ მიწაში
ჩასადები განძია,
მასზე მიწაც ზედმეტია
რადგან ასე ღვარძლია,
რომა აქვს გაობრძმედილი,
ენა შხამში, ციანში,
რომ მოკვდება, უნდა ჩავდო
კანალიზაციაში,
ეხლა მივხვდი როგორ უნდა
საკითხების გადაჭრა,
ყველა სიდედრს, ერთი თავი
ჰქონდეს, ერთად გადავჭრა.
ან კი მარტო რას მოვუვლი
ამისთანა რქიანებს,
სიძეებმა პირი შევკრათ
უნდა გავერთიანდეთ.
რადგან ბედმა ასე ყველა
ვულკანებად აქცია,
ჰოდა უნდა ჩავატაროთ
სიძეების აქცია:
შევადგინოთ პლაკატები,
ეს იქნება ადვილი,
რომ ავყიებს მიეჩინოს
თავ-თავისი ადგილი.
ადრიდანვე ენას გიჟი
შოლტივით რომ მიქნევდა,
ახლა მტკიცედ გადავწყვიტე
ან მე, ან ეგ.... იქნება.

## ქელეხი

ასოცი წლის პაპა მყავს
ჩაუცვივდა კიჭები,
ქელეხს როდის გვაჭმევო
შემძახოდნენ ბიჭები.
და როცა აღესრულა
აცხონოს იმის სული,
ერთი კაცი ვერ ვნახე
საფალავამდე მისული.
სახეზე დასტყობოდა
ოდნავ მაინც ნაღველი,
სულ ერთი სული ჰქონდათ
ამისი ვარ მნახველი.
მოსხდომოდნენ სუფრას და...
თან წავიდა მოლხენა,
ყველა გაიძახოდა:
ჩვენც მოგვყარა იმხელა.
განსვენებულისაო
იმიჯი არ შევლახოთ,
უყვარდაო მის დროზე
პაპასაო შალახო.
მისი ხელოვნებები,
ჩამოთვალეს იმდენი,
უყვარდაო სუფრული
კაფია სიმღერები.
უნდა შევუსრულოთო
რაც კი მას უყვარდაო,
ამ ასაკში მხენდ იყო
სულ კი არ დავარდაო...
იყვნენ მობრძანებულნი,
ჯიპებ-სედან-და-რაფით
სრულ გამომეტყველებით
იამებდნენ შარაფით.
სამიოდ ჭიქის მერე
ისე წამოთამამდნენ,
თუ კი, თავს იკავებდნენ
სიმღერებით მანამდე.
დასცხეს, დააგუგუნეს
კრიმანჭული, მაყრული,
რიხიან ხმით ნამღერი
რომ არ იყო, მალული.
ვუცქედი და ვფიქრობდი
უნდა ზენამ დალახვროს,
მიცვალებულის ხათრით
ბუქნაობდნენ შალახოს.
ილხინეს და გამოტყვრნენ,
თალხს არ ეპუებოდნენ,
მონაცეკვარ ქელეხში
ერთურთს ეყუდებოდნენ.
დასრულება მინდოდა
დრო თუმც ნელა დნებოდა,
მიცვალებულის ნაცვლად
ხალხი მეცოდებოდა.
გონი მთლად დაუბნელდათ
იყვნენ აცეტებულნი,
გლოვის ნაცვლად ყველა რომ
იყვნენ აცეკვებულნი.
არ ვუსურვებ თუმც არცერთს
იმათგანი კვდებოდეს,
და ან იმან ქელეხში
ვინმე აცეკვდებოდეს.
თუმც, მთავარი არ არი
აქ რამე სურვილები,
ტაშფანდურა ქელეხში?
მე ამაზე ვირევი.
ხუთას კაცამდე იჯდნენ
ხრეს და თანთქლეს ორმაგი,
სვლიპეს, გაანადგურეს
იმოდენა ხორაგი.
განსხვავებულებს სვამდნენ
ამ ქელეხის სახსოვრად,
დიდებული განწყობით
პაპა ვილას ახსოვდა.
ნამცხვრების, ზეთისხილის
მირთმევაზე ფიცხლობდნენ,
ხაშლამას თან, ნიორწყლით
მხოლოდ ჩადგმით ითხოვდნენ.
ჭიქებს ისე ავსებდნენ,
რომ გაჰქონდა ლიპლიპი,
ზოგი იყო მოსული
თავის ნიორ-პილპილით.
ზოგნი გვიან მობრძანდნენ
მიტომ არ ილეოდნენ,
მუსიკის, ახალ კერძის,
ზაკაზებს იძლეოდნენ.
ექსპრომტები თამადას
თუმც მშვენივრად უჭრიდა
ამფსონთა მიკროფონით
დაწყნარებდა უჭირდა...
თუმცა, მისავალია
ღვთის ნებით და უფლებით,
ჭიქა, მხოლოდ წაიქცეს
ხელით, ჭირისუფლების.
ვისაც, სული შეეძრა,
თუნდ უთქმელად კიოდა,
არ ეღრეობებოდა
გული ისე სტკიოდა.
მავნე ეს ჩვეულება
იქნებ ვიღოთ აზრადა
აიკრძალოს ქელეხის
ღრეობაში გადაზრდა
ასე ხუმრობა არის
ხალხის ყანწით გაძლოლა?
ჭირისუფალს ეკმაროს
წელში ისეც გაწყდომა.
ერთმანეთს გადაუხსნეს
ნაბახუსი გულები,
დაშლას არ აპირებდნენ
ჩაბულბულებულები.
ქვევრი ამომიხაპეს
არ დატოვეს შიგ ლექი,
ცოდვად ასოცირდება
სალაღობო ქელეხი.

## იგი ვნახო კუბოში

ჩემს ბებოს აქვს მანქანა
დაგრიალობს გიჟივით,
თან შარვალიც აცვია
თმას იკრეჭავს ბიჭივით.
და მე ოცი წლის ჭაბუკს
ჩაყუდებულს ჟინსებში,
შესაშური არაა
გროშიც არ მაქვს ჯიბეში?
ბებო რომ დაგრიალობს
მუდამ თავის კუტოკში,
ღმერთო! ლამის ვინატრო
იგი ვნახო კუბოში.
ბებო რატომ მიტყდება
გულწრფელად ვაღიარო?
მან ჯიპით იგრიალოს
მე კი ფეხით ვიარო?

თუმცა ცოდოს ვერ ვიტყვი,
მუდარა არ სჭირდება,
მაძლევს ბებო იმდენ ფულს
რაც საქმეზე მჭირდება.
მე კი მინდა მანქანა,
ვაგრიალო ქალები,
თუმც მისივე წყალობით
არ მაწუხებს ვალები.
სამოცამდე წლისაა,
არც კი უდებს თავს ტოლებს,
მცხვენია ძმაკაცების
ბებო რომ ჩამიქროლებს.
ჩემი ასე შერცხვენა
როდემდის გაგრძელდება,
შუმახერობის ლტოლვა
როდის გაუნელდება.

ამაზეცა ვმწარდები
გონზე ძლივას მოვდივარ,
როცა ბებოს ისევე
კვლავაც ბავშვი ვგონივარ...
თუმც ამჟამად ბებოზე
ავ ფიქრის მოგონება,
არ მსურს, რადგან ამჯერად
გამინათდა გონება.
მეც ხომ შევალ ასაკში,
და მექნება ჯიპები?
მეც ხომ მეყოლებიან
შვილიშვილი ბიჭები.
ასე უნდა იფიქრონ?
სირცხვილით მოვიხატე,
და ბებოსთან ბოდიში
უთქმელად მოვიხადე.

*ეთერი ფირცხალავა*

## მომწონს ჩემისთანა

ზოგს რა იტაცებს და ზოგს რა. მე მაგალითად ხალხი ერთმანეთს, რომ გადავეკიდო, კბილებით დავაძიძგნინო ამით ვიკვებები.

ჩემი გარინდული აღწერილობა მინდა იცოდეთ. სიმაღლით მეტრანახევარი ვარ, მაგრამ სიგანე თითქმის სიმაღლეს არ ჩამოუვარდება.

დილით ანთიმოზასთან შევიარე, და ვეუბნები: ბიჭო გუშინ საღამოს, ჩემი თვალით ვნახე შენს კარებთან ტიგრანას ცოლს ხელში რაღაცა ეჭირა, აქეთიქით თვალებს აცეცებდა და რაღაცის ჩამარხვას ლამობდა. მე როგორც თვალი მომკრა მოკურცხლა. რას ამბობ კაცო, ტიგრანას ცოლი საზღვარგარეთაა. მაშინ სურენას ცოლი იქნებოდა. ისიც მასთან ერთადაა წასული. (ოხ გავიჭედე, რაი ვთქვა ახლა) ნუ ვილაცას ცოლი იქნებოდა. კარგი არაუშავს ახლა მე ჩაუსაფრდები მას. ის კიდევ მოვა, რადგან მან ვერ მოასწრო განზრახვის შესრულება და ადგილზე გავკოჭავ.

ანთიმოზას სახე აელეწა და განსაცდელში ჩავარდა. მე კი ნაწილობრივ ამოვისუნთქე, რადგან ვხვდებოდი უკვე საწადელს ვაღწევდი. ახლა ტიგრანას ვეახელი, ჯერ მოვიკითხე და მერე ვეუბნები, ბიჭო ტიგრან, კი მიმძიმს თქმა, მაგრამ ვალდებული ვარ საქმის ყურში ჩაგაყენო. გუშინ საღამოს შენს კარებთან ანთიმოზა უშნოდ ტრიალებდა, თითქოს რაღაცა უნდა ჩაემარხა შენს კარებთან, მაგრამ მე როგორც მომკრა თვალი თხუთმეტი წლის ბიჭივით მოკურცხლა. თუმცა სად წამივა ხვალ ზეგ ისევ გამოჩნდება და მერე მე ვიცი რასაც ვუზამ. არ დავზოგავ დედის სულს ვფიცავარ. რატომ გიმეტებს ის ოხერი ასეთ ღვთისმიერ ადამიანს. ჯადო უნდა გაგიკეთოს? მაგას ვუჩვენებ სეირს. ტიგრანას ფერი ეცვალა. ( ეჰე, მოვარგე, გავივლე გულში) ჩემო ტიგრან, შენ ნუ დაღონდები, ეს ჩვენში დარჩეს და სხვა მე ვიცი.

ახლა წავალ სხვებთან და მეტ ხალხს გადავკიდებ ერთმანეთს. ჩემი მოწოდება ხომ ეს არის.

# გახსენება



## სოკრატ სალუქვაძის გახსენება

არიან ადამიანები, რომლებთანაც ყოველდღიური ურთიერთობა, მით უმეტეს მეგობრობა, ცხოვრებას განსაკუთრებით საინტერესოს ხდის, სტიმულს გაძლევს, უფრო აქტიური იყო შემოქმედებითი თუ ყოფითი პრობლემების გადაჭრისას. ასეთი ადამიანი რეალურად შენი ცხოვრების მესაიდუმლე და მრჩეველი ხდება. თუ შენ, მას გამოუცხადებ ნდობას და გაანდობ გულის ნადებს, იგი ხდება არა მხოლოდ ურთიერთობის მონაწილე, არამედ ნაღდი უღალატო და უანგარო მეგობარი. „ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.”

პირადად ჩემთვის ასეთი პიროვნება იყო ლეგენდარული ადამიანი სოკრატ სალუქვაძე.

...საქართველოს სამედიცინო და ფარმაკოლოგიის სამეცნიერო საზოგადოებამ მოულოდნელად, მძიმე დანაკლისი განიცადა. 77 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ცნობილი წამალთმცოდნე, მედიცინის ღვაწლმოსილი მკვლევარი, ამადგარი ორგანიზატორი, რესპუბლიკის რამოდენიმე მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ადამიანი ლეგენდა - სოკრატ სალუქვაძე.

იგი 1935 წლის 10 მაისს ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში დაიბადა წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის მეზობლად. რითაც მოწიწებით და დიდი პასუხისმგებლობით ამაყობდა. მამა ძალზე ადრე გარდაიცვალა, დედამ დიდებულმა ქალბატონმა, ლუბა მჟავიამ, ობლობაში გაზარდა ერთადერთი შვილი - პატიოსანი, ნამდვილი ქრისტიანი, მებრძოლი, უკომპრომისო. ლიხაურის სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში - ფარმაკოლოგის ფაკულტეტზე. დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ქ. ფოთის №1 აფთიაქში, შემდეგ გამოიჩინა ორგანიზატორული ნიჭი, საქმისადმი თავდადება და დანიშნეს ფოთის სააფთიაქო სამსახურის ხელმძღვანელად. 1965 წლიდან მოღვაწეობს თბილისში ვაკის რაიონის აფთიაქის მმართველად, ხოლო 1990 წლიდან თვილისის I აფთიაქის მმართველია და ქალაქის სააფთიაქო სამსახურის ხელმძღვანელი. თავისივე ინიციატივით საქართველოს მთავრობისა და ჯანდაცვის მაშინდელი მინისტრის ბ-ნ ავთანდილ ჯორბენაძის ხელშეწყობით დაარსა კაკში=სჰი აფთიაქი მუზეუმი. - რომელსაც ხელმძღვანელობდა 2008 წლამდე...

ს. სალუქვაძე იყო მაღალი დონის მეცნიერი, სამართლიანად სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ. მისთვის იყო დამახასიათებელი საუკეთესო ადამიანური თვისებები.

გამორჩეულად შთამბეჭდავი იყო ს. სალუქვაძის პიროვნული ხიბლი ჭეშმარიტი შემოქმედი, თავისი მოღვაწეობით ეპოქას ქმნის, მთელი თავისი ნიჭით, არსებით, ღრმა ინტელექტით, თავისი მოღვაწეობით ეპოქას ქმნის, მთელი თავისი ნიჭით, არსებით, ღრმა ინტელექტით, თავისი სამეცნიერო საქმიანობას. გამორჩჩეულად შთამბეჭდავი იყო მისი პიროვნუული ხიბლი, ზედმიწევნით ღრმა ცოდნა პოეზიისა და ხელოვნების მიმართ. ქართული კულტურული მემკვიდრეების უბადლო დაუღალავი ქომაგი, განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო მისი დაუღალავი ნაყოფიერი მოღვაწეობა - სამედიცინო ისტორიის მიმართებაში.

იგი ავტორი იყო 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთა შორის იყო 3 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო, უამრავი სტატიები და სხვადასხვა.

დიდია ს. სალუქვაძის ღვაწლი -ფარმაციის დარგში, მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეში, წარუშლელი კვალი დატოვა - სტუდენტებთან დამოკიდებულებაში იყო გულისხმიერი, ყურადღებიანი და მომთხოვნი, ბუნებით სპეტაკი პატიოსანი და სამართლიანი.

ს. სალუქვაძე - მონაწილეობას ღებულობდა „ვეფხისტყაოსნის” ზეპირად მცოდნეთ შეჯიბრებაში დიდებულად კითხულობდა თავისი ორიგინალური ტემბრით ბარათაშვილს, ორბელიანს, გურამიშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს, მუხრანის - შედევრებს.

მედიცინის ისტორიის საკითხზე მან პირვლად დაწერა სცენარი - მონოგრაფია, რომელიც გადაღებული იყო საქ. ტელევიზიის მიერ. „მითი და რეალობა”, საერთაშორისო „ოქროს არწივის” კინოფესტივალზე „I ხარისხის” დიპლომი დაიმსახურა. ს. სალუქვაძის საქმიანობა შერწყმული იყო მის პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობასთან: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ტბილისის სახ. სამედიც. უნივერსიტეტში, საქ. მედიცინის აკადემიაში, ზაზა ფინასკერტელის უნივერსიტეტში და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებში.

მისი ადამიანური მთავარი განმსაზღვრელი სიკეთე იყო, სხვისი წუხილის გაზიარების დიდი უნარი, უანგარო თანადგომა სწორედ ამ თვისებებმა განაპირობა მისი სიყვარული ავოტორიტეტი და პოპულარობა.

იმ ერს, რომელსაც გაჭირვების ჟამს გზის მაჩვენებლად წინ წარუძღვება, ჭეშმარიტი ქრისტიანი მამულიშვილნი - უკვდავნი არიან, სწორედ რომ სოკრატ სალუქვაძე იყო ჩინებული მაგალითი თუ როგორ უნდა იცხოვრო, იმოღვაწეო. სოკრატ სალუქვაძის შარავანდედით მოსილ ნათელ სახელს სათუთად უკვდავყოფენ მისი ახლობლები, კოლეგები და მადლიერი მოწაფეების რამოდენიმე თაობა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**ვახტანგ გაჩეჩილაძე:**
სახელმწიფო მრჩეველი ოფთალმოლოგი

*გიზო ჭელიძე*



*ვუცქერ შენს თვალებს*
*ხიბლს, რომ ბარდნიან*
*(გულნაზ ხარაიშვილს)*

ვუცქერ შენს თვალებს
ხიბლს, რომ ბარდნიან,
თვალებმშვიდი ხარ... და თანაც ნაზი.
მადლობას ვუთვლი, იმ შენ ნათლიას,
ვინაც დაგარქვა სწორედ გულნაზი.
ლექსების ხუროს და ქალს ეშხიანს,
გეფერები და გეალერსები.
შენ ლექსში ზიხარ, ლექსი შენშია,
სიფაქიზითაც გგავნან ლექსები.
ღირსი ხარ, მკერდზე იები ნაზი,..
მიმოგიფინო თაიგულად.
სულით და გულით შენებრ ლამაზი,
სხვა ქალი ქვეყნად არ მეგულება.
    გვალაღებ - გვართობ,
    მეგობართ კრებას,
სიკეთე არის შენში ბარდნილი.
ცდილობ ზეცაში ვარსკვლავთა კრებას,
წმინდაა შენი ქალის მანდილი.
ვუცქერ შენს თვალებს
წამწამს ჩადრიანს...
უკვდავი არის შენი გამჩენი
გულში გიხუტებ ქალს გულმადლიანს
შენ და კი არა, ძმაი ხარ ჩემი.

ბატონო გიზო ეს ლექსი როცა მომიძღვენი რა ბედნიერი იყო მაშინ შენი ცოლ-შვილი. შენს ოჯახს მეცნიერთა ოჯახს უწოდებდა სოკრატ სალუქვაძე, იგი ხომ შენი ძუძუმტე იყო. სოკრატ სალუქვაძე ერში საუკუნეებით იცოცხლებს თავისი ბიოგრაფიით.

მისი გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ თქვენც დატოვეთ მიწიერი სამყარო და თქვენი სული ცათა სასუფეველში ამაღლდა. თქვენ იყავით მეცნიერი, პროზაიკოსი, პოეტი. თქვენი შემოქმედებით უკვდავება გაქვთ შექმნილი. 2010 წელს თქვენმა შვილიშვილმა, გიზო ჭელიძემ გამოცა წიგნი სათაურით: „აზრი და სიტყვა ალალ-მართალი, პაპის სიბრძნეზე ჩამონათვალი." იმ წიგნში ჩემი წერილიცაა მოთავსებული (192გვ.). წიგნის ავტორ - შემდგენელს, შვილიშვილ გიზოს!

გახარებული ვარ თქვენი, როგორც შვილიშვილის, საქციელით, რომ გადაწყვიტეთ წიგნი დაწეროთ დიდებულ პაპაზე. მე კარგად ვიცნობ ბატონი გიზოს მრავალფეროვან შემოქმედებას, მასზე გამოთქმულ მოსაზრებებს. მაქვს ჩემი აზრიც. ამის თაობაზე გწერთ ბარათს; გთხოვთ გაეცნოთ და თუ საჭიროდ ჩათვლით შეიტანოთ წიგნში.

## აი ჩემი ბარათი:

ამ დღეებში, ქართველმა მკითხველმა მიიღო ერთი პატარა წიგნი, რომელსაც ყდაზე აწერია: „პოეტის ერთი ლექსი, გიზო ჭელიძე, უფალო ჩემო!" ლექსი ავტორის ყველაზე გამორჩეული, მოზრდილი პოეტური თხზულებაა. წიგნს ამშვენებს გიზო ჭელიძის სურათი და გამომცემლის სიტყვები: „გ. ჭელიძე შესანიშნავი პოეტია, მისი ლექსები უბრალო და გულში ჩამწვდომია, ნაზიც არის და ხმალაღმართულიც." როგორც ვხედავთ ბატონი გიზოს ლექსებში გამორჩეულად მიუჩნევიათ რა „უფალო ჩემო", ჩაუთვლიათ იგი ცალკე გამოცემის ღირსად. მე, გულნაზ ხარაისვილი, მთელი სიღრმით ვიცნობ ბატონი გიზოს მრავალფეროვან შემოქმედებას და მიმაჩნია, რომ მისდამი წამოწყებული საქმიანობა, სასურველია გაგრძელდეს იმავე მეთოდით და იმავე სტილით - მისი წიგნების დარგობრივი გამოცემით, ასე მაგალითად: დაისტამბოს: „პროზაიკოსის ერთი მოთხრობა - ნამცვრევი, - „ლეხაურელი ქალბატონი სტამბულში"; „პუბლიცისტის ერთი თხზულება - ყბისაქცევი, „ვალი"; აგრეთვე, „მეცნიერის ერთი გამოკვლევა, „ქართული ლექს-საგალობელი 4000 წლის გადაღმიდან."

ქართულ პერიოდიკაში კარგახანია იბეჭდება გიზო ჭელიძის ნამცვრევები. რა არის ნამცვრევი? ამის თაობაზე ბატონ გიზოს გამოქვეყნებული აქვს პატარა ნაშრომი და მიიჩნევს, რომ ნამცვრევი მოდის რთველის აღების შემდეგ დარჩენილი მოსავლის მცირე ნაწილის სახელწოდებიდან „ნამცვრიელა" და ინგილოური ცნებისაგან „ნამცვრევი". დიდი ლექსოგრაფის ნიკო ჩუბინიშვილის ახსნით ნამცვრევი ნიშნავს „მცირე ღირსახსოვარ მოთხრობას", ანუ იგივე ნოველლას. გ. ჭელიძე დაასკვნის, რომ ნამცვრევი მართლაც, ნოველის ჟანრის თხზულებაა, იმ თავისებურებით, რომ აგებულია მხოლოდ რეალური, ბელეტრისტული შინაარსის ამბავზე. გ. ჭელიძეს დასტამბული აქვს 40-ზე მეტი ნამცვრევი ილიაზე, აკაკიზე, ვაჟაზე, ალ. ყაზბეგზე, ი. გოგებაშვილზე, ექვ. თაყაიშვილზე, იოცებ სტალინზე, მომღერალ ერქომაიშვილების მოდგმაზე და ა.შ. ნამცვრევები უცხო არ იყო მეცხრამეტე საუკუნის ქართული პერიოდიკისათვისაც. გიზო ჭელიძეა ის მწერალი, რომელმაც აღადგინა ეს ჟანრი და დაამკვიდრა თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

აი, ერთ-ერთი ნიმუში!

## ლეხოურელი ქალბატონი სტამბულში

„ექვთიმე თაყაიშვილი მოგზაურობს თურქეთის საქართველოში, ეძებს და იკვლევს ძველ ეკლესია-მონასტრებს. მეგზურობას უწევს ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველი, რომელიც ერთ დღეს მიიწვევს მეცნიერს ოჯახში სადილად, სუფრას აწყობს მასპინძელი ქართველი. სამზარეულოდან შემოისმის ქალბატონის ხმა: „ნენა, ჯუჯუა, სირცხვილი არ მაჭამო სტუმართან." ექვთიმეს გულზე მოხვდება გურული გამოთქმები და შეეხვეწება მასპინძელს გააცნოს დედა.

ოთახში შემოდის ას წელს გადაცილებული მოხუცი ქალი, ექვთიმე წამოიჭრება და გულთბილი სიტყვებით მიესიყვარულება ქალბატონს.

- ქართველი ხარ, ნენა?
- დიახ, ქართველი ვარ.
- მეც ქართველი ვარ, ჯუჯუა, ლეხოურელი!
    - ლეხოურელი? - აღტაცებას ვერ მალავს ექვთიმე თაყაიშვილი მშობლიური სოფლის სახელის გაგონებაზე.
- ჰო, ლეხოურელი! თაყაიშვილების ყმაზე - შერმა-

დინ ლომჯარიაზე ვიყავი დანიშნული. ქორწინების წინა ღამეს მომიტაცეს თათრებმა სტამბულის ბაზარზე გასაყიდათ.

- ღმერთო ჩემო!

- ამ ახალგაზრდის მამამ (ხელს დაადებს მასპინძელს), რძლად დამიტოვა ოჯახში. გავაჩინე სამი ვაჟი და, მას შემდეგ, ვცხოვრობ აქაურ ქართველებთან.

ექვთიმე დაწვრილებით გამოკითხავს თანასოფლელ ქალბატონს ბიოგრაფიულ წვრილმანებს და შეპირდება, რომ სოფელში დაბრუნებული, მისგან მოკითხვას გადასცემს ამდენი ხნის დაკარგულ საქმროს - შერმადინ ლომჯარიას, რომელიც 130 წლისა ამჟღავნებს ... და უცოლშვილოდ ცხოვრობს ლეხოურის ერთ-ერთ უბანში, - ჭანიეთში.

- „ცოცხალია! - აღმოხდება მოხუც ქალბატონს და გული წაუვა.

აი, ამბავი, რომელიც ნამცვრევად დასტამბა ბატონმა გიზომ.

რა შეგვიძლია ვთქვათ ყბისაქცევაზე?

„ყბისაქცევი" მოსწრებული სიტყვა-პასუხზე აგებული მცირე იუმორისტული მოთხრობაა; მოვიხმოთ აქაც ერთ-ერთი ნიმუში.

„ბენია ჭელიძისაგან ფული ისესხა მეზობელმა შალვა სალუქვაძემ. დაუგვიანდა ვალის გადახდა შალვას. ადგა ბენია და ოჯახში ეწვია მევალეს. შალვამ სუფრა გაუშალა მოულოდნელ სტუმარს. ჭიქა ასწია ბენიამ.

- ას წელიწადს გეცოცხლოს, შალვა!

- არ გამოვა!

- ოთხმოცი იყოს!

- არც ოთხმოცი გამოვა!

- მაშინ, ორმოცდაათ წელიწადს მაინც ხეხე ეს ცხოვრება!

- ომაცდაათის ვარ უკვე და კიდევ ამდენს გავძლებ, ვითომ?

- იცი რა ქენი? ჩემი ვალი მომეცი და, თუ გინდა, ამსაღამოს გაგვარდნია სული."

მსგავსი ტექსტები საკმაოდაა გ. ჭელიძის პუბლიცისტიკაში!

დაგვრჩა „მეცნიერის ერთი გამოკვლევა - „ქართული ლექსსაგალობელი 4000 წლის გადაღმიდან."

გამოკვლევაში განიხილება არქეოლოგიური მონაპოვარი, - თრიალეთის ვერცხლის თასი. მასზე გამოსახული ფერხული და სვანურ ცოცხალ ყოფაში დაცული ცეკვა-სიმღერები პოეტური სიტყვიერებით. პოეტური სიტყვიერება წარმოჩენილია ღვთაება „კვირიასა" და მზის საგალობელ „შამაშრერა"-ში, არქეტიპული ლექსების სახით, რომელთა შესახებ, ბატონი გიზო, ჯერ კიდევ 2000 წელს გამოცემულ პატარა წიგნში („ქართული ლექსის საძირეები"), საუბრობდა. და აღნიშნავდა, რომ ლექსების თარიღად გამოდის ძველი წელთაღრიცხვის XVIII-XVII საუკუნეების მიჯნა.

ახალ გამოკვლევაში (2009 წ.) განმეორებულია ეს შეხედულება და აქვე გაანალიზებულიაგია კვაშილავას მეცნიერული მიღწევა - საბერძნეთში აღმოჩენილი თიხის ნახატნიშნებიანი წარწერის - „ფესტოსის დისკოს" - გაშიფვრის შედეგი. ხდება დადგენა იმისა, რომ „ფესტოსის დისკო" არის წინარე ქართული (4000 წლის წინანდელი) პიქტოგრაფიული ნაწერი, რითაც დადასტურდა გიზო ჭელიძის 2000 წელს გამოთქმული ვარაუდი, რომ ქართული ლექსის რეალური სათავეები 4000 წლის წინანდელია.

ესე იგი, გიზო ჭელიძის, როგორც ერთი ლექსის „უფალო ჩემოს", ერთი პროზაული თხზულების - „ნამცვრევის", ერთი პუბლიცისტური ნაწარმოების - ყბისაქცევის და ერთი მეცნიერული გამოკვლევის ავტორის სახით ქართულ ლიტერატურისმცოდნეობას ჰყავს მაღალი რანგის შემოქმედი. ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს არა მხოლოდ ქართველოლოგიურმა მეცნიერებამ, არამედ საქართველოს პედაგოგიურმა სამსახურმაც."

ბატონო გიზო თქვენს მეგობრებს და მთლიანად საქართველოს არასოდეს დაავიწყდებით. ახლა კი მკითხველს ვთავაზობ თქვენი პოეტური კრებულიდან ამოღებულ ლექსებს.

## ქართველნო

ღმერთო, სხვანაირ თვალით თუ მიმზერ,
რად მინდა ბაღში ვახარო ნუში?!
როცა ქართველი ქართველს უმიზნებს,
სამშობლოს ხვდება პირდაპირ გულში.
ვერარა ძალა მომიღებს ბოლოს,
ქარიშხალიც კი ჩადგება დარად,
მე ის ნაჯახი ამკაფავს მხოლოდ,
ჩემი მოძმე რომ უგია ტარად.
რა დროს ქიშპია. ბედაური გვრჩება უბელოდ,
ახლა ერთმანეთს პირში სული უნდა ვუბეროთ.
28/IX 2004წ.

## ციხევ, მაღალო!

შენს კედლებს ჟამმა თავი ახალოს,
შენთვის ვიცოცხლო, შენთვის ვკვდებოდე,
რა მაგარი ხარ, ციხევ, მაღალო,
ზოგჯერ შიგნიდან რომ არ ტყდებოდე!
6/VI 2004წ.

## იმ ტოტიდან

საუკუნემ ტოტი გადმომიწია,
მე იმ ტოტზე შემოვმჯდარვარ არწივებს,
იმ ტოტიდან მითქვამს ღმერთის ფიცია,
იმ ტოტიდან ვგრგვინავ, ვქუხ და ვაწვიმებ.
იმ ტოტიდან ვიმღერი „ჩვენ მშვიდობას"
ისმის ჩემი გოდებაც და ოხვრანიც,
იმ ტოტიდან გადავკაფე მინდვრები,
ბაღი-ყანაც იმ ტოტიდან მოვხანი.
იმ ტოტიდან დამიზაფრავს მომხდური
იმ ტოტოდან მიშიშვლია მახვილი.
იმ ტოტოდან მიტყორცნია ისარი,
იმ ტოტოდან გამიმართავს მარხილი.
იმ ტოტოდან ვატორტმანებ სამყაროს, -
მოძალადეს იარაღი ავყარო.
იმ ტოტოდან ვგალობ „მრავალჟამიერს",
ვლოცავ მამულს - იმერსა და ამიერს!
8/XI 2000წ.

## ჩემი გადასახედი

ვიყავი სვანი, კოლხ-ზანი და ვიყავი ქართი,
დედამიწაზე ჰო, რამხელა მეჭირა ფართი?!
ვერ დამიტია კავკასიამ, დავიძარ სამხრით,
ხმელთაშუა ზღვა გადავცურე მშვილდით და ფარხმლით,
ვერ წამაჩოქა მატიანემ, ვერა ვერაგზით,
სანამ ელადა თვალს ახელდა, მერქვა პელაზგი.
აპენინამდე ჩავაღწიე, მჩეხეს, შემტრუსეს.
პელაგზის მოდგმას ლათინები მარქმევს ეტრუსკებს.
გავინაპირე პირინეი იბერ-ბასკებად.
ხეთების სისხლში შევერიე ჭან-ლაზ-ქასქებად.
თითქოს ზღვა პონტო, ისე შემხვდა ზღვა ეგეოსის,
ჩემი მხარულით, გადავცურე, ეფრატ-ტიგროსიც.

არაფერს ვამბობ ბალკანეთში შტურმზე პელაზგთა,
უადრინდელეს ეგრისელთა, თუნდაც ძველ ლაზთა.
მე მიმოვქარგე ანბან-ასო, წიგნი „საწმისი", -
ელინელამდელ მით-ამბავთა პირველ საწყისი.
მე ვთქვი: ზევსი და პრომეთეოს ძმები არიან,
პრომეთეოსი ხომ იგივე ამირანია?!
ჰოდა, მე ვიყავ სვანი, მეგრი, ლაზი და ქართი,
დედამიწაზე უდიდესი მეჭირა ფართი.
დღეს, ძველ, შორეულ და ცივილურ გზებს ვინაც იკვლევს,
იცის, მეც ვიყავ შემოქმედი და მესაძირკვლე!
12/IX 2006წ.

ბატონო გიზო, შენ მე მაჩუქე წიგნი „საწუთრო" ასეთი სათაურით.

ძვირფას გულნაზს!
ჩემი ლექსი ხან ბრძენკაცობდ,
ხანაც კიდევ - ყმაწვილდება,
აბა, ვნახოთ მაგ შენს გულში,
როგორ გადანაწილდება!
19.VI 2007

**ჩემს გულში თქვენი ლექსები გადანაწილდა, ბატონო გიზო, ახლა უკვე ტკივილით, დარდით და ცრემლებით. წარსულში კი ეს ლექსები ჩემთვის იყო სულის ამამაღლებელი და დამამშვიდებელი.**

## მოდიოდა ნინო მთებით

ანა კალანდაძეს
ვარდობის სურნელს ვარდობისთვემ მისცა სადავე,
ტყე ნიავს ვეღარ აოკებდა, ვეღარ იჭედა,
შემოდიოდა ნინო მთებით, მაშასადამე,
საქართველოში ღვთისმშობელი მოაბიჯებდა,
სხვა დარი იდგა ჯავახეთში, სხვა მზის ნათება,
ატეხილ ჭალებს რულს რომ გვირდა, რომ ადინჯებდა,
შემოდიოდა ნინო ჯვარით, მაშასადამე,
საქართველოში ღვთისმშობელი მოაბიჯებდა.
თავნება სიო უმატებდა ტყე-ველს სადარდელს,
ლამაზ სურვილებს გზას უხსნიდა, გულში იჯენდა,
ბარს გასცქეროდა ნინო მთებით, მაშასადამე,
საქართველოში ღვთისმშობელი მოაბიჯებდა.
ვარდსურნელებას ვარდობისთვემ მისცა სადავე,
ღვთის დიდი მადლი მოიყოლა ნაბიჯ-ნაბიჯად,
მოვიდა ნინო, ვაზის ჯვარით, მაშასადამე,
საქართველოში ღვთისმშობელმა შემოაბიჯა!
20/VII 2004წ.

## ვერ დავიჯერებ

*(უფროს ძმას ლევან ხარაიშვილს)*

ცის ცივ სივრცეში მიკვირს
როგორ ძლებ. . .
ვარსკვლავთ სიმრავლემ ხომ არ
მოგხიბლა.
თუმც მოგონებას მე არ მოგაკლებ,
ცრემლებით ლექსი უნდა მოგიძღვნა.
ხან უნებლიედ ვილიმი თითქოს,
დავფიქრდები და ნაღველი მაცრის.
გჯეროდეს გულში იწვის და ითოვს,
სევდა იოლად მე მწარედ ამცრის.
ვერც დავიჯერებ, შენ აღარ მოხვალ,
გაფიქრებაც კი არ მინდა ამის. —
ამ დროს ამომდის გულიდან ოხვრა,
და მიჩერდება სიცოცხლის წამი.



ლევან ხარაიშვილი

## „ყველაზე დიდი სასაფლაოა გული".

*(პოეტ ბეჟან ხარაიშვილს)*

წახვედი, როგორც მწარე სიზმარი,
გადაგიბრუნდა ბედის ურემი.
ახლაც გიგონებს ხვანის მთა-ბარი,
იქ კვნესის შენი ნაფეხურები.
თურმე რა ცეცხლით გეწვოდა სული,
როცა ცხოვრებამ უწყალოდ გჟეჟა.
რა ჯაჭვით გქონდა ბედი დაბმული,
ჩემო უსაზღვრო ტკივილო, ბეჟან.
წუთისოფელი თუმც ზოგჯერ ავობს,
გთხოვ, ნუ დამძრახავ ბედზე გამწყრალი,
ო, არ დაგადებ გულთან ხელს ძმაო,
რომ ტკივილებით არ გაგამწარო.
დაგვტოვე, მაგრამ კვლავ ჩვენთან ბრწყინავ,
გლოცავენ შენი მოძმენი ძმაო,
ზეცაში ჰპოვე შენ მშვიდი ბინა,
და ძირს ჩამოსვლას ამოდ ლამობ.



ლექსით უმღერდი სამშობლოს ზეცას,
შენი სიტყვები მტერს მოთოკავენ.
იმ გზას შენს გავლილს დრო ვერ დაკეცავს,
რადგან ლექსს მაინც, ხომ ვერ მოკლავენ.

# მილოცვა



**დათო ხარაიშვილს და ლალი მაჭარაშვილს ჟურნალ „ათინათის" რედაქცია ულოცავს ბედნიერებას**



**ანასტასია ორჯონიკიძეს ვულოცავთ ძამიკოს დაბადებას.**

# ეთერ ფირცხალავა



**ასმათი ბაიაშვილს**

მეგობარი ხარ საყრდენი ჩემი
მინდა გისურვო სიკეთე ბევრი
მოუღლელია მარჯვენა შენი
ვერას დაგაკლებს გინდ გყავდეს მტერი
ათი სექტემბერია, იუბილე შენი.
სიკეთე მოგცეს უფალმა ბევრი,
ჩემო ძვირფასო ასმათი,
სულ იშრიალე 120- წელი.

**ნინო გაბუნიას**

ჩემი სიცოცხლის ფეთქვა ხარ
ჩემი განძი და ქონება
დედას ხომ შვილზე ძვირფასი
ქვეყნად რა მოეპოვება?
ნანას გეტყოდი აკვანში
სიცოცხლე მემატებოდა
ვისაც ეს გრძნობა უცდია
იგი არასდროს მოკვდება.
შვილისთვის დედის ამაგი
ვერ შეფასდება იცოდეთ
თავს შემოგავლებთ ორივეს
თქვენა ხართ ჩემი სიცოცხლე.

## სარჩევი


მიტროპოლიტი თადეოზი – უწმინდესს ..........2
სიმონ ზაქარაია–საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს ..........2
მიტროპოლიტ თადეოზს (აკროსტიხი) ..........3
გულნაზ ხარაიშვილი–მამა გაბრიელის საფლავიდან გამოყოლილი მადლის სასწაული ..........3
ათინათი წმინდა ნინოს მადლითაა შემოსილი ..........4


## მხატვრული ნაწარმოებები


გარი ჩაფიძე–სიყვარულის მსხვერპლი ..........5-8
გიორგი მაკაველი– ბი ..........8-9
ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი–უფლისწული კურეში ..........9-10
რაფიელ გელანტია–როცა ბულბული მწუხრის საგალობელს შეუდგება ..........10-12
ნანა პაიაშვილი–მზე სიყვარულისა ..........13
თამარ ჯაჭვაძე–მარადი სული ..........13-14
ციალა ხაჟალია-ანდრიაძე –ბოთლებს ვიბარებ, ბოთლებს! ..........14
გულნაზ ხარაიშვილი–დავით კაპანაძის სულში „ჩირაღდანი" ანთია ..........15-16
ლუარა სორდია –„საქართველოს ბერმუხაა ნუგზარ ნადარაია" ..........17


## პოეზია


მიტროპოლიტი თადეოზი (მირიან იორამაშვილი) ..........18-21
დავით შემოქმედელი ..........22
ამირან შალიკაშვილი (თბილისის პანტონიმას თეატრის დირექტორი, მსახიობი) ..........23-26
თამარ ჯაჭვაძე ..........26-27
ეთერი ხეთერელი ..........27
მაია რაზმაძე ..........28
ნორა მორბედაძე ..........28-29
ბეჟან ხარაიშვილი ..........29-30
გულნაზ ხარაიშვილი ..........31-33
მარიამ ნიკოლაევა ..........33-34
საბა მოძველი ..........35
ელგუჯა სხირტლაძე ..........35
ელისო ფიჩხაია ..........35
რევაზ კახიძე (უჩინო) ..........36-37
თინიკო ხაბურზანია ..........37-38
მანანა ზაზიკაშვილი ..........38
ნაზიბროლა გახოკიძე ..........39-40
ნუნუკა გურალია ..........41
მანანა დანგაძე ..........42-43
ლამზირა შეყილაძე ..........43-45
იამზე ჭელიძე ..........45-47

ალინა კუპრავა ........................................ 47-48
ნანა დარჩიაშვილი ........................................ 48-49
ვაჟა აქიმიშვილი ........................................ 50
გიორგი ქეთელაური ........................................ 51
დარეჯან მიმინოშვილი ........................................ 51

## საბავშვო ლექსები

მიტროპოლიტი თადეოზი (მირიან იორამაშვილი) ........................................ 52-55
ნანა დარჩიაშვილი ........................................ 55
მანანა ზაზიკაშვილი ........................................ 56

## პოემები

შემოქმედებითი ჯგუფი „ზღვარი“–მარტოობა ........................................ 57-60
გულნაზ ხარაიშვილი–მკვლელობა საკუთარ სახლში ........................................ 60-63

## წერილები

რეზო ადამია–ვაჟა-ფშაველა და დრო... ........................................ 64-71
მანანა კვატაია– მშვენიერების მარადიულობის აპოლოგია ........................................ 71-74
ლუარა სორდია–პოეზია პლანეტების ........................................ 74-80
ლიანა წურწუმია–ბესიკის პოეტური სამყარო ........................................ 81-82
ჟუჟუნა ნიჟარაძე- მაჭავარიანი– ქვა და ადამიანი ........................................ 83-87
ირა დანელია–კითხვისას უკეთესი შედეგების მიღწევის შესახებ ვარაუდის (კონტექსტის) მეშვეობით. ........................................ 87-89
ლამარა გერგედავა–პოეტური სინტაგმები...კონტრასტები...პარალელები... (ბესიკ ხარანაულის «ხეები».ფრაგმენტები) ........................................ 90-92
ირინა ყრუაშვილი–დეონიმური ზედსართაული წარმონაქმნები გერმანულ ენაში 93-95
ლალი რატიანი–რადიალურ-წრფივი კავშირი ანტონიმიურ-სინონიმიური პარადიგმის სიტყვებს შორის ........................................ 95-98
გივი ხაზალია–არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემა ფსიქოლოგიაში ........................................ 99-100

## ისტორია

სიმონ ზაქარაია–„წმინდა ნინოს“ მოღვაწეობა ქართლში, ქართული ისტორიოგრაფიის ორგანული ნაწილია ........................................ 101-108
ნიკო ხერკელაძე–ცრემლში ნალესი ხმალი ........................................ 108-111
ბადრი გოგუაძე–კიდევ ერთი „შაითანი“ ........................................ 111
გიორგი ბეჟიტაშვილი, თამარ თამარაშვილი–პარტიზანულ ბრძოლაში ნაწრთობი მეგობრობა ........................................ 112-115
ნაილი ხარაიშვილი–ჩემი მადლიანი წინაპრები ........................................ 115-117

## ხელოვნება


*გულნაზ ხარაიშვილი*–ლეგენდარული შვიდი ნომერი ....................................................................118

*თამარ ჯაჭვაძე*–ორპირნალესი ნიჭი ....................................................................................... 118-122

*ნოდარ ტაბიძე*–„შედევრები და მარადიულობა” ......................................................................122


## თარგმანები


*ჟუჟუნა ნიჟარაძე- მაჭავარიანი*–ქალთა სიქველეები ........................................................ 123-124

*ირმა თავაძე*–თბილისის ინდური კულტურისა და მეცნიერების
ცენტრი „ინდრა“ ....................................................................................................................... 124-127


## იუმორი გზად და ხიდად


*ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი*–ლ ო თ ი  ქ მ ა რ ი...................................................................... 128-131

*ეთერი ფირცხალავა*–მომწონს ჩემისთანა ......................................................................................131


## გახსენება


*ვახტანგ გაჩეჩილაძე*– სოკრატ სალუქვაძის გახსენება ..........................................................132

გულნაზ ხარაიშვილი– შემოქმედება გიზო ჭელიძის შესახებ ............................... 133-135

ვერ დავიჯერებ ......................................................................................................................135

„ყველაზე დიდი სასაფლაოა გული“. ..................................................................................135

ეთუნა მირესაშვილი ...........................................................................................................136

ასმათი ბაიაშვილს.............................................................................................................137

ნინო გაბუნიას .....................................................................................................................137

*დათო ხარაიშვილს და ლალი მაჭარაშვილს ჟურნალ „ათინათის” რედაქცია ულოცავს
ბედნიერებას .........................................................................................................................137*

*ეთერ ფირცხალავა...............................................................................................................137*


## მილოცვა


*ანასტასია ორჯონიკიძეს ვულოცავთ ძამიკოს დაბადებას. ......................................................137*

## გორის სუხიშვილების სახელობის უნივერსიტეტი

გორის სუხიშვილების სახელობის უნივერსიტეტი თავისი მრავალწლიანი გამოცდილებით ჩამოყალიბდა ერთ-ერთი ტრადიციულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად. მას უკვე 17 წელია წარმატებით ხელმძღვანელობს ბატონი ვალერი სუხიშვილი.

ეს უნივერსიტეტი საქართველოში მოიხსენიება ერთ-ერთ ტრადიციულ პოპულარულ უნივერსიტეტად, მან ევროპაში დაიმკვიდრა ადგილი. მიღწეული წარმატებებისათვის ოქსფორდის სამიტზე დაიმსახურა ევროპის განათლების ხარისხის ნიშანი და საუკეთესო ევროპული განათლების პროგრამის განხორციელებებისთვის გადაეცა ლაურეატის მედალი. მალტაზე გამართულ სამიტზე, როგორც წარმატებული. რექტორი აირჩიეს რექტორთა კლუბის წევრად. აღნიშნულმა მდგომარეობამ განაპირობა, ევროპისა და აზიის რამოდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტების, გორის სუხიშვილების სახელობის უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობისა და მემორადუმების გაფორმების სურვილი. ასეთი ურთიერთობები დამყარდა ლონდონისა და ოქსფორდის (ინგლისი) ბარსელონას (ესპანეთი) ვარშავის (პოლონეთი) და ასტანის (ყაზახეთი) უნივერსიტეტებთან, რომლის მიზანია ურთიერთგამოცდილებების გაზიარება, სასწავლო პროგრამების და სტუდენტების გაცვლა - გამოცვლა.

უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოთხოვნილების შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი, თანამედრვე საპრეზენტაციო დარბაზები, კომპიუტერული ლაბორატორიები უახლესი ტექნიკით. ყველა პირობაა შექმნილი სასწავლო პროცესის სრულყოფილად, თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განსახორციელებლად. უნივერსიტეტი დაკომპლექტებულია მაღალპროფესიული პერსონალით, რომელთა უმრავლესობა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელია.

სიახლის ძიება, თანამედროვეობის აღქმა, მეცნიერული მიღწევების უმაღლეს დონეზე სწავლება და მისი განხორციელება, სტუდენტებს შორის დემოკრატიული და ჰუმანური პრინციპულობის დამკვიდრება, სამშობლოს სიყვარული და კაცთმოყვარეობა. ეს არის სასწავლებლის სულიერი კრედო.

**გულნაზი ხარაიშვილი**

## ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი" არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს,ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი,მოიცავს ყველა დარგს,თესავს: სითბოს,სიყვარულს,სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru
შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:
თიბისი ბანკი
საბანკო კოდი – TBCBGR 22
მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია."
ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;
0341227287.

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო" მხატვარი ემელიანე (რეზო) ადამია. გარეკანის პირველი გვერდის მეორე გვერდზე,ნახატები ეკუთვნის ცნობილ ფეხბურთელს სახელმწიფო მოღვაწესა და მეცნიერს მანუჩარ მაჩაიძეს.

ჟურნალ „ათინათის" მთავარი რედაქტორი: **გულნაზ ხარაიშვილი**
პასუხისმგებელი მდივანი: **ემელიანე (რეზო) ადამია**

რელიგიის განყოფილების რედაქტორები: მეუფე თადეოზი (იორამაშვილი) და ნუგზარ ნადარაია - ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი

გამომცემელი რედაქტორი: დავით კაპანაძე–პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
ჯუმბერ ლეჟავა – მსოფლიო მოგზაური
ვანო შუშტაკაშვილი –პროფესორი
სამეცნიერო განყოფილების რედაქტორი: ლუარა სორდია – პროფესორი.
თარგმანების განყოფილების რედაქტორი: ირა დანელია — პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) - მოგზაური
იური მამედოვი(აზერბაიჯანი) - მოგზაური
ლიანა მელიქიძე – პოეტი
ლამარა გერგედავა – დოქტორანტი
ლამზირა შეყილაძე – პოეტი
მანანა დანგაძე – აკადემიასთან არსებული შემოქმედებითი გაერთიანების ხელმძღვანელი
მარიამ ნიკოლავა – პოეტი

კორექტორი – თამარ ჯაჭვაძე (პოეტი)

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნანა სხირტლაძე
თეონა სხირტლაძე

ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში"
რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი I,
ხელოვნების აკადემია, IV სართული
ტელ: 593657921; 08341227287.
ფასი სახელშეკრულებო
ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციისას

ტერენტის დაუდეგარი სული არა მხოლოდ დედამიწას, არამედ ცას, კოსმოსს, სხვა პლანეტებს ზვერავდა და სამყაროს ცენტრში ყოფნის განცდა უეფლებოდა.

*ლუარა სორდია*

## მარადისობა

*ტერენტი გრანელის გახსენება*

გენატრებოდა ისეთი მხარე,
სადაც სიმშვიდის ცხოვრება იყო.
ცის სასულეთის მდუმარე არეს,
მანდაც სატანა ხომ არა ბრიყვობს?!
დედამიწაზე რად გეშინოდა,
რად არ იცდიდა მიწაზე სული. . .
შენი ტკივილი ზღვას იწონიდა,
და დადიოდი დარდწამოსხმული.
მთელი პლანეტის სევდა დაგქონდა,
აქ ვერ იშოვე იმედი სესხად.
დარდის ყორანი შენს წინ დაქროდა,
ცას მწუხრის ცრემლი ღრუბლებად ესხა.
მჯერა, მანდ ღმერთი ახლოა შენთან,
ამ სამყაროში ლექსით ფიცხობდი.
მზის უკვდავების კაპიტნის გემთან,
ნათელს ჰფენ შენი მარადისობით. . .

*გულნაზ ხარაიშვილი*

## ტერენტი გრანელს

ისევ ქუხს ყამი ქედუხრელი
ყამი ძლიერი,
ლეგენდად ქცეულს გრიგალებიც
ვერ გელევიან.
შენი ადგილი ზეცაშია,
ანგელოზებთან
და შენით ზეცაც ბევრად
უფრო მომხიბვლელია.

*ნუნუკა გურალია*